ალმანახი

12

1972

ცისფერი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 48-ე № 12 დეკემბერი, 1972 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

სსრკ 50 წელი

ივანე თარგა — გზაშესაყართან. ლექსი. თარგმნა ვ. ჯავახაძემ 3
ზაქარია შერაზადიშვილი — ლექსები 8
ალი ისაევ ავარსკი — ლექსები. თარგმნა ბ. ხარანაულმა 13
გიორგი სამხარაძე — თავისუფალ ერთა კავშირი. ლექსი 16
მკრტიჩ პორიუნი — ლექსები. თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა . . 18
ნოდარ დუმბაძე — თეთრი გაირალები. რომანი 21
ოთარ ჭილაძე — გზაზე ერთი კაცი მიდიოდა. რომანი. მეორე ნაწილი. გაგრძელება 81
შალვა ფორჩხიძე — ლექსები 129
აპოლონიოს როდოსელი — არგონავტიკა. გაგრძელება. თარგმნა აკაკი გელოვანმა 136
ტარიელ ხავთასი — თერთმეტი გედნიერი რიცხვია 173

სსრკ 50 წელი

ალექსანდრე მაზურკევიჩი — ფრაგმენტები უკრაინისა და საქართველოს ლიტერატურათა მეგობგრობისა და ძმური ნათესაობის მატიანედან . . 178
გიორგი ავალიანი — რომანი საბრძოლო თანამეგობრობაზე 183

ჩვენი მეცნიერები

ალექსანდრე ბეგაშვილი — ღვაწლმოსილი მეცნიერი, ჩინებული მოქალაქე . 190

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი, (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წიკიძე, ო. ბილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11.
პ/მგ. მდივნის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 12/X-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/XII-72 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 02055. ტირაჟი 13.900 შეკვ. 3353
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე თარბა

გზაშესაყართან

მამულში, სადაც გავიზარდე,
ბაღნარებს ვხვდები იშვიათს,
ამ ყვავილნარში ყვავილი
გულმა ვერ ამოირჩია.
რომელ მოძმესთან მოვიდე,
რომელს მოვხვიო ხელები,
რომელი მხარის სიმდიდრე.
მომხიბლავს საკვირველებით?
ვის ვანდო გულისნადები,
თუ ყველა მეგობარია
და ჩემზე არანაკლებად
გულახდილები არიან?!
თუ არ ვეწვიე მეზობელს,
თავი რად მინდა ცოცხალი,
რატომ არ უნდა მესმოდეს
მისი ხმა გასაოცარი?!
მარტოხესავით ვედრებას
ხომ არ დავიწყებ ტრამალზე,
ეს მარტო ხომ არ შევხვდები,
მიწას რომ გაალამაზებს?!
და თუნდაც მთელი დუნია
მარტო მე დამისაკუთრონ,
რად მინდა. — დაბინდულია
ეული კაცის საწუთრო.
ან როგორ ვდუმდე ყოველ დროს,
აღარ ვხვდებოდე ძმობილებს,
სახლს რომ ხანძარი მოედოს,
ცეცხლს ვინღა ჩამაქრობინებს?
შორს ჩემგან მსგავსი ფიქრები, —
მალე მეგობრებს გავუვლი
და მონაწილე ვიქნები
დიადი დღესასწაულის.
ითქოს ძმები ვართ — შვილები
ერთი დედის და მამისა
და გულიც დანამდვილებით
ამ ძმობამ გაგვიხალისა.
თუ გინდა გამეკამათოს
და საყვედურიც მესმოდეს,
გვერდს არ ავუვლი არასდროს
საყვარელ კარისმეზობელს.
ეს ზღვა და ზღვის მღელვარება,
მიწა — ქცეული ვარდებად,
მე თუკი არ მეყვარება,
სხვას როგორ შეუყვარდება.
ეს სიყვარული, რომლითაც
მშობელი მიწა მამდიდრებს,
კვლავაც სიხარულს მომიტანს
და მოძმეს შემძენს ხვალინდელს.
მსურს ძმობის ნერგმა იხაროს,
დავძაბო რიტმი სალექსო
და ჩვენს საერთო სიყვარულს —
დიდ რუსეთს მივეალერსო.
როდესაც სხვედან ხომლებად
ვარსკვლავნი ზეცის დაფაზე,
თუ ერთი მომეწონება,
განა სხვებს აღარ ვაფასებ?
მთების ვიწროებს გამოჰყვა
ჩემი ბავშვობის გზაწვრილი,
გამომიყვანა გამოღმა
და ფეხზე დავდექ ყმაწვილი.
დღეს მივაბიჯებ ღიღინით,
ზეცა ქათქათებს თოვლისფრად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდა მოსკოვი ვიხილო
უპირველესად ყოვლისა.
ახალი ძალით ამავსებს,
მტკიცე მექნება მარჯვენა
და შევძლებ ამ ქვეყანაზე
კარგის და ცუდის გარჩევას.
ვეწვევი წითელ მოედანს,
გამათბობს კრემლის კედლები,
გზაშესაყართან — შორიდან
მოსულ მეგობრებს შევხვდები.
ყველა გზა მოდის აქამდე,
აქ ერთდებიან რიგები,
მიდის მდუმარე ნაკადი,
მეც ჩუმად უკან მივყვები.
ლენინს რომ ვუახლოვდებით,
რწმენით სავსე ვართ ყელამდი,
გვწამს, სასწაული მოხდება
და წამოდგება ბელადი.
აგვაგზნებს ხმა სანაქებო,
ვავთბებით იმის ღიმილში, —
მაგრამ ჩუ, ამხანაგებო,
დაღლილი არი ილიჩი.
გაუძლო მრავალ სიმძიმილს,
არასდროს დაუსვენია,
ნუ გააღვიძებთ, იძინოს
ხალხის უკვდავმა გენიამ.
მე კი, როდესაც დავდგები
მავზოლეუმის კედლებთან,
მეორედ დავიბადები
და თითქოს ფრთები მეზრდება.
მეზრდება სულის წყურვილი,
ვიყო ნაღდი და ნამდვილი,
ეს არის ჩემი სურვილი,
ეს არის ჩემი წადილი.
რაღა მაქვს სასინანულო,
გულს დარდი გადამეყარა,
სალამი, დიდო მამულო,
ჩემო მშობელო ქვეყანავ.
სალამი მოსკოვ-ქალაქო,
ჩემო მძლავრო და ლამაზო,
მსურს ტკბილად გელაპარაკო
და ლექსი შემოგთავაზო.
ბევრი სიმღერა მემართოს,
ჰანგი ასხმული მძივებად,
შენს სიყვარულში ვერასდროს
ვერავინ შემეცილება.
მოსკოვში ჩვენი მესაჭე —
პარტიის ცეკა მუშაობს,
რომ ყველას გამოესარჩლოს
და გული გადაუშალოს.
მოგვირჩა ძველი იარა,
სამშობლოვ უდიადესო,
ამაყად უნდა ვიაროთ
და ძმობის თესლი დავთესოთ.
თვალი ლენინგრადს უცინის,
უნდა აცხადდეს ზღაპარი
და ვნახო რევოლუციის
ბავანიცა და ლამპარიც.
ხალისით ვხვდები ყოველთვის
გულღია ლენინგრადელებს,
ფართო ქუჩებს და მოედნებს
თვალს სიყვარულით ვადევნებ.
მძიმე ფიქრები მწუხრივით
ნევაზე დაინაცრება,
გვამცნობს „ავრორას“ ქუხილი
ახალი ერის დაწყებას.
სმოლნში საუბრობს ლენინი,
წინ ბრძოლის მოედანია
და ახლად აღმოჩენილი
გზა უხმობს პროლეტარიატს.
უცებ ხმა გამომაფხიზლებს,
კვლავ აქ ვარ მკლავმოუღლელი,
ზდინარე ნევას ნაპირზე
მე თეთრ ღამეებს ვუმღერი.
სული კი ისევ იჩქარის, —
ვიდრე ძალღონე მეყოფა,
გავხსნა ახალი ჭიშკარი,
ვეწვიო ახალ მეგობარს.
მივდივარ, უკრაინამდე
ვერ შევჩერდები წამითაც,
ახდება, რასაც ვინატრებ,
კვლავ ჟრუანტელი ამიტანს.
ბირს იბანს დნეპრის სარკეში
კიევი — მზეთუნახავი,
კვლავ სასიმღეროდ მაქეზებს
დნეპრის ეხო და ნახმევი.
ლხენით მივყვები კრეშჩატიკს,
წაბლის ხეს ვესაუბრები,
ასე მგონია, მზე ჩადის,
რომ ჩამივლიან ტურფები,
მივესალმები, ისინიც
მესალმებიან იმწამსვე,

თითქოსდა ზეცა იცინის
და ოქრო ცვივა მიწაზე.
სიმღერასავით ჩამესმის
სიტყვები უკრაინული,
მაგონებენ შუაღამეშიც
და ლღვება სევდის ყინული.
მოვდივარ, ბელორუსიავ,
უშენოდ გამიჭირდება,
შენს ტყეებს ახსოვს უსიერს
პარტიზანების დიდება.
მათ ქებას გავიმეორებ,
მათ კვალზე დავიარები,
შენს ხევებს, როგორც მეომრებს,
ატყვიათ ნატყვიარები.
კვლავ ომის ფერფლი მაცვივა,
იხსნება ძველი იარა,
თითქოს კვლავ ჯარისკაცი ვარ
და ისევ ვისხამ იარაღს.
ვადიდებ გმირთა სახელით,
მგოსნის სახელით აგრეთვე,
ხალხებს, რომლებმაც მახვილი
გუთნებად გადააკეთეს.
შორიდან მოჩანს კასპია,
მისი სტუმარი ვიქნები,
ბაქოსკენ მიისწრაფიან
ჩემი გზები და ფიქრები.
აქეთ მეძახდა სული და
აქაურ ჰაერს ვნატრობდი,
აქ გმირებს მიწის გულიდან
ამოაქვთ ოქროს ნავთობი.
ახალი გადასახედი
მხიბლავს ახალი თილისმით,
თუ არ ვიხილე სომხეთი,
არ მაპატიებს სინდისი.
მიტაცებს ფერთა მაგია,
აქ ყველა მეგობარია,
მოვუსმენ ისააკიანს,
მადლობას ვეტყვი სარიანს.
ისევ ვეწვევი ერევანს,
წმინდა წყაროებს ვინატრებ,
ჩემს სტრიქონს გამოერევა
ამ მზის ეშხი და სინათლე.
მომაქვს სიმღერა პატარა
და სიყვარული ულევი,
სხვა საქართველო სად არი —
ქვეყანა სასწაულების?!
მარხევს მთაწმინდის ზეფირი,
გრძნობა ამიტანს უჩვეული,
რუსთველის სტრიქონებივით
ჩამწკრივებულან ქუჩები.
თვითონ მტკვარივით ვღელავ და
მტკვრის ნაპირისკენ დავეშვი
და ჩავიძირე ყელამდი
ამ სიყვარულის ტალღებში.
მიჭირს წავიდე აქედან,
დღეებს ვიგონებ ადრინდელს,
თბილისის მიწას ვაქებ და
თბილისის ზეცას ვადიდებ,
ზამთარშიც ჰყვავის ყვავილი,
რეკენ მომავლის ზარები,
მთელ საქართველოს დავივლი
და მერე გავემგზავრები.
გვერდს ვერ ავუვლი ტაჯიკებს,
უნდა ვესტუმრო იმათაც,
იქნებ მერანიც დამჭირდეს,
სურვილმა ისე იმატა.
გავივლი თურქმენეთშიაც,
იქ მზეს ჩრდილივით გავყვები,
თვალს ჩამიკრავენ ეშხიანს
ზეცის კაშკაშა თაღები.
მერე ვეწვევი ყაზახეთს,
ვით სილამაზის მზვერავი,
ძმობის სიმღერას დავძახებთ,
ვერ დაგვაშორებს ვერავინ.
იქ, სადაც იყო უდაბნო,
ახლა ბაღები ჰყვავიან,
უკაცური და უდაბნო —
დღეს ტურფა სანახავია.
ხეხილით სავსე სუფრაზე
გმირებს შეხვდებით საოცარს,
მათ ხალხი ამაგს უფასებს,
მეც სიყვარულით დავლოცავ.
ტაშკენტო, გათბობს ელვარე
მზე არაჩვეულებრივი,
მიწისძვრის შემდეგ ყველანი
მხარში დაგიდგნენ ძმებივით.
წამოდგა მთელი ქვეყანა
შენი მზის გადასარჩენად,
ღრუბლები გადაგეყარა,
კვლავ იღწვის შენი მარჯვენა.
საძმო და საამხანაგო
ამბავი იქცა იგავად,
ერთი უბანი ააგო
მაქ ჩემმა რესპუბლიკამაც.
დღეს შენს ქუჩებში დავდივარ,
მზე მათბობს მშვენიერების

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვგრძნობ, რამდენად ნაღდია
ძმობა საბჭოთა ერების.
გვერდს ვერ ავუვლი ყირგიზებს,
მთასავით გადამეღობნენ,
ძმობის კოცონი გიზგიზებს,
ვეხვევი ძვირფას მეგობრებს.
რომ დავრჩე, სიყვარულისთვის
წელიწადიც არ მეყოფა,
მეგობარი მყავს ურიცხვი,
ვერ ვნახავ ყველა მეგობარს.
მაპატიებენ, ხვალინდელ
შარაგზას დამილოცავენ,
სხვაგანაც უნდა წავიდე,
მელიან, ცაა მოწამე.
მელის ბალტიისპირეთი,
კვლავ მისი ხილვა მეღირსა,
მქონდა, მექნება იმედი
აქაურ მასპინძლებისა.
გზა შემახვედრებს ლიტველებს,
გადავეხვევი მახლობლებს,
ხალისს გულში ვერ იტევენ.
მღერიან, ტკბილად ლაღობენ.
მე აფხაზეთის ესტონთა
სალამს გადავცემ ესტონეთს, —
ჩვენ ძმობის საიმედო და
მძლე ფუძე დავაბეტონეთ.
შემეგებება ლატვიაც,
პატარებს გავეხუმრები
სანაპიროსაც ატყვია
იქ ჩემი ნაფეხურები.
ყველა დები და ძმებია
და ყველას თავზე ვევლები,
სიკვდილსაც დავიწყებია
ერთგული მოლდაველები.
დამაგვიანდა იქნება,
ნუღარ დამძრახავთ ამისთვის,
გული ქცეულა ფიქრებად,
გული ყველაფერს განიცდის.
ახლა ყველანი საერთო
დღესასწაულმა შეგვყარა,
ვერ გავძლეთ უერთმანეთოდ,
ზეიმობს მთელი ქვეყანა.
ვიმღეროთ, ზეცა გვისმენდეს,
ჩიტმაც შეწყვიტოს გალობა,
თესლი დავთესოთ ისეთი,
მოიმკოს შთამომავლობამ.
ლექსო, მოუხმე აშუღებს,
დავდგათ სალხინო კარავი,
ყველას ღიმილი აჩუქე,
არ დაგავიწყდეს არავინ.
გული გულისკარს აღებს და
ბიმღერას აღარ ანელებს,
თუ არ ვეწვიე დაღესტანს,
დავკარგავ დაღესტანელებს.
თუ არ ვიხილე ოსები,
ყველა პირს მოიპირქუშებს,
ჩეჩნურად შევიმოსები,
ვნახავ ჩეჩნებს და ინგუშებს.
რა ვუთხრა თვითონ აფხაზებს,
ბაკმაოდ დამაგვიანდა,
შინაურს თუ არ აფასებს,
სხვასთან ვალში ხარ ნიადაგ.
დარჩენა განმარტოებით
ყველასთვის მეტად ძნელია,
გავუვლი ყაბარდოელებს,
კარგახანია მელიან.
იქვე ვიხილავ ბალყარეთს,
ავყვები გზებს და გზაწვრილებს,
მათი დანახვა მახარებს,
ანაზდად გამაყმაწვილებს.
მივყვები ნაცნობ ნაპირებს
ბედნიერი და ნეტარი,
გზა წასვლას საით აპირებს,
ვისთან მიმიყვანს ნეტავი?
ბაითაც უნდა წავიდე,
შევხვდები დიად აღლუმებს,
დღეებს გავყვები ხვალინდელს,
ციმბირსაც მოვინახულებ.
მიყვარს ციმბირის პური და
ციმბირელების მხნეობა, — ,
არ მორჩილებენ წუთითაც
ბუნების ერთსახეობას.
ვეძმე ჩუვაშებს, ბაშკირებს,
თათრებს და იაკუტელებს, —
მოყვრებს მოყვრობენ აშკარად,
ხოლო მტერს მტრულად უტევენ.
რომ შევხვდე ყველა ამხანაგს,
ყველა მოძმეს და მეგობარს,
ერთი სიცოცხლე არ კმარა,
ალბათ არც ორი მეყოფა.
ხულ სტუმრად ხომ არ დავრჩები,
მე ვალიც მადევს მასპინძლის,
ჩემთანაც მოვლენ ამჯერად
ძმაკაცი და ძმადნაფიცი.
სტუმართმოყვარე კერასთან
მე ყველას ვეპატიჟები,

კარებს გავუღებ ყველას და
ყველას შევხვდები ტაშებით.
ჩემს სამშობლოსაც ეწვიეთ
ცაში ატყორცნილ არწივეთს,
ცხოვრება გაილამაზეთ,
სიცოცხლე გაიხანგრძლივეთ.
შემოდგომაზე გვესტუმრეთ,
გაზაფხულზეც გვყავს სტუმრები,
არც ზამთარს უსაყვედურებთ,
არც ზაფხულს დაემდურებით.
ჩვენ შევეჯიბროთ ერთმანეთს
სიყვარულში და ძმობაში,
ვთქვათ სიმღერები ნეტარი —
ამ მეგობრობის ტოლფასი.
ჭერი ავწიოთ დარბაზის,
ერთმანეთს ჭირი მოვპაროთ,
არ შეუძლია, აფხაზი
ვერ გაძლებს უმეგობაროდ.
მთებიც კი გამწკრივებულან,
როგორც სჩვევიათ აფხაზებს,
და ბერიკაცთა კრებული
გარემოს აფიანდაზებს.
...დროა, დავაცხრო განცდები
მამულზე საარაკოზე, —
ასე ვრცელს როგორ გავწვდები,
მუხლს მოვიყრი და ვაკოცებ.

თარგმნა **ვ. ჯავახაძემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაქარია შერაზადიშვილი

წიგნიდან „დიადი კავშირი“

საბჭოთა კავშირი

მონაპირე —
ოთხიდან სამი ოკეანის,
ბინადარი —
ხუთიდან ორი კონტინენტის,
წიაღთან, წყალთან,
სივრცესთან მორკინალი,
სიმბოლო მშვიდობის,
ზავის,
მოთმინების!

ჰქუხს,
ჰქუხს და
ზარ-ზეიმობს
ასი ეროვნება,
უკან დაიხიეთ,
ქარო, ურაგანო,
ფიცის
საბჭოურის
ძალა, ფეროვნება
გახლავთ ურღვეველი,
წმინდა,
უანგარო!

წიაღთან,
წყალთან,
სივრცესთან მორკინალი,
სიმბოლო მშვიდობის,
ზავის,
მოთმინების,
კავალერი ოთხიდან სამი ოკეანის,
ბინადარი ხუთიდან ორი კონტინენტის.

ვეება სივრცე-სიმაღლეზე
მოარწივე,
ძმობის და თავისუფლების
მომყივანი,
ხალხთა და ერთა
აღლუმს მოვაღწიეთ
სიმხნით — კონტინენტის,
სუნთქვით — ოკეანის!

უცნობი ჯარისკაცი

ამ ბაღში
ვარდი
უმძრახად ფურცლობს.
ფრთოსნები
ჩუმად
გალობენ ირგვლივ,
დაჰფოფინებენ
ჯარისკაცს
უცნობს,
რაა, უეცრად
არ შეკრთეს
იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბალში
დიდებს
გვაწვება ლოდი,
უქრებათ დარდი
პატარებს ციგის,
ცხელ
სამარესთან
ვინ აღარ
მოდის,
ყველამ
ახლობლად
შეიცნო იგი.

დარდი
მუხასაც
გაუშრობს ლაფანს,
გულუტკენელი
არ დარჩეს ჩირგვიც,
შენ,
ვინც დაეძებ
ახლობლის საფლავს.
აქ განისვენებს,
აქ არის იგი!

გიზგიზებს ალი
მარაოდ შლილი,
ერთმანეთს ცვლიან
რიგნი და რიგნი,
შენ.
ვინც სამარე
დაჰკარგე შვილის,
დაემხვე მკერდზე,
შვილია იგი!

ყოველი თვალი
ცრემლს
ცრის და ნამავს,
აი, ომების
სასტიკი წიგნი,
შვილმა,
რომელმაც
დაჰკარგე მამა,
დაეცი მუხლზე,
მამაა იგი!

უჩუმრად მოთქვამს
ქორო და ქნარი,
დგას იდუმალი
წესი და რიგი,
შენ,
ვინც დაჰკარგე
საფლავიც,
ქმარიც,
გაშალე თმები,
აქ არის იგი!

ცად მიდის ალი,
მუქ ღრუბლებს
რომ შლის,
ერეოლას და ტკივილს
მე ვიცი
ვინ მგვრის,
შენ,
ძმა რომელსაც
მოგიკლეს ომში,
დაჯექი გლოვად,
ძმა არის იგი!

ეს ალი
ქარის ცივ სუნთქვას
ითბობს
ა უგვირგვინოს
ეფერავს გვირგვინს,
ომში რომელმან
დაჰკარგე სატრფო,
იგლოვე უხმოდ,
სატრფოა იგი!

როს ღამე
ცხოველ
მზის სხივებს ჰკაფავს,
გიზგიზა ალი
არ იშლის
ციგლიგს...
ახლობლის
ვინც კი
დაეძებ საფლავს,
აქ არის იგი,
ისვენებს იგი!

დღე და ღამ
ზრუნვით
უგალობს ყველა —
შუმანი,
ვერდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცარტი,
გრიგი...
შენ ალად
ნუ სთვლი,
ეს, სუნთქვა ღელავს,
საოხად ჩვენდა
აქ
ფშვინავს იგი!

მან შესძლო
შლეგი
დაება ქარი,
ემსხვრია მისი
თავხედი დინგი...
ძმაც,
მამაც,
შვილიც,
სატრფოც და
ქმარიც,
აქედან უხმობს
სამშობლოს იგი.

ის იყო
შმაგი
ტრფიალი შრომის:
ომს შიგან —
ხმალი,
შრომაში — ბიგი,
მის
სამარესთან
მთავრდება
ომი,
მშვიდობას იწყებს
სამარე
იგი!

მსოფლიო
ახალ სისხლის ღვრას
შიშობს,
მახვილის ელავს
პირიც და ლინგიც.
ვინც
შთააგონებს
მკვლელობას
ჰირმშოს,
ახსოვდეს კარგად
სამარე იგი!

კორიანტელი

ვით შევისრულებთ
ამოდენ წადილს,
უდღეურ იჭვებს
საიდ გავდენით?
ორი ამდენი თოხი და წალდი,
ორი ამდენი,
სამი ამდენი!

გავუღოთ ბჭენი
ქარსა და ჰაერს,
ცამდე ავწიოთ
კვამლის სადენი,
ვინ მოგვიმწყემსავს
ამხელა არვეს,
თუ არ ვიქნებით სამი ამდენი?!

თუ არ დავანთებთ
ვეება კოცონს,
თუ არ დადგება
კორიანტელი...
რამდენიც უნდა
ვაქოთ და ვკოცნოთ, —
ამ მთებს ვჭირდებით
ოთხი ამდენი!

ყველას თავისი
აქვს ჰიმალაი,
თავის ალპები,
თავის ანდები...
ვიქნებით,
ეს რა დასამალია,
ხუთი ამდენი,
ექვსი ამდენი!

შვიდი ამდენი!
ათი ამდენი! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვი ქართული ოცნებით ოცობს...
ვეებერთელას
დავანთებთ კოცონს,
ცას მისწვდეს
ჩვენი
კორიანტელი!

დაუცხრომელი

ცისკენ მიყივის
სისხლი ცხოველი,
მაქვს სხვა მირონი
შუბლზე წასმული,
მზემდე მიმიყვანს
დაუცხრომელი
ჩემი აწმყო და
ჩემი წარსული.

ჩვენი მიწა-წყლის
მადლით ვიშრომეთ,
ბობოქრობს სითბო
კერის,
ოჯახის,
კრინი დაიწყებს
და შეიშნოებს
ბანთა გუგუნს და
ზილთა მოძახილს.

ქვეყნის უზადო
შემწე-ქადაგნი,
ვიწევთ,
ვმაღლდებით
კრიმანჭულებით,
მიწაში თითქოს
ფესვი გავიდგით
ჩვენი მარნებით,
ჩვენი ჭურებით.

ძმა ათხუთმეტი
ვჭედავთ,
განვაგებთ
ერთიმეორის
ყოფნას არყოფნას,
ერთად ავზიდავთ,
ავწევთ,
ავაგებთ,
და არ ვესწრაფით
ძმები
გაყოფას.

ძმობა
სიკეთეს
კვლავაც მოგვმადლებს,
ოღონდ,
სიკეთეს უნდა გაგება,
უნდა მოვშენდეთ,
უნდა მოვმრავლდეთ,
უნდა შევიძლოთ
გზათა გაგნება.

სადამდეც ჯერ არს,
ვივლით იქამდის,
შვილნი
საბჭოთა დიდი ოჯახის,
გვწამს,
მომავალი რასაც გვიქადის,
გვწამს, —
წინაპარი რასაც მოგვძახის.

სიმაღლე მიეც
ბანს და მოძახილს,
როგორც ლითონი,
კრინი გაწურე,
რამდენიც შექმნა
დიდი
ოჯახი,
იმდენი სჭექე,
იკრიმანჭულე!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისევ გვიღელავს
სისხლი
ცხოველი,
გვაქვს სხვა მირონი
შუბლზე წასმული,
მზისკენ გვეწევა
დაუცხრომელი
ჩვენი აწმყო და
ჩვენი წარსული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალი ისაევ ავარსკი
დაღესტანი

ჰაჯი-მურატი

თუ გაზრდის
    უნდა დედამ გაზარდოს
შენფერი გმირი, მხნე და მართალი,
შენ, დაღესტანის დიდო ლაზათო,
მე სხვა არ ვიცი შენი ბადალი.

ფიცხი იყავი და მოუღლელი,
ვერავინ იტყვის — ტყუილად მოცდა,
რადგანაც შენი ძლიერი ხელი
მხოლოდდამხოლოდ მომხვდურებს ხოცდა.

ჩვენ ვიქნებოდით სახლ-კარმოშლილნი,
მაგრამ შენფერი გმირების გარჯით
როდი ამოწყდა ჩვენი ცოლშვილი,
ამქვეყნად ისევ ცოცხალი დავრჩით.

ცუდ დროს გიმტყუნა ბედმა მუხთალმა
ტყვიამ განგმირმა ვაჟკაცის მკერდი,
განა ლოგინში — მბრდღვინავ ბუხართან,
მინდორში იწექ, გმირების გვერდით.

მაგრამ სიკვდილმა შენ ვერ გაჯობა,
ისევ იმ ძველი მუხის გრგვინვა ხარ,
შენი გმირობა და ვაჟკაცობა
ტოლსტოის ნიჭმა შემოგვინახა.

არ უწერია შენს დროშას დახრა,
და შენს დიდებას გადაშენება,
რადგანაც შენმა მშობელმა ხალხმა
მაღლა აგზიდა თავის მშვენება.

მთიელი ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ დამიბრუნა სიცოცხლე ისევ,
როდესაც იგი ბეწვზე ეკიდა?
მთიელი ქალი კვლავ სასმისს მივსებს
და ჩქეფს სიმღერა ჩემი მკერდიდან.

ვით გადაგიხდი სამაგიეროს
ჩემი ხსნისათვის, მითხარი, რა გსურს,
გინდა, ეს ღამე ერთად ვიაროთ
რომ შენ გიმღერო — ამ მთების ასულს.

მითხრა: შენ ისე ახლო ხარ გულთან,
სამაგიერო რად გინდა ძღვენი,
ცხრამეტი წელი მთის ჰაერს ვსუნთქავ
და თრობა მხოლოდ ახლა ვიგრძენი.

ახლა ვიგრძენი ყვავილთ სურნელი,
მივხვდი ასკილნი რატომ მპოტნიან,
თურმე ვყოფილვარ დღემდე სულელი,
სიცოცხლის აზრი არა მცოდნია.

თუმც სიყვარული სხვა რამ მეგონა,
რომ მოვიდოდა — მაინც მჯეროდა
და როგორც ყველა ჩემ ხნის გოგონა,
მის გზას გავცქერდი ჩემი ჩეროდან.

და როგორც იქნა დღეს შენ მოხვედი,
მადლობელი ვარ მე ჩემი ხვედრის,
გადუფურცლავი და ხელუხლები
მე შენს სიყვარულს ხელგაშლით ვხვდები.

მშობლიური აული

თითქოს ყველაზე ძვირფასი რამ
მაქვს დაკარგული,
დღეები იმგვარ წუხილში და შფოთში გადიან,
ვისაც კი კითხვით მივადექი ან ვენდე გულით,
ვერავინ მითხრა ქვეყანაზე — ეს რა დარდია,

თვალწინ მიდგება განვლილი გზა-თავის ქარებით,
სხვა ქალაქები გონებაში მყავს საუკუნოდ.
ზღვაო ახლა შენ მოგადექი, გახსენ კარები,
მიმარჩიელე შენს კალთაზე — სად განვიკურნო.

გაყუჩებულო დიდი ღელვა-ხეთქების შემდეგ,
ყველა ნაპირის სიბრძნე იცი, ყველა მდინარის,
სულ ერთი წამით გაჭირვებულ კაცისთვის შესდექ
და უპასუხე — მისი სევდის წყარო ვინ არის!

— რა მომივიდა, რომ სიხარულს ვეღარ ვეღირსე,
რითი დავიცხრო მღელვარება, წვა ჩემი გულის!
— მთებისკენ გასწი — მიპასუხა — შენი მთებისკენ,
სადაც მწვერვალებს ზეცაში აქვთ თავი შერგული.

უმალ ავდექი და გავწიე ჩემი მხარისკენ,
სადაც მთებს ფეხქვეშ გაუგიათ ზურმუხტის ნოხი,
სადაც უბრალო მგზავრობაც კი არის სარისკო...
და ვინახულე მადლიანი მიწა ობოხის.

გული გალაღდა, სიომ დამკრა მაცოცხლებელმა,
გააშრო ცრემლი ჩემს თვალებში, ვით დილის ცვარი,
ზე ამოტაცა უხილავი მშობლის ხელებმა
და ჩემს წინ გახსნა სულ ახალი ცხოვრების კარი.

და გაქრა სევდა, კვლავ სიცოცხლის აზრი ვიცანი,
მეც შევუერთდი ერთ ნაპერწკლად წითელ მზის ვარვარს
ვიცანი მტერი, მეგობარი, ვიცან მიზანი,
ძალა მომეცა და ჰე, ფეხზე კვლავ მტკიცედ ვდგავარ.

თარგმნა **ბ. ხარანაულმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი სამხარაძე

თავისუფალ ერთა კავშირი

მზესავით ბრწყინავს სამყაროში
ჩვენი კავშირი,
შედუღებული ხალხთა ნებით
და ძლიერებით.
თავს დაგვფრიალებს მეწამული
დროშა გაშლილი,
დიდებულ დღეთა ზეიმის და
ბედნიერების.

ია-ვარდების ფერში ღვივის
ჩვენი ქვეყანა, —
გმირობისა და მამაცობის
მშობელი მხარე...
ბრძენმა პარტიამ ჩახჩახა მზე
ამოგვიყვანა,
გზები და წლები მტკიცე რწმენით
გამოვიარეთ.

ჩვენი ხალხების მეგობრობა
ურღვევი არის,
მას ვერასოდეს ვერ შებღალავს
ბოროტი ძალა.
ამ დიად ძმობას ვუმღერით და
თავზე დავხარით,
მისი წალკოტი ვარდის დარად
გადაიშალა.

ჩვენი სამშობლო — თავისუფალ
ერთა კავშირი —
არის იმედი მშვიდობისთვის
მებრძოლ ხალხების,
ის არის კერა, ის დროშაა
ლაღად გაშლილი
ძარადიული სიჭაბუკის,
შვების და ლხენის.

ადამიანი! რა გუგუნით
გაისმის ჩვენში,
ის კომუნიზმის ხარაჩოზე
აგურს ალაგებს,
კოსმოსში დაჰქრის, ზღვებს აერთებს
სიხალისეში,
იგი პირველი არის გმირი
და მოქალაქე.

ასე ვაშენებთ კომუნიზმის
ნათელ სართულებს,
მშვიდობის ალმით ჩვენ ვახარებთ
სოფელ-ქალაქებს,
სოციალისტურ ერთა შვილებს —
მხრებგამართულებს
ხალხთა მხურვალე და ღრმა ტრფობა
გვაამხანაგებს.

ბრძოლით და შრომით გავიარეთ
დიადი წლები,
ლენინმა გვზარდა, მისმა აზრმა
დაგვავაჟკაცა,
ბრძნულმა მოძღვრებამ გაგვიკაფა
დიდების გზები,
ჩვენი მარჯვენის მკაცრმა ცეცხლმა
მტარვალი დასცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაღად კაშკაშებს სანეტაროდ
გაშლილი დროშა,
ომი არ გვინდა! ეს სიტყვები
ხალისით გვავსებს...
კრემლის ვარსკვლავი პლანეტაზე
ყოველმხრივ მოჩანს,
ყოველმხრივ მოჩანს და ბრდღვიალებს
მოწმენდილ ცაზე.

ვიცით ბრძოლაში და შრომაში
ჩვენ შემართება,
ხელს ნუ გვიშლიან ჩვენ, სახალხო
შრომით გართულებს,
სისხლის მოსურნე თუ გაბედავს
ხანძრის დანთებას,
ცეცხლში დავწვავთ და სამუდამოდ
გავანადგურებთ.

დიდო პარტიავ, დიდო მზეო
სხივჩაუმქრალო,
იმედო, ნატვრავ და სიმართლევ
დედამიწისა,
ამ ნათელ ცისქვეშ ხალხთა ძმობამ
შენით იხაროს,
შენმა დროშებმა მუდამ ამკონ
გუმბათი ცისა!

11896

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკრტიჩ ქორიუნი

მამომცემელი და ბრძენი

—იცი, ძვირფასო, მეჯავრება ძლიერ იგავი,
მოდი, მოეშვი ამდენ ჯღაბნას; შენთვის იყავი!
ბრძენმა მიუგო: — რა იცის ვირმა,
თუ რა ხილია, ძმაოჯან, ხურმა!

უდარდელობა

ერთ ჭაბუკს ჰყავდა დედა, დაიკო,
შრომისმოყვარე სულაც არ იყო.
—აბა, რად მინდა გარჯით ცხოვრება, —
დედა მოკვდება, და — გათხოვდება.
დაეხეტება, უსაქმოდ დადის,
გორაობს ჩრდილში მუხის და ჭადრის.
ამ წელს არ მოკვდა მოხუცი დედა,
არც და გათხოვდა ჭაბუკის ბედად.
დიდთოვლიანი დადგა ზამთარი,
უტევს შიმშილი, როგორც აფთარი...
რა ანგრევს ოჯახს, ამ მკვიდრ შენობას?
უზრუნველობა, უდარდელობა.

დრამატურგი და ცარიელი დარბაზი

უნიჭობასაც გასაქანი ერთხელ მიეცა, —
და დადგეს ვაი-დრამატურგის მდარე პიესა.
ჰა, მიიწვიეს... დღე დაადგა დრამატურგს შავი, —
იყო დარბაზი ცარიელი, ვით მისი თავი.
უთხრა რეჟისორს: არ ყოფილხარ კაცი სპეტაკი,
ხალხი არ არის და დანიშნე ამ დროს სპექტაკლი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲖᲔ

დედას ესტუმრა ქალი ქმრიანი,
თქვა: არ მყავს ქმარი მე რიგიანი,
მამამ იკითხა: — გცემს? აგებს კარტში?
— არა, როდესაც ვსეირნობთ პარკში,
ისე ღრმად სუნთქავს და ისე ხარბად,
რომ აღარ ტოვებს საჩემოდ ჟანგბადს!
მამამ თქვა ოხვრით: „ჩემი ასული
მთლად დედის კვალზე არის წასული!“

ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲐ

— თავს რად დაისხი, უნამუსოვ, სირცხვილის
ლაფი, —
ცოლი გაუშვი, ოჯახური გაწყვიტე ძაფი!..
— რა ვქნა, ძმაოჯან, სინანულით მართლაც ვილევი
და ამიტომაც დავუტოვე ჩემს ცოლს შვილები...

ᲕᲔᲨᲐᲞᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲧᲐᲧᲘ

ვეშაპი იყო ბაყაყის დოსტი
და ერთხელ ანდო მაღალი პოსტი.
მაგრამ ბაყაყმა გარდა ყიყინის,
არრა იცოდა.. წაიღო ტვინი!
ბაყაყის სკამმა იწყო ლაყლაყი,
ადგა ვეშაპი, მოხსნა ბაყაყი.
ბაყაყის წყენას მოჰკარით ყური?
— ვეშაპს ვჩრდილავდი, გამაგდო შურით!

ᲐᲠᲬᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲚᲐ

ერთხელ არწივმა ხევს მოავლო ამაყი თვალი,
და კუ იპოვა, გამალებით დაასო ბრჭყალი.
როგორც კი უნდა ესადილა მამაპაპურად,
მშიერმა მელამ ის კინაღამ გააპამპულა.
უთხრა: — არწივო, მინდა მოგცე შენ ერთი რჩევა,
მოგეხსენება, კარგის მდომი მხეცებში მე ვარ.
ამ კუს ჭამაში რომ გაწვალდე, გული დამწყდება,
ადექ, მაღლიდან, გადმოაგდე, უმალ გასკდება.
მიხვდა არწივი, სად უმიზნებს მელა ეშმაკი
და გაიფიქრა: მე ვაჩვენებ სეირს ეხლა კი...
მაღალ კლდეს უცებ თავს მოევლო, არ დაახანა,
კუ გადმოაგდო და წუწკ მელას თავში ახალა:
— ჰა, შეისრულე ცრუპენტელავ, გულის წადილი,
შენ დაიღუპე, მე კი მერგო ორი სადილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშიშზე საშიში

მლიქვნელობა საშიშია ძალიან,
როცა ლომიც ეფერება კალიას!
აგებ ბუზი ლომს რას ებაასება:
— ვერ გავიგე, ჩვენი ღმერთი რას შვრება,
მან კალია სპილოდ უნდა გახადოს,
ეს ამბავი მსურს ფარულად გაგანდო.
მაშინ ნახე, ო, მეფეო სეირი,
ვიცი, არც შენ დაგეყრება ხეირი...
დაიჯერა ლომმა ჭორი,
აღარ დაახვალია
და დაუწყო მლიქვნელობა
ყურთან დამჯდარ კალიას.
მიმართავდა მას თქვენობით,
მორიდებით, ცახცახით,
გაქრა ლომის ძლიერების
ყოველგვარი ნასახიც.

თარგმანი **სტეფანე მხარგრძელისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ დუმბაძე

თეთრი ბაირაღები

რომანი

რესტორანი „მადა“

— გამარჯობა, ზაზა!

— როსტომს გაუმარჯოს— — როსტომმა ჯერ მაგრად ჩამომართვა ხელი, მერე ის ხელი ლოყაზე მომითათუნა.

— როგორ ხარ?

— ისე რა. შენ როგორ ხარ? — ვკითხე მე და საათზე დავიხედე.

— გეჩქარება?

— კიროვის ბაღში „სიცილიის ცის ქვეშ“ გადის, ხომ არ წამოხვალ, კარგი ფილმია. — ვუთხარი მე და ისევ საათზე დავიხედე.

— კარგი, თუ ძმა ხარ, ერთი წელია არ მინახიხარ! წამო, თითო დავლიოთ. —მთხოვა როსტომმა.

— არა, ფილმი უნდა ვნახო!

— ხომ ვიცი, მეასედ ნახულობ, წამო!

უსაშველოდ ღონიერია როსტომი. ისე მომიჭირა მკლავზე ხელი, პატიჟი აღარ დამჭირვებია, ჩემით ჩავირბინე რესტორნის კიბე და იქვე თევზების აუზთან, ცარიელ მაგიდას მივუჯექი. როსტომი დახლთან მივიდა.

არა მგონია, რესტორან „მადაზე“ ბინძური, უგემური, ბნელი, ძვირი და მადის წამრთმევი რესტორანი არსებობდეს ქვეყანაზე, და თუ მუშტარი ჰყავს, მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველთვის ღიაა, დილის 7 საათიდან ვიდრე მეორე დილის 7 საათამდე, წინა კვირის ორშაბათიდან ვიდრე მეორე კვირის ორშაბათამდე და ასე მთელი წლის განმავლობაში. „მადის“ ოფიციანტები ისეთი ჭუჭყიანი ხალათებით დადიან, რომ უბნის სანინსპექციის ექიმს შიგ შესვლა არ ჭირდება, დახლიდარი პირდაპირ კიბეზე აძლევს ანტისანიტარიისათვის გადადებულ ქრთამს. „მადის“ დახლიდარს, არქიფოს, მთელი თბილისი იცნობს და, რა თქმა უნდა, მეც ვიცნობ.

— რაა, არქიფო, ასე ბინძური რესტორანი, არ გრცხვენიათ? — ვკითხე ერთხელ.

— რესტორანი არ გახლავთ ეს, ჩემო ბატონო, მუშათა სასადილოა! — მომიჭრა სიტყვა არქიფომ. ამ დღიდან მე, როგორც მომხმარებელი, „მადას“ ისეთ მაღალ მოთხოვნილებებს აღარ ვუყენებდი, როგორც წინათ, როდესაც იგი რესტორანი მეგონა.

დღეს რაღაც მეჩხრად ჰყავს მუშტარი „მადას“. ბნელი დარბაზის ბოლოში

რვა-ცხრა კაცი ქეიფობს, შეზარხოშებულები სჩანან, უკვე ყაყანებენ და ისე ხშირად მიმართავენ ერთმანეთს: „თქვენი სახელი მაჩუქეთ, პატივცემულნო“, ეტყობა ადრე ცალ-ცალკე ქეიფობდნენ და შემდეგ შეაერთეს მაგიდები.

როსტომი მოვიდა, ათი ხინკალი, ნახევარი ლიტრი არაყი თავისი ხელით მოიტანა და მაგიდაზე დადგა.

— მგონი კონსერვიდან არის გაკეთებული, ისეთი სუნი აქვს! — თქვა როსტომმა, ცხვირი აიბზუა და ხინკალს რაც შეიძლებოდა ბევრი შავი წიწაკა მოაყარა. — მე გამითავდა, დამატება რომ დაგვჭირდეს, შენ რამდენი გაქვს? — მკითხა როსტომმა.

— სამი მანეთი! — უხერხულად გავიღიმე, გულის ჯიბეში ხელი ჩავაცურე, ფული ამოვიღე და მაგიდაზე დავდე. როსტომმა ფულს ხინკლიანი თეფში ისე დაადგა ზემოდან, ყური რომ გამოსჩენოდა, თან არაყი დაასხა.

— გინდა, გასწავლო, როგორ უნდა დალიო ასი გრამი არაყი უფასოდ? — მკითხა როსტომმა.

წინასწარ ვიცოდი, რასაც მომიყვებოდა, მაგრამ არ გავაწბილე. — მიდი! — ვუთხარი.

— გუშინ მასწავლეს. — თქვა როსტომმა და გაიღიმა. — ესე იგი, უნდა მიხვიდე დახლთან და მოითხოვო არაყი, მერე ხინკალი, ხინკალი კი არა, ჯერ უნდა ჰკითხო დახლიდარს რა ღირს არაყიო, მერე უნდა ამოიღო ფული და... დამავიწყდა! — თქვა მან, — ისე კი ძალიან სასაცილოა, თუ გამახსენდა, მერე მოგიყვები, ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს! — როსტომმა ჭიქა მომიჯახუნა, არაყი გადაჰკრა და, ვიდრე სულს მოითქვამდა, ხინკალი მიაყოლა.

— არ ჯობია ახლა ეს კინოს? — მკითხა, სული რომ მოითქვა. მეც გადავკარი და ძარღვებში რომ სითბო ვიგრძენი, მგონი კი ჯობია-მეთქი, გავიფიქრე.

— გინდა გასწავლო? — ვკითხე ახლა მე როსტომს.

— რა? — მკითხა როსტომმა და ისევ დაასხა.

— აი ის, წელან რომ არაყის ფასად დალევას მასწავლიდი.

— მოდი რა, თუ ძმა ხარ! — შემოვედრა როსტომი.

— უნდა მიხვიდე დახლთან, — დავიწყე მე, — და ჰკითხო დახლიდარს:

— რა ღირს ხუთი ხინკალი?

— ათი შაური! — გიპასუხებს ის.

— მოიტა! — ეტყვი შენ. ის მოგცემს

— არაყი რა ღირს ასი გრამი? — ჰკითხავ ისევ შენ.

— ათი შაური! — გიპასუხებს ის.

— არ მინდა ხინკალი, მოიტა არაყი! — ეტყვი შენ და ხინკალს დაუბრუნებ. ის წაიღებს ხინკალს და დაგისხამს ასი გრამ არაყს. თრუხ! — გადაჰკრავ შენ და წამოხვალ!

— ეე! სად მიდიხარ! გამოგეკიდება დახლიდარი.

— სახლში! — ეტყვი შენ.

— ფული? — გკითხავს ის.

— რისი ფული? — ჰკითხავ შენ.

— არყის ფული! — გეტყვის ის.

— ხომ მოგეცი ხუთი ხინკალი? — ეტყვი შენ.

— ხინკლის ფული? — გკითხავს ის.

— ხინკალი ხომ არ მიჭამია? — ეტყვი შენ.

— არა! — გეტყვის ის.

— მაშ რა გინდა? — ჰკითხავ შენ.

— არაფერი, ბატონო, ბოდიში, ბატონო! — გეტყვის ის, გაწითლდება და წავა.

— ვა, გენიალურია! — თქვა როსტომმა. — ვინ გასწავლა?

— ციცკამ.

— რა ტიპია, მეც იმან მასწავლა. ოღონდ შენთვის უკეთესად უსწავლებია.

— ეგრე იცის იმან, ამოიჩემებს ხოლმე კაცს. — დავამშვიდე როსტომი. როსტომმა გულიანად გაიცინა.

მე და როსტომი ერთად ვსწავლობდით მეთხუთმეტე სკოლაში, მესამე კლასამდე, მერე როსტომის მშობლები სხვა უბანში გადასახლდნენ და როსტომი რვა თუ ცხრა წელიწადს აღარ მენახა. უნივერსიტეტში შევხვდი, მისაღებ

გამოცდებზე, ფიზიკურზე აბარებდა. მე ვერ ვიცანი, ძალიან დასრულებულიყო, დავაქაცებულიყო და გალამაზებულიყო. თვითონ მიცნო.

— როგორ მიცანი-მეთქი, — რომ ვკითხე, — რა ცნობა გინდა, სულ არ გამოცვლილხარო. — გაეცინა. მეორე კურსზე კვლავ დამეკარგა.

სტადიონზე ვნახე ერთი წლის შემდეგ, ჩვენი „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“ თამაშობდა. ცოტა დამაგვიანდა, რომ მივედი, ჩემს ადგილზე იჯდა. არ ავაყენე, ჩაიჩოჩა. წავაგეთ. თამაშიდან ერთად წამოვედით, არ ვიცოდით რაზე გველაპარაკა. ჩვენი სალაპარაკო მესამე კლასს არ სცილდებოდა.

— სად დაიკარგე? — მაინც ვკითხე ზრდილობისათვის.

— ეკონომიურად მიჭირს, მუშაობა დავიწყე და დაუსწრებელზე გადავედი. — მიპასუხა მაშინ.

აი, ახლაც არ ვიცი, რა ვკითხო და ისევ იმას ვეკითხები, რაც შარშან ვკითხე.

— სად დამეკარგე, ბიჭო?

— ვმუშაობ, ზაზა, აკი გითხარი?

— სად მუშაობ?

— რა მნიშვნელობა აქვს, პურის ფულს ვაკეთებ.

— რაღაც არ გეტყობა! — გავუღიმე მე და სასოებით გავხედე თეფშის ქვეშ ამოდებულ ჩემ სამმანეთიანს.

— სახლში მიმაქვს, დედა სულ დაბრმავდა, ნემსში ძაფს ვეღარ უყრის, ლიანდაგი ვეღარ გაჰყავს სწორად. — იმართლა თავი როსტომმა.

— ღირდა მაგისთვის დაუსწრებელზე გადასვლა? — ვკითხე მე და მივხვდი რა სისულელეც ჩავიდინე.

— ღირდა... — მიპასუხა დუმილის შემდეგ როსტომმა. — ღირდა... ერთ დღეს სახლში მივედი, დედაჩემი თავჩაღუნული იჯდა, ლოგინზე, ვიღაც გავაგასიებული დედაკაცი ცხვირწინ კაბას უტრიალებდა და უყვიროდა: — ქალო, ბრმა თუ ხარ, ჭრა და კერვა თუ არ იცი, ვინ გაძალებს? მათხოვარი თუ ხარ, მითხარი და დაგეხმარები!.. სად ვიშოვო მე ახლა მეორე ასეთი ნაჭერი?! მიწა გახეთქე და სადაც გინდა მიშოვე... — დედაჩემს ეუბნებოდა ამას. — როსტომმა არაყი გადაჰკრა, მე უსიამოვნოდ შემაჟრჟოლა.

— მერე? — ვკითხე მაინც.

— გახსოვს ჩვენი სკოლა, ვარაზის ხევიდან რომ ავდიოდით? — სიტყვა ბანზე ამიგდო როსტომმა.

— მახსოვს! — ვუპასუხე და გულზე მომეშვა.

— მე დედა თხუთმეტ კაპიკს მატანდა საუზმისათვის სკოლაში, შენ?

— მე — ოცდაათს.

— დოქების და ქოთნების ქარხანა იყო სკოლის გადმოღმა.

— აგურის ქარხანა. — გავუსწორე მე.

— ჰო, აგურის, ოღონდ ქოთნებსაც აკეთებდნენ. იმ უბნელ ბიჭებს „Кирпичная шайка“-ს ეძახდნენ.

— დილით გვხვდებოდნენ და ფულს გვართმევდნენ, გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს, არა და, მაშინ თხუთმეტ კაპიკად ერთი ფრანგული ფუნთუშა და ორი სოსისკი იყო თავის მდოგვიანად.

— მაგათი დედა ვატირე! — დამენანა ბავშვობასდროინდელი თხუთმეტი კაპიკი.

— იცი, დილით რატომ გვხვდებოდნენ? — მკითხა როსტომმა.

— რატომ?

— იცოდნენ თუ სკოლაში შევასწრებდით იმ ფულს ბუფეტში დავხარჯავდით.

— მაგაზე სულ არ მიფიქრია. — გამიკვირდა მე, თან გამეღიმა იმ ბიჭების ეშმაკობაზე.

— მაშინ არც მე მიფიქრია, ახლა მივხვდი, მუშაობა რომ დავიწყე, ჩვენი პროფკავშირის თავმჯდომარე ეგრე გვართმევს საწევროს, ჯამაგირის დროს სალაროსთან გვხვდება.

— მაინც სად მუშაობ? — ვკითხე როსტომს.

— გარაჟში, მანქანების მრეცხავად. — უხერხულად გაეღიმა. — ერთი სამ-

მანეთიანიც დაგვხატავდა. — თქვა როსტომმა და ძირში მისულ ბოთლს გახედა, მერე მზერა თეფშის ქვეშ ამოდებულ სამმანეთიანის ყურზე გადაიტანა, ისე შეხედა, თითქოს იმ თეფშის ქვეშ გაქონილი სამმანეთიანი კი არა, ნატვრისთვალი დებულიყოს.

უცებ ჩვენს მაგიდას უზარმაზარი, ულვაშებად ქცეული, გალეშილი კაცი მოადგა. მარცხენა ხელში ერთი ბოთლი საფერავი ეჭირა, მეორეში — სკამი.

— საქართველოს ძლიერების, აღორძინებისა და შემართების ვაჟკაცური გაგების იმაში.... გაუმარჯოს! — გვესროლა ლოზუნგი.

— გაუმარჯოს! — ავიტაცეთ ლოზუნგი ჩვენ.

— თქვენი სახელი მაჩუქეთ!... — მიმართა სლოკინით როსტომს.

— როსტომი!

— აუჰ! თქვენი? — მომიბრუნდა ახლა მე.

— ზაზა!

—ხო, ხო, ხო, ხო, ამირან-დევი შეიბნენ, არა? მიწას გაჰქონდა გრიალი, არა?.. თქვენ გენაცვალეთ საქართველოს კეკლუც ბუნებაში და თქვენს სუფრას ვკოცნი ტუჩებში...

— დაბრძანდით, ბატონო! — შევაშველე მე ხელი.

— ჩემი სკამით და ღვინით ვარ მოსული, ხომ მიმიღებთ? — მკითხა მან და, ვიდრე თანხმობას ვეტყოდით, ჩვენი უკანასკნელი ხინკალი დააყოლა სლოკინს.

— დაბრძანდით! — გაუმეორა თხოვნა როსტომმა.

— ჩვენ იქ ვქეიფობთ, მე და ჩემი მეგობრები: ერთი, ორი, სამი, მე მეოთხე ვარ. — დაირტყა მჯიღი გულზე ჩვენმა სტუმარმა.

— რა გნებავთ, ბატონო? — ჰკითხა როსტომმა.

— მე მნებავს თქვენთან ერთად „საფლავშიაც, აქაც, იქაც...“ — წაუღიღინა სტუმარმა.

— ჩვენ უნდა წავიდეთ ახლა, ბატონო! — წამოვდექი მე.

— რაო? — მკითხა სტუმარმა, და ისე მაგრად დაჰკრა ფსკერით ბოთლი მაგიდას, რომ ნახევარი ბოთლი ღვინო შიგ ცხვირ-პირში შეესხა როსტომს. როსტომი გაფითრდა, ფეხზე წამოდგა, ერთხანს მონუსხულივით უყურა სტუმარს, მერე ხელის მოსმით ჩამოიწმინდა სახე და სისხლისფრად შეღებილ ხელისგულზე დაიხედა.

— თქვენი სახელი მაჩუქეთ, პატივცემულო! — ძალიან წყნარად ჰკითხა როსტომმა სტუმარს.

— აკაკი, კაკო, კაკი! — ჩამოთვალა მან და დაჯდა. ახლა იგი იჯდა და ჩვენ ვიდექით ფეხზე, — დაბრძანდით! — გვთხოვა მან. ჩვენ დავსხედით.

— თუ შეიძლება გვითხარით, რა გნებავთ, ბატონო, აკაკიკაკოკაკი! — ისე ჩაუკაკანა როსტომმა, რომ მე მარტო კი არა, თვითონაც გაეცინა.

— ყველაფერს მართმევენ, გენაცვალე, ყველაფერს! — ჩურჩულით გვითხრა აკაკიკაკოკაკიმ და აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა შეთქმულივით.

— ვინ? — ვკითხე მეც ჩურჩულით.

— ისინი! — თქვა აკაკიკაკოკაკიმ და თავი გაიქნია გაურკვეველი მიმართულებით, — მგლეჯენ, მბწკვნიან, საკუთარ სახლში ლაპარაკს მიკრძალავენ, საკუთარი ხარჯით, ვიღუპები!

— რაშია საქმე, ბატონო, აღარ გვეტყვით? — ჰკითხა როსტომმა და ღვინო დაისხა აკაკიკაკოკაკის ბოთლიდან.

— სისხლს სვამენ ჩემსას! — იყვირა აკაკიკაკოკაკიმ. როსტომმა ცივად დადგა ჭიქა. — სისხლს სვამენ და ყველაფერს მართმევენ, მბწკვნიან... ლოგოს, — დააყოლა ლათინური კილოთი.

— ვინ? — ვკითხე ისევ მე.

— ისინი, ლაპარაკს არ მაცლიან, სიტყვას არ მაძლევენ, ღვინო ჩემი, პუ-

რი ჩემი, ხარჯი ჩემი. შევერთდეთო, გავერთიანდეთო, ძმობაო, სიცრუე, სიყალბე, მაგიდა მაგიდას მივადგით, იქ მე ვიყავი თამადა, აქ კი ეს ჩიფლახი, ეს ქოსა, ეს დაკოდილი, ცვედანი, სიტყვას არ მაძლევს ჩემს სუფრაზე. გიორგი საკაძის, თამარა გიორგევნას და დიდი დავითის ნაგრამს შეხედეთ, რას გავს, უჰ, მაგის დედა კი ავატირე!!! — აკაკიკაკოკაკიმ იქითკენ გაიქნია თავი, საიდანაც მოვიდა. იქიდან უკვე ისეთი ხვევნა-კოცნა, ღრიანცელი და სიმღერა ისმოდა და ისე იყვნენ მთვრალები, ერთმანეთში არეული, შეუძლებელი იყო მიმხვდარიყავით ვისზე იყო კერძოდ ნაწყენი აკაკიკაკოკაკი.

— თქვენს მეგობრებზე ამბობთ? — ვკითხე მე.

„თამადაო, ბალერინა,
ღვინო არ დაგვალევინა,
ეს თამადა პლისეცკაია,
ასეც კაია, ისეც კაია“, — ისმოდა შეზარხოშებულ სუფრიდან.

— გესმის? არა, შენ გეკითხები, გესმის? თამადაო ბალერინაო. ვინ არის მაგათი მეგობარი? — გაუკვირდა აკაკიკაკოკაკის.

— მე, მე ვარ მაგათი მეგობარი!

(молчать болван).

Батальон, смирно! Равнение на середину! Прямой наводкой огонь!..

— ხელში ცემა ვერ მოვასწარი, ბოთლმა საფეთქელთან ჩამიქროლა, ჩაბნელებული დარბაზის ბოლოში მოქეიფეთა სუფრის თავზე იფეთქა ყუმბარასავით და დამსხვრეული შუშები მაგიდაზე დაიბნა.

—ჰეი, ჰეი! — მომესმა არაადამიანური ბღავილი და დარბაზის ბოლოდან. პირველი ბოთლის აფეთქებას მეორე მოჰყვა, ეს უკვე ჩვენი არყის ბოთლი იყო. და უცებ რვა მხეცად ქცეული, არ ვიცი სისხლითა თუ ღვინით მოთხვრილი, ხელში სკამშემართული შემზარავი სხეული დაიძრა ჩვენი მაგიდისაკენ.

* * *

მე მახსოვს,როგორ დაარტყა როსტომმა ყბაში აკაკიკაკოკაკის თავისი უზომოდ დიდი მუშტი, როგორ მინაბა უკანასკნელმა თვალები და როგორ გადაესვენა მუცლით მაგიდაზე, მერე როგორ დაეშვა ჩემს თავზე სკამი, როგორ წამოწვა გაღიმებული როსტომი აკაკიკაკოკაკის გვერდით, როგორ ატრიალდა მაგიდა, როგორ გაასდა დარბაზის ჭერზე მბეუტავი ოცდათხუთმეტვოლტიანი ნათურა, როგორ ჩამესმა მილიციელის სასტვენის შორეული გალობა და როგორ მოიცვა წყვდიადმა სამყარო...

და იმ წყვდიადში ჩემთან მოვიდა კაცი, შემახო ხელი მხარზე და მითხრა:

— ადექ შენ!

— რა ბრძანეთ? — ვკითხე მე და ცხვრის ქურქში გახვეულ წვერგაუპარსავ კაცს მივაშტერდი.

— ადექ შენ და წამოდი ჩემთან!

— რომ ვერ ვდგები, ჩემო ბატონო? — შევღაღადე მე. მაშინ იგი შემიდგა მხარში, ფეხზე წამომაყენა და წინ გამიძღვა. მე მთვრალივით გავყევი უკან. ძალიან დიდხანს, დიდხანს ვიარეთ. ველარ მივდიოდი, ფეხები მეკეცებოდა, იყო საშინელი უკუნი ღამე და მხოლოდ იმ კაცის ნათელი თავი მინათებდა გზას. ბოლოს შედგა იგი რკინის სარკმელდატანებული შავი და ბნელი სახლის წინაშე და მიბრძანა:

შეეედ შენ კიდობნად!

— მეშინია! — ვთქვი მე და უკან დავიხიე.

— შეეედ შენ კიდობნად, რამე თუ მოჰხადოს ღმერთმა წყლით რღუნა ქვეყანასა ზედა ორმეოცთადღეთა და ორმეოცთაღამეთა და აღხოცოს ყოველი აღდგომი რომელი შეჰქმნა პირისაგან ყოვლისა ქვეყნისა.

— რაშია საქმე, ბატონო, რატომ, რისთვის, რა დავაშავეთ ასეთი? — გამიკვირდა მე.

— თქუა უფალმან ღმერთმან ჩემს მიმართ: ჟამი ყოვლისა ხორციელისა

მიიწია წინაშე ჩემსა: რამეთუ აღივსო ყოველი ქუეყანა უსამართლობითა მათგან და აჰა მე განვხრწნი მათ და ქუეყანასა.

— ასე გითხრათ?

— ასე თქვა უფალმან ღმერთმან ჩემს მიმართ.

— კი მაგრამ, თქვენ ვინ ბრძანდებით? — ვკითხე მოხუცს.

— მე ნოე ვარ.

— რომელი ნოე?

— ნოე! — გამიმეორა მან და კვლავ დამადო მხარზე ხელი.

— ააა? — ვთქვი მე და მაშინღა მივხვდი, ვის ველაპარაკებოდი. ჩემს წინ წარღვნის შემდგომი კაცობრიობის მამა, ნოე იდგა, იქნებოდა ასე, 595-600 წლის, მაგრამ საოცრად მხნედ და ახალგაზრდად გამოიყურებოდა.

— სად არიან, ბატონო ნოე, თქვენი შვილები: სემ, ქამ და იაფეტ?

— შენა ხარ ძე ჩემი, ზაზა!

— სად არიან ცხოველები?

— ჩვენა ვართ ცხოველნი და პირუტყვნი და მხეცნი!

— სად არიან ფრინველნი?

— ჩვენა ვართ ფრინველნი და ქუეწარმავალნი; ნუღა აყოვნებ, შევედ შენ კიდობნად! — მაშინ გაიღო ბნელი და შავი სახლის დახშული რკინის კარი და

მე შევედ კიდობნად...

და იქმნა რღუნა, ხოლო წყალი ამაღლდა ფრიად ფრიად ქვეყანასა ზედა და დაფარნა ყოველნი მთანი მაღალნი, რომელნი იყუეს ქუეშე ცისა და მოკუდა ყოველი ხორცი მოძრავი ქვეყანასა ზედა.

მეხუთე—მეკთე

მომხდარი ამბის შემდეგ, ზუსტად მესამე დღეს, გაზეთ „თბილისში“, იქ, სადაც გარდაცვლილთა ოჯახების, ნათესავების, მეგობრებისა და დაწესებულებათა განცხადებებს ათავსებენ, ასეთი სამგლოვიარო განცხადება გამოქვეყნდა:

და გურანდა, სიძე ამაიაკ ალავერდიანები, ბიძაშვილები: ცუცა, მირცა, ცაცა, ნუცა, გვანცა, ცაბუ, ცირა, ცოტნე. დეიდაშვილი ია ზარიძე, მამიდაშვილები: გუბაზი და ვალერიან იორამაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ (ჯანო) თეოფანეს ძე
სოსელია

პანაშვიდი 11, 12, 13. V, 8 ს. დაკრძალვა 14. V, 5 ს. გამოსვენება კუტუზოვის ქ. № 251.

ხოლო ზუსტად მეათე დღეს, იმავე გაზეთში, რუბრიკის ქვეშ „კანონიერების სადარაჯოზე“ შემდეგი შინაარსის სტატია გამოქვეყნდა:

„აბა, რა ეგონათ?“

დიდი ხანია ერთმანეთი არ ენახათ ძველ „მეგობრებს“ როსტომ ამილახვარსა და ზაზა ნაკაშიძეს და, აი, ა. წ. 9 მაისს შეხვდნენ ერთმანეთს „დოსტები“ რესტორან „მადის“ შემოგარენში. გადაეხვივნენ ერთმანეთს პროფესიონალი ცუღლუტები (გვარებიც ხელს უწყობდათ) და ვინ იცის საიდან და რა გზით ნაშოვნი ფულით რესტორან „მადაში“ არაყით პირის ჩატკბარუნება განიზრახეს. ამ დროს იქვე, მათ გვერდით, დარბაისლურად ქეიფობდნენ პატიოსანი მოქალაქენი. აუვარდათ რა ნაკაშიძესა და ამილახვარს თავში ბახუსი, მათთვის ადრევე ჩვეული და შემჩნეული უშვერი ლანძღვა-გინება დაიწ-

ყეს რუსულად და მალიმალ იხედებოდნენ დარბაისლურად მოქეიფე მოქალაქეთა მიმართულებით. ასე გრძელდებოდა რამდენიმე ხანს, მაგრამ ამ გარეწართა აღვირახსნილობას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე, მიუხედავად მებუფეტე ა. ს-ის არაერთგზის გაფრთხილებისა და თხოვნისა, საზღვარი არ უჩანდა. მაშინ იქვე დარბაისლურად მოქეიფე მოქალაქეთა ჯგუფს გამოეყო მოქალაქე ა. ს. მიუახლოვდა დებოშიორებს და მამაშვილურად უთხრა:

— ახალგაზრდებო, ხომ იცით, რომ ალკოჰოლი უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, ზნეობრივ საქციელსა და გონებრივ მუშაობაზე? გთხოვთ წაბრძანდეთ სახლში, დაისვენოთ, სწავლა გააგრძელოთ უმაღლეს სასწავლებელში და თქვენს ნახარჯს მე გადავიხდიო. — არ იღეს ყურად მოქალაქე ა. ს.-ის თხოვნა აღვირაწყვეტილმა ხულიგნებმა, ჯერ მაგრად დაარტყეს ყბაში მუშტები მოქ. ა. ს.-ს და ტვინის კომოციო (შერყევა) დამართეს, შემდეგ კი გამგელებულებმა დაუშინეს ბოთლები დარბაისლურად მოქეიფე მოქალაქეთა გუნდს, სადაც ერთ-ერთმა ბოთლმა იმსხვერპლა მოქალაქე ვ. სოსელია, რომელიც სასწრაფო დახმარებაში მიყვანისთანავე რამდენიმე ხანში გარდაიცვალა. ის-ის იყო აპირებდნენ გაპარვას და სასჯელის თავის არიდებას ადამიანის სახედაკარგული ამილახვარი და ნაკაშიძე, რომ დროზე მიუსწრეს მათ ორჯონიკიძის რაიონის მილიციის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილემ ლეიტენანტმა ამხ. ლეკიშვილმა, რიგითებმა ბ. თათარაშვილმა, ვ. რუსიძემ, ს. ბერძენიშვილმა, ბ. ებრალიძემ, ვ. ფრანგიშვილმა, დ. არაბულმა და შეიპყრეს დღემდე გაურკვეველი მიზეზების გამო სამართალში არასდროს ყოფილი არამზადები და სადაც ჯერ არს იქ მიაბრძანეს. ამჟამად ამფსონები ზ. ნაკაშიძე და რ. ამილახვარი ციხეში იმყოფებიან. მალე წარსდგებიან სამსჯავროს წინაშე და დამსახურებულ სასჯელსაც მიიღებენ. ... ეგონათ?"

• • •

მეტეხის ციცაბო კლდის თავზე, იქ, საიდანაც ახლა ცხენზე ამხედრებული, მარჯვენაამართული გორგასალი თავზეხელაღებულ მძღოლებს აფრთხილებს, — მოსახვევში ცოტა ფრთხილად იყავითო — და სწორედ იქ, საიდანაც სიცოცხლეზე ხელჩაქნეული თბილისელები ერთმანეთის წახედულობით კისერზე ქვაგამობმულნი ეშვებოდნენ ხოლმე, ახლა აუტანლად ბინძურ და აშმორებულ მტკვარში იდგა მრავალტანჯული მეტეხის ციხე, ამ სიტყვის საპყრობილესეული გაგებით.

რევოლუციური მოძრაობის აღორძინებისა და შემდეგ რეაქციის მძვინვარების წლებში, უცებ იმდენმა ხალხმა მოინდომა თავისუფლება, რომ პატარა მეტეხის ციხემ ვერ დაიტია ისინი და იმ დროისათვის საქვეყნოდ ცნობილი მეწარმე მანთაშოვი იძულებული შეიქნა ორთაჭალაში საფეიქრო ქარხანად გახაზირებული ორი უზარმაზარი ოთხსართულიანი შენობა, თავისი სარდაფებითა და საწყობებით, საგუბერნიო ციხედ გადაეკეთებინა და დაბადების დღეზე საჩუქრად ებოძებინა რომანოვების დინასტიის უკანასკნელი მეფისათვის მისი უდიდებულესობის სრულიად რუსეთისა, პოლონეთისა და სხვათა და სხვათა... იმპერატორის, ნიკოლოზ მეორისათვის, რაიც, 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკების მიერ კონფისკაციაქმნილი, ადრევე „გუბერსკის" ციხედ წოდებული, ფუნქციისა და სახელის შეუცვლელად გადაეცათ მშრომელებს უვადო სარგებლობაში.

ციხეს დიდი ალფა-ბეტიანი დავთარი გააჩნია. ვისაც სურს თავისი პატიმრის ადგილსამყოფელის ზედმიწევნით კონკრეტული დაზუსტება, უნდა მივიდეს ციხის ადმინისტრაციულ შე-

ნობაში, მიუკაკუნოს სარკმელს, რომელსაც „კანცელარია“ აწერია და თუ გაიღო, ჰკითხოს სარკმელს სასურველი გვარი. ღია სარკმელი მოძებნის სასურველ გვარს იმ დიდ ალფა-ბეტიან დავთარში, და დროის სულ მოკლე მონაკვეთში, დაახლოებით ერთ-ორ წუთში შემკითხველისათვის ყველაფერი ნათელი გახდება.

მე ამ დავთარში ასო „ნ“-ზე ვარ. ჩემი გვარისა და სახელის გასწვრივ სწერია:

— დაპატიმრებული 1972 წ. 8/V. ციხეში გადმოყვანილი 11/V, კორპუსი V, საკანი X. წინასწარი ძიებით მიყენებული აქვს საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110 მუხლი.

ხოლო რა სწერია ამ 110 მუხლში, ამას ცოტა გვიან გავიგებთ თქვენცა და მეც.

* * *

ჩემი საკნის ფანჯრიდან რომ გაიხედავთ, პირველად საგუშაგოს კოშკი და მის მოაჯირზე არხეინად ჩამომჯდარი გუშაგი გეცემათ თვალში, მერე — ადმინისტრაციული შენობა და ციხის უფროსის კაბინეტის სარკმელი, ეს ერთადერთი სარკმელია ციხეში, რომელსაც რკინის მესერი ანუ გისოსები არა აქვს და რაფაზე, ოღონდ გარედან, ყვავილის რამდენიმე ქოთანი დგას სიმაღლის მიხედვით ისე, როგორც ზოგიერთ ოჯახებში როიალზე ან პიანინოზე სპილოებია ხოლმე ჩამწკრივებული. ოთახებში არავითარი ყვავილები არ არის, ეტყობა ერთ დროს, ციხის რომელიღაც უფროსი ყვავილების მოყვარული ყოფილა და ეს ქოთნები შიგნით ელაგა კაბინეტში ნაირ-ნაირი ყვავილებით აბიბინებული. შემდეგ მოსულა უფროსი, რომელსაც ყვავილები არ ყვარებია, მაგრამ ამის გამჟღავნება ცოტათი უხერხულად მიუჩნევია და იმ მიზნით, რომ მცენარეს რაც შეიძლება მეტი სუფთა ჰაერი და წყალი სჭირდებაო, ყვავილები გარეთ გამოუდგამს, იმის შემდეგ მისულს კი ყვავილები სულ არ გახსენებია და დგანან ახლა ცარიელი ქოთნები შიგ ჩაკირული და გამხმარი მიწისაგან დამსკდარნი, სიმაღლის მიხედვით, ფანჯრის რაფის გადმოღმა და ამაოდ ისმენენ სოფელ კრწანისის ბილიკზე დაშვებული, ზურგზე ტომარამოკიდებული გლეხის ღიღინაჩართულ გაბმულ ყვირილს „ყვავილების მიწაააა, აბა, ყვავილების მიწაააა!“ ციხის უფროსის კაბინეტის გვერდით ციხის ზედამხედველის კაბინეტია. ეს სამი უბანი: საგუშაგო, ციხის უფროსისა და ზედამხედველის კაბინეტები იმიტომ კი არ გეცემათ პირველად თვალში, რომ რაიმე დიდ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, არა, მათ შორის რაღაც მაგიური კავშირი არსებობს. კერძოდ, თუ კოშკზე არხეინად წამოსკუპულმა ზედამხედველმა შეგამჩნიათ, რომ ფანჯრიდან იყურებით, იგი ისეთ გამომეტყველებას მიიღებს, თითქოს არ დაუნახიხართ, შეიძლება ზურგიც კი შეგაქციოთ, შემდეგ ასევე არხეინად აიღებს კოშკურის ძელზე ჩამოკიდებულ ყურმილს და თუ თქვენ მზერას გადაიტანთ ციხის უფროსის კაბინეტში, ნახავთ, რომ იმავე წუთში თავის კაბინეტში ყურმილს აიღებს ციხის უფროსი, იგი თავს დაიქნევს კმაყოფილებით და ვიდრე ყურმილს დაკიდებდეს, მეორე ტელეფონის ყურმილს აიღებს და თუ თქვენ ახლა მზერას ზედამხედველის კაბინეტზე გადაიტანთ, დაინახავთ, რომ ამ დროს ზედამხედველიც აიღებს ყურმილს და თავის მხრივ ისიც მეორე ტელეფონის ყურმილს აიღებს, მერე დერეფანში, რომელშიც თქვენი საკანია განლაგებული, გაისმის ზარის გაბმული ხმა, მერე უცებ შეწყდება ზარი და თქვენ თუ ფანჯრიდან ჩამოსვლა ვერ მოასწარით, გაიღება საკნის კარი, ფანჯრიდან ძალით ჩამოგიყვანენ და ეგრეთწოდებულ „ციხის ციხეში“ — კარცერში მიგაბრძანებენ 3 დღე-ღამით. თუ რას ნიშნავს ეს, ამის გაგების საშუალება თვით კარცერში მოგეცემათ. არ

სებობს კარცერში მოხვედრის უფრო მოკლე გზა, როდესაც კოშკზე არხეინად წამოსკუპული გუშაგი უშუალოდ თქვენი დერეფნის ზედამხედველს ურეკავს, მაგრამ ამას მხოლოდ ახალბედა, გამოუცდელი და გულუბრყვილო გუშაგები აკეთებენ, მათ არ იციან, რომ კარიერა ასე მოკლე გზით ძნელად კეთდება.

თუ ვერ შეგამჩნიეს და სარკმლიდან არ ჩამოგიყვანეს, ზემოხსენებული ობიექტების შემდეგ თვალში საპატიმროს ეზო გეცემათ. ეზო ოთხკუთხედია. ეზოს თავის მხრივ ბაგის ტიპის ოთხკუთხა და შიგნით ოთხად გადატიხრული გალავნიანი და კოშკურებიანი ეზო აქვს. ეს სასეირნოდ გამოყვანილი პატიმრების ადგილია. ოთხად იმიტომ არის გაყოფილი, რომ ოთხი საკანი ერთად გამოიყვანონ და ასეირნონ. სეირნობა, გარდა ავდრისა, ყოველ დღე სწარმოებს ნახევარი საათიდან ერთ საათამდე. სეირნობის დრო ციხეში პატიმრების საერთო რიცხვზეა დამოკიდებული. შემდეგ ჩანს სამზარეულო. სამზარეულოდან ზუსტად ისეთი სუნი მოდის, როგორიც აქვს იმ საჭმელს, რომელსაც ჩვენ გვაჭმევენ. სამზარეულოს მარჯვნივ საავადმყოფოა, ცოტა მარჯვნივ — მორგი, საავადმყოფოს კარებთან მზეზე გასაშრობად გამოტანილი ახალშელებილი კუბოც შეიძლება დაინახოთ. ეს ციხიდან გასვლის ყველაზე უტყუარი საშუალებაა. და ბოლოს, უზარმაზარი რკინის ალაყაფია.

ეს ის უცნაური კარია, რომელშიც ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად შემოყავთ და რომლიდანაც იგივე ადამიანები თითო-თითო გაყავთ. ეს კარი რომ გაიაროთ, სამი გზა არსებობს — ან მართალი უნდა იყო, ან მისჯილი, ან წიქარა. თუ წიქარა ხარ, ძალიან ძნელია, რადგან ეგ კარი სწორედ ის მეცხრე კარია, წიქარას რომ რქა მიატყდა.

რაც მოგახსენეთ, ეს ციხის შიდა მეურნეობაა. იგი, ალბათ, უფრო რთულია, მაგრამ ჩვენი სარკმლიდან მეტი არ ჩანს. გარე სამყარო კი ჩვენთვის დაახლოებით ასი მეტრის სიგრძის ქუჩის გალმა მხარეა: თავისი ლუდის პატარა ბუდრუგანით, აფთიაქით, საპარიკმახეროთი და ქუდების ატელიეთი, ეს არის და ეს. ეს სათვალთვალო პუნქტი, ესე იგი ჩვენი სარკმელი, შოშიას ეკუთვნის: შოშია პატიმრის სახელია, ჩემთან რომ ზის. თავიდან შოშია ზედმეტი სახელი მეგონა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძალზე ჰგავს შოშიას, შავია და ნისკარტიანი, მეორეც იმიტომ, რომ სულ ფანჯარასთან ზის შოშიასავით და სწორედ ამიტომ ნახევარი დრო კარცერში აქვს გატარებული. თქვენ გგონიათ შოშიას ეშინია კარცერის? პირიქით, ერთხელ მითხრა:

— შენ რა იცი რა სიხარულია კარცერიდან რომ გამოვალ და ფანჯარაში გადავიხედავ, მაგრამ მაგას შენ ვერ გაიგებ, ჩემო ზაზა, ვერ გაიგებ. ეგ რომ გაიგო, შოშია უნდა იყო. ყალიაში უნდა იჯდე და ბუდეში ორი ბარტყი უნდა გეჯდეს, პირდაფჩენილი, ორი ბარტყი...

შოშიას იმ ორი ბარტყის სურათი თან აქვს წამოღებული, დღეში ერთი ათჯერ მაინც ამოიღებს და ყველა ამოღებაზე მჯიღისხელა კურცხალს აღვარღვალებს.

—იდიოტი მამა მოგიკვდეთ, შვილებო. რა ჩემი საქმე იყო ასკილისა და მაყვლის წვენი, ვგდებულიყავი ტექნიკუმში სამეურნეო ნაწილის გამგედ, მაყუთს ვერ ვაკეთებდი თუ რა? მაგრამ არ გაძღა მაიმუნი დედათქვენის მუცელი... ახია, ახი...

— არა გრცხვენია, შოშია, რეებს ლაპარაკობ საკუთარ ცოლზე? — ვუსაყვედურებ ხოლმე.

— არ გაძღა, ზაზას შემოვევლე, არ გაძღა, მაგისი ჯიგარი დავხიე. ახლა მიადგეს და ყიდოს ის ბრილიანტის ბეჭდები, როდემდე ეყოფა, იმასაც ვნახავ, მე უეჭველად ათწლიანი ვარ, ვარ, მაგის... სულ ერთია, რომ გავალ, გავუშვებ და ჩემს მეზობელ სირანას შევირთავ... — აქ შოშია შეჩერდება ხოლმე და შემდეგ აუწერელი სინანულით და-

აყოლებს. — იცი რა ტოლმას აკეთებს?

საკანში ჩემსა და შოშიას გარდა კიდევ რვა კაცი ზის. საკეტის ჩხარუნი მესმის. საღამოა. ალბათ ზედამხედველია. შემოვა და ძილისპირულ სიას წაგვიკითხავს.

კი, ის არის... საკნის კარი მძიმედ გაიღო. კარებში ახალგაზრდა ზედამხედველი ჩადგა, პირველად ვხედავთ, ახალბედაა. სუყველანი ფეხზე წამოვდექით.

ზედამხედველმა თვლა დაგვიწყო: — ერთი, ორი, სამი, ოთხი, — თან გაფხეკილ ცერსა და საჩვენებელ თითს იქნევდა ჩვენსკენ რევოლვერივით, — ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა. — ისმოდა გასროლასავით. დათვლილი უნდა დამჯდარიყო, ზედამხედველს თვლაში ხელი რომ არ შეშლოდა, ჩვენც ნატყვიარებივით ვეშვებოდით და ფეხზე მხოლოდ ისინი იდგნენ, რომლებსაც ტყვია ელოდათ, — ცხრა, ათი! — ყველანი ვიჯექით.

— მამასახლისი რომელია? — იკითხა ზედამხედველმა.

— მე გახლავართ! — ამბობს უსაშველო მეგრული აქცენტით ერთ-ერთი და ფეხზე დგება.

— გვარი!

— გოგოლი! — ზედამხედველმა ირიბად გამოხედა პატიმარს.

— სახელი!

— ჭიჭიკო!

— გვარი! — გაუმეორა კითხვა ზედამხედველმა.

— ხომ მოგახსენეთ, უფროსო, გოგოლი-თქვა — უპასუხა ჭიჭიკომ. ზედამხედველს სისხლი მოაწვა თვალებში.

— კარცერში ამოგალპობ! — იბღავლა უცებ მან.

— ახალია! — თქვა ვიღაცამ.

— ფეხებს ვერ მომჭამ ძირში, პატივცემულო, ნამდვილად გოგოლი გახლავარ მე და იმიტომ! — დაუმატა მშვიდად ჭიჭიკომ და დაჯდა. ზედამხედველმა პატიმრების სიას ჩახედა და გაკვირვებული დააშტერდა ჭიჭიკოს, მერე უხერხულად შეიშმუშნა და სიის კითხვა დაიწყო:

1. — დევდარიანი!

— აქა ვარ!

2. — ნაკაშიძე!

— მე გახლავართ! — ვუთხარი, რადგან ძალიან წინ ვიდექი.

3. — გულოიან!

— მეც აქა ვარ!

4. — გოგოლი! — ჭიჭიკომ არც ხმა ამოიღო, არც ადგა.

— გოგოლი! — გაიმეორა ზედამხედველმა.

— არ ვარ, ბატონო, გოგოლი, პუშკინი ვარ მე, ტოლსტოი ვარ, ილია ჭავჭავაძე ვარ, დუტუ მეგრელი ვარ და გრიბოედოვი ვარ! გაიგეთ ახლა ვინ ვარ? — წამოხტა ჭიჭიკო ფეხზე. — არ ვარ მე გოგოლი. ამოშშალეთ მაგ დასაწვავი სიიდან და გამიშვით სახლში, ბიჭოს?!! — იკივლა ჭკუაზე გადასულმა გოგოლმა. საკანში ხარხარი ატყდა. ახალბედა ზედამხედველი ერთხანს გაოგნებული იდგა, მერე თვითონაც გაეცინა.

— საიდან ხარ? — ჰკითხა გოგოლს.

— ნახარებაოდან ვარ, დაიწვა იქაურობა, ორასი წლის წინ ბაბუაჩემის ბაბუა ჩამოსულა და გამეგრელებულა, თვითონ რა ენაღვლება მაგას, წევს ახლა დადიანივით არხეინად საფლავში, მე კი სულს მხდიან აქ მაგის გვარის გულისთვის. ერთი ღერი რუსული ვიცოდე მაინც, ან უკრაინული... თუ მელირსა აქედან გასვლა, სახლში მისვლამდე სასაფლაოზე უნდა გავუარო იმ ბაბუაჩემის ბაბუას და უნდა მოვთხარო მაგი, ძვალი თუ დამხვდა მაინც!— ჭიჭიკო ძლივს დავაწყნარეთ, ზედამხედველმა სიის კითხვა განაგრძო:

5. — ჭეიშვილი!

— ვარ, ბატონო!

6. — მოშიაშვილი!

— შენი მტერი მოიქცა ისე, მე რომ ვარ, დაგენაცვლე!

7. მებურიშვილი!

— აქ ვარ!

— 8. გამცემლიძე!

— გახლავართ!

9. სალარიძე!

— არის!

10. — მოგოლაძე!

— ჯერ არ დაუჭერიათ! თქვა ვიღაცამ.

— სოგოლაძე! — გაასწორა ზედამხედველმა.

— არც ეგ!

— ჩოგოლაძე! — ხმამაღლა თქვა ზედამხედველმა და თვალები გადმოქაჩა.

— ეგ მეზობელ კამერაშია. — ცერით აჩვენა გულოიანმა.

— მაშ ამ სიაში რა უნდა? — იკითხა ზედამხედველმა.

— მე რა ვიცი! გაუკვირდა ტიგრანას.

— თქვენ შემთხვევით გოგოლაძეს ხომ არ ეძებთ, ბატონო? — ჰკითხა შოშიამ იმდენად ზრდილობიანად, რომ ზედამხედველს ცოტა არ იყოს, ეჭვი შეეპარა თავის ღირსებებში, მაგრამ ხმა არ ამოუღია, სიას ჩახედა დაჟინებით, მერე თავი დააკანტურა.

— ჰო, გოგოლაძე!

— ასეთ შემთხვევაში მე გახლავართ! — ფეხზე წამოდგა შოშია. ზედამხედველმა ერთხელ კიდევ შეგვავლო თვალი, საქაღალდე დახურა და გოგოლს მიუბრუნდა:

— გოგოლო რამე პრეტენზიები ხომ არა აქვს მეხუთე-მეათეს? — მეხუთე-მეათე, მეხუთე სართულსა და მეათე საკანს ნიშნავს, სართულების თვლა კი სარდაფიდან იწყება.

— წერილობით მოგართვათ პატივცემულო, თუ ზეპირად? — ჰკითხა ჭიჭიკომ.

— აქვე მითხარით! — წარბშეკვრით თქვა ზედამხედველმა და საქაღალდე კვლავ გაშალა და ალბათ პრეტენზიების ჩასაწერად. გოგოლმა ღიმილით გადმოგვხედა, მერე გამცემლიძეს მიუბრუნდა:

— გამცემლიძე დაიწყებს მგონი! — თქვა ისევ ღიმილით. გამცემლიძემ სათვალე გაისწორა და დაიწყო:

— მოგეხსენება, ჩვენ ჩვეულებრივი პატიმრები არ გახლავართ...

— აბა როგორი ხართ? — გაუკვირდა ზედამხედველს.

— გვაცადეთ, ბატონო, როდესაც თქვენ სიას კითხულობდით, ჩვენ ხომ არ გიშლიდით ხელს! — ხელის აწევით გააჩერა იგი გამცემლიძემ. ზედამხედველმა გაკვირვებისაგან ახლა პირი დააღო. გამცემლიძემ განაგრძო:

— ჩვენი საქმე, ასე ვთქვათ, ამ ეტაპზე მხოლოდ ძიებაშია და ამან უნდა განსაზღვროს ჩვენდამი, როგორც არაოფიციალურ ანუ ნახევრადთავისუფალ, ესე იგი, წინასწარ, დროებით, პატიმრობაში აყვანილი მოქალაქეებისადმი მოპყრობის ამპლიტუდა, იგი ისე უნდა მერყეობდეს აღვირახსნილობასა და სათნოებას შორის, რომ ციხეში ყოფნა, იმ დროით, რა დროსაც ითვალისწინებს გამოძიების ტექნოლოგიის სტრუქტურა, ასატანი გახდეს, რადგან ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური და მორალური შესაძლებლობანი...

— გოგოლო, რა უნდა მაგას? — იკითხა ზედამხედველმა, წერა შეწყვიტა და ქვედა ყბა აუტოკდა.

— მაგას, მე რომ ვატყობ ისე, ოცდაოთხდღიანი საგზური უნდა მგონი ლებარდეში.

— უფასოდ? ჰკითხა ზედამხედველმა.

— უფასოდ. — გაუცინა ჭიჭიკომ.

— უთხარი დაჯდეს, სანამ ჭკუაზე ვარ!

— მე მაშინ დავჯდები, გეთაყვათ. როდესაც ამიხსნიან, რატომ არ მოაქვთ, მიუხედავად ჩემი დაჟინებული თხოვნისა, ჩერნიშევსკის თხზულებათა VII ტომი. — გააპროტესტა გამცემლიძემ ზედამხედველის წინადადება.

— ვინც შენ დაგიჭირა, იმის დედა ვატირე! — თქვა ტიგრანა გულოიანმა.

— დაბრძანდი, ჩერნიშევსკი! — უთხრა გოგოლმა. — შენ დაიწყე, ჭეიშვილი! — მიუბრუნდა გოგოლი ჭეიშვილს. იგი ფეხზე წამოდგა.

— ჯერ ჩემი პირადი პრეტენზიები

მოგახსენოთ და შემდეგ საერთოდ ჩვენი საკნის, თუ ერთად მიბრძანებთ — ჰკითხა მან ზედამხედველს. ზედამხედველი დაიბნა.

— მიდი, ერთად მიუშვი! შევაგულიანე მე.

— მაშინ ასე დავიწყოთ:

1. ბაღლინჯოები გვჭამენ!

2. ჩაის მაგივრად ცარიელ წყალს გვასმევენ!

3. საჭმლის მაგივრად სილოსს გვაჭმევენ!

4. ერთი ბრიტვით ათ კაცს გვპარსავენ!

5. არ გვაძლევენ პერიოდულ პრესას!

6. არ შემოაქვთ პოლიტიკური ლიტერატურა!

7. პირადად მე პური არ მყოფნის!

— ამინისტიას უგვიანებენ!

— ექსკურსიაზე არ დაყავთ!

— პატარა ჯამაგირი აქვს!

— ფეხსაცმელი უჭერს!

— და ცოლი ჰყავს ბოზი! — გააგრძელა დევდარიანმა.

— ვისი საქმეა რას აკეთებს ჩემი ცოლი? — ვერ გაუბედა შეკამათება დევდარიანს და ისე, ზოგადად იკითხა ჭეიშვილმა.

— ტიგრან, ჰკითხე ერთი, მაშ რაღ არ უხდის ცოლს ალიმენტს? — არ იკადრა თავის მხრივ ჭეიშვილთან გაბაასება დევდარიანმა და ტიგრანას პირით შეუთვალა შეკითხვა.

— რატომ შენ ალიმენტს არ იხდი? — ჰკითხა ტიგრანამ.

— იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ბავშვების დაბადება არ ემთხვევა ჩემს მიერ ჩატარებულ აქტს, მერეც, მეორე, არც ერთი არ მგავს, — გაიმართლა თავი ჭეიშვილმა.

— ტიგრან, უთხარი შაგ ტუტუცს, თუ გასვლა ეღირსა, სამჯერ ჩოქვით შემოუაროს სვეტიცხოველს და ღმერთს მადლობა შესწიროს, რომ ბავშვები არ ჰგვანან!

— გესმის? — უთხრა ტიგრანამ ჭეიშვილს, — აქედან თუ გახვალ, დაიჩოქე და სამჯერ ჩოქვით შემოუარე სიონს...

— სიონს კი არა, სვეტიცხოველს.

— სულ ერთი არ არი, ლიმონჯან?

— სულ ერთი როგორ არი, ბიჭო, სიონი თბილისშია, სვეტიცხოველი — მცხეთაში.

— მერე რა?

— როგორ თუ მერე რა?! მცხეთაში მატარებელი ფული ღირს, ეგ ფულის გადამხდელია, შვილებს ალიმენტს არ უხდის?

საკანში საშინელი ხარხარი ატყდა. ზედამხედველი მიხვდა, რომ მასხრად აიგდეს, სასწრაფოდ დახურა საქაღალდე, გარეთ გავარდა და კარი გაიჯახუნა. ჩვენ სიცილს განვაგრძობდით, რომ უცებ კარზე ამოჭრილი ამანათების დარაბა გაიღო და შიგ ზედამხედველის გაჭარხლებული სახე გამოჩნდა.

— ხვალ სასეირნოდ არ წახვალთ! — თქვა თავმა.

— სასეირნოდ, თორემ, დედითქვენისამ, თქვენც გოლოვინის პროსპექტზე გვასეირნებთ! — შეუკურთხა ტიგრან გულოიანმა. დარაბა სასწრაფოდ დაიხურა.

შვიდი ნეტარი და სამი ზნედაცემული ანგელოზი

ერთი ამბავი შემემთხვა ბავშვობაში, რომელმაც ისე შეაძრწუნა მაშინ ჩემი სული და ისე ძლიერი იყო მაშინდელი შთაბეჭდილება, რომ მის გახსენებაზე ახლაც მდუღარედასხმულივით მეწვის და მეკუმშება გული

ზუსტად არ მახსოვს, რამდენი წლისა ვიყავი. დედამ ზოოპარკში წამიყვანა: ჯერ პონის ეტლით მასეირნა, შემდეგ მაიმუნებთან შემიყვანა. პატარა მაკაკ რომ მივუახლოვდით, ლიმილით მითხრა — ნახე, როგორ გგავსო. — მე უზო-

მოდ გამიხარდა და რაც კამფეტები მქონდა, სულ იმ პატარა მაკაკას ვაჩუქე. დათვებთან იმდენი ბავშვები ირეოდნენ, ვერაფერი დავინახე. მაშინ დედამ ხელში ამიყვანა. დათვები რომ დავინახე, რატომღაც ვიფიქრე: დათვები უფრო გვანან ადამიანებს, ვიდრე მაიმუნებს-მეთქი. ალბათ იმიტომ, რომ ორ ფეხზე იდგნენ, კუდები არ ჰქონდათ და ლიმონათს ბოთლიდან ზუსტად ისე სვამდნენ, როგორც ჩვენი სახლის წინ ხელზე თითებწაჭრილი მათხოვარი. შემდეგ მე დიდხანს ვეჯიბრებოდი ყანჩას ცალ ფეხზე დგომაში და, რა თქმა უნდა, ყანჩამ მაჯობა. ყველაზე დიდხანს მაინც ჯიხვებთან ვიდექით. ერთი ჯიხვი ხელოვნურად აშენებულ ციცაბო კლდის ქიმზე იდგა ქანდაკივით. დედამ თქვა ცოცხალიაო, მაგრამ მე არ დავიჯერე, რადგან, ვიდრე იქ ვიდექით, ჯიხვს თვალი არ დაუხამხამებია. როდესაც გამოვბრუნდით, მე ხელიდან გავუსხლტი დედას და ისევ საჯიხვესაკენ გავიქეცი.

— ეჰეჰეჰე! — შევუძახე ჯიხვს. ჯიხვი არ განძრეულა, მაშინ დავიხარე, მიწიდან ქვა ავიღე და ჯიხვს ვესროლე. სულ ახლოს დაეცა ქვა ჯიხვთან და წკრიალითა და ხტუნვა-ხტუნვით ქვევით დაგორდა, მაგრამ ჯიხვი მაინც არ განძრეულა, იგი განაგრძობდა ქანდაკივით დგომას და ნისლიანი კავკასიონისაკენ ჰქონდა მიპყრობილი გაშტერებული მზერა.

— რა ქენი? — მკითხა დედამ, რომ მივბრუნდი.

— ქვა ვესროლე, დედა, და მაინც არ ინძრევა. რატომ დედა?

— ფიქრობს, შვილო, — ამიხსნა დედამ და წამიყვანა.

დედა მალიმალ იხედებოდა საათზე და მაჩქარებდა, — მალე, მალე, თორე ათ წუთში დახურავენო. — მე არ ვიცოდი რა უნდა დაეხურათ ათ წუთში და ფეხაჩქარებულ დედას სირბილით მივსდევდი. ჩვენ ერთსართულიან შენობას მივადექით, ზამბარიანი კარი მოხურული იყო, დედა კარს მიაწვა მარცხენა ხელით, წინ გამატარა და... ჩვენ უცებ ვეება დარბაზში აღმოვჩნდით, რომელიც გარშემო რკინის გალიებით იყო გაწყობილი. საშინელი შმორისა და მძორის სუნი მეცა, სუნთქვა შემეკრა და უნებლიედ ცხვირ-პირზე ხელი ავიფარე. ასე დავუწყე თვალიერება დარბაზს, ვცდილობდი არ მესუნთქა. საფეთქლები დამებერა და სისხლი თვალებში მომაწვა. დედამ თავისი სუნამოიანი ცხვირსახოცი მომცა და ცოტათი მოვითქვი სული. დღემდე აუწერელ სამყაროში მოვხვდი. პირველად ვხედავდი ცოცხალ ლომებს, ვეფხვებს, ჯიქებს, პანტერებს, ავაზებს, ფოცხვერებს, ფაფარში ჩაძირული მამალი ლომები იწვნენ და ზანტად გვაყოლებდნენ თვალს მე და დედას, ვეფხვები ზანტად დადიოდნენ გალიის გასწვრივ, სადღაც თვალის კუნჭულიდან გვიმზერდნენ ისე, თითქოს ვერ გვამჩნევდნენ. ავაზები და ფოცხვერები მოუსვენრად დაძრწოდნენ და გისოსებს აწყდებოდნენ დროდადრო. ყველაზე ლამაზი შავი პანტერა იყო, მას ოდნავ შესამჩნევი ყვითელი ლაქები ჰქონდა და, წელში გაზნექილი, ძვალს ათამაშებდა.

ჩემსა და დედაჩემის გარდა, დარბაზში არავინ იყო. მე თანდათან რაღაც იდუმალი შიში მიპყრობდა. დარბაზის ბოლოში, ლურჯ, ბინძურ ხალათში გამოწყობილი მხეცების მომვლელი რუსი დედაკაცი ლომს გალიას უგვიდა, თან აუწერელი სიტყვებით ლანძღავდა უსუფთაობისა და ცუდი აღზრდისათვის. იმ წუთში ზოოპარკის ეს დარბაზი, დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, თავისი დიდებული ნაზირ-ვეზირებით, სპასალარებითა და ჰარამხანებით დატყვევებულ რომელიღაც ადრე ქვეყნისმპყრობელის ბანაკს ჰგავდა. ახლა ეს ძლეულები ცალ-ცალკე რკინის გალიებში იყვნენ გამომწყვდეულნი, ზოგი მათგანი ჯერ კიდევ ვერ შეგუებოდა ტყვეობას და გისოსების გაგლეჯას ლამობდა, ზოგი ღრმა ფიქრში წასულ, გაქცევის შორეულ გეგმას აწყობდა, ზოგი კიდევ უკვე შეგუებოდა თავის

ბედს და მორჩილად ელოდა განგებისაგან მისჯილ განაჩენს.

უცებ დარბაზი გაიტრუნა, მხეცებმა ყურები დალურსეს, სუნთქვა შეიკრეს და შეთქმულებივით აღმოსავლეთის კარს მიაჩერდნენ. ორთავე კარი ერთად გაიღო. ოთახში ნაჯახით აკაფული, სისხლიანი ლეშით დაზვინული ორი ურიკა შემოგრიალდა.

— უაااა! — დაიგრუხუნა უცებ დარბაზმა.

— აუუუუ! — აზანზარდნენ რკინის გალიები.

— უაااა! — აგრიალდა მთელი სამყარო.

— დედااااა! ავღრიალდი მე, და დედის კალთაში ჩავრგე თავი, რათა ცა და დედამიწა ზედ არ დამმხობოდა. მერე, გარკვევით აღარაფერი მახსოვს, მესმოდა მხოლოდ დედის მანუგეშებელი, ცრემლნარევი შეშინებული ხმა:

— ნუ გეშინია, შვილო, მოგიკვდე!, დედა! — და რუსი ქალის ლანძღვაგინება:

Ты, что, читать не умеешь, дура несчастная, висит ведь табличка на дверях, с часу до двух обеденный перерыв!!! Ану, быстро уводи мальчика, пока он не умер от страха!!!

— Уходим родная, уходим, простите ради бога, простите!

ბოდიშს უხდიდა რუსის ქალს შეშინებული დედა და გარეთ მიმათრევდა.

* * *

ზუსტად ასეთი გრძნობა დამებადა, როდესაც ზედამხედველმა მეათე საკნის კარი გააღო და შიგ შემიყვანა. პირველი, რამაც განმაცვიფრა, იყო სუნი, რომელიც საოცრად გავდა ზოოპარკისას. მეორე, მსგავსება ადამიანებისა იმ ცხოველებთან, რომლებიც მაშინ ვნახე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლა გალიაში მეც მათთან ერთად ვიყავი. მუხლებში სასუსტე ვიგრძენი, ზურგს უკან მიხურულ კარს მივეყრდენი, შემდეგ შეკრული ფუთა დავაგდე ცემენტის იატაკზე და ზედ ჩამოვჯექი. ისინი მუხლებზე ხელებდაყრდნობილნი ისხდნენ კედლებთან ჩამწკრივებულ ორსართულიან რკინის ნარეებზე, თავები მხრებში ჰქონდათ ჩაცვენილი — და მათი ფართოდ გახელილი თვალები უზომო ცნობისმოყვარეობით მიცქერდნენ. ალბათ უნდა ავდგე, ყველას მივესალმო და ხელი ჩამოვართვა. — გავიფიქრე მე, მაგრამ არც გამარჯობა მითქვამს, არც ავმდგარვარ.

—გარეთ კიდევ დარჩა ვინმე? — მომესმა უცებ და საკანში ჩუმი სიცილი გაისმა. მე ვერ მივხვდი, რას მეკითხებოდნენ, ამიტომ პასუხი არ გამიცია, ისე, ოდნავ გავიღიმე ზრდილობისათვის. საკანში ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა გვარი ხარ? მკითხა ისევ ვიღაცამ.

— ნაკაშიძე!

— სახელიც გექნება შენ!

— ზაზა!

— ქურდი ხარ? — მე გაკვირვებულმა გავიხედე იქითკენ, საიდანაც მეკითხებოდნენ, და მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ შეკითხვებს სულ ერთი და იგივე კაცი მაძლევდა, ამიტომ სხეულში უსიამო ჟრუანტელმა დამიარა, ეს პროცედურა ძალზე ჰგავდა დაკითხვას, და მაინც ვუპასუხე:

— არა, ქურდი არა ვარ! — იმ კაცმა ალბათ ხმაზე შემატყო რომ კითხვები არ მსიამოვნებდა.

— არ გეწყინოს, მე საკნის მამასახლისი ვარ და უნდა ვიცოდე, წესია ასეთი, ქურდი არ ხარ, ესე იგი, აბა, რაზე ხარ დაჭერილი? — მკითხა მაინც.

— მე... როგორ გითხრათ, რესტორან „მადაში“ კაცი მოკლეს და მე, მოკლედ მე და ჩემს ამხანაგს...

— ვიცი, მე მაგი, თქვენ არ მოგიკლავთ ის კაცი!.. — შემაწყვეტინა მან.

— თქვენ საიდან იცით? — გამიხარდა მე.

— როგორ თუ საიდან? აქ ყველა უდანაშაულოა და ნეტარი ანგელოსია მარტო ეს სამია ზნედაცემული ანგე-

ლოსი. — გაიცინა მან და სამ კაცზე მიმითითა. იმათაც თავის მხრივ გაიღიმეს.

— ამათი ზნედაცემულობა ისაა, გენაცვალე, რომ ესენი ამბობენ დამნაშავე ვართო. არ დადგომოდა მილიცია თავზე დანაშაულის დროს, კი ვიცი მე, როგორ იკისრებდნენ მაგენი დანაშაულს, მაგრამ რას იზამენ, ხელში დაუჭირეს ნაქურდალი, მაგრამ შენ ნუ გეშინია...

— არა, მე მართლა მართალი ვარ! — ავუხსენი მამასახლისს.

— აგაშენა ღმერთმა. მართალი კაცის დაჭერაა ძნელი და საინტერესო, აბა, დამნაშავის დაჭერას რა უნდა, დალოცვილო! — თქვა მან. საკანში ისევ სიცილი ატყდა.

— აქ დაწვები შენ, ჩემს გვერდით, მოდი, გეყოფა აწი პარაშასთან ჯდომა. — მითხრა მამასახლისმა, საკანი რომ დაწყნარდა. მე მივედი და ჩემი ფუთა მამასახლისის გვერდით ქვედა ნარზე დავაგდე.

— გამარჯობა შენი! — მითხრა მან და ხელი გამომიწოდა.

— გაგიმარჯოს! — ვუთხარი მე და რაც შემეძლო მაგრად ჩამოვართვი გამოწვდილი ხელი.

— ჭიჭიკო მქვია მე და გოგოლი ვარ გვარად, ოღონდ არ დამიწყო ახლა რატომ და რისთვის. ჭიჭიკო ვარ გოგოლი და გათავდა!..

მე უნდობლად შევხედე მამასახლისს.

— ვიცი, ვიცი, ჩვენ აქ ყველა გოგოლები, პუშკინები, ტოლსტოები და ნაპოლეონები ვართ! — ვუპასუხე მე და სიცილი ამივარდა. იცინოდა მთელი საკანი, იცინოდა ჭიჭიკო გოგოლი, იცინოდნენ გამომწყვდეული ანგელოსები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ის სამი ზნედაცემული ანგელოსიც იცინოდა.

* * *

შემდეგ მე ნელ-ნელა შევეჩვიე ციხეს, საკანს, პატიმრებს, ზედამხედველებს, კომენდანტებს, ექთანებს და მათ შორის ერთს, ნუნუს, განსაკუთრებით, რომელსაც ყოველდღე წამლები მოჰქონდა საკანში. შემოყოფდა კარის ჭრილში თავის პუდრმოყრილ, ლამაზ, აპრეხილ ცხვირს, უსაშველოდ წითელი პომადით მოთხუპნულ ტუჩებს, უზარმაზარ წამწამებს აფახულებდა, ოცდათორმეტივე, მარგალიტებივით ჩაკიჭკიჭებულ კბილებს გამოაჩენდა და ნარნარი ხმით იკითხავდა:

— ბოროტმოქმედებო, რამე ხომ არ გტკივათ? — და რომ გეთქვა ფეხში ეკალი მაქვსო, მაინც ლუმინალს დაგალევინებდა და წავიდოდა. წავიდოდა, მაგრამ ყოველი მისი მოსვლა გაზაფხულის მოსვლას გავდა. როგორც კი საკანში თავს შემოყოფდა, ათი პატიმარი ზვავივით მიაწყდებოდა კარს. მაშინ შეშინებული ნუნუ დარაბას სასწრაფოდ გაიხურავდა და როდესაც პატიმრები ცოტათი დაშოშმინდებოდნენ, კვლავ გახსნიდა დარაბას და მზესავით შემოანათებდა საკანში.

რა იცოდა ნუნუმ, რომ იგი ჰინდურ ღმერთ შივასავით მრავალსახოვანი იყო. იგი ამ საკანში მსხდომი ათი, ალერსს, სითბოს, სიხარულს, სქესს და საერთოდ ქალის სახიერებას დანატრულ და დამშეულ მამაკაცთათვის ზოგისათვის დედა იყო, ზოგისთვის და, ზოგისთვის შვილი, ზოგისთვის დეიდა, მამიდა, საყვარელი, მეგობარი, მოწყალების და და, უბრალოდ, დედაკაცი, ვნებისმომგვრელი, ხორცშესხმული ლამაზი დედაკაცი. რა ძნელიც არ უნდა იყოს ამის წარმოდგენა ,ეს მაინც ასე იყო, ამიტომ ყველას ეშინოდა ნუნუსადმი თავისი გრძნობის ხმამაღლა გამხელა და მისი წასვლის შემდეგ საკანი მდუმარებით მოცულ სასაფლაოს ემსგავსებოდა, რომელშიც ათი უწარწერო საფლავი იყო გაჭრილი და ათივეს თავისი გულამომჯდარი მოტირალი ჰყავდა.

* * *

რამდენი ხანია, გაზაფხული დადგა, რამდენი ხანია, მერცხლები მოფრინდ-

ნენ, მაგრამ ციხეს გაზაფხული არ ეკარება.

მერცხლები ციხეზე ბუდეს არ იშენებენ. არავინ იცის, რატომ. იქნებ იმიტომ, რომ მერცხალი ქრისტეს ქათამია და ვერ უძლებს ღვთის შვილთა ასეთი ყოფის ცქერას. იქნებ იმიტომ, რომ ციხეს შმორის, ბოროტების სუნი უდის, ან პატიმართა ფილტვებიდან ამოვარდნილი გახურებული და გადამწვარი ჰაერის ოხშივარზე ფრთები უჭკნებათ და სული ეხუთებათ. იქნებ იმიტომ, რომ ციხე კრაზანების ვეებერთელა, უცვილო და უთაფლო სკასავით ბზუის, გუგუნებს და მერცხლები შიშით ვერ ეკარებიან, ან იქნებ იმიტომ, რომ ციხე ადამიანთა მუდმივი სამყოფელი არ არის, ციხეში ადამიანები გამუდმებით მიდი-მოდიან და იცვლებიან იმიტომ, რომ ციხეს მუდმივი მოსახლე, ბინადარი არ ჰყავს, მერცხლებმა კი შეჩვევა იციან ერთ ადგილას მობინადრე ადამიანებთან, იმ ზომამდე, რომ სახეებსაც კი იმახსოვრებენ, ან იქნებ იმიტომ, რომ მზე ციხეში იშვიათად იხედება. ვინ იცის, ვინ იცის, ერთი კი, ცხადია, მერცხლები ციხეზე ბუდეს არ იშენებენ.

* * *

— დილა მშვიდობისა, ქურდებო! დილა მშვიდობისა, ყაჩაღებო! დილა მშვიდობისა, გათახსირებულებო, მკვლელებო, აფერისტებო, გარყვნილებო, მექრთამეებო, სპეკულიანტებო, გამფლანგველებო! დილა მშვიდობისა! ადექით, თქვენი სისხლი დავლიე! ადექით, თორემ გაკეთდა ქვეყანა, გაკეთდა... — ყივის ქანდარაზე მამალივით წამოსკუპებული შოშია. შოშიას გაღვიძებას ვინ დაასწრებს, შოშიას ადგომას ვინ დაასწრებს, შოშიას ღამეში ერთი საათი სძინავს, სიზმრებს კი ერთი წლისას ნახულობს, ფერად-ფერად სიზმრებს, სამოთხის სიზმრებს, ზღაპრის სიზმრებს, ლხინის სიზმრებს. შოშიამ სიზმარში დარდი არ იცის. რომ გაიღვიძებს, სიზმრიდან გამოყოლილი სიხარული აკაკანებს, მერე კი ნელ-ნელა შემოაწვება დარდი, შემოაწვება და მერე უნდა ნახოთ შოშიას ოხვრა დაკვნესა.

— ვაიმე, შვილებო, დურაქი მამა მოგიკვდეთ, რას ჭამთ, რას სვამთ, ვგდებულიყავი ჩემს ადგილზე, რა ჩემი საქმე იყო ასკილისა და მაყვლის წვენი, მაგრამ არ გაძღა დედათქვენის მუცელი, ახია, ახიი!

— კარგი რა, შოშია, შეინახე ეგ ბავშვების სურათები და ნუ მოთქვამ, ამ დილაადრიან, ჩვენც ხალხნი ვართ, ჩვენცა გვყავს ცოლ-შვილი, ცოტა შეგვიცოდე, რა? ძილი მაინც გვაცალე! — ეხვეწება შოშიას მებურიშვილი.

— ვირისთავო, ცოლ-შვილი თუ გყავს, რა გაძინებს, ამოდი ჩემთან და ერთად ვიტიროთ! — ეპატიჟება შოშია. მებურიშვილი უიმედოდ იქნევს ხელს და ბალიშს თავზე ზევიდან იდებს.

— დილა მშვიდობისა, ზაზა! — მეძახის შოშია.

— დილა მშვიდობისა, შოშია! — ვეუბნები და ლოგინზე ვჯდები, აზრი აღარ აქვს წოლას, სულ ერთია, აღარ დამაძინებს შოშია.

— ხომ არ გაგაღვიძე, ბიჭო?

— არა, შოშია!

— მითხარით, კაცო, ვინმეს რამე ხომ არ გაწყენინეთ? — გვეკითხება შეწუხებული შოშია.

— არა, შოშია, გენაცვალე, მიდი, გაიხარე!

შოშიამ ვის უნდა აწყენინოს, ან შოშიასაგან ვის რა უნდა ეწყინოს. შოშია ერთი უბედური კაცია, კოდექსის 94 მუხლით ზის, რაც ექვსიდან თხუთმეტ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, არავის არ ემდურის, ყველაფერს თავის თავს აბრალებს და სულს მიყიდის ეშმაკს, ოღონდ ციხიდან გავიდეს, თავის პატარა ბარტყებს ჩაეხუტოს, მერე, მერე კი...

— ახალ ცხოვრებას დავიწყებ, ზაზას ვენაცვალე, ახალ ცხოვრებას. ოღონდ აქედან გავიდე, ჯერ ცოლს გავაგდებ და

სირანას მოვიყვან ჩემს მეზობელს, ვახ, რა ტოლმას აკეთებს, გაგიჟდებით! მერე წვენებიდან გამოვალ, ავხიკავ ჩემს ბარტყებს, სირანას, სოფელში წავალ, სახლს ავაშენებ, ვაზს ჩავყრი!..

— სად ჩაყრი? — ეკითხება ტიგრანა.

— როგორ თუ სად, მიწაში! — უკვირს შოშიას.

— რომელ მიწაში, ყვავილების მიწაში? — ეკითხება ისევ ტიგრანა.

— როგორ თუ ყვავილების მიწაში, ჩემს მიწაში. — ისევ უკვირს შოშიას.

— შენ მიწა ვინ მოგცა?

— სახელმწიფომ.

— რომელმა სახელმწიფომ?

— ჩვენმა სახელმწიფომ.

— შენი რომელია, რომ დაგიჭირა და ერთ კვირაში თხუთმეტ წელიწადს მოგარჭობს? — ეკითხება ტიგრანა.

— ვახ, ეს ვინ არი! შენი ენა გახმეს, ეგოისტო, მოკვდი, ჩალპი ციხეში, მაშ აქ უნდა მოვკვდე? მაშ არაფერი შეიცვლება? მაშ ერთი პატარა ამინისტია არ იქნება, მაშ ტიგრანა გულოიანის ცქერაში უნდა ამომხდეს სული? ამ უსინდისო ტიგრანასი, რომელსაც ჩემთვის ერთი მტკაველი მიწა ენანება? ენა გაგიხმეს, ეგოისტო, შენ თვითონ ალპი ციხეში... — კივის შოშია.

— რატომ, შე ფურუნკულო, რას მწყევლი, მე რა, მიწათმოქმედების მინისტრი ვარ და განცხადებაზე რეზოლუციას არ გიდებ? მაგაზე, მაყუთს რომ ღუნავდი, მაშინ უნდა გეფიქრა! — დინჯად ეუბნება ტიგრანა.

— ნახეთ, ხალხო, ეს კაცის მკვლელი მე მეუბნება ფურუნკული ხარო! — ხელებს შლის შოშია და სასოწარკვეთილი გვიცქერს.

— ეს მე ვარ კაცის მკვლელი? — კითხულობს ტიგრანა და ფეხზე დგება.

— შენ რა, მეორე ენა ამოიდგი? დაჯექი! — ისე ეუბნება დევდარიანი ტიგრანას, მისკენ არც იყურება.

— ლიმონ, გენაცვალე, მე აქ ქურდი ვარ, თუ ვიღაც ნაბიჭვარი, ეგ ჰარიფი როგორ მელაპარაკება? — მორიდებით ეკითხება ტიგრანა დევდარიანს, დევდარიანის ზედმეტი სახელი ლიმონია.

— მერე, შენ აქ ქურდად ... ზეხარ, რომ ამ ჰარიფისათვის რამკები ამტვრიო? — ეკითხება ლიმონა.

— მერე, მე რა მკვლელი ვარ? — ამბობს ტიგრანა და ჯდება.

— მაშ თონეთში მეტყეევე მე მოვკალი? — ეკითხება შოშია.

— მეტყეევე იმიტომ მოვკალი, რომ გლეხებს შეშას არ აძლევდა. — თქვა ტიგრანამ.

საკანში ისეთი ხარხარი ატყდა, თვითონ ტიგრანასაც გაეცინა.

— ჰო, ბიჭო, არსენა მარაბდელი ხარ, სულ გლეხებზე ფიქრობ! — დაუდასტურა შოშიამ.

— მაგას მე რომ მეუბნები, გამომძიებელს უთხარი!

— იმასაც ეგრე ვეუბნები!

— მერე, გიჯერებს? — ჰკითხა შოშიამ.

— რომ მიჯერებდეს, ახლა შენთან, ჰარიფთან ვიჯდებოდი? — ეკითხება ტიგრანა.

— ხალხო, გინახამთ, კაცი ამაყობდეს ქურდი ვარო? ერთი გრამი სისხლი მაინც არა გაქვს, რომ გაწითლდე? — ღაღადებს შოშია.

— კარგი, რა, შოშია, მოისვენე, სულ შენს გამოა ხოლმე ჩხუბი! — ეხვეწება ლიმონა. შოშიას დიდი რიდი აქვს ლიმონასი და ჩუმდება, მერე ფანჯარაში იწყებს ცქერას.

— აჰა, მოვიდა!

— ვინ მოვიდა, შოშია? — ვეკითხები.

— ის ლოთი მოვიდა, ყოველ დილით რომ მოდის, ფული დაუდო დახლზე, უსხამს, უსხამს, აუვსე რა, შე უნამუსო, ვერ ხედავ ხელები რომ უკანკალებს? მიდი, მიდი, კიდე, ეგრე. აუვსო... ჰა, ჰა, რას შვება, რას შვება, ხალხო! გამაგიჟებს! გამიშვით რა, უნდა მოვკლა!.. — გვეხვეწება შოშია.

— რა იყო, შოშია?

— როგორ რა იყო, ნახე სულს უბე-

რავს ქაფს, ღმერთო, სამართალი არა გაქვს? ქაფს სულს უბერავს, მოიყუდა, მიდი, მიდი, ეგრე...

— რას შვება, შოშია, მორჩა?

— მორჩა, ზაზაჯან, მორჩა, ტუჩებიც კი არ შეიმშრალა ტურტლიანი სახელოთი? — კვნესის შოშია. — ვახ, ახლა გარეთა მქნა, ერთი კათხა ცივი ლუდი გადამაშვებია ამ ჟანგიან ყელში და მერე მომკლა!!!

— კიდევ რა გინდა, შოშია, ბარემ ინატრე, თუ ნატვრაა ნატვრა იყოს, — ეუბნება ლიმონა და ცალყბად იღიმება თავისთვის.

— მეტი არაფერი, აკი გითხარი, ერთი კათხა ლუდი და სიკვდილი!

— სულ ეგ არი?

— არა, კიდევ ჩიტი მინდა ვიყო, ზაზას ვენაცვალე, ჩიტი, სულ პატარა ჩიტი, ამ მესერში რომ გავძვრე და აიდა...

— მერე და, ჩიტი არა ხარ, შოშია, ადექი და გაფრინდი!

— ფრთები, ფრთები არა მაქვს, ზაზას შემოვევლე, ფრთები, პატარა, ლონიერი ფრთები...

— გექნება, შე კაცო!

— როდის, ზაზა, როდის?

— ამოგივა, შოშია, რა გაჩქარებს, ჯერ ბარტყი ხარ! — ეუბნება ტიგრანა.

— წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე, ტიგრან, აღარ ამომივა, და გაიხარე.

— ასეთი რა ნახე, შოშია?

სიზმრად ვნახეე საააითნოვაااااა,
მითხრა გეყო ტანჯვა გლოვااااა,
რაც დაჰკარგეეეე, ნუღარ ეძეეეე,
იმან უკვეე სხვა იპოვااااااა.

— მღერის შოშია.

— ეგ ეგრე არ არის, შოშია! მას ნუ სტირი, რაც დაჰკარგე, ის არ მოვა, აღარ მოვა. — უსწორებს ტიგრანა.

— მაგას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, საიათნოვა თავისას სტიროდა, მე ჩემსას ვსტირი! — ეუბნება შოშია და განაგრძნობს:

წუთისოფლის სტუმარი ვااااარ,
სხვა მიდის და მე კი ვრჩებიიიი.
პროკურორს თუ გადავურჩიიი,
სუდიას ვერ გაადუურჩებიიი.

— კაცო, შენით იგონებ სიტყვებს? — უკვირს ტიგრანას.

— ამას რა მოგონება უნდა, რაც ნაღდია, იმას ვმღერი! — ოხრავს შოშია:

პროკურორს თუ გადავურჩიიი,
სუდიას ვერ გადუურჩეებიიი.

შოშიას შაქარი ამოსდის პირიდან, შოშია შოშიაა, მაგრამ ბულბულივით მღერის. როდესაც შოშია მღერის, მთელი ციხე სუნთქვაშეკრული სდუმს მონუსხულივით. ვის, ვის, და შოშიას სიმღერისათვის კარცერში არ სვამენ. შოშია რომ მღერის, ტიგრანა გულოიანი გალახული ლეკვივით ტირის, შოშია თავისუფლებისათვის და სიმღერისათვის არის გაჩენილი, თავისი უჭკუობის გამო ციხეში კი ზის, აფსუს, შოშია!!!

კატიოსანი სიტყვა

საკნის კარი ხმაურით გაიღო. შიგ ზედამხედველი ჩადგა, ყველანი ფეხზე ავდექით.

— გამოდი, ნაკაშიძე, — თქვა მან.

— ბარგით? — ვკითხე მე.

— ბარგით არა, ავეჯით. გამოდი, დაკითხვაზე გეძახიან. — მე ზანტად გავედი.

— ფეხს ნუ ითრევ და ხელები უკან დაიწყვე! — მაფრთხილებს ზედამხედველი. ვასრულებ მის ბრძანებას. დერეფანი გავიარეთ, კიბეზე ჩავედით, ეზოში მივაბიჯებთ მე — წინ, ზედამხედველი — უკან. მოპირდაპირე შენობიდან პატიმარი გამოყავთ, ალბათ დაკითხვაზე ჰყავდათ.

— შებრუნდი კედლისაკენ და დადექი! — მიბრძანებს ზედამხედველი. სახით კედლისაკენ ვბრუნდები და ვდგები. ის პატიმარი და ზედამხედველი გვი-

ახლოვდებიან, ფეხის ხმაზე ვატყობ. აი, გაგვისწორდნენ.

— არსენ, გამარჯობა! — ეუბნება იმის ზედამხედველი ჩემსას.

— გაგიმარჯოს! — პასუხობს ჩემი.

— პაპიროსი არა გაქვს? — ეკითხება ის.

— პრიმა მაქვს, მოწევ? — ეკითხება ჩემი.

— პრიმას კი არა, დარიშხანს მოვწევ, ისეთ ხასიათზე ვარ! — ეუბნება ის და „პრიმას" ართმევს. — რას მიყურებ, გაიარე და კარებთან დადექი. — ეუბნება თავის პატიმარს. პატიმარი მიდის.

— ქურდია? — ეკითხება ჩემი.

— ჰო. შენი?

— ჩემი მკვლელია! — ეუბნება ჩემზე ჩემი ზედამხედველი. ის ზიზღით მიყურებს. მე ურუანტელი მივლის ტანში.

— რომ შეხედო, კაცს გავს, მკვლელის სიფათი სულ არა აქვს, არა და, შეგხვდება ასეთი ქუჩაში და მიხვდი ვინ არის. — ამბობს თავისთვის ის.

— რა მოგივიდა, რაზე ხარ ცუდ ხასიათზე? — ეკითხება ჩემი.

— ბავშვი მყავს მძიმედ ეს ერთი კვირაა, ექიმმა ისეთი წამალი გამომიწერა, ვერსად ვერ ვიშოვე.

— ვერც ებრაელებში?

— სადღაა ებრაელები?! — ამოიოხრა იმან.

— რა წამალია! — ჰკითხა ჩემმა. იმან ხაკის ხალათის გულის ჯიბე გაიხსნა, ქაღალდის პატარა ნაგლეჯი ამოიღო და მარცვალ-მარცვალ წაიკითხა:

— კორ-და-რო-ნი. გაგიგია?

— არ გამიგია! — უპასუხა ჩემმა.

— კარგად იყავი!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — დალოცა ჩემმა და წავედით. ეზო გავიარეთ, მოპირდაპირე შენობაში შევედით. მეორე სართულზე ავედით და №36 ოთახთან დავდექით. ზედამხედველმა კარი ოდნავ შეაღო და ოთახში თავი შეჰყო.

— სადღაც გასულა, შემოდი, დაველოდოთ. ახლავე მოვა. — თვითონ გამომძიებლის სკამზე დაჯდა, მე პირდაპირ დავუჯექი. მაგიდაზე ჩემი და როსტომ ამილახვრის საქმე იდო. ზედამხედველმა სხვათა შორის გადაშალა, ერთ ხანს უყურა თავფურცელს, მერე ისევ დახურა და შემხედა.

— მაინც რას უშვება ღვინო კაცს, — თქვა მან და დაფიქრდა. ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო, — ღუპავს, ნამდვილად ღუპავს, აი, მე ერთხელ, სოლოლაკში... — მერე ალბათ გაახსენდა, რომ პატიმარს ელაპარაკებოდა და გაჩერდა.

— შენ მოჰკალი? — მკითხა უცებ.

— არც მე, არც ჩემს ამხანაგს! — ვუპასუხე და სიგარეტი ამოვიღე.

— მაშ თავი მოიკლა? — მკითხა ისევ ზედამხედველმა და გაიღიმა.

— ხალხი არა ხართ? რატომ არ გჯერათ, მოვიდა მთვრალი ჩვენს სუფრაზე, რაღაცეები იბოდიალა, მერე აიღო და თავის ძმაკაცებს გაბრაზებულმა ბოთლი ესროლა! — წამოვდექი მე ფეხზე.

— თქვენი სუფრიდან?

— ჰო!

— გაბრაზებულმა?

— ჰო, გაბრაზებულმა!

— ბოთლი ესროლა, არა?

— დიახ, ბოთლი ესროლა, — ვუპასუხე მე და წყლით სავსე გრაფინს გავხედე. ზედამხედველმა გრაფინს ყელში ხელი მოჰკიდა და თავისაკენ მიიჩოჩა.

— თავის მაგიდაზე ბოთლი ვერ იშოვა, არა?

— ჰო, ვერ იშოვა! — გავაბრაზე მე.

— აბა, ერთი, ეგ სკამი მომაწოდე, რომელზეც ზიხარ. — მთხოვა მან.

— როგორ მოგაწოდო, როცა დაჭედებულია იატაკზე. — ვუპასუხე მე.

— აბა, თუ იცი, რატომ არის იატაკზე დაჭედებული? — მკითხა ზედამხედველმა.

— იმიტომ, რომ პატიმარმა შენისთანა გამომძიებელს თავში არ ჩათხლიშოს. — ვუპასუხე. ზედამხედველს გაეცინა.

— მე კი პირიქით მგონია. — მითხრა მან. ახლა მე გამეცინა.

— რატომ არ გჯერა, რომ არ მომიკლავს? — ვკითხე.

— როგორ არა მჯერა, ძალიანაც მჯერა, მაგრამ რომ ვერ ამტკიცებ?

— დავამტკიცებ!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

— შაინც არა გჯერა.

— რომ გიყურებ, ერთის მხრივ, მჯერა, იმიტომ, რომ მკვლელს არ გავხარ, კარგი ბიჭის სახე გაქვს, მეორეს მხრივ, მოკლული რომ გამახსენდება... აი, შემომაკვდაო, რომ გეთქვა, მაშინ დავიჯერებდი.

— შემომაკვდა რას ჰქვია! — გამიკვირდა მე.

— აი, უბრალოდ, ქართველებს ერთი უცნაური გამოთქმა გვაქვს: შემომაკვდა, შემომელახა, შემომეჭამა, შემომატყდა, შემომეხარჯა, შემომეფცქვნა, შემომეუპატიურა და ასე შემდეგ, ესე იგი, იმდენი ქნა, თავი შემომაკლაო, ეგრე არ არი? მე მოვკალიო, კი არ ვამბობთ. მოკლულს ვაბრალებთ, რომ მოვკალი, იმის ბრალიაო. ამის მოფიქრება არ გინდა? — ოთახში გამომძიებელი შემოვიდა. ზედამხედველი და მე ფეხზე წამოვდექით.

— აი, უფროსო, მოვიყვანე! — უპატაკა გამომძიებელს.

— კარგი, გარეთ დამელოდე, დაგიძახებ! — უთხრა გამომძიებელმა და დაჯდა. ზედამხედველი გავიდა. მერე უცებ შემობრუნდა:

— ბოდიში, უფროსო, პატიმრის სიგარეტი გამყვა, — თქვა მან, ჯიბიდან „პრიმა“ და ასანთი ამოიღო, წინ დამიწყო მაგიდაზე და გავიდა. უცებ რაღაც თბილი ჩამეღვარა სხეულში და ჩემდა უნებურად თვალები დამილბა.

გამომძიებელი გაგუა, რომელიც ახლა ჩემს წინ ზის, დაპატიმრების პირველი დღიდან იძიებს ჩემსა და როსტომის საქმეს. მან ფაქტიურად დაამთავრა ძიება, საბრალდებულო დასკვნაც მოტანილი აქვს, რომ ხელი მოვუწერო და საქმე საძიებლად პროკურატურას გადასცეს, მაგრამ არც მე და არც როსტომი ხელს არ ვაწერთ საბრალდებულო დასკვნას. ამ ამბავს დიდი ხნის წინ მიაფურთხებდა გაგუა, მაგრამ ერთი, მისი აზრით, ფორმალური გარემოება უშლის ხელს, კერძოდ ის, რომ არ ჰყავს დაკითხული აკაკი-კაკო-კაკი, კაცი, რომელიც ჩვენს სუფრასთან მოვიდა და ვის გამოც ჩხუბი ატყდა. ის კი როსტომის უძლიერესი დარტყმის შემდეგ აგერ უკვე ორი თვეა ყბადამსხვრეული უძრავად წევს ტვინის მძიმე შერყევით, ქალაქის საავადმყოფოში და, პირს კი არა, თვალებს ძლივს ახელს.

ორი თვეა, შაბათისა და კვირის გამოკლებით, ხან ყოველდღე, ხან დღეგამოშვებით მოდის და ერთ და იგივე შეკითხვებს მაძლევს. აი ახლაც ზის ჩემს წინ და მე ზეპირად ვიცი, რას გააკეთებს, საით გაიხედავს, რას მეტყვის, და ეს ყოველივე დღითიდღე გულისამრევი ხდება.

ახლა ის კიტელის ზედა ჯიბიდან სავარცხელს ამოიღებს — ამოიღო.

სინათლეზე გახედავს — გახედა.

ნახევრად გამელოტებულ თავს გადაივარცხნის — გადაივარცხნა.

სავარცხელს სულს შეუბერავს და ისევ ჯიბეში ჩაიდებს — ჩაიდო.

მხრებზე და მკერდზე ჩამოცვენილ ქერტლს ორთავე ხელით ჩამოიფერთხავს — ჩამოიფერთხა.

ადგება, ფანჯარას გააღებს — გააღო.

— მდა, — იტყვის — თქვა.

და ისევ დაჯდება — დაჯდა.

მერე კოტიტა თითებს მოღუნავს, თეთრად აჭრელებულ ფრჩხილებს დახედავს და გულგრილად მკითხავს:

— როდემდე ვიყოთ ასე, ნაკაშიძე? — აი მკითხა, მე არაფერი ვუპასუხე. თვალები ისე ახლოს აქვს ცხვირთან, ასე მგონია ცხვირიდან მიყურებს. ღმერთო, რამხელა თავი და რა ვიწრო შუბლი აქვს. ნეტა თუ იცის! გავიფიქრე მე.

— როდემდე ვიჯდეთ ასე მე და შენ,

ნაკაშიძე? — გაიმეორა კითხვა გაგუამ.

— ამხანაგო გაგუა!.. — დავიწყე მე.

— მე შენი ამხანაგი არ ვარ, მე ვარ მილიციის კაპიტანი ვიქტორ ადოლფის ძე გაგუა, გამომძიებელი. — გამისწორა მან და ისევ ფრჩხილებზე დაიხედა.

— მილიციის კაპიტანო ვიქტორ ადოლფის ძევ გაგუა, გამომძიებელო, მე მესმის თქვენი მძიმე მდგომარეობა, მაგრამ თქვენც ხომ უნდა შეხვიდეთ ჩემს გამოუვალ მდგომარეობაში?

— ნაკაშიძე, მე შენ არ გაბრალებ განზრახ მკვლელობას, შენ მთვრალ მდგომარეობაში ისროლე ბოთლი და მოჰკალი უდანაშაულო კაცი, ეს გარემოება შენს გამოუვალ მდგომარეობას ამსუბუქებს.

— მე შეღავათები არ მჭირდება, ბატონო გამომძიებელო, მე მოვითხოვ სიმართლის დადგენას.

— სიმართლე დადგენილია, რვა მოწმე თქვენ გადებთ ხელს, შენ და შენს ამხანაგს. მათი ჩვენებები შენ წაკითხული გაქვს...

— ბატონო გამომძიებელო, მეასეჯერ გეუბნებით, მე იმ ხალხს არაფერს არ ვერჩი, მათ სხვანაირი ჩვენების მოცემა არც შეეძლოთ. მათ ადგილზე მეც ისეთ ჩვენებას მივცემდი.

— მაშ რაღა გინდა?

— ჩემი ერთადერთი იმედი აკაკი ხარაბაძეა.

— დაზარალებული ხარაბაძე შენს და შენს მეგობარს ისე მოგიქცევიათ, ჯერ მისი დაკითხვა არ შეიძლება, ტვინის შერყევა აქვს.

— დავიცადოთ!

— დიდხანს მოგიწევს დაცდა, ნაკაშიძე. ესეც არ იყოს, ჩემთვის ხარაბაძის ჩვენებას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ახლა ის არის საინტერესო, თქვენ ორს შორის რომელია მკვლელი — შენ თუ ამილახვარი. თუმცა ჩემთვის არც მაგას აქვს მნიშვნელობა. სასამართლომდე თქვენ თვითონ მორიგდებით. მაგრამ თქვენ მშიშრები ხართ ორთავე, ლაჩრები, კაცი მოკალით და ახლა მომაკვდავ კაცს აბრალებთ!

— მე არავის არაფერს არ ვაბრალებ!

— გიმეორებთ, ჩემთვის სულ ერთია რომელ თქვენთაგანს დაადებს ხელს ხარაბაძე. სულ ერთია ისიც, რომლის ნასროლი ბოთლი მოხვდა გარდაცვლილს.

— ხარაბაძე ვერავის ვერ დაადებს ხელს, ბატონო გამომძიებელო, ბოთლები თვითონ ხარაბაძემ ისროლა.

— როგორ არ გრცხვენია, ნაკაშიძე, რამდენად ბრიყვი ხარ, როდესაც ამტკიცებ, რომ ხარაბაძე მოვიდა თქვენ სუფრაზე და იქიდან ესროლა თავის მეგობრებს ბოთლი, თუ სროლა უნდოდა, თავისსავე მაგიდაზე ვერ ისროდა? — მეკითხება გამომძიებელი.

— ისროდა! — ვუდასტურებ მე.

— ჰოდა, რაღას ჯიუტობ!

— ჩვენი სუფრიდანაც ხომ შეეძლო სროლა?

— არა, თქვენი სუფრიდან არ ისროდა. — უარყოფს გაგუა კატეგორიულად.

— რატომ არ ისროდა — ვეკითხები მე.

— ნაკაშიძე, წარმოიდგინე შენი თავი ჩემს ადგილზე და ისე მელაპარაკე! — მეუბნება გამომძიებელი.

— უნდა დაკითხოთ ხარაბაძე! — ჯიუტად ვეუბნები მე.

— ასე რომ მეჯიუტები, ესეც დანაშაულია, ნაკაშიძე!

— არავინ არ იცის რა უფრო დიდი დანაშაულია — იმ კაცის სიკვდილი თუ ჩემი უდანაშაულოდ დაპატიმრება.

— უდანაშაულოდ?

— დაკითხეთ ხარაბაძე და ნახავთ!

— ნაკაშიძე, რომ თქვას ამათმა მოკლესო, რას იზამ?

— თუ კაცია, არ უნდა თქვას.

— რომ თქვას?

— მაშინ, მაშინ... — მე ენა დამება.

რა მოხდება მაშინ? მაშინ დაღუპულები ვართ მეც და როსტომიც.

— რომ ვერ გაიხსენოს, რომ თქვას

არ მახსოვსო? — შემეკითხა გამომძიებელი და ფეხზე ადგა.

ღმერთო, მართლა რომ ვერ გაიხსენოს, მაშინ რა მეშველება!

— ნაკაშიძე, ხარაბაძე ძალიან მძიმედ არის, რომ მოკვდეს ხარაბაძე?

რაო, რა თქვა გამომძიებელმა? ხარაბაძე რომ მოკვდესო?!

არა, არა, ხარაბაძეს არა აქვს სიკვდილის ნება, დაგვღუპა ორი კაცი და ახლა უნდა მოკვდეს? არა, სიკვდილს რა უნდა, სიკვდილზე ადვილი რა არის, სიკვდილი რომ მინდოდეს, დღესვე მოვიკლავ თავს, აი, ფანჯარა ღიაა ფეხს დავკრავ რაფაზე, გათავდა და მორჩა. თუ კაცია, ახლა უნდა იცოცხლოს, მისი სიკვდილი ახლა უამრავი ხალხის სიკვდილს უდრის— ჩემს სიკვდილს, დედაჩემის სიკვდილს, როსტომის სიკვდილს, როსტომის დედის სიკვდილს.

— არა, ბატონო გამომძიებელო, ხარაბაძე არ უნდა მოკვდეს! — ვთქვი მე შეშინებულმა და ფეხზე წამოვდექი. — გესმით თქვენ, ხარაბაძეც რომ მოკვდეს, რა მოხდება?

— ნაკაშიძე, შენისთანა თავხედი პატიმარი ჯერ არ შემხვედრია. ეს საქმე ორი თვეა ალესილი ნაჯახივით მადევს კისერზე, მომიწერე ხელი საბრალდებულო დასკვნაზე და დავამთავროთ ბაზარი, სულ ერთია არაფერი არ გიშველის, მით უმეტეს, რომ ამილახვარი შენ გადებს ხელს.

— ტყუილია, არც ერთი სიტყვა არ მჯერა თქვენი, დამაპირისპირეთ ამილახვართან!

— სხვა რას ინატრებ, ბორჯომი ხომ არ გინდა პახმელიაზე?

— დამცინით, არა?

— ნაკაშიძე, ამ საქმეში ყველაფერი შენს წინააღმდეგ ლაპარაკობს. მაჩვენე ერთი კაცი, რომელიც შენს სასარგებლოდ ილაპარაკებს და დღესვე გაგიშვებ. — მითხრა გამომძიებელმა.

— მე, მე ვარ ასეთი კაცი!

— შენ ხარ? — გაკვირვებით შემხედა გამომძიებელმა.

— მე ვარ, მე!

— შენ, რომელსაც არც ერთი სიტყვა არ გჯერა ჩემი, მე როგორ უნდა დაგიჯერო, როგორ უნდა გენდო?!

— პატიოსან სიტყვაზე უნდა მენდო, მე სხვა მოწმე არ მყავს.

— პატიოსან სიტყვაზე. — გაიმეორა გამომძიებელმა. — სამართალი ისეთი რამეა, ნაკაშიძე, პატიოსან სიტყვაზე ძმას და მამას ვერ ვენდობი.

— მაშინ აღარც ძმა არსებობს, აღარც მამა, აღარც დედა, აღარც შუბლი და აღარც ძარღვი? — ვთქვი მე.

— შუბლს და ძარღვებს კოდექსი არ ითვალისწინებს. — ამიხსნა მან.

— მაშ, გარდა ამ მშრალი კოდექსისა, მორალური კოდექსი არ არსებობს? — ვკითხე გაგუას.

— ამ კოდექსს დიდი ზნეობისა და მორალის ადამიანები ქმნიდნენ, ასე რომ, ცოტ-ცოტა ყველაფერია შიგ გათვალისწინებული. — გამანათლა გაგუამ.

— დამაპირისპირეთ ამილახვართან! — ვთხოვე მე.

— არა! — მოკლედ მომიჭრა მან.

— მაშინ დედას შემახვედრეთ!

— არც დედას შეგახვედრებ, ძიება ჯერ არ დამთავრებულა, ნება არ მაქვს.

— მაშინ აღარ დამიძახოთ, ჩვენებას აღარ მოგცემთ! — დავემუქრე მე.

— შენი ნებაა! — მშვიდად მომიგო მან. მერე ღილაკს ხელი დააჭირა. ოთახში ზედამხედველი შემოვიდა.

— წაიყვანე! — უთხრა გამომძიებელმა. მე ავდექი. — ლაწირაკი ხარ შენ, ნაკაშიძე, უფლება რომ მქონდეს, ცხვირ-პირს დაგამტვრევდი! — ინატრა გამომძიებელმა.

— რას იზამ, ბატონო გამომძიებელო, უუფლებობა გვტანჯავს, თორემ უფლება რომ მქონდეს, მეც სიამოვნებით დაგამტვრევდით ცხვირ-პირს! — ვთქვი და გავედი.

ქართლის ცხოვრება

გიგლა მოშიაშვილი, მეორე რიგის ქვედა ნარზე რომ წევს, 25-26 წლის კაცია, გაგრის ფეხსაცმელების მაღაზიის გამყიდველი ყოფილა დაჭერამდე. უფაქტუროდ ლაქის ფეხსაცმლების გაყიდვას აბრალებენ, ისიც ზედმეტ ფასებში. გულკეთილი კაცია, ამანათი რომ მოსდის სახლიდან, ყველას აჭმევს, თვითონ კი არავის მიწოდებულს არ ჭამს, განსაკუთრებით ხორცს, არავის საქმეში არ ერევა. უთვისტომო, ტიტლიკანა, ნათესავებგაქუქული ბალღივით ზის თავისთვის, ერთი კინკილა სიმღერა იცის, არც ხმა აქვს, არც სმენა და მაინც დღე და ღამე ამ სიმღერას ღიღინებს:

ვენაცვალე საბურთალოს ბაზრის დუქნებს,
სავსე ურიებით არიან...
ორი ათასმანეთიან დრაპის პალტოს
ხუთას თუმანში ყიდიან.
ყიდიან, ყიდიან, ყიდიან,
უგალონში მიდიან.
ვენაცვალე საბურთალოს ბაზრის დუქნებს,
სავსე ურიებით არიან...

— ხალხო, ეგეთი უდარდელი კაცი გინახავთ? — გვეკითხება ქანდარიდან შოშია. — მთელი დღე ზის და მღერის, ან დაკითხვაზე დაუძახონ, ან პაემანზე... ეს ვინ ყოფილა!

— რა მაქვს, შოშიას დავენაცვლე, საღარდებელი, დღეს თუ ხვალ გამიშვებენ. — მშვიდად პასუხობს გიგლა და იღიმება.

— ბიჭო, შენისთანებს რომ გარეთ უშვებდნენ, მე ახლა ჩემს ცოლ-შვილში ვიქნებოდი. — ეუბნება შოშია.

— ჩემი ციხეში ჯდომა არ შეიძლება, შოშია, აი ,ნახე, დღეს თუ ხვალ დამიძახებენ — Мошиашвили, с вещами!

— ვითომ რატომ არ შეიძლება შენი ჯდომა ციხეში, დეპუტატი ხარ?

— ჰო, დეპუტატი ვარ! — იცინის გიგლა.

— მერე, რას გვიმალავ, ხელერთ, ადი, აიღე შენი ბარგი და წადი...

— წავალ შოშია, წავალ, ცოტა აცალე, დალოცვილო, იმ ხალხს.

— რომელ ხალხს, გიგლა?

— ვინც გარეთ დარჩა, შოშია, ის ხალხი ჩემს წონა ოქროს დადებს და ციხეში დღეიდან დიდი-დიდი ერთი კვირა, მეტს არ გამაჩერებს. — თქვა მოშიაშვილმა და ისევ ღიღინი დაიწყო.

ვენაცვალე საბურთალოს ბაზრის დუქნებს,
სავსე ურიებით არიან...

— მოიცა, რა! — შეაწყვეტინა შოშიამ. — ნამუსი რა უყავი, სმენა შენ არ გაქვს, ხმა შენ არ გაქვს, მე თუ არ გეცოდები, ეს ხალხი მაინც შეიცოდე! — თქვა შოშიამ და ჩვენ გადმოგვხედა, ხომ მართალს ვეუბნებიო.

— გაუშვი, შოშია, თავისი ჭია გაახაროს, შენ რომ მღერი, ხომ არ გიშლით! — უთხრა ლიმონამ.

— ლიმონ, საყვარელო, მე სევდიან სიმღერებს ვმღერი, ეგ კი ძალიან საზეიმო რაღაცას მღერის, ჯერ ტექსტი ნახე:

ვენაცვალე საბურთალოს ბაზრის დუქნებს
სავსე ურიებით არიან!

მე და ტიგრანა ამ დროს ჭადრაკს ვთამაშობთ, ხმაური ხელს უშლის ტიგრანას თამაშში, ამიტომ ყურები თითებით აქვს დაცული და მაშინ თუ გამოიღებს ,როდესაც სვლას აპირებს.

— შახ! — ვეუბნები მე.

— შახ კი არა, ქიშ! — მისწორებს ქართულს ტიგრანა.

— ბოდიში, ქიშ! — ვასწორებ შეცდომას. ტიგრანამ დაფას დახედა, დიდხანს უყურა.

— რითი მეუბნები ქიშს? — მკითხა ბოლოს.

— ცხენით! — ვუპასუხე და ხელით ვანიშნე.

— ეგ ცხენი არ არი, მხედარია, — ისევ გამისწორა ტიგრანამ.

— სულელო, ეგ ცხენია, მხედარი ცხენზე რომ კაცი ზის, იმას ჰქვია. — ვეუბნები მე.

— ვაა! — გაუკვირდა ტიგრანას. მე ცხენი ავიღე და ცხვირთან მივუტანე.

— აბა, შეხედე, ზის ამ ცხენზე კაცი?

— არა! — მიპასუხა ტიგრანამ.

— ესე იგი, რა არის ეს? — ტიგრანამ ცხენი ჩამომართვა და თავის ადგილას დადო.

— ნაკაშიძე, ყველა გაზეთში სწერენ, რომ პეტროსიანმა ფიშერს მხედრით ქიში გამოუცხადაო, რატომ წერენ ასე?

— არ ვიცი! — ვუთხარი მე.

— თუ არ იცი, მოკეტე და როგორც წესია ისე მითხარი.

— მკვლელო გულოიან!.. — დავიწყე მე.

— მე მკვლელი არა ვარ! — ისევ გამისწორა ტიგრანამ.

— ადამიანის სიკვდილში ეჭვმიტანილო და ძიებაში მყოფო გულოიანო, აგრეთვე ადამიანის სიკვდილში ეჭვმიტანილო და ძიებაში მყოფო ნაკაშიძე, რომელიც ამჟამად თეთრებით თამაშობს, თავისი მხედრით ქიშს უცხადებს თქვენს შავ მეფეს.

— ეგრე, — თქვა კმაყოფილმა ტიგრანამ და დაფას დააკვირდა. — ეგ ქიში კი არა, მატია, ნაკაშიძე, — თქვა მან უცებ და გაკვირვებულმა ამომხედა.

— მატი კი არა, გულოიანო, შამათი! — გავუსწორე მე.

— ნუ მასწავლი, შენზე კარგად ვიცი! — მითხრა ტიგრანამ, ადგა და ჭარხალივით გაწითლებული თავის ნარზე წამოწვა, მეც იგივე გავაკეთე. ცოტა ხანს ვაცალე, სისხლი რომ დაუწყნარდა, ტკბილად დავუძახე:

— ტიგრან!

— აჯან! — მიპასუხა.

— თუ ძმა ხარ, რამე გადაიფარე, არ გაცივდე, და საერთოდ თავს გაუფრთხილდი.

— რაშია საქმე? — მკითხა გაკვირვებულმა ტიგრანამ და საწოლზე წამოჯდა.

— რას ამბობ, ბიჭო, შენ რომ მოკვდე, დედაენა დაგვეკარგება. — ვუთხარი ტიგრანას, საკანში ხარხარი ატყდა.

— უჰ, შენი, პურს არა ვჭამდე შენთან, მეტი არაფერი არ მინდა! — ინატრა ტიგრანამ, ისევ წამოწვა და, სიცილი რომ არ გაეგონა, თავზე ბალიში დაიდო.

მოშიაშვილისათვის სულ ერთია სახედარი ჰქვია ჭადრაკის ფიგურას, რაში, მერანი, ცხენი, ჯორი, ვირი თუ თოხარიკი. მოშიაშვილი ზის ფეხმორთხმული თავისი საწოლის კუთხეში და ღიღინებს:

ორი ათასმანეთიან დრაპის პალტოს
ხუთას თუმანში ყიდიან,
ყიდიან, ყიდიან, ყიდიან,
უგალონში მიდიან.

— ბიჭო გიგლა, ეგ სიმღერა ბოლომდე იცი? — ჰკითხა უცებ ლიმონამ.

— ბოლომდე ვიცი, ლიმონ, გენაცვალე! — უპასუხა გიგლამ მორჩილად.

— სულ ბოლომდე?

— სულ ბოლომდე, ლიმონს შემოვევლე, სულ ბოლომდე, ხომ არ გინდა სიტყვები ჩაგაწერინო?

— სიტყვები კი არა, ახლა გაჩუმდი, თორემ ამ პარაშაში თავით ჩაგაყუდებ. — უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა ლიმონამ.

— ესეც მე ვარ? — იკითხა გახარებულმა შოშიამ.

— რატომ უნდა გავჩუმდე, წელან თვითონ არ თქვი, გაუშვი, თავისი ჭია გაახაროსო, ჰოდა, მეც ვახარებ! — გაუძალიანდა მოშიაშვილი.

— შენ რაღაც ძალიან გრძელი ჭია გყავს, რომ გეუბნები, გაჩერდი! — გაუმეორა ლიმონამ.

— გაჩერდი რა, ხომ იცი, ციხე ქურდებისაა! — შეახსენა მოშიაშვილს მებურიშვილმა, სასაფლაოს ყოფილმა დირექტორმა, რომელსაც ლიმონამ ლაბრადორა შეარქვა.

— თქვენ მამასახლისი ბრძანდებით და მითხარით — მართლა ქურდებისაა ციხე, ბატონო ჭიჭიკო? — ჰკითხა გოგოლს მოშიაშვილმა.

— მაგათია, გიგლა ბატონო, და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ. — თქვა გოგოლმა.

— რა ვქნა, კაცო, გარეთ ობეხეესი არ მაყენებს, ციხეში — დევდარიანი, რა წყალში ჩავარდე, სად წავიდე? — თქვა გიგლამ სასოწარკვეთით.

— ისრაელში წადი, გიგლა, ისრაელში! — ურჩია ჭიჭიკო გოგოლმა. მანამდე საუბარი ნახევრად ლაზღანდარულ ტონში მიდიოდა, მაგრამ ყველასათვის გასაოცრად და მოულოდნელად მოშიაშვილს სახე მოებრიცა. წამოდგა ნარიდან, მივიდა და მხარ-თეძოზე წამოწოლილ ჭიჭიკო გოგოლს თავზე წაადგა.

— რა მითხარი? — ჰკითხა გაყინული ხმით, — გაიმეორე რა მითხარი!

ჭიჭიკო გოგოლმა მოულოდნელობისაგან პირი დააღო და თვალები გადმოკაკლა.

— გაიმეორე რა თქვი! — უთხრა ისევ მოშიაშვილმა.

— ეს შენ ხარ ნამდვილი მოშიაშვილი, მოშიაშვილო, თუ მეჩვენება? — ჰკითხა გოგოლმა.

— მე ვარ მოშიაშვილი და შენ გეუბნები ჭიჭიკო გოგოლს, გაიმეორე რაც წეღან თქვი! — გოგოლი გაფითრდა და ფეხზე წამოდგა. ახლა ისინი ერთმანეთის პირდაპირ ისე ახლოს იდგნენ, რომ, ალბათ, ერთმანეთს ვერც კი ხედავდნენ.

— მოშიაშვილო, მე კი გავიმეორებ მაგას, რაც ვთქვი, მაგრამ რად გინდა, შენ ვეღარ გაიგონებ და... — თქვა გოგოლმა, მოშიაშვილს საყელოში დაავლო ორთავე ხელი, მაღლა ასწურა, და ახლა ქვევიდან უყურებდა. მოშიაშვილს სახე წამოუწითლდა დაძაბულობისაგან, მაგრამ წარბი არ შეურხევია.

— ჭიჭიკო, დასვი ეგ კაცი. — თხოვა დევდარიანმა გოგოლს. გოგოლმა ხელი გაუშვა მოშიაშვილს, იგი იატაკზე დაეშვა.

— მოშიაშვილო, დაბრუნდი შენს ნარზე, — მოშიაშვილმა ხელი გაისწორა და თავის ნარზე დაბრუნდა. — რა გითხრა, ბიჭო, ისეთი, ისრაელში წადიო, რა მოხდა, მთელი ებრაელობა ისრაელში მიდის, სულ ორკესტრებით აცილებენ, შენ რა გეწყინა ასეთი? — სიცილით ჰკითხა დევდარიანმა.

— მე არ უნდა მითხრას ეგ! — თქვა ძალიან სერიოზულად მოშიაშვილმა.

— შენ რატომ, ბაგრატიონ-მუხრანსკი ხარ და არ გეკადრება ისრაელში წასვლა თუ რა? — ჰკითხა ქანდარიდან შოშიამ.

— მე ორი ძმა დავკარგე სამამულო ფრონტზე, ჩემი დედ-მამა აქ მარხია, ნავთლუღის ებრაელთა სასაფლაოზე.

— მით უმეტეს, ობოლი ყოფილხარ, სულ მთლად გაწყვეტილხართ, მე შენს ადგილზე დღესვე წავიდოდი იმ ისრაელში! — ურჩია ისევ ჭიჭიკო გოგოლმა. მოშიაშვილი ისე აენთო.

— შენ ვინ აგდიხარ, რომ მაგას მეუბნები, გუშინ თუ გუშინწინ მოთრეული ვიღაც გოგოლი! — იკივლა უცებ მოშიაშვილმა. — მეც, ჩემი ცოლიც, ჩემი შვილებიც, იმათი შვილებიც, შვილიშვილებიც, იმათი შვილიშვილებიც აქ უნდა დავიმარხოთ, აქ, გასაგებია, გოგოლო?

— მე ვარ გუშინ თუ გუშინწინ მოთრეული, ხომ? — იკითხა ირონიულად გოგოლმა. — მე, 250 წლის წინ სამეგრელოში ჩამოსული გოგოლი ვარ. მაგი იცი თუ არა შენ, ბატივით შტერო მოშიაშვილო, რომ ჩემს ძარღვებში ოთხმოცი პროცენტი ცისფერი ლაზური სისხლი სჩქეფს და რომ დედაჩემის ბებიის ბებია და კიდომ იმის ბებია მედეა იყო კოლხი! რომელს გაქვთ აქ ათი თავი, რომელი ადგებით და გამიბედავთ მაგას, რომ ასე არაა მაგი?! მეც, ჩემი ცოლიც, ჩემი შვილებიც და იმათი შვილებიც აქ უნდა დავიმარხოთ ყველა! —

ყვირილით დაამთავრა თავისი გამოსვლა გოგოლმა.

— გამოდის, რომ ეგ ჩვენი საქართველო თქვენი სასაფლაო ყოფილა?! — გაშალა ხელები უკმაყოფილო ტიგრან გულოიანმა.

— სწორედ შენ გვაკლდი, ტიგრან! — თქვა დევდარიანმა.

— ეგრე რატომ ამბობ, ლიმონჯან, მაგათი ბაბუის ბაბუები სად იყვნენ, მამაჩემი რომ ხოჯავანქზე ყომარს აგორებდა, თანაც მე დაჭერამდე დადეშქელიანის გვარით ვიმალებოდი. — დაასაბუთა თავისი ქართველობა ტიგრანამ.

— რაღა დადეშქელიანის გვარით იმალებოდი, პეტროსიანის გვარით ვერ დაიმალე?

გაეცინა დევდარიანს.

— რას ამბობ, ლიმონჯან, სად დადეშქელიანი, სად პეტროსიანი, თანაც ნახე როგორ სომხურად ყღერს დადეშქელიან! — გამოთქმით თქვა ტიგრანამ.

— არ დაჭამეს, ბიჭო, ერთმანეთი ქართველობისათვის ამ ებრაელმა, უკრაინელმა და სომეხმა? გაიგე ახლა რომელია მართალი. — თქვა მებურიშვილმა.

— სამივე მართალია! — თქვა თავისთვის ბატონმა ისიდორემ. საკანი მოლოდინში გაიტრუნა. ისიდორე დუმდა, მან ისიც საკმარისად მიიჩნია, რაც სთქვა, მაგრამ შოშია მოკლა ცნობისმოყვარეობამ.

— ძია ისიდორე, ან ამიხსენი როგორ შეიძლება სომეხი, ებრაელი და უკრაინელი ქართველები იყვნენ, ან მომკალი! — შეევედრა შოშია.

— აბა, გულოიანზე რა უნდა გითხრათ, — დაიწყო ღიმილით ბატონმა ისიდორემ, — წეღან თვითონ მოუსმინეთ, როგორ უსწორებდა ქართულ მეტყველებას ნაკაშიძეს, თანაც ჰაოსი და ქართლოსი რომ ძმებია, იმის გარდა რა საბუთები მოიყვანა? — ყველას გაეცინა.

— ჯიგარი ხარ, ძია ისიდორე! — მჯიღი დაირტყა გულზე ტიგრანამ.

— კარგი, ძია ისიდორე, ტიგრანა ჩვენია, ამათ რას უშვებით? — თქვა ქანდარიდან შოშიამ და ხელები გოგოლისა და მოშიაშვილისაკენ გაიშვირა. ძია ისიდორე ცოტა ხნით დაფიქრდა.

— ებრაელებს, — თქვა ბატონმა ისიდორემ, — ერთი ფრიად საინტერესო კანონი აქვთ, ამ კანონის ძალით ებრაელად ის ითვლება, ვისაც დედა ჰყავს ებრაელი.

— მამა? — იკითხა ტიგრანამ

— მამას არა აქვს მნიშვნელობა.

— როგორ თუ არა აქვს, მამა თუ ებრაელია და დედა ფრანგი? — იკითხა ახლა ჭეიშვილმა.

— ბავშვი ფრანგია, დედას ეკუთვნის, — მოკლედ მოუჭრა ისიდორემ.

— ეგ მე ძალიან მაწყობს, — თქვა ჭეიშვილმა, — ჩემი ცოლი წარმოშობით ფრანგია და რატომ უნდა ვუხადო მე, ვიღაც ფრანგებს ალიმენტი, მით უმეტეს, რომ ჩემი შვილები არ არიან, არც მგვანან და მათი დაბადების თარიღი არ ემთხვევა ჩემს მიერ ჩატარებულ აქტს. — გამოუტანა საკუთარ თავს ჭეიშვილმა გამამართლებელი განაჩენი.

— საღოლ, მაშინ აიღე, გაუცვალე მოშიაშვილს საბუთები და შენ წადი ისრაელში. — ურჩია ტიგრანამ.

— სიამოვნებით, თაღლითობაზე და სახელმწიფოს წმინდათა-წმინდა საკუთრების მითვისებისათვის რომ არ იყოს ექსპროპირებული! — დათანხმდა ჭეიშვილი.

— ექსპროპირებული მიძახე, ორ სამ დღეში რომ დამიძახებენ

— Мошиашвили, с вещами! ირონიულად დააქნია თავი გიგლამ.

— რატომ, კაცო რატომ შენ დაგიძახებენ და მე არა? რითი მჯობიხარ, რითი? — შენზე ნაკლები ქურდი ვარ, შენზე ნაკლები გამფლანგველი, შენზე ნაკლები ცოლ-შვილი მყავს, შენზე ნაკლებად მინდა სუფთა ჰაერზე გასვლა თუ რა? რითი მჯობიხარ? — ატირდა ისევ შოშია ქანდარაზე.

— იმით გჯობივარ, ჩემო შოშია, რომ

მე ფიზიკურად ძალიან სუსტი და ნაზი ვარ, ჩემი ორგანიზმი ვერ გაუძლებს ციხეში დიდხანს ჯდომას. კიდევ ერთი ორი დაკითხვა და შეიძლება ძალიან ბევრი ხალხი დავღუპო, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი სეკრეტები ვიცი.

— საიდუმლო! — გაუსწორა ტიგრანამ.

— ჰო, ძალიან ბევრი საიდუმლო ვიცი!

— მე რა, შენზე ნაკლები საიდუმლო ვიცი? — იკითხა შოშიამ.

— არა, შოშიას დავენაცვლე, ცოტა საიდუმლო როგორ იცი, პირიქით, რაც იცი, ისიც არ უნდა გცოდნოდა...

— ვითომ რატომ? — ეწყინა შოშიას.

— იმიტომ, რომ შენ რაც იცოდი, უკვე ყველაფერი თქვი, მე კი ჯერ არაფერი მითქვამს. და ვიდრე ვიტყოდე, ებრაელები ჩემ წინა ოქროს იშოვიან და სულ მალე გააღებს კარებს ზედამხედველი და რუსულად დამიძახებს, —

— Мошиашвили, с вещами!

— ვაიმე, შვილებო, იდიოტი მამათქვენი, რა მინდოდა წვენებში, რა ჩემი საქმეა ასკილისა და მაყვლის წვენი. მემუშავა ამასთან გაგრაში და მეყიდა ლაკის ტუფლები. მაგრამ არ გაძღა დედათქვენის მუცელი, ახია, ახი!.. — ისევ ატირდა შოშია.

— კარგი რა, შოშია, ამოხვედი ყელში შენი ცოლშვილიან-წვენებიანად. აცადე კაცს ლაპარაკი! — თქვა დევდარიანმა, შოშია მონუსხულივით დადუმდა. — მერე, ძია ისიდორე? — მიუბრუნდა ლიმონა ისიდორეს.

— მერე, არაფერი, დევდარიანო, იმის თქმა მინდოდა, თუ გოგოლზე ებრაელების კანონით ვიმსჯელებთ, ქართველია და მერე როგორი, ნამდვილი კოლხი. — თქვა ისიდორემ.

— მერე აქ ხომ ისრაელი არ არის, საქართველოა, — თქვა ჭეიშვილმა.

— არ არის, მაგრამ როდესაც საჭირო იყო, საქართველოშიც ხდებოდა ასე, მაგალითად, მეფე ლაშა თამარის ძე იყო, ხოლო რუსუდანი — თამარის ასული...

— ვაააა! — გაუკვირდა ტიგრანას.

— კარგი, ძია ისიდორე, დაგიჯერეთ, რომ გოგოლი ქართველია, — ამას რას უშვები? — იკითხა შოშიამ და ხელი მოშიაშვილისაკენ გაიშვირა.

— მაგას, ჩემო შოშია, ყველა ჩვენთაგანზე კარგად აქვს საქმე. — გაიღიმა ისიდორემ.

— ახლა არ მითხრა ბაგრატიონიაო! — გააფრთხილა შოშიამ.

— თუ გავიხსენე, უარესს გეტყვი! — თქვა ისიდორემ, თვალები მოხუჭა, ერთ ხანს იფიქრა, მერე დინჯად დაიწყო:

— მაშინ ნაბუგოდუნოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი. — ასე სწერია ქართლის ცხოვრებაში.

— ეგ ბევრს არაფერს არ ნიშნავს!

— ადამს აქათ სამიათას სამას სამოც წელს იყო ნაბუგოდუნოსორ. წერია იქვე. მერე, გენეტიკის აღმოჩენასთან დაკავშირებით, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამშობლოს სიყვარული, მშობლიური ტერიტორიის გრძნობა და მისდამი დამოკიდებულება ღია ინსტინქტია, რომელიც საუკუნეების მანძილზე მდიდრდება სულ ახალ-ახალი შეძენილი დამოკიდებულებებით და გენების საშუალებით გადაეცემა შთამომავლობას, მაშინ მოშიაშვილს, ყოველი ჩვენთაგანივით, შეიძლება ზოგიერთზე მეტი უფლებაც კი აქვს თქვას ქართველი ვარო, საქართველო მისი სამშობლოა უხსოვარი დროიდან, გასაგებია? — დაამთავრა ისიდორემ.

— ჯიგარი ხარ, ძია ისიდორე, ვერაფერი ვერ გავიგე, მაგრამ შენი მჯერა. ნაკაშიძე, მე რომ მაშაყირებ, ამ კაცს გაუფრთხილდით, მართლა არ დაგეკარგოთ დედაენა. — ისე სერიოზულად

მითხრა ტიგრანამ, რომ ძალაუნებურად ისიდორესკენ კრძალვით გავიხედე.

და უცებ მოხდა ისეთი სასწაული, რომლის მსგავსი კაცობრიობის გაჩენის დღიდან არც მოსეს, არც ქრისტეს, არც ერთ მის მოციქულს და არც ერთ სასწაულმოქმედს ერთად აღებულს არ ჩაუდენიათ...

საკნის კარი გაიღო, ლიანკარიანი ფეხებგაფშეკილი, უკან ხელებდაწყობილი ზედამხედველი ჩადგა და რუსულად გამოაცხადა:

Мошиашвили, с вещами!

წამიყვანე, მზეო!

შენ გეკითხები უსაშველოდ ნათელო, თბილო, მაცოცხლებელო და დაუშრეტელო, მზის სხივების პატარა კონავ, ნუთუ იმიტომ წამოხვედი ასეთი შორეთიდან, ნუთუ იმიტომ გაიარე ასეთი სისწრაფით. ჯერ ცა, მერე მთა, ველი, ნუთუ იმისათვის გაძვერი როგორც ნემსის ყუნწში, ციხის ალაყაფის ჭუჭრუტანაში და ჩემი საკნის დაჟანგულ გისოსში რომ მხოლოდ ხუთი წუთით დაგედო თავი ჩემი ბალიშის ყურზე, ოდნავ გაგეთბო ჩემი ცივი სხეული, მხოლოდ ერთხელ გადაგესვა შენი თბილი ხელი ჩემს სახეზე, მერე ამდგარიყავი, თან წაგეყვანა ჩემი სული და გონება, ხოლო სხეული, როგორც ბეჭდის ცარიელი ბუდე დაგეგდო რკინის ნარზე. ან იქნება ჩემი გონება თვითონ დაგეწაფა, როგორც ყინულების ნაპრალში ჩამოვარდნილ დალის ოქროს ნაწნავს, და გაგყვა შენდა უნებურად, შენთვის კი რაა ერთი, ასი, ათასი, ათი ათასი, ასი ათასი სულის ტარება, როცა მთელი სამყარო დედაშენის შარავანდედის გარშემო ბრუნავს და მისი ოქროს დალალის ბეწვზე ჰკიდია.

ან შემოდი და დარჩი, ან სულ ნუ შემოხვალ და საერთოდ ნუ გამოჩნდები, მზეო, თორემ ხარ კიდევაც და არცა ხარ, თუ არ ხარ, მარტო ჩემთვის არ ხარ, და თუ ხარ მეტი წილი, სხვისთვის ხარ, და ეს ჩემი წილი ისე მცირეა, რომ ხელში აღებას ვერ ვახერხებ, სადღაც თვალსა და ხელს შუა, თითებშუა მეპნევა და მეკარგება, ან ისე მწველია და გავარვარებული, ხელს ვერ ვკიდებ, როგორც თვალთა დასაშთობად გავარვარებულ შანთს.

შემიცოდე მზეო! — ასე გავსებ საყვედურებით ყოველ საღამოს, მაგრამ დილით მაინც გელოდები, რომ კვლავ გაგყვე, რადგან შენ ხარ ერთადერთი მეგზური, რომელსაც შეუძლია ჩემი აქედან ისე გაყვანა, რომ ვერც გუშაგმა ვერც ციხის უფროსმა, ვერც ზედამხედველმა და ვერც ჩემმა თანამესაკნეებმა შემამჩნიონ, მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია გააღო ციხის ცხრავე კარის ცხრაჯერ სამი ურდული, უხმაუროდ, შეუმჩნევლად და გამიყვანო. ოღონდ შენ არ შეგიძლია ჩემი სამუდამოდ წაყვანა, შენ შეგიძლია დამტოვო იქ, სადაც გთხოვ, ხოლო ჩასვლისას გამომიარო და კვლავ დამაბრუნო საკანში, რადგან ჩასვლის შემდეგ შენ ძალას კარგავ. და ეს ძალა შენ მხოლოდ ივლისში გაგაჩნია, რადგან ივლისის შემდეგ, შენ სხვის ფანჯარაში შედიხარ, სხვის ბალიშის ყურზე ისვენებ, სხვას ეკუთვნი და სხვა გაგყავს აქედან. მე ვიცი ეს და არ მწყინს, რადგან შენ მარტო ჩემთვის არ მოსულხარ ამ ქვეყნად, მე უბრალოდ გთხოვ, გემუდარები, ვიდრე ივლისია ნუ დამტოვებ, წამიყვანე ხოლმე, მზეო!

ხილვა პირველი

— გაიღვიძე ზაზა! — თვალს ვახელ, თავზე მზე მადგას და თბილ ხელს მისვამს ლოყაზე.

— გამარჯობა! — ვეუბნები და სიამოვნებისაგან ვინაზები.

— გაგიმარჯოს, გაიღვიძე, თორემ მივდივარ!

— კიდევ ხუთი წუთი! — ვემუდარები.

— მე არ შემიძლია კიდევ ხუთი წუთი ვიდგე ერთ ადგილას, ეგ ჩემზე არ არის დამოკიდებული გაიღვიძე და თუ გინდა წამომყევი, მე მივდივარ! — მაფრთხილებს მზე და ცალი ფეხი უკვე სარკმელში აქვს.

— დამიცადე, უჩემოდ არ წახვიდე! — ვეუბნები შეშინებული და მაჯაში ვავლებ ხელს.

— წავედით, ზაზა!

— წავედით მზეო!

ჩვენ გავძვერით გისოსში, გავიარეთ ადმინისტრაციის შენობის წითელი თუნუქის სახურავი, მარცხნივ შევუხვიეთ, მაღლა-მაღლა ავედით და მზეს ნარიყალას ციხესთან დამტოვა.

— საღამოს ჩემი ჩასვლისას აქ დამელოდე, ოღონდ დასავლეთის მხრიდან, — გამაფრთხილა და წავიდა დალოცვილი, ეჭვმიუტანელი, მსჯავრდაუდებელი, ნათელი, ცასავით მართალი, სწორუპოვარი და თავისუფალი.

წავიდა მზე.

* * *

ვეებერთელა საწერ მაგიდას ვუზივარ და დილის ფოსტას ვათვალიერებ. წერილების უმრავლესობა ანონიმურია, ხალხი ერთმანეთს აბეზღებს. ვინ სად, როდის და რამდენ ქრთამს იღებს, ვის რომელი ხის ძირში აქვს ფული დამარხული, რომელ კედელში შეშენებული ოქროებითა და ძვირფასი თვლებით სავსე ქოთნები. ვინ რამდენად ყიდის სამუშაო ადგილს თუ წილს და ვინ რომელ რესტორანში ქეიფობს არღნით ხელში ბოზებთან ერთად. ვინ რამდენ ბოთლ შამპანურს სვამს გარყვნილი დედაკაცის ძუძუსთავებიდან, ვის აქვს ყალბი დიპლომი როგორ იღებენ ქრთამს: ქალაქში ჩაწერაში, მანქანების გაფორმებაში და უამრავ სხვა რამეში, თვითონ ჩემი თანამშრომლებიც კი. როდესაც ასეთ წერილებს კითხულობ კაცი, უცებ გავიწყდება, რომ ქვეყნად არსებობს სუფთა ჰაერი, წმინდა მდინარე, შეურყვნელი ბალახი, მოუჭრელი ხე, მოუგლეჯელი ყვავილი, მგალობელი ჩიტი, და უღრუბლო ცა, ყველაფერი მიწაზეა გართხმული და ტალახშია ამოსვრილი. გგონია, რომ დედამიწის დაშავებული ზურგი სავსეა ბალღამითა და ბოროტებით. ასე გგონია და რომ არ დაიხრჩო და არ გაიჭყლიტო საკუთარ კაბინეტში, რომლის კედლებს თითქოს ყოველი მხრიდან აწვებიან და მოაგორებენ შენსკენ რომლის ჭერს თითქოს ყველა სარეთული დამხობია და ახლა ქვევით იწევს, რომ მიწასთან გაგასწოროს დგები და აფორიაქებულ ქუჩაში გარბიხარ. დადიხარ, ვიდრე ვინმე ახლობელი არ შეგხვდება და არ გაგიღიმებს ჭკვიანი თვალებით, არ გამოგიწვდის თბილ ხელს, და არ გეტყვის.

— გამარჯობა ზაზა! — აკვირდები მის გაქათქათებულ, ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად გაცრეცილ თეთრ საყელოს, ოდნავ დამტვერილ ნახმარ ფეხსაცმელს, მზისგან დამწვარ სახეს, გახუნებულ წარბებს და გულზე მოგეშვება და როგორც მაცოცხლებელ ჟანგბადს, ისე ღრმად ჩაისუნთქავ ჰაერს, რომელიც მის გარშემო დგას და მის ღიმილს მოჰყვა.

— დაიღალე? — გკითხავს ის.

— ძალიან დავიღალე, აი აქ მტკივა! — კეფაზე იდებ ხელს.

— მძიმე სამუშაო გაქვს, როგორ გათეთრებულხარ! — გეუბნება ის.

— შესვენებაზე გამოდი? — ეკითხები შენ.

— ვინ მოგასვენებს, ჩემო ზაზა, ტრესტში გავრბივარ, თათბირზე მეძახიან. — მეუბნება ის, საათზე იცქირება და ხელებს შლის, რა ვქნა, მეჩქარებაო.

— გამომიარე სამსახურში, თუ რამე დაგჭირდეს, არ მომერიდო! — თხოვ შენ.

— ღმერთმა ნუ დამაჭიროს შენი თავი! — იცინის ის, — ისე გამოგივლი!

— ისე გამომიარე! — ეუბნები შენ. მერე რაღაც გიხარია და გახსენდება, რომ ქვეყნად არსებობს სუფთა ჰაერი, წმინდა მდინარე, შეურყვნელი ბალახი, მოუჭრელი ხე, მოუგლეჯელი ყვავილი, მგალობელი ჩიტი, უღრუბლო ცა და დედამიწის დაშავებულ ზურგზე არც იმდენი ბალღამია, იმ წერილების ავტორებს რომ ჰგონიათ. წესით ეს წერილები ბუხარში უნდა შეყარო და ცეცხლს მისცე, მაგრამ საუბედუროდ ზოგიერთ მათგანში მართალი სწერია და უნდა შემოწმდეს.

რამდენიმე წერილი პირადად მე მეხება. აი ერთი:

„პატივცემულო „მინისტრო!“

მინისტრი რატომღაც, ბრჭყალებშია.

ეს ქვეყანა ჩალით დახურული ნუ გგონიათ თქვენი დროც მოვა და ვნახავ თქვენს ცოლ-შვილს აყუდებულს „გუბერსკის“ კარებზე „პერედაჩით“. — ეს სიტყვებიც ბრჭყალებშია.

თემურლენგს და ჩინგისხანს არ უქნია საქართველოსთვის, რასაც თქვენ უკეთებთ! აავსეთ ციხე ქართველებით! ეს არის თქვენი ერის შვილობა? თქვენისთანა „ერისშვილი“ უნდა მოკვდეს, ერისშვილო! ისევ ბრჭყალებშია — ჩაძაღლდეს და არ დაიმარხოს“. განგება. — ასე აწერს ხელს.

ეს ვიღაც ბრიყვია და არ იცის, რომ მე ვარ მინისტრი, მყავს ჯარი და, რაც მთავარია, მაქვს მთელი ინსტიტუტი თავისი საექსპერტო უნიკალური ლაბორატორიით და მე შემიძლია ხვალვე გავიგო მისი ვინაობა, მაგრამ მე ვიღებ წერილს, ცეცხლს ვუკიდებ, ერთ ხანს ხელში მიკავია და შემდეგ საფერფლეზე ვდებ. წერილი იწვის, იწვის ფერფლად იქცევა და ჰაერში ატაცებული პატარა ნამცეცი ფთილები ოთახში იწყებენ ფრენას ფარვანებივით. ელექტროღილაკს ვაჭერ თითს, კარი იღება და ჩემი მდივანი გოგონა შემოდის.

— თინიკო წერილები წაიღე და ერთი ეგ საფერფლეც გააყოლე და ფერფლი გადაყარე! — მერე გაზეთს ვშლი.

— ბატონო ზაზა, იქ ერთი დარბაისელი ჭაღარა ქალი გელოდებათ!

— ვინ არის?

— ვიღაცის დედაა!

— დედა? თუ დედაა, მოიცდის, დედა სად წავა?!

— უკვე ძალიან დიდი ხანია იცდის, ბატონო ზაზა!

— რა უნდა?

— თქვენ უნდიხართ! — მიპასუხა მდივანმა და გაეცინა.

— რა გაცინებს?

— აქ ვინც მოდის, ყველას თქვენთან საუბარი უნდა, მე კი ვეკითხები— რა გნებავთ-მეთქი და ყველა ასე მპასუხობს — ბატონ მინისტრს მოვახსენებთო.

— შემოვიდეს! — მდივანი გავიდა და კაბინეტში თოვლივით სპეტაკი, არცთუ ისე ხნიერი, ქალი შემოვიდა. ისეთი სანდომიანი სახე ჰქონდა, უნებურად ფეხზე წამოვდექი. მან ოდნავ შესამჩნევად თავი დამიკრა. მეც დავუკარი თავი და დავჯექი.

— დაბრძანდით ქალბატონო! — ვუთხარი მე. იგი წამოვიდა და საწერმაგიდასთან მიდგმულ, სხდომათა გრძელი მაგიდის ბოლოში დაჯდა. ნაცრისფერი საწვიმარი ეცვა, ყელზე შავი თეთრწინწკლებიანი ყელსახვევი ჰქონდა შემოხვეული, გამოხედვა სევდიანი და ოდნავ დამცინავი. სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ვიგრძენი ძალიან ნატანჯი და ამაყი ქალი იყო, დიდი გაჭირვება თუ არა,

იგი აქ ჩემთან არ მოვიდოდა. შავი საკვოიაჟიდან თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე მოისვა. ღელავდა. ხელები ოდნავ უთრთოდა, მარჯვენა ხელის ორი თითი გაყვითლებული ჰქონდა ნიკოტინისაგან. ეტყობოდა, დიდი ხანია ეწეოდა და ძალიან ხშირ-ხშირად. ღმერთო, სად მინახავს ეს ქალი და ნეტავ რა უნდა მთხოვოს, რა ნაცნობი სახე აქვს, სირცხვილი არ ვჭამო და უბრალო რამეზე უარი არ ვუთხრა, მაგრამ ვაითუ ისეთი რამ მთხოვოს, რომ...

— რა გნებავთ, ქალბატონო! ვკითხე მე.

— მე ჩემი შვილის თაობაზე გაწუხებთ, პატივცემულო მინისტრო! — მითხრა მან და ახლა ნიკაპი აუთრთოლდა. მე ავდექი, მივედი, წინ წყალი დავუდგი, სიგარეტი მივაწოდე და ვთხოვე:

— აი ქალბატონო, წყალი და სიგარეტი. დალიეთ, მოწიეთ, დაწყნარდით და ისე მომიყევით ყველაფერი, ოღონდ ნუ იტირებთ, თორემ არაფერი არ გამოგვივა. — ქალმა წყალი მოსვა, სიგარეტს ხელი არ ახლო.

— ვინ ბრძანდებით თქვენ, ქალბატონო? — ვკითხე მე.

— მე ზაზა ნაკაშიძის დედა გახლავართ. — თქვა მან.

— ზაზა ნაკაშიძე, ზაზა ნაკაშიძე, ჩემი სეხნია ყოფილა, ზაზა ნაკაშიძე! — ვერ გავიხსენე მე. — რა სჭირს თქვენ შვილს?

— ჩემი შვილი, რესტორან „მადაში" მაისში რომ მკვლელობა მოხდა, იმ საქმეში ურევია! — თქვა ქალმა და გაფითრდა.

— აა, ზაზა ნაკაშიძე, „მადაში" მომხდარი მკვლელობა! — გამახსენდა მე მთელ თბილისში გახმაურებული საქმე. — თქვენ რა გქვიათ ქალბატონო'

— ანა, ანიკო ნაკაშიძე!

— მე მგონია სიტყვა „ურევია" ის სიტყვა არ არის, ქალბატონო ანიკო, რომელიც თქვენ შვილს მიესადაგება.

— მართალი ბრძანდებით, შვილო, — მაპატიეთ რომ ასე მოგმართავთ.

— რას ბრძანებთ!

— ჩემი შვილი არც კი ურევია მაგ საქმეში, იგი უბრალოდ იქ იყო.

— ყველა პატიმრის დედა ასე ამბობს, ქალბატონო ანიკო, და ყველა ეჭვმიტანილი პატიმარიც, ვიდრე დანას, რევოლვერს ან ბოთლს ხელში არ დავუჭერთ.

— ვიცოდი, შვილო, ამას რომ მეტყოდი, როდესაც შენთან მოვდიოდი. ისიც ვიცი, რომ ყველა ფრაზა, რომელსაც ახლა აქ ვიტყვი, უსაშველოდ გაცვეთილია და უსაშველოდ გაცვეთილი იქნება პასუხი, რომელსაც თქვენ მომცემთ.

— მაშინ როგორ მოვიქცეთ?

— თქვენ უნდა მენდოთ მე და ჩემს შვილს, პატიოსან სიტყვაზე!

— მაშინ მე რა ვუყო იმ რვა მოწმესა და გამომძიებლის პატიოსან სიტყვებს, რომლებიც, გარდა პატიოსანი სიტყვისა, კიდევ ფაქტებით არის გამაგრებული?

— მე მესმის, ბატონო მინისტრო, თქვენი მდგომარეობა, მაგრამ ჩემი შვილი მონასტრის კედელზე მოხატული ფრესკა არ არის, რომ მხოლოდ ერთი მხრიდან უყურით, ან საღებავი გადაუსვათ, წაშალოთ და ზედ ახალი ფრესკა დახატოთ.

— როგორ ბრძანეთ? — ვკითხე მე.

— ადამიანი ფრესკა არ არის, შვილო რომ ერთ სიბრტყეში უყურო, ადამიანს, როგორც ქანდაკებას ისე უნდა შემოუარო გარშემო და იმ კუთხიდან უმზირო, რომლიდანაც ყველაზე ლამაზად იმზირება.

— მართალი ბრძანდებით, ქალბატონო, მაგრამ „მადაში" ჩადენილი მკვლელობა ხელოვნება არ არის და ციხე ხელოვნების ნიმუშთა საგამოფენო დარბაზი.

— კარგი პასუხია, ბატონო მინისტრო, მაგრამ სწორი არ არის. თუ ადა-

მიანის აღზრდა ხელოვნებაა, მაშინ ადამიანს, როგორც ხელოვნების ნიმუშს ისე უნდა მიუდგე და მოექცე.

— რატომ გგონიათ, ქალბატონო, რომ თქვენი შვილი ხელოვნების ნიმუშია, მე და ჩემი თანამშრომლები და მოწმეები — საგამოფენო დარბაზში მოსული ბრიყვი მაყურებლები, რომლებიც შთაბეჭდილებათა წიგნში მარტო — არ ვარგას და — არ მომწონს წერენ!

— მე ეგ არ მიკადრებია თქვენთვის, მაგრამ თქვენს გამომძიებელს, გაგუას, არ შეუძლია გაუგოს ჩემ შვილს.

— რატომ!

— იმიტომ, რომ მას სწორედ ის აკლია, რაც ჩემ შვილს სჭირდება.

— კერძოდ?

— კაცთმოყვარეობა, გულისყური და მოთმინება.

— რაღა დარჩა საწყალ გაგუას? — შემეცოდა მე გაგუა.

— სისხლის სამართლის კოდექსი, — მიპასუხა მან.

— მერე და, ეგ ცოტაა?

— ცოტაა, ძალიან ცოტა, კაცთმოყვარეობის, გულისყურისა და მოთმინების გარეშე.

— თქვენ გგონიათ, საქმე რომ სხვას გადავცე, თქვენს შვილს რამე ეშველება?

— დარწმუნებული ვარ.

— პირველად ვხედავ საკუთარი შვილის სიმართლეში ასე დაჯერებულ დედას.

— მე შვილის კი არა, საკუთარი თავის მჯერა!

— კარგია თუ ასეა.

— ასეა, იმიტომ, რომ მე იგი მკვლელად არ გამიზრდია.

— არც ერთი დედა არ ზრდის შვილს მკვლელად, მორფინისტად და ქურდად.

— მე მას ოცი წლის განმავლობაში სახარებას ვასწავლიდი და ვუკითხავდი ძილის წინ.

— მეც დედაჩემი გერმანულს მასწავლიდა, ქალბატონო ანიკო, მთელი ათი წელი, გამიშვებდა ხოლმე გერმანულის მასწავლებელთან, გვარიც მახსოვს მასწავლებლის — ნეიგაუზი, მე კი გერმანულის ნაცვლად მთელი დღე ვიჯექი ვარაზის ხევში, ბიჭებთან ერთად და ოთხი თითით ფსტვენას ვსწავლობდი, და ჩინებულადაც ვისწავლე, გინდა დავუსტვინო? — ვკითხე. მან თავი დახარა.

პატივცემულო მინისტრო, შემახვედრეთ ჩემ შვილს! — მთხოვა მან.

— ეგ ყოვლად შეუძლებელია, ქალბატონო, ძიების დამთავრებამდე.

— შემახვედრეთ, შვილო, და მე მას ყველაფერს მართალს ვათქმევინებ.

— შეუძლებელია.

— როგორც გამონაკლისი!

— ასეთ გამონაკლისებს ჩვენ არ ვუშვებთ.

— მე მას ყველაფერს ვათქმევინებ!

— თქვენ გგონიათ?

— დარწმუნებული ვარ! — ისე თქვა ქალმა, რომ შემრცხვა, ნუთუ ამ ქალს ასე სჯერა თავისი ძალისა და შვილის, რომ იმას, რასაც მე უნდა ვპირდებოდე, თვითონ მპირდება. როგორი რეაგირება უნდა გავაკეთო მე? უნდა მეწყინოს თუ უნდა დავრთო ნება?

— თქვენ ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდით? — ვკითხე უცებ. ქალბატონს გაეღიმა.

— რატომ იღიმებით?! — ვკითხე მე.

— თქვენს ადგილზე მე ყველა პატიმარს გავუშვებდი და ციხის ფანჯრებიდან თეთრ ბაირაღებს გადმოვფენდი, მაგრამ, ალბათ, ამიტომ არ ვარ თქვენს ადგილზე. — გაიღიმა ნაკაშიძის დედამ.

— აი ხომ ხედავთ, ესე იგი მე მართალი ვარ! — ვუთხარი ნიშნისმოგებით.

— რა თქმა უნდა თქვენ მართალი ხართ, მაგრამ ახლა თქვენ წარმომიდგინეთ დედათქვენის ადგილზე! — მიპასუხა მან.

— მე დედაჩემს ასეთ დღეში, თქვენ რომ ხართ, არასოდეს ჩავაყენებ და ვერც წარმოვიდგენ. — ვუთხარი მე, ცოტა არ იყოს, ამაყად და უკმეხად.

— მაგას ნუ იტყვით, შვილო! — თქვა ქალბატონმა და თავი ჩაღუნა. მე ისევ შემრცხვა, ალბათ, ასე არ უნდა მეთქვა და ამან გადაწყვიტა ყველაფერი.

— კარგი, ვეცდები შეგახვედროთ.— ვთქვი მე.

— თქვენ ალბათ ძალიან ბევრი ხალხი გაწუხებთ, — მითხრა მან და ფეხზე წამოდგა.

— წინათ უფრო ბევრი ხალხი მაწუხებდა, ახლა თითქმის არ მაწუხებენ.

— რატომ ვკითხე გაკვირვებით.

— არ ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ იციან სულ ერთია არ დავეხმარები.

— ტყუილია ეგ, თქვენ ისეთი თვალები გაქვთ. არ შეიძლება ეგ მართალი იყოს.

— ნუ მეფერებით, ქალბატონო, თუ თქვენი შვილი მართალი არ არის, ვერაფერი ვერ უშველის.

— გმადლობთ, შვილო, მე მეტს არაფერს არ გთხოვ! — თქვა მან, შეტრიალდა და ისე გავიდა ოთახიდან, არც გამომშვიდობებია.

მე ყურმილი ავიღე და სისხლის სამართლის განყოფილების უფროსის ნომერი ავკრიფე.

—პოლკოვნიკი ასათიანი გისმენთ!— თქვა ყურმილმა.

— მინისტრი გელაპარაკებით, მომიტანეთ ბრალდებულ ზაზა ნაკაშიძის საქმე!

— გისმენთ ამხანაგო გენერალო! — მიპასუხა ყურმილმა.

ბრალდებული ზაზა ნაკაშიძის საქმე... ბრალდებული ზაზა ნაკაშიძის საქმე... დაიძრა საქმე დერეფნიდან დერეფანში, ოთახიდან ოთახში, ხელიდან ხელში და უცებ მივხვდი, სად მენახა ადრე ეს ძუ ვეფხვივით პირგამეხებული ჭაღარა ქალი. იგი დედა იყო ჩემი, საკუთარი დედა, ვიდრე დამაპატიმრებდნენ და მე შვილი ვიყავი მისი, საკუთარი შვილი, ვიდრე მინისტრი გავხდებოდი.

— დილა მშვიდობისა მკვლელებო, დილა მშვიდობისა, ქურდებო, დილა მშვიდობისა, ყაჩაღებო, ჯიბგირებო, გამფლანგველებო, დილა მშვიდობისა, აფერისტებო. გარყვნილებო და გათახსირებულებო, დილა მშვიდობისა, თქვე ჩემი ცოდვით სავსეებოოო, ადექით, გაკეთდა ქვეყანა!.. — გაბმულად ყვირის შოშია, საკანი იშმუშნება, იზმორება, ცალ თვალს აღებს, ერთ ხანს უყურებს შოშიას, მერე იმედგაცრუებული ოხრავს და იღვიძებს. ვიღვიძებ მეც, რადგან ვიცი, ამ წუთიდან ძილი აღარ მიწერია. ვიღვიძებ და ვხედავ ჩემი ბალიშის ყურზე, რკინის მესერში გაჭირვებით შემომძვრალი, ეჭვმიუტანელი, თავისუფალი მოწმენდილი ცასავით მართალი, თბილი, მაცოცხლებელი მზის სხივი თამაშობს.

— მამალი მაინც იყოს, ეს შობელ-ძაღლი, ყოველ დილით რომ მაღვიძებს! — კბილების ღრჭიალით ამბობს დევდარიანი და ნარზე ჯდება.

— დილა მშვიდობისა, ზაზა! — ახლა მე გადმომძახის ქანდარიდან შოშია.

— დილა მშვიდობისა, შოშია! — ვპასუხობ მე და ვხედავ როგორ გადადის მზის სხივი ბალიშის ყურიდან კედელზე და როგორ მიცოცავს აღმა. კიდე ხუთი წუთი და წავა... სულ წავა.

— როგორ გეძინა, ზაზას შემოვევლე?!

— ისე რა, შოშია.

— ჰა, ცუდი სიზმარი ხომ არ გინახავს?

— უცნაური სიზმარი ვნახე, შოშია, ძალიან უცნაური.

— მაინც?

— ვითომ შინაგან საქმეთა მინისტრი ვიყავი! — გამოვუტყდი შოშიას.

— მერე?

— რა მერე!

— როგორ თუ რა, შე ბემურაზო,

შინაგან საქმეთა მინისტრი იყავი და არაფერი გააკეთე?

— რა უნდა გამეკეთებია, შოშია, სულ ნახევარი საათი ვიყავი...

— როგორ თუ რა უნდა გაგეკეთებინა ნახევარ საათში ობეხეესმა ოცდაათი კაცი დაგვიჭირა, შენ ნახევარ საათში ცხრა კაცი ვერ გაუშვი?

— ვინ უნდა გამეშვა? — გამიკვირდა მე.

— ვინა და ჩვენ, შე ეგოისტო, უცხვირპირო, შენ დალპი ამ ციხეში, შენ მოუკვდი შენს გამომძიებელს, რა ჩემი ფეხების მინისტრი იყავი თუ ძმაკაცები არ გაგახსენდით, მერე როგორი ძმაკაცები, ღმერთო, სამართალი არა გაქვს? ამ ლაწირაკს მინისტრად ნიშნავ, მე მთელი ღამე ასკილის წვენი მესიზმრება, ადექით და ჩაქოლეთ ეს არამზადა!!! — მოუწოდა შოშიამ ხალხს, თავს აშკარად დამნაშავედ ვგრძნობდი, ხმა არ ამომეღებოდა და თავჩაღუნული ვდუმდი.

— შოშია, ერთხელაც გაგვიღვიძებივარ ეგრე ადრე და რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე! — გააფრთხილა დევდარიანმა.

— კარგი რა, ლიმონ, მართალი არა ვარ?

— მართალი ხარ, მაგრამ მაინც გაფრთხილებ! — უპასუხა დევდარიანმა და ჩაცმა დაიწყო. შოშია ერთ ხანს დადუმდა. მერე ისევ ჩემსკენ გადმოიხარა.

— ზაზა მართლა მინისტრი იყავი?— მკითხა და პასუხის მოლოდინში თვალები მოჭუტა.

ჰო, შოშია, მინისტრი ვიყავი და მაპატიე, ეტყობა, მართლა ეგოისტი ვარ. — გამოვუტყდი დანაშაულში. შოშია დაფიქრდა.

— ჭკუით იყავი ზაზას შემოვევლე! დიდი კაცის დასიზმრებამ ავადმყოფობა იცის. აი მე 41 წელში, პატარა ვიყავი, ჩვენი სკოლის დირექტორი დამესიზმრა და ომიც დაიწყო! — გამაფრთხილა შოშიამ და ფანჯარასთან მოკალათდა.

— აჰა, ეგეც მე ვარ? მოვიდა თუ არა?

— რა იყო, შოშია?

— ისევ ის ლოთი მოვიდა, სალუდესთან, არ უსხამს, დაუსხი! დაუსხი, შე უსინდისო... ჰა... არ გაუშვა გაწბილებული, თორემ მოკვდება... ნისიად დაუსხი... აბაზი რაა, შე უსინდისო, დაუსხი-მეთქი. რომ გამოვალ თუმანს მოგცემ... მიდი, შენი ჯიგარი დავხიე. კაცი კი არა, ღორი ხარ, დაუსხი-მეთქი... ეგრე! — ამოისუნთქა შოშიამ.

— რა იყო შოშია?

— დაუსხა მაგ ბემურაზმა, — ერთი ამას დამიხედე! რასა შვები, ეი, ტუტუცი, ისედაც ნახევარი დაგისხა! — შემოირტყა თავში ხელი შოშიამ.

— რას შვება, შოშია?

— სულს უბერავს ეგ იდიოტი, ზაზა, გენაცვალე, ხედავ? სულს უბერავს. — გადმოეკიდა ჩემსკენ შოშია.

— რა ქნას, შოშია, მთელი მარილი სულის შებერვაშია, აბა წარმოიდგინე, მე ვაჩვენე როგორ უბერავენ სულს ლუდის კათხას, მერე ნელ-ნელა როგორ წრუპავენ და უცებ ისე მომინდა ლუდი, გული კინაღამ წამივიდა.

— მართალი ხარ ჩემო ზაზა, მართალი! — სინანულით დაიქნია თავი შოშიამ.

— შოშიაჯან! წუხელ სიზმარში საიათნოვა არ გინახავს? — ჰკითხა გულოიანმა.

— ვიცი შენ სიმღერა გინდა, ტიგრან, მაგრამ არ მინახავს და რა ვქნა!— მიუხვდა შოშია.

— ეეე, მა რა ნახე? — გული დაწყდა ტიგრანას.

— წუხელ მთელი ღამე თბილისის ქუჩებში დავდიოდი, სიონში სანთლები დავანთე, მედუდუკეებთან ერთად შუვუბერე, მტკვარზე ვიქეიფე, სიონში შევედი, ღმერთს დავუჩოქე, ვუთხარი — რადგან გამოსვლა მაღირსე, დღეიდან ფულის გამფლანგველის დე-

და ვატირე-მეთქი. ეკლესიიდან რომ გამოვედი, გამახსენდა, ცოტა თუ არ მოვიპარე, ცოლ-შვილი რითი ვარჩინო-მეთქი. ისევ შევედი ეკლესიაში, სამი სანთელი ავანთე, ისევ დავუჩოქე ღმერთს და ვთხოვე: — ღმერთო, ცოტა მოპარვის უფლება მომეცი, სულ ცოტასი, ბევრი არ მინდა-მეთქი.— ასე მითხრა, შენი ცოტა კი ვიცი, რაც არისო. რა არის-მეთქი ვკითხე, და ზუსტად ის თანხა მითხრა, რაც მოვიპარე, მილიონ ჩემტოო. კიდევ კარგი, ის ჩემტო არ იცოდა ცხრაასი ათასი რომ იყო.

— ძველით თუ ახლით, შოშია? — ჰკითხა გაკვირვებულმა ჭეიშვილმა.

— ბრიყვო, ახლით მილიონ ცხრაასი ათასი საქართველოს ბიუჯეტია, რა თქმა უნდა, ძველით! — განუმარტა შოშიამ.

— მაინც ბევრია — დაასკვნა ჭეიშვილმა.

ბევრი როა, იმიტომ ვზივარ შენისთანა იდიოტთან. — აუხსნა შოშიამ.

— მე მოვითხოვ, ჩემთან საუბრის დროს ლამაზი გამოთქმები მოიმარჯვოთ, ახლა კი ამიხსენით, რატომ ვარ იდიოტი? — თქვა ჭეიშვილმა და ფეხზე წამოდგა.

— რამდენი გქონდა გარეთ ხელფასი? — ჰკითხა შოშიამ.

— მეე? — იკითხა გაკვირვებულმა ჭეიშვილმა.

— ჰო, შენ!

— 120 მანეთი!

— მაგის 25 პროცენტი რამდენია?

— 30 მანეთი! — სწრაფად უპასუხა ჭეიშვილმა.

— ჰოდა, იდიოტი ხარ, მა რა ხარ? თვეში 30 მანეთის გულისათვის რომ ციხეში ზიხარ! — უთხრა შოშიამ.

— შენისთანა ვეშაპისთვის და სოციალისტური საკუთრების მიმთვისებლისათვის ადვილი სათქმელია ოცდაათი მანეთი, როდესაც მილიონ ცხრაასი ათასი გაქვს მიტაცებული! — თითი ასწია მაღლა და თანხა გამოთქმით წარმოსთქვა ჭეიშვილმა.

— ჭეიშვილი, შენ გარეთ რად მუშაობდი? — ჰკითხა უცებ გულოიანმა.

— ინჟინრად!

— მეტი არაფერი?

— საზოგადოებრივი დატვირთვაც მქონდა... — ჭეიშვილმა რატომღაც თავი შეიკავა.

— მაინც? — არ მოეშვა გულოიანი.

— აგიტატორი ვიყავი! — გამოტყდა ჭეიშვილი.

— ესე იგი დროშა იყავი და ტარი გაგიკეთეს? — ჰკითხა გულოიანმა. ჭეიშვილმა თავი დახარა. საკანში ხარხარი ატყდა.

— ხომ ვთქვი, ხალხო, იდიოტია-მეთქი, — იყვირა შოშიამ. — ჭეიშვილო, გამიშვი გარეთ და ხატზე დაგიფიცებ, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე შენც გარჩენ, შენს გამომძიებელსაც, შენს პროკურორსაც, შენს მოსამართლესაც და იმ შენს ნაბიჭვრებსაც მე გადავუხდი ალიმენტს — დაპირდა შოშია.

— მომეცი ის ფული, რაც სახელმწიფოს წაღლიტე და მე თვითონ გადავიხდი ალიმენტს და მე თვითონ გარჩენ შენ და შენ სირანას. — დაპირდა თავის მხრივ ჭეიშვილი.

— ქრთამს მთხოვ, პატიმარ კაცს?— დაისაწყლა თავი შოშიამ.

ურდულის ჩხაკუნი გაისმა. შოშია სასწრაფოდ ჩამოხტა ქანდარიდან და ჩემს ნარზე ჩამოჯდა. კარის დარაბა გადაიხსნა და საკანში გაზაფხულმა შემოიხედა.

— გამარჯობათ ბოროტმოქმედებო, — თქვა ნუნუ ექიმმა და ბნედისმომგვრელად გაგვიღიმა.

— ნუნუ ექიმს გაუმარჯოს! — ამოიგმინა საკანმა და ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

— რამეს ხომ არ უჩივით?

რაო? ეს რა იკითხა ნუნუ ექიმმა, რამეს ხომ არ უჩივითო? ვუჩივით და მერე როგორ ვუჩივით, ნუნუ ექიმო, აბა შემოგვხედე, როგორ ფიქრობ, არაფერს არ ვუჩივით, უქალობას ვუ-

ჩივით, უსიყვარულობას ვუჩივით, უგულობას ვუჩივით, ქალის თვალთა ეშხი გვაკლია, ალერსი გვაკლია, სითბო გვაკლია, ცრემლი გვაკლია, ღიმილი გვაკლია, ყველაფერი გვაკლია...

შენ კი გაზაფხულივით მოსულხარ, კვირტი აგიფეთქებია, მკერდი გაგიღეღია,ორთავე მაჯა გადაგიხსნია ჩვენთვის, ჩვენს ადუღებულ სისხლს დასწაფებიხარ , სისხლისაგან დაგიცლივართ, თან უსინდისოდ გვეკითხები, — რამეს ხომ არ უჩივითო, რამე ხომ არ გტკივათო? გვტკივა და მერე როგორ გვტკივა, ნუნუ ექიმო!

— რაო, რას გაჩუმებულხართ, არაფერი არ გტკივათ? — იკითხა ნუნუმ და გაკვირვებულმა წარბები მაღლა აზიდა. საკანმა ისევ ამოიგმინა, პატიმრები დარაბას მიასკდნენ.

— თავი, ნუნუ ექიმო!

— ლუმინალი!

— კბილი, ნუნუ ექიმო!

— ლუმინალი!

— კუჭი, ნუნუ ექიმო!

— ლუმინალი!

— გული, ნუნუ ექიმო!

— ლუმინალი!

— ყელი, ნუნუ ექიმო! — ვუთხარი მე და ყელი გავუწოდე.

— ბაწარი! — მითხრა ნუნუ ექიმმა და მაინც ლუმინალი მომცა.

ყველას გაეცინა.

— ის ვინ არის, რატომ წევს? — იკითხა ნუნუ ექიმმა და ნარზე წამოწოლილ დევდარიანისაკენ გაიხედა.

— მაგი დევდარიანი გახლავთ, პატივცემულო! — განუმარტა ჭიჭიკო გოგოლმა.

— რატომ წევს? — ისევ იკითხა ნუნუ ექიმმა და ისევ აზიდა გაკვირვებით წარბები.

— თქვენისთანა ლამაზ ქალს რომ დაინახავს ზრდილობიანი კაცი, კი უნდა ადგეს ფეხზე, მკვდარი თუ არ არი, მაგრამ ეტყობა ძალიან უჭირს მაგას. დევდარიანი, ადექი! მიუბრუნდა ჭიჭიკო დევდარიანს. დევდარიანმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— ნამდვილად უჭირს! — დაასკვნა ჭიჭიკომ.

— ანდრო, ანდრო! — გასძახა დერეფანში ნუნუ ექიმმა ზედამხედველს.

— გისმენ, ნუნუ! — უპასუხა ზედამხედველმა.

— მოდი ერთი, კარი გამიღე პატიმარია ავად, უნდა ვნახო! — საკეტი აჩხრიალდა, მერე უცებ კარი გაიღო და საკანმა ისევ ამოიგმინა. ზედამხედველის თანხლებით საკანში შემოვიდა კი არა, შემოცურდა რაღაც ღვთაების მსგავსი, რომელსაც დღემდე როგორც უაღრესად მსასოვარს მხოლოდ ჩარჩოში ვხედავდით სურათივით. იგი ახლა მთელი თავისი არსებით, ფეხის ფრჩხილებიდან ვიდრე თმებამდე, ჩვენს წინაშე იდგა, მაღალი მკერდით, მაღალი თეძოებით, გრძელი მკლავებით, ჩამოქნილი, ოდნავ მზედაკრული ფეხებით, მოკლე, სპეტაკ ხალათში გახვეული სავსე სხეულით, მხარზე წითელჯვრიანი ჩანთაგადაკიდული. ჩვენს წინ იდგა დედამიწის ზურგზე მოსიარულე ქალთა შორის ყველაზე სრულყოფილი და ლამაზი ქალი, რომლის სილამაზის აღქმისა და შეგრძნების უნარი ღმერთმა, ალბათ მხოლოდ პატიმრებს მიანიჭა.

— აბა, თქვენ თქვენს ადგილზე დასხედით! — ბრძანა ზედამხედველმა. ჩვენ მონუსხულებივით ვიდექით და ადგილიდან არ ვიძროდით. ნუნუ ექიმი მიხვდა მის მიერ მოხდენილ ეფექტს და ოდნავ შიშნარევი სიამაყით გაემართა დევდარიანის ნარისაკენ.

— დასხედით! — გაიმეორა ბრძანება ზედამხედველმა და ჩვენც უცებ გონს მოვეგეთ. ჭიჭიკო გოგოლმა სკამი დაუდგა დევდარიანის საწოლთან ნუნუ ექიმს. ნუნუ ექიმი სკამზე დაჯდა და დევდარიანს ხელი შუბლზე დაადო. დევდარიანი დადნა.

— სიცხე არ უნდა გქონდეს. რა

გტკივა? — ჰკითხა ნუნუ ექიმმა. დევდარიანი დუმდა.

— რას დადუმებულხარ, არაფერი არ გტკივა? — გაუკვირდა ნუნუ ექიმს. მე კი ის უფრო გამიკვირდებოდა, დევდარიანს რომ ახლა ხმა ამოეღო.

— მაინც რას გრძნობ? — ჰკითხა ნუნუ ექიმმა.

— სიკვდილის მოახლოებას ვგრძნობ, ნუ-ნუ ექიმო! — ძლივს ამოიღო ხმა დევდარიანმა.

— თუ კაცი ხარ, ექიმს ნუ მეძახი, ექთანი ვარ მე. — უთხრა ნუნუ ექიმმა.

— ჩვენთვის ექიმიც ხარ, პროფესორიც და დედოფალიც. — გაუცინა ლიმონამ.

— ჰო კარგი პროფესორი ვარ, ოღონდ მითხარი, როგორ გრძნობ სიკვდილის მოახლოებას?

— აი, ასე, მოდის, მოდის, მომიახლოვდება, ვერ ვხედავ, სუნთქვა მესმის... — დაიწყო ლიმონამ.

უცებ დერეფანში საშინელი ყვირილი და ჩოჩქოლი ატყდა.

— არ გამოვალ, არ გამოვალ, გამიშვით, არ მინდა, სანამ პროკურორს არ მომიყვანთ, არ ვჭამ! — ყვიროდა ვიღაც. ჩვენი ზედამხედველი ცივად შეტრიალდა და დერეფანში გავარდა, გავარდა და აქ მოხდა მანამდე გუბერნსკის ციხის ისტორიაში გაუგონარი რამ. არავინ იცის, კარებთან მდგარმა გულოიანმა ჰკრა ხელი, თუ ზედამხედველი გასვლის დროს შემთხვევით გამოედო, უცებ კარმა გაიჩხაკუნა. ნუნუ ექიმი გველნაკბენივით წამოიჭრა და მივარდა კარს, მაგრამ უკვე გვიან იყო, კარი გარედან ჩაიკეტა. ყველანი ადგილებს დავაცივდით. პატიმრებს ნაცრისფერი დაედოთ, სუნთქვა შეგვეკრა, საკანი სამარეს დაემსგავსა. ნუნუ ექიმი კარებს აეკრა და უზარმაზარი შეშინებული თვალებით გვიცქერდა. გაფითრებული დევდარიანი ნარიდან წამოდგა და ნელი ნაბიჯით ნუნუ ექიმისაკენ დაიძრა. სისხლი გა-

— არ მომეკარო, არ მომეკარო, არ მომეკარო! — იმეორებდა უაზროდ ამ ერთ სიტყვას ნუნუ ექიმი და თვალს არ აცილებდა დევდარიანს. დევდარიანი არ შეჩერებულა, იგი მიუახლოვდა ნუნუ ექიმს და მის წინ დადგა.

— არ დაგვღუპო, დევდარიანო! — მუხლებზე დაეცა ჭიჭიკო გოგოლი.

დევდარიანმა ყურადღება არ მიაქცია გოგოლს, ორთავე ხელი შეუცურა იღლიებში შიშისაგან ენაჩავარდნილ ნუნუ ექიმს, თავსზემოთ ასწია, წამოიყვანა და შუა საკანში სკამზე დააყენა. ერთ ხანს ასე უყურა ქვემოდან ზემოთ, მერე სამი ნაბიჯით უკან დაიხია, ორთავე ხელი მაღლა აღაპყრო, თავი ოდნავ გვერდზე გადახარა და ჩურჩულით დაიწყო:

ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ
მარებო!
ზილფო მკლავებო, მომკლავებო,
ვერ-საკარებო,
წარბ-წამწამ-თვალნო, მისათვალნო,
შემაზარებო,
ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთ
წამარებო,
პირო მთვარეო, მომაგონე, მზისა
დარებო...

ხელით ნარის რკინის საყრდენს ჩაფრენილი გაშეშებული ვიდექი. ნერწყვის გადაყლაპვას ვცდილობდი, მაგრამ პირი გამშრალი მქონდა და ენას ვერ ვაბრუნებდი... საკანი თითქოს მაღალი ძაბვის დენში ჩართესო, ტანში ისე შემაჟრჟოლა და შეშინებულმა ნარს ხელი გავუშვი.

შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულ
მთვარეს,
სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი
სიკვდილსა მწარეს.
მოდით მიჯნურნო —

დევდარიანი ახლა ჩვენსკენ შემობრუნდა ხელაპყრობილი, მას ორთავე ღაწვზე ცრემლები ეკიდა...

მოდით, მიჯნურნო, შემიბრალეთ,
მოვლეთ ჩემს არეს,
მკვდარი მიჯნური დამიტირეთ,
დამფალთ სამარეს,
ვა სიცოცხლეო უკუღმართო,
დანაკარებო, —

დევდარიანმა ცრემლი გადაყლაპა და გაბზარული ხმით გაიმეორა:

— ვა სიცოცხლეო უკუღმართო, დანაცარებო. —მერე შეტრიალდა, თავის ნარზე დაჯდა და თავი ჩაღუნა.

ნუნუ ექიმი სკამზე იდგა მოჯადოებული, ცრემლით სავსე თვალებს ჩქარ-ჩქარა აფახულებდა და, რომ პატიმრების წინ ბავშვივით არ ატირებულიყო, სკამიდან სწრაფად ჩამოვიდა, კართან მივიდა, და პატარა მუშტებით ბრახუნი დაიწყო ზედ.

კარი გაიღო, საკანში შეშინებული ზედამხედველი შემოვარდა.

— ვინ ჩაკეტა კარი?! — იბღავლა მან. საკანი ხმას არ იღებდა. ნუნუ ექიმი სასწრაფოდ გავიდა საკნიდან.

— გოგოლო! ვინ ჩაკეტა კარი! — ახლა გოგოლს უყვირა ზედამხედველმა. ყველა მიხვდა, შეშინებულ ზედამხედველს ყვირილით საკუთარი დანაშაულის დაფარვა უნდოდა.

— წადით თქვენ, უფროსო, ნუ გეშინიათ, ცუდი არაფერი არ მომხდარა აქ. — უთხრა გოგოლმა.

— თუ რამე აწყენინეთ, კარცერებში ამოგალპობთ ყველას! — დაგვემუქრა ზედამხედველი.

— მინამ ლამაზი ხარ, წადი რა, ხომ გეუბნებიან! — სთხოვა ტიგრანამ, ფეხზე წამოდგა და ზედამხედველს თვალი თვალში გაუყარა. ასე იდგნენ დიდხანს. უცებ ზედამხედველი შეტრიალდა და საკნიდან გავიდა. კარი გარედან გადარაზეს.

საკანმა შვებით ამოისუნთქა.

* * *

ჩვეულებრივ საკანს ღამღამობით ათასნაირი ძილით ძინავს, ათასნაირად სუნთქავს, ბორგავს, ბრუნავს, ათასნაირად უცემს გული. ათასნაირ სიზმარს ხედავს საკანი, ამიტომ მისი ძილი საოცრად მშფოთვარეა, ხოლო მაჯა არითმიული. საკანი ხან ოხრავს, ხან კვნესის, ხან რას წამოაბოდებს, ხან რა, ხან ტირის გულამომჯდარი, დაკარგული ბავშვივით, ხან იცინის ისე ლაღად და უდარდელად, გაგიკვირდება და შეგეშინდება.

დღეს, მთელი დღის მძაფრი შთაბეჭდილებებით უზომოდ დაქანცული საკანი ადრე დაწვა დასაძინებლად, მაგრამ იმ შფოთვაშიც ეტყობოდა ყველა პატიმარს, რომ ძილში თუ სიზმარში რაღაც ნეტარი და თბილი ახლდა მეგზურად. სხვებივით ადრე დავწექი და აი, უკვე ორი საათია თვალდაჭყეტილი ვაგდივარ გულღმა და ჭერში ჩამოკიდებულ მბჟუტავ ნათურას ვერ ვაცილებ თვალს, იგი რაღაც დღისა და ღამის გასაყარზე გზადაბნეულ ციცინათელას ჰგავს, არ იცის ჩაქრეს თუ აინთოს, ჩაქრეს თუ აინთოს, ერთი კია, რომ თუ დიდხანს, დიდხანს უყურებ, თვალის გუგებში გებუდება და ფიქრს ნათელსა და ფერადოვანს ხდის. ორ სულიერს არ გვძინავს — მე და ნათურას, მე იმიტომ, რომ არ მეძინება, ნათურას კი ეძინება, ძალიან ეძინება, მაგრამ არ აძინებენ. არ ძინავს კიდევ ერთ სულიერს, ეს სულიერი კარზე მრგვლად ამოჭრილი, საკნის შუშის თვალია, საოცარი ციკლოპის თვალი, შუბლზე ამოსული ერთადერთი შუშის თვალი, რომელიც შიგნიდან გარეთ კი არა, გარედან შიგნით იყურება და მე ვგრძნობ, როგორ იღება ეს თვალი დროდადრო და როგორი დაჟინებით უცქერს ყველა ჩვენთაგანს.

სძინავს ყველას, ჩემს გარდა. თუ სადმე სამართალია, დევდარიანსაც არ უნდა ეძინოს, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაუნძრევლად წევს და თვალს არ ახამხამებს, მე ხატზე დავიფიცებ, რომ დევდარიანს არ სძინავს.

— ლიმონ — რაც შეიძლება წყნარად დავუძახე მე. ხმა არ გამცა. — ლიმონ! ვიცი რომ არ გძინავს, გამეცი ხმა!

— რა გინდა? — მკითხა დევდარიანმა და ხელები თავქვეშ ამოიდო.

— არ მეძინება. — ვთქვი მე.

— ნანა ხომ არ გინდა? — მკითხა მან.

— ლიმონ, ნამდვილი სახელი რა გქვია? — კითხვაზე კითხვით ვუპასუხე.

— რა, ლიმონა არ მოგწონს?

— მომწონს, მაგრამ ეგ ხომ არ შეიძლება ნამდვილი სახელი იყოს.

— კაკო მქვია! — თქვა მან და შეიშმუშნა.

— აკაკი, კაკო, კაკი! — ვთქვი მე ჩემთვის.

— რა თქვი?

— არაფერი, ისე. ლიმონას რატომ გეძახიან?

— ბავშვობაში მაკაკას მეძახდნენ ბიჭები, ლიმონა მეორე სროკზე შემარქვეს, აგარაკზე ნაღველი ჩამექცა და ლიმონივით ყვითელი ვიყავი.

— ყვითელი ნესვიც არის, შე კაკო! — შევედავე მე.

— არა, ცოტა ხასიათიც მჟავე მაქვს! — გამომიტყდა ლიმონა.

— ჰოო!

— მოისვენე? — მკითხა ლიმონამ.

— არა! — ვუთხარი მე.

ახლა არ მითხრა, ყვითელი და მჟავე კიტრიც არისო, თორემ გავგიჟდები — გამაფრთხილა ლიმონამ. გავჩუმდი. ასე გაჩუმებულები ვიყავით დიდხანს.

— ლიმონ! — დავიწყე მე.

— გისმენ!

— შეგიყვარდა, ლიმონ? — ვკითხე მე და გული ამიფართხალდა პასუხის მოლოდინში.

— რაო? — თავი მოაბრუნა ჩემსკენ გაკვირვებულმა ლიმონამ.

— შეგიყვარდა-მეთქი?

— ვინ — მკითხა ლიმონამ.

— ვითომ არ იცი!

— მაინც ვინ?

— ნუნუ!

— რომელი ნუნუ?

— ნუნუ ექიმი! — ვუთხარი და სუნთქვა შემეკრა, ლიმონა დიდხანს დუმდა.

— შენ, ჩემო ზაზა, იმის გარდა, ჰარიფი რომ ხარ, სულელიც ყოფილხარ? — მითხრა ბოლოს.

— რომ გენახა როგორ — მიხვედი, როგორ აიყვანე ხელში, როგორ წაუკითხე ლექსი და როგორ უყურებდი, მაგას არ მეტყოდი, — ვუთხარი მე.

— რასაც შენ ამბობ, ეგ ყველაფერი მაიმუნობაა და ბითურობა.

— რომ ტიროდი?

— ყველა პატიმარს თვალები სველ ადგილას აქვს.

— მეც რომ ვტიროდი?

— შენ რა, პატიმარი არა ხარ?

— თვითონ ნუნუ?

— იმას ყველა პატიმარი ერთნაირად ეცოდება.

—არასოდეს არ გყვარებია?

— მიყვარდა პირველი კლასიდან მესამე კლასამდე, ერთი გოგონა, ნელი ერქვა. მასწავლებელი ქუჩაზე გადასვლის დროს რომ გვაწყვილებდა, ის სულ ჩემთან ხვდებოდა ხოლმე.

— მერე?

— მერე არაფერი, იმის შემდეგ აღარავინ მყვარებია, უბრალოდ შეყვარებას ვერ ვასწრებ, ძალიან მალ-მალე მიჭერენ! — ამოიოხრა დევდარიანმა.

— მაშ ამბობ, არ გიყვარს? ჩავეკითხე ლიმონას.

— როგორ არ მიყვარს, ბიჭო მიყვარს კი არა, ვგიჟდები, მაგრამ ნუნუ ექიმი კი არ მიყვარს, ჩემს სიყვარულს სათაური არა აქვს; ნუნუ, მანანა, ქეთინო, თამარი და ჟოზეფინა. მე საერთოდ მიყვარს, ქალი მიყვარს, გაიგე? ქალი და სილამაზე. — თქვა დევდარიანმა და ნარზე წამოჯდა. გულზე მომეშვა, თითქოს უზარმაზარი ლოდი ჩამომეხსნას მხრებიდან.

— ნუნუ ექიმი ძალიან ლამაზია, არა ლიმონ! — ვკითხე.

— არა! — მიპასუხა.

— როგორ თუ არა? — გამიკვირდა მე.

— აი, ისე, ახლა მე და შენ პატიმრები ვართ დამშეული, ქალსმონატრე-

ბული პატიმრები და ეგ ჩვენი ექთანი მზეთუნახავად გვესახება, თორემ გარეთ ეგ ჩვეულებრივზე უფრო ჩვეულებრივი, საშუალო გოგოა! — თქვა დევდარიანმა.

— რას ამბობ, ლიმონ, ეგეთი ლამაზი გოგო ჯერ არ მინახია! — გამიკვირდა მე.

— შენ, ლოთიანად, შეყვარებული ხომ არ ხარ? — მკითხა ლიმონამ.

— ვარ და, მერე როგორ! — ვთქვი მე და სირცხვილისაგან ყურები ამეწვა.

— ვაა, გამოდის, რომ უყვარს!!! — თავისთვის თქვა ლიმონამ.

— მიყვარს, ლიმონ, მიყვარს! — დავუდასტურე მე.

— გესიზმრება ღამით?

— როდის დამესიზმრება, მთელი ღამეები ჭოტივით მღვიძავს. — ვთქვი გულდაწყვეტილმა.

— მაშ არ გესიზმრება?

— ხილვები მაქვს ლიმონ!

— ხილვები რა ოხრობაა?

— მელანდება, თქვენ რომ გძინავთ, მთელი ღამე დადის საკანში, ხან გაქრება ხან გამომეცხადება...

— დევდარიანს უცებ გაეცინა.

— რა გაცინებს? — ვკითხე მე.

— ახლა კი მჯერა, მკვლელი რომ არა ხარ!

— რატომ?

— იმიტომ, რომ მკვლელებს, მთელი ღამე, ქალები კი არა, მოკლულები ელანდებათ.

— შენ რა იცი?

— ვიცი!

— საიდან?

— დილით ტიგრანას ჰკითხე, გეტყვის. ახლა დაიძინე! — თქვა დევდარიანმა და გადაბრუნდა. მეც გადავბრუნდი, ერთ ხანს ვიწრიალე.

— ლიმონ — დავუძახე ისევ.

— კაცო, გძინავს მგონია, თუ ისევ ნუნუ ექიმთანა ხარ?

— იქა ვარ, ლიმონ, იქ!

— ნეტაი შენ!

— ლიმონ, მე მგონი ქვეყნად ყველაზე დიდი გამოგონება მაინც ქალია, რას იტყვი შენ? — ვკითხე ლიმონას და პასუხის მოლოდინში გავიტრუნე.

— მე მგონი, ჰო! — თქვა ლიმონამ დიდი ხნის შემდეგ.

— ყველაზე დიდი გამოგონება ქვეყანაზე ანბანი, დროშა და ჰიმნია, რადგან სამთავე თავისუფლების სათავეა. — თქვა უცებ ბატონმა ისიდორემ ისეთი ხმით, რომ ჟრუანტელმა დამიარა.

— ძია ისიდორე, არ გძინავს? — ჰკითხა — დევდარიანმა.

— არ მძინავს!

— თქვენ რაღა მოგივიდათ, ძია ისიდორე?

— მოკლული მელანდება, შვილო!

— ხუმრობთ, ძია ისიდორე!

— ვხუმრობ კი არა, კიდევ რამდენიმე ღამე და, მოვკვდები.

— რას ამბობთ, ძია ისიდორე, სიკვდილამდე ჯერ გრძელი გზაა. — დაამშვიდა დევდარიანმა.

— ყველაზე გრძელი გზა ის არის, რომ წახვალ და უკან ვეღარ დაბრუნდები. გაიგე?

— ვერა! — უთხრა დევდარიანმა.

— საწყენია! — თქვა თავისთვის ძია ისიდორემ. და ხმა აღარ ამოუღია. არც მე და დევდარიანს გვითქვამს რამე. გატრუნულები ვიწექით...

მერე მე ისევ გამომეცხადა უზარმაზარი თბილი მზე. იმ დღეს იგი იმხელა იყო, ჩვენი საკნის ფანჯარაში ვერ შემოეტია, მაშინ მზემ სხივი გამომიწოდა ხელივით, ფრთხილად მომხვია მხრებზე, ნარიდან წამომაყენა და თან გამიყოლა...

ხილვა მეოთხე

ნუნუ ექიმი გულაღმა იწვა ლოგინში. თეთრი მკლავები თავქვეშ ამოედო და სისხლივით წითელი თმები დაფენოდა გაღეღილ მკერდზე. თვალები ოდნავ გაეღო და ძილღვიძილში ნეტარებით ნახული საიდანღაც შორეული სიზმრიდან მიცქერდა. მე წყნარად ვიჯექი მისი საწოლის კიდეზე და მოთმინებით ველოდი, როდის გამოფხიზლდებოდა საბოლოოდ, როდის გაახელდა თავის დიდრონ, თაფლისფერ თვალებს, როდის წამოჯდებოდა გაკვირვებული საწოლზე, გაშლიდა მკლავებს და იტყოდა თავისი თბილი და დაბალი ხმით — ზაზა, ჩემო ზაზა!

დიდხანს ვიჯექი, მოლოდინით გატრუნული და ბოლოს მივხვდი, რომ მან უკვე დიდი ხანია გაიღვიძა, დიდი ხანია მიმზერდა, მხედავდა და სრულებითაც არ უკვირდა, რომ ვიღაც მის საწოლზე იჯდა, უცქერდა მის ლამაზ შიშველ მკერდს, რომ ეს მე ვიყავი ზაზა, და სხეული არ გამაჩნდა.

— შენ მზის სხივს წამოჰყევი? — მკითხა მან და სარკმელში შემოსულ მზის სხივს თვალმოჭუტულმა ირიბად გახედა.

— მზის სხივს წამოვყევი.

— რატომ პირველად დედაშენთან არ მიდი? — ისევ მკითხა მან.

— დედა მოიცდის, დედა სად წავა!— ვუპასუხე მე.

— საწყალი დედები, ალბათ, მეც როდესაც დედა გავხდები და ჩემი შვილი — მკვლელი, მეც მოვიცდი. დედა ვიქნები და აბა სად წავალ, არა? — მკითხა მან და რაღაც უცნაურად, შიგნიდან გაიცინა. სახე არც გატოკებია, მხრები და მკერდი უთახთახებდა მხოლოდ.

— შენც ეჭვი გეპარება, რომ მე მკვლელი არა ვარ? — ვკითხე და ისე დამწყდა გული, თითქოს მე თვითონ შემპარვოდა ეჭვი ჩემს თავში.

— ორი თვე გავიდა, ორი შემზარავი მოლოდინის თვე, ეს ორი თვე შეძლება ორ წლად, ექვს წლად, ათ წლად, თხუთმეტ წლად იქცეს.

— ამდენს არ გთხოვ, ერთ წელიწადს დაიცადე! — ვთხოვე მე.

— რატომ? — მკითხა მან.

— ერთ წელიწადში ყველაფერი გაირკვევა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

— რომ არ დაერქვას?

— მერე თავისუფალი ხარ.

— ახლა რატომ არ ვარ თავისუფალი?

— ახლა არ გაქვს უფლება არ მოიცადო.

— მე ამ საქმეში არავითარი ბრალი და წილი არ მიდევს, მე არ ვარ ვალდებული ვიცადო და ვერც ვერავინ მაიძულებს **მოცდას.**

— არც მე მიდევს ბრალი არაფერში, მაგრამ ვიცდი, მაცდევინებენ.

— შენ პატიმარი ხარ და ციხეში ზიხარ.

— შენც პატიმარი ხარ და ციხეში ზიხარ.

— საიდან, როგორ?

— მე ვარ შენი ციხე, ურდული და საკანი.

— მე უბრალო ვარ, შენ კი— ეჭვმიტანილი.

— დღეიდან შენც ეჭვმიტანილი ხარ!

— იქნებ ის არის ჩემი დანაშაული, რომ ყოველდღე მოვდივარ და ლუმინალს გალევინებ, მაგრამ შენისთანა ხომ ათასი მყავს, ან ის, რომ ერთხელ ღამით დედაშენი იყო ჩემთან, მუხლებში ჩამივარდა და მთხოვა შენთვის წერილი გადმომეცა, და მე დავეთანხმე, მაგრამ მე, შენ კი არა, დედაშენი შემეცოდა მაშინ, იგი იმ წუთს ძალზე გავდა მომაკვდავ დედაჩემს, რომელიც ხელს არ მიშვებდა, მაგრამ ვეღარ მეუბნებოდა რა უნდოდა, რას მთხოვდა... და ამიტომ დავეთანხმე დედაშენს წამომეღო წერილი... მე არც კი ვიცი, რა

ეწერა იმ წერილში... — თქვა ნუნუ ექიმმა და სინანულით შემხედა.

— იმ წერილში დედა მთხოვდა ყველაფერი მართალი მეთქვა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მხოლოდ სიმართლეა თავისუფლების სათავეო.

— თუ მკვლელი ხარ?

— დედამ იცის, რომ მე მკვლელი არ ვარ.

— მე შენს შესახებ არაფერი არ ვიცი ვინა ხარ შენ, საიდან მოდი ჩემს ცხოვრებაში. რა გინდა?

— მე ვარ ზაზა ნაკაშიძე, ძე ნოესი, მე და მამაჩემმა მივეცით კაცობრიობას მეორე დასაბამი და შენ ხარ მეუღლე ჩემი იმ დღიდან, მე შენ მიყვარხარ უხსოვარ დროიდან მე ახლა ბრალს გდებ შენ.

— რაში?

— ქმრის ღალატში, მკვლელობაში, მეძავეობაში, ქურდობაში, გამფლანგველობაში, მექრთამეობაში, სამშობლოს ღალატში.

— კიდევ?

— ყველაფერში. შენ ჩემთან ერთად მიგაყენებენ კედელთან და დაგხვრეტენ.

— მერე?

— მერე შენ მოკვდები და არავის აღარ დაინტერესებს, ვინ იყავი, იყავი თუ არა დამნაშავე.

— მერე?

— მერე შენ დაგმარხავენ.

— მერე?

— მერე, მერე შენ არავინ დაგიტირებს, შენ საფლავს არავინ მოუვლის.

— მერე?

— მერე შენ დალპები.

— მერე?

— მერე შენ თავზე სხვას დაგამარხავენ

— მერე?

— მერე შენც იქცევი მიწად და რასაც დათესავენ შენზე სულ შხამად და გესლად ამოვა.

— მერე?

— მერე შენ მიწადაც არ ივარგებ და შენ გამოგწვავენ, აგურს გააკეთებენ შენგან.

— მერე?

— მერე შენგან ააშენებენ სახლს და ისიც დაიმსხვრევა, დაემხობა და უამრავ უდანაშაულო ხალხს შთანთქავს.

— მერე?

— მერე შენ შემოგლობავენ ეკლიანი მავთულით და მოწამლულ, დამღუპველ ზონად გამოგაცხადებენ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შენ იქნები ბუდე ყოველგვარი ბოროტებისა.

— ვინ მიყენებს ასეთ მძიმე ბრალდებას?

— მე.

— შენ ვინ ხარ?

— მე ვარ, ეჭვმიტანილი, მაგრამ ცამდე მართალი კაცი.

— მერე და, არ გეცოდები, რომ ცამდე მართალი კაცი ცამდე მართალ კაცს ასეთ უსაშველო შემაძრწუნებელ ბრალდებას მიყენებ?

— არ მეცოდები.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე არავის არ ვეცოდები.

— არ გრცხვენია?

— არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩემს გარშემო ბევრს არაფრის არ რცხვენია.

— მერე და, ასე როგორ ცხოვრობთ?

— ვინ გითხრა, რომ ვცხოვრობთ, ვჯახირობთ!

— ან როგორ არსებობთ?

— აი ასე, როგორც ხედავ.

— ყველანი კაცობრიობის მეორე დასაბამიდან შენსავით ეგოისტები იყვნენ თუ შემდეგ გახდნენ?

— ან გახდნენ, ან იყვნენ.

— შენ რაღა მოგივიდა?

— არ ვიცი, ნუნუ, არ ვიცი. მიშველე რამე, თორემ ვიღუპები!

— ვთხოვე მე, მის წინ დავიჩოქე, თავი მკერდზე დავადე და ავტირდი.

მან მომხვია თავისი თბილი მკლავები, აბრეშუმივით შრიალა თმა თავზე გადამაფარა და ნანავი დაიწყო.

— ზაზა, ჩემო ზაზა, საწყალო ზაზა, ეს რა მოგსვლია, ბიჭო! ნუ გეშინია, ათას წელიწადს დაგელოდები. სიცოცხლის იქით თუ შეიძლება ლოდინი, იქაც დაგელოდები, როგორ მიყვარხარ, ზაზა, ოი, როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე, ასეთი, როგორიც ხარ, მტყუანიც, მართალიც, შეშინებულიც, მკვლელიც და მოკლულიც, ვაი, როგორ მიყვარხარ, როგორ, როგორ, როგორ, ოი, ასე უსხეულო, უსახო, თითქმის არაფერი, ერთი პატარა ამოსუნთქვა, მზის სხივზე დაკიდებული. ზაზა, ჩემო ზაზა... — ასე მოსთქვამდა და დამტიროდა დიდხანს, მერე დადუმდა.

— ადექი ახლა და წადი. — მითხრა ბოლოს. — ოღონდ წასვლის წინ ფარდა ჩამოუშვი, თორემ მზე თვალებში მიყურებს. — მე ავდექი და ფარდა ჩამოვუშვი. ნუნუმ თვალები დახუჭა და ძილში შებრუნდა.

ზნედაცემული ანგელოზი

დილით ზედამხედველმა გაგვაღვიძა.

— Подьем! — ხმაცივად გაჰკიოდა დერეფანში, თან კარებზე გასაღებს აკაკუნებდა უსაშველოდ. ზანტად წამოვიშალეთ. ზედამხედველმა კარი გააღო.

— მამასახლისი რომელია?

— მე ვარ! — თქვა გოგოლმა და თვალები მოიფშვნიტა.

— გამოდი, ბიბლიოთეკა წაიღე! — თქვა ზედამხედველმა. წავიდა და კარი ღია დატოვა.

— ბიბლიოთეკა, თორემ თქვენც სულ სახარება და ღვთის რჯული გაქვთ. —ჩერნიშევსკი, წადი, შენ ამოარჩიე! — მიუბრუნდა გოგოლი გამცემლიძეს და ისევ წამოწვა. გამცემლიძემ საკნის კუთხეში თაროზე დაწყობილი ათიოდე ძველი წიგნი აიღო და ახლის მოსატანად გავიდა.

წიგნი საკანში დიდად არავის ეპიტნავება. ძირითადად ბიბლიოთეკის კარტოტეკა უცვლელია და ერთი კვირის შემდეგ, უკვე წაკითხული წიგნი ბუმერანგივით უკან გიბრუნდება. მაგრამ ბიბლიოთეკის მოსვლა მაინც დიდ აჟიოტაჟს იწვევს. — ბიბლიოთეკა მოვიდაო! რომ გამოაცხადებს ზედამხედველი, ასე გგონია, რაც მსოფლიოში საინტერესო წიგნებია, ყველამ ფეხი აიდგა და შენს სანახავად მოვიდა. გარდა ამისა, რაღაცის მოლოდინია, იმედია, რომ რაღაც უსაშველოდ საინტერესო შეგხვდება, რომელიც ერთი დღით მაინც დაგავიწყებს შენს გაჭირვებას და ამ ყელში ამოსულ ხიფათებს. ციხეში წაკითხულ წიგნს ის უპირატესობა აქვს გარეთ წაკითხულ წიგნთან შედარებით, რომ ციხეში წიგნის გმირი ძალიან სწრაფად და უშუალოდ შემოდის შენს ცხოვრებაში, შენ მას არ სწონი აფთიაქის სასწორზე და კბილს არ უსინჯავ კრიტიკოსივით, ისე ღებულობ მას, როგორც არის, რადგან კაცი გაკლია, ახლობელი, მანუგეშებელი და ამიტომ გარედან მოსული კაცი ნუგეშია შენთვის, თუნდაც იგი წიგნიდან იყოს მოსული.

გამცემლიძე ბუზღუნით შემობრუნდა საკანში, წიგნები მაგიდაზე დაყარა და თავის ნარზე წამოწვა. პატიმრები წიგნებს ეცნენ. ჭიდაობის თავი არ მაქვს, ვიცადე, ვიდრე ყველამ ამოირჩია წიგნები და მერე მივედი მაგიდასთან. ორი წიგნი აღმოჩნდა უპატრონო: მაქსიმ გორკის წერილები „Времена Короленко“ და ბროშურა „Русскому трамваю 60 лет“

მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ მქონდა წაკითხული, მაინც გორკი ავიღე.

— ზაზაჯან, რაღაც Минеральный წიგნი შემხვდა, „მარილის აკვანი“, ხომ არ იცი რა არის? — მკითხა ტიგრანამ, როდესაც გვერდით ჩავუარე.

— კარგი მოთხრობაა, წაიკითხე! — ვუთხარი მე და ნარზე წამოვწექი. — ჩერნიშევსკი არ იყო? — ვკითხე გამცემლიძეს. გამცემლიძემ უნდობლად შემხედა. როდესაც მიხვდა, რომ არ დავცინოდი, ამოიხრა.

— მაქსიმ გორკის ხომ არ წაიკითხავთ? — ვკითხე ისევ.

— წაკითხული მაქვს — მომიჭრა და გადაბრუნდა.

— გამცემლიძე, რას ჩააცივდი ამ ჩერნიშევსკის, ხომ ხედავ, არ არის! — უთხრა ტიგრანამ.

— ჩემს გონებას, ბატონო, პოლიტიკური საზრდო ჭირდება, პოლიტიკური ლიტერატურა, თქვენსავით კი არ მაქვს გადაგლესილი ტვინის ხნულები...

— კარგი, თუ ძმა ხარ, ხნულები, თორემ შენც სულ ტრაქტორები და კულტივატორები დაგიდის ტვინში, რაცა ხარ, ჩემსავით პარაზიტი ხარ და იმიტომ აგდიხარ აქ ჩემთან ერთად. ჩერნიშევსკის წაკითხვა თუ გინდოდა, გარეთ უნდა წაგეკითხა, ციხე საჯარო ბიბლიოთეკა არ არის. თუ გინდა, რასაც ჩვენ ვკითხულობთ, ის წაიკითხე და თავო ჩემო იმღერე, თუ არა და, წადი... — გაუშვა ტიგრანამ.

— წადი კარგი სათქმელია, წავალ, დიახაც, რომ წავალ. აქ ყველანი შენსავით მკვლელები კი არ ზიან! — აღელდა გამცემლიძე.

— ზიან კი არა, სხედან! — გაუსწორა ტიგრანამ.

— ღმერთო, რას შემასწარი, ამის ქართული გამაოგნებს!!! — ააპარპალა თვალები გამცემლიძემ.

— ბოდიში, გამაოგნებს რა არის? — გულწრფელად ჰკითხა ტიგრანამ.

— ბოლვან! — თქვა გამცემლიძემ და კედლისკენ გადაბრუნდა.

— ბალვანი მამაშენია! — გაუსწორა ტიგრანამ.

— თავი დაანებე, ტიგრან, ხომ ხედავ, რომ სულელია! — დაამშვიდა ლიმონამ.

— ამხანაგო დევდარიანო, დაჟინებით მოვითხოვ, ჩემი მიმართულებით გამოსროლილი იდიოტური ფრაზეოლოგიის დახვეწას! — მოთხოვა გამცემლიძემ.

— წადი შენი, პოლიტიკური [illegible] ვატირე... — შეუკურთხა ლიმონამ.

— ნუ გვაშინებთ, აქ ქურდების დიქტატურა არ გახლავთ! — არ შეეპუა გამცემლიძე.

— არც გლეხების დიქტატურაა! — წამოჯდა საწოლზე დევდარიანი.

— კარგი რა, გაჩუმდი, ხომ იცი, რომ ციხე ქურდებისაა! — გააფრთხილა გამცემლიძე ჭეიშვილმა. — ასე არ არის, ჭიჭიკო? — ჰკითხა ახლა გოგოლს ჭეიშვილმა.

— მაგენისაა, მაგენის, გენაცვალე, ღმერთმა მოახმაროთ! — გადაულოცა გოგოლმა ციხე ქურდებს. გამცემლიძე დადუმდა. ერთი საათით სიჩუმე ჩამოვარდა, პატიმრები ისხდნენ წიგნში თავჩარგულები, მაგრამ ღმერთმა იცის, წიგნს კითხულობდნენ თუ საკუთარ სატკივარში იყვნენ წასული. მე მგონი ყველა თავისას ფიქრობდა, რადგან არც ერთი ფურცლის გადაფურცვლა არ გამიგონია. მარტო ისიდორე ბატონის მხრიდან ისმოდა წიგნის შრიალი, ისიც გულაღმა იწვა და ჭეიშვილის მხრიდან მოსულ თამბაქოს კვამლს ინიავებდა.

საოცარია პირდაპირ, აი, ერთად ვსხედვართ რამდენიმე თვეა მანამდე უცნობი ადამიანები, თითქოს და ყველაფერი ვიცით ერთმანეთის შესახებ, თითქოს გულახდილები ვართ ერთმანეთის მიმართ, თითქოს ვიხედებით ერთმანეთის სულში, და მაინც უზომოდ შორს ვართ ერთმანეთისაგან, და ეს სიშორე ჰორიზონტს გავს, რამდენ ნაბიჯსაც წინ გადადგამ. ზუსტად იმდენსავე ნაბიჯს ის დგამს უკან. ზოგი პატიმარი სელაპს ჰგავს. გლუვია, გულს ვერ მოუნახავ, ზოგი თევზივით არის, გგონია რომ ხელში გყავს, ოდნავ მოუჭერ და კალმახივით გისხლტება, იმის შიშით, რომ ლაყუჩში სტაცებ ხელს და ნაპირზე ამოათრევ, ზოგი პატიმარი მგელივით არის, გატრუნული და გა-

ბოროტებული, ზოგი გველივით გალუ-
რსული და, იმის შიშით, რომ ფეხს და-
ადგამ, შხამი სულ მუდამ მზად აქვს.
ზოგი შველივით არის დამფრთხალი,
მაგრამ გასაქცევი არ აქვს არსად და
იძულებულია ხან სელაპად, ხან მგლად,
ხან თევზად, ხან გველად, ხან რად და
ხან რად მოგაჩვენოს თავი. ზოგი კი
ულღიაა, რაც არის ის არის, შეგუე-
ბულია თავის მდგომარეობას და უც-
დის რაღაცას, ის რაღაცა არავინ არ
იცის რა არის და როდის მოვა, მაგრამ
ის რაღაცა მაინც მოდის ხან დროზე,
ხან უდროოდ და ყველას, ვინც არ უნ-
და იყოს ის, რაც არ უნდა იყოს, ელ-
დება თუ არა, ერთ მშვენიერ დღეს
გამოეცხადება და ყველაფერს თავის
სახელს დაარქმევს. ყველას თავისას
მიუზღავს და ყველას თავისას მიართ-
მევს მისსლობით აწონილს.

ზოგი პატიმარი ამას ღმერთს ეძახის,
ზოგი ბედს, ზოგი იღბალს, ზოგი ვარ-
სკვლავს და ზოგიც სამართალს...

მეც პატიმარი ვარ და უკვე სამი
თვეა ველოდები ამ სამართალს, ვე-
ლოდები როდის გაიღება კარი და რო-
დის გამომეცხადება იგი, როდის დამა-
დებს თავის მართალ ხელს მხარზე და
მეტყვის: — ზაზა ნაკაშიძე, ადექი და
გამომყევი!

* * *

— გამცემლიძე, საბრალდებულო და-
სკვნა ჩაიბარე! — გამოუცხადა ზედამ-
ხედველმა და გაფითრებულ გამცემ-
ლიძეს ორად გაკეცილი ქაღალდების
დასტა გადასცა. გამცემლიძემ ხელის
კანკალით ჩამოართვა საბრალდებულო
დასკვნა, საკანს შეშინებული თვალი
მოავლო, მერე ქაღალდები სწრაფად ჩა-
იკუჭა ჯიბეში და ადგილზე დაჯდა. ზე-
დამხედველი წავიდა. საკანში ჯერ ჩო-
ჩქოლი გაისმა, შემდეგ სამარისებური
სიჩუმე ჩამოვარდა. უჩვეულო რამ
ხდებოდა. ციხის დაუწერელი კანონე-
ბის თანახმად, ყველა პატიმარი ვალ-
დებულია საბრალდებულო დასკვნა სა-
კნის მამასახლისს გადასცეს წასაკით-
ხად, რადგან პატიმრებმა უნდა იცოდ-
ნენ ვისთან სხედან და რა დანაშაული-
სთვის ზის მათი თანამესაკნე. გამცემ-
ლიძემ კი ეს წმიდათაწმიდა წესი დარ-
ღვია... სიტუაცია იმდენად დაიძაბა,
რომ ვიგრძენი საკანში ჰაერი გახურდა
და დაცხა... ყველა ნერვი ერთმანეთში
გადაიხლართა და უკიდურესობამდე
დაიძაბა, ახლა თითქოს ერთი ყველასა-
თვის საერთო დედანერვი იყო გაბმუ-
ლი მთელი საკნის სიგრძეზე, ყოველი
ჩვენთაგანი შეერთებული იყო მასთან
უხილავი ძაფებით და საკმარისი იყო
რომელიმე ჩვენთაგანს გაუფრთხილებ-
ლად მოეზიდა საკუთარი ნერვი, რომ
ეს დედანერვი მაღალი ძაბვის დენში
ჩართული მავთულივით გამსკდარიყო...
და ამ ნერვს პირველად გოგოლი შეე-
ხო, მაგრამ რაც შეიძლებოდა ფრთხი-
ლად, რადგან მამასახლისი იყო და
იცოდა გაუფრთხილებლობას რა შეიძ-
ლებოდა მოყოლოდა.

— გამცემლიძე, ბოდიშს ვიხდი, მაგ-
რამ ცოტა უხერხული ხომ არ არის
შენი საქციელი? — ჰკითხა მან საქციე-
ლწამხდარ გამცემლიძეს.

— რაში გამოიხატება ჩემი საქციე-
ლის უხერხულობა, ამხანაგო მამასახ-
ლისო? — გაიკვირვა გამცემლიძემ.

— იმაში, რომ ჩვენ აქ ყველანი ერ-
თნაირი უფლებებით ვსარგებლობთ,
გამცემლიძე... — გოგოლმა პაუზა გაა-
კეთა, მერე დევდარიანისაკენ გაიხედა
და დააყოლა: — ქურდების გარდა. ჰო-
და, შენ თუ იცი, ვინ რაზე ზის... —
გოგოლმა ისევ გააკეთა პაუზა და ახლა
ტიგრანას გახედა, ტიგრანას ხმა არ
ამოუღია. ის და დევდარიანი ფეხიფეხ-
ზე გადადებულები იწვნენ და საქმეში
არ ერეოდნენ.

— ვინ რაზე სხედს, — გაასწორა
ტიგრანამ.

— და ვის რა დანაშაული ჩაუდენია,
ამიტომ, მოგვეცი უფლება, ჩვენც ვი-
ცოდეთ რაზე ზიხარ, ბოლოსდაბოლოს,
და ვინ ხარ შენ! — დაამთავრა გოგოლ-
მა.

— ვერ გავიგე რა გინდათ ჩემგან!— ნერვიულად თქვა გამცემლიძემ.

— საბრალდებულო დასკვნა ჩააბარე მამასახლისს, როგორც წესია. — უთხრა შოშიამ.

— რის საბრალდებულო დასკვნა, რა საბრალდებულო დასკვნა, ვინ არის აქ ბრალდებული და ბრალმდებელი, ვინ არის დამნაშავე და უდანაშაულო! — აყვირდა გამცემლიძე.

— წაგვიკითხე! — დაჟინებით მოითხოვა შოშიამ.

— აქ შეიძლება ათასი სისულელე ეწეროს! — ააფრიალა საბრალდებულო დასკვნა გამცემლიძემ. — რა არის საბრალდებულო დასკვნა?! აი, შენ, — მიუბრუნდა იგი ტიგრანას, — მკვლელობას გაბრალებენ, მოჰკალი კაცი? — ჰკითხა გამცემლიძემ. ტიგრანა უხერხულად შეიშმუშნა.

— მოჰკლა! — თქვა დევდარიანმა.

— შენ რა იცი? — ჰკითხა გამცემლიძემ.

— ვიცი! — მოუჭრა ლიმონამ.

— მართლა მოჰკალი? — ჩაეკითხა გამცემლიძე ისევ ტიგრანას. ტიგრანამ თავი ჩაღუნა.

— შენ აიღე ქრთამი? — ეცა ახლა მებურიშვილს გამცემლიძე.

— გააჩნია რას უძახი შენ ქრთამს! — ვერ გაბედა მთლად უარის თქმა მებურიშვილმა.

— შენ? — ეცა იმედგაცრუებული გამცემლიძე ჭეიშვილს.

— გამცემლიძე, აქ მხოლოდ ორი კაცია, რომელსაც არ მოუკლავს, არ მოუპარავს, ქრთამი არ აუღია და საერთოდ არაფერი დაუშავებია: ბატონი ისიდორე და ზაზა ნაკაშიძე. აბა ადგეს რომელიმე თქვენგანი და თქვას, რომ მე მართალი არა ვარ! — თქვა დევდარიანმა.

— მე, მე ვარ უდანაშაულო! — იკივლა გამცემლიძემ.

— ჯერ შენ არ გითქვამს რაში გედება ბრალი! — უთხრა ლიმონამ, — მიეცი მამასახლისს საბრალდებულო დასკვნა!

— არავის არაფერს არ მივცემ, მე არ მყავს მამასახლისი, ჩემი თავის მამასახლისიც მე ვარ, მე პაპუასი არ ვარ, წინამძღვრები და ბელადები რომ მეჭირდებოდეს. ეს ტირანიაა. და ნუ მაშინებ! — მიუბრუნდა იგი ლიმონას. — მე არავისი არ მეშინია. „მე ფიცი მაქვს დადებული ღვთის საკურთხეველთან, რომ ადამიანის გონებაზე, ტირანიის ნებისმიერი გამოვლინების, დაუძინებელი მტერი ვიქნები მარად“. — თქვა ამერიკის თავისუფლების დეკლარაციის მამამ ტომას ჯეფერსონმა. — და მეც ვიმეორებ ამას. — ლიმონამ ხმა არ გასცა.

— წაართვით მაგას მაგი საბრალდებულო დასკვნა! — თქვა ჭიჭიკო გოგოლმა. გამცემლიძემ საბრალდებულო დასკვნის ერთხელ გადახედვა მოასწრო და პარაშისაკენ გაიქცა, რომ შიგ ჩაეყარა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ჭეიშვილსა და გულოიანს იგი ჯვარცმულივით ჰყავდათ გაკრული კედელზე. ჭიჭიკო გოგოლმა ძირს დაპნეულ ქაღალდები აკრიფა, მერე ზედა ნარზე აძვრა და გამცემლიძის საბრალდებულო დასკვნის წასაკითხად მოემზადა.

— გაუშვით! — თქვა მან, ვიდრე კითხვას დაიწყებდა. ჭეიშვილმა და გულოიანმა გამცემლიძეს ხელი გაუშვეს. იგი ადგილიდან არ დაძრულა, იქვე ჩაცურდა კედელთან, ცემენტის იატაკზე დაჯდა და საკუთარ ფეხებს დააშტერდა.

— ტომას ჯეფერსონი, რაც წეღან თქვი, იმას რომ ამბობდა, გამცემლიძე, პრეზიდენტი იყო, ორი მილიონი ჯარი ჰყავდა და ორასი მილიონი კაცი უჭერდა მხარს კიდო! — შეახსენა გოგოლმა და საბრალდებულო დასკვნის კითხვა დაიწყო: ეს იყო ქაღალდზე გადატანილი მჭევრმეტყველების უბადლო ნიმუში და საბრალდებულო დასკვნა — შედევრი.

საბრალდებულო დასკვნა ბრალდებისა გამო

ვიაჩესლავ რაჟდენის ძე გამცემლიძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118 მუხლის გამო.

წინამდებარე საქმე აღიძრა 1972 წლის 20 ნოემბერს ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის პროკურატურაში.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია შემდეგი:

1972 წლის 24 ოქტომბერს, დაახლოებით 23 საათსა და 30 წუთზე, ვიაჩესლავ რაჟდენის ძე გამცემლიძე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მივიდა ჭავჭავაძის პროსპექტ № 761-ში მდებარე თავისი მეგობრის ვახტანგ კირილეს ძე გამყრელიძის ბინაშიც (რომელიც ამჟამად პატიმრობაში იმყოფება) და მის მეუღლეს ელენე აბიბოს ასულ გაჟონიას გადასცა ფული 100 მანეთი. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც დაზარალებული გაჟონია უჩვენებს, ბრალდებულ გამცემლიძეს, როგორც ადრე მისი მეუღლის უახლოეს მეგობარს, ადრეც აღმოუჩენია დაზარალებულისთვის მატერიალური დახმარება, მაგრამ, ამჟამად, 100 მანეთის საფასურად, ანუ სანაცვლოდ ბრალდებულმა გამცემლიძემ დაზარალებულ გაჟონიას მასთან სქესობრივი ურთიერთობის დამყარება შესთავაზა. დაზარალებულმა გაჟონიამ, მიუხედავად იმისა, რომ აგერ რამდენიმე წელია ქმარგარეშე მდგომარეობაში იმყოფება, სასტიკი უარი განუცხადა ბრალდებულ გამცემლიძეს, მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებაზე, თუმცა ადრეეც ამჩნევდა ბრალდებულს არაგულგრილ გამოხედვას. მაშინ ბრალდებული (ცოლშვილიანი) ვიაჩესლავ რაჟდენის ძე გამცემლიძე გამგელებული ხარივით ეცა დაზარალებულ ელენე გაჟონიას სქესობრივი ჟინის მოსაკლავად. დიდხანს ითმინა დაზარალებულმა გაჟონიამ, რათა ხმაურით მეზობლების ყურადღება არ მიეპყრო. მაგრამ ბრალდებული გამცემლიძე არა და არ მოეშვა, მაშინ დაზარალებული გაჟონია იძულებული შეიქმნა ისე გამეტებით ეკბინა ბრალდებული გამცემლიძისათვის მარცხენა მხარზე, რომ მას ბღავილი აღმოხდა. უკანასკნელის ბღავილზე მეზობლები შემოცვივდნენ და მოწმენი გახდნენ იმისა, თუ როგორ ახევდა ტანზე კაბას ბრალდებული გამცემლიძე დაზარალებულ გაჟონიას, როგორ სცემდა მას და როგორ მიიწევდა მასზე, მასთან სქესობრივი, ინტიმური კავშირის დასამყარებლად...

გოგოლმა კითხვა შესწყვიტა და საკანს თვალი მოავლო. პატიმრები მუნჯებივით ისხდნენ და ფართოდ გახელილი, გაკვირვებული თვალებით უცქერდნენ გამცემლიძეს, ყოველივე ეს ისევე მოულოდნელი იყო მათთვის, როგორც მოწმენდილ ცაზე მეხის გაჟარდნა. გოგოლი ჩამოვიდა ნარიდან, მივიდა თავჩაქინდრულ გამცემლიძესთან და მის წინ დადგა. **გამცემლიძემ** უმწეოდ ამოხედა.

— ტყუილია! — უთხრა მან გოგოლს და ისევ ჩაქინდრა თავი. მაშინ გოგოლმა ხელის ერთი დაქნევით ჩამოგლიჯა გამცემლიძეს მარცხენა სახელო და ჩვენ ყველამ დავინახეთ მის შიშველ მხარზე მუქი ლურჯი ლაქა. ეს იყო ნაკბენი. და გაწყდა ის ნერვი, საერთო ნერვი... შემდეგ მე თითქმის არაფერი არ დამინახია, პატიმრები ზრიალით მიცვივდნენ იმ ადგილს, სადაც გამცემლიძე იჯდა, და ლელოს მოთამაშეებივით შეჯგუფდნენ. ისმოდა მათი ხვნეშა და გამცემლიძის გაბმული ზმუილი. სისხლი თავში ამივარდა, მივვარდი შეჯგუფებულებს და მუშტების ცემა დავუწყე.

— რას შვებით, მკვლელებო, დაანებეთ თავი, მოკვდება, მოკვდება, მოკვდება, რას შვებით! —მერე მე მივვარდი კარებს და გიჟივით დავუწყე მუშტებისა და წიხლების ბრაგუნი. — უშველეთ, მოკლეს! — ვკიოდი მე,

ვიღაცამ მომგლიჯა კარს. რომ შევხედე, ჩემს წინ შეშლილი გოგოლი იდგა. მე ისევ კარისაკენ გავიქაჩე. მაშინ მან ძლიერად დამარტყა სახეში თავისი გაშლილი უზარმაზარი ტორი და მე გონება დავკარგე.

თვალი რომ გავახილე, საკანში უჩვეულო სიწყნარე იდგა. ყველანი თავიანთ ადგილებზე ისხდნენ, გოგოლისა და გამცემლიძის გარდა. სასთუმალს ბატონი ისიდორე მეჯდა.

— მე მართლა იმის დედა ავატირე, ვინც შენ მკვლელობა დაგაბრალა! — თქვა ტიგრანამ, თვალგახელილი რომ დამინახა და უიმედოდ ხელი ჩაიქნია.

— რა მოხდა, ძია ისიდორე? — ვკითხე მე და საკუთარი ხმა ვერ ვიცანი.

— ამ პატიმრებს რომ უყურებ, შვილო, ნახევარზე მეტს ცოლები შეგობრის იმედზე ყავს დატოვებული!.. — თქვა ძია ისიდორემ.

— მოკლეს?

— არა!

— გჯერათ თქვენ, ძია ისიდორე, რაც იქ ეწერა? — ვკითხე მე.

— არ ვიცი. ტოლსტოი ამბობს — Дьявол это падший ангел! თავიდან ისიც ანგელოსი ყოფილა, შემდეგ გამხდარა ზნედაცემული. მე ტოლსტოისა მჯერა. — მითხრა ძია ისიდორემ, ადგა ჩემი ნარიდან და საკუთარ ნარზე გადაჯდა.

პაემანი

ვიწრო და გრძელია პაემანის ოთახი. შიგ იმავე ოთახივით ვიწრო და გრძელი მაგიდა დგას, ასევე გრძელი ხის სკამებით შემოწყობილი. პაემანის დროს პატიმრები ერთ მხარეს სხდებიან, ჭირისუფალნი კი — მეორე მხარეს, ზედამხედველები მაგიდის თავსა და ბოლოში დგანან, თამადა — მოადგილესავით და დროდადრო აჩქარებენ მაგიდასთან მსხდომთ — მალე მორჩითო. პატიმრები და ჭირისუფლები ძალიან ხმადაბლა ელაპარაკებიან ერთმანეთს, რა თქმა უნდა, საკუთარ საქმეზე. პატიმრები, როგორც წესი, მეტს ლაპარაკობენ, რაღაცას აბარებენ, ეხვეწებიან გაუთავებლად ჭირისუფლებს და ისინიც, შეუძლიათ თუ არა დანაბარების ასრულება, მაინც თანხმობის ნიშნად თავებს უქნევენ, იმახსოვრებენ და ცრემლჩამდგარ თვალებს მჯიღებით ისრესენ. ამიტომ გვერდიდან რომ შეხედო, პაემანი საოცრად ჰგავს ქელეხს, აქაც ისევე, როგორც ქელეხში, როგორც კი მაგიდასთან მსხდომნი ჩურჩულიდან ხმამაღლა ლაპარაკზე გადავლენ და ბოლოს ხელების ქნევასაც დაიწყებენ, თამადა და მისი მოადგილე, წაჰსვლელ-დამრჩენის სადღეგრძელოს სვამენ, ჭირისუფალი მეორე ოთახში გაჰყავთ, ხოლო შეხვედრით მთვრალი პატიმრები თითო-თითოდ თავთავიანთ საკანში და პაემანი მთავრდება.

პაემანს თავისი დრო და წესები აქვს, იმიტომ, ზედამხედველმა რომ დამიძახა, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, მაგრამ მაინც გავყევი. რომ მომიყვანეს, პაემანის ოთახი ცარიელი დამიხვდა. ზედამხედველმა დამტოვა და სადღაც წავიდა. ესეც ძალიან გამიკვირდა, გრძელი მაგიდის ერთ თავში დავჯექი და მოპირდაპირე მხარეს კარს დავაშტერდი. კარი არ იღებოდა. მოლოდინისაგან გული გამიწვრილდა და ამიფართხალდა. უნებურად მაჯაზე მოვიკიდე ხელი და თვითონვე გამეცინა. მაჯა რად მინდოდა, როდესაც გულს ისეთი დაგადუგი გაჰქონდა, რომ, ალბათ, კარს იქით მდგარ ზედამხედველსაც კი ესმოდა. მერე ის კარი გაიღო და ოთახში თოვლივით სპეტაკი, ჩემი დედა შემოვიდა, მას ძველისძველი, მაგრამ კარგად შენახული, კოვერკოტის პლაშჩი ეცვა, ყელზე თეთრწინწკლებიანი ლურჯი ყელსახვევი ეხვია, ხელში კი შავი საკვოიაჟი და თერმოსი ეჭირა. იგი არ გამოქანებულა ჩემსკენ ვაითა და ვიშით, არც გულში ჩავუკვრივარ, უბრალოდ მაგიდის იმ თავში ჩამოჯდა

სკამის კიდეზე, თერმოსი და საკვოიაჟი მაგიდაზე დააწყო და წყნარად მითხრა:

— გამარჯობა, შვილო!

— გაგიმარჯოს, დედა! — მერე მან საკვოიაჟიდან ასანთი და სიგარეტი ამოიღო, ასანთს გაჰკრა და, სიგარეტთან მოსაკიდებლად რომ მიიტანა, უცებ ხელიცა და ნიკაპიც აუთრთოლდა.

— ოღონდ ნუ იტირებ, დედა! — ვთხოვე მე და ნერწყვთან ერთად ცრემლიც გადავყლაპე.

— ნუ გეშინია, შვილო, არ ვიტირებ, აღარა მაქვს ცრემლი, გამითავდა! — თქვა დედამ და, როგორც იქნა, სიგარეტს ცეცხლი მოუკიდა, მერე ადგა, თავისი ბარგი აიღო და შუა მაგიდასთან გადმოჯდა.

...ღმერთო, რამდენი სალაპარაკო მაქვს ამ ქალთან, რამდენი რამ მინდა დავაბარო, რამდენი რამ მინდა მოვუყვე და ვთხოვო, როგორ მინდა თავი ჩავუდო კალთაში, პატიება ვთხოვო იმ ტკივილისათვის, რაც მივაყენე და მერე ვიტირო დიდხანს, ვიდრე მასავით ცრემლები არ გამითავდება, როგორ ვნატრობდი ამ წუთს და, აი, ზის ახლა იგი, ჩემი დედა ჩემს წინ და მე დამბლადაცემულივით არც კი შემიძლია წამოვდგე, მოვეხვიო და გულში ჩავიკრა მისი თეთრი თავი. იგი, თითქოს მიმიხვდაო გასაჭირს, წამოდგა თავის ბარგიბარხანიანად და სულ გვერდით მომიჯდა. და მე უცებ დამიბრუნდა ის ველური, პირველყოფილი ყნოსვის ინსტინქტი, რომლითაც დედა და შვილი ცნობდნენ ერთმანეთს. მან სწრაფად და ქურდულად გაიხედ-გამოიხედა ოთახში, მერე სასწრაფოდ მოხადა თავი თერმოსს, მოხდილი სახურავი წინ დამიდგა და ხელის კანკალით დამისხა ცხელი, ქაფქაფა ყავა. ჭიქიდან ავარდნილმა ორთქლმა თავბრუ დამახვია და უდაბნოში დაკარგულ, ერთ თვეს მაცოცხლებელი წყლის ძებნაში, ხახაგამშრალ ბედუინივით დავეწაფე თუნუქის ჭიქას. ცხელი ყავა მწვავდა თითებს, ტუჩებს, ენას, სასას და მე ვერ ვგრძნობდი, ეს იყო ისეთი ნეტარება, რომლის აღწერა შეუძლებელია და, ვიდრე მე ყავას ვსვამდი, დედაჩემი, როგორც ძროხა ლოკავს ჩვილ ხბოს ჭამის დროს და სხვა არაფერი არსებობს მისთვის იმ ჟამად დედამიწაზე, ისე მისვამდა თავზე თბილ ხელს და ხმას არ იღებდა. მერე ჩვენ დაგვიბრუნდა მეტყველება.

— კიდევ გინდა, შვილო? — მკითხა დედამ. მე თავი დავუქნიე, მან ისევ დამისხა ყავა და მხოლოდ ახლა დავუწყე სმა ადამიანურად.

— კარგია?

— კარგი! —ყავა მართლაც დიდებული იყო, უფრო დინჯად და მდორედ მიდიოდა ძარღვებში.

— დედა, როგორ მოახერხე პაემანი, ძიება ხომ არ დაამთავრეს? — ვკითხე ვაუბედავად, რადგან გამოძიების ამ ეტაპზე დამთავრება ჩემთვის დაღუპვას ნიშნავდა.

— არა, შენთან, ალბათ, ახალი გამომძიებელი მოვა. — მითხრა დედამ და ისევ გადამისვა თავზე ხელი. — გადაგხოტრეს? — გამიღიმა მან.

— რა იცი, რომ ახალი გამომძიებელი მოვა?

— მინისტრთან ვიყავი! — თქვა დედამ. ჟრუანტელმა დამიარა.

— რომელ მინისტრთან?

— შინაგან საქმეთა მინისტრთან, აბა, სხვასთან ვისთან უნდა ვყოფილიყავი? — ახლა არ ვიცი, მაგრამ მაშინ რომ ვინმეს ეთქვა ჩემთვის ტელეპატია და წინათგრძნობა არ არსებობსო, ალბათ, ოთახიდან ვერ გამასწრებდა.

— როდის, დედა?

— 14 ივნისს. — საოცარი რამ ხდებოდა, ეს ზუსტად ჩემი სიზმარის დღე იყო. უნდა მოვუყვე დედას სიზმარი, მაგრამ ახლა მაგის დროა? ალბათ უკვე ერთი საათი გავიდა, მალე პაემანის დროც ამოიწურება, ალბათ ამოიწურა კიდევაც, ესეც რომ არ იყოს, დამიჯერებს კი?

— იცი, დედა, ის მინისტრი მე ვიყავი! — ვუთხარი დედას.

— რომელი, შვილო? — მკითხა დედამ ისე, რომ არც კი გაკვირვებია.

— აი, შენ რომ ელაპარაკე, ის მინისტრი მე ვიყავი! — გავუმეორე მე და გამეცინა.

— კარგია, შვილო, ხუმრობის ხასიათზე რომ ხარ! — გამიღიმა დედამაც.

— მართლა გეუბნები!

— სხვათა შორის, რაღაცაში გგავდა, — თქვა დედამ. — მაგრამ მინისტრ კაცს როგორ ვკადრებდი ჩემს პატიმარ შვილს გავხარ-მეთქი. ისე შვილოს ვეძახდი. — დედა დაფიქრდა. — მე შევპირდი, რომ შენ ყველაფერს მართალს მომიყვები. — თქვა დედამ და თვალი თვალში გამიყარა. — არ დამაღალატო, შვილო! — მთხოვა მან. მის ხმაში იმდენი მუდარა იყო, მე ყელში ბურთი გამეჩხირა, მაგრამ თავი შევიკავე და ის ბურთი ნერწყვთან ერთად ჩავყლაპე.

— დედა, მე და როსტომი არაფერ შუაში არ ვართ. რასაც ვამბობთ, ცამდის მართალია. ამას ხარაბაძე დაადასტურებს.

— იმ ჩვენი ცოდვით სავსე როსტომ ამილახვარს ისე დაურტყია ხარაბაძისათვის, შვილო, ეჭვი მეპარება, გონს მოვიდეს, და თუ მოვიდა, ნორმალურად იაზროვნოს. — თქვა დედამ.

— შენ ნახე? — ვკითხე მე.

— ვნახე, შვილო, და ნეტავ არ მენახა! — ამოიოხრა დედამ.

— რა სჭირს?

— უმიზეზოდ იცინის, შვილო, ხანდახან ამბობს ენას გვართმევენო.

— იმ ღამითაც ასე ლაპარაკობდა, ისევ იქ არის!

— უნივერსიტეტის დახასიათებას მთხოვს ვექილი.

— ჩემი ფაკულტეტის დეკანთან არ იყავი?

— ვიყავი, შვილო!

— რაო?

— ადგილკომის თავმჯდომარესთან გამგზავნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ?

— დახასიათებას ადგილკომები აძლევენო!

— მერე?

— ადგილკომმა მითხრა, ვერ მოგცემ დახასიათებასო!

— რატომ?

— ცნობა მომიტანე, რომ მკვლელი არ არისო და მოგცემო.

— საიდან მომიტანეო?

— საიდანაც გინდაო!

— მერე?

— მეზობლებისაგან მივუტანე შენი დახასიათება და არ მიიღო, მრგვალი ბეჭედი არა აქვსო! — გაეღიმა დედას.

— იდიოტი! ჩემი არჩეულია! — ვინანე მე.

— ეტყობა, შვილო, შენი არჩეული რომ არის. — თქვა დედამ.

— ახლა რა გვეშველება, დახასიათება არა გვაქვს, ის კაცი გონს ვერ მოდის... — ვთქვი სასოწარკვეთილმა.

— წამალი ყოფილა რაღაც იაპონური ანგინინი, ის უშველისო, — თქვა დედამ.

— მერე? — მომეცა იმედი.

— მერე რა, შვილო, სულ ორი ფლაკონი ყოფილა საქარფველოში —ერთს უკვე ალევინებენ ვიღაცას და ერთს ვიღაცისათვის ინახავენ, ვაითუ დასჭირდესო.

— სპეკულანტებში არ არის?

— არ ვიცი, რომც იყოს ისე ძვირი ღირს თურმე...

— დედა, შენი ჭირიმე, ხარაბაძეს ცნობიერება უნდა დაუბრუნდეს, გესმის შენ?!

— იქნებ არ ღირს, შვილო?

— შენც ასე ფიქრობ? — ვკითხე მე და გული შემეკუმშა.

— არა, შვილო, იმიტომ კი არ გითხარი, ვაითუ თქვენ დაგაბრალოთ.

— არა, დედა, არა, შენი ჭირიმე, გაყიდე მთელი საცხოვრებელი, რაც

გვაბადია, და ის წამალი იშოვე, დედა. იშოვე, თორემ ვიღუპებით.

— როგორ ფიქრობ, შვილო, ხარაბაძის ჭირისუფალი არ ეძებს ამ წამალს?, მაგრამ არ არის!

— დედა, გაყიდე ყველაფერი...

— რა გავყიდო, შვილო? — მკითხა დედამ.

მართლაც რა გაყიდოს? რაც დედა მახსოვს, სულ ვყიდით ყველაფერს. ჯერ არაფერი გვიყიდია და ახლა რა უნდა გაყიდოს საწყალმა დედამ? განა არ ვიცი, რომ არაფერია გასაყიდი?...

— ისესხე, დედა, და რომ გამოვალ პროცენტით გადავუხდი!

— კარგი, შვილო!

— მიდი ვინმესთან, სთხოვე!

— მივალ, შვილო!

—ხარაბაძის ჭირისუფალთანაც მიდი...

— მივალ, შვილო...

— მიდი და უთხარი, რომ მათი დამპალის ბოთლით არის მკვდარი ის კაცი!

— ვეტყვი, დედა, ვეტყვი!

— უთხარი, როგორც უნდათ ისე მოარჩინონ, არადა, თუ გამოვედი, მოვკლავ, ძაღლივით მოვკლავ, სულ ერთია მაინც მკვლელის სახელი მაქვს, არაფრის გულისათვის...

— ვეტყვი, შვილო, ვეტყვი!

— შენ გგონია, მეშინია?!

— არა, დედა, არ გეშინია!

— მე არ მინდა მკვლელის სახელი მქონდეს!

— ვიცი, შვილო!

— უთხარი ყველას — გამომძიებელს, მინისტრს, მოსამართლეს, ხარაბაძის პატრონს, ექიმს, მის მოწმეებსაც უთხარი, იმ რვა კაცს, გაიხსენონ, ყველაფერი გაიხსენონ, ყველას უთხარი, ან დამიჯერონ, ან მოვკლავ, ყველას მოვკლავ და მერე თავს მოვიკლავ!

— ვეტყვი, შვილო!

— რა უნდოდა ჩვენგან? ვიჯექით ჩვენთვის და თითო ჭიქას ვსვამდით, ვინ დაუძახა, რას გვერჩოდა, მითხარი, რა უნდოდა?!

— არ ვიცი, შვილო, დაწყნარდი, ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ შენ დაწყნარდი...

— არა, არა! — ვიკივლე მე და მივხვდი, რომ ეს ისტერიკა იყო.

დედა წამოხტა, გულში ჩამიკრა და დამშვიდება დამიწყო.

— დაწყნარდი შვილო, დაწყნარდი, ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერს ვიზამ, მათხოვრად წავალ, ქადაგად დავვარდები, მონაზვნად აღვიკვეცები, ღმერთს ზვარაკად შევეწირები, სადაც წახვალ, იქ წამოგყვები, მარტოს არ დაგტოვებ, რამდენიც არ უნდა მიგისაჯონ, სადაც არ უნდა გადაგასახლონ. მუხლებში ჩავუვარდები მოსამართლეს და ვთხოვ შენთან ახლოს ყოფნის უფლება მომცენ, ან მეც დანაშაულს ჩავიდენ და შენთან ერთად ვიქნები. ნუ გეშინია, შვილო!... — დედას სახე შეეშალა! მე მუხლებში ჩავუვარდი და ხელებზე დავუწყე კოცნა.

— მაპატიე, დედა, შენი ჭირიმე, მაპატიე! — ვთხოვე მე, თავი ველარ შევიკავე და ავტირდი.

— სუ, შვილო, სუ, საპატიებელი რა გჭირს, პატიებას მე უნდა გთხოვდე, მოვედი, აგაფორიაქე, ნუ გეშინია, დედა, ყველაფერი კარგად დამთავრდება.

კარი გაიღო და ზედამხედველი შემოვიდა.

— ქალბატონო, პაემანის დრო ამოიწურა — თქვა მან და თვალი აგვარიდა.

— კიდევ ერთი წუთი, შვილო, კიდევ ერთი წუთი! — სთხოვა დედამ. ზედამხედველი უხმოდ გავიდა. — ადექი, შვილო, ადექი. დაჯექი, დაწყნარდი, დაწყნარდი. აი, ასე, აბა შემომხედე! ყველაფერს გავაკეთებ, რაც მითხარი, ნუ გეშინია.

— მადლობელი ვარ, დედა! — ვუთხარი მე.

— ხვალ ან ზეგ ახალი გამომძიებელი დაგიძახებს.

— მადლობელი ვარ, დედა!

არ ეჩხუბო, შვილო!

— არა, დედა!

— ეცადე მშვიდად იყო, იქნებ აუხსნა, დააჯერო...

— ვეცდები, დედა!

— კარგად იყავი, შვილო!

— ვიქნები, დედა!

— არ მომატყუო!

— არა, დედა!

— მოდი ახლა დაგემშვიდობო. — — მე ავდექი და დედას მივუახლოვდი. მან ისევ ჩამიკრა გულში და მხრები აუცახცახდა.

მე მოვიცილე იგი და სახეზე შევხედე, იგი ტიროდა, ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა და ნიკაპთან ეკვრებოდა, ბოლოს გული ამოუჯდა და მე გამიხარდა. რომ დედა ისევ ტიროდა, რომ ჩემს დედას ჩემი წილი ცრემლი არ გათავებოდა. სკამზე დავსვი. იგი მაგიდას დაემხო და ახლა ასე განაგრძო ტირილი. ერთი წუთი, ალბათ, გავიდა, ორიც და სამიც. დედა დაწყნარდა, მაგრამ ზედამხედველი არ შემოდიოდა. მაშინ მე მივედი კართან და რაც შემეძლო მაგრად დავაბრახუნე. კარი სწრაფად გაიღო და ზედამხედველი შემოვიდა.

— წამიყვანე, თუ ძმა ხარ! — ვთხოვე მე. მან დედას შეხედა. ღედამ ცრემლები მოიწმინდა ცხვირსახოცით, ზედამხედველს გაუღიმა და თანხმობისა და მადლიერების ნიშნად თავი დაუქნია. ზედამხედველმა ოთახიდან გამიყვანა. დერეფანი უხმოდ გავიარეთ. ეზოში რომ გავედით, ზედამხედველმა ონკანთან გამაჩერა, წყალი დალია და სველი ნიკაპი სახელოთი შეიხოცა.

— დალიე! მითხრა. არ მინდოდა წყალი, მაგრამ მაინც დავლიე, რადგან მივხვდი, რომ ჩემი გულისათვის გაჩერდა ონკანთან, თვითონ სულ არ სწყუროდა.

— პირზე შეისხი, თვალები დასიებული გაქვს ქალივით, უხერხულია. — ცივი წყალი შევისხი სახეზე. თითქოს დაგვალული ბალახისათვის წყალი დაესხათ ფესვზე, ისეთი შვება ვიგრძენი. მადლობის ნიშნად გავუღიმე.

— დედაა? — მკითხა ზედამხედველმა.

— დედაა! — ვუპასუხე მე.

— აი, ახლა რომ გაიღიმე, გავდი.

— ჰო!

— მერე, არ გრცხვენია? — მკითხა, მე გავჩერდი და თვალებში შევხედე.

— რას მიყურებ არ გრცხვენია-მეთქი, გეკითხები! — გამიმეორა მან. მე არაფერი ვუპასუხე, ხელები უკან დავიწყვე, როგორც პატიმრის წესია, და წავედი.

სანტიმენტალური ჰუმანიზმი

ციხეში ქურდი ხელშეუხებელია, მას სრული ავტონომია აქვს. იგი შენს საქმეში იშვიათად ჩაერევა, თავის საქმეში ხომ არ ჩაგრევს და არ ჩაგრევს. ამ მხრივ, რა პარადოქსადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ქურდებთან ჯდომა გაცილებით სასიამოვნოა, ვიდრე ათასი ჯურის, ხასიათის, ბედის, პროფესიის, განათლებისა და ეროვნების ხალხთან. საკანი, რომლებშიც ქურდები არ სხედან, წარღვნად გამზადებულ კუნძულს გავს, რომელზეც დაღუპული გემიდან გადარჩენილი ადამიანები ბინადრობენ და მაშველი გემის მოლოდინში ერთმანეთს ჭამენ. ქურდი — ქურდია, მათი თანასწორუფლებიანობა ხანდახან განცვიფრებას იწვევს. ქურდები ერთმანეთისაგან მხოლოდ განთლებით განსხვავდებიან, რაც მათ კონსტიტუციაში საყოველთაო სწავლების მუხლის არარსებობითაა გამოწვეული და, მიუხედავად ამისა, განათლება არავის არავითარ უპირატესობას არ ანიჭებს. სხვა მხრივ ქურდები ერთნაირად უბედურები არიან. მათში არ არსებობს არც წოდებრივი არც ქონებრივი, არც ეროვნული ცენზი. მესოპოტამიელია ქურდი, ტანგანიკელი თუ ჩოხატაურელი, ქურდი — ქურდია, მათთვის შავი, თეთრი, წითელი, ყვითელი ფერი არ არსებობს, ყველა ქურდი — შავია! ქურდი არ მუშაობს, აქედან გამომდინარე არ არსებობს

პროფესია, ამიტომ ქურდებს შორის რაიმე პროფესიული დარგობრივი ქიშპი ან უპირატესობაც გამორიცხულია. ქურდის ერთადერთი პროფესია ქურდობაა. თუ რომელიმე ქურდი ზედმეტ პატივს სცემს მეორე ქურდს, უკანასკნელის მაღალი ღირსებების გამო, ეს ყველა ქურდის პირადი საქმეა. ქურდები ერთად ჭამენ, უკანასკნელ ლუკმას იყოფენ, მხარში უდგანან ერთმანეთს და რამდენადაც მშიშრები და გაუტანლები არიან გარეთ, იმდენად ვაჟკაცები და გამტანები — ციხეში. ციხე მორეგია მათი და თავად შიგ მოცურავე ღლაები არიან. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ქურდები არც საკნის დალაგებადასუფთავებაში იღებენ მონაწილეობას, ამიტომ გოგოლის მიერ კედელზე გაკრულ სამორიგეო სიაში ყველანი ვართ, დევდარიანისა და გულოიანის გარდა.

დღეს შოშიასი და მებურიშვილის მორიგეობაა, უკვე პარაშა გაიტანეს. წყლის რეზერვუარი აავსეს, ახლა შოშიას ცოცხი უკავია და ბუზღუნით ხვეტავს საკანს, მე და ტიგრანა ისევ ჭადრაკს ვუსხედვართ, დანარჩენები ნარებზე სხედან, ფეხაკრეფილნი, შოშიას ხვეტვაში ხელი რომ არ შეუშალონ.

— მე, რა, მაგათზე ნაკლები ქურდი ვარ, მაგათზე ნაკლებს ვიპარავდი თუ რა? — მოუმატა ხმას შოშიამ და მტვერი ფეხებში მოგვაყარა მე და ტიგრანას. მე თავიდანვე მივხვდი, რა აბუზღუნებდა შოშიას და ხმას არ ვიღებდი. ტიგრანას ლაზიერი შეაცივდა ხელში, ჯერ მე შემხედა, მერე შოშიას გახედა.

— პატივცემულო შოშია, ვიზე ამბობ მაგას? — ჰკითხა ტიგრანამ. შოშიამ ყურადღება არ მიაქცია, თავისთვის განაგრძო.

— ქურდი ხარ, მაო ძე-დუნი ხარ თუ ალექსანდრე დიდი, სისუფთავე ყველას გვინდა. მე მაგათი ნაგავი რატომ უნდა ვხვეტო, ეგ არის სამართალი?

— ზაზაჯან! ხომ არ იცი ვიზე მეტყველებს? — ახლა მე მკითხა ტიგრანამ.

— თუ ძმა ხარ ითამაშე, თორემ გამანთავისუფლებენ და პარტია დაუმთავრებელი დაგვრჩება. — ვუთხარი ტიგრანას.

— ხაშ ვოსემ! — მითხრა მან.

— ქაბაბ ჩეტირე! — ვუპასუხე ხუმრობაზე მე და მის ლაზიერს მხედრით დავემუქრე...

— იხუმრე, იხუმრე, რა გენაღვლება! — ვეღარ მითმინა შოშიამ და მეცა მე.

— ჩემგან რა გინდა, შოშია, გუშინ არ ვიყავი მორიგე? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— შენზე ვინ რას ამბობს, აი, ზოგიერთი რომ...

— მაშ ჩემზე ამბობ? — ჰკითხა ტიგრანამ.

— შენზე ვამბობ, ჰო, შენზე და დევდარიანზე!!! — ვეღარ მოითმინა შოშიამ.

— რაო, რას ამბობ, საყვარელო შოშია?

— დაანებე, შოშია თავი, ხომ იცი, ციხე მაგათია. რას იტყვი, ბატონო ჭიჭიკო? — ჰკითხა მებურიშვილმა გოგოლს, როგორც მამასახლისს.

— შენ რას გადამეკიდე, გენაცვალე, რამდენჯერ გითხარი მაგათია, ღმერთმა მოახმაროთ-მეთქი და მეორეჯერ აღარ მკითხო მაგი, თორემ ამოგგლიჯავ მაგენას, რომ გადაგიდია მხარზე ღვედივით, და გათავდება საქმე! — წამოჯდა ნარზე გოგოლი.

— ცუდი რა გითხარი, ბატონო ჭიჭიკო, ციხე მაგათია-მეთქი... — იმართლა თავი მებურიშვილმა.

— როგორ თუ მაგათი! — იკივლა შოშიამ. — მუშაობა არა, დახვეტა არა, დასუფთავება არა, პარაშის გატანა არა, წყლის შემოტანა არა, მარტო ჭამა?!

— ახლა არ თქვა, შოშია, ვინც არ მუშაობს, არ ჭამსო, თორემ მოგეჭრა თავი! — გავაფრთხილე მე. საკანში ხარხარი ატყდა.

— ციხე მაგათია, — დაიწყო თითებზე ჩამოთვლა შოშიამ, — ის მაგათია...

ეს მაგათია... — შოშიას სათვალავი გაუთავდა და უხერხულად შეიშმუშნა.

— მერე, მერე, კიდევ რა არის ჩვენი? — ჩაეკითხა ტიგრანა.

— ციხე რა, ცოტაა? მაშინ გამოგვეყავით, ბატონო, და გამოაცხადეთ „საბჭოთა კავშირის ქურდების ავტონომიური რესპუბლიკა“. იპოვა გამოსავალი შოშიამ. ისევ ხარხარი ატყდა.

— შენ დაგავიწყდა მე და ლიმონა რომ ქურდები ვართ? — თქვა ტიგრანამ და ხელის მოსმით ფიგურები გადაყარა დაფიდან.

— ხალხო! — მიუბრუნდა შოშია ხალხს, ჰკითხეთ ერთი, რა მოიპარეს ამან და ლიმონამ ისეთი, რომ თავს გვამადლიან, ერთს კაცი ჰყავს მოკლული, თუმნის გულისათვის, მეორემ ყველი მოპარა გლეხს დახურულ ბაზარში. იმდენი ფული მაქვს მოპარული, გულოიანო! — მიუბრუნდა ახლა ტიგრანას, — მთელი შენი საგვარეულო და ჯილაგი რომ დაჯდეს, ათ წელიწადს ვერ დაითვლის, მილიონ დევიატსოტ ტისიაჩ! ეს რაზეც დამიჭირეს! დანარჩენს, რაზეც ვერ დამიჭირეს, კიდევ ათი წელი უნდა. ახლა მითხარი, ვინ უფრო დიდი ქურდია — მე თუ შენ? ან რითი მჯობიხართ შენ და ლიმონა? — შოშიამ ცოცხი იატაკზე დაანარცხა და დოინჯშემორტყმული შუა საკანში დადგა. ტიგრანა გაფითრდა:

— შოშია, ვიცოდი რომ ფურუნკული იყავი. მაგრამ როდის გასკდებოდი, არ ვიცოდი! — თქვა ტიგრანამ, მივიდა თავის ნართან, გარღვეული ლეიბიდან სამართებელი დააძრო და გაშალა. საკანი გაიტრუნა. ისევ დაიძაბა ის საერთო ნერვი. არავინ იცოდა საკანში სამართებლის არსებობა. შოშია წახდა, კედელს გაეკრა. დევდარიანი ადგა და ტიგრანას წინ გადაეღობა.

— ნაბიჭვარივით იქცევი, ტიგრან. მოიტა სამართებელი!

— მიმიშვი, ლიმონ, მაგის დამპალი სისხლის ფერი უნდა ვნახო როგორია! — სთხოვა ტიგრანამ.

— მომეცი სამართებელი! — გაუმეორა თხოვნა დევდარიანმა. ტიგრანამ გაუწოდა სამართებელი და ჩემს პირდაპირ დაჯდა. შოშია ამასობაში — თავის ქანდარაზე აძვრა და იქიდან იყურებოდა დასაკლავ ხბოსავით დამფრთხალი. დევდარიანმა სამართებელი დახურა და ბატონ ისიდორეს დაუგდო ნარზე.

— შემინახე, ძია ისიდორე! — სთხოვა მან, მერე შოშიას მიუბრუნდა, იგი ქვევიდან ზევით უყურებდა შოშიას. შოშია ხეზე ავარდნილ დაფეთებულ კატასა ჰგავდა, ლიმონა კი ქვევიდან მიმდგარ პირდაღებულ, ენაგადმოგდებულ ნაგაზს, რომელსაც ნებისმიერ წუთს შეეძლო ამ კატის ქანდარიდან ჩამოთრევა და ნაკუწ-ნაკუწად დაგლეჯვა.

— გოგოლაძე, მე გეტყვი რა განსხვავებაა ჩვენსა და თქვენს შორის და რითი გჯობივართ ჩვენ თქვენ. — უთხრა მან შოშიას, იგი პირველად მიმართავდა შოშიას გვარით, და მე უსიამოვნო ერუანტელმა დამიარა ტანში. შოშია უფრო მოიბუზა და სიღრმეში წავიდა.

— ჯერ ერთი, იმით გჯობივარ, რომ დევდარიანი ვარ, მეორე, შენსავით მაიმუნი არა ვარ, მესამე, ქურდმა რომ მილიონი იშოვოს, თავის დღეში ფულს აღარ მოიპარავს, თქვენ, თქვენ რას აკეთებთ. შენს საქმეში გასულ გვარამაძეს ერთი მილიონი მანეთი ფული მიწაში უპოვეს, ხის ძირში, დამარხული, რატომ? იმიტომ, რომ დამპალი თესლიდან იყო ამოსული. შენც ეგრე ხარ, ალბათ. შენც გაქვს ფული დამარხული და თუ მოკვდი, შენი შვილები ვერასოდეს ვერ იპოვიან იმ ფულს. მერე მოვლენ და შიგ საფლავში ჩაგაფურთხებენ.

—რატომ, კაცო, რატომ? — წაიშინა თავში ხელები შოშიამ.

— იმიტომ, რომ შენც დამპალი თესლის ნაყოფი ხარ, ფულს მიწაში რა უნდა, ან ნათესავი არ გყავდა გაჭირვებული, ან მათხოვარი არ შეგხვედრია ქუჩაში?!! ქაშუეთში მისულიყავი, ერთი სანთელი მაინც აგენთო იმის სამადლოდ, რომ დადიხარ და ფეხქვეშ მიწა არ გენგრევა. მიწაში როგორ მარხავთ

ფულს, თქვენი პარაზიტი დედა ვატირე, კიდე ბედავ და მე მედრები... შენ რა იცი თავისუფლების ფასი... შენ გარეთ რა გინდა, აქ უნდა მოკვდე, ფანჯარასთან, მესერში გაკვეხებული ღორივით.

— ვკვდები და ეგ არის! — შესტირა შოშიამ.

— მოკვდი, შენი დამტირებლის დედაც ვატირე, ის კაცი რა სიცოცხლის ღირსია, ზომიერების გრძნობას რომ კარგავს, დღეს რომ მილიონი იშოვა, არ ყოფნის, ხვალ ორი უნდა, ზეგ სამი, მაზეგ ოთხი...

— მე სახელმწიფოს ვპარავ, თქვენ კი — გაჭირვებულ კაცს! — იმართლა თავი შოშიამ.

— გაჭირვებულს კი არა, შენისთანა დამპლებს ვპარავთ, საკუთარ ფულში რომ არ დაიხრჩონ!

— ვშრომობ და ვშოულობ!

— წელან არ თქვი ვიპარავო?

— შენ რაღად მპარავ?

— იმიტომ, რომ ქურდის ქურდი ცხონდაო.

— მე სახელმწიფოს ვპარავ, სახელმწიფო მაინც სხვაა.

— შენ გგონია სახელმწიფო კაცი არ არის? სახელმწიფოს ფული არ უჭირს? მიკვირს, სული როგორ უდგას, შენისთანა ვირიშვილები ვენებიდან სისხლს რომ სწოვენ, სახელმწიფოს ვპარავ, — გამოაჯავრა ლიმონამ. — სახელმწიფო შენ, რა, მეწველი ძროხა გგონია? თუ არ მეცოდებოდეს, შობელძაღლი ვიყო!

არ ვიცი თვითონ დევდარიანი რას ფიქრობდა იმ წუთში, მე კი ნამდვილად შემეცოდა საწყალი სახელმწიფო, როდესაც წარმოვიდგინე, როგორ წუწნიდნენ ვენიდან სისხლს შოშია და მისი ძმაკაცები.

— არ დამსვა ახლა, დევდარიანო, არ ჩამაცვა შავები და არ მატირო სახელმწიფო. რა ჭირს სახელმწიფოს შენი საჭირისუფლო! — გაუკვირდა შოშიას.

— ჭირს, ალბათ, მაინც ვისთვის და რისთვის გინდათ ამდენი ფული, შპალერად ხომ არ ხმარობთ, თქვე ჩათლახებო! — კბილებში გასცრა დევდარიანმა.

— შვილებისათვის, ლიმონ, შვილებისათვის! — მოთქმით თქვა შოშიამ.

— ვიცი, შვილებისათვის. კარგ ქართველებად ზრდი, არა? ინტელიგენტებად. ინგლისურს ასწავლი, მუსიკას ასწავლი, ცეკვას ასწავლი, ერთი აგარაკი მთაში, ერთი ბარში, ერთი ზღვაზე, მანქანა, დიპლომი, სამსახური, თბილისში სახლი, თვითონ არაფერი არ გააკეთოს? ხელის გასანძრევს არ უტოვებ? ვის უნდა ეგეთი იმპოტენტო შვილი? ეგეთი იმპოტენტი შენ გყავდეს და შენ მოიხმარე... მერე ტიგრანასი გიკვირს, კაცი მოჰკლა თუმნისათვისო, ტიგრანამ ერთი კაცი მოკლა და პასუხსაც აგებს, შენ ათას კაცსა კლავ უსისხლოდ, ფერებ-ფერებით, კოცნა-კოცხით, ახრჩობ, გუდავ და პასუხისგებაც არ გინდა? ოთახის დალაგება არ გინდა, პარაშის გატანა არ გინდა? ახლა ჩამოდი, იმ პარაშაში თავით უნდა ჩაგაყუდო და ჩემი ხელით გაგიტანო, შე მაიმუნო! — დევდარიანმა სული მოითქვა.

— არც შენ ხარ ანგელოსი და ოქროს თესლიდან აღმოცენებული! — იშოვა დრო შოშიამ.

— ვინ გითხრა, რომ ანგელოსი ვარ და ოქროს თესლიდან აღმოცენებული? მე ერთი უნაყოფო კაცი ვარ, მოვკვდები და დევდარიანების ეს შტოც მოკვდება. შენ კი ის არ გყოფნის, ორი შენსავით ნაბიჭვარი რომ გეზრდება, აქედან რომ გახვალ, ცოლის გაშვებას და ვიღაც სირანუშას მოყვანას აპირებ, გემრიელი ტოლმა რომ ჭამო და ახალი ნაბიჭვრები აჩინო...

— მაინც მოვიყვან! — ისე სთქვა შოშიამ, თითქოს ის ტოლმიანი ქალი იღლიაში ყავდა ამოჩრილი და ლიმონა ართმევდა. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, დაძაბული ნერვი ან უნდა გამწყდარიყო, ან უნდა მოშვებულიყო, და შოშიას ბოლო სიტყვებმა გადაარჩინეს ნერვი გაწყვეტას, იგი მოეშვა

და საკანში თავშეკავებული სიცილი გაისმა.

— ვა, მე ვთქვი შეჭამენ ერთმანეთს. გიჟი არ იყო, დაჯდნენ და იცინიან, ნეტა რა გაცინებთ!!! — თქვა ტიგრანამ და ფინალის უკმაყოფილო ნარზე წამოწვა. დევდარიანი თავის ადგილას დაბრუნდა. მე მივედი და ბატონ ისიდორეს ნარზე ჩამოვჯექი.

— ეს ლიმონა კი არა, მარატი ყოფილა, ძია ისიდორე! — ვუთხარი მე.

ბატონმა ისიდორემ თავი დამიქნია თანხმობის ნიშნად, მერე დაფიქრდა, უცებ ხელი მაღლა ასწია და მსახიობივით პოეტურად წარმოთქვა;

— უამრავი ნაკლის მიუხედავად ქართველს ისეთი თაკარა გული, უმზესი სული და მაღალი ბუნება აქვს, მთელ სამყაროს დასწვავდა კავკასიონის მარადიული თოვლი რომ არ აგრილებდეს და აშოშმინებდეს.

სანტიმენტალისტი — ფრ. I გულჩვილი, ცრემლმფრქვეველი;

ჰუმანისტი — ლათ. კაცთმოყვარე, — კაცობრიული გრძნობათა და ადამიანთა თანაგრძნობით გამსჭვალული ადამიანი.

არ ვიცი სიტყვა ჰუმანიზმი რიგით მერამდენეა იმ ბიბლიურ უპირველეს სიტყვათა მწკრივში ან კაცობრიობის გაჩენის დღიდან პირველად რომელ ათასწლეულში იქნა წარმოთქმული ეს საოცარი სიტყვა, მაგრამ ერთი რამ კი ნაღდად უცილოა, ჰუმანური საქციელი დედამიწაზე პირველად თვით მაღალმა ღმერთმა ჩაიდინა, სამოთხის ბაღში, როდესაც სულწაწყმედილი ევა და ადამი გააძევა თავისი სასუფეველიდან და არ გასწირა უშფოთველ, გაზულუქებულ და ნეტარ მარადიულ არსებობად. მაშინ ეს საქციელი ღმერთს ზოგიერთმა, თვით ადამმა და ევამაც კი, აუწერლად და გაუგონრად მკაცრ საქციელად ჩაუთვალეს. ახლა როდესაც ამ ამბავს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის სიმაღლეებიდან ვჭრეტ, პირადად მე ადამისა და ევას სამოთხიდან გაძევება, მათთვის მიწიერი და ხორციელი სიცოცხლის ბოძება, მათი ძარღვისა და უჯრედის სისხლითა და ოფლით გაჟღენთვა, სამოთხის ჰანგებითა და ჰიმნებით მიძინებული სულის გამოღვიძება და შეშფოთება, დღემდე სწორუპოვარ ჰუმანურ, კაცთმოყვარულ საქციელად და უუდიდეს ღვთის წყალობად მიმაჩნია, რისთვისაც ჩვენი ზეციერი მამისათვის ადამისა და ევას გონიერ ნაშიერთა სახელით უუმდაბლესი თაყვანი მიცია და უუმაღლესი მადლი მომიხსენებია.

სანტიმენტალური ჰუმანიზმი უფრო მოგვიანებით წარმოშობილი ცნება და ტერმინია. იგი უკვე ადამიანებმა მოიგონეს ღმერთის მიბაძვით და, რაც ყველაზე შემზარავია, ადამიანთა ურთიერთობის ეს პირმშო ციხეში დაიბადა.

ციხეში ეცოდებათ ყველა და ყველაფერი: მაგალითად, გულოიანი სამ საათს გულამოსკვნილი დასტიროდა როდიონ ქორქიას მოთხრობის „მარილის აკვანის“ პატარა გმირს:

— ეგ არის საქმე? პატარა ბიჭი ან ჯარში როგორ წაიყვანეს, ან თოფი როგორ ესროლეს, ან ცხენიდან რომ ვარდებოდა, ხელი როგორ არ შეაშველეს, ან რომ გადმოვარდა, უკან როგორ არ მოიხედეს, ეგა ხართ აი, ქართველები! — ტირის ტიგრანა.

— ქართველებზე არ არის ეგ მოთხრობა, ტიგრან! — ვახსენებ მე.

— სულ ერთია, ვინც იქ იყო, მაინც ყველა კედელთანაა მისაყენებელი და დასახვრეტი. აბა, შენ იწექი 15 წელიწადი მარილში თუ კარგია! — განაგრძობს გულამოსკვნილი ტიგრანა, ტიგრანა, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, ისე შემოაკვდა 5 თვის წინ თონეთელი მეტყევე, თვალი არ დაუხამხამებია.

ციხეში მკვდრებიც ეცოდებათ: მებუტიშვილი ლავრენტი პავლეს ძე, გადამდგარი თუ გადაყენებული მაიორი, სასაფლაოს ყოფილი დირექტორი, გვარწმუნებს, რომ დღეში სამჯერ ჩამოუვლიდა ხოლმე ყველა საფლავს, ზოგის საფლავზე ცრემლსაც დაღვრი-

და ხოლმე, ზოგისაზე ნორჩ ნერგს წყალს დაუსხამდა, მტვერს კი, როგორც წესი, თითქმის ყველა ნაცნობის ძეგლიდან ჩამოფერთხავდა, აი, ამ აბრეშუმის ცხვირსახოცით, რომელიც შემთხვევით ციხეში გამოჰყვა.

— ეე, საიქიოს დირექტორო! იმას რატომ არ ყვები, ოცდაათი ფალსიფიცირებული საფლავი რომ აღმოგიჩინეს. თავისი წარწერებით, მკვდარზე მკვდარს რომ ასაფლავებდი და ჭირისუფალს ღმერთის მიერ მიჩენილ საუკუნო სასუფეველში უღმერთოდ ფულს რომ ართმევდი! — ახსენებს მებურიშვილს თავის უმწიკვლო წარსულს შოშია.

— მე, გენაცვალე, ფალსიფიცირებული საფლავი ჩემთვის კი არ შემინახავს, ან რად მინდოდა ოცდაათი საფლავი! ისევ მეგობრებისათვის მინდოდა, თქვენთვის ვზრუნავდი, ბუნების შვილნი ვართ! ...ყველა მომავალი ოდესღაც აწმყო გამხდარა, შემდეგ წარსულად ქცეულა და ეს წარსული ჩვენი მომავალია... — უხსნის მებურიშვილი შოშიას.

— ვერ გავიგე! — თავს იქნევს შოშია.

— მაგას მაშინ გაიგებ, ოთხი კაცი რომ გაგიდებს მხარზე გაჭიმულს, რომ მიგასვენებს ვაკეში და იმ ფალსიფიცირებულ საფლავში რომ ჩაგასვენებ. — ამშვიდებს ლავრენტი პავლეს ძე.

— ხალხო!!! — კივის შოშია — რა უფლებით ყიდის ეს კაცი ფალსიფიცირებულ საფლავებს...

— ფალსიფიცირებული რა არის ლოთიანად! — აწყვეტინებს შოშიას ტიგრანა.

— ფალსიფიცირებული, ესე იგი — ვითომ! — საფლავი გათხრილია, ზედ რკინის ფირფიტაა და წარწერა: „აქ განისვენებს ქურდი ტიგრან გულოიანი № 23041“. სინამდვილეში კი რა ხდება? საფლავში არავინ არ არის...

— გამოდის, რომ ცოცხალ ხალხს მარხავს?.. — ისევ აწყვეტინებს მოყვანილი მაგალითით შეწუხებული ტიგრანა.

— დაახლოებით ეგრეა, ასეთი ლიბა საფლავი 30 აქვს, შემდეგ ამ საფლავებს ყიდის... ქრთამს იღებს... — უხსნის შოშია.

— არ დაუჯეროთ, ეგ უვიცი და ბნელია, ქრთამი რას მიქვია, გაჭირვებულ ადამიანს რომ ხელი მოვუმართო, და იმან რომ პატივი მცეს, ქრთამია ეგა? რამდენისათვის უფასოდ მიმიცია, იმდენი სიკეთე მე. როგორ? რომელიმე თქვენთაგანი რომ მოვიდეს ჩემთან და მთხოვოს ერთი, თუ ძმა ხარ, კარგი ადგილი შემინახეო, უარით გავისტუმრო? არ შევუნახო ადგილი? — კითხულობს განცვიფრებული ანგელოსივით ლავრენტი პავლეს ძე.

— შემზარავია, მაგრამ ჰუმანური! — ამბობს ჭეიშვილი და სადღაც იმქვეყნიურ ბურუსში აპირებს რაღაცის დანახვას მოჭუტული თვალებით.

— ტყუილად გგონია მაგი შენ, მებურიშვილო, რომ გულს აგვიჩუყებ აქ. წმინდანივით რომ ჩამოგიკიდია ეს პატიოსანი ჯვარი გულზე, რაც არ უნდა იქადაგო, მაინც გადაგვარებული, ზნედაცემული და გახრწნილი მექრთამე ხარ შენ. — ჩაერია ლაპარაკში ჭიჭიკო გოგოლი. ჭეიშვილის ფორმულა „შემზარავია, მაგრამ ჰუმანური“ ჭიჭიკო გოგოლს არც ესმის და არც უნდა შეისმინოს. მართალია გამცემლიძის ცემის შემდეგ იგი ექვსი დღე ჰყავდათ კარცერში და იმ დღიდან ცდილობს რაც შეიძლება თავშეკავებული და თავაზიანი იყოს ამხანაგებთან, მაგრამ მებურიშვილის მიმართ ზიზღს მაინც ვერ ფარავს.

— გოგოლო, ცოტა უხერხული ხომ არ არის, რომ შენ თვითონ ბოროტმოქმედი მე, მეორე ბოროტმოქმედს მათახსირებ ისეთ ხალხში, რომელთაგან ვერც ერთი ვერ ადგება და ვერ მეტყვის გჯობივარო! — თავის მხრივ მებურიშვილსაც ახსოვდა ჭიჭიკოს მიერ ნაცემი გამცემლიძე, ამიტომ ზემოთქმული რაც შეეძლო თავაზიანად წარმოთქვა.

— მებურიშვილო, ხომ არ გინდა ავდგე? — ჰკითხა დევდარიანმა.

— მე ქურდებს არ ვგულისხმობ! — სწრაფად გაასწორა შეცდომა მებურიშვილმა.

— ტყუილია მაგი, შენზე ბინძური კაცი მე არ მეგულება აქ, მებურიშვილო! — უთხრა გოგოლმა.

— რატომ, გოგოლო, რატომ, ვინმეში ხომ არ გეშლები? — გამოაჩინა კლანჭები მებურიშვილმა და გაფითრდა.

— როგორ, შენ ის მებურიშვილი არ ხარ, ღამღამობით ჩუმად რომ ჭამ საჭმელს, კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრი, ამხანაგი მებურიშვილი? ახლა რომ ჯვარი გკიდია გულზე და ქრისტეს სახელით ქრთამს ართმევ საფლავში, გაჭირვებულ ხალხს, ის არ ხარ? თუ მეშლება? — ჰკითხა გოგოლმა და მე გავიგონე როგორ დაიჭიმა უკიდურესობამდე ისევ ის საერთო ნერვი.

— გოგოლო, ნუ იკატუნებ თავს და გულუბრყვილო ბავშვს ნუ თამაშობ. შენთვისაც და ჩემთვისაც პარტიის მანდატი იმ ეტაპზე პურის წიგნაკი იყო, და, საერთოდ, ჯვარი მეკიდება გულზე თუ აგური, ეგ ჩემი საქმეა. — თქვა მებურიშვილმა.

— არ არის მაგი მარტო შენი საქმე, მებურიშვილო! — უთხრა გოგოლმა.

— აბა, კიდევ ვისი? — ირონიულად ჩაჰკითხა მებურიშვილმა.

— ჩემი საქმეც არის მაგი, მებურიშვილო? — ახალა გოგოლმა.

— ვინ დაგნიშნა შენ ჩემსა და პარტიას შორის მედიატორად! ერთბაშად მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები არ გაწუხებდეს. მე თავის დროზე, ვიდრე გაწირავდნენ, ნამდვილი პარტიული ვიყავი.

— რაზე გაგწირეს, მებურიშვილო, ქრთამის აღების უფლება რომ არ მოგცეს?

— მე მექრთამედ არ დავბადებულვარ.

— უმწიკვლო იყავი, ხომ?

— დიახ, უმწიკვლო!

— ვიცი, ვიცი, ისეთი უმწიკვლო და ერთგული იყავი, რომ ქრთამიდანაც იხდი თურმე პარტიის საწევროს.

— ისევე, როგორც შენ! — უთხრა მებურიშვილმა.

— ტყუილად გაგყავარ საქმეში, მებურიშვილო, ჩემთვის მანდატი პურის წიგნაკი არასოდეს ყოფილა, იმიტომ რომ უპარტიო ვარ მე, არც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები მაწუხებს, ახლა ის მაწუხებს, მებურიშვილო, ოცდაათ ყალბ საფლავში რომ გაყიდე შენი პარტია და მანდატი, მე რაღას მიზამ, მე ხომ მთლად თხასავით გამყიდი და თხასავით გაყიდი ყველას ამათ! — მებურიშვილი გაშეშებული იდგა და არ იცოდა რა ეთქვა.

— შენ, მებურიშვილო, საკუთარი სული რომ წაიწყმიდე, ახლა ჯვარი გინდა წაბილწო?

— მე კონსტიტუციის ძალით ვარ უფლებამოსილი მწამდეს ღმერთი. — იყვირა მებურიშვილმა.

— იმისათვის, რომ მერე ისიც გაყიდო? — თქვა გოგოლმა, ფეხზე ადგა და მებურიშვილისკენ გაემართა. მებურიშვილმა თვალების ცეცება დაიწყო აქეთ-იქით. ეტყობა მძიმე საგანს ეძებდა, ვერაფერი რომ ვერ იპოვა, სკამს დაავლო ხელი და მაღლა აღმართა.

— არ მომეკარო, თორემ გაგათავებ! — იყვირა მან.

— გოგოლო, გეყო! — თქვა დევდარიანმა.

— დევდარიანო, თავი დამანებე, მე არ ვერევი ქურდების საქმეში! — თხოვა გოგოლმა. დევდარიანი გაჩუმდა. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და გაგვაფრთხილა.

— ვინც მომეკარება, მოვკლავ!

— არ მომეკარო! თქვა მებურიშვილმა, სკამი იატაკზე დააგდო და კარებს მივარდა. გოგოლმა ზედ კარებთან მიუსწრო, ვეებერთელა ხელი კისერში დაავლო და თავისკენ შემოატრიალა.

— ამოიღე ჯვარი! — უბრძანა გოგოლმა. მებურიშვილმა უბეში ჩაიყო

ხელი და ოქროს ჯვარი ამოიღო, გოგოლმა ხელისგულზე დაიდო ჯვარი, ერთ ხანს უყურა და შემდეგ მებურიშვილს ჰკითხა:

— ათი ცნება თუ იცი შენ, მებურიშვილო? ქრისტეს ათ ცნებას გეკითხები!

— გოგოლო, აქ სასულიერო სემინარია არ არის, ციხეა და თავი დამანებე.

— თქვი! — მოკლედ მოუჭრა გოგოლმა და მუშტი მაღლა ასწია.

— არა კაც ჰკლა! — თქვა მებურიშვილმა და ხმა აუკანკალდა.

— ნუ გეშინია, არ მოგკლავ, მაგრამ მაგი მეხუთეა, მებურიშვილო, თავიდან დაიწყე! — დაამშვიდა გოგოლმა.

— არ იმრუშო!

— მაგი მეექვსეა. თავიდან თქვი!

— თავიდან არ ვიცი.

— ის მაინც მითხარი, რამდენია სახარება! — განაგრძო გამოცდა გოგოლმა.

— ოთხი, ოთხთავია! — თქვა გაუბედავად მებურიშვილმა.

— მაგი გცოდნია, კია ოთხთავი! — გოგოლმა უცებ სილა გააწნა მებურიშვილს. — ეს ერთი! შენი გაყიდული პარტიის სახელით!

— ეს მეორე შენი გაყიდული ღმერთის სახელით! — გოგოლმა მეორე სილა გააწნა მებურიშვილს და ჯვარი ჩამოგლიჯა, — არ ხარ ამის ტარების ღირსი შენ!

—ეს მესამე ვაკის სასაფლაოს მიცვალებულების სახელით! — გააწნა მესამე სილა.

— ეს მეოთხე კი — ჩემი სახელით, — უთხრა გოგოლმა და მუშტი ჩათხლიშა თავში მებურიშვილს. მებურიშვილმა ერთი დაიზმუილა და მუხლებზე დაეშვა. გოგოლმა ჯვარი გვერდით დაუგდო და კარებზე დააბრახუნა. მერე მოგვიტრიალდა და გვითხრა:

— ბოდიში, პატივცემულებო, ძალიან დიდი ბოდიში, შეგაწუხეთ, მაგრამ უნდა მაპატიოთ, ასეთ დამპალ ხალხს ბავშვობიდან ვერ ვიტან. ასეთი იყო ჩემი მეურნეობის დირექტორი, რომ გავლახე და ამ ხნის კაცი ხულიგნობაზე რომ ჩავჯექი, მეტი კი არაფერი. ახლა იმის ჯავრი მომკლავს, ეს რომ გაუშვან და მერე მე რომ მოვკვდე და ამის სასაფლაოზე რომ მიმიტანონ, ხომ დამტოვებს ეს შობელძაღლი დაუმარხავს?!!

კარი გაიღო და ზედამხედველმა შემოიხედა.

— რაშია საქმე? — იკითხა მან.

— ჯერ ეს გაათრიე, უფროსო, მერე მოდი და მე წამიყვანე, ჩემი გალახულია მაგი! — უთხრა გოგოლმა და მებურიშვილის გათრევაში მიეხმარა ზედამხედველს.

— Произвол! — თქვა ჭეიშვილმა, გოგოლი რომ გაიყვანეს.

* * *

ათასნაირია ჰუმანიზმი. ვიდრე დამაპატიმრებდნენ, ერთ კვირა დღეს, მე და ჩემი მეგობარი ნოდარ ებრალიძე ბეთანიაში მივდიოდით ფეხით. გზაში ვირი შემოგვეფეთა, უპატრონო, გაზიზინებული ვირი. ყურების პარტყუნით მოდიოდა.

— ახლა ჩვენს მაგივრად გზაში მგელი რომ შეხვედროდა! — ვთქვი მე და ვირს გავაყოლე თვალი. ნოდარს გაეცინა. — რა გაცინებს-მეთქი, და მაშინ მომიყვა:

თურმე, გასულ წელს, ექსპედიციაში მიმავალ მის ნაცნობ, ახლა აღარ მახსოვს გეოლოგებსა თუ არქეოლოგებს, რომელიღაც სოფელში ვირი უყიდიათ ხუთ თუმნად და თან წაუყვანიათ, რა თქმა უნდა, ტვირთის საზიდრად. ადგილზე რომ მისულან, დაბანაკებულან, ვირიდან ტვირთი რომ ჩამოუხსნიათ და კარვები გაუშლიათ, აღმოჩნდა რომ ვირი საჭირო აღარ იყო.

— რა ვქნათო? — უკითხია ერთს.

— გავუშვათო! — უთქვამს მეორეს.

— რას ამბობთ, მგლები დაგლეჯენ ტყეშიო! — გული აჩუყებია მესამეს.

— თუ ასეა, დავიტოვოთო! — გადაუწყვეტია მეოთხეს.

— მერე მაგის მოვლის თავი ვის აქვსო? — უკითხავს მეხუთეს.

— თუ მასეა, მოვკლათო! — დიდი ფიქრის შემდეგ გადაუწყვეტია მეექვსეს.

— რითი, თოფი რომ არ გვაქვსო? — უკითხავს სულ პირველს.

მერე ყველას ერთად მოუფიქრებიათ: ვირისათვის მუცელზე დინამიტები მოუბამთ, ფითილისთვის ცეცხლი მიუციათ და აუფეთქებიათ. ასე გადაარჩინეს ვირი მგლების დაგლეჯას. დაუჯერებელია, შემზარავია, მაგრამ ჰუმანურია.

ციხეში ბაღლინჯო და ტილიც ეცოდებათ. მაგალითად, შოშია დარწმუნებულია, რომ დუსტმა დაღუპა კაცობრიობა, დუსტმა მოსპო ბაღლინჯო და კბენარი, რომლებიც ზედმეტსა და უვარგის სისხლს წოვდნენ ადამიანებს, და ამით სისხლის მიმოქცევას არეგულირებდნენ. მათმა მოსპობამ კი რა გამოიწვია?!

— ჰიპერტონია, ლეიკემია, ათეროსკლეროზი, მიოკარდის ინფარქტი, სტენოკარდია, სისხლის შედედება, ინსულტი და სხვა მრავალი უბედურება, რაც ჯერ კიდევ არ ვიცით.

— ვინ კვდებოდა ადრე ასეთი ავადმყოფობებით? — გვეკითხება შოშია.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიცით და ვდუმვართ.

— აგაშენათ ღმერთმა! — უხარია შოშიას. — ასე არ იყო ჩინეთში, მოსპეს ბეღურები და მოისპო ბრინჯის მოსავალი! — გვიხსნის შოშია.

— ტილები? — ეკითხება ტიგრანა, ეს უკვე შოშიამ არ იცის და სდუმს.

ციხეში ყველაფერი ეცოდებათ, ყველაფერი, საკუთარი ნერვების გარდა.

ჭიჭიკო გოგოლი ამჯერად ბარგიანად გაიყვანეს. იგი ყველას გვიყვარდა, ამიტომ საკანში სევდიანი დუმილი ჩამოვარდა. მხოლოდ ბატონმა ისიდორემ დაარღვია ეს დუმილი ძილის წინ.

— ცოტა ნერვებს თუ არ მოვუფრთხილდით, სახელმწიფოს საქმე აღარ დარჩება, ჩვენ თვითონ გამოვუყვანთ ერთმანეთს წირვას.

თქვა მან და კედლისკენ გადაბრუნდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

გზაზე ერთი კაცი მიდიოდა

რომანი

მეორე ნაწილი

უხეირო

უხეირო საკაცეზე იწვა. სპილენძისფერი, დაკუნთული მარჯვენა საკაციდან ჩამოვარდნოდა და ისე ქანაობდა, თითქოს სისხლიანსა და ბობოქარ ცხოვრებას სამუდამოდ ემშვიდობებაო. ასე ფიქრობდნენ მეომრებიც, სიცხითა და ამსიმძიმე კაცის თრევით გუნება რომ მოშხამვოდათ. რაც უფრო ახლოვდებოდა ვანი, მით უფრო მძიმდებოდა ტვირთი, მით უფრო უაზრო ეჩვენებოდათ თავიანთი ჭაპანწყვეტა. უხეირო ამქვეყნისა აღარ იყო. ან რა შეიცვლებოდა, გინდაც მიეღწია ვანამდე და სიკვდილის წინ თვალი შეევლო ქალაქისათვის, აგერ ბარე ოცდაათი წელი გულში ნატვრად რომ დაატარებდა. ისიც საკითხავი იყო, იცნობდა თუ არა.

უხეირო ნამდვილი მეომარი იყო, იარაღით არჩენდა ოჯახს და ახლა აღარც კი ახსოვდა, როდის მოხდა, თითით გატენილ ტიკინაზე ხელმიჩვეულმა ნამდვილ ადამიანს რომ აძგერა შუბი და პირველად ჩახედა მომაკვდავს თვალებში; მომაკვდავს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ საცოდავად დამანჭულ პირიდან სიტყვის ნაცვლად სისხლი ამოსდიოდა. იმის მერე უხეიროს ხელიდან აღარ გაუგდია შუბი. ის კი არა, ქალთან რომ წვებოდა, შუბსაც იქვე, საწოლის გვერდით დებდა, ადვილად რომ მიწვდენოდა. ბევრი კაცი მოეკლა უხეიროს, თვითონაც ბევრჯერ გადარჩენოდა სიკვდილს, მაგრამ ამ საქმეზე ხელი მაინც არ აუღია, რადგან სხვა არაფერი იცოდა. „იქამდე ხარ კაცი, სანამ მეორე კაცის მოკვლა შეგიძლიაო“ — ამბობდა ხოლმე იგი.

უბედურება ისე მოულოდნელად გამოტყვრა, ყველას გული დასწყვიტა. მით უფრო, რომ ბრძოლა უკვე დამთავრებული იყო.

უხეიროს ბრძოლის ველზე არჩეული შუბები ფიჩხის გუდურასავით ამოეღლიავებინა და გვამებზე მოაბოტებდა. პატრონმკვდარმა, გაგიჟებულმა ცხენებმა, ჩაწყნარებულ ბრძოლის ველზე საომარ ეტლს უთავბოლოდ რომ დააქროლებდნენ, არხეინად მომავალ უხეიროს ხელნის თავი კეფაში ჩაჰკრეს და წაქცეულს ფეხებზე ეტლი გადააატარეს. მოულოდნელი დარტყმისაგან

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 11.

დარეტიანებულმა და გაოცებულმა უხეირომ გაიფიქრა: საქვეყნოდ მომეჭრა თავიო. მერე წამოდგომა სცადა, მაგრამ წელქვევით მოწყვეტილი სხეული ველარ დაიმორჩილა. მწარედ გაეღიმა, ეგეც შენი ვანიო, და ხელისგულებზე დაყრდნობილმა უაზროდ მიმოიხედა ირგვლივ. სადღაც ცხენი ჭიხვინებდა, დანახვით კი ვერაფერი დაინახა. „შუბები რა მექნაო“, — ახლა ეს გაიფიქრა უხეირომ და ხელები, მის უზარმაზარ სხეულს სვეტებივით რომ იმაგრებდნენ, უცებ ისე აუძაგძაგდა, იძულებული გახდა დაწოლილიყო. უხეირომ თვალი დახუჭა, ხოლო როცა ისევ გაახილა, საკაცეზე იწვა, მის ქალიშვილს, ათი წლის პოპინას, მხარზე მამისეული შუბი გაედო და საკაცეს მოჰყვებოდა. შუბი ბავშვს აწვალებდა, გეგონებოდათ, მასში ჩასახლებულ სულს გაუღვიძია და გართობა მოსდომებიაო. ბავშვის სუსტსა და გამოუცდელ ხელებში თავს ლაღად გრძნობდა. პატრონს ამდენს ვერ გაუბედავდა. უხეირომ იცოდა, სად ჩაევლო და როგორ ჩაევლო ხელი. ამ ხელის დაუდევარი, მტკივნეული და ამავე დროს სასიამოვნო ჟრუანტელის მომგვრელი შეხება, შუბს საბრძოლველად აღაგზნებდა ხოლმე. ახლა კი პამპულობის გუნებაზე დამდგარიყო. მის ახალ მტვირთველს უნდა სცოდნოდა ვისთან ჰქონდა საქმე. როცა ამ ბავშვმა პირველად დაუპირა აღება, ნაცნობი ტკივილის მოლოდინში უნებურად დაიძაბა, გაილურსა, მოემზადა, მაგრამ მსგავსიც არაფერი მომხდარა. ბავშვმა ერთი ბოლო აუწია, მხარი შეუყენა და ძლივს-ძლივობით ააწყვიტა მიწას მისი საამაყო ბუნიკი. „მოკლეთ, შეშასავით გამიდო მხარზეო“ — გაიფიქრა შუბმა. ჯერ გაბრაზდა, მერე კი პამპულაობის ხუშტურმა წამოუარა. ერთი-ორი წუთით გაილურსებოდა ხოლმე ბავშვის მხარზე, ვითომ ბედს შევეჩვიეო, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ფიქრებში გაბლანდული ბავშვი მის არსებობას ივიწყებდა, უეცრად წინ გასხლტებოდა, დაყირავდებოდა, ბუნიკის წვერით მიწას წაჩიჩქნიდა და ფიქრებიდან გამორკვეულ ბავშვსაც თან წაიფორხილებდა. „ხომ ხედავ, ვერ მორევიხარო“ — დაუძახებდა ბავშვს ვიღაცა. შუბი კი კისკისებდა, სიცილისაგან მთელი სხეული უთრთოდა და უბზინავდა. ბავშვი ჯიუტობდა, თითქოს შუბის ვერაგობასაც ხვდებოდა და დაბეჟილ მხარზე უდარდელად აქანავებულ შუბს ორივე ხელს ისე უჭერდა, ძარღვები დაწყვეტაზე ჰქონდა.

„მამაჩემი მოკვდა“ — ფიქრობდა ბავშვი. „ეგ შუბი ხელში აღარ აიღებაო“ — ფიქრობდა უხეირო და ვერაფრით. ვერ გაეგო, რა მოჰქონდა მის მეუღლეს ასეთი მძიმე, პოპინას რომ მოჰყვებოდა უკან. როდის-როდის მიხვდა და გაეღიმა: მის მეუღლეს არაფერიც არ მოჰქონდა, ფეხმძიმედ იყო.

შევიდოდნენ თუ არა ვანის კარიბჭეში, მარეხს მშობიარობა დაეწყებოდა, თვითონ მშობიარობას გადაჰყვებოდა, თავის სანაცვლოდ კი, სამუდამოდ დაკუტებულ მეუღლეს ვაჟს აჩუქებდა. ასე რომ, უხეიროს ოჯახის წევრთა რიცხვი არ შეიცვლებოდა. ახალ სახლში, რომელსაც უხეიროს დაუცლიდნენ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის, ისევ იმდენივე შევიდოდნენ: უხეირო და მისი ორი შვილი, ათი წლის პოპინა და ჯერ კიდევ დაუბანელი, ჭიპშეუჭრელი ფარნაოზი.

უხეირომ გონება რომ დაჰკარგა, ყველაზე ადრე მასთან ერთგულმა მსახურებმა შუბუმ და ქალუკამ მოირბინეს. შუბუ მაშინვე მუხლებზე დავარდა და ყური გულზე დაადო, ცოცხალიაო! — ამოსძახა უკვე შეგროვილ ხალხს და ახლა მთელს ტანზე მოუფათურა ხელი. „არაფერი, არაფერი, კაცოო“ — ბუტბუტებდა შუბუ. საქმე კი ცუდად იყო. ეტლის ბორბლებს უხეიროსთვის ორივე ბარძაყის ძვალი დაემსხვრია, კუნთები დაეგლიჯა, ჭრილობებიდან სისხლი თქრიალით იღვრებოდა.

იმდენ ადგილას გადამსკდარიყო ხორცი. შეხვევას აზრი არ ჰქონდა. „მიწა დავაყაროთო“ — თქვა ვიღაცამ.

როცა უხეიროს ფეხმძიმე ცოლი და ათი წლის ქალიშვილიც მოვიდნენ, უხეირო წელქვევით უკვე დაემარხათ. სისხლმა მიწაში გამოჟონა. მიწის ფხვიერი ზვინი თანდათან დამძიმდა, დადაბლდა და შეიკუმშა. მეორედ რომ გამოუცვალეს მიწა, სისხლის დენამ იკლო, ხოლო მესამედაც რომ გამოუცვალეს, სულმთლად შეწყდა. სამაგიეროდ უხეიროც გადასხვაფერდა: დაილია. დაიჭმუჭნა, გაშავდა. „იქნებ აჯობებსო...“ — ისევ დაიწყო ვიღაცამ, მაგრამ შუბუმ მაშინვე გააწყვეტინა:

— უხეირომ ვანი უნდა ნახოს! — იყვირა შუბუმ.

გამოჩნდა თუ არა ვანის ჭიშკარი, მარეხს მუცელი ატკივდა. ქალუკამ ტკივილებისაგან სახედაღრეჯილი მარეხი გზიდან გადაიყვანა და ქვაზე დასვა. „თქვენ წადითო“ — დაუძახა დანარჩენებს. მაგრამ მეომრებმა საკაცე მიწაზე დაასვენეს და ნელა, ალბათ დრო რომ მოეგოთ და სახსრებისთვის ცოტა შვება მიეცათ, ქალებისკენ გაემართნენ.

მარეხი ქვაზე იჯდა, გვერდით ქალიშვილი ამოსდგომოდა, ქალუკას თავზე დაედო ხელი. წელში მოკაკვულ მარეხს მუხლები მიეტყუპებინა, შუბლზე ოფლის მსხვილი და მბზინავი წვეთები დასეოდა.

— დაიკარგეთ აქედან! — შეუღრინა მეომრებს ქალუკამ.

ქალუკას იმედი ჰქონდა, მარეხს შეტევა გადაუვლიდა და როგორმე შინამდე მიაღწევდნენ. მაგრამ მარეხი უარესად მოიკუნტა და ქვიდან ჩამოცურდა. თვალებში შიში და სასოწარკვეთა ჩასდგომოდა, ვერავის ვეღარ სცნობდა. ისე საცოდავად იღიმებოდა, თითქოს ცემას უპირებდნენ. გალურჯებული ტუჩები დაუწვრილდა, დაეჭიმა, გულაღმა გადაწვა და ხელები სახეზე აიფარა, თითქოს ისეთ სამარცხვინო საქმეს ჩადიოდა, უფლება აღარ ჰქონდა ქვეყნისთვის შეეხედა. „გოგო წაიყვანეთო“ — დაუძახა გატრიალებულ მეომრებს ქალუკამ და პირპინას ხელი უბიძგა. მეომრებმა გზაზე დადებული საკაცე ისევ მხარზე გაიდეს და თითქმის სირბილით გასწიეს ვანისკენ.

უხეიროს არაფერი გაუგია. თვალი რომ გაახილა, უკვე შინ იყო, ტახტზე იწვა, ზეთის ჭრაქში ალი პარპალებდა, მაგრამ უხეირო მაინც ვერაფერს არჩევდა, უზარმაზარი, დამრგვალებული ჩრდილების გარდა, ოთახში რომ დაბორიალობდნენ, ერთმანეთს აწყდებოდნენ, ერთიანდებოდნენ და ისევ ითიშებოდნენ, ნელა და წვალებით, თითქოს წებო ჰქონდათ წასმული. სახლი უცნაური ხმებით იყო სავსე. თითქოს ჩრდილებიც ამ ხმებს დასდევდნენ დასაჭერად თუ გასადევნად. მდინარის ჩხრიალი, ტურების მოთქმა და ცხენების ხვიხვინი არეულიყო ერთმანეთში. სწორედ ამ ხმებმა დაუბრუნეს გონება უხეიროს, ჯერ იფიქრა, ბანაკში ვარო, მაგრამ თითქმის მაშინვე, სადღაც, ძალიან ახლოს ჩვილი ატირდა. ამ ხმამ გაახალისა, მარეხი განთავისუფლებულაო, გაიფიქრა და წამოდგომა მოუნდა, სცადა კიდეც, მაგრამ ვიღაცის უჩინარმა ხელმა შეაჩერა, უჩინარი ხელი წამოწევას უშლიდა, ისევ საწოლზე აბრუნებდა, სანამ ამ ხელის პატრონი, ისიც უჩინარი, ყალბი და არაბუნებრივი ხმით ეუბნებოდა: იწექი უხეირო, იწექი, მარეხს აღარაფერი ეშველებაო.

უხეირომ მაშინვე დაუჯერა ხელსაც და ხმასაც, დაუჯერა და ყველაფერსაც, მიხვდა; ეს ახალი ცნობა იოლად და სწრაფად აითვისა მისმა არსებამ, რადგან ყოველგვარი შეზავებისა და შეპარების გარეშე მთელი ჯამფილა წამალი ერთბაშად გადააყლაპეს და ისიც ერთბაშად მორჩა, მორჩა და განიკურნა გაურკვევლობისაგან, იმედისაგან, ირწოლვისაგან, ფუჭი ოცნებისაგან. მარეხი მოკვდა! ოთახში საგნები და სხეულები გამოიკვეთა. უხეირომ ყვე-

ლანი იცნო. მართლაც, მარეხის გარდა, ქველანი აქ იყვნენ, მარეხი კი, რა თქმა უნდა, აქ ვერ იქნებოდა, რადგან მომკვდარიყო. უხეიროს არ აინტერესებდა ის წვრილმანები, რომლებიც მას გამორჩენოდა გონწასულობის გამო. განა სულ ერთი არ იყო? მისი გამოთიშვით ისარგებლა სიკვდილმა და მარეხი მოიტაცა. ფეხზე რომ ყოფილიყო, ასე არ მოხდებოდა, ასე რომ მისი ბრალიცაა მარეხის სიკვდილი. „რა უცნაურია, — ფიქრობდა უხერო, — მარეხი აღარ არის, არასოდეს აღარ იქნება. სანამ გონწასული ვეგდე, სიკვდილი გადაიბირა და ჩემს მაგივრად წააყვანინა თავი. გონება კი დამიბრუნდა, მაგრამ მარეხი სამუდამოდ დავკარგე. განა არ ჯობდა... ეი, სიკვდილო, მე რაღასთვის დამტოვე, ჰა? სიკვდილის რა ბრალია, კაცმა გონება არ უნდა დაკარგოს, უნდა გაძლოს, მოითმინოს, აჯობოს, ან თუ დაკარგავს, აღარ უნდა დაიბრუნოს უკან. ქალმა ერთხელაც რომ გაათიოს სხვაგან ღამე, სანდო აღარაა. გონებაც ასეა. მარეხი კი აღარ არის, აღარ შეხტება ძილში, აღარ გამიღიმებს, აღარასოდეს აღარ მეტყვის, როგორც იცოდა ხოლმე, რაღა გვიჭირს, თქვენს ხილვას რომ ვეღირსეთო. მარეხი წავიდა, სანაცვლოდ კი ეს აჩხავლებული ძონძები დატოვა, ქალუკას რომ სათუთად მიუხუტებია გულზე და ისე მიყურებს, თითქოს ელოდება, როდის დავუძახებ და ვეტყვი: მოდი ქალუკა, მაჩვენე ჩემი შვილი, მადლობა ღმერთს, ეგ მაინც რომ შეგვინარჩუნაო“.

— ეგ ბავშვი არ იცოცხლებს! — იყვირა უცებ უხეირომ.

ცოტა ხნის მერე კი ჩვეულებრივი ხმით გააგრძელა, თითქო საოჯახო დავალებას აძლევდა მსახურებს: დროზე მოკალით, დედამისს რომ მიეწიოსო.

ქალუკას სახე შეეცვალა, შემკრთალმა თვალი მოავლო ოთახში შეკრებილთ: ამხელა ტვირთს მარტო მე ნუ ამკიდებთ, მომეხმარეთო. მაგრამ ვერავინ გაბედა, სიტყვა შეებრუნებინა უხეიროსთვის.

უცნაურად იწყებდა ახალშობილი ცხოვრებას: დედამ მაშინვე მიატოვა, ზედაც არ დაუხედავს; მამამ კი სიკვდილის განაჩენი გამოუტანა დედის მკვლელობისთვის, დედამისი მეორე ოთახში იატაკზე ესვენა, ზემოდან თეთრი, აფრისხელა ტილო გადაეფარებინათ. ცხედრის ფეხებთან პოპინა ჩაცუცქულიყო და მუხლებში თავჩარგული, მშიერი ლეკვივით საწყალობლად სლუკუნებდა.

მარეხის დასაფლავებამ უხმაუროდ და უფერულად ჩაიარა.

დაკრძალვის დღეს მარეხი შუა ოთახში ტახტზე დაასვენეს და აფრისხელა ტილო გადახადეს. გაცრეცილ სახეზე სამუდამოდ შეჰყინვოდა შვებისა და სინანულის ღიმილი. მეზობელ ოთახიდან უხეირო ყვიროდა: ბავშვმა აკოცოს, დაამახსოვრდებაო. ქალებსაც წარამარა მიჰყავდათ პოპინა დედის ცხედართან. დედა მკვდარიც ლამაზი იყო, მაგრამ სიკვდილს მაინც შეეცვალა. პოპინას ეგონა, ეს უძრავი და ლამაზი ქალი დედამისი კი არა, დედამისის მსგავსი ტიკინა იყო, მის მოსატყუებლად რომ დაესვენებინათ აქ. ნამდვილი დედა სიკვდილს წაეყვანა. პოპინას არც უკვირდა, არც ეშინოდა. განა დედისგანვე არ იცოდა, სიკვდილს ის რომ მიჰყავდა, ვინც მოეწონებოდა და ვისაც ამის ღირსად ჩასთვლიდა? ცოტა ეამაყებოდა კიდეც, სიკვდილმა ამჯერად დედამისი რომ აირჩია, მაგრამ ვერ გაეგო, რა საჭირო იყო ამ ლამაზი ტიკინის, ასე ძალიან რომ გავდა დედამისს, აქ დასვენება. მიცვალებულის გათოშილი კანის უსიამო შეხება გულს ურევდა. „მაშინებენო“ — ფიქრობდა იგი, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, ვის რაში ჭირდებოდა მისი შეშინება. როცა უხეირომ ერთხელ კიდევ იყვირა, ბავშვმა აკოცოსო და, როცა ქალებმა ერთხელ კიდევ მიიყვანეს ცხედართან, თავი ვეღარ შეიკავა და

გული აერია. გულის არევამ თავბრუ დაახვია და თვალი დაუბნელა. არც გაუგია, როგორ მობანეს სახე. გულისპირი დასველებოდა. ცხედრისკენ გახედვაც აღარ უნდოდა და ცდილობდა სხვა რამეზე ეფიქრა, თუნდაც პეპელაზე, ნემსით რომ მიემაგრებინა კედელზე ვიღაცას, ვისაც მასზე ადრე ეცხოვრა ამ სახლში, ვისთვისაც, ალბათ, ყველაფერი ნაცნობი და ახლობელი იყო ირგვლივ, მაგრამ მაინც მიეტოვებინა აქაურობა, გაესწრო სიკვდილისთვის, ვერაგი ძაღლივით რომ ასდევნებოდა უხეიროს ოჯახს. სიკვდილს უარესად გაეუცხოებინა ყველაფერი. პოპინამ იცოდა, მშობლებთან ერთად სამშობლოში რომ ბრუნდებოდა, უხაროდა კიდეც, მაგრამ მოლოდინმა არ გაუმართლა, სახლში, რომლისკენაც გამოზამთრებული მერცხალივით მოისწრაფოდა, ორი საკაცე შემოუძღვა, ერთზე ეტლით გადათელილი მამა ესვენა, მეორეზე — დედის ცხედარი. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს შინ კი არა, სიკვდილის სამეფოში შემოედგა ფეხი, საამისოდ კი პატარა იყო. ამას თვითონაც გრძნობდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ გაჩენია აქედან გაქცევის სურვილი, ან სად უნდა გაქცეულიყო? ყველანი აქა ყავდა, დედაც აქ დაბრუნდებოდა, როცა ძალიან მოენატრებოდა შვილები. ფარნაოზი ხომ ცოცხალი იყო. მართალია, მამამისმა ბრძანა, ახლავე მოკალითო, მაგრამ პოპინამ იცოდა, ფარნაოზი ქალუკამ რომ გადამალა სადღაც; ქალუკამ ისიც თქვა: რომ მოვკლა, დედამისს როგორღა შევხედო სახეშიო. მაშინ გაუჩნდა იმედიც, უცებ დაიჯერა, დედა რომ მართლა დაბრუნდებოდა. უნდა მოეთმინა, უნდა მოეცადა და, რაც მთავარია, ფხიზლად ყოფილიყო, დედის მოსვლა რომ არ გამოპარვოდა.

ამის მერე თითქმის ყოველ ღამე ესიზმრებოდა მიცვალებული დედა, დედა კი არა, დედის მსგავსი ტიკინა, პეპელა, რომ დაჰფარფატებდა თავზე. დაძინებისა ეშინოდა, დარწმუნებული იყო, სიზმარი საიდანღაც უთვალთვალებდა, როდის მოერეოდა ძილი. სიზმარში ყველაფერი ისე ზუსტად და ისე თანმიმდევრულად მეორდებოდა, სიზმარი აღარც ეთქმოდა. მამა ყვიროდა, ქალები ვიშვიშებდნენ, ეფერებოდნენ, ნუ გეშინია, დედაშენიაო და ძალით მიჰყავდათ ტახტისკენ. ტახტის ზემოთ პეპელა ფარფატებდა და შავი, მბზინავი მტვერი სცვიოდა. „ეს პეპელა დედაჩემის სულიაო“ — ფიქრობდა პოპინა სიზმარში. გამოღვიძებული კი მაშინვე იმ კედელს მიაშურებდა, რომელზედაც პეპელა მიენემსა ვიღაცას. პეპელა რომ ადგილზე დახვდებოდა, რატომღაც მშვიდდებოდა და ცივ ფილაქანზე დგომით აძიგძიგებული ისევ საწოლისკენ გარბოდა.

ასე მეორდებოდა ყოველ ღამე. გარდაცვლილ დედაზე ფიქრი მოსვენებას უკარგავდა პატარა გოგოს, უდედობა აფრთხობდა, გრძნობდა, როგორ ჭირდებოდა უფროსი ქალი, რომლისთვისაც უნდა მიებაძა, რომლისგანაც უნდა ესწავლა ის, რისი ცოდნაც აუცილებლად დასჭირდებოდა. მან ხომ არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რომ ქალი იყო. ამის თქმა მოასწრო მხოლოდ დედამ. „შენ ქალი ხარ, დაიმახსოვრეო“ — ეუბნებოდა დედა, მაგრამ პოპინა არ ჩქარობდა გაეგო ამ სიტყვების აზრი, ან რა ეჩქარებოდა, დედა გვერდით ყავდა, შეეძლო უსასრულოდ ეცქირა მისთვის და ბედნიერებისგან თავბრუ ეხვეოდა, როცა წარმოიდგენდა, რომ თვითონაც ასეთი ლამაზი ქალი გახდებოდა, თვითონაც ასე გაღიმებული ჩაიხედავდა სარკეში. ახლა დედის სიტყვები ქვებივით დუმდნენ, თითქოს თვითონაც მომკვდარიყვნენ. პოპინა უკვე მთელი არსებით გრძნობდა, ყოველთვის ასეთი უმწეო და უვიცი რომ დარჩებოდა, თუკი ვერ ჩაწვდებოდა ამ შეუღწეველსა და დამთრგუნავ დუმილს. „მე ქალი ვარ, ქალი

ვარ, ქალი...“ — იმეორებდა ძილის წინ. პირალმა გაშოტილი და თვალებდაჭყეტილი. მაგრამ როცა თანდათან გამოიკვეთა გრძნობა, რომელსაც ეს სიტყვები ბადებდა, პოპინა აიწურა, ეს შიშის გრძნობა იყო. „მე ქალი ვარ, ამიტომაც უნდა მეშინოდეს, უნდა მეშინოდეს ყველაფრისა, რადგან ქალი ვარ. ამის თქმა უნდოდა, ალბათ, დედასაც, მაგრამ ვერ მეუბნებოდა, ანდა მე არ მესმოდა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი ქალიო“ — ფიქრობდა პოპინა. ეს ისეთი ფიქრი იყო, ადვილად ვერ შეეშვებოდა და ისიც უსასრულოდ იმეორებდა ერთსა და იმავეს: რისი უნდა ეშინოდეს ქალს? ყველაფრისა. მაინც? მამისაც უნდა ეშინოდეს? მამისაც. ძმისაც? ძმისაც. რატომ? იმიტომ რომ ქალია. „ღმერთო, ამაღამ ძაინც ნუ დამესიზმრება დედა, — ბუტბუტებდა ძილგამკრთალი პოპინა. — ანდა ნამდვილი დედა დამესიზმროს, სიკვდილმა რომ წაიყვანაო“.

მაგრამ ნამდვილი დედის სახება დედა — ტიკინას გაყინულმა სახემ სამუდამოდ განდევნა. მას ასეთი უნდა ხსომებოდა იგი და მართლაც, როგორც არ უნდა დაეძაბა გონება, ვერაფრით ვერ ახერხებდა იმ დედის სახის წარმოდგენას, სიკვდილმა რომ წაიყვანა. ვისთვის ეკითხა, როგორი იყო დედამისი? ვერავის ვერ ჰკითხავდა. ან ვინ ეტყოდა...

მისი ძმა ყველაზე მიყრუებულ ოთახში გადაემალა ქალუკას, რათა მამის უცაბედ განრისხებას არ შესწირვოდა. უხეიროს ბავშვი აღარ მოუკითხავს. ქალუკამ კი ბავშვის მაგივრად ძონძებში გახვეული ქვა ჩააგდო ჭაში. ჭამ ძღვენი მიიღო და ერთი ამოიბოყინა; სახლში საიდუმლო გაჩნდა. ყველაფერი იყო მოსალოდნელი განრისხებული უხეიროსაგან. მაგრამ საიდუმლო ყველამ ისევე გადაყლაპა, როგორც ჭამ, ძონძებში გახვეული ლოდი. ქალუკამ, უპირველეს ყოვლისა, თავის შვილს, ფილამონეს უთხრა, ჩემი ხელით დაგკლავ, თუ სადმე წამოგიყრანტალებიაო. ფილამონეს უხეიროსთან ვინ შეუშვებდა, ბავშვი იყო, კოკურა, მაგრამ ქალუკა კოკების გასაგონად ამბობდა ამას.

საიდუმლომ ყველანი დააახლოვა, ამავე დროს დააფრთხო, დაძაბა და გააეშმაკა. ბავშვის საწოლთან მორიგეობით ათევდნენ ღამეს. როგორც კი წამოიტირებდა მაშინვე რძეში ამოვლებულ კანაფის ფოჩვს ჩაჩრიდნენ პირში. დღისით უფრო იოლი იყო ბავშვის ჩაჩუმება, ყველანი განგებ ატეხდნენ ხოლმე ხმაურს, ქალუკა ქვაბებს ჯოხსა სცემდა და ისეთი ჟღრიალი იდგა სახლში, ბავშვის ტირილი კი არა, ქუხილიც აღარ ისმოდა. უხეიროს არასოდეს არ უკითხავს ამ ხმაურის მიზეზი. დიდიხანია მიხვედრილიყო შინაურების ეშმაკობას და განგებ იყრუებდა ყურს, რადგან პირველ რისხვას გადაევლო და ახლა უხაროდა კიდეც, მისი ბრძანება რომ დაერღვიათ. დუმილი და ყურის მოყრუება ერთადერთი საშუალება იყო შვილის სიცოცხლეს რომ შეუნარჩუნებდა. ამიტომაც დაყრუვდა. სახლში კი ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა. ყველანი ძველებურად დაძაბულნი იყვნენ, ერთმანეთს პირზე აფარებდნენ ხელს. ამ ამბავს ყველაზე მეტად პოპინა განიცდიდა, ვერ გაეგო, რატომ არ უნდა ყვარებოდა მამამისს ფარნაოზი, ვერ შეჩვეოდა ბავშვისათვის ამ მართლაც თავზარდამცემ აზრს და პატარა გული შიშითა და სევდით ეწურებოდა. „თუ ფარნაოზი არ უყვარს, არც მე ვყვარებივარო“ — ფიქრობდა პოპინა. ეს ფიქრი თანდათან ისე გაიბერა, ისე გასივდა და ისე გაიდგა ფესვი პოპინას სულსა და გონებაში, გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, შეემოწმებინა თავისი ეჭვი. ის უკვე იმ ასაკში იყო, ეგონა რასაც ფიქრობდა და ამჩნევდა, მანამდე არავის ეფიქრა და შეემჩნია. ამიტომ ბუნებრივად ებადებოდა სურვილი, ვინმესთვის, ვინმესთვის კი

არა, ყველაზე ახლობელი ადამიანისთვის გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი. მაგრამ სად ეპოვნა ასეთი ახლობელი ადამიანი, ერთი მკვდარი იყო და დაბრუნებას არ აპირებდა, მეორე თავის ოთახში იწვა გაშოტილი, მუხლებზე აფრისხელა ტილო გადაეფარებინა, რომელშიაც ადრე მარეხის ცხედარი იყო გახვეული, და იმ ტილოზე ფერადი ძაფებით ყვავილებს ქარგავდა; მესამეს კი პირში თხის რძეში ამოვლებული კანაფის ფოჩვი ჰქონდა ჩაჩრილი და წამოტირებაც კი არ შეეძლო. ისევ და ისევ საკუთარი თავიღა დარჩენოდა. საკუთარ თავთან პოპინას ყოველთვის შეეძლო საუბარი, რასაც უნდოდა იმას ეტყოდა, თვითონაც მოუსმენდა, არც შიში ჰქონდათ ერთმანეთისა და არც მორიდება, დროც ბევრი ჰქონდათ, რადგან თითქმის სულ ერთად იყვნენ, ხოლო როცა ერთად იყვნენ, სხვა ყველაფერი ავიწყდებოდათ. ამიტომაც დასჩემდა პოპინას საკუთარ თავთან ხმამაღლა ლაპარაკი. თავდაპირველად სხვებისთვის უჩუმარ ხმაზე დაწყებული საუბარი თანდათან ისე იპყრობდა და ისე იტაცებდა, მართლა სულერთი იყო, მარტო იყო თუ არა. პირველ ხანებში ყველანი ტყუვდებოდნენ, ეგონათ ჩვენ გვითხრა რამეო და ჩაეკითხებოდნენ ხოლმე. „თქვენთვის არ მითქვამსო“ — პასუხობდა პოპინა და ჩუმდებოდა, სანამ ბრაზი გადაუვლიდა, სანამ ისევ გამოიწვევდა საკუთარ თავს სასაუბროდ. ერთხელ ფილამონესაც გაუხეთქა გული. ეს მაშინ მოხდა, როცა პოპინამ ითავა მამის მომარაგება ფერადი ძაფებით. პოპინა მდუღარე საღებავით სავსე ქვაბს ურევდა. ფილამონეც იქვე ჩაცუცქულიყო და ცეცხლს სულს უბერავდა.

— სულელი ფილამონე. — თქვა უცებ პოპინამ.

ფილამონემ პირდაღებულმა ამოხედა პოპინას, მაგრამ პოპინა ქვაბში ჯოხს ურევდა და თავისუფალი ხელით ჩამოშლილ თმას აკავებდა, შესაღები ძაფივით ქვაბში რომ უვარდებოდა.

დრო გადიოდა. ბავშვები უზრდელ ბოდნენ. უხეირო კი ქარგავდა. საწოლზე წამომჯდარი, ზურგით კედელს მიჰყუდებოდა, ფეხებზე აფრისხელა ტილო გადაეფარებინა და ზედ ფერადი ძაფებით თავისი მშფოთვარე ცხოვრების ამბავი გამოჰყავდა. ქარგვა იმ დღიდან დაიწყო, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, ვერასოდეს ვეღარ წამოდგებოდა, მიწაზე ფეხს ვეღარ დააბიჯებდა, რადგან საომარი ეტლის ბორბლებით დამსხვრეულ ძვლებს ვერცერთმა მკურნალმა ვერ მოუყარა თავი, ვერ შეაკოწიწა, რათა ისევ შესძლებოდათ უხეიროს უზარმაზარი სხეულის ზიდვა. როგორი ძნელიც არ უნდა ყოფილიყო, უხეირო ბედს უნდა შეჰგუებოდა. ისიც შეეგუა. მეომრის წლობით ნაწრთობი ნებისყოფა ავად მყოფობაში გამოადგა. მისთვის ცხოვრება დამთავრდა, მაგრამ ახლა სიკვდილისთვის უნდა დაეცადა. ეს კი არც ისე იოლი საქმე იყო. როდის მოიცლიდა სიკვდილი მისთვის, ოთხ კედელში გამოკეტილი საპყრისთვის, როცა ქვეყნად ამდენი ჯანღონით სავსე ვაჟკაცი და მეომარი დადიოდა. სიკვდილსაც დრო სჭირდებოდა. დრო კი როგორმე უნდა გაეყვანა უხეიროს, უსაქმობისგან აწრიალებული ხელები ყელში რომ არ წაეჭირა. ქარგვამ გულზე დაგროვილი ბოლმა და ნაღველი ცოტათი გადაჰყარა, გაუბიაბურა; სამაგიეროდ ფიქრს მიაჩვია, თვალი გულში ჩაუბრუნა და სინანულის ბრჭყალი ისე მწარედ გაჰკრა, მუშაობით გართულს, უცებ ხელი გაუშეშდებოდა ხოლმე, თვალებს ჭერს მიაპყრობდა და კარგა ხანს იყო ასე გაშტერებული, სანამ მკაცრად მოკუმულ ტუჩებზე გესლიანი ღიმილი წელმოწყვეტილ გველივით არ გადაახოხდებოდა. ეგ იყო და ეგ. მერე სახეზე ხელს ჩამოისვამდა, თითქოს გესლიან ღიმილს მოიხოცავდა და ისევ საქარგავს მიუბრუნდებოდა.

რაც დრო გადიოდა, რაც უფრო იზრდებოდა სტრიქონთა რაოდენობა ტილოს ხორკლიან ზედაპირზე, მით უფრო ნათელი ხდებოდა უხეიროსთვის განვლილი ცხოვრების უაზრობა. ყოველი დღე ერთნაირად იწყებოდა, ერთნაირი თავგადასავლებით იტვირთებოდა და ერთნაირად მთავრდებოდა. ხალხიც თითქოს ყოველთვის ერთი და იგივე იყო, ყველანი ერთმანეთს გავდნენ, რადგან ერთნაირად კვდებოდნენ: უკანასკნელი, უთქმელი სიტყვა ყველას სისხლად და დორბლად ამოსდიოდა პირიდან, ზუსტად იმ პირველი ადამიანივით, თივით გატენილ ტიკინაზე ხელგაწაფულმა უხეირომ შუბი რომ აძგერა. მასაც რაღაცის თქმა უნდოდა, თვალებს საცოდავად აცეცებდა, მაგრამ ჩობოშებულ პირიდან სიტყვის ნაცვლად შავი სისხლი ამოსდიოდა. იმის მერე უხეირომ იმდენი კაცი განგმირა თავისი უტყუარი შუბით, სხვას ანგარიში აერეოდა. უხეიროს კი ყველანი ახსოვდა, მიუხედავად მათი საოცარი მსგავსებისა. ესეც მერე შეამჩნია, როცა დამსხვრეულ ფეხებზე აფრისხელა ტილო გადაიფარა და სამუდამოდ შეეგუა ბედს. ქარგვაც ამიტომ დაიწყო, გვამებით გავსებულმა მახსოვრობამ შეაწუხა. ახლა სიკვდილამდე როგორმე უნდა მოესწრო ამ გვამების გამოზიდვა და მოვლა-პატრონობა. რაკი მოკვლა აღარ შეეძლო, ადრე მოკლულები უნდა გაეპატიოსნებინა, დაემარხა, დაებინავებინა. საამისოდ ვარგოდა მხოლოდ. ისიც დროს არ კარგავდა, დილამდე ვერავინ შეუბერავდა სულს ზეთის ჭრაქში აპარპალებულ ალს, ამაოდ რომ იხვეწებოდა: ჩამაქრეთ, დავიქანცეო. უხეირო თავს არ იზოგავდა, სანამ თვალები არ აუცრემლიანდებოდა, სანამ ზურგი არ დაუწყებდა ტეხვას, გაშმაგებული თხრიდა საფლავს აფრისხელა ტილოზე, რათა კიდევ ერთი, მისგან მოკლული კაცი მიებარებინა მიწისთვის, განთავისუფლებულიყო მისგან. ფერადი ძაფებით მოქარგული სასაფლაო თანდათან იზრდებოდა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამე იყო დასამარხი. „რამდენი მიცოცხლიაო“ — თვითონვე გაუკვირდებოდა ხოლმე. მართლაც, ყველა შემთხვევა თუ ამბავი, თითქმის უმნიშვნელო, იმდენ მოგონებას მოიყოლებდა თან, უხეირო ღარიბი დიასახლისივით აწრიალდებოდა ხოლმე, აღარ იცოდა სად დაებინავებინა ამდენი მოულოდნელი სტუმარი. უძლურობამ უხეირო დააბრძენა კიდეც. წინადღის ამოქარგულ წარწერებს რომ ამოიკითხავდა, თვითონვე უკვირდა. „დავეცი და დავინახეო“ — შავი ძაფით ამოექარგა ერთ ადგილას უხეიროს და მართალიც იყო. წაქცეულს შეეძლო დაენახა ის, რაზედაც ფეხზემდგარი დაუდევრად მიაბიჯებდა. მაშინ თვითონ ვერ ხედავდა, ვერაფერს ვერ ხედავდა, გარდა იმ ადგილისა, სადაც შუბი უნდა ეძგერებინა. ვერ ხედავდა, რადგან სხვები ხედავდნენ მას და გაურბოდნენ, ანდა ეგონათ, რომ გაექცეოდნენ, აიცდენდნენ მის უტყუარ შუბს. ასე გასულიყო დრო, შუბის წვერზე წამოდებული ქსოვილივით ჩამორღვეულიყო და გაეშიშვლებინა ქვეყანა, საკუთარ ქორწილში დაქვრივებულ ქალივით სახტად დაეტოვებინა, თვითონ კი მომკვდარიყო. იქნებ ყოველივე დამესიზმრაო, — ფიქრობდა ზოგჯერ უხეირო. იქნებ ნამდვილად არც კი არსებობდა ის დრო, რომლის ფერფლსაც ის ახლა აფრისხელა ტილოზე აგროვებდა, მაგრამ როგორც კი თავის ლაპლაპა შუბს თვალს შეავლებდა, იმწამსვე ყველაფერს ცხადად დაინახავდა ხოლმე. შუბი კი მართლაც განსაკუთრებული ჰქონდა, ტანმაღიმე და თავმსუბუქი. როგორიც თვითონ იყო. შუბს წარწერაც ამშვენებდა. უხეიროს წატრაბახებაც უყვარდა: მთელ ქვეყანაზე ორადორი შუბია ასეთი წარწერიანი და ერთი მე მეკუთვნისო. „ჩემმა პატრონმა მძლია, მაგრამ მის ხელში უძლეველი გავხდიო“ — ეწერა უხეიროს შუბზე.

მიწაზე რომ დაბჯენდა, ოქროსფერი ბუნიკი მთელი მტკაველით ასცდებოდა ხოლმე მის აქოჩრილ თავს, უხეირო კი მაღალი კაცი გახლდათ. „სიმაღლის მეტი არაფერი გაქვს მეფურიო“ — ეტყოდა ხოლმე მეუღლე, გაუღიმარი მარეხი. უხეირომ კარგად იცოდა, საითაც უმიზნებდა მისი ცოლი, მაგრამ სრულებითაც არ ბრაზდებოდა, რადგან დარწმუნებული იყო, მარეხს უყვარდა და ეამაყებოდა კიდეც მისი ცოლობა. ასე მარეხის უფროსი დები ფიქრობდნენ, რადგან, ცოტა არ იყოს, შურდათ კიდეც, ნაბოლარა დას თავდავიწყებით რომ შეჰყვარებოდა ქმარი, „ერთი ჩვეულებრივი მეომარი“, რომელსაც ათასში ერთხელ თუ გამოუშვებდნენ ბახაკიდან, რათა ოჯახისთვის დაეხედა, კი არ დაეხედა, სისხლსა და მტვერში ამოგანგლული, გრიგალივით შევარდნოდა, ყველაფერი თავდაყირა დაეყენებინა და მთელი სახლი აეკლო ხარხარითა და ღრიანცელით. შეიძლება, ესეც შურდათ მარეხის დებს, რადგან მათი ქმრები ერთიანად ჩამოეხმო, გამოეწურა გაუთავებელ მოლოდინსა და ერთსა და იმავე საფიქრალს. მარეხი ყოველთვის თავჩაღუნული უსმენდა დებს, სანამ ისინი მის ფეთიან ქმარზე საუბრობდნენ, მაგრამ ყველაფერს იმახსოვრებდა, თვითონაც რომ გამოეყენებინა დების მოსწრებული თქმები თავის დასაცავად თუ გადასარჩენად, როცა პირისპირ აღმოჩნდებოდა უხეიროსთან, როცა თავბრუს დაახვევდა და თავფეხიანად ჩაითრევდა ეს მართლაც ფეთიანი, სიყვარულით ადიდებული მდინარე.

მარეხის მამა უფროსი ოყაჯადოს ვეზირი იყო. როცა აიეტმა ოყაჯადო ტახტიდან ჩამოაგდო, არ მიატოვა ნამეფარი, ბოლომდე დაუმტკიცა ერთგულება და თავის მრავალრიცხოვან ქალიშვილებთან ერთად ისიც გადაიხვეწა სამშობლოდან. ჭკვიანი კაცი იყო, მაგრამ არ ეგონა ასე თუ გამწვავდებოდა ბიძაშვილების ჩხუბი; ყველაზე დიდმა მეფემ თავი რომ გამოიდო, ზარზე იმით რომ მიიღო ლტოლვილები, მაშინვე გულმა რეჩხი უყო, ძიხვდა, ილად ველარ დააღწევდნენ თავს მინოსის მასპინძლობას. „გავებით მახეშიო“ — უნდოდა ეთქვა თავისი მეფისთვის, მაგრამ ოყაჯადო ისე გაბადრულიყო, ისე შეეფერებინა ყურადღება და პატივი, ვეზირს შეეცოდა და ენას კბილი დააჭირა. სამაგიეროდ მოვალეობიდანაც განთავისუფლდა. თვითონვე გაინთავისუფლა თავი; მისი ვეზირობა არავის აღარ ჭირდებოდა, აღარც თვითონ ეცალა მეფეებისთვის. ახლა უსამშობლოდ დატოვებული შვილებისთვის უნდა მიეხედა. ჯერ რა უჭირდათ, ჯერ მოსწონდათ კიდეც ლტოლვილები რომ იყვნენ, ყველას რომ აინტერესებდა მათი ასავალ-დასავალი, თანაგრძნობას რომ უცხადებდნენ ყველანი, მაგრამ სხვამ თუ არა, მან ხომ იცოდა, თანაგრძნობა ათვალწუნების წინამორბედი რომ იყო, დღეისათვის უჩვეულო ხვალ ჩვეულებრივი და მომაბეზრებელი გახდებოდა. ვეზირად იმიტომ დაენიშნათ, ჭკუა რომ უჭრიდა, ხოლო აწიოკებულ ოჯახზე ფიქრმა უარესად დააჭკვიანა. ამიტომაც იყო, სიგელ-გუჯარების წერას რომ უკლო და დაკარგული ტახტის მემკვიდრეებთან სიარულს მოუხშირა. შორს წასვლა არ დასჭირვებია, კნოსის სასახლეში ქვა რომ გადაგეგდო, ტახტის მაძიებელს მოხვდებოდა, ნამეფარს, თვითმარქვიას, ვითომ მეფეს, ძალად მეფეს, ანდა ყველას ერთდროულად. მალე, ნაბოლარას გარდა, ყველანი გაათხოვა. იმანაც შეუწყო ხელი, გაციება რომ არ აცალა გამოსაკვერ რკინას, დროულად დაფაცურდა: კოლხეთში მომხდარი ამბები ყველას პირზე ეკერა, ზღაპრად ყვებოდნენ ამ შორეული ქვეყნის სიმდიდრესა და სიდიადეს, ხოლო იქაური, თანაც დიდგვაროვანი ქალის შერთვა სატრაბახოდ მიაჩნდათ. „ამდენ მეფე-დედოფალს ერთი ვეზირი როგორ გაგწვდებითო“ — ეხუმრებოდა

სიძე-ქალიშვილებს. „ერთი მეფეც გვაკლიაო“ — კისკისებდნენ გათხოვილი დები და ნაბოლარა მარეხიც თავის უფლისწულზე ოცნებობდა. ჩამოჯდებოდა სარკმელთან და გზას გასცქეროდა. მამას განსაკუთრებულად უყვარდა ნაბოლარა ქალიშვილი და განსაკუთრებულადაც უპირებდა გათხოვებას. რაკი უფროსები დაებინავებინა, შეეძლო უფრო მშვიდად ეფიქრა მარეხის ბედზე, არ აჩქარებულიყო, არ დახარბებულიყო და უკეთესთა შორის უკეთესი გამოეძებნა. მაგრამ მარეხმა არ გაუმართლა, თუმცა განსაკუთრებულად კი გათხოვდა, უბრალო მეომარს გაჰყვა ცოლად. პირველ ხანებში არც ვეზირს მოეწონა უმცროსი ქალიშვილის არჩევანი, მაგრამ როცა ათასჯერ ასწონდასწონა, ჩაუღრმავდა და ჩაუკვირდა, დარწმუნდა, რომ მარეხი უფრო საიმედო კაცის ხელში იყო, ვიდრე მისი უფროსი დები. სხვა რომ არაფერი, მარეხი და მისი ქმარი ერთი მიწაწყლისანი იყვნენ და უფრო ადვილად გაუგებდნენ და შეეწყობოდნენ ერთმანეთს. ერთ ბედქვეშ იყვნენ, ორივეს ერთი ქვეყნისკენ ეჭირათ თვალი.

უხეიროს ქუჩაში შეუყვარდა მარეხი, შემთხვევით მოჰკრა თვალი და იმ დღის მერე მოსვენება დაეკარგა. ბანაკში რომ დაბრუნდა, მეგობრებმა ველარ იცნეს, შეშინებულს გავდა, თვალებს უაზროდ ატრიალებდა, თითქოს არ ჯეროდა, მართლა რომ დაეღწია განსაცდელისგან თავი. ქალის მეტი რა ენახა უხეიროს, ომი და ქალი მის შეგნებაში განუყრელად დაკავშირებოდა ერთმანეთს. უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ყოველი ბრძოლისა თუ უბრალო შეტაკების შემდეგ, მათი ბანაკი ქალებით ივსებოდა. საიდან ჩნდებოდნენ ან სად იმალებოდნენ იქამდე ის ქალები, უხეიროს ვერ გაეგო და მაინც და მაინც არც აინტერესებდა. ისინი მაშინ მოდიოდნენ, როცა უნდა მოსულიყვნენ, როცა მათთვის ეცალა. ბევრჯერ, ნამთვრალევს ქალის გვერდით გაღვიძებია ლოგინში და ისიც ვერ გაუხსენებია, თავიდანვე ერთად დაწოლილიყვნენ, თუ მერე შემოეწვინათ მისთვის ქალი გალაზღანდარებულ მეგობრებს. მოკლედ, ქალებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, მარტო ის იცოდა, რასაც სწავლა არ ჭირდებოდა. მარეხი კი სხვა იყო, მარეხი არც ერთ ქალს არ ახსენებდა, არც ჩვეულებრივ სურვილს უღვიძებდა, თუმცა იმ დღის მერე, ქუჩაში რომ მოჰკრა თვალი, ყველაფერი არაჩვეულებრივად ეჩვენებოდა.

უხეირომ მოუხშირა იმ ქუჩაზე სიარულს და მალე დაადგინა, რომ ამ ქუჩის ბოლოს, ალისფრად შეღებილ სახლში მარეხი ცხოვრობდა, ხოლო ქუჩის თავში ტაძარი იდგა, სადაც მარეხი სალოცავად დადიოდა. ასე რომ ძნელი სადევნელი არ იყო, ამ პატარა გოგომ ჯერჯერობით მხოლოდ სახლიდან ტაძრამდე და ტაძრიდან სახლამდე იცოდა სიარული.

სხვა რომ ვერაფერი გაუბედა და ვერც მოიფიქრა უხეირომ, ერთ მშვენიერ დღეს ახლად წამოჩიტულ მარეხს, ტაძარში მარტო რომ ლოცულობდა, ვაშლი შეუგორა. მარეხმა ვაშლი მაშინვე შეამჩნია და აიღო კიდეც. ვაშლზე კი დანის წვერით წარწერა იყო ამოჩორკნილი. ვინაიდან წარწერა ძნელად იკითხებოდა, მარეხმა ძალაუნებურად ხმამაღლა და მარცვალ-მარცვალ ამოიკითხა იგი: ვფი-ცავ-არ-ავ-ის-წავ-ყვე-უხ-ე-ირ-ოს-გარ-და-ო. მარეხმა ტუჩი აიბზუკა, პატარა მხრები აიწურა, ამ აბდაუბდისა ვერაფერი გავიგეო, მერე უცებ შეჰკივლა, ვაშლი ორივე ხელით მკერდზე მიიხუტა, თითქოს ვიღაცას დაუმალაო და შეშინებულმა ტაძარი მოათვალიერა. მაგრამ უკვე გვიანღა იყო. ეს „აბდაუბდა“ ღმერთის გასაგონად წარმოთქმულ ფიცსა გავდა. არაფრით აღარ შეიძლებოდა ამ ფიცის უკან დაბრუნება, მასთან ერთად ტაძრის თაღებმაც რომ დამარცვლეს და გაიმეორეს. ახლა კი დუმდნენ, მრავლისმცოდნე და მრავ-

ლის მეტყველი დუმილით. ღვთაების ქანდაკებაც ისე დასცქეროდა, თითქოს გადაწყვეტილებას უწონებდა და ამ საქმეში ხელშემწეობასაც პირდებოდა. მარეხი ტაძრიდან წელმოწყვეტილი გამოვიდა. სადღა იყო ის ჩიტური სიმკვირცხლე, ხალისი და ჟღურტული. სინორჩისგან აბრიალებული სახე გასცრეცოდა, ზამბარასავით მოქნილი სხეული მოშვებოდა, თითქოს გაჩენის დღიდან ამ ტაძარში ყოლოდათ გამოკეტილი და მხოლოდ ახლა ღირსებოდა დღის სინათლეზე გამოსვლა. ქუჩაც გამოცვლილი დაუხვდა, ადრე ბროწეულის ყვავილით გადაწითლებული, თითქოს უცებ ჩამომჭკნარიყო. ვაშლი კი ისევ ისე ჰქონდა ორივე ხელით მკერდზე მიხუტებული.

ის დღე იყო და ის დღე, მარეხი ლოგინად ჩავარდა. ტახტის ჩრდილში გათეთრებული ვეზირი სიმწრისგან ხელებს იმტვრევდა, ვერაფერი გაუგო შვილის სატკივარს, სანამ მისმა უფროსმა ქალიშვილებმა ლოგინად ჩავარდნილ მარეხს ბალიშის ქვეშ ვაშლი არ უპოვეს და თავადაც არ ამოიკითხეს დანის წვერით ამოჩორკნილი წარწერა. მამა დაღონდა. დებს კი სიცილადაც არ ეყოთ მარეხის არჩევანი. „ჩვენზე უმცროსიც არის და სულელიცო“ — ეუბნებოდნენ საგონებელში ჩავარდნილ მამას. მარეხი ხმას არ იღებდა, იწვა გულაღმა და ჭერს შესცქეროდა, თითქოს ჭერზე რაღაც საიდუმლო ნიშნის გამოჩენას უცდიდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ მამამისმა ხელი ჩაიქნია, სულ არ დამეღუპოს შვილიო და უხეიროს კაცი გაუგზავნა, საქმე მაქვს, მეწვიეო. ვეზირმა თუ ნაველზირალმა, თვალებაწრიალებული, ფერდაკარგული და დაბნეული უხეირო რომ დაინახა, გაიფიქრა: ამათ საქმე გათავებული ჰქონიათო. მარეხის მამას ყველაზე უფრო ის აწუხებდა, მე თვითონ როგორ შევთავაზო ჩემი ქალიშვილი კარავში გაზრდილ აყლაყუდასო. ახლა კი, უხეიროს შემკრთალი და დაბნეული სახე რომ დაინახა, ესიამოვნა: ვახვეწნინებ მაინცო. უხეირო კი თავჩაქინდრული იდგა, თითებს აწვალებდა და არაფრის თხოვნას ვერ აპირებდა, თითქოს ერთი სული ჰქონდა, როდის გაუშვებდნენ აქედან. „ორივე ერთნაირად გაუშტერებია სიყვარულის ღვთაებასო“ — გაიფიქრა მარეხის მამამ; ხმამაღლა კი უთხრა. ჩვენებური ხარ, კარგი ვაჟკაციც ჩანხარ და რაც გინდა მთხოვეო. უხეირო შეკრთა, თვალები დააჭყიტა და კარგახანს უყურა სანატრელ სასიმამროს თვალებში. მერე ერთი ჩაახველა, მღელვარებისგან ამოხორგილი ყელი ჩაიწმინდა, ბეჭებში გაიშალა და უთხრა: შენს სიძეებს დამაჭიდეო.

ეს ამბავი უკვე ამოექარგა უხეიროს აფრისხელა ტილოზე და როცა ერთხელ კიდევ გადაიკითხავდა ხოლმე, თვითონვე ეღიმებოდა ამ სულელურ თხოვნაზე. საბედნიეროდ, მარეხის მამამ ყური არ ათხოვა უხეიროს სათხოვარს და ისეთი რამე თქვა, აყლაყუდა მეომარს, ბედნიერებისა და მოულოდნელობისაგან, თავზარი დაეცა.

„მე ყველაფერი ვიცი, — თქვა მარეხის მამამ, — ასე გაგრძელება კი აღარ შეიძლება. შენც ბავშვი აღარა ხარ, აქამდეც უნდა მოსულიყავი და ამ საქმისთვის აქამდე უნდა მოგება თავი. ჩვენ რა, ხალხს კი არა ვჭამთო“.

ქორწილში უხეირო გაბღენძილი იჯდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ვერცხლისა და ოქროს თასებს მუჭში ჭმუჭნიდა და ხარხარებდა, ისე გულიანად ხარხარებდა, მალე მთელი სუფრა აიყოლია. სირცხვილისაგან ალეწილი მარეხი კი სახეს ხელებში მალავდა. ეს ჩვეულება ქორწილის დღეს დასჩემდა და სიკვდილამდე გაჰყვა კიდეც. საკმარისი იყო, ვინმეს უხეირო ეხსენებინა, მარეხი მაშინვე სახეზე აიფარებდა ხელებს. რატომ იქცეოდა ასე, ძნელი ასახსნელია. მარეხს თავისი უცნაური ქმარი მთელი სულითა და გულით უყვარდა. ერთხელ,

როცა უხეირო მორიგ ლაშქრობაში ბრძანდებოდა, ხოლო მარეხი მოსალოგინებელი გახლდათ, თავს გამოუტყდა, უხეირო იქამდეც მიყვარდა, სანამ ტაძარში ვაშლს შემომიგორებდაო.

სიყვარულმა შიშიც მოიყოლა. როგორც კი მარტო დარჩებოდა, როგორც კი თვალებს დახუჭავდა მარეხი, მაშინვე მკვდარი უხეირო დაუდგებოდა თვალწინ. სიმწრის ოფლი დაასხამდა და ცდილობდა სხვა რამეზე ეფიქრა, თუმცა რაზედაც არ უნდა ეფიქრა, იქაც ამოუტივტივდებოდა ხოლმე უხეიროს გაქვავებული სახე. „მომიკლავენ, მომიკლავენო“ — მთელი ღამე შფოთავდა მარეხი. დღისით კი დაფშხვნილი კირქვითა და ტყავის ნაკუწით უხეიროს შუბებს აპრიალებდა. შუბების გაპრიალებას რომ მორჩებოდა, ახლა წერილებს გადაფერთხავდა მტვერს და აუცილებლად ყველას წაიკითხავდა, თავიდან ბოლომდე. ყოველთვის მოულოდნელად გამოჩნდებოდა ხოლმე უხეიროს გამოგზავნილი მონა, უზარმაზარ ლოდს ხვნეშითა და ვაივაგლახით შემოათრევდა და ფეხებთან დაუდებდა, რადგან ასე ჰქონდა ნაბრძანები: ფეხებთან დაუდეო. ქვაზე აცაბაცა ასოებით ამოკაწრული წარწერა მარეხს ქმრის ამბავს ატყობინებდა. „ამხელა ქვის თრევას, დაებარებინა ეს ორი სიტყვაო“ — ეუბნებოდა მარეხი ოფლადგაღვრილ მონას, ცხვრის შემწვარ ბარკალს ნადირივით რომ გლეჯდა და მოურიდებლად აბოყინებდა. ამას სიხარულის დასაფარავად ამბობდა, გული კი ნეტარებით ებერებოდა, ქმარი ამსიმძიმე წერილებს რომ უგზავნიდა. ქვაზე ამდენი ასოს ამოკაწვრას დიდი დრო სჭირდებოდა, მაშასადამე უხეიროს ამ ხნის განმავლობაში სხვა არაფერზე არ შეეძლო ეფიქრა. ეს ქვის წერილები უმსუბუქებდნენ ლაშქრად წასული ქმრის მოლოდინს. ხოლო როცა სამშობლოში დაბრუნების დღეც გათენდა, მარეხმა უპირველეს ყოვლისა წერილები ჩაალაგებინა სკივრებში, ჯერ სკივრები დააბინავებინა და მხოლოდ მერე ავიდა თვითონაც სამშობლოსკენ მიმავალ ხომალდზე.

როცა მარეხს უხეირო პირველად მოუყვანეს დაჭრილი, გული ფეხებში გაეპარა; მხოლოდ დიდიხნის მერე მიხვდა, ყველაზე ბედნიერი დღეები ჭრილობისგან სახეაპრიალებული ქმრის საწოლთან რომ გაეტარებინა. მაშინ მარეხი მარტო ცოლი აღარ იყო უხეიროსი, დედაც იყო, გადიაცა და მსახურიც. უხაროდა, ამოდენა ვაჟკაცს ხელით რომ აჭმევდა, საჭმელში წამალსაც რომ აპარებდა, ის კი ვერაფერს ხვდებოდა. მერე კი უცნაურ ამბებს უყვებოდა, უხეირო წყნარად რომ წოლილიყო და დაუდევარი მოძრაობებისგან ისევ არ გახსნოდა ძლივს პირმოკრული ჭრილობა.

უხეიროს ცოლის მონაყოლი ამბებიც გადაეტანა აფრისხელა ტილოზე, იმიტომ კი არა, სხვებისთვისაც რომ ეჩვენებინა, არმედ იმიტომ, მარეხი ახლაც და ყოველთვის ახლოს რომ ყოლოდა. მარეხის მონაყოლი მისთვის იგივე მარეხი იყო. ამოქარგულ სტრიქონს ისე სათუთად გადაუსვამდა ხოლმე ხელს, თითქოს მის მხარზე გატრუნული მარეხის პატარა თავს ეფერებაო.

ცოდვა გამხელილი სჯობს და უხეიროს გულის სიღრმეში ეამაყებოდა ასეთი დიდგვაროვანი ცოლი რომ ყავდა, თუმცა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ქალაქის ბაზარშიც რომ ეპოვნა, მაინც ასე ეყვარებოდა. ისეთ უცნაურ ამბებს უყვებოდა მარეხი, „ზღაპარ იყო და ზღაპარ იყოო“ — გაიძახოდა უხეირო. მაგრამ მარეხი მოხუცი გადიის მოთმინებით აგრძელებდა თხრობას, ქმარი რომ ჩაეძინებინა როგორმე. უხეირო კი მართლაც ბავშვივით ჭირვეულობდა, სიტყვას აწყვეტინებდა, უკან აბრუნებდა, ათასჯერ ამეორებინებდა ერთსა და იმავეს. ბევრი, ძალიან ბევრი რამე ეეჭვებოდა უხეიროს ცოლის ნაამბობში, ერთს კი სიამოვნებით იჯერებდა. სხვებზე მეტად

არც ეს ამბავი გავდა სიმართლეს, მაგრამ უხეიროს მოსწონდა, შეიძლება იმიტომაც, ძნელი დასაჯერებელი რომ იყო. ვინ იცის, მერამდენედ აყოლინებდა უკვე მთქნარებაატეხილ მარეხს იმ ფრთოსან ტყუპებზე, რომლებიც ვითომ მარეხის პეპერის პეპერას გასჩენოდა. თვითონ ხელებს თავქვეშ ამოიწყობდა, იღიმებოდა და რასაც იმ წუთას ხედავდა, თავისი უცნაურობითა და სიმშვენიერით ყოველგვარ სიმართლეს აღემატებოდა. უხეირო ფრთოსან ტყუპებს ხედავდა. ეს სანახაობა ასევდიანებდა და ესეც მოსწონდა. რატომღაც თავისი ბავშვობა და მშობლიური ქალაქი ახსენდებოდა, რომლის თავზეც ერთი გადაქროლება სიცოცხლეს ერჩია. ის ახლა, რომელიღაც ზღაპრულ, არარსებულ ქვეყანას დამსგავსებოდა, დაუდევრობისა თუ სიბრიყვის წყალობით დაკარგულსა და დავიწყებულს. შორეულ მოგონებებში გადაფრენილ უხეიროს ერთი წუთით მართლა სჯეროდა, რომ „იმ ქვეყანაში“ ყველანი ფრთებით იბადებოდნენ, ყველანი, უხეიროს ჩათვლით. ის კი ვერ გაეგო, რატომ მიატოვა თუ მიატოვებინეს „ის ქვეყანა“, რომლის წამიერი წარმოდგენაც კი ამხელა სევდითა და სიხარულით ავსებდა; ან როდის შეაჭრეს ფრთები, ოდესღაც, დიდი ხნის წინად მასაც რომ ნამდვილად ჰქონდა. ახლა ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა, იმდენად იყო დარწმუნებული, ერთხელ ცოლს მოყოლა შეაწყვეტინა და უთხრა: აბა, ზურგზე მომისვი ხელიო. ცოლმა იფიქრა, ალბათ, წოლისაგან თუ დაუბუჟდა ზურგიო და ხელი ნაზად ჩამოუსვა.

— არაფერიაო? — ჰკითხა უხეირომ.

ფრთოსანი ტყუპები კი შემთხვევით შემოფრენილ მერცხლებივით დასრიალებდნენ ჰაერში, ყღურტულებდნენ, თამაშობდნენ და მათი მსუბუქი ფრთებით ათრთოლებული ჰაერი უხეიროს სახეზე ულიტინებდა.

ბევრი კაცი ყავდა უხეიროს მოკლული, მაგრამ ადრე, სანამ ფეხზე იდგა, სინდისის ქენჯნა არასოდეს უგრძვნია, არ შეწუხებულა, რადგან ამას თავის ხელობად თვლიდა, მამაკაცის ხელობათ, რომელსაც პირნათლად უნდოდა შესრულება. ამას დიდი ახსნა-განმარტება არ ჭირდებოდა, ყველაფერი ისედაც ნათელი იყო: რომ არ მოეკლა, მოკლავდნენ. მაგრამ მოურჩენელმა ავადმყოფობამ უხეიროს გონებაში ბევრი რამე შეცვალა და გადაადგილა. ახლა მას დროც მეტი ჰქონდა საფიქრელად. ფიქრი კი ფრთხილი ქალივით მარტო არასოდეს მოდიოდა, სევდასა და სინანულს მოიყოლიებდა ხოლშე. სევდა და სინანული კი ხანგრძლივი წოლისა და ხანგრძლივი ტკივილებისაგან გამძაფრებულ გრძნობებს უარესად უმძაფრებდნენ და უფაქიზებდნენ. ამიტომ მისთვის გონებისმიერი სინამდვილე კი არ იყო მთავარი, არამედ გრძნობებისმიერი, ბნელი სინამდვილე. ამ სიბნელეში თავჩარგულს, ტირილიც ბუნებრივად ეჩვენებოდა და საიდანღაც, მისი არსების ყველაზე მიუვალ და ხელშეუხებელ კუნჭულიდან გამომტყვრალი ცრემლით მისგან დახოცილ ხალხს ყველას ერთად ტიროდა, რადგან ყველას ერთნაირი სიკვდილი აერთიანებდა და ყველა ერთნაირად ეცოდებოდა. ხოლო მათი განმასხვავებელი ნიშანი იმდენად უმნიშვნელო იყო, ხელი არ ჩაევლებოდა; ზოგი უფრო ადრე, ხოლო ზოგი უფრო გვიან განეგმირა უხეიროს უტყუარ შუბს. უხეირო ახლაც მათ სამყაროში ცხოვრობდა, არც აპირებდა იქიდან გამობრუნებას, რადგან გამოსაბრუნებელი გზა სამუდამოდ დავიწყებოდა. ერთადერთი რაც უხეიროს ყოველდღიურ სინამდვილესთან აბრუნებდა, ფერადი ძაფები იყო. როგორც კი ძაფი შემოაკლდებოდა, ისეთ ჭექა-ქუხილს ასტეხდა, მათი სახლის წინ შემთხვევით ჩავლილი მგზავრი ცას ახედავდა ხოლმე. შინაურები კი ფაცაფუცით დარბოდნენ და ვაი მათი ბრალი, თუ დროზე არ

გააჩენდნენ ძაფს. საწოლზე წამომჯდარ, თვალებგადმოკარკლულ უხეიროს თავზევით შემართულ ხელში თავისი უტყუარი შუბი ეჭირა. რამდენჯერმე რომ განმეორდა ამგვარი აყალმაყალი, მამის ძაფებით მომარაგება პოპინამ დაივალა. ბავშვურმა ალღომ უკარნახა, რომ მხოლოდ ამ ფერადი ძაფის მეშვეობით შესძლებდა მამის სამყაროში შეღწევას. ეს კი მისი ოცნება იყო. მან მხოლოდ იცოდა, რომ კაცი, რომლის შიშითაც სახლში ყველანი თითის წვერებზე დადიოდნენ, თუმცა ის კაცი მთელი დღეები, გასათხოვარი ქალივით, ქარგვის მეტს არფერს აკეთებდა, მამამისი იყო. მისი ბავშვური ბუნება კი მშობლის სუნსა და სითბოს მოითხოვდა, ნატრობდა, ეძებდა, ელოლიავებოდა. რამდენჯერ უტირია დედამკვდარ პოპინას თავზე საბანწაფარებულს, რამდენჯერ დათუთქვია გული, რამდენჯერ უნატრია, ნეტავ მეც მკვდარი ვიყოო და რამდენჯერ შესცოდებია თავი, მკვდრად რომ წარმოუდგენია. დედის სიკვდილის შემდეგ პოპინას ერთი შიში დასჩემდა: ეჩვენებოდა, არასწორად იზრდებოდა, ვითომ ხელები უფრო მოკლე ჰქონდა, ვიდრე უნდა ჰქონოდა, მკერდი კი უფრო ბრტყელი, ვიდრე მის ტოლ გოგოებს, უკვე ყველაფრით ქალებს რომ დამსგავსებოდნენ. „ასე იმიტომ ხდება, დედა რომ არა მყავსო“ — ფიქრობდა პოპინა და მის მზარდ, ჩამოუყალიბებელ არსებაში მომხდარი ყოველგვარი ცვლილება, ბუნებრივი, კანონზომიერი და აუცილებელი, შიშის ზარსა სცემდა. პოპინას მშობლის ხელი ენატრებოდა, თუნდაც ამ ხელს ტკივილი მიეყენებინა მისთვის, თმა დაეგლიჯა, ხორცი დაებეჟა, ოღონდ დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ის ხელი მართლა არსებობდა და მართლა მის მშობელს ეკუთვნოდა.

ცოლის სიკვდილმა უხეირო უარესად დააშორა ოჯახს, რადგან მთელი მისი ბუნება წინააღმდეგი იყო შეჰგუებოდა მარეხის დაკარგვას. საკუთარ უძლურობასაც მარეხის სიკვდილს უკავშირებდა, თითქოს მარეხი ის ზოპრული ჩიტი იყო, მისი მთავარი ძალა რომ ჰქონდა მიბარებული.

უხეიროს იმდენი ჰქონდა ნაშოვნი, მისი ავადმყოფობა ოჯახს კიდევ კარგა ხანს არ დაეტყობოდა, მაგრამ ცოლის სიკვდილმა და მისმა განდგომამ, ოჯახი თანდათან რაღაც განსაკუთრებულ სახლს დაამსგავსა, სადაც ობლებსა და უპატრონო ხეიბრებს იფარებდნენ და არც მზრუნველობას აკლებდნენ, რათა ბავშვებს ობლობა, ხოლო ხეიბრებს უპატრონობა არ ეგრძნოთ.

ბავშვები თანდათან იზრდებოდნენ, ჭკუაში ვარდებოდნენ და უკვე თვითონაც გრძნობდნენ, არასწორად რომ წარმართულიყო მათი ცხოვრება, სამუდამოდ დაჰკარგვოდათ შინაგანი სიმყუდროვე, რასაც სხვათა მზრუნველობა კი არა, მშობლის დატატანება ბადებს მხოლოდ. რამდენჯერ მდგარა პოპინა მამის ოთახის კართან ატუზული, იქნებ მოიხედოს, დამინახოს და დამიძახოსო. მის დაჟინებულ მზერას თავდავიწყების ის სქელი ზღუდეებიც დაურღვევია, საიმედოდ რომ იცავდა უხეიროს გარე სამყაროსგან. მაგრამ უხეირო ერთს გამოხედავდა, დააკვირდებოდა, უაზრო და უმნიშვნელო ღიმილი გადაურბენდა სახეზე და ისევ თავის საქმეს მიუბრუნდებოდა ხოლმე. მის დამსხვრეულ ფეხებზე გადაფარებული აფრისხელა ტილო კი დღითიდღე ჭრელდებოდა, ლამაზდებოდა და ბავშვის ცნობისმოყვარეობას ისე აღიზიანებდა, როგორც მშიერ კატას ლეშის სუნი. მას შეეძლო, უსასრულოდ ეცქირა, თუნდაც ასე შორიდან, ამ ჯადოსნური ტილოსთვის, სანთლების შუქზე ყვავილებით გადაპენტილ მინდორივით რომ ბიბინებდა. შეიძლება, ამიტომაც ითავა პოპინამ მამის მომარაგება ძაფებით. არავინ არ დაიხმარა, რადგან უნდოდა, რომ ძაფს, რომლითაც მამამისი ქარგავდა, იქამდე მხო-

ლოდ და მხოლოდ მის ხელში გაევლო, იქნებ მამამდე მართლა მიჰყოლოდა, რასაც ჩაუთქვამდა. გარეცხილს, შეღებილსა და გორგლებად დახარისხებულ ძაფს პოპინა პირთან მიიტანდა ხოლმე და თავის ნატვრასა და სურვილს უჩურჩულებდა: მამას უთხარი, ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარს. ერთ პატარა ბიჭს შუბლზე მუშტისხელა კოპი აქვს. თვითონ მიხვდება, ვისაც. კიდევ უთხარი, რომ... და ასე უსასრულოდ ეჩურჩულებოდა პოპინა ძაფის გაბურძგნულ გორგალს, სანამ არ ჩაეძინებოდა.

პოპინამ პატარა ფიცრულში სამღებრო მოაწყო. ფიცრული ფილამონეს გააწმენდინა. იქიდან გამოზიდული ფეხმორყეული სკამები, სალტეებმორღვეული, ფიცარ-ფიცარ დაშლილი კასრები, ძირგამძვრალი თუ ყურაგლეჯილი კალათები ერთად დაახვავებინა და დააწვევინა. გაწმენდილ, გასუფთავებულ ფიცრულში კერა გამართა, კედლის გასწვრივ დაკრიალებული ქვაბები დააწყო, თაროებზე კი ათასნაირი მცენარის ფესვი, ბოლქვი, ღერო თუ ფოთოლი დაახვავა, ყოველთვის რომ ხელთა ჰქონოდა. პოპინა თვითონვე აზავებდა და ადუღებდა საღებავს. მალე ისე დაოსტატდა, ათჯერ რომ გაგევლოთ წყალში მისი შეღებილი ძაფი, ფერს არ შეიცვლიდა. პოპინა თვითონ ღებავდა ძაფს, თვითონვე აფენდა გასაშრობად თხილის ლასტებზე და თვითონვე დარაჯობდა გრძელი სახრით კისერმოქცეულ ქათმებისგან, გაოცებულნი რომ შეჰყურებდნენ უცნაურად აჭრელებულ ხალიჩას და ჩაკაკანებით გამოხატავდნენ თავიანთ გაკვირვებას, ანდა ამ ხალიჩის გადაქექვის სურვილს.

გამშრალ ძაფს პოპინა პატარა ნაფოტებზე ახვევდა და მსუქან, ზღარბებივით გაბურძგნულ გორგლებს კალათაში აწყობდა. ფერადი ძაფებით სავსე კალათას მინდვრის ყვავილების ისეთი მძაფრი სუნი ასდიოდა, გაბრიყვებული ფუტკრები ბზუილით ეხვეოდნენ. პოპინას შრომასა და მონდომებას უშედეგოდ არ ჩაუვლია, მამის სიახლოვითა და სიამაყის გრძნობით ალმფრთხალმა, უცნაური ყვავილებივით მფშვინავი და მბზინავი გორგლებით პირმობმული კალათა პირველად რომ შეიტანა მამასთან, უხეირომ ბარის პირივით ბარაქიანი ხელი თავზე დაადო და უთხრა: შენც, დედასავით კეთილი გული გქონიაო. მერე კი, ვერაფერი რომ ვერ მოუხერხა უეცრად გამომტყვრალ მღელვარებას, უკეთესი ვერაფერი რომ ვერ მოიგონა, აფრისხელა ტილოს ხელი გადაუსვა და უთხრა: თუ გინდა დაათვალიერეო. პოპინასაც ეს უნდოდა მხოლოდ. დახედა თუ არა აფრისხელა ტილოს, თვალები აუჭრელდა. აფრისხელა ტილო მართლაც გაზაფხულის მინდორივით ხასხასებდა და დამათრობელ, თაფლისა და ცეცხლის სურნელს აფრქვევდა. პოპინამ გარკვევით გაიგონა ფუტკრის ზუზუნიცა და ნაკადულის ჩხრიალიც. მალე თვალიც შეასწრო მზის სხივებზე აბრჭყვიალებულ ნაკადულს, ყვავილებში რომ მისრიალებდა, გველივით მოქნილი და სწრაფი.

— ლამაზია, — თქვა პოპინამ.

უხეირო ამ სიტყვამ შეაკრთო, არ ელოდა. ჯერ შვილს შეხედა, ხომ არ მომეყურაო, მერე კი თვითონაც ტილოს დააშტერდა, თითქოს სურდა რაიმე კავშირი აღმოეჩინა ამ ტილოსა და შვილის ნათქვამს შორის. მაგრამ, ეტყობა, ვერ მოახერხა და ახლა უკვე ჩვეულებრივი, იმქვეყნიური ხმით ამოღერღა: ბავშვი ხარ და იმიტომო. გუნებაში კი გააგრძელა: „შენ რას გაიგებ, რა საშინელებები ხდება ამ „ლამაზ“ ტილოზეო“.

ასე დაიწყო პოპინასა და უხეიროს მეგობრობა, ასე შეაღწევინა პატარა პოპინას ფერადი ძაფის გორგალმა მამის ოდუმალსა და ზღაპრულ სამყაროში. პოპინამ მამის ოთახში ყოფნის უფლება მოიპოვა. სახლიც ჩაწყნარდა, რადგან უხეიროს ტახტის თავთან ყო-

ველთვის იდგა ფერადი ძაფის გორგლებით თავმობმული კალათა. პოპინაც იქვე იჯდა დაბალ სამფეხა სკამზე. უხეიროს ყაისნაღისგან საჩვენებელ თითზე ბებერა გასჩენოდა, მაინც სწრაფად ქარგავდა და პოპინა ხედავდა, როგორ ჭრელდებოდა, როგორ ივსებოდა ახალ-ახალი ყვავილებით ტილოს ხორკლიანი ზედაპირი. მამაშვილს ერთმანეთის არ ესმოდათ. ერთისთვის ყველაფერი უცხო და მომხიბვლელი იყო, მეორისთვის ნაცნობი და ამაზრზენი. უხეირო დროს მარხავდა, მეგობრის გვამს, პოპინა კი მხოლოდ ყვავილებს ხედავდა, გახრწნილ გვამს რომ ამოეყარა. იჯდა და უყურებდა, ხოლო როცა თვალები საბოლოოდ აუჭრელდებოდა, თვითონაც ვერ იგებდა, როდის გადადიოდა ამ ჭრელ მინდორზე. სხვა ყველაფერი, კედლებიცა და აპარპალებული ჭრაქიც, ტახტიცა და მამაც, სადღაც ქრებოდა. ირგვლივ, სადამდეც თვალი მიუწვდებოდა, აყვავებული მინდორი იყო, თვითონ ამ მინდვრის შუაგულში იდგა და აღარ იცოდა საით წასულიყო, იმდენად გავდა ერთმანეთს მინდვრის ოთხივე მხარე. ცვრით გალუმპული კაბა თეძოებზე ეწებებოდა. მის ფეხის ხმაზე მაღალი ბალახიდან სვავები ზლაზვნით დგებოდნენ, ტიტველ კისრებს მისკენ აბრუნებდნენ და ისევ იქ ეშვებოდნენ, საიდანაც ეს წუთია აფრენილიყვნენ. ყვავილის წვენით გაბერილი ფუტკრები, დაეჭვებულნი ეხვეოდნენ თავზე მათ სამეფოში შემოხეტებულ უცხო ცხოველს. ნაკადულსაც დაენახა იგი და ისე გარბოდა, ისე მიშხუოდა, ყვავილები ერთმანეთს აწყდებოდნენ და ჭრელი, კოპწია გვირგვინები აქაფებულ წყალში უცვიოდათ. პოპინა ნაკადულის მხოლოდ კუდს ხედავდა, მზის აკისკისებულ სხივს ხიწვივით რომ მიაპრიალებდა. ბალახის ღერზე მწვანე კალია დასკუპებულიყო და ისიც პოპინას ზვერავდა, დიდი. გადმოკარკლული თვალებით. გამოხრულ, გამოთეთრებულ ძვალს წითელი ჭიანჭველები შესეოდნენ. პოპინა გრძნობდა, ამ მინდორზე უცხო რომ იყო, უცხო კი არა, ზედმეტი. აქ ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული და რომელიმე მათგანის, რომელიმე ნაწილის, გინდაც სულ უმნიშვნელო შეცვლა ან გადაადგილება, ყველაფერს არევდარევდა. პოპინა კი მზად იყო თვითონვე აერია და დაერღვია ეს დაკანონებული სიმშვიდე და წესრიგი. რაც ამ მინდორზე სუფევდა, თუკი მასაც არ დაუთმობდნენ ადგილს, თუკი მასაც არ ჩათვლიდნენ თავისიანად. პოპინა მეგობრებისგან ათვალწუნებული ბავშვის სიჯიუტით ცდილობდა თავისი გაეტანა. იმას კი ვერ მიმხვდარიყო, რა შორს გაეტყუებინა ცდუნებას, მართლაც რა უცხო და უმწეო იყო აქ, სადაც ყველაფერი მკვდარ დროს ეკუთვნოდა. ის ბავშვის გონებით წარმოდგენილ მინდორზე კი არა, მამის მოგონებებში დახეტიალობდა, მამის წარსულში და ვეღარაფერს ვეღარ შეცვლიდა იქ. რადგან ყველაფერი იქამდე მომხდარიყო, დაკანონებულიყო და დამარხულიყო კიდეც, სანამ პოპინა გაჩნდებოდა. თვითონაც იმ მკვდარი დროის ნაყოფი იყო და ერთადერთი, რაც შეეძლო, დროზე უნდა მოსწყვეტოდა ამ ხენეშსა და ეკლიან ხეს.

პოპინა ყვავილებს ფესვიანად გლეჯდა, სიმსუქნისგან გაზანტებულ ფუტკრებს მუსრს ავლებდა, ნაკადულს მისდევდა, კუდზე ფეხს აბიჯებდა და ბრაზიანად იცინოდა, როცა მისი ფეხიდან გადასული ტკივილი ნაკადულის აქაფებულ სხეულს კუდიდან კისრამდე გრეხდა და აცახცახებდა; მწვანე, თვალებგადმოყრილ კალიებს ფრთებს აწყვეტდა და ისევ ბრაზიანად იცინოდა. უფრთო კალიები საცოდავად რომ მიჩოჩავდნენ გადათელილ ბალახში. ერთადერთი, რასაც შეეძლო პოპინას რისხვის შენელება და ამ მინდვრიდან უკანვე გატყუება, ასაკი იყო, ამ ჯადოსნუ

მინდორზე კი დრო არ არსებობდა. მაგრამ პოპინას თავისი საკუთარი დრო ჰქონდა, რომელიც ამ მინდორზე გადმოსვლისას, დაბალ, სამფეხა სკამზე დაეტოვებინა. პოპინას კი დაეტოვებინა, დავიწყნოდა, მაგრამ ის მაინც აკეთებდა თავის საქმეს: იზრდებოდა, ემატებოდა პოპინას. როცა პოპინამ ისევ ოთახის გრილ ფილაქანზე ჩამოდგა ფეხი, ბავშვი აღარ იყო. ხოლო მის დაბალსა და სამფეხა სკამზე მისი უმცროსი ძმა, ფარნაოზი მოკალათებულიყო.

— რას დაყურსულხარ ამ სიბნელეში! წადი, ითამაშე! — დაუყვირა პოპინამ ძმას და ოთახიდან გავიდა, რათა აღარასოდეს აღარ გაეხსენებინა გაწბილებული და თვალსა და ხელშუა უაზროდ გაპარული ბავშვობა.

ამის მერე პოპინა მამასთან იშვიათად შედიოდა, მხოლოდ მაშინ, როცა უხეიროს ძაფი გაუთავდებოდა, ანდა დაწყლულებული ჭრილობა პირს გაიხსნიდა და საფენი იყო გამოსაცვლელი. ჭრილობიდან ბალღამსა და სისხლს ძვლის წვრილი, გამახული ნამსხვრევები გამოჰქონდა. პოპინა ამ საქმეშიც გაიწაფა, მისი დადებული საფენი უხეიროს შვებითა და ნეტარებით ავსებდა. თუმცა ეს ის შვება და ნეტარება იყო, რომლის განცდაც მხოლოდ და მხოლოდ ტკივილდამცხრალ ავადმყოფს შეუძლია. ხანდახან, როცა წყლული გამიზეზდებოდა, დასივდებოდა, გამკვრივდებოდა და მთელ კანს მტკივნეულად დაჭიმავდა, შეწუხებული, სიცხისაგან აფორიაქებული უხეირო ისეთი მავედრებელი თვალებით უყურებდა მის ფეხებთან მოფუსფუსე ქალიშვილს, თითქოს რაღაც არაადამიანური — დანაშაულის შეწყალებას თხოვდა. პოპინას გული გადაუქანდებოდა ხოლმე და მაშინ გრძნობდა, რა საცოდავი და უმწეო იყო მამამისი, რა მარტივი და უბრალო. ტკივილი ჯიუტად, დაუზოგავად ამსხვრევდა და ანადგურებდა განდგომილი კაცის მკაცრსა და მოღუშულ ნიღაბს და მის ნაცვლად ჩვეულებრივი მოკვდავის სახეს აჩენდა, ავადმყოფობისგან შემკრთალსა და გაძარცულს. პოპინას ეს სახე არ უყვარდა, რადგან სიბრალულს იწვევდა და თანაგრძნობას მოითხოვდა. ასეთი ხომ თვითონაც იყო. მას უკვე დიდიხნის წინათ დაეკარგა წინააღმდეგობის უნარიცა და სურვილიც, რაც მამის აფრისხელა ტილოზე ხეტიალისას გასჩენოდა. საკუთარი უმწეობის შეგრძნებამ ბუნებაზე სწრაფად და საფუძვლიანად შეცვალა მისი არსება და არა მარტო შეცვალა, არამედ აზრითაც დატვირთა, ადგილი მიუჩინა. პოპინამ ეს გრძნობა ისე მოიმარჯვა, როგორც შეშინებული მგზავრი მოიმარჯვებს ხოლმე ჯოხს ძაღლებით სავსე ორღობეში. პოპინასაც მხოლოდ და მხოლოდ ეს ევალებოდა: მიუხედავად შიშისა, მაინც უნდა გაევლო ძაღლებით სავსე ორღობეში, რადგან ამ ორღობის იქით იყო სწორედ ის, რისი გულისთვისაც საერთოდ გამოსულიყო შინიდან: სამუდამო სასუფეველი. პოპინას წარმოდგენაში ცხოვრებაც მამის ნიღაბივით მკაცრი და მოღუშული იყო. როცა ამაში დარწმუნდა, თუ ძალით დაირწმუნა თავი, დამშვიდდა კიდეც, რადგან ამგვარ ცხოვრებაში უფრო იოლად თავსდებოდა მისი გულის ნაადრევი ტკივილიცა და სევდაც. პოპინას არსება ცხოვრების სიმკაცრემ და სიუხეშემ გააოგნა, დაიმორჩილა, მაგრამ სულ უმნიშვნელო, ადამიანური სისუსტის, ლმობიერებისა თუ თანაგრძნობის შემჩნევაც კი თავგზას უბნევდა. ამიტომ არ უყვარდა პოპინას მამის შეუნიღბავი სახე, გაცრეცილი და შემკრთალი, სიმარტოვის საშინელებასა და აუტანლობას რომ აღიარებდა. პოპინა მამის ამგვარ სახეცვლილებას ღალატივით განიცდიდა, თითქოს ბრძოლის ველზე მარტო ტოვებდნენ.

„შენც მარტო ხარ და შენცა გტკივა“ — ფიქრობდა აფორიაქებული პოპინა და ცდილობდა თვალი აერიდებინ-

ნა მამისთვის, თითქოს რცხვენოდა, მის საიდუმლოს რომ ჩასწვდენოდა. განა მართლა პირწავარდნილი ოინბაზობა არ იყო აცაბაცა ასოებით გადაჭრელებული ტილო? განა ძაფი გაუძლებდა სიმარტოვისა და ტკივილის სიმძიმეს? მამამისი ხომ თავშესაფარს იქსოვდა, შიგ ცხოვრებას რომ დამალვოდა. თუ ასე არ იყო, რატომ მაშინ არ ქარგავდა, როცა ფეხზე იდგა, როცა არ ტკიოდა, როცა არც მარტო იყო და როცა მძივისა და საყურის ნაცვლად უზარმაზარ ლოდებს უგზავნიდა ცოლს. იმიტომ, რომ, მაშინ ისიც იმ ლოდივით მაგარი და ტლანქი იყო, იმ ლოდივით მძიმე და შემმუსვრელი. ახლა კი, საკუთარი უმწეობისა თუ არარაობის შეგრძნებას ისე გაექალაჩუნებინა, ყველა სტრიქონის თავსა და ბოლოში ჩიტი და ყვავილი გამოჰყავდა. ვის რაში ჭირდებოდა მისი ჩიტი და ყვავილი, ვის აუჩუყებდა გულს? თავს იტყუებდა მხოლოდ, რადგან სიმართლისა ეშინოდა. შიში კი ტკივილმა ჩაუნერგა, ტკივილმა და სიმარტოვემ. მარტო პოპინა რატომ უნდა გადასდგომოდა წინ ცხოვრების აზმუვლებულ ნახირს და რატომ უნდა დაეცვა ეს ქვის ხუხულა, მათი სახლი რომ ერქვა, მათი ოჯახი, მათი საერთო თავშესაფარი? არა, ან მხარში უნდა ამოსდგომოდნენ, ანდა მისთვისაც მიეცათ ნება, გვერდზე გამდგარიყო და შორიდან ესმინა, როგორ იმსხვრეოდა ფილაქანი ჩლიქების ქვეშ, როგორ ირყეოდა და იბრიცებოდა სვეტი, როგორ ტიტვლდებოდა და მახინჯდებოდა საქონლის თეძოებით გახეხილი კედელი.

ცუცამ ტახტამდე მიაცილა შვილი. ოყაჯადოს მღელვარებისაგან სახე უხურდა, ნელა, გაუბედავად დაეშვა ტახტზე, თითქოს გაეხუმრებოდნენ და გამოაცლიდნენ. „რა სხვანაირი ხარო“ — ეუბნებოდა ცუცა. გულხელი დაეკრიფა, თავი გვერდზე გადაეგდო და აღტაცებული შესცქეროდა ტახტზე დაბრძანებულ შვილს. ოყაჯადოს რცხვენოდა, თვალით ანიშნებდა კარისკაცებზე, უთავბოლოდ რომ დაფუსფუსებდნენ სატახტო დარბაზში, მაგრამ ცუცა ვერავის ვეღარ ამჩნევდა, მღელვარებისგან მასაც შეფაკვლოდა ლოყები. ან რა გასაკვირი იყო? ყველაფერი ბედნიერად დამთავრდა, ოცნება აუსრულდა, ნანატრი დღე გაუთენდა. არა: ძალით გაათენა, ძალით გამოგლიჯა ცხოვრებას ხელიდან. ეკუთვნოდა და იმიტომ. გადაყვა, შეეწირა, ტვინი დაანთხია, სისხლიც, ყველაფერი შეალია, რაც კი გააჩნდა. ამიტომაც გაუმართლა. მისი ოცნება უკვე ტახტზე იჯდა. მართალია, მის ოცნებას საჯინიბოს იატაკივით გაბრტყელებოდა სახე, ოფლიან შუბლზეც წითელთავა მუწუკები დახვეოდა და დაბნეულად იღიმებოდა, მაგრამ მაინც მეფე ერქვა. ეს მეფე კი მისი გონების ნაყოფი იყო და არა ვნებისა. შუბლიდან გამოიტეხა, რაკი დახავსებულმა მეუღლემ დახმარებაზე უარი უთხრა და, დარცხვენილმა, მამაშვილურად გაუღიმა. იმ დღის მერე მოსვენება დაეკარგა ცუცას, რადგან იმ დღესვე დარწმუნდა, სიბერისგან გასპეტაკებული მისი მეუღლე ისევე იხილავდა ტახტს, როგორც საკუთარ ყურებს. ცუცა კი უტახტოდ ვერ იცოცხლებდა, ვერ გაძლებდა, უტახტობა ჩამოახმობდა, როგორც უპასუხოდ დარჩენილი სიყვარული. ცუცას მთელი სიცოცხლე სასახლეებში ჰქონდა გატარებული და ერთი დღე რომ არ ჩაესუნთქა იქაური ჰაერი, მოკვდებოდა. ტახტის ცივი და მედიდური ელვარება მთელ მის არსებას მომთენთავ სიმშვიდესა და ბურანში ხვევდა, როგორც კატას ცეცხლი, მაგრამ ერთი წუთითაც არ უკარგავდა სიფხიზლის გრძნობას. ცუცამ სასახლის ყველა ხვრელი ზეპირად იცოდა, შეეძლო ყველა ხვრელისთვის ერთდროულად ეთვალთვალა და პირველს შეემჩნია, რომელ სოროდან გამოცოცდებოდა თაგვი, ან რომელ სოროში უნდა შე-

ვარდნილიყო თვითონ, თვალში რომ არ მოხვედროდა ცუდ ფეხზე წამომდგარ მბრძანებელს. ცუცასთვის სულ-ერთი იყო, ვინ იჯდა ტახტზე, სად იდგა ის ტახტი, ოღონდ თვითონაც მოხვედრილიყო იმ თვალისმომჭრელ სინათლეში, ტახტი რომ აფრქვევდა. ამ სინათლის ბაცილებსაც იცნობდა ცუცა, ხუთი თითივით იცოდა, რომელი რომელს სპობდა, ანდა ანაყოფიერებდა. ისიც იცოდა, ამ სინათლის იქით სხვა ცხოვრება რომ იწყებოდა, ცხოვრება კი არა, ხაფანგი, სადაც ყველას შეეძლო მოხვედრა, ვისაც ნებისყოფა უმტყუნებდა, გაბრიყვდებოდა და ერთი წუთით შეუშვებდა ხელს ტახტის მკვრივსა და მძიმე ქვაკუთხედს. მას თუ არა, აბა ვის უნდა სცოდნოდა ეს? ბევრ მოსალოდნელ საფრთხეს გაუსინჯა გემო ცუცამ უნდილი ქმრის ხელში. მას არ ჰქონდა უფლება, ქარაფშუტა ქალად დარჩენილიყო იმ დედოფლების მსგავსად, ნამდვილი, სიკვდილამდე ხელშეუხებელი მეფეები, რომ ეჯდათ გვერდით, ცუცა სხვა იყო. ცუცას თავზე განუწყვეტლივ იგრაგნებოდა საფრთხის ღრუბელი. ათასი რამე უნდა ჩაეყლაპა, ათასნაირი დამცირება უნდა აეტანა, ათასნაირად უნდა გაეღიმა და წაეცეკვა კიდევაც, რათა დედოფლის სახელი მაინც შეენარჩუნებინა. სახელიღა იყო, სასახლეში ტრიალის ნებას რომ უტოვებდა ხიზანი მეფის ცოლს, უტახტოსა და უმემკვიდროს. ცუცამ დროზე აუღო ალღო მოსალოდნელ საფრთხეს: ქმარი ხელში ადნებოდა, ხოლო ქმრის სიკვდილის შემდეგ ვის რაში გამოადგებოდა უშვილოდ გადაგებული მეფის ქვრივი. ხაფანგმა ისე ახლოს გაიღრჭიალა, ცუცას შიშისაგან თავზარი დაეცა. ერთი დღის დაგვიანებაც, შეიძლება, საბედისწერო გამხდარიყო. „თავს უშველეო“— ვიღაცამ ყურში ჩაჰყვირა შიშისაგან გაოგნებულ ცუცას და ისიც დატრიალდა.

საბედნიეროდ, უკვე ყველაფერი ზურგსუკან იყო. წარსულს ჩაბარდა უძილო ღამეები, როცა ცუცას გონება ჩახურებულ თონესავით გუგუნებდა; როცა ცოდვის სიბნელეში გაშოტილი სულის კანკალით ითვლიდა ნაყოფის ბიძგებს, რათა ერთხელ კიდევ, საბოლოოდ, სამუდამოდ დარწმუნებულიყო, რომ მართლა ეღო მუცლად, მართლა მოდიოდა, მოარღვევდა სიბნელისა და არარაობის ქვესკნელს მისი ნაყოფი, მისი ოცნება, მისი მომავალი. ვისაც საკუთარ კისერზე არ გამოეცადა, ვერც გაიგებდა, რა გადაეტანა ცუცას, სანამ ასე გულხელდაკრეფილი დადგებოდა, თავს გვერდზე გადაიგდებდა და აღტაცებული მიაშტერდებოდა შვილის დამუწუკებულ სახეს. „უპირველეს ყოვლისა, ცოლი უნდა შევრთოო“ — ფიქრობდა ცუცა.

კიდევ ერთ კაცს გაუხარდა გულით ოყაჯადოს გამეფება. გაუხარდა კი არა, ცას ეწია, „გაიმარჯვა სამართალმაო“, მიაყვირა ჭერს და მუშტი მკერდში ჩაითხლიშა. ის კაცი აიეტის მეჯინიბე გახლდათ. გაროზგვის მერე მეჯინიბეს მოსვენება დაეკარგა, დარდმა გააშტერა, ვერც თავს აპატია და ვერც აიეტს, თუმცა სხვების გასაგონად ერთი ძვირიც არ დასცდენია მეფეზე. პირიქით, სულ იმას იძახოდა, გაროზგვამ ჭკუა მომიმატა, წამალივით შემერგოო. ამას რომ იტყოდა, გაიცინებდა, ნაფოტა კბილებს დაკრეჭდა და დაამატებდა: ახლა მე და ჩემს ცხენებს უკეთესად გვესმის ერთმანეთისო. გული კი გახეთქვაზე ჰქონდა, გასიებოდა, ღამეები არ ეძინა და ოხვრითა და კრუსუნით ცოლშვილსაც უკარგავდა მოსვენებას. დამალული წყენა და ჯავრი დღითიდღე აუტანელი ხდებოდა. თავლაში შეიკეტებოდა ხოლმე, შვრიით სავსე თოფრაში ცხენივით ჩაჰყოფდა თავს და ზლუქუნებდა. რაც უფრო იზიზღებდა აიეტს, მით უფრო ეშინოდა მისი. ცხენები გაკვირვებული უყურებდნენ, ფრუტუნებდნენ, ფლოქვებს აბაკუნებდნენ ფიცრის იატაკზე, კაცის ზლუქუ-

ნი აშინებდათ; მეჯინიბეს კი სხვა არაფერი შეეძლო, სად წასულიყო, ვისთვის შეეჩივლა. თავლასაც ისე შეჩვეოდა აზრადაც არ მოუვიდოდა აქაურობის მიტოვება. ის კი არა, იმასაც ვერ შეჰგუებოდა, ღამღამობით აქ რომ აღარ ეძინა. სანამ ცოლს შეირთავდა, ლოგინიც თავლაში ედგა, ძილშიც ცხენების ხვიხვინი ესმოდა. მერე ცოლი აუჩემდა, ან მშობლებთან დამაბრუნე, ან ადამიანურად მაცხოვრეო. იმდენი ჰქნა, მაინც თავისი გაიტანა, მეჯინიბემაც ვერ გაუძლო დედაკაცის ცდუნებას და ამოიღლიავა თივისა და ფუნის სუნით გაჟღენთილი ლოგინი. „ეს არის შენი თავლაო“ — უთხრა ცოლმა და მეჯინიბეს მოეწონა ცოლის ხუმრობა, გული გაუთბა და ღიმილისგან პირი ყურებამდე გაეხა. მეჯინიბე მალე მიეჩვია ორ თავლაში ცხოვრებას, ერთში ცხენები ეგულებოდა, მეორეში თვითონ შედიოდა ცხენივით, კბილებდაკრეჭილი და ახვიხვინებული. „ჭრაქი მაინც აანთე, ასე მგონია ცხენსა ვკოცნიო“ — ეხუმრებოდა ცოლი.

„გაიმარჯვა სამართალმაო!“ — შესძახა გახარებულმა მეჯინიბემ, როცა აიეტის დამარცხების ამბავი გაიგო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ოყაჯადო მისი გულისთვის ჩამოსულიყო კრეტიდან, მისი ჯავრის ამოსაყრელად. რა თქმა უნდა, ცოტა მეტი მოსდიოდა, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული იყო: ოყაჯადოს აუცილებლად გაგებული ექნებოდა მისი ამბავი, აიეტმა ოთხ პალოზე გასაშრობი ტყავივით რომ გასჭიმა და მთელი სასახლის სამასხარაო გახადა. ყველა მეფეს ჭირდება სასახლეში ერთგული კაცი. ოყაჯადოც მიიხედ-მოიხედავდა, ალბათ, და პირველ რიგში მეჯინიბეს შეამჩნევდა. არც შეცდებოდა. არც ისე იყო საქმე, როგორც ვიღაც-ვიღაცეებს ეგონათ მეჯინიბესაც შეეძლო მადლობის გადახდა, არც ის დახვდებოდა ხელცარიელი მხსნელსა და ქომაგს. მეჯინიბე თავის ერთგულებას დაახვედრებდა ოყაჯადოს, თავს დაუკრავდა და ეტყოდა: ა, ბატონო, ჩემი ერთგულება, მეტი ვერაფერი მოგართვა. ოქვენი საკადრისი საწყალმა მეჯინიბემ. ოყაჯადოც მაშინვე მიხვდებოდა, როგორი საწყალიც იყო მეჯინიბე, მისი მეჯინიბე, კაკალკაკალ რომ იცოდა აიეტის სასახლის ამბები, წინასწარ რომ იცოდა. ვინ რას იტყოდა, ანდა გაიფიქრებდა ახალ მეფეზე. „ეგრეა შვილოსა, ეგრე, ჯავრს ამოყრა უნდა, ვალს კი დაბრუნებაო“ — გეგმებს აწყობდა გუნებაში მეჯინიბე. ეჭვიც არ ეპარებოდა, ახალი მეფე ძველ ადგილს რომ შეუნარჩუნებდა. ან სად იპოვიდა უკეთეს მეჯინიბეს. ან უფრო მეტად ვინ დაუფასებდა ამაგს, ვიდრე აიეტისგან დაჩაგრული კაცი. მეჯინიბედ დატოვებდა კი არა, შეიძლება... არა, არა და არა, მეჯინიბე ყველაფერზე უარს იტყოდა, ფეხებში ჩაუვარდებოდა, გადაათქმევინებდა, დაარწმუნებდა, თავლაში მირჩევნია, იქ არის ჩემი ადგილი, იქიდან უკეთესად მოგემსახურებიო.

ასეთ ფიქრებში იყო მეჯინიბე, როცა დაუძახეს: ჩქარა, ვირო, მეფესთანო!

„მეღირსაო“ — გაიფიქრა მეჯინიბემ და სატახტო დარბაზში სახეგაბრწყინებული შევიდა. დარბაზში კი ისეთი არეულობა დახვდა, დაიბნა, თავი დაუკარიელდა და მისასალმებელი სიტყვა, გზადაგზა რომ იმეორებდა, ენის წვერზე შეეყინა და ზედ ბოქლომივით ჩამოეკიდა. გადი-გამოდიოდნენ კარისკაცები, დარბაზი ფუტკრის სკასავით ბზუოდა და მეჯინიბეს მოეჩვენა, ბზუილი იმ თავახდილი სკივრებიდან ამოდიოდა, უთავბოლოდ რომ დაეყარათ ირგვლივ. აფუსფუსებულმა კარისკაცებმა ერთი-ორჯერ მხარიც გაჰკრეს უშნოდ გახირულ მეჯინიბეს. მეჯინიბე სკივრს გადააწყდა. სკივრიდან ვერცხლის თასი გადმოხტა და ყლრიალ-ყლრიალით დაბზრიალდა იატაკზე. ტახტზე მჯდომი კაცი შეწუხდა,

შუბლი შეიკმუხნა და სწორედ მაშინ დაინახა იგი მეჯინიბემ. „დავიღუპეო“ — გაიფიქრა რატომღაც და დაბზრიალებული თასის ასაღებად დაიხარა. უცებ გაიოფლა. გული ხმამაღლა უცემდა. ტახტისკენ გახედვას სიკვდილი ერჩია. ახლა თასი ორივე ხელით მკერდზე მიეხუტებინა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, კარისკაცისთვის მიეცა, თუ თავისი ხელით ჩაედო სკივრში. მაგრამ რომელ სკივრში ჩაედო, როცა ყველა ერთმანეთს გავდა. „ნეტავი არ შემეხედაო“ — ისევ გაიფიქრა მეჯინიბემ და უცებ მთელი დარბაზი გაშეშდა, ჩაჩუმდა, გაილურსა. მეჯინიბემ იგრძნო, რომ დაუძახეს, კი არ გაიგო, ტანმა უგრძნო და მწარედ გაიღიმა. ვიღაც ქალმა თასი ჩამოართვა.

— რა ხნისა ხარო, — ჰკითხა ტახტზე მჯდომარემ. შეკითხვამ ცოტა გამოაფხიზლა. „კარგად რომ იყოს ჩემი საქმე, ასაკს კი არა სახელს მკითხავდაო“ — ფიქრობდა იგი. გაოფლილი ხელხემალი ექავებოდა და ვერ გადაეწყვიტა, დაეკლო თუ მოემატებინა ასაკი. დრო კი ისეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით გადიოდა, კიდევ რომ დაეყოვნებინა პასუხი, ნამდვილად კინწისკვრით გამოაგდებდნენ და მერე საჯინიბოსაც სამუდამოდ უნდა დამშვიდობებოდა.

— ორმოცისაც არა ვარ ჯერ. — გაიკრიჭა მეჯინიბე.

მაინც დაკლება ამჯობინა, რადგან ახალი მეფე ძველ მეფეზე გაცილებით ახალგაზრდა ჩანდა.

— ქალები თუ გიყვარს? — არ აცალა სულის მოთქმა ტახტზე მჯდომარემ.

„თქვენი ჭირიმე და თქვენი ჭირიმე, ღმერთებო! — უარესად დაფრთხა მეჯინიბე. — რა უნდა ამ ოხერს, რანაირ შეკითხვებს მაძლევს, ნეტავ რა უდევს გუნებაშიო“. უცებ გადაწყვიტა, გულახდილად ეთქვა: მე ხომ საჯიშე ულაყი არა ვარ, ერთი საწყალი მეჯინიბე გახლავარ, თუ არ გინდივარ. თვალითაც არ დაგენახვებიო, მაგრამ მაშინვე ენას კბილი დააჭირა. ეს ეშმაკობა არჩია. სხვა რა გზა ჰქონდა, საცდელი უნდა ეცადნა. შექებული კაცივით მორცხვად გაიღიმა, დოინჯი შემოირტყა, მხრები აათამაშა, ქალამნის ჭვინტით იატაკზე ნახევარწრე შემოხაზა და თქვა: მაგ საქმეშიც ნაღდი ვარო.

— რა ვუყოთ ამ კაცსო? — გასძახა ოყაჯადომ დედას. ცუცამ პირზე ხელი მიიფარა და ჩაიქირქილა. მეჯინიბემ მხოლოდ ახლა შეამჩნია, ქალი, რომელმაც წეღან თასი ჩამოართვა, დედაბერი იყო. გაუკვირდა, რა დრო გასულაო, არა რა უცებ გასულა დროო. შვებით ამოისუნთქა, იმის შეგრძნებამ, რომ მისი ბედი უკვე გადაეწყვიტათ, ერთბაშად დაამშვიდა. ყველაფერზე თანახმა იყო, ყველაფრისგან თავისუფალი, ყველაფრის მორჩილი. მორჩილებამ მოჰგვარა შვებაცა და სიმშვიდეც. უკვე თამამად შესცქეროდა ახალ მბრძანებელს, აღარ არიდებდა თვალს, რადგან პირნათელი იყო, მორჩილებამ დანაშაულის გრძნობაც გაუქრო, აქამდე რომ აწუხებდა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რა დაეშავებინა. არაფერზე აღარ ფიქრობდა. იდგა და იცდიდა, რას ეტყოდნენ, რას დაავალებდნენ. ამასაც მალე გაიგებდა, ძალიან მალე, როგორც კი მორჩებოდა ქირქილს ეს უკბილო დედაბერი.

— დაიკოდოს! — ბრძანა ოყაჯადომ.

მეჯინიბე არც შერხეულა, აინუნშიაც არ ჩაუგდია მეფის ბრძანება. თითქოს მას არ ეხებოდა. როგორც კედელმა ქვა, ისე აისხლიტა მისმა სმენამ. არა, მთელმა მისმა არსებამ, ეს მართლაც ქვასავით ნასროლი სიტყვა. რატომღაც ის დღე გაახსენდა, დიდიხნის წინანდელი, მან და მამამისმა ღორი რომ წაიყვანეს დასაკოდად. მაშინ პატარა ბიჭი იყო, ღორის ჭკუაზე დადიოდა. „დაღამდა, გამოდენე, ეგ ოხერიო“ — ეძახდა მამა. მეჯინიბემ დაი

ნახა კიდეც, როგორ მიცუხცუხებდა გუბე-გუბე ჯაგარგაფშეკილი ღორი.

— ტუხუნია! — ხმამაღლა დაუძახა მეჯინიბემ.

მალე მთელმა ქალაქმა შეიტყო მეჯინიბის დასაჭურისების ამბავი. ეს მართლაც და უცნაური ამბავი იყო ვანელებისათვის, ბევრმა არც კი იცოდა, რას ნიშნავდა დასაჭურისება. ახლა როგორ იქნებაო, თუ იცოცხლებსო, როგორ უნდა შეატყოო და მრავალ ამგვარ შეკითხვას გაიგონებდით მაშინ ვანის ქუჩებში. უფრო მცოდნენი და მიხვედრილები პასუხობდნენ: კარგად იქნება, იცოცხლებს კიდევაც, მაგრამ... „აბა, მე პირადად დამიფურთხებია მაგისთანა სიცოცხლისთვისო“ — რატომღაც ბრაზდებოდნენ ვანელები. მეჯინიბეს მაინც და მაინც არ განუცდია ეს ამბავი. კაცობა კი დაკარგა, მაგრამ თავი შეინარჩუნა, თავიცა და სამსახურიც. ოყაჯადო სრულებითაც არ უპირებდა თავლიდან გამოგდებას. თვითონვე უთხრა, ასე სჯობს, ახლა მთელი გულისყური ცხენებისკენ გექნებაო. მაგრამ ცხენები სხვანაირად ფიქრობდნენ, საიდანაც არ ელოდა, სწორედ იქიდან გამოუხტა მგელი. გამოჯანმრთელების შემდეგ, პირველად რომ შევიდა თავლაში, ცხენებმა ვეღარ იცნეს თავიანთი პატრონი, დიდი, ნაფოტა კბილები დაუკრიჭეს, კუდები ცხვირწინ აუქნიეს და დროზე რომ არ გამხტარიყო უკან, წიხლსაც მიაყოლებდნენ. ცხენებს მეჯინიბის შეცვლილი ხმა აფრთხობდა. მეჯინიბე კი ამას ვერ ხვდებოდა. დიდ საგონებელში იყო ჩავარდნილი, თავლაში ისევ ის ცხენები ება, ყველას სახელითა სცნობდა, ეძახდა კიდეც, მაგრამ ცხენები უარესად გიჟდებოდნენ, თავებს მაღლა სწევდნენ, კბილდაკრეჭილნი ხვიხვინებდნენ და ჩამოქნილსა და ათრთოლებულ ფეხებს ფუნაში აბაკუნებდნენ. ახლოს არ მიიკარეს, ისიც ვერ მოახერხა, ფუნა გამოეხვეტა. იდგა და ქეჩოს იფხანდა. მეორე დღესაც იგივე გამეორდა. მალე მთელი სასახლის სალაპარაკო გახდა ცხენების აჯანყება. საკმარისი იყო, თვალი მოეკრათ მეჯინიბისთვის, იქაურობა მიეწგრ-მოენგრიათ; გაცოფებული, ყალყზე შემდგარი ცხენები ერთმანეთს კბენდნენ, კედელს უხათქუნებდნენ თავებს და საზარლად ატრიალებდნენ სიბრაზისგან გადათეთრებულ თვალებს. მეჯინიბე თავლაში შესვლას ვეღარ ბედავდა, გარედან ეძახდა, ეფერებოდა და ეეფერებოდა გაგიჟებულ ცხენებს, მაგრამ თავლა უარესად ზანზარებდა, ჭიხვინებდა, თქარა-თქური გაუდიოდა. მაშინ მეჯინიბე თვითონაც კედელს უხათქუნებდა თავს, სანამ შუბლზე კანი არ გადაასკდებოდა და სასეიროთ შეკრეფილი ხალხი ძალით არ მოაშორებდა იქაურობას. ბოლო-ბოლო მეჯინიბეც მიხვდა, ამაოდ რომ გაეღო ამოდენა მსხვერპლი: ცხენებს ის აღარ უნდოდათ. ეს კი დიდი უსამართლობა იყო, უსინდისობა, აბუჩად აგდება, მიწასთან გასწორება, მძარცველობა, მკვლელობა. ერთადერთი, რასაც მართლა თავის საკუთრებად თვლიდა, ხელობა იყო, ახლა კი ამასაც კარგავდა. ხელობა კი კაცობაზე უფრო ჭირდებოდა. ხელობა მარტო პური კი არ იყო მისთვის, არამედ ჰაერიც, ამით სუნთქავდა, ამით ედგა სული, ამით იყო კაციც. მთელი სიცოცხლე თავლაში, ცხენების სუნსა და სითბოში გაეტარებინა, თვითონაც ამ სუნითა და სითბოთი იყო გაჟღენთილი და გამუდმებით ცხენებთან ცხოვრებას ისიც ცხენისთვის დაემსგავსებინა: პურს ზეზეურად ჭამდა, კი არ იცინოდა, ხვიხვინებდა, თავს მაღლა ასწევდა, კბილებს დაკრეჭდა, ნესტოებს დაბერავდა და ხვიხვინებდა. „გათავდა ჩემი ქეიფიო“ — ფიქრობდა მეჯინიბე, ძვლები ემტვრეოდა, გული ემდუღრებოდა, დედამკვდარ ბალღივით, უნდოდა ყველას შესცოდებოდა, თანაც რცხვენოდა კიდეც ამ დღეში რომ ჩავარდნილიყო. თავლა კი ზანზარებდა, ჭიხვინებდა, ფეხებს უბაკუ-

ნებდა. სხვა გზა არ იყო, კიდევ ერთხელ უნდა შეჰგუებოდა ბედს. მეჯინიბემ კისერზე თოფრა გადაიცვა და თავის სიცოცხლეში, პირველად სამუდამოდ გადმოაბიჯა გალავნის ზღურბლს.

ვანის ქუჩებში მეფის მეჯინიბის გამოჩენამ დიდი ჟრიამული გამოიწვია. როგორც კი ხმა გავარდებოდა, მეჯინიბე ჩვენს ქუჩაზე მოდისო, მისი უმწეობით გათამამებული და ენამწარე ქალები ბანებს მიაწყდებოდნენ, თოფრაგადაცმულ მეჯინიბეს, თავჩაქინდრული რომ მოჰყვებოდა ქუჩას, ვითომ ეკეკლუცებოდნენ და ეძახდნენ: ამოდი, ბიჭო, ჩემი ქმარი შინ არ არისო. მერე თვითონვე იხოცებოდნენ თავიანთ ხუმრობაზე და იყო ერთი ტკრციალი და კისკისი. ბავშვები გუნდგუნდად მოჰყვებოდნენ უკან და ბავშვური დაუნდობლობით დასცინოდნენ. „დაკოდილო, დაკოდილოო“ — მისძახოდნენ ისინი უფროსებისგან გაგებულ სიტყვას და ქვასაც ესროდნენ, როგორმე რომ გაეხელებინათ ეს უწყინარი კაცი, კისერზე თოფრაგადაცმული, თავის კანტურით რომ მოჰყვებოდა ქუჩას, უჩინარ ხელნაში შებმულ ცხენივით. ათასში ერთხელ მართლა გამწარებული და მოთმინებიდან გამოსული მეჯინიბე, უცებ შემოუტრიალდებოდა ხოლმე ბავშვებს და როცა შეშინებული ბავშვები ჯოჯოებივით გაუჩინარდებოდნენ კედლის ბზარებში, თავს მაღლა ასწევდა, კბილებს დაკრეჭდა, ადგილზე ფეხების ბაკუნით დატრიალდებოდა და დაიჭიხვინებდა.

კაცები პირველხანებში უწყრებოდნენ ბავშვებს, გაანებეთ თავი, თავის უბედურებაც ეყოფაო. მაგრამ ამას რომ ამბობდნენ, თავს ვერ იკავებდნენ და თვითონვე ეღიმებოდათ. ბავშვებსაც მეტი არ უნდოდათ, იდგა ერთი გნიასი, სტვენა და ხარხარი.

ამ გაუთავებელ დაცინვას ისევ მეჯინიბემ მოუღო ბოლო. ყოფილმა მეჯინიბემ პირველად ხელი რომ გაიშვირა და პური ითხოვა, ვანელები სახტად დარჩნენ. ეს უფრო დიდი საოცრება აღმოჩნდა მათთვის, ვიდრე კაცის დაკოდვა. ასეთი რამე არც ენახათ და არც გაეგონათ: კაცი პურს თხოულობდა. „ეს რა უქნია ოყაჯადოს ამ უბედურისთვისო“ — შეწუხდნენ ვანელები და ყველანი ცდილობდნენ მაინც და მაინც მისგან აეღო პური მეჯინიბეს, ნაწყალობევ პურს თოფრაში რომ ალაგებდა და ამ უცნაური სანახაობით აღელვებულ ვანელებს ამშვიდებდა, მოითმინეთ, ყველასაგან ავიღებ, ხვალაც ამ თვისაო. ახლა ვანელებს წინასწარ ჰქონდათ მომზადებული მეჯინიბისათვის მისაცემი პური და თუ ოდნავ მაინც დაუგვიანდებოდა მათ ქუჩაზე ამოვლა, ღელავდნენ და წარამარა აგზავნიდნენ ბავშვებს, გაიხედეთ, ხომ არ მოდისო. მეჯინიბეც თანდათან შეეჩვია ახალ ცხოვრებას, მართალია, ასარჩევად არ ჰქონდა საქმე, რასაც მისცემდნენ, ყველაფერზე მადლობელი იყო, მაგრამ შიმშილით არ მოშიებია. არც ბავშვების ცელქობა აწუხებდა მაინც და მაინც, რადგან ისიც ვანელი იყო და ბავშვები განსაკუთრებულად უყვარდა. „ბავშვის გული სუფთააო“ — ფიქრობდა თავისთვის და თქვენ წარმოიდგინეთ, სიამოვნებდა კიდეც ერთბაშად ამდენი ბავშვის თავშესაქცევი რომ გამხდარიყო. არც ქალების დაცინვა განუცდია, პირიქით, გული სიამაყით ებერებოდა, ამდენი ატკრციალებული ქალი ერთდროულად რომ ეპატიჟებოდა, სიყმაწვილის დროინდელი ოცნება მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ასრულებოდა და გულის მოსაფხანად ესეც ყოფნიდა. მოკლედ, ყველაფერი კარგად იყო, ისევ ცხენებს რომ არ გაეჭირებინათ საქმე. საკმარისი იყო, გაეგოთ მისი ფეხის ხმა, ანდა მისი სუნი სცემოდათ, იქამდე მშვიდად მდგარი ცხენები ჯერ ადგილზე აცქმუტდებოდნენ, მერე თითქოს ცოფმა წამოუარათო, ყალყზე შესდგებოდნენ, აღვირებს დაგლეჯდნენ და გაგიჟებული ბრმებივით გაჭენდებოდნენ ვანის ქუჩებ-

ში. რამდენჯერმე რომ განმეორდა ამგვარი რამ და ვანელები დაწყდნენ ცხენების დევნითა და დამშვიდებით, მეჯინიბეს განუცხადეს: რამე მოიფიქრე, ასე აღარ შეგვიძლიაო. ამის მერე მეჯინიბე სატკაცუნებლით დადიოდა. სატკაცუნებელს თავზეით იქნევდა და ასე აგებინებდა ქალაქს: მოვდივარ, მოემზადეთო. როგორც კი სატკაცუნებლის ხმას გაიგონებდნენ, ვანელები თავიანთ ცხენებს მისცვივდებოდნენ, სადავეებს დაუჭერდნენ, თვალებზე ტომრებს ჩამოაფარებდნენ და თან ცალი ხელით კისერს ფხანდნენ. ცხენები ძველებურად აღარ გიჟდებოდნენ, თუმცა მაინც შფოთავდნენ, ცმუტავდნენ და ფრუტუნებდნენ.

ასე გაჩნდა ვანში პირველი მათხოვარი. ვანელები ამასაც მალე შეეჩვივნენ, თანდათან მობეზრდათ და დაივიწყეს კიდეც. ახლა თამაშით გართული რომელიმე ბავშვი ისე, ყასიდად, ძველი ჩვეულების ძალით თუ გასძახებდა „დაკოდილო“, ქუჩაში თავის კანტურით მიმავალ მეჯინიბეს და ისევ გააგრძელებდა ტოლებთან თამაშს. ამდენმა წანწალმა და ცისქვეშ გდებამ სულმთლად გამოდევნა მეჯინიბის სხეულიდან ცხენის სუნი და სითბო, რაც წლების მანძილზე ჯიშიან ულაყებსა და ფაშატებთან ტრიალისას შეეწოვა მეფის თავლაში. ცხენები ახლა ყურადღებასაც აღარ აქცევდნენ და შეეძლო თავისუფლად მიახლოვებოდა, ცხვირი მიეჭყლიტა ფერდზე და რამდენიც უნდოდა იმდენი ეყნოსა მისთვის ესოდენ საყვარელი სურნელი.

იმ დღეს, როცა მეჯინიბეს კოდავდნენ და მისი ბღავილი სატახტო დარბაზშიც ისმოდა, ცუცამ ჩაიქირქილა და თქვა: ახლა ცოლი შევირთოთო. ოყაჯადო შეკრთა, დედის ნათქვამმა ახლაც მოულოდნელად გაუნათა გონება და დაანახვა ის, რის დანახვასაც აქამდე ამაოდ ცდილობდა. ოყაჯადომ აქამდე არ იცოდა, რა აწუხებდა, რა ასევდიანებდა ასე, მაგრამ რაკი ვერ ამოეხსნა, ცდილობდა შეჩვეოდა. ეს გამარნდებელი, სულის შემხუთავი გრძნობა ჯერ კიდევ კრეტაზე გასჩენოდა, მაგრამ მაშინ უფრო იოლად შესძლო მისი ამოხსნა. ოყაჯადომ ისიც ტახტის სევდაწუხილად ჩათვალა და დარწმუნებული იყო, როგორც კი გავმეფდები, გუნებაც გამიხალისდებაო. მაგრამ ასე არ მოხდა, ეს გრძნობა ოყაჯადოს ტახტზეც აჰყვა. მაშინ კი დაფრთხა ოყაჯადო: რა მაწუხებს, რაღა მინდა, რა ამბავია ჩემს თავს, ნეტავიო. გამხელით კი როგორ გაამხელდა, როგორ ეტყოდა ცუცას, მეფობა არ მყოფნის, კიდევ რაღაც მაკლიაო. ოყაჯადოც იძულებული იყო, მარტო გამკლავებოდა ახალ სატანჯველს, მოეთმინა, შეჰგუებოდა, შეესისხლხორცებინა. მოთმინებით კი ითმენდა, მაგრამ ახლა ცნობის წადილი ჰკლავდა, ის მაინც ვიცოდე, რა ჰქვია, რამ გამიჩინა ეს სატანჯველიო. გაუნძრევლად იჯდა და ფიქრობდა. მალმალე ცხვირზე ჩამოისვამდა ხელს, რადგან დედისაგან ჰქონდა გაგებული, სპილოსთვის ხორთუმი ცნობისმოყვარეობას რომ დაეგრძელებინა. ახლა კი თვითონ ცუცამ ამოუხსნა ამოცანა. ოყაჯადოს სატანჯველს სახელი დაერქვა. უცოლობა იყო მისი სატკივარი, დედის გულმა უსიტყვოდ რომ გაიგო და მასაც გააგებინა. სატკივარი კი გაიგო, მაგრამ ოყაჯადომ ისიც იგრძნო, ამ სატკივრის მოთმენა ახლა უფრო რომ გაუჭირდებოდა. ან რატომ უნდა მოეთმინა, როცა წამალი არსებობდა და დედამისზე უკეთესად არავის შეეძლო იმ წამლის შოვნა. მთავარი იყო, ცუცას შესცოდებოდა შვილი. ოყაჯადოს იმ წუთას მართლა მოუნდა, დედამისს რომ შესცოდებოდა, სიბრალულითა და თანაგრძნობით შეეხედა მისთვის, შეწუხებულიყო, რაღაც ეთქვა გულისამაჩუყებელი, თუმცა ყველაფერი ისედაც გულისამაჩუყებელი იქნებოდა, რასაც ცუცა ეტყოდა, მის ყველა სიტყვაზე ცრემლი მოადგებოდა და არც დამალავდა, რათა უარესად შესცოდებოდა დედას. დედა ჩააცივ-

დებოდა, გინდა თუ არა მითხარი, რა მოგივიდა, რატომ ამოისვი თვალში ხელიო, მაგრამ ის მაინც არ ეტყოდა სიმართლეს, თავს ისე დაიჭერდა, თითქოს თვითონვე რცხვენოდა ამ უეცარი სისუსტისა, იქით დაამშვიდებდა დედას, რა უნდა მომსვლოდა, ალბათ, მტვერი ჩამივარდა თვალშიო, მაგრამ ცუცას რას გამოაპარებდა, ცუცა ყველაფერს მიხვდებოდა და დაეხმარებოდა კიდეც. „უიმე, — როგორც ყოველთვის, ახლაც ასე იტყოდა ცუცა, — უიმე, მე ავატირე, ჩემი გულისთვის ტირისო“. რაც უნდოდა ის ეთქვა, ოღონდ ეთქვა ენება და მოერჩინა ავადმყოფი შვილი. ოყაჯადო უცოლოდ ვეღარ გასძლებდა.

— ოღონდ მერე მე არ დამაბრალო. — თქვა ცუცამ.

ოყაჯადოს კი აღარაფერი გაეგებოდა, თვალზე ლიბრი გადაჰკვროდა, ათასში ერთხელ დედის ქირქილი თუ შეაღწევდა მის გამოთიშულ გონებაში. ნათქვამია, პატარა კაცმა დიდი სიზმარი ნახაო და მართლაც, რაც მერე მოხდა ყველაფერი ერთ უცნაურსა და გაუთავებელ სიზმარს გავდა.

ოყაჯადომ როცა ისევ გამოიხედა თვალში, უკვე ცოლიანი იყო. მის ცოლს კამა ერქვა. პირველი გრძნობა, რაც ოყაჯადოს თავის ცოლისადმი გაუჩნდა, შიში იყო. შიშს ქალის სილამაზე ბადებდა. ნაზი და ნებიერი კამა მართლაც ისეთი ლამაზი იყო, თავზარს სცემდა მნახველს. ისეთ უცნაურ შუქს ასხივებდა, ყველაფერს სუსხიან ბურუსში ხვევდა. მისი შუქი ყველაზე ღრმა სარდაფებშიც აღწევდა და იქაურობას სამარისებური სიცივით ავსებდა. ეს უჩვეულო სინათლე ერთიანად აოგნებდა სულიერსაც და უსულოსაც. ხალხი ცდილობდა, რაც შეიძლება შორს გასცლოდა, გაქცეოდა სინათლის ბრჭყალებს, ძილშიაც რომ უკარგავდა მოსვენებას. როცა გაიგებდნენ დედოფალი მოჰყავთო, ფანჯრებზე ფარდაგებს აფარებდნენ, ნასვრეტებსა და ჭუჭრუტანებს ცვილით გლესავდნენ. მაგრამ კამას შემაშფოთებელი სინათლე ყველაფერში ატანდა და ყველაფერს სუსხის ეკალს აყრიდა, რასაც კი შეეხებოდა. საბედნიეროდ, ეს სუსხი და გაოგნება დიდხანს არ გრძელდებოდა, თან მიყვებოდა ჩავლილ დედოფალს. სინათლისგან დაბრმავებული თვალიც მაშინვე იბრუნებდა მხედველობის უნარს, ხოლო მოახლოებული და გარდაუვალი აღსასრულის შეგრძნება შხუილით იღვრებოდა ყურებიდან და ნესტოებიდან, როგორც გამსკდარ კასრიდან წყალი. კამამ ვანელებს, რატომღაც, დარიაჩანგი გაახსენათ. გადმოცემით იცოდნენ, დარიაჩანგსაც თავისი სინათლე რომ ჰქონდა, პირიდან ია და ვარდი სცვიოდა და მის ნავალზე ისეთი ბალახი ბიბინებდა, საქონელი გაცურდებოდა. დარიაჩანგის სხივებზე, როგორც ვენახის ტოტებზე, ბავშვები ეკიდებოდნენ და კონწიალობდნენ. კამას სინათლე კი სხვა იყო, ეს სინათლე აბნელებდა. ამ წამიერ სიბნელეში ხეები გახმობას ასწრებდნენ, ბალახი ჭკნებოდა, ძონძივით ეფინა მიწაზე; ჩიტები გულგახეთქილნი ცვიოდნენ ძირს, ბაკებში დამწყვდეული საქონელი ზმუოდა და ერთმანეთს რქებზე ეხეოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მალევე მთავრდებოდა. საკმარისი იყო, ჩაევლო ტახტრევანს და გარემოც პირვანდელ სახეს იბრუნებდა, ოღონდ ხალხს უფრო დიდხანს რჩებოდა გულის ფრიალი და გადატანილი ზაფრის ყინული.

— მცივა, ოყაჯადო, მცივა! — ჩასძახოდა კამა ყინულისფერ სარკეს.

ეს უზარმაზარი სარკე მზითვში მოჰყოლოდა და ახლა მთავარ დარბაზში იდგა. სარკე თითქოს უარესად ამძაფრებდა სიცივეს და ოყაჯადომ აღარ იცოდა, როგორ ეშველა ცოლისთვის. დაქორწინების შემდეგ თვითონაც განუწყვეტლივ ზრინავდა ტანში, მაგრამ ვერც ცეცხლის ანთება გაებედათ. კამა ცეცხლს ვერ იტანდა, სიკვდილი-

ვით ეშინოდა ცეცხლისა და მართლაც, გინდაც შორიდან მოეკრა თვალი, მაშინვე უზარმაზარ ლოლუასავით წყებდა დნობას.

სასახლეში ყველა მობუზული დადიოდა, იატაკზე ჭირხლი ეყარა, სუსხი კედელშიც ატანდა და სასახლე გარედანაც შეჭირხლულიყო. კამა მთელი დღეები სარკის წინ იჯდა და ჩიოდა, როდის შემიშვებს სარკე, აღარ შემიძლია, გავითოშეო. კამას იმ მეორე კამასი შურდა, უკვე სარკეში რომ ცხოვრობდა და ახლა იქიდან ესაუბრებოდა გარეთ დარჩენილ ორეულს, რომელსაც უსასრულოდ შეეძლო ესმინა, ისეთ საოცარ ამბებს უყვებოდა სარკის ბინადარი კამა. „დამიჯერე, აქა სჯობს, აქ არც სიცივეა და არც სითბოო“ — ეუბნებოდა სარკის ბინადარი გარეთ დარჩენილს. ისიც ფეხმოუცვლელად იჯდა სარკის წინ და ელოდებოდა, როდის გაიხსნებოდა სარკის ზედაპირი და სანატრელი ქვეყანა მასაც შეიფარებდა. კამას ეშინოდა, არ გამორჩენოდა ის საბედისწერო წუთი და სამუდამოდ არ დარჩენილიყო გარეთ. მერე, როცა კამა უკვალოდ გაქრა, ოყაჯადომაც დაიჯერა, რომ მისმა მეუღლემ მართლა მოახერხა სარკეში შეღწევა. გული კი არ დაწყვეტია, რა ჰქონდა გულის დასაწყვეტი? კამამ სამუდამოდ გაუთოშა სისხლი, ქალის სახსენებელი შეაჯავრა. ერთი საათით რომ შესულიყო ცოლთან, მერე მთელი კვირა აცემინებდა, ცინგლი ჩამოსდიოდა. კამა კი მთელი თვე ლოგინიდან ვეღარ დგებოდა, ისე ადნობდა და ასუსტებდა ქმართან განმარტოება. რაკი თვითონ აღარ შეეძლო სარკესთან მისვლა, საწოლთან მოატანინებდა ხოლმე ჩარჩოში ჩასმულს ყინულის ლოდს და სევდიანი, შურიანი და აღტაცებული თვალებით შესცქეროდა, შესციცინებდა სარკის ბინადარ კამას.

ოყაჯადოს დედა მოენატრა. რაც ცოლი შეერთო, დედა არ ენახა, არც გახსენებია; სად გაქრაო? — ჯერ გაუკვირდა, მერე კი შეეშინდა, ხომ არ მიმატოვაო, და მაშინვე დედის საძებნელად გასწია. ცუცა თავის ოთახში შეკეტილიყო, გაუხდელი ჩაწოლილიყო ლოგინში, თავზე შალი მოეხვია და ზემოდან მთელი წალო ქვეშაგები დაეყარა. მოუსვენარი, დანაკვერცხლებული თვალებიღა უჩანდა, თითქო მელია იყურება სოროდანო. „მეფეს ვახლავარ“ — დაუძახა ცუცამ, გალეული, ძარღვებით გადალურჯებული ხელი ძლივსძლივობით ამოაძვრინა საბნებიდან და ტუჩზე აწეპებული ბეწვი მოიშორა.

— ცოლი ნეტავ სხვისიც არ გამეგო, — ამოიოხრა ოყაჯადომ.

— არ გაბედო! — უყვირა ცუცამ.

ცუცამ იცოდა ეს დღე რომ დადგებოდა. მართალია, ყველაზე მეტად ქალის ეშინოდა, მაგრამ თვითონაც ქალი იყო და არასოდეს მოუტყუებია გუმანს. მას შემდეგ, რაც ოყაჯადო ტახტზე დასვა, თითქოს აღარაფერს არ უნდა შეეშფოთებინა, მაგრამ კიდევ არსებობდა ერთი ჯებირი, ერთი ვერაგი მტერი, რომელიც აუცილებლად გამოჩნდებოდა და ეცდებოდა კიდეც ცუცას შეკოწიწებულ ციხესიმაგრის დანგრევას. ამიტომაც არ აშორებდა თვალს შვილის ბრტყელსა და უძრავ სახეს და, როცა ოყაჯადოს შუბლი მუწუკებმა გაავსეს, ცუცაც მიხვდა, მტერი კარზე მოსდგომოდა. მტერი ძლიერი იყო, შეეძლო ხელის ერთი დაკვრით მართლა წყალში გადაეყარა ამდენიხნის ნაამაგარი. ოყაჯადოც დაბნეული აცეცებდა თვალებს, ჯერ ვერ ხვდებოდა მტრის ვერაგობას, მაგრამ უკვე აელოკა მისი მოშხამული მახვილი და ხანდახან ისე წამოენთებოდა სახე, მთელ კოკა წყალს დაიცლიდა თავზე, მაგრამ ყინულივით ცივი წყალი შიშინით აშრებოდა, ცეცხლს კი ვერ უქრობდა. ბერე ბაქცევის ხუშტური წამოუვლიდა, მართლა რომ არ გაქცეულიყო, კარს გადაკეტავდა ხოლმე და ოთახში დაძუნძულებდა. მარტო ცუცამ იცოდა მისი წამალი, ისიც იცოდა, ცოტახნით რომ

უნდა გაეშვა, რათა სამუდამოდ არ დაეკარგა, მაგრამ ოყაჯადო არ იყო თავის ნებაზე გასაშვები კაცი, თანაც ახლა, ამ დღეში მყოფს პირველივე ქალი ლეჩაქის ყურზე გამოიბამდა, ერთ სიტყვას უჩურჩულებდა და სამუდამოდ დაავიწყებდა დედასაც და ტახტსაც. ცუცას კი ოყაჯადო თავისთვის უნდოდა, საქმისთვის გაეჩინა და არა კალთაში საბუქნაოდ. ოყაჯადო უფრო მეტს ნიშნავდა ცუცასთვის, ვიდრე ნებისმიერი შვილი ნებისმიერი დედისთვის. ოყაჯადო იგივე ცუცა იყო, დანამატი, აუცილებელი დანამატი, ურომლისოდაც არც ცუცა იქნებოდა ასეთი, ვერასოდეს ვერ მიაღწევდა იმას, რისთვისაც მიეღწია. ცუცას მხოლოდ და მხოლოდ ოყაჯადო ჭირდებოდა. წინ სიბნელე იყო, გაურკვეველი მომავლის სიბნელე და ცუცამაც თამამად შეაბიჯა ამ სიბნელეში, რადგან შიში და ყოყმანი დაღუპვას ნიშნავდა მისთვის. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვინ დახვდებოდა იქ, მეჯინიბე თუ მეფე, მთავარი იყო, უშედეგოდ არ ჩაევლო სიბნელესთან შეუღლებას, ნაყოფი გამოეღო, არ გაეწბილებინა მომავლისთვის მებრძოლი ქალი. ოყაჯადო სიბნელის ნაყოფი იყო და არა ჩვეულებრივი ლეკვი, იქამდე რომ ახსოვს დედა, სანამ ლიბრი მოცილდება, სანამ სინათლეს დაინახავს. სინათლემ გატყუება იცის, ცუცას კი ოყაჯადო სამუდამოდ ჭირდებოდა, რადგან მათი ერთიანობა, მათი განუყოფლობა ბადებდა ტახტს, გვირგვინს, უშიშარსა და უზრუნველ ცხოვრებას. ცალცალკე არცერთს არ ჰქონდათ ფასი. ამიტომ ოყაჯადოს დედის მეტი არაფერი არ უნდა დაენახა. დედის დანახვა კი ბრმასაც შეუძლია. ცუცას უნარი შესწევდა და ვერც ვერავინ დაუშლიდა, ისეთი შვილი გაეზარდა, მათი საერთო საქმე რომ მოითხოვდა. შესძლო კიდეც, მიაღწია, რადგან უნდა მიეღწია, რადგან სხვა გზა არ არსებობდა. ოყაჯადო სიმწიფეში რომ შევიდა, ცუცამ საფრთხე იგრძნო, სამუდამოდ შემომტკიცებულ მიწაზე გრიგალი იღვიძებდა, ვნების გრიგალი, რომელიც არაფერს არ დაგიდევდათ, ერთნაირად მიაწყდებოდა ხუხულასაც და სასახლესაც. ცუცამ იცოდა ამ გრიგალის ძალა, მაგრამ მაინც როგორმე უნდა მოევლო, დროზე უნდა ჩაექრო, ჩაეწყნარებინა და თუკი შესძლებდა, სამუდამოდ ამოეფხვრა კიდეც. მეორე ქალს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ვერ გადააყოლებდა ძლივს აწყობილ ცხოვრებას. ვის რა უფლება ჰქონდა, მზამზარეულზე გამოჩენილიყო და უბრძოლველად მიეთვისებინა ის, რაც ცუცას წლობის მანძილზე საკუთარი ნისკარტით შეეკოწიწებინა ოცნების ლერწმითა და ცოდვის ტალახით. ცუცამ იცოდა ვნების გრიგალს ვერაფერს რომ ვერ მოუხერხებდა, ვერ მიწვდებოდა, მაგრამ შვილი ხომ ხელთა ყავდა. ერთხელაც დაბზრიალდა ცუცა და იქამდე იბზრიალა, სანამ კამა არ დაინახა, დაინახა და დამშვიდდა. უფრო ლამაზ ქალს ვერავინ გამონახავდა სარძლოდ, ვერცერთი საცოლე შვილი ვერ დაიწუნებდა ცუცას არჩევანს. მაგრამ ცუცამ ისიც დაინახა, რასაც ვერავინ დაინახავდა, მით უფრო გამოუცდელი ოყლაყი, მშვიდად რომ ვერ შეუხედავს კაბაგადაცმულ სარისთვისაც. კამას სილამაზე სიცივის, სიმარტოვისა და სიბერწის სილამაზე იყო. ცუცა სიხარულით დაფრინავდა, კამას არაფერში არ ჭირდებოდა მისი ვაჟიშვილი, ხოლო მისი ვაჟიშვილისთვის ეს ისეთი გაკვეთილი იქნებოდა, სიკვდილამდე დაამახსოვრებდა თავს. ცუცაც ცოტას წაეხმარებოდა და დაარწმუნებდა, რომ ყველა კაბა ერთსა და იმავე საიდუმლოს მალავდა. კამამ დიდი იმედი ჩაუნერგა ცუცას, ამიტომაც უთხრა, ჩემო მშვენიერო, ჩემო ლამაზო რძალო შენი დიდი იმედი მაქვსო. ხოლო როცა შვილის დაბნეული სახე დაინახა, ისევ ხუმრობის გუნებაზე დადგა და ნიკაპქვეშ ხელი ამოჰკრა, როგორც იცოდა

ხოლმე. ოყაჯადო გაწითლდა, დედას თვალი აარიდა და ძლივს ამოილულლუღა: მე უნდა წავაქციო, თუ თვითონ წაიქცევაო? ცუცას ერთი წუთით შეეცოდა შვილი, იცოდა სადაც უშვებდა, იცოდა, როგორი დაუბრუნდებოდა იქიდან, მაგრამ ახლა დედაშვილობიას დრო არ იყო. შვილს გასამხნევებლად წაუთაქა, მაგას თქვენც გაარკვევთო, დაუბარა და თავის ოთახში შეიკეტა, რადგან უკვე გასჯდომოდა ტანში სიცივე, რომელსაც მისი ვაჟიშვილიც მალე იგრძნობდა.

— მცივა!—ისევ ამოიოხრა ოყაჯადომ.

— ჩუმად! — ისევ შეუწყრა ცუცაც. — მეცა მცივა, მაგრამ თქვენი გულისთვის ვითმენ.

„გინდოდა და აგისრულდა, — გაგრძელა ცოტა ხნის მერე თვითონვე, რაკი დარწმუნდა, ოყაჯადოს აღარაფერი ჰქონდა სათქმელი. — გინდოდა და აგისრულდა. ცოლი ეგ არის. მადლობა ღმერთს, მე ვერაფერს დამაბრალებო“.

ოყაჯადო დაღვრემილი გამობრუნდა. როგორც ყოველთვის, დედამისი ახლაც მართალი იყო. ოყაჯადოსაც დედასთან უნდოდა ყოფნა, აქ ერჩია, ფეხი უკან რჩებოდა, მაგრამ უნდა წასულიყო, მეფე იყო და ტახტი უცდიდა. შესაძლებელი რომ ყოფილიყო ტახტის აქ შემოტანა, თავსაც აღარ გამოყოფდა დედის ოთახიდან, მაგრამ, კამას სარკესავით, ტახტსაც ხომ არ დაუწყებდნენ აქეთ-იქით ჩოჩიალს? არც ცუცა მისცემდა ამის ნებას. არ შეიძლებოდა და იმიტომ. ტახტის გაქანებაც არ შეიძლებოდა, ერთ ადგილას უნდა მდგარიყო, საძებარი რომ არ გახდომოდა, ადვილად რომ მიეგნო და ყოველთვის ასე დინჯად, ყოველთვის ასე მძიმედ წასულიყო მისკენ. „ძნელი ყოფილა მეფობაო“ — ფიქრობდა ოყაჯადო.

— ჯერ სადა ხარ, კიდევ ბევრჯერ მოგენატრება დედა, — მიაძახა ცუცამ.

ახალ კალაპოტში გადაგდებული ცხოვრება თანდათან მშვიდდებოდა, ნაპირებს ეჩვეოდა და თავქვე მიქროდა. ღვინის ვაჭარი ბახა ისევ ღვინის ვაჭარ ბახად დარჩენილიყო, მაგრამ ახალი საგონებელი გასჩენოდა: მისი ღვინო ხალხს კი აღარ ათრობდა, აყეყეჩებდა. დარწმუნებული იყო, იმანო რაღაცას ეშმაკობდა, ღვინოს აფუჭებდა, მაგრამ ჯერ ჩუმად იყო, იმედი ჰქონდა, საქმეზე წაასწრებდა და პასუხსაც მაშინ მოსთხოვდა. ხალხსაც ველარ სცნობდა ღვინის ვაჭარი ბახა. მის ორმოცსაფეხურიან სარდაფში სხვა ხალხი ირეოდა, ღვინოსაც სხვანაირად სვამდა, ზეზეულად, ფაცა-ფუცით და ყინწიც მალე სწყდებოდა. „ვინ არიან, სად იყვნენ აქამდეო“ — უკვირდა ღვინის ვაჭარ ბახას, მაგრამ ჯერ თავს არ უყადრებდა, ძველებურად მედიდური იჯდა თავის საყვარელ სკამზე, მრგვალთავიანი ჯოხი მუხლებს შორის ჩაედგა და ზედ ხელები დაებჯინა.

მეთევზე ბედია ისევ ჩუმჩუმად ზომავდა მანძილს ნავების სადგომიდან ზღვამდე და ისევ ჩუმჩუმად აგრძელებდა თოკს, უკვე საკმაოდ რომ დამძიმებულიყო და უღელვით გადაეხეხა მისი კისერი.

ბოჩია ისევ აკვანს თლიდა, ოქროსფერი, შრიალა და სურნელოვანი ბურბუშელა მუხლებამდე შემოსდგომოდა და მამობილის შემოჩვეული კოდალები ახლა მას ასხდებოდნენ. ისიც მართლა ხესავით გაირინდებოდა ხოლმე, სანამ ეს ჭრელი და მოუსვენარი ჩიტი გამეტებით უკაკუნებდა ნისკარტს. ფოთოლას მოხვეტილი და მობოჭილი ბურბუშელა ეზოში გაჰქონდა დასაწვავად, მაგრამ, შემობრუნებულს, იმდენივე ხვდებოდა.

შავთვალება მალალოს სასტუმრო დუღდა და გადმოდუღდა. ოყაჯადოს გაკვალულ გზაზე იმდენი წამსვლელ-მომსვლელი იდგა, ისა და მისი ექვსი ქალიშვილი ძლივსღა აუდიოდნენ სტუმრების მიღებასა და გასტუმრებას. ასე რომ, ერთი შეხედვით თითქოს არაფერი არ შეცვლილა ვანში, ეგ იყო რომ

ერთი საოცრება კიდევ შეჰმატებოდა ქალაქს: ოყაჯადოს სასახლეს პაპანაქება სიცხეშიც ლოლუები ეკიდა.

ერთი შეხედვითა ჩანდა ასე, თორემ დროს, რაღა თქმა უნდა, ბევრი რამე შეეცვალა. დრო თავისას აკეთებდა, დროს თავისი საქმე ჰქონდა. ვერც ვერაფერს ამჩნევდა, არც არავის ეპუებოდა. არც თვალი ჰქონდა, არც გული. მიდიოდა, მიიზლაზნებოდა, უგრძნობელი და ღონიერი. შავთვალება მალალოც დიდხანს ეომა, ეფერა და ეთვალთმაქცა, მაგრამ ვერაფერს გახდა. თუმცა არა, რწმენა განიმტკიცა, ბრძოლისა და შეურიგებლობის რწმენა. მართალია, სიბერემ იმდენჯერ შეაშინა და იმდენი უძახა „ჭიტა-ჭიტაო", ყოველგვარი იმედი გადაუწურა, მაგრამ ფარხმალი მაინც ვერ დააყრევინა. პატრონივით გადაბერებული თუთიყუშიც ახლა უფრო ხშირხშირად ჩხაოდა მასპინძელო, მასპინძელოო, თითქოს ისიც გრძნობდა დროის დინებას და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტჯერ ეთქვა ეს ერთადერთი სიტყვა, ადამიანებთან შეხიზნულს რომ ესწავლა. არა, თუთიყუშიც შავთვალება მალალოს აფრთხილებდა, ჯიუტად უმეორებდა ერთსა და იგივეს, რადგან შავთვალება მალალოსაც მხოლოდ ამ სიტყვის მნიშვნელობა ესმოდა ბოლომდე, ძირფესვიანად. თავიდანვე მოხიბლა ამ სიტყვამ, აიყოლია, დაარწმუნა, შენთვისა ვარ მოგონილი, შენზე უკეთ ვერავინ გამამართლებსო, და შავთვალება მალალომაც მთელი გულით შეიყვარა იგი. შეიფერა კიდეც, შეიშნოვა. სტუმრები იცვლებოდნენ, ის კი უცვლელი რჩებოდა. ასედაც იქნებოდა სულ. დრო რომ არ გადამტერებოდა, კრიჭაში რომ არ ჩასდგომოდა. ახლა მასპინძელს სტუმრებისთვის მათი წონა ოქროც რომ მიეცა, მაინც არავინ დაიჯერებდა, რომ ეს ფეხებდასიებული ჯოჯო, მუშტისხელა, დაკვანძული ძარღვები წურბელებივით რომ დასეოდნენ წვივებზე, ოდესღაც ტანკენარი, კოცონივით მობრიალე და სალამურივით ხმაწკრიალა ქალი გახლდათ. დღითი დღე სტუმრები უფრო თავაზიანნი და მორიდებულნი ხდებოდნენ და შავთვალება მალალოც გრძნობდა, როგორ შორდებოდნენ ერთმანეთს ისა და მისი სტუმრები. მაგრამ ასე ადვილად მაინც ვერ შეელეოდა სიცოცხლეს, სანამ პირში სული ედგა, ზურგს ვერ შეაქცევდა, კარს ვერ გამოუკეტავდა და თუ უსასრულოდ ვერა, კიდევ დიდხანს უმასპინძლებდა, მიიღებდა და გაისტუმრებდა; კიდევ ბევრჯერ გახდიდა და ჩააცმევდა, როგორც სულელი გოგო საყვარელ თოჯინას. ამდენი ხანი ტყუილად როდი აჩხავლებდა ამ თუთიყუშს, წყალგადასხმულ მუგუზალივით რომ პრიალებდა; ტყუილად როდი ეუბნებოდა ყველა ძაღლსა და მამაძაღლს: მიგულე შენს მასპინძლად, კიდევ მობრძანდიო. ყველას, ყველას უნდა სცოდნოდა, ჯერ კიდევ ის რომ იყო მასპინძელი, ჯერ ის იყო და მერე მისი ქალიშვილები, ჯერ მასთან ჰქონდა საქმე ქვეყანას.

მართლაც იმდენი ჰქნა შავთვალება მალალომ, ერთხელ კიდევ გააწბილა კარს მომდგარი სიბერე. მოხდა ის, რასაც უკვე არავინ აღარ ელოდა. შავთვალება მალალომ ბავშვი გააჩინა, მეშვიდე ქალიშვილი. გოგოს ინო დაარქვეს. სასტუმროში ჩვილის სუნი დატრიალდა და ისიც ჩვეულებრივ სახლს დაამგვანა. ექვსი ერთნაირად თმადავარცხნილი, ერთნაირ კაბაში გამოწყობილი და უკვე საკმაოდ შელახული ქალიშვილი თავზე ევლებოდა მოლოგინებულ დედას. ბავშვის გაჩენამ ისინიც გაახალისა, აღაფრთოვანა და დაასევდიანა კიდეც. დედამ აჯობათ, დედამ სიბერეშიც შესძლო ის, რისი უნარიც მათ ახალგაზრდობაშივე დაეკარგათ. შავთვალება მალალო მათზე მეტი იყო, ყოველთვის მეტი იქნებოდა, ერთით მეტი. თუკი ისინი ახლა შვიდნი გამხდარიყვნენ, შავთვალება მალალო უკვე რვა იყო. დედის მოუ-

ლოდნელმა, ყველასათვის მოულოდ-
ნელმა მოლოგინებამ ქალიშვილებს
ისევ აღუდგინა მისი უპირატესობისა
და ყოვლისშემძლეობის რწმენა. მარ-
თალია, საერთო ჭერსა და საქმეს ისე
დაეახლოვებინა ისინი დედასთან, რომ
მეშვიდე დასავით ექცეოდნენ, იმასაც
ეუბნებოდნენ, ყველანი ერთნაირები
ვართო, მაგრამ ახლა თვითონაც
გრძნობდნენ, რამდენად მაღლა იდგა
შავთვალება მალალო, ის მეშვიდე და
კი არა, შვიდივეს შემქმნელი იყო. ეს
პატარა, ნაცრისფერთვალება არსებაც
მალე დაემსგავსებოდა უფროს დებს,
ჯერ კი არხეინად ღუღუნებდა, რადგან
გვერდით ყველაზე თბილი, ყველაზე
გემრიელი და ყველაზე ძლიერი ქომა-
გი ეწვა.

ინომ მალე შეამჩნია ერთნაირად
თმადავარცხნილი, ერთნაირ კაბებში
გამოწყობილი უფროსი დების საოცა-
რი მსგავსება. ბევრი დრო დასჭირდა,
სანამ ერთმანეთისაგან განასხვავებდა,
რადგან ექვსივენი ერთნაირად იხრებო-
დნენ მისკენ, ერთნაირად იჩლიქავდნენ
ენას და ერთნაირად იცინოდნენ, როცა
ინო მათ ყელკისერზე აკონწიალებულ
მძივებს წაეტანებოდა. ინო ბედნიერი
იყო, იმდენად ბედნიერი, რომ ვეღარც
არჩევდა, როდის თენდებოდა და რო-
დის ღამდებოდა. ერთნაირად ვარდის-
ფერი, მშვიდი და კეთილი იყო დღეცა
და ღამეც. სანამ სიარულს ისწავლიდა,
დედას ატატებული მიჰყავდა იგი თუ-
თიყუშის გალიასთან და ინოც გულია-
ნად კისკისებდა, როცა ეს გაფხორილი,
ყვითელთვალა და შავნისკარტა ფრინ-
ველი ბორბალივით დატრიალდებოდა
ხოლმე ხარიხაზე. გალია ქანაობდა, ქა-
ნაობდა და თავბრუდახვეული ინო შე-
უმჩნევლად იზრდებოდა. საღამოობით
ექვსივე და ერთად ბანდა, ვარცხნიდა
და რთავდა ინოს, სტუმრებთან რომ
გაეყვანათ. „აბა შენ იცი, ყველას მიე-
სალმე, საჩუქარზე ნუ გაიპრანჭები,
ნუ ათქმევინებ, ეს რა უწესო გოგო
ჰყოლიათო“ — ჭკუას არიგებდნენ დე-
ბი, სანამ ის პეპელასავით ფაფატებ-
და და ერთი სული ჰქონდა, როდის ეჩ-
ვენებოდა სტუმრებს ახალ კაბაში გა-
მოპრანჭული. დილით დიდი ოთახიდან
დედა-დების უზრუნველი საუბარი და
სიცილ-კისკისი ისმოდა. ამ ხმის გა-
გონებაზე ინო ყოველთვის ნეტარებით
გაიზმორებოდა ხოლმე და მაშინვე
რძის თბილი და ნოყიერი სუნი დატრი-
ალდებოდა მთელს სახლში. თმაგაჩეჩი-
ლი, ფეხშიშველი, გამოძინებული და
მოშიებული ინოც გაფარფატდებოდა
დიდ ოთახში და სანამ მის შემოსვლას
შეამჩნევდნენ, აღტაცებული შესცქე-
როდა დედასა და დებს. ყველანი კოხ-
ტად თმადავარცხნილნი და პირდაბა-
ნილნი, საოცრად ლამაზები და ახლობ-
ლები იყვნენ. ისიც უცნაური თრთოლ-
ვით ჩამოუვლიდა ხოლმე ყველას და
თითის წვერებზე აწეული კოცნიდა მათ
სურნელოვან ლოყებსა და შუბლებს.
„მაცალე, ძლივს დავივარცხნე თმაო“
— ყასიდად წიოკობდნენ დები. ინო კი
ბედნიერი იყო.

ოყაჯადოს სასახლეს ისევ ლოლუები
ეკიდა. შუადღის მზე რომ დააჭერდა,
ბავშვები პირის გასაგრილებლად ჭი-
გოებით ყრიდნენ ლოლუებს და თავ-
ქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ, მცველე-
ბი რომ დაუტატანებდნენ გალავნიდან.
თუმცა ნაბადში გახვეული მცველები
თვითონაც მალულად ამტვრევდნენ ამ
ლოლუებს და ქუჩაში ისროდნენ. ახლა
დღე არ გაივლიდა, ოყაჯადოს დედის-
თვის რომ არ დაეხედა. კამა სარკის
წინ დნებოდა, ქმარი აღარც ახსოვდა.
ათასში ერთხელ ისევ სარკეში თუ
მოჰკრავდა თვალს, როგორ ჩაივლიდა
მის ზურგს უკან მოღუშული, გულხელ-
დაკრეფილი ოყაჯადო.

ერთ დღეს ოყაჯადო დედასთან რომ
შევიდა, საწოლზე წამომჯდარმა ცუ-
ცამ ისეთი აწრიალებული მზერა შეა-
გება, გული გადაუქანდა, რაღაც უბე-
დურება მომხდარაო.

— რა მოხდა, დედაჩემო, — შეჰყვი-
რა ოყაჯადომ.

— მეტიიი რაღაა უნდაა მოხდეს. — კი არ უპასუხა, თავისთვის წაიმღერა ცუცამ და ირგვლივ უმწეოდ მიმოიხედა.

მერე ისევ შვილს გაუსწორა თვალი და იქამდე უყურა ბრტყელსა და უძრავ სახეში, სანამ ღიმილი არ მოერია. ოყაჯადო ცოტა დამშვიდდა. „შე მართლა უსულურ ვარსკვლავზე გაჩენილოო“ — ჩაიქირქილა ცუცამ თავისებურად, მაგრამ ხველა აუვარდა და სანამ ოყაჯადომ წყალი არ მოურბენინა, სული ვერ მოითქვა:

— ფეხები წამერთვა, — თქვა ცუცამ და ცოტა ხნის მერე ისევ გაიმეორა: ფეხები წამერთვაო!

ოყაჯადომ ვერაფერი გაიგო, მაგრამ მაინც შვება იგრძნო, რადგან შიშს ისე დაერია ხელი, ეგონა როგორც კი გააღებს დედაჩემი პირს, საზარელი ურჩხული ამოუფრინდებაო.

— ეგ არაფერი, — უთხრა ოყაჯადომ.

ამის მერე ოყაჯადოს ბალღივით ატატებული დაჰყავდა ცუცა. ეზოშიაც ასეირნებდა და ისეთი სიფრთხილით დაატარებდა, თითქოს ადუღებული წყლით პირამდე გაპიპინებული ტაშტი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდა და ეშინოდა ფეხები არ დაემდუღრა.

— სხვას არ ანდო ჩემი თავი, იცოდე, — ეჩურჩულებოდა ცუცა, — ვისაც შენი დაღუპვა უნდა, ჯერ მე მომიღებს ბოლოს.

მათი ასეთი დედაშვილობა მალე მთელი სასახლის სალაპარაკო გახდა. ქალებს ხომ მეტი აღარ უნდოდათ ცუცას ცოდვით იწვოდნენ და მისი ბედნიერებაც შურდათ. მეფეს კი არა, მენახირესაც აღარ ახსოვს მშობელიო, ამბობდნენ ქალები, მოსეირნე დედა-შვილს რომ დაინახავდნენ და აწყლიანებულ უპეებს თავსაფრის ბოლოებით იმშრალებდნენ. „შვილი გავზარდე, შენ უნდა სთქვა, ქალოო“ — ხოტბას ასხამდნენ

ლათებულ ცუცას, რომელსაც მეტი სიფრთხილისთვის ორივე ხელი შვილის კისერზე შემოეხვია. ცუცა მართლა იყო ხელით სატარებელი დედა. ფეხები კი წართმეოდა, მაგრამ გონება ძველებურად საღი შერჩენოდა. ეს გონება დაატარებდა ორივეს, დედასაც და შვილსაც, და ეს ამბავი ორივემ კარგად იცოდა. ოყაჯადოს ღონიერი ფეხები ჰქონდა, მაგრამ ორ ნაბიჯზეც არ გაიშვებოდა. ბუნებას რაღაცა შეშლოდა, რაღაც გამორჩენოდა, თავიდანვე ერთ არსებად რომ არ შეექმნა ისინი. ორი თავი და ორი წყვილი ფეხი მართლაც ზედმეტი იყო მათთვის. ცუცას თავს სწორედ ოყაჯადოს ფეხები ჭირდებოდა, ოყაჯადოს ფეხებს კი ცუცას თავი. აკი ასეც მომხდარიყო ბოლოს. ბუნებას მაინც გამოესწორებინა თავისი უნებლიე შეცდომა. ოყაჯადო ახლა უფრო თამამად დაბიჯებდა, ახლა უფრო სწრაფად და იოლად სწყვეტდა სამეფო საქმეებსაც, უფრო სწორედ, უფრო სწრაფად და იოლად იგებდა, რა გადაწყვეტილება მიეღო ცუცას ამათუიმ საქმეზე.

ერთ საღამოს, სასახლის ეზოში სეირნობისას, ცუცამ ტუჩებზე ხელი ჩამოისვა და თქვა: ზღაპარი უნდა მოვყვეო.

ოყაჯადო გამოცოცხლდა, ბავშვივით აღელდა და დედა უფრო მაგრად მიიხუტა. ზღაპრები ძალიან უყვარდა, ისიც იცოდა, დედამისი ტყუილუბრალოდ, გასართობად რომ არ მოუყვებოდა ზღაპარს, რაღაცას გაუმხელდა, მიახვედრებდა, მიანიშნებდა მაინც. ასე ექცეოდა თავიდანვე, როცა ოყაჯადო თვითონ იყო ხელით სატარებელი, და თუკი რამე იცოდა ამ ქვეყნისა, ისიც დედის ზღაპრებიდან ესწავლა.

— ერთ კაცს ალმასის ჩლიქებიანი და ოქროს რქიანი კამეჩების მოყვანა დაავალა მეფემ, — დაიწყო ცუცამ, — ის კამეჩები კი ზღვაში ცხოვრობდნენ

— ზღვაში? — გაუკვირდა ოყაჯადოს.

ცუცა გაბრაზდა: ალმასის ჩლიქები და ოქროს რქები არ გაკვირდა, კამეჩი

რომ ზღვაში ცხოვრობდეს, ვითომ რა დიდი ამბავიაო... მართლა სულელი ყოფილხარ, თუ გგონია, შენი გაოცება მინდა და თავს იმიტომ ვიღლიო.

ოყაჯადო გაუჩუმდა, ან რა უნდა ეთქვა, დედა მართალი იყო. „მართლაც, რა დიდი ამბავია კამეჩი რომ ზღვაში ცხოვრობდესო“ — ფიქრობდა თავისთვის, სანამ ცუცას სიბრაზე გადაუვლიდა და მოყოლას გააგრძელებდა.

— არაფერსაც არ უნდა გიყვებოდე.— თქვა ცუცამ.

მერე ჩაეკითხა, სად შევჩერდიო, მაგრამ პასუხისთვის აღარ დაუცდია:

—კამეჩები ზღვაში ცხოვრობდნენ და მიწაზე მარტო წყლის დასალევად ამოდიოდნენ. ახლა იმასაც იტყვი, თუკი ზღვაში ცხოვრობდნენ, ბარემ ზღვის წყალი ესვათო, მაგრამ თუ აქამდე არ იცოდი, ახლა იცოდე, რომ ზღვის წყალი არ ისმევა, მწარეა და მლაშე.

— ეგრეა. — თქვა ოყაჯადომ.

ცუცამ კი გააგრძელა: — ვერაფერი რომ ვერ გააწყო იმ კაცმა, მარჩიელთან მივიდა, შენ რომ მიხვედი ერთხელ, ისე მივიდა ის კაციც მარჩიელთან და უთხრა: თუ რამე შეგიძლია, გზაზე დამაყენეო. მარჩიელი აბა რიღას მარჩიელი იქნებოდა, ხელს თუ არ გაუმართავდა სათხოვნელად მოსულ კაცს. ასე არ არის? შენც ხომ გაგიმართა ხელი მარჩიელმა? არც იმ კაცისთვის დაუწყვეტია გული. ხარის ტყავისა და ერთი ფუთი ლურსმნის შოვნა თუ შეგიძლიაო, ჰკითხა მარჩიელმა კაცს. შემიძლიაო, უპასუხა კაცმა. მაშინ, — უთხრა მარჩიელმა, — წაიღე ერთი ხარის ტყავი და ერთი ფუთი ლურსმანი, ერთი ხარის ტყავი და ერთი ფუთი ლურსმანი, ერთი ხარის ტყავი და ერთი ფუთი ლურსმანი, ტყავი გადააფარე იმ წყაროს, ტყავი გადააფარე იმ წყაროს, ტყავი გადააფარე იმ წყაროს, ლურსმნებით კი მიწაზე დააჭედე, ლურსმნებით კი მიწაზე დააჭედე, ლურსმნებით კი მიწაზე დააჭედეო.

ოყაჯადოს სახე გაებადრა, რადგან მიხვდა, რატომაც უმეორებდა დედამისი ერთსა და იმავეს. სწორედ ამ ადგილებისათვის უნდა მიექცია ყურადღება და დაემახსოვრებინა. ეს ეც ძველი ხერხი იყო, მრავალჯერ ნაცადი. ოყაჯადოს ერთი სული ჰქონდა, ეთქვა დედისათვის: მივხვდიო, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან ცუცამ ზღაპარი გააგრძელა:

— როცა კამეჩები ზღვიდან ამოვლენ, წყალი აღარ დახვდებათ, წყალი აღარ დახვდებათ, წყალი აღარ დახვდებათ. შეგეხვეწებიან, ოღონდ წყალი დაგვალევინე, ოღონდ წყალი დაგვალევინე, ოღონდ წყალი დაგვალევინე და შენი ყმები გავხდებითო, შენი ყმები გავხდებითო, შენი ყმები გავხდებითო, — დაამთავრა ცუცამ და ისე უცებ გაჩუმდა, თითქოს შვილის მკლავზე ჩამოეძინაო.

— გავხდებითო, ვხვდებითო, ბითო, თო. — დააქუცმაცა ბოლო სიტყვა ოყაჯადომ, თითქოს ძაღლის თავი ამ სიტყვაში იყო დამარხული.

— მიხვდი რამეს? — ჰკითხა ცუცამ.

ოყაჯადომ წაუყრუა, ვითომ ფიქრობდა და ვერ გაეგო დედის შეკითხვა. ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ გაიმეორა: გავხდებითო, ვხდებითო, ბითო, თო.

— ვერაფერსაც ვერ მიხვდი. — თქვა ცუცამ და გაფარჩხული თითები ყბაში წაჰკრა შვილს.

ამ საუბრიდან ერთი კვირის თავზე ბერძნის წყაროს მცველები დაუყენეს, წყაროს წინ თიხის უზარმაზარი გომბეშო დადგეს, წყალს კი ფასი დაადეს. წყლისთვის მოსულს ჯერ გომბეშოს დაბჩენილ პირში უნდა ჩაეგდო ფული და მერე შეეყუდებინა კოკურა ღარისთვის. ვეღარც ბავშვები იჭყუმპალავებდნენ წყაროს ნავში, სამუდამოდ რომ შერჩენოდა ზედ ფრიქსესა და მისი ოთხი ვაჟის ხელისგულების ანაბეჭდები.

— ზღვა რომ დავივიწყეთ, იმიტომაც ხდება მიწაზე ამისთანა ამბებიო, — ეტყოდა ხოლმე ბედია ცოლს.

ბედიას მოსვენება დაჰკარგვოდა, ამ-ხელა ზღვა თვალსა და ხელს შუა ეპარებოდა! ქალაქში კი გიჟად თვლიდნენ, არავის არ სჯეროდა მისი. ხათრით უსმენდნენ, თავებს აკანტურებდნენ და ძლივს-ძლივობით იკავებდნენ თავს, პირში რომ არ შეეცინათ ამხნის კაცისთვის. ბედია მართლა გიჟს დამგვანებოდა. გასაპარად გამზადებული ზღვის ვერაგობაზე ფიქრით თვალები ამოთეთრებოდა, კისერზე გადაცმული თოკის გორგალი უკვე მხრებზეც ჩამოსჩაჩვოდა. დუქნების წინ შეკრეფილი უსაქმურები ძლივს უძლებდნენ ცდუნებას, ფეხი რომ არ დაებიჯებინათ თოკის ჭრელი ბოლოებისთვის, ბედია რომ მიითრევდა. ბედია კი ვერაფერს ვეღარ ამჩნევდა, რადგან ზღვის ვერაგობაზე ფიქრობდა და იმ საერთო უბედურებაზე, რომელიც ამ ვერაგობას უნდა მოჰყოლოდა.

ქმრის მღელვარება ბედიას ცოლსაც გადასდებოდა. შესაღამოვდებოდა თუ არა, მოიგდებდა მხრებზე შალს და იდგა მარტო აღრიალებულ ზღვის ნაპირას, უკვე კარგა მანძილზე რომ დაშორებოდა მათ პატარა ქოხს. იდგა და უყურებდა. ბედიას ვერ გაეგო, მოსთქვამდა თუ მღეროდა მისი მეუღლე, რადგან ზღვის ღრიალსა და ქარის გუგუნში ქალის ხმის საბრალო ნაგლეჯებიღა აღწევდა ქოხამდე. „ამ უბედურს რაღას ვერჩოდიო“ — წუხდა ქოხის ზღურბლზე გადმომდგარი ბედია და ცოლს ეძახდა: კარგი, გეყოფა წინასწარ ნუ გამოიტირე ეგ ოხერი ზღვაო. არა და, დღითი დღე რწმუნდებოდა, ზღვა რომ მართლა მიდიოდა. ამ რწმენას ცოლის გაბმული ზუზუნიც უღვივებდა. ბედია ლანდად ხედავდა ცოლს, ზღვის ქარს რომ გაეზნიქა, გადაექანებინა, თითქოს ხელსა ჰკრავდა, იშორებდა ამ მართლაც პატარასა და აბეზარ მოწმეს, თითქოს ზღვასაც ერიდებოდა ამ უცნაური არსებისა, ასე თვალმოუშორებლად რომ ჩაჰყურებდა სულში და ამიტომაც ითრევდა ფეხს, სახეს არიდებდა, რადგან გრძნობდა, რომ ამ ქალის წუხილი და უბედურება უფრო დიდი იყო, ვიდრე თვითონ. ზღვას ეშინოდა კიდეც ამ ქალისა, უყვიროდა, თავფეხიანად წუწავდა, ქვიშას აყრიდა სახეში, გამეცალე, მე ვიცი ჩემი საქმისაო, მაგრამ ქალი უძრავად იდგა, ფეხს არ იცვლიდა და თავისთვის ზუზუნებდა. ეს ხმა ზღვას უარესად აღელვებდა ,ანამუსებდა, აუძლურებდა და თავადაც გამწარებული, გულმკერდს იხევდა სანაპიროს დაკბილულ ლოდებზე. „გეყოფა, ქალო, გაცივდები“ — ყვიროდა ბედია და რიყის ქვასავით მკვრივსა და პატარა მჯიღს მკერდში იცემდა. მერე თვითონაც აქანავდებოდა ხოლმე ადგილზე, თითქოს ფერხულში ჩაებაო, და ცოლის ზუზუნს ხმას აყოლებდა. ახლა ქავილი წამოუვლიდა. ორივე ხელს შეიყოფდა გაბურძგნული თოკის ქვეშ და იქამდე იბღორტნიდა კანს, სანამ ფრჩხილის ძირებში სისხლი არ ჩაუდგებოდა, ჭუჭყივით. თან გამწარებული ყვიროდა: გეყოფა, ქალო, აღარ შემიძლია მეტიო. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამე უნდა განეცადა და მოეთმინა ბედიასაც და ვანელებსაც, რადგან ის პირველი შეცდომა, რომელიც მათდა უნებურად იყო ჩადენილი და რომლისთვისაც თავის დროზე არავის მიუქცევია ყურადღება, დღითიდღე იზრდებოდა.

მეთევზეებს ზღვიდან ბადე გამოჰქონდათ, ორ რიგად დაწყობილიყვნენ და ბადის ბოლოებს მაჯის სიმსხო თოკებით ექაჩებოდნენ. წყლიდან ამოსული თოკი მეწინავის შიშველ ფეხებთან გველივით იგრაგნებოდა. ჰეი და ჰეი! ჰეი და ჰეი! — ამხნევებდნენ ერთმანეთს. მათი საქმიანობა რომელიღაც ცეკვას უფრო გავდა, ვიდრე მძიმე შრომას. ყველანი ერთნაირად გაზნექილიყვნენ წელში, ერთნაირად ამოძრავებდნენ ხელებსაც. ბადე ნელა უახლოვდებოდა ნაპირს, ნაპირსა და უჩინარ ბადეს შორის წყალი ქოთქოთებდა; ბადეს ნაპირისკენ ორი ნავი მოუძღოდა ,მენავეები გრძელი ჭოკებით

ერეკებოდნენ თევზს. მალე წყლიდან მორკალულმა ბადემაც ამოყო თავი, სილაზე ამოცოცდა და ფენა-ფენა დაიკეცა. თანდათან მცირდებოდა მანძილი ბადის წელსა და ნაპირს შორის. უცებ აქოთქოთებული წყლიდან ვერცხლისფერი, მოძრავი მასა ამოიზიდა, ახლად დაბადებულ კუნძულივით, ჯერ კიდევ რომ არყევდა მიწისქვეშა ბიძგები. ეს თევზი იყო. მეთევზეებმა ყიჟინა დასცეს. სანახევროდ ამოთრეულ ბადეს წყალი წურწურით ჩამოსდიოდა, ხავსის მწვანე, ხასხასა ნაფლეთები ზღვის შედედებულ სისხლივით ეკიდა. მეთევზეები წელამდე წყალში შეცვივდნენ და თევზს ნაპირზე დაუწყეს ამოყრა. თევზს თოლიებიც მიესივნენ, გაშმაგებით ჩხაოდნენ, ფრთებს ატყლაშუნებდნენ და ცდილობდნენ, როგორმე მიეღწიათ თევზამდე. თევზი ადუღებულ ვერცხლივით იბუშტებოდა და ლაპლაპებდა. მეთევზეებმაც ასტეხეს ერთი ვაიუშველებელი, ნიჩბებიც მოიმარჯვეს და, როგორც იქნა, მოიშორეს აჩხავლებული, აყივლებული, ახარხარებული ყაჩაღები. მაგრამ ცოტა ხნის მერე, ერთი თოლია, სხვებზე მშიერი თუ თამამი, უკანვე მობრუნდა. ჯერ მოშორებით დაჯდა სილის ბორცვზე და აფუსფუსებულ მეთევზეებს გახედა. მეთევზეები თოლიას ვერ ამჩნევდნენ. არც ეცალათ მისთვის. სამაგიეროდ ფარნაოზი ხედავდა. ფარნაოზი თითქმის იქვე იჯდა, იმ სილის ბორცვთან, რომელზედაც თოლია დასკუპებულიყო. ფარნაოზმა უნებურად კენჭი აიღო, მაგრამ არ უსვრია. რაღაცნაირად ააღელვა, ააფორიაქა ჩიტის სიახლოვემ. დაძაბული იჯდა. თოლიას ან ვერ შეემჩნია იგი, ანდა არ ეშინოდა. ასე ახლოს არასოდეს არ ენახა ფარნაოზს თოლია, არც მიწაზე დამჯდარი ენახა. უკვირდა კიდეც, სულ ცაში როგორ არიანო. ჩიტი ორ ნაბიჯზე იჯდა და გრძელი ნისკარტით იღლიას იფხანდა. უცებ ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა, ჯიქურ შევარდა მეთევზეთა წრეში, თევზს პირი დასტაცა და ის იყო ნადავლიანად უნდა აფრენილიყო, ვიღაცამ შეამჩნია და ნიჩაბი მოუქნია. თოლიას თევზი დაუვარდა, თვითონ კი უვნებლად აფრინდა, რამდენჯერმე დატრიალდა ნიჩაბმომარჯვებულ მეთევზის თავზე, რამდენჯერმე ჩამოსჩხავლა და ისევ სილის ბორცვზე დაჯდა. ფარნაოზს გული გაუთბა, თოლია ენდობოდა. მეთევზე და თოლია ერთმანეთს მიაჩერდნენ. მეთევზე ოდნავ წინ გადმოხრილიყო, ნიჩაბი ორივე ხელით შეემართა და ქანდაკივით უძრავად იდგა. ცოტა ხნის მერე თოლია მეთევზისკენ გადასკუპდა, თითქოს ამოწმებდა, მართლა ქანდაკება ხომ არ არისო. მეთევზეს სულმა წასძლია და ნიჩაბი შორიდანვე მოუქნია. თოლია აფრინდა, ალბათ, უნებურად, რადგან მალევე დაეშვა მეთევზის წინ. თოლიას სიჯიუტემ ფარნაოზი გააოცა და გაართო. მეთევზეც ჯიუტი ჩანდა. დაძაბულობისგან ოფლი გადაასკდა სახეზე. თოლია მოულოდნელად წამოფრინდა და ისეთი ძალით ეცა სახეში, ამოდენა კაცი უკან-უკან წაბარბაცდა და სილაში ჩაჯდა. თოლიამ დაიჩხავლა, ცოტა ხანს კიდევ იწრიალა ახარხარებულ მეთევზეების თავზე, დაშაშრული, უზარმაზარი ხელებით მზეს რომ იჩრდილავდნენ, რათა უკეთესად დაენახად მოჩხუბარი თოლია, და მერე სივრცეში გაუჩინარდა. ფარნაოზმა შვებით ამოისუნთქა, ისიც გაოფლილიყო, სილაზე დაბჯენილი ხელები უძაგძაგებდა. ხელისგულებზე კენჭებისგან წითელი, თეთრგულა ლაქები გასჩენოდა. უცებ სიცილი შემოესმა, მიიხედა და ინო დაინახა, ეჭვიც არ შეჰპარვია, ეს პატარა, გაჩხინკული და ჭორფლიანი გოგო, მართლაც ბეკეკას რომ გავდა, ინო იყო. ფარნაოზს რატომღაც დაამახსოვრდა რომელიღაც მეზობელი ქალის ნათქვამი: მეშვიდე ჯერ პატარაა, ბეკეკაო.

სანამ ფარნაოზი ინოს შეხვდებოდა, იქამდე ჰქონდა გაგებული, რომ მათ ქალაქში ერთი ბოროტი ქალი ცხოვ-

რობდა, ქალი კი არა ალქაჯი, რომელიც კაცებს ასულელებდა, მერე აძინებდა და სისხლსა სწოვდა. სახელად შავთვალება მალალო ერქვა, მთელი დღე მღეროდა, რადგან სწორედ მისი სიმღერა აჩერჩეტებდა კაცებს, თვალი უბრმავდებოდათ და ყველაფერი ავიწყდებოდათ. ის კი მარტო იმაზე ფიქრობდა, რა ჩაეცვა და დაეხურა. შვილებიც თავის ყაიდაზე გაეზარდა, მთელი დღე ლოგინში გორავდნენ, რადგან ყველაფერი მზამზარეულად მოსდიოდათ. რაც ქალაქში კაცები იყვნენ, ყველანი იმათ ემსახურებოდნენ, საკუთარ ცოლშვილს აკლებდნენ და მათთვის მიჰქონდათ, რადგან ის ალქაჯი ისეთი ბოროტი იყო, კაცებს ღვინოში ლენცოფას აპარებდა, საჭმელში კი ვირის ტვინს. ეს ყველაფერი ფარნაოზმა ქალებისაგან იცოდა. ხან ვინ მოვიდოდა და ხან ვინ, სასესხებლად თუ ჩასასესხებლად, ანდა ისე, სალაპარაკოდ. არავინ წავიდოდა, ერთხელ მაინც რომ არ ეხსენებინა ალქაჯი და მისი ქალიშვილები. ფარნაოზს სრულებითაც არ აინტერესებდა ქალების ლაპარაკი, მაგრამ უნებურად ისიც ისმენდა, რადგან იქვე ტრიალებდა. არც ბევრი რამე გაეგებოდა მათი ნალაპარაკევისა, მაგრამ როგორც კი ინოს ახსენებდნენ, სმენად იქცეოდა ხოლმე, შეიძლება იმიტომაც, ინო ყველაზე პატარა რომ იყო, ყველაზე პატარა ალქაჯი. ალქაჯი კი არა, ბეკეკა, თეთრი ბეკეკა. ალქაჯი მერე უნდა გამხდარიყო, როცა გაიზრდებოდა და როგორც ქალები ამბობდნენ, ისიც თავის დედა-დებს დაემსგავსებოდა. ამას კი ისეთი ხმით ამბობდნენ, ისეთი სახეები დაედებოდათ ხოლმე, ფარნაოზი წუხდა, თითქოს თვითონაც ელოდებოდა საფრთხე, მაგრამ მაშინ ბავშვი იყო და დიდხანს არც წუხილი უჩერდებოდა. თანაც ცუგა ჰყავდა, ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე ცელქი ძაღლი მთელს ქალაქში. სხვა არავინ ჭირდებოდა. ინოც თუ ახსენდებოდა ხანდახან, ისიც იმიტომ, არასოდეს რომ არ ენახა, არ იცოდა როგორი იყო და ბავშვური ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა. აინტერესებდა, მართლა ისეთი თუ იყო, როგორადაც წარმოედგინა. ესეც შეუგნებელი ინტერესი იყო, შემოჩეჩებული, ნაძალადევი, გაღვიძებული კი არა, გაღიზიანებული. ამ ინტერესს უფროსი ქალების ლაპარაკი ბადებდა და არა თვითონ ინო. ინო ერთი ბეკეკა იყო და მეტი არაფერი. ფარნაოზს სხვანაირად ვერც კი წარმოედგინა. როგორც ინოს ახსენებდნენ, თეთრი ბეკეკა დაუდგებოდა თვალწინ. მისი ცნობისმოყვარეობა სხვას ელტვოდა, უფრო შორს მიიწევდა, ბეკეკას იქით, სადაც ისინი იყვნენ, ბეკეკას პატრონები, მაგრამ ისინი იმდენად შორს იყვნენ, ბავშვის ცნობისმოყვარეობა ვერ მისწვდებოდათ. ეს აბრაზებდა სწორედ ფარნაოზს, მისი სიბრაზე კი ბეკეკაზე ვრცელდებოდა. „თუ სადმე შემხვდა, ცუგა უნდა მივუქსიოო“ — იმუქრებოდა გულში, როცა ქალები ჩურჩულზე გადადიოდნენ, ანდა უცებ გაჩუმდებოდნენ ხოლმე, თითქოს მხოლოდ ახლა შეემჩნიათ ფარნაოზი. ასე რომ, ინომ უფრო ადრე მოიკიდა ფეხი ფარნაოზის ფიქრებსა და წარმოდგენებში, ვიდრე ერთმანეთს შეხვდებოდნენ. უნებურად, ნელნელა, შეუმჩნევლად გროვდებოდა იგი მეორე ბავშვის სულსა და შეგნებაში, როგორც ღამით მოსული თოვლი. ერთ დღეს კი ფარნაოზი გაიღვიძებდა და დაინახავდა, როგორ გადაეთეთრებინა თოვლს ყველაფერი, ყველაფერი, თვალის საწიერამდე. მაგრამ ჯერჯერობით ცუგა ყავდა გვერდით. ცუგა დასდევდა ყეფით ერთმანეთში უთავბოლოდ არეულ დღეებსა და ღამეებს; აკაკანებულ ქათმებსა და ფილაქანზე მოცახცახე ჩრდილებს; ცუგას გამოჰქონდა ზღვიდან ფარნაოზის გადაგდებული ჯოხი; ცუგა სვლეპდა წვიმის წყალს, ქალუკას რომ მოეგროვებინა კასრში; ცუგას ბრალდებოდა დაკარგული კოვზი თუ ფლოსტები, გატეხილი ჭურჭელი თუ

დაგლეჯილი ფარდაგი; ცუგასთვის გროვდებოდა სპილენძის ტაშტში სადილის მონარჩენი. ყველაფერზე ხალისიანი, ხმაურიანი და ლაღი ცუგას ცელქობა იყო, ყველაფერზე სევდიანი — დასჯილი ცუგას თვალები. თეთრი ზეკეკა ათასში ერთხელ, ისიც შემთხვევით გადაირბენდა ცუგას დაწიოკებულ ეზოზე და კარგახნით მიეფარებოდა თვალს. ვინ იცის, რამდენი ხნის დავიწყებული ეყოლებოდა ფარნაოზს ინო, თავის დროზე რომ გაებედა და ეკითხა ქალებისთვის, რა ჰქონდა შესაცოდი ინოს, ან რატომ უნდა ყოფილიყო უბედური, თუ ისიც თავისი დედისა და დების მსგავსად მთელი დღე ლოგინში იკოტრიალებდა და ყველაფერი ექნებოდა, რასაც ინატრებდა. ქალუკამაც ხომ თქვა იმ დღეს: მაგისთანა ქალები გუნებას ეკითხებიანო, ყოველ დღე ყურძენს მიირთმევენო, მაგრამ ფარნაოზმა ვერც ქალუკას ჰკითხა, რატომ იყო უბედურება მთელი დღე ლოგინში კოტრიალი და ყურძნის ჭამა, რატომღაც მოერიდა, კი არ მოერიდა შეეშინდა, შემთხვევით დანახული, უფროსების დაუდევრობით გაშიშვლებული საიდუმლოსი, მაგრამ მისმა თვალისმომჭრელმა სიშიშვლემ მიიზიდა, გააბრუა, დააფრთხო და დაამუნჯა კიდეც, რადგან გრძნობდა მთავარი ამ საიდუმლოში შეღწევა იყო და არა მის გარშემო ტრიალი. მაგრამ საამისოდ ჯერ არ იყო მზად. გინდაც შეეშვათ, ძაინც ვერაფერს დაინახავდა, საგანძურში შესულ ბრმასავით. მისი გონება შეგნებულად, რაღაცის მოსაძებნად ანთებული ჭრაქი კი არ იყო, არამედ უცაბედად, მეხისაგან გაჩენილი ხანძარი. ფარნაოზი საიდუმლოზე ფიქრს მიეჩვია და გულუბრყვილობა დაჰკარგა. ახლა უკვე განგებ ტრიალებდა ქალების სიახლოვეს, მათი ნალაპარაკევი რომ მოესმინა; ცდილობდა არ შეეჩნიათ, არ მიექციათ მისთვის ყურადღება, რადგან გრძნობდა, დანაშაულს სჩადიოდა, ასე რომ იქცეოდა. აშკარა იყო, ქალები მის გასაგონად არ ლაპარაკობდნენ, უბრალოდ, ყურადღებას არ აქცევდნენ, ანგარიშს არ უწევდნენ, რადგან მათთვის ჯერ ისიც პატარა იყო. ფარნაოზს რომ გაებედა და ეკითხა, გამაგებინეთ, რატომაა უბედური ის ვიღაც პატარა გოგო, შეიძლება მისი შეკითხვა მართლაც ბავშვურ ცნობისმოყვარეობად და გულუბრყვილობად ჩაეთვალათ, სიმართლე ეთქვათ, ან მიეკიბ-მოეკიბათ რამე და თავიდან მოეშორებინათ ეს აბეზარი ბავშვი, იქ რომ ეტენებოდა, სადაც მისი ადგილი არ იყო. მაგრამ ფარნაოზი აღარ იკითხავდა ამას, რადგან სწორედ შეკითხვის ეშინოდა, ეგონა, ქალები დასცინებდნენ, ანდა გაუწყრებოდნენ, გააწითლებდნენ და გამოაბრძანებდნენ გარეთ. საბედნიეროდ ცუგა ჰყავდა გვერდით, ერთს დაუსტვენდა და აღარც ქალები ახსოვდა და აღარც გოგო, ბეკეკად რომ ექცია ჯადოქარ დედას. ერთ დღეს კი ისეთი უბედურება შეემთხვა, ინო კი არა, თავიც დაავიწყდა: ცუგა ფეხსადგილის ორმოში ჩავარდა. შეშინებული ლეკვის წკმუტუნმა მთელი ქვეყანა ააფორიაქა. ფარნაოზს სიკვდილამდე არ დავიწყებია ეს საცოდავი, სისხლის გამყინავი ხმა. სამი დღე ტიროდა ლეკვი, სამი დღის განმავლობაში ვერაფრით ვერ მოახერხეს მისი ამოყვანა. ორმოში ჩანათებულმა ჩირაღდანმა სველი, თეთრი მატლებით მოფენილი კედლების მეტი ვერაფერი გამოაჩინა. „მოკალით, ცოდოაო“ — ამბობდა ქალუკა. ფილამონემ ჭოკს თოკის ნაგლეჯებით ძველი, დაჟანგული დანა მიაბა და ალალბედზე რამდენჯერმე ჩაჰკრა წყვდიადს, მაგრამ, ეტყობა, ლეკვი ასეთი სიკვდილისთვის არ იყო გაჩენილი. ფილამონემ გაბინძურებული ჭოკი ხუხულას გარედან ააყუდა. ლეკვი კი ტიროდა, ტიროდა, ტიროდა, სანამ მხსნელამდეც არ მიაღწია მისმა საცოდავმა წკავწკავმა. „რომ იცოდეთ, როგორ მჭირდებოდა ძაღლიო“ — თქვა მხსნელმა. ის მესამე დღეს გამოჩნდა

მხოლოდ, ჭიშკართან შეჩერდა და წყალი ითხოვა. ქალუკამ წყალი დოქით გაუტანა. მგზავრს ტანსაცმელი შემოჰფლეთვოდა, ქალამნები დასკდომოდა, ცხვირზე დიდი, წითელი მეჭეჭი ფუტკრის ნაკბენივით აჩნდა. კისერზე ტყავის თასმით მუშტისხელა ქვა ეკიდა. მკერდზე ჩამოღვრილმა წყალმა ქვა უცებ გააშავა. დიდხანს სვამდა. დოქი რომ მოიშორა, სველი ცხვირპირი ხელის ზურგით მოიხოცა და ისევ გაიმეორა: რომ იცოდეთ, როგორ მჭირდებოდა ძაღლიო. მერე ეზოში შემოვიდა და პირდაპირ ფეხსადგილისკენ წავიდა. ქალუკაც უკან მიჰყვებოდა და დოქში ჩარჩენილ წყალს გზადაგზა ღვრიდა.

ხელმეორედ დაბადებული ცუგა მხსნელს ფეხებზე ეგლისებოდა, ის კი წიხლით იშორებდა, გვერდზე გამდგარიყო და ლეღვის ფოთლებით იწმენდდა ძონძებს. ორმოს შავი პირიდან ამოგდებულ ცუგას ფარნაოზმა დაძახებაც ვერ გაუბედა. იგრძნო, როგორ გამქრალიყო სიახლოვის, განუყრელობის გრძნობა, რაც ამ სამი დღის წინათ მარადიული ეგონა. რაკი თვითონ ვერ ეშველა მეგობრისთვის, თითქოს იმის უფლებაც არ ჰქონდა, თავი გაეხსენებინა, პატიება ეთხოვა. ცუგამაც ერთი კი გამოხედა და მაშინვე ორმოს მიუბრუნდა, საიდანაც მისი მხსნელი ამოჰყავდათ შუბუსა და ფილამონეს. სანამ მისი მხსნელი მიწაზე ფეხს დაადგამდა, რამდენჯერმე მოასწრო კიდეც მისთვის სახის ალოკვა. მხსნელი იღიმებოდა და ვითომ ქვას ეძებდა. ცუგა კი არ გარბოდა, მის წინ გაწოლილიყო და კუდს მიწაზე აბათქუნებდა. ჭიშკარში რომ გადიოდა, მხსნელმა ერთხელ კიდეც თქვა: რომ იცოდეთ, როგორ მჭირდებოდა ძაღლიო, და წავიდა, უკან აღარც მოუხედავს, დარწმუნებული იყო, ცუგა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა.

ფარნაოზს ამის შემდეგ უფრო ხშირად ახსენდებოდა ინო, უფრო სწორედ, ცუგაზე რომ ფიქრობდა, რატომღაც ინოც გაახსენდებოდა ხოლმე. მისი შემკრთალი ბუნება ამხანაგს ეძებდა და დაინახა თუ არა, მაშინვე იცნო ფარნაოზმა იგი. ინოს წითელი კაბა ეცვა და პატარა აპრეხილ კიკინებშიც წითელი ჭინჭები ჩაეწნა. „როგორი უშნო ყოფილაო“ — გაიფიქრა ფარნაოზმა.

ორი წელი გაგრძელდა მათი მეგობრობა, სულ ორი წელი, იქამდე, სანამ სხვათა ცოდვამ დარიაჩანგის ბაღიდან არ გამოდევნა და მოჩვენებითი მარადისობა ჩვეულებრივ დღეებად და ღამეებად არ დაუქუცმაცათ. მხოლოდ მაშინ გაახსენდათ, მარტონი რომ არ იყვნენ, თურმე დარიაჩანგის ბაღი პატარა, თითქმის უმნიშვნელო ნაწილი ყოფილა ქვეყნისა და არა მთელი ქვეყანა; თუმცა იმ ორი წლის განმავლობაში, სხვა არაფერი არ არსებობდა მათთვის. მათაც ვაშლის სურნელი ასდიოდათ, ვაშლის ყვავილი ეყარათ თმაზე, თითქოს ამ ბაღში გაჩენილიყვნენ, ერთდროულად, ერთმანეთის თვალწინ. თავისუფლების შეგრძნება თავბრუს ახვევდათ, ათამამებდათ და ქვეყნის ბატონ-პატრონებად წარმოედგინათ თავი. თავისუფლები კი ნამდვილად იყვნენ, რადგან ერთმანეთში მსგავსებას ეძებდნენ და არა განსხვავებას. დარიაჩანგის ბაღი მართლა მთელი ქვეყანა რომ ყოფილიყო, ისინიც ბოლომდე ბედნიერნი იქნებოდნენ, ამ ბაღივით არასოდეს არ დაბერდებოდნენ და ჯანსაღი, ოქროსთმიანი გოგო-ბიჭებით გაავსებდნენ აქაურობას. მაგრამ ისინი არც პირველი ადამიანები იყვნენ და არც ერთმანეთისათვის გაჩენილნი, მათ კი არ უნდა დაეწყოთ ცხოვრება, არამედ სხვების დაწყებული უნდა გაეგრძელებინათ, ანდა დაემთავრებინათ. ცხოვრებას თავისთვის ჭირდებოდა ისინი, ეს ორი ნაფოტიც იმ ცეცხლისთვის უნდა შეეკეთებინა, რომელზედაც გათოშილ ხელებს ითბობდა. მათი განმარტოებაც მოჩვენებითი იყო, ერთი წამითაც არ მოუშორებია ცხოვ-

რებას თვალი ამ ორი ბედნიერი ბავშვისათვის, ციყვებივით რომ დაძვრებოდნენ ხეებზე, ყიჟინით რომ ეგებებოდნენ ზღვის აქოჩრილ ტალღებს, მზეზე იხრუკებოდნენ და სილაზე ერთმანეთის სახელებს სწერდნენ, შლიდნენ და ისევ წერდნენ. ინო ხან თუთიყუშივით ჩხაოდა, ხან ოთხზე დადგებოდა და იძახდა, შემხედე, შემხედე, ცუგა ვარო. ფარნაოზს მაშინვე თვალწინ კუდაპრეხილი ნახტომისათვის გამზადებული ცუგა დაუდგებოდა ხოლმე. ხან ორივენი გაუნძრევლად იწვნენ ერთმანეთის გვერდით და ცას უყურებდნენ. გეგონებოდათ, ორი, ჯერ კიდევ ნედლი ნაფოტი ვიღაცას გასაშრობად მზის გულზე დაუდიაო. ცაზე კი ერთ კალაპოტში მიედინებოდა ორი სიცოცხლე, ვაშლის ყვავილებით გადაპენტილ ნაკადულივით მიწკრიალებდა ღრუბლებს შორის და უსასრულობას უერთდებოდა. ესეც მოჩვენება იყო, ოცნების ჯადოქრობა, ტკბილი ტყუილი, სინამდვილის მეორე მხარე, რადგან ცაზე ორი ნაკადულის, ორი სხვადასხვა ბედის მხოლოდ ანარეკლი შერწყმოდა ერთმანეთს. მიწაზე კი ორივეს საკუთარი კალაპოტი ჰქონდა, საკუთარი და სხვადასხვა, მათ გაჩენამდე გაკვალული, დადგენილი და დაკანონებული. უნდოდათ თუ არა თითონაც იმ შლამით უნდა ამღვრეულიყვნენ, წლობის მანძილზე რომ ჩალექილიყო კალაპოტებში.

პირველ ხანებში ისინი ალალბედზე ხვდებოდნენ ერთმანეთს. შეხვედრით კი ყოველთვის აქ ხვდებოდნენ, ზღვის პირას, დარიაჩანგის ბაღის წინ. ინო ხან მთელ დღეს არ გამოჩნდებოდა ხოლმე. წვიმიან ამინდში ორივენი შინ ისხდნენ და არცერთს არ მოსდიოდა აზრად, წვიმაშიც რომ შეიძლებოდა შეხვედრა. ასეთ ამინდში საბანაოდ და გალუმპულ ხეებზე საბღორტიალოდ არავინ გაუშვებდათ, მაგრამ შეიძლებოდა, რამის მოგონება, სულ სხვა მიზეზით გამოსვლა შინიდან, ვითომ ერთი წუთით, გადაუდებელ საქმეზე. დარიაჩანგის ბაღამდე მირბენას რა უნდოდა, თუ კი ინო დახვდებოდა იქ, ხისქვეშ შეფარებული, თავფეხზანაღ გალუმპული და აძიგძიგებული, ცრემლებივით რომ ჩამოსდიოდა სახეზე წვიმის მსხვილი წვეთები. ასე მერე იქცეოდნენ, როცა უკვე პაემანს უნიშნავდნენ ერთმანეთს და ფიცსაც დებდნენ, აუცილებლად, უსიკვდილოდ მოსულიყვნენ, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, როგორც არ უნდა გაკერპებულიყვნენ უფროსები. სველი ხეების ძირას დგომასაც თავისი მომხიბვლელობა ჰქონდა. ფოთლებზე ჩამოსრიალებულ, ჩამოგრძელებულ წვეთებს პირით იჭერდნენ, როგორ ვიწუწებითო, უხაროდათ თავიანთი სითამამე და ყველაფერზე იცინოდნენ. ყოველ დღე ერთსა და იმავე ამბებს ყვებოდნენ, ერთსა და იმავე შეკითხვებს აძლევდნენ ერთმანეთს, მაგრამ არ ბეზრდებოდათ, რადგან ერთი და იგივე ამბავი ყოველ დღე ახლებურად ჟღერდა. ერთი და იგივე შეკითხვა დღითი დღე უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ღრმა და მომთხოვნიც ხდებოდა. ყველაფერი უნდოდათ სცოდნოდათ, მისხალ-მისხალ აყოლინებდნენ ერთმანეთს, რაც გაცნობამდე გადახდენოდათ თავს. მოსაყოლი კი არაფერი ჰქონდათ: ერთის მთელი თავგადასავალი მოლაპარაკე თუთიყუშთან იყო დაკავშირებული, მეორისა კი ფეხსადგილის ორმოში ჩავარდნილ ძაღლთან. ბევრ რამეს აზვიადებდნენ, ისეთ წარმოუდგენელ თვისებებს მიაწერდნენ ხოლმე თუთიყუშსა და ძაღლს, სხვისგან რომ მოესმინათ, თვითონაც არ დაიჯერებდნენ, ერთმანეთისაგან კი სჯეროდათ, თავს კი არ ისულელებდნენ, უბრალოდ მოთხოვნილება ჰქონდათ დაჯერებისა, უნდობლობისათვის ჯერ ძალიან პატარები იყვნენ.

— თუ ძალიან დარდობ, გადამკარი წკეპლა და მეც ძაღლად ვიქცევიო, — უთხრა ერთხელ ინომ ფარნაოზს.

ფარნაოზს უკვე შეჰყვარებოდა ცხო-

ვრება, ყველაფერი ეხალისებოდა, უკვალოდ გამქრალიყო გაჩენის დღიდანვე ატორღიალებული საკუთარი არსებობის შიშიც. რაც თავი ახსოვდა, ყველა პირზე აფარებდა ხელს, ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ და იმ კაცით აშინებდნენ, ვისკენაც მთელი მისი არსება შეუცნობლად და ბრმად მიილტვოდა. ინოსთან დამეგობრების შემდეგ, ყველაფერი შეიცვალა. აღარც აფრისხელა ტილო იზიდავდა ძველებურად. ახლა უფრო მამის შიშით იჯდა ხოლმე გაუნძრევლად სამფეხა სკამზე და ერთი სული ჰქონდა, როდის გამოიძურწებოდა ამ ნახევრად ბნელი ოთახიდან, გაჩახჩახებულ მზეში ინო რომ დაენახა. დარიაჩანგის ბაღიდან ნიავს ყვავილი გამოჰქონდა, ნაპირიცა და ზღვაც თეთრად იყო გადაპენტილი. როცა შინ დაბრუნების დრო მოაწევდა, უხალისოდ იცვამდნენ, ფეხით აქუჩებდნენ აქეთ-იქით გაფანტულ ტანსაცმელს და დიდხანს არჩევდნენ, რომელი რომლისა იყო. ინო უკუღმა იცვამდა კაბას, ისევ რომ გაეხადა, გადმოებრუნებინა და თავიდან ჩაეცვა. ყველაფერი სასაცილო იყო და ისინიც იცინოდნენ; ყველაფერი საინტერესო ხდებოდა და ისინიც დიდი გულისყურით შინჯავდნენ და უკირკიტებდნენ გამორიყულ ჯოხსა და ნიჟარას, ჭრელ კენჭსა თუ კუპრის წვეთივით დამრგვალებულ ხარაბუზას, ყველაფერს, რასაც მათი ფეხი და თვალი წამოედებოდა შინისაკენ მიმავალ გზაზე. შინაც ერთმანეთზე ფიქრობდნენ, მაგრამ ჯერ ეს სასიამოვნო ფიქრი იყო, სასიამოვნო მოლოდინი, დასვენებისა და ტკბილი ძილის უფლებას რომ უტოვებდათ.

ინოს ნათქვამმა, თუ ძალიან დარდობ, წკეპლა გადამკარი და მეც ძაღლად ვიქცევიო, ფარნაოზი დააფრთხო,

ბები უკვალოდ გამქრალიყო, დღის სინათლეზე ძალა დაეკარგა, ძალა და დამაჯერებლობის უნარი. მართლაც ძნელი დასაჯერებელი იყო, რასაც ღამით ხედავდა, ისმენდა, გრძნობდა და განიცდიდა. რაზეც არ უნდა ეფიქრა, რაც არ უნდა მოსჩვენებოდა, ჯერჯერობით ყველაფრიდან ერთი და იგივე დასკვნა გამოჰქონდა მის გონებას: ინოს საფრთხე ელოდა, ინოს კი არა თვითონ, რადგან, ადვილი შესაძლებელი იყო, ერთ მშვენიერ დღეს ინოც ცუგასავით დაეკარგა. ფარნაოზს წარმოდგენილიც ჰქონდა ყველაფერი, როგორ მოდიოდა ვიღაც, ცუგას მხსნელივით ჩამოძენძილი და დამეჭეჭებული, როგორ ამბობდა: მე უფრო მჭირდება ინოო და როგორ მიყავდა, არა, თვითონ როგორ მისდევდა ინო იმ უცხო კაცს. ფარნაოზი კი ხმას ვერ იღებდა, რადგან იმ კაცისა ეშინოდა. კი არ ეშინოდა, ერიდებოდა, რცხვენოდა და ეცოდებოდა კიდეც. უნებურად თვალს არიდებდა, რადგან იმ კაცს წითლად აპრიალებული უპეები ჰქონდა და პირის კიდეებში ყვითელი, დასვრეტილი ქაფი ჩასდგომოდა. დღისით ჩვენებები ქრებოდა, მაგრამ საფრთხის გრძნობა დღისითაც შეიფრთხიალებდა ხოლმე, როგორც უბეში ჩასმული ბახალა. ფარნაოზს არასოდეს გაუმხელია ინოსათვის თავისი შიში, თავისი სატანჯველი, გული უგრძნობდა, ის მხოლოდ მისი შიში და სატანჯველი იყო, მისი კარავი, რომელშიც ღამით უნდა დაეძინა, დღისით კი აეკეცა და ზურგით ეთრია. ერთი ცხადი იყო: არ შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო სულ. უსასრულოდ. რაღაც მოხდებოდა, მოხდებოდა კი არა, უკვე ხდებოდა და რაც ხდებოდა უნდა დამთავრებულიყო, ავად თუ კარგად. ინო დღითი დღე იზრდებოდა, ნათდებოდა და იბორკებოდა. ძველებურად ისევ შიშვლები ბანაობდნენ, მაგრამ ინო ახლა უფრო ნელა იხდიდა და უფრო სწრაფად იცვამდა. უცებ ჩაფიქრდებოდა ხოლმე და ფიქრებიდან გამორკვეული რაღაცანაირად დაბნეული უღიმოდა ფარნაოზს. სიარულიც გამოეცვალა, თითქოს ტანი აწუხებდა, ეხამუშებოდა, როგორც ახალი, პირველად ჩაცმული კაბა. ფარნაოზის თვალწინ სასწაული ხდებოდა, მარადიული სასწაული: კიკინებაპრეხილ გოგოს სხეულში ქალი იღვიძებდა, ქვეყნის მასპინძელი, სიკვდილის დამთრგუნავი სტიქია. ფარნაოზი გაოცებული შესცქეროდა, გული ბაგა-ბუგით უცემდა, ძალიან უნდოდა, დაჭრილი წოლილიყო აქ, ვაშლის ყვავილით გადაპენტილ სილაზე, რათა ინოს მისი სისხლი დაენახა. არა, უბრძოლველად არავინ დაანებებდა ინოს, აქამდინაც იმიტომ ეთხოვებინათ, სხვების თვალში არაფერს რომ არ ნიშნავდა ეს დრო, არ ითვლებოდა, ყვავილის სუნი ასდიოდა და არა სისხლისა. მთავარი მერე დაიწყებოდა, როცა ორივეს დაკარგული თხებივით გამოლალავდნენ დარიაჩანგის ბაღიდან; როცა სხვებიც დაინახავდნენ ინოს.

განა თვითონ იცოდა, ვისზე ბრაზდებოდა, ვინ უპირებდა ინოს წართმევას? ინო მასთან იყო, მის გვერდით იხრუკებოდა მზეზე, მასთან ერთად ყურყუმალაობდა ზღვაში, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მისკენ გამორბოდა, ის კი ვიღაცაზე ბრაზობდა, ათას რამეს სწამებდა, ათას რამეში ამხელდა ვიღაცას, რომელიც სინამდვილეში, ალბათ, არც კი არსებობდა. ფარნაოზს იმ დათვივით მოსდიოდა, ტყეს რომ გაბუტოდა, ტყემ კი ამ ამბისა არაფერი იცოდა. ფარნაოზი დაშინებული ძაღლივით ბუჩქებს უყეფდა, რძით დათუთქულივით დოს უბერავდა, რადგან თავგზას უბნევდა ერთდროული შემოტევა ასაკისა, სიყვარულისა და ავი წინათგრძნობისა. ახლა უთენია გამორბოდა შინიდან, მთელი ღამის უძინარს ესეთი სახე ედო, იმასაც ვერ ეკითხებოდნენ, სად მიდიხარო. პოპინას კი სხვა შიში კლავდა, დარწმუნებული იყო, ფარნაოზმა ყველაფერი იცოდა,

ყველაფერს ხვდებოდა და ამიტომაც გაურბოდა, გული აღარ უჩერდებოდა შინ, არ შეეძლო შერიგებოდა დის შერცხვენას, პატარა იყო და ჯერ ვერც დის შემრცხვენელს მოსთხოვდა პასუხს და ვერც დას დაითრევდა თმით. ასე ფიქრობდა პოპინა და მადლობელი იყო უმცროსი ძმისა, ასე რომ ზოგავდა, თვალს რომ არიდებდა, არაფერს ეკითხებოდა და გულში იკლავდა ჯავრს. ვეღარც პოპინას გაესწორებინა ძმისთვის თვალი, რცხვენოდა და შეიძლება ყველაზე უფრო სწორედ უმცროსი ძმისა რცხვენოდა, გაზრდა რომ არ აცალა და აიძულა უსიტყვოდ ჩაეყლაპა შეურაცხყოფა. საკუთარი უბედურებით გაოგნებული, გაწბილებული სახტად დარჩენილი პოპინა უაზროდ დაბორიალობდა ოთახებში, საქმეს გულს ვეღარ უდებდა და სიკვდილივით ელოდებოდა იმ დღეს, როცა უნდა გაემხილა ის, რის დამალვასაც უკვე აზრი აღარ ჰქონდა.

პოპინა ცდებოდა. ფარნაოზს არაფერი გაეგებოდა უფროსი დის უბედურებისა. ის თავის სატანჯველს გაურბოდა ყოველ დილა, თავის სატანჯველისკენ გარბოდა, რადგან სხვა გზა არც იმას ჰქონდა. მერე იწვა ჯერ კიდევ სველ სილაზე და ელოდებოდა. მცხრალი, დამშვიდებული ზღვა სულ ოდნავ, ძლივს გასაგონად ეტყლაშუნებოდა ნაპირს. სამაგიეროდ დარიაჩანგის ბაღი გუგუნებდა, ყოველ ამოსუნთქვაზე ვულკანივით ამოაფრქვევდა ხოლმე ფოთოლსა და ყვავილს, მწიფე ნაყოფის სურნელსა და ჩიტების ჟრიამულს. ფარნაოზი კი პირქვე იწვა და ელოდებოდა. ახლა მისი მღელვარება უფრო მარტივი იყო, ცულის პირივით ბასრი. ხომ შეიძლებოდა, არ მოსულიყო, ავად გამხდარიყო, ან აღარ გამოეშვათ ინო შინიდან. მძიმე იყო მოლოდინი, მაგრამ მაინც ვერ შეელეოდა, რადგან გუმანითა გრძნობდა, სწორედ ეს მოლოდინი უნდა ყოფილიყო მისი ერთადერთი იარაღი, როცა ბრძოლა დაიწყებოდა. სხვა არაფერი არ გააჩნდა. იწვა და იცდიდა. ინო უნდა მოსულიყო. რა უნდა მომხდარიყო, ისეთი, ინოს რომ დავიწყებოდა იგი? უსამართლობის, შეცდომის, გაუგებრობის მეტი ვერაფერი შეაჩერებდა იმას, ვისაც ასე უცდიდნენ სილის სიჯიუტით, სილის მოთმინებითა და ერთფეროვნებით. ერთს უნდა დაეცადა, მეორე კი უნდა მოსულიყო. სხვანაირად არ შეიძლებოდა. მართლა დიდი უსამართლობა იქნებოდა კაცისაც და ბუნებისაც, სხვანაირად რომ მომხდარიყო. და ისიც მოდიოდა, ქვეყნის მასპინძელი, სიკვდილის დამთრგუნველი, მოლოდინის პასუხი და გამმართლებელი. სანდლები ხელში ეჭირა და კოჭამდე წყალში მოშლაპუნობდა. წყალში უფრო ადვილი იყო სიარული, სილა ფეხებს აღარ ტკენდა. ფართე, ღრმა ნაფეხურებში წყალი ქოთქოთებდა, ერთი ამბით შლიდა ნაფეხურებს, თითქოს არავის არ უნდა სცოდნოდა, მისი ასავალ-დასავალი, თითქოს არსაიდან არ მოსულიყო და ახლა, ამ წუთას გაეჩინა ზღვისა და მიწის შეუღლებას, არა, მომლოდინე ბავშვის გონებას. „წყალი თბილია!“ — შორიდანვე ეძახდა ინო. პირქვე გაშოტილ ფარნაოზს, რომელიც არც აპირებდა წამოდგომას, რადგან ინო უკვე აქ იყო, მასთან იყო და საკმარისი იყო თავი წამოეწია, მაშინვე დაინახავდა. ინო კი მოდიოდა, მოდიოდა, მოდიოდა და დილის მზის სხივებში გახვეული, თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა, როგორც ტაძრიდან გამოტანილი კერპი.

მერე ფარნაოზს ახალი შიში დასჩემდა. დარიაჩანგის ბაღისაკენ მიმავალი აქეთ-იქით იყურებოდა, თავს არიდებდა გამვლელებს, ცდილობდა შეუმჩნეველი ყოფილიყო, თითქოს მთელი ქალაქი მას უთვალთვალებდა, ყველას აინტერესებდა, სად მიდიოდა იგი. აღარც დარიაჩანგის ბაღი იყო საიმედო თავშესაფარი, ხავერდოვანი ჩრდილე-

ბით ვეღარ მალავდა მათ სიშიშვლეს. პირიქით, თითქოს უკეთესად აჩენდა, როგორც ღამე-კოცონს. და აი, ერთ მშვენიერ დღეს მათ გულუბრყვილო ქვეყანაშიც შემოაღწია ნამდვილმა ცხოვრებამ: ხმაურიანმა, ცოდვიანმა, ტლანქმა და დაუნდობელმა. მოვიდა ნაფოტების წასაღებად, რადგან მისი აზრით, ისინი უკვე საკმაოდ გამომშრალიყვნენ მზეზე და უკვე შეიძლებოდა მათი ცეცხლში შეკეთება. ცეცხლს მოშიებოდა, მოთმენა კი არ შეეძლო, რადგან ის იყო ერთადერთი გამნათებელი ძველი და გაცვეთილი გზისა, რომელზედაც დაუსრულებლად მიედინებოდა ადამიანის მარად ლტოლვილი მოდგმა.

ინო და ფარნაოზი დარიაჩანგის ბაღში შეჰფარებოდნენ სიცხეს. თმა ჯერ ისევ სველი ჰქონდათ. ორ ნაბიჯზე იასამნის ბუჩქი ყვაოდა. ბუჩქს ფუტკარი უტრიალებდა, თითქოს ვერ მიეგნო, ვერ ეპოვა ბუჩქში შესაღწევი ხვრელი. უცებ შუბუ დაინახეს. „ფარნაოზო!“ — იძახდა შუბუ. ბაღის კიდესთან იდგა, ხელში ორკაპა, კოჟრიანი ჯოხი ეჭირა და მკერდზე დაფენილ წვერს ზღვის ნიავი უმრუდებდა. ორივენი, ინოცა და ფარნაოზიც ისე დაფრთხნენ, თითქოს დიდი დანაშაული ჩაედინათ და სანამ კვალის მოსპობას მოასწრებდნენ, თავზე წამოსდგომოდათ მსაჯული. ფაცაფუცით გადაიცვეს ტანსაცმელი და ბაღიდან თავჩაღუნულნი გამოვიდნენ.

— სადა ხარ, კაცო, პოპინას ბიჭი გაუჩნდა, — დაიქუხა შუბუმ.

არც გაუგია, როგორ მიირბინა სახლამდე, როგორ შევარდა პოპინას ოთახში, როგორ აკოცა ხორცის დაჭმუჭნულსა და წითელ ნაჭერს, ქალუკას ხელებში რომ იკლაკნებოდა და ჩხაოდა.

პოპინას ფილამონესაგან გაუჩნდა ბავშვი. პოპინა და ფილამონე თითქმის ტოლები იყვნენ. ჯერ ქალუკამ იმშობიარა და მერე მარეხმა. მოსალოდნელი განსაცდელით აფორიაქებული მარეხი ქალუკას საწოლს აღარ სცილდებოდა, თავთით ეჯდა და ერთსა და იმასვე ეკითხებოდა: რას ვიგრძნობ, როგორ ვიქნები, გავუძლებ თუ არა... გაძლებით კი გაუძლო, მაგრამ მთელი თვე სიცხე არ გამონელებია, ბურანიდან ვერ გამოერკვა, გატრუნული იწვა, იღიმებოდა, რძის სუნი ასდიოდა და მოღეღილ მკერდზე ოფლის მღვრიე წვეთები ცუდად დაფშხვნილ მარილივით ეყარა. ასე რომ, პირველ ხანებში ფილამონეს და პოპინას ქალუკა ერთად აჭმევდა ძუძუს. თვალი რომ აეხილათ, ერთმანეთი დაინახეს. არც მერე შეცვლილა რამე. დრო გადიოდა და ისინიც ერთმანეთის თვალში იზრდებოდნენ. მოსახდელსაც ერთად იხდიდნენ: წითელმა ბატონებმა რომ ჩამოიარეს, ორივენი ერთ ოთახში დააწვინეს. ქალუკამ მათი ოთახი ჭრელა-ჭრელა ჭინჭებით მორთო, ჩონგური ტიტლიკანა ბალღივით ჩაიგორა კალთაში და სამი კვირის მანძილზე გადაბმულად, გაუჩერებლად მღეროდა. წითელა ბატონები ხველა ბატონებმა შეცვალეს და ბავშვებმა ისევ ერთ ოთახში ამოჰყვეს თავი. ახლაც ხოტბითა და ტკბილეულით შეეგება ქალუკა ავადმყოფობას, მაგრამ ამჯერად ჩონგური აღარ გახსენებია. სამაგიეროდ, მთელი სამი კვირის მანძილზე ისინი არ გაჩუმებულან, სამი კვირა ყვინჩილებივით ყიოდნენ, გაბმულად და ხრინწიანად. ერთად ყოფნას ისევე მიეჩვივნენ, როგორც სიარულს, ჭამასა თუ ძილს. ყოველ დილა ერთსა და იმავე სახეებსა და საგნებს ხედავდნენ, ერთ თონეში გამომცხვარ პურსა ჭამდნენ და ერთმანეთის ნავალზე დადიოდნენ. ცოტა ჭკუაში რომ ჩავარდნენ, გაუკვირდათ კიდეც, თურმე ერთი ქალბატონის შვილი ყოფილა მეორე კი — მხევლისა.

მერე კი, პოპინა შევიდა მამასთან და უთხრა: ორსულად ვარო.

უხეიროს წყლული გამორწყვოდა და პოპინა ახალ საფენს ადებდა. უხეიროს დალეული, მოშავო-მოყავისფრო ქერცლით დაფარული ფეხი ოდნავ შეკრთა,

შეთრთოლდა, შეიძლება, ტკივილისგანაც.

— ორსულად ვარ. — გაიმეორა პოპინამ, ბალღამიანი ჩვარი მუჭში მოჭმუჭნა და მამას ჯიუტად მიაჩერდა.

ასეთი ხმით იმათ ელაპარაკებიან ქალები, ვისიც ეშინიათ, ნერვიული, მბრძანებლური, გამაღიზიანებელი და ამავე დროს საოცრად უმწეო ხმით. სინამდვილეში ისინი მფარველობასა და შეწყალებას თხოულობენ, მაგრამ არც ის უნდათ, მთლად ბეჩავნი და საცოდავნი ჩანდნენ შემწყალებლის თვალებში.

უხეირომ მხოლოდ ერთი წამით შეხედა სახეში ქალიშვილს. ის არც გაოცებული და არც აღელვებული. ადვილი შესაძლებელია, კარგად ვერც ჩაწვდა ნათქვამის აზრს, ვერ აღიქვა მთელი სიმძაფრითა და სიცხოველით, რადგან ეს დღე აფრისხელა ტილოზე ჯერ არ დამდგარიყო, ჯერ საერთოდ არ არსებობდა უხეიროს წელთაღრიცხვით და ამიტომაც არც ზემოქმედების უნარი ჰქონდა. უხეიროსთვისაც ორი დრო არსებობდა: მიმდინარე და აღდგენილი. ოღონდაც აღდგენილი დრო უხეიროს მიმდინარე დროის დასათრგუნვად ჭირდებოდა. ის დრო მისი საკუთრება იყო, ერთხელ უკვე გადატანილიცა და მონელებულიც, და ამიტომაც ხელმეორედ უფრო ადვილად გადასატანი და მოსანელებელი. აქ მისთვის ყველაფერი ნაცნობი და ახლობელი იყო, ყველასა და ყველაფერს სახელით სცნობდა. ამიტომ თავსაც უფრო ხალვათად და მშვიდად გრძნობდა. მიმდინარე, ყველასათვის საერთო და სავალდებულო დროის უარყოფა მას არც უფიქრია, მაგრამ სხვებივით კი არ მისდევდა მას, არამედ გზაზე ხვდებოდა და აპობდა, როგორც ლოდი მდინარის ნაკადს, რათა უკანვე, მის ბნელსა და შორეულ წიაღში შეეღწია. „დრო კი მაინც გადის, — გაიფიქრა უხეირომ, — არაფერს არ ეპუება. ორცხვირა რომ მოვკალი. სწორედ იმ ღამეს მითხრა მარეხმა, ორსულად ვარო, ახლა კი მისი ქალიშვილია ორსულად“.

— ქალი უნდა დაორსულდეს. — თქვა უხეირომ და სტრიქონის ბოლოს ამოქარგულ ყვავილს ხელი გადაუსვა.

ხელის სიმძიმის ქვეშ ყვავილი გათბა და გაიბურძგნა.

— ვისგან! — იყვირა პოპინამ. — არ გაინტერესებს, ვინ დააორსულა შენი ქალიშვილი?!

პოპინას უნდოდა რაღაც მომხდარიყო, ჭერი გამსკდარიყო, მიწას დაეღო პირი და ისიცა და ყველანი თან ჩაეტანა: ანდა მამამისს მაინც ეყვირა, რამე დაემტვრია, შუბი მოეღერებინა, როგორც იქცეოდა ხოლმე, როცა ფერადი ძაფი შემოაკლდებოდა. პოპინამაც იცოდა, ქალები რომ ორსულდებოდნენ, მაგრამ არ შეეძლო შეჰგუებოდა იმ აზრს, რომ მისი დაორსულებაც ყოვლად ჩვეულებრივი, უმნიშვნელო და უმტკივნეულო შემთხვევა იქნებოდა და მეტი არაფერი. არავის შეაშფოთებდა, არავის გააბრაზებდა, ანდა გააკვირვებდა მაინც. თვითონ იმდენად ამაზრზენად და არაჩვეულებრივად ეჩვენებოდა, რაც თავს გადახდომოდა, ეგონა, როგორც კი ჩემი პირიდან ამოვა ეს ამბავი, ქვეყანა დაიქცევაო, მამაჩემი მოკვდება, მე კი ძაღლებს მომიქსევენ ანდა ჩამქოლავენო. სინამდვილეში კი არაფერიც არ მომხდარა. ქალუკამ, ეს ამბავი რომ გაიგო, მუცელზე აკოცა, ღმერთს შეეყვარებიხარო; მამამ კი ზედაც არ შეხედა, თითქოს დაგვიანებული და ამიტომაც ყოვლად უსარგებლო ცნობა მოეტანა მისთვის.

— შენმა მონამ დააორსულა შენი ქალიშვილი, — გაცეცხლდა პოპინა. — ფილამონემ, ფიცრულში მიიმწყვდია, შენი ფერადი ძაფები პირში ჩაჩარა და კაბა სახეზე წააფარა. მეორე დღეს კი, შენმა ქალიშვილმა უგონოდ მთვრალი ფილამონე თავის საწოლში ჩაიწვინა. თვითონვე დაპატიჟა. იმიტომ, რომ მიწაზე გდებას ისევ საწოლი ერჩია. იმიტომ რომ, — ხმას აუწია პოპინამ. —

იმიტომ რომ კიდევ არ ჩაეჩარათ პირში ეს წყეული ძაფი, კიდევ არ წაეფარებინათ სახეზე კაბა.

პოპინა უცებ გაჩუმდა. ცოტახნის მერე კი, უკვე ჩვეულებრივი, დამშვიდებული ხმით გააგრძელა: ქალს მხოლოდ ასე შეუძლია თავის დაცვა, როცა სხვა არავინა ჰყავს ქომაგიო.

„ფილამონე, ფილამონე". — ფიქრობდა უხეირო და მარეხი ახსენდებოდა, პირველი ფეხმძიმობით დამფრთხალი და აწრიალებული, მთელი ღამეები ერთსა და იმავეს რომ ტიტინებდა, ნეტა ქალუკამდე მე მოვრჩენილიყავი, ახლა ხომ თავისუფალი ვიქნებოდიო.

ამის მერე დიდ დროს არ გაუვლია და პოპინა ცუდად გახდა, აბაზანაში წამოუარა შეტევამ, ცივმა ოფლმა დაასხა და ააძიგძიგა. გასაპნული პოპინა ქალუკამ აბაზანიდან ჩვილივით ამოიყვანა და ტახტზე დასვა. პოპინა რომ გონს მოეგო, ქალუკა მის წინ დაჩოქილიყო და ფეხებს უმშრალებდა. პოპინამ საწყალობლად გაუღიმა, რადგან უცებ ისევ მწარედ იგრძნო უდედობა და სხვანაირად ვერ მოახერხა ნუგეშისა და დახმარების თხოვნა. ქალუკამ მკვრივსა და მბზინავ მუცელზე აკოცა, აქა-იქ კიდევ რომ შერჩენოდა წყლის მსუქანი წვეთები, როგორც გარეცხილსა და პირქვე დამხობილ ჯამფილას.

უხეირო საწოლში წამოჯდა, თავს ზევით შუბი შემართა და დაიყვირა: ფილამონე შემოვიდესო. ფილამონე კი კარგა ხნის გაქცეული იყო უკვე. კაცი-შვილმა არ იცოდა მისი ასავალ-დასავალი. უხეიროსაც ასე მოახსენეს არც სიტყვა დაუტოვებია და არც კვალიო. განრისხებულმა უხეირომ შუბი კედელს სტყორცნა, სამუდამოდ მოიშორა, თითქოს ამ დღისთვის ინახავდა მხოლოდ და ამ დღის მერე აღარასოდეს დასჭირდებოდა. მოიშორა, განთავისუფლდა. ასევე განთავისუფლებულმა შუბმაც ურჩხულივით იწივლა, კედელი გააპო და იმანაც სამუდამოდ შეჰყო თავი ნაპრალში. გარედ დარჩენილი სხეული კიდევ კარგახანს უთრთოდა და უზუზუნებდა.

მერე, როცა მთელი სახლი პოპინას პირმშოს ჩვრებითა და არტახებით გაივსო და თავისუფალი ადგილიც აღარ დარჩა, გარეცხილ ჩვრებსა და არტახებს ამ შუბის ტარზეც გადაჰკიდებდნენ ხოლმე გასაშრობად. უხეირო ყურადღებასაც არ აქცევდა, რადგან იმ შუბს თავისად აღარ თვლიდა, აღარც უყვარდა, აღარც ჭირდებოდა.

სახლში დუმილი შემოიძურწა. ყველა დამნაშავედ და ამავე დროს, დანაშაულის მსხვერპლადაც თვლიდა თავს. ბავშვი უმამოდ დაიბადა, სინამდვილეში კი ამ ბავშვის მამა ისეთივე ახლობელი იყო ამ ოჯახისთვის, როგორც თვითეული მათგანი. ეგონათ, ფილამონეს შვილის ტირილი მაინც დააბრუნებდა, გამბედაობას მოიკრეფდა, პატიებას ითხოვდა და ყველანი ისევ ერთად იქნებოდნენ, მაგრამ, ეტყობა, ფილამონე საერთოდ აღარ აპირებდა მობრუნებას, უხეიროს შიში ისე გასჯდომოდა ძვალსა და რბილში, უკან მოუხედავად გარბოდა.

პოპინა კი მშობიარობამ ისე დაღალა და დაასუსტა, არაფრის თავი აღარ ჰქონდა, არც უნდოდა. არაფერი არ უნდოდა. ეგონა, ამის მერე სულ ასე იწვებოდა საკუთარი რძისა და ჩვილის სუნით გაჟღენთილი, სისუსტისაგან თავბრუდახვეული და უცნაურად, დაუჯერებლად ბედნიერი და ამაყი, რაც მერე ძალიან მალე ჩვეულებრივ უბედურებასა და დამცირებაში გადაეზრდებოდა. ის მიტოვებული ქალი იყო, უარყოფილი, ხოლო მისი პირმშო დაჟინებით აიძულებდა, კეთილი ენება და შეგუებოდა, კეთილი ენება და თვალებში შეეხედა სიმართლისათვის, რადგან უკვე მარტო აღარ იყო, მარტო თავის თავს არ ეკუთვნოდა: ძუძუზე მისივე ჩამონაჭერი, მისივე განაყოფი, მაგრამ ამავე დროს ახალი, სრულიად დამოუკიდებელი სიცოცხლე ეკიდა, სიცოცხლესავით მომთხოვნი, ხმაურიანი და ღორმუცელა.

ფილამონეს უკვალოდ გაქრობა ჯერ

კიდევ სალაპარაკოდ ჰქონდა ხალხს, როცა შავთვალება მალალოს ნაბოლარა ქალიშვილისა და უხეიროს ვაჟის გაქცევაც შეიტყვეს. „სად გარბიან, ჩვენზე ადრე რამე ხომ არ შეიტყო ამ ხალხმაო“ — ჩვეულებრივად ოხუნჯობდნენ ვანელები.

ხმა კი უცებ დაირხა, მაგრამ გაპარვა კარგა ხანს მზადდებოდა. გაპარვაზე ფიქრი იმ დღის მერე დაიწყეს, როცა შუბუ გამოეცხადათ და აუწყათ, პოპინას ვაჟი შეეძინაო, ფარნაოზი იმ დღის მერე გარბოდა, რადგან რასაც აკეთებდა, ყველაფერი გაქცევისთვის იყო გამიზნული. თანდათან ორივენი შეეჩვივნენ ამ აზრს და ისევე ბუნებრივად ეჩვენებოდათ, როგორც დარიაჩანგის ბაღში გამოხეთქილი კვირტი. ინო ყველაფრისთვის მზად იყო, უხაროდა კიდეც და სულ იმას გაიძახოდა, ისეთ ადგილას წავიდეთ, შუბუსაც რომ გაუჭირდეს ჩვენი მოგნებაო. ფარნაოზი პურს აგროვებდა, სხვენზე აჰქონდა და ჯვალოს ტომარაში აწყობდა. ამხელა გზაზე უპუროდ წასვლა სისულელე იქნებოდა, ვინ იცის, როდის მიაღწევდნენ ავაზაკამდე. მთაში კი საჭმლის შოვნა გაუჭირდებოდათ, დიდი-დიდი, მწყემსებს თუ გადაეურებოდნენ, მაგრამ იმათაც უნდა დამალვოდნენ, რადგან არც ისინი იყვნენ სანდონი, თავის ნებაზე აღარ გაუშვებდნენ და ფარასთან ერთად ჩამოლალავდნენ უკანვე. გეგმა უბრალო იყო და სწორედ უბრალოებით ხიბლავდა ორივეს. ისინი მთაში წავიდოდნენ იმ ავაზაკთან, რომელზედაც აგერ უკვე მთელი წელი ლაპარაკობდა ქალაქი. ავაზაკს ძღვნად ღორის ბარკალს მიართმევდნენ (ღორის ბარკალი ფარნაოზს უკვე შეგულიანებული ჰქონდა, მაგრამ ბოლო წუთს უნდა ჩამოეხსნა, რათა მისი გაქრობა, რაც შეიძლება გვიან შეემჩნია ქალუკას), ავაზაკი მადლობელი დარჩებოდა, შინაური ღორის ხორცი, ალბათ, მონატრებული ექნებოდა. ავაზაკი ორივეს შეიფარებდა, ინო შინ დატრიალდებოდა, სადილს მოამზადებდა, დარეცხავდა და დაგვიდა. ფარნაოზი კი იმ ავაზაკს ნადირობაშიც მოეხმარებოდა და ავაზაკურ საქმეებშიც. მეტი რადა უნდა სდომებოდა იმასაც. თუ მაინც და მაინც მარტო ცხოვრებას აიჩემებდა, მაშინ ისინი საკუთარ ქოხს აიშენებდნენ... ავაზაკის ქოხის გვერდით, ხმა რომ ადვილად მიეწვდინათ ერთმანეთისათვის. ასე მსჯელობდნენ. თვითონვე ჭრიდნენ და თვითონვე კერავდნენ. იმას კი ვერ ამჩნევდნენ, მათი გეგმა, ყველასაგან გადაკარგვასა და განმარტოებას რომ გულისხმობდა, ისევე ტრიალებდა ვიღაც ავაზაკის გარშემო, როგორც პალოს გარშემო დაბმული სახედარი. მათი ოცნების შუაგულში ავაზაკი იდგა, თვითონვე ჩაეყენებინათ, რადგან მიუვალსა და მიყრუებულ მთებში, სადაც ისინი აპირებდნენ წასვლას, ერთადერთი იმედი სწორედ ავაზაკი იყო, რომელზედაც ათას საშინელებას ყვებოდა მთელი ქალაქი, თუმცა კაცი არ იყო მისი მნახველი.

ბოლოს დათქმული დღეც დადგა, დღე კი არა ღამე. მამალს ჯერ კიდევ არ ეყივლა, ფარნაოზი საწოლიდან ლანდივით რომ გამოცურდა, კარი ფრთხილად გამოიხურა და ეზოში გამოვიდა. ჯვალოს ტომარა, პოპინას სამღებროში რომ დაემალა გუშინვე, მხარზე მოიგდო, ტომრიანად ერთი შემობზრიალდა, მშვიდობით ჩემო სახლო, ამოილუღლუღა მღელვარებისგან ყბამოქცეულმა და დარიაჩანგის ბაღისკენ მოკურცხლა. იქ ინო ელოდებოდა.

კარგა გათენებული არც იყო, ხრიოკ, ჯუჯა ბუჩქნარით მოფენილ ფერდობს თხებივით რომ მიაჩხრიალებდნენ. ხოლო როცა მზემ პირველი სხივები დააბჯინა ქვეყანას, მღვიმეს წააწყდნენ. მღვიმის შესასვლელს ისე მოხერხებულად ფარავდა ჯაგნარი, წინასწარაც რომ გცოდნოდა მისი არსებობა, მოძებნა მაინც გაგიჭირდებოდა. მღვიმესა და ჯაგნარს შორის ერთი ხელის დადება მოლი ლივლივებდა, თითქოს პოპინას საღებავი დაღვრიაო. ისე ჩქარა ევლოთ,

ორივეს ხვითქი გადასდიოდა, ფარნაოზს კი ტომრის თრევისგან მხარი სტკიოდა. დაშაშხული ღორის ბარკალი მარილის ლოდივით დამძიმებულიყო. გადაწყვიტეს, აქ დაესვენათ. ფარნაოზმა ტომარა დააგდო და გულაღმა გაიშოტა. ინომაც მაშინვე მიბაძა მეგობარს და ისიც დაეტია იმ ერთი ხელის დადება მოლზე. სული რომ ჩაიბრუნეს, მღვიმემ დააინტერესათ. „შევიხედო მაინცო“ — თქვა ფარნაოზმა და ხვრელში შეჰყო თავი, მაგრამ გულგახეთქილი უკანვე გადმოგორდა. მღვიმის სული ფართხა-ფურთხით გამოიჭრა გარეთ. ვერცერთმა ვერ შეასწრო თვალი, მხოლოდ ფრთების შხუილი გაიგეს და შავმა და ალისფერმა ხაზებმა გაიელვეს ჰაერში. ეტყობა, მღვიმე რომელიღაც ფრინველის თავშესაფარი იყო, მაგრამ ახლა, არანაკლებ გულგახეთქილს, უნდა მიეტოვებინა იგი და მასზე დიდი ცხოველებისთვის დაეთმო. ფარნაოზმა კი სრულიად სერიოზულად განაცხადა: მღვიმის სული გამოფრინდაო.

მღვიმე შიგნიდან საკმაოდ მოზრდილი და ჭერმაღალიც აღმოჩნდა. ფარნაოზი თითის წვერებზე აიწია, ხელიც ასწია, მაგრამ ჭერს მაინც ვერ მისწვდა. ინოსაც მოეწონა მღვიმე.

— აქ მეც სიამოვნებით ვიცხოვრებდიო. — თქვა ინომ.

ბევრი აღარ უფიქრიათ, მაშინვე მღვიმის გამოსუფთავებას შეუდგნენ, თითქოს წინასწარვე დათქმული ჰქონდათ, აქ დაედოთ ბინა. ავაზაკი არც კი გახსენებიათ. ჯერ ქვაღორღი გამოზიდეს, იატაკი, ასე თუ ისე, მოასწორეს, მერე ჯაგის ტოტები დაამტვრიეს და გამოგავეს, მაგრამ მღვიმეში ისეთი მტვერი დადგა, ხველებხველებით გამოცვივდნენ გარეთ. ისევ მდელოზე დაეყარნენ და დიდხანს უყურებდნენ, როგორ გამოდიოდა მღვიმის ხვრელიდან წითელი მტვერი, ზანტად, ბოლქვა-ბოლქვა, რომელიღაც ზღაპრული ურჩხულივით, თითქოს ისიც უბრძოლველად უთმობდა მომხდურებს თავის ბუნაგს, სადაც, ვინ იცის, რამდენი საუკუნე ეცხოვრა მშვიდად და უდრტვინველად. მღვიმე უკვე მათი საკუთრება იყო, მათი პირველი განზრახვისა და სითამამის თავშესაფარი.

დღემ ისე გაირბინა, ვერცკი გაიგეს. ფარნაოზმა ჯვალოს ტომრიდან პური ამოიღო, შუაზე გატეხა და ორივემ დიდხანს ლოღნა თავისი წილი ხმელი პური.

გაქცევამდე მაინც სხვანაირად ჩანდა ყველაფერი. გაქცევამდე არც შიმშილი არსებობდა, არც წყურვილი და არც ხიფათებით სავსე ღამე, რომელიც საცაა ჩამოწვებოდა დედამიწაზე და ყველაფერთან ერთად ამ პატარა გამოქვაბულსაც გადაუძახებდა თავის უძირო სტომაქში. სადღაც ტურები ახარხარდნენ. განგებ დაგორებული თუ თავისით მომწყდარი ქვა დიდხანს, ძალიან დიდხანს მოხტუნავდა ფერდობზე, სანამ ხევში ჩაინთქმებოდა. გაქცევამდე მართლაც ყველაფერი სხვანაირად ჩანდა. ახლა კი ისხდნენ პატარა გამოქვაბულში და ღამე ახლოვდებოდა, არა, უკვე მოსულიყო, უკვე ღამის ბინადრები იყვნენ. დუმილი დაიძაბა, გაურკვეველი, საიდუმლო ხმებით გაივსო. ცაზე ვარსკვლავები აჩახჩახდნენ. მღვიმეში უფრო ჩამობნელდა, ჩამოცხა კიდეც ისინი კი ტყუპებივით მიხუტებოდნენ ერთმანეთს მღვიმის ჩახუთულ სიბნელეში, თითქოს ისევ იქ შებრუნებულიყვნენ, საიდანაც ერთხელ უკვე მოვლენოდნენ ქვეყანას, რაკი სხვა გზა ვერ გამოენახათ განსაცდელისგან თავის დასაღწევად.

— აი, ის ვარსკვლავი შენთვის მიჩუქნია. — უთხრა ფარნაოზმა ინოს და დიდი, ლურჯი ვარსკვლავი დაანახა.

ინომ თვალი ვეღარ მოაშორა ვარსკვლავს, იქამდე იყურა, სანამ თვალები არ აებლანდა. მერე გაიღიმა და საჩუქარი გულში ჩაიდო. შორიდან ვარსკვლავი ციმციმა ლურჯი სინათლე იყო მხოლოდ, მაგრამ უცებ გამკვრივდა და სიმძიმეც შეიძინა, როგორც კი გულში ჩაიდო იგი ინომ რას იფიქრებდა, თუ სი-

ნათლე ასეთი მძიმე იქნებოდა. რას იფიქრებდა, თუ ეს ციმციმა ნაპერწკალი გულში ძლივს ჩაეტეოდა და წვეტიანი ქიმებით გულის კედლებს ჩაკაწრავდა. ვარსკვლავმა გულში მბრუნავი ვარდისფერი ჰაერის მთელი მარაგი გამოდევნა და ინოს სუნთქვა შეეკრა. ტკიოდა, მაგრამ ტკივილი სიამოვნებდა, ამშვიდებდა; ტირილი უნდოდა და ეღიმებოდა; ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ ენას კბილს აჭერდა, თუმცა არ იცოდა, რას იტყოდა.

გამოქვაბულში ბნელოდა. პატარა, დედის მომლოდინე ლეკვებივით გამოეყოთ თავები ხვრელიდან და ვარსკვლავებს უყურებდნენ. ვარსკვლავების სიმრავლე გულს უკეთებდათ, თითქოს მარტონი აღარ იყვნენ, ისინიც იმ ვარსკვლავებში ერივნენ. ვარსკვლავები კი მართლა ცოცხლებივით ფეთქავდნენ, ციმციმებდნენ, ხანდახან გადაიკისკისებდნენ კიდეც და ისე ეკიდნენ ცაზე, როგორც ვაშლები დარიაჩანგის ბაღში. გეგონებოდა, ხელს გავიშვერ და მივწვდებიო.

ერთი კვირის მერე აზმუვლებულმა, მტვრისა და ბუზანკლის შარავანდედით თავმობმულმა ნახირმა ჩამოიარა ქალაქში. ქვაფენილზე ჩლიქების ფხაჭუნმა და ზინზილაკების ჟღარუნმა ყურთა სმენა წაიღო. ქუჩა-შუკები ფუნისა და მინდვრების სუნით გაიჟღინთა. სანამ ნახირი მთლიანად არ დაიწრიტა, ხალხი შინიდან ვერ გამოდიოდა, თითქოს მთელი ქალაქი ტალახისფერ ნიაღვარს დაეფარა. სწორედ ამ ნახირის მწყემსებმა თქვეს: გამოქვაბულში ბავშვებს მოვკარით თვალიო. მერე აღარც მათი დაჭერა გასჭირვებიათ. ისე მოულოდნელად დაადგნენ თავზე, გამოქვაბულიდან გამოხტომაც ვეღარ მოასწრეს. თუმცა არც უცდიათ, ხმელა პურს ორივენი ისე დაეოსებინა, თავები ძლივს წამოწიეს. დედა-მკვდარი ლეკვებივით მიყრილიყვნენ კუთხეში.

ის ერთი კვირა პოპინა თავს იკლავდა: ჩემი ბრალია, მე დავღუპე, ჩემი საბრალო ძმა სიცხვილს გაექცაო.

ინო და ფარნაოზი ქალაქზე რომ ჩამოატარეს, „ავაზაკები მოჰყავთო“ — იყვირა ვიღაცამ და მთელი ხალხი სიცილ-ხარხარით გამოეფინა გარეთ. ვანელებს სრულებითაც არ უნდოდათ ამ პატარა გოგო-ბიჭის განაწყენება. რა იცოდნენ, ან საიდან უნდა სცოდნოდათ, რა ცეცხლი ტრიალებდა მათ პატარა გულებში. ისე, ერთი შეხედვით კი მართლა სასაცილო იყო თითისხელა „ავაზაკების“ ხილვა, ცოტა ნაადრევად რომ მოჰკიდებოდნენ „ოჯახს“. „ნიადაგი შზად ყოფილა, ახლა საქმე ბარზეაო“ — ოხუნჯობდნენ ვანელები. ფარნაოზი თავჩაღუნული მოდიოდა, არაფერზე არ ფიქრობდა. არც ინო ახსოვდა. ერთხელაც არ მოუხედავს, ისიც მოჰყავთ თუ არაო. ეგ იყო, რომ თავი უსაშველოდ გაზრდოდა და უბზუოდა, უბზუოდა და უბზუოდა. დამარცხებას დაებრძენებინა. ცდილობდა არ წაებორძიკა, არ წაქცეულიყო, არ გაბრაზებულიყო და ბოლომდე ჩაეთავებინა ქუჩა, რათა ყველას შესძლებოდა დამტკბარიყო მისი ცქერით. დამარცხებაც ეს იყო, ამას ნიშნავდა: თავჩაღუნულს უნდა ჩაევლო ახარხარებული ხალხის წინ.

ინო დედა-დებმა ცხრაკლიტულში დაამწყვდიეს, ზედ გადაეფოფრნენ და გარეთ ცხვირსაც აღარ აყოფინებდნენ. ფარნაოზს კი სიხარულით შეეგებნენ შინ, ისე ეხვეოდნენ და კოცნიდნენ, თითქოს მთელი წლის უნახავი ყოლოდათ. მაგრამ ამ გულწრფელ სიხარულშიც იგრძნობოდა თავშეკავება და სიფრთხილე. ერთი რომ თავის სიხარულსა და ბედნიერებას გამოსთქვამდა, მეორე აჩუმებდა: ცოტა ჩუმად სთქვიო. უხეიროსი ეშინოდათ, არ იცოდნენ, როგორ მიიღებდა იგი შინიდან გაქცეულ შვილს და საერთოდ, როგორ დამთავრდებოდა ეს ამბავი მათი ოჯახისთვის. პოპინამ რომ მოღუშული და კრიჭაშეკრული ფარნაოზი დაინახა, უარესად დაფრთხა, მაშინვე დაიჯერა, ფარნაოზს რომ ეზიზღებოდა და მართლა მისი მიზეზით

გაქცეულიყო შინიდან. ბავშვობის დროინდელმა შიშმა გაუხსენა, წარამარა რომ ჩასძახოდა გულაღმა გაშოტილს: ძმისაც უნდა გეშინოდეს, რადგან ქალი ხარო. მაგრამ პოპინას მაინც არ შეეძლო არ მისიყვარულებოდა ძმას, ამ ერთ კვირაში მთელი წლის კი არა, მთელი სიცოცხლისათვის საკმარისი ელდითა და ეშვით, წუხილითა და სინანულით რომ დაეტვირთა. პოპინა ეფერებოდა, ელოლიავებოდა ფარნაოზს და თვითონაც გრძნობდა, ეს რომ ძველებური, უფროსი დის ალერსი აღარ იყო. ეს უფრო დამნაშავის ლაქუცს გავდა შემწყნარებლის მიმართ, უფროსისა და ძლიერის გალმერთებას უმცროსისა და სუსტისაგან. ფარნაოზიც ამჩნევდა დის უეცარ ფერისცვალებას და ერთი სული ჰქონდა, როდის მოიშორებდა, როდის განთავისუფლდებოდა ამ უსიამო ხვევნა-კოცნისაგან, უარესად რომ აღიზიანებდა და ასევდიანებდა. ფარნაოზს პოპინა შეეცოდა, თუმცა არ იცოდა, რა სჭირდა უფროს დას მისი შესაცოდი. მაგრამ იმის ნაცვლად, თვითონაც რომ მიჰფერებოდა, უხეშად მოიშორა და უთხრა: შენს შვილს მიხედე, მე არავის მოფერება არ მჭირდებაო.

პოპინა დატუქსული ძაღლივით მოიბუზა, გაშტერებულ სახეზე ღიმილი შეეყინა და ამ შეყინულმა ღიმილმა მისი სახე საცოდავად დაამახინჯა. ამიტომ ფარნაოზს გაუხარდა კიდეც, როცა ქალოკამ უთხრა: მამა გეძახისო.

ამ წუთს მთელი სახლი გულისფანცქალით ელოდებოდა. ყველანი უმწეონი იყვნენ, ვერავინ გაბედავდა მამაშვილის შუა ჩადგომას. „იმ ფეთიანმა ბავშვს რამე არ აუტეხოსო“ ფიქრობდნენ გულში. ფარნაოზსაც მამასთან შესვლას სიკვდილი ერჩია, მაგრამ ახლა, დასთან უნებური უსიამოვნების შემდეგ, მამასთან კი არა, მშიერი ლომის გალიაში შევიდოდა, ოღონდ პოპინას დამფრთხალი და დაბეჩავებული სახე აღარ დაენახა. ქალუკას ნათქვამმა პოპინაც უცებ გამოარკვია და კარში გასულ ძმას მიაძახა: ნუ გეშინია, ოღონდ ახლოს არ მიხვიდეო.

უხეირო ქარგავდა, თავი კარგახანს არ აუღია, თითქოს ვერ გაიგო ფარნაოზის შემოსვლა. მამის ოთახში გამეფებულმა სიმშვიდემ და სისუფთავემ ფარნაოზს რატომღაც გული აუჩუყა, მკვდარი დედა გაახსენა და მართლაც იყო რაღაც დედობრივი ხანგრძლივი წოლისაგან ავადმყოფურად განაბებულ და გაფერმკრთალებულ კაცში, ქალური სიმძარჯვით რომ ხმაურობდა ყაისნაღს. ეს უცნაური გრძნობა უშნოდ დამრგვალებულ ქვასავით გაეხირა ყელში ფარნაოზს და აქ, მამის წყნარსა და დაბინდულ ოთახში, პირველად იგრძნო, დამნაშავე რომ იყო, თუნდაც ამ კაცის წინაშე, მაგრამ დანაშაულის შეგრძნება ერთდროულად პატიების თხოვნასაც ურჩევდა და წინააღმდეგობის გაწევასაც ავალებდა. ფარნაოზს კი აღარც ფიქრის თავი ჰქონდა და აღარც არჩევანისა. კოქებში დაწყებულმა ცახცახმა მალე წელამდე ამოაღწია და ფარნაოზმა მთელი ძალით იჩქმიტა ბარძაყზე, ცახცახი რომ შეეჩერებინა.

უხეიროომ თავი აიღო და გაკვირვებულმა გამოხედა, თითქოს ახლა შეემჩნია პირველად. ეტყობოდა, მასაც უჭირდა ლაპარაკი, რადგან ხელით ახიშნა, ჩამოჯექიო. ფარნაოზი სკამთან მივიდა და დაჯდა, რამაც ძალიან გააოცა, რადგან თავისი აცახცახებული ფეხების იმედი აღარ ჰქონდა. უხეირო კიდევ დიდხანს იყო ასე უბრად, სანამ სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაც არ გამოესახა. ამ ღიმილმა ფარნაოზს უარესად გაუმძაფრა დანაშაულის შეგრძნება. უხეიროომ ტლანქად ჩამოისვა სახეზე ხელი, თითქოს შვილის თვალებში საკუთარი ღიმილი დაინახა და არ მოეწონა.

— ახლა რას აპირებ? — ჰკითხა უხეიროომ შვილს.

ფარნაოზმა კარგად ვერ გაიგო, რას ეკითხებოდა მამა, რადგან სწორედ ამ დროს წამოუარა კრუნჩხვამ და ხელის თითები დაუგრიხა. დაბუჟული თითები თავისით, უმტკივნეულოდ, მაგრამ ჯიუტად მიიწევდნენ ერთმანეთისაკენ და ათასნაირად იბრიცებოდნენ, როგორც ცეცხლზე გაჩერებული წკირები.

— უკვე დროა, რამე ხელობა ისწავლო. — გააგრძელა შვილის დუმილით გაკვირვებულმა და ოდნავ გამწყრალმა უხეიროომ.

—მაპატიე, — ძლივძლივობით ამოილუღლუღა ფარნაოზმა, მეტი ვერაფერი მოახერხა.

უხეიროს სახე მოეღუშა და ისევ საქარგავს მიუბრუნდა.

ფარნაოზი მამის ოთახიდან, რომ გამოდიოდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა ინო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

სიკვდილის შიში

საყდრის ჩიტები სხდებოდნენ ჯვრებზე,
ცა იყო რაღაც შორი და მშვიდი.
იდგა ხატივით მკვდრის მყუდრო მზეზე
ლოდს დამხობილი ყვითელი შინდი.

იყო ბურუსი და სიმარტოვე
დაბერებული ცაცხვის ხეების.
მეჩვენებოდა, ასკილის რტოებს
ზე ამოჰქონდა სული ცხედრების.

გვიან მკვდართა მზეც ტოვებდა კორდებს,
სასაფლაოზე წვებოდა ბინდი.
არ შორდებოდა ეკლიან კბოდეს
და უცნობ ხმაზე უსტვენდა ჩიტი.

ენთო ფოსფორი საფლავის ბორცვზე,
მაკრთობდა უცხო სინათლის სხივი,
ვიღაცა იჯდა ხავსიან ლოდზე,
ბალახებიდან ჟონავდა სისხლი.

მემკვლელებოდა საყდართან გავლა,
ტანზე მაყრიდა შიშის ეკლები.
მეგონა ლურჯად ასული ალვა —
ცად ატოტვილი ქრისტეს ნეკნები.

ფითვალთვალებდა საყდრიდან ხატი,
ვხდებოდი უცხო ხილვების წერა.
ჯვარზე გაკრული გამხდარი ლანდის
ვეღარ ვუძლებდი იდუმალ ცქერას...

. . .

აწ სად წასულან სიყრმის დღეები,
იმ გულუბრყვილო შიშით, ცდუნებით.
ისევ იმ ძველი ცაცხვის ხეების
და იმ ბორცვების მზერას ვუნდები.

იმ ჯვრებთან ისე გავშინაურდი
საყდრის ჩიტივით სასაფლაოზე,
არც გრძნეულ სულთა ხილვას გავურბი,
აღარც სიკვდილის ელდა მაოცებს.

ხან თუ მწვანეზე ჭიქას თავს ვუქცევ,
ლოდზე შემდგარი ვუჭვრეტ საწუთროს.
იდუმალ ლანდებს თეთრ სანთლებს ვუნთებ
და სადღაც ბრწყინავს მკვდართა საუფლო..

. . .

ეს მხოლოდ რაც აქ დასახლდი, მამა,
რაც აქ მოვიდა დაღლილი დედაც.
მე შიშის გრძნობა წარმტაცა ჟამმა,
გამანდო ყვითელ ფოთლების სევდა.

მოვდივარ დღისით, მოვდივარ ღამით,
მხვდებიან ბინდში დახრილი ჯვრები.
გამიცოცხლდებით ხსოვნაში წამით,
ცივ საფლავებთან უშიშრად ვჯდები.

მიცქერს შორიდან ურიცხვი ლანდი,
ათასი ბურდი, ნარი თუ ქაცვი.
ბინდ-ბუნდში ჩუმი შრიალით ვარდის
ისე მშორდებით, სიტყვას არ მაცლით..

შეშომესევა ჯაგი და ბარდი
აქ, ამ მდუმარე, იდუმალ ბორცვთა,
საფლავებს შორის სიჩუმე დადის,
მხოლოდ ჩიტები ამბობენ ლოცვას.

ვზივარ ანთებულ ასკილის ბუჩქთან,
სული უხილავ სულთან საუბრობს.
ქრისტეს შიშველი ნეკნები უჩანს,
სადღაც შორს რჩება მკვდართა საუფლო...

მივდივარ უხმოდ ღამენათევი,
უკან ნაცნობი კორდით ვბრუნდები.
გვიან ბურუსში ჩნდება ნათელი
და ისევ დღიურ ზრუნვას ვუნდები.

მიმაქვს ხელები ნაკაწრი ეკლით,
როგორც ნაწილი ალოცავ ნიშის.
მიმაგრიალებს სიცოცხლის ეტლი
და ვერ მეწევა სიკვდილის შიში.

მაქვს მიშვერილი მზისათვის მკერდი
და თუ გულს მაინც შერჩა ტკივილი —
იყოს სიკვდილი სიცოცხლის გვერდით,
მაგრამ არ იყოს შიში სიკვდილის!..

ჰეკატეს ბაღის ღამეები

ამოაქვს მთვარეს სურნელება ჰეკატეს ბაღის
და თერმოლონტის მწვანე კუნძულთან
თეთრი ნიმფების ანათებს ჭაღი,
გადმოდუღს ვნება ამორძალთა ცალი
ძუძუდან...

ცალი ძუძუდან მოწვეთავს სისხლი,
ყელგაღადრული კივის კენტავრი...
ფაზისის პირას შერევია სიწითლე ისრიმს,
დაულოცნიათ ნაზ ღვთაებებს მიწა ნეტარი!

ნიმფებს სინათლე დაუღვრიათ წმინდა
ველებზე
და მანანები მინდვრებს ღვაფავენ
ამორძალების ცხელ სარეცლებზე
მოღალატენი ეცემიან და სულს ღაფავენ.

აღარ ასვენებს უცხო ტომთა გაზღაპრებული
მშვენება კოლხთა უძველეს ქვეყნის.
ჰეკატეს ბაღში ფერიების ცეკვავს
კრებული,
მძვინვარე პონტოს აიეტი მიაპობს
კვერთხით.

დასდევნებია მტაცებელ ბერძნებს,
მტერს გზას უღობავს და კიცხავს კირკეს...
ჰოი, მედეა, უცხო ცის ქვეშ ბედს რატომ
ეძებ,
იქ ვინ გაყნოსებს კოლხურ ვაზის
უნაზეს კვირტებს?!

უტურფეს ასულს განა მამა ასე გირჩევდა,
შენი ძმის სისხლი კივის ლურჯი
ფაზისის პირას...
წარმართულ ხეებს ვასაკები მწვანე
გირჩებად
დაკიდებიან და გულს მათი დანახვა
გმირავს!

ვაი შენ, კოლხეთს რომ ველარ მოხვალ,
თორემ ჩვენ საღვთო ჭალების ყანას
ცეცხლისმფრქვეველი ხარებით მოვხნავთ
და იღორძინებს კოლხთა ქვეყანა!..

ვის საფლავში ქარიშხალი გმინავს...

დაიღუნენ ნაზი ატმის რტოები.
დაფარულან ბილიკები ფერფლით.
კივის სისხლი უღვთოდ დანატბორები
ბალახებში ნატყვიარი ტერფის.

მოდის სუნი შორეული კვამლის,
კანტი-კუნტად ჰქუხან ბერდანები.
ახლაც მოჩანს იმ ბრძოლების კვალი,
დედა, ახლა უფრო მენანები!

მამა სიკვდილს გაქცევია ფეხად
გზა ტყვიებით გაუკაფავს მრუმე,
მერე ღრუბლებს მოჰყოლია მეხად,
ბრძოლის ჟინით უცოცხლია თურმე.

მეჩვენება, ახლაც ჩემს ნაზ იმერეთს
ცხრაასხუთის ქარიშხლები არწევს.
მწვანე ხეებს ეპარება სიბერე,
ჩვენი სახლი ხელმეორედ დაწვეს.

ძველ ეზოში ვბორიალობ მარტოდ,
სადღაც მთვარე გადაემხო ბოგირს,
და შენს მკერდში დაძინებას ვნატრობ,
სიზმრად ვხედავ ჩემი სიყრმის ლოგინს.

მამა მოდის, დავიკივლო ლამის,
სათამაშოდ მითლის ჩალის ურემს,
თუმცა ბრძოლის გაქცევია ჟამი,
სიცოცხლე არ დალევია თურმე.

შუაღამით, როცა სოფელს ძინავს,
მეცხადება მე კეთილი ლანდი.
ვის საფლავში ქარიშხალი გმინავს,
ის კი ჩემთან ამ ეზოში დადის...

* * *

სადღაც რკოსავით ტკვირავს ღამეს ღორების კოლტი,
სივრცეა შორი და გამჭვირვალე.
ბიჭი ვერ ითმენს ორღობეში უღმერთო ლოდინს,
ჭიშკრის კრამიტზე ვარსკვლავების სხივი ჭრიალებს.
გოგო ღობესთან ატუზულა საყდრის ხატივით,
დედა კარებში იმზირება თვალმოწკურული.
ცაა ბალახზე გადაშლილი ჭრელი კარტივით
და ქრება მთვარე მწვერვალებზე გადაწურული...

* * *

დაუბერა სიჭაბუკის გრიგალმა,
მომასურვა შენთან განმარტოება...
შენმა ნახვამ ისე ამაბრიალა,
გაიფოთლა სული ატმის რტოებად!

მოდი, დავდგეთ არმაზის მთის თხემზე,
უფსკრულის პირს შემაშველე ხელი.
დამღალე და მომიხვიე ყელზე,
და მადინე სიხარულის ცრემლი...

დავით აღმაშენებელი

დავითი წმინდა გიორგის რაშზე იჯდა
და ხელთ ღვთის მახვილი ეპყრა...
ხალხური

საქართველო ედგა თვალწინ ღვთისმშობელის ხატადა,
ტაძრებით და ვაზის ტოტით ამერ-იმერს ხატავდა.
ეწიფოდა ხელი წერად, იდგა სიბრძნის თესვადა,
ჩამონგრეულ კოშკის კედლებს შუბის წვერით კემსავდა.
ყველგან ციხეს აშენებდა, ყველა კლდეკარს კეტავდა,
ქართლის მთებზე სამრეკლონი ენთნენ კელაპტრებადა.
ღვთის მადლი და ერის ლოცვა წინ უძღოდა ფარადა,
ხელს გაშლიდა, ხელისგულით თითქოს ხმელეთს ფარავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .

ნაომარი ისვენებდა, ფერხთით უჯდა ტყის მეფა,
თურმე დავით ნაისარზე თოთო ბალახს იფენდა...

დაეწინწკლა ბალახები დასისხლული ტერფით,
ღვთის მეტი ვინ გაიგებდა სურვილს დავით მეფის?
ჩამოცურდა ღრუბლებიდან თოვლისფერი რაშით,
იდგა მეფე ღვთის წინ ჩუმად, აჟრჟოლებდა ტანში.

. . .

ჭიკჭიკებდნენ ფრინველები, რტოებს ხრიდნენ ხენი,
ჩაჩურჩულა ანგელოსმა იდუმალი ენით:
— საქართველოს ცა გაიხსნა,
აისრულებ წადილს,
წმინდა გიორგი გლოცავს,
თავის მახვილს გაწვდის!
შეურიე შავ უფსკრულებს ურჯულოთა სისხლი,
დაიხსენი სამუდამოდ შენი მისხის მისხი.

. . .

დავით სდუმდა...
სიხარულით თითქო ენა დაება,
ჩასცქეროდა ლურჯ თვალებში თურმე თვითონ ღვთაება.
დაულოცა რაშიც, ხმალიც — უწონებდა განზრახულს,
დაემგვანა დავით მეფე საქართველოს გაზაფხულს!.

. . .

ფეხზე შვენის ოქროს ქოში,
გულზე ჯვარი ჰკიდია,
უხარიათ სამეფოში:
დავით მეფე დიდია!

ანგელოზი მხარზე აზის,
მტერს ქართლს როგორ დაუთმობს?!
მოუმრავლა ფერი ვაზის
ღვთისმშობელის საუფლოს.

მოუმრავლა მწიფე ყანა,
გულკეთილი მწყემსები...
ორგულთ ციხე დაუნაყა,
ამოუწვა ფესვები.

ყველა რჯულის შემწე არის,
ყველას ჰგუობს, პატრონობს,
ოღონდ ქართლში ვაზის ჯვარი
უნდა გააბატონოს.

უნდა ლოცვით გაათენოს,
ოდეს ბრძოლად მიდიან...
გიხაროდეს, საქართველოვ,
დავით მეფე დიდია!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

. . .

მთებში მეხი დაჭახჭახებს — ჭიხვინია მისი რაშის,
განა მარტო მუხას კორძში, ჩაუგზნია ცეცხლი ქვაში.
გელათისკენ მიიჩქარის, ღამე გზაში გაათენა,
დილით სველი ბალახები ოქროს ქოშით გადათელა.
წყალწითელას ხეობიდან რაღაც მცირე ღილივითა
აიტანა მძიმე ქვები გოლიათმა იღლიითა.

თვითონ ჩადგა ტაძრის კედლად ვებერთელა დიდი ლოდი,
მზის საათი დაახატა, ამოტვიფრა დაფნის ტოტი,
გაიხარეს ერის კაცთა, ამას არვინ არ ელოდა,
ღვთისმშობელი ლოცვად დადგა, იგალობეს ანგელოსთა.

. . .

ციხე ციხეს ემატება, იგრაგნება ციხით ქართლი,
დავით მწყემსავს საქართველოს კაცისა და ღვთის სიმართლით.
უპოვართა საზრდოს უჩენს, იხარებენ ქვრივ-ობლები,
მრუდს და მართალს თვითონ არჩევს, შეეწევა ღვთისმშობელი.
გააშენა ქალაქები, უთვალავი გასდო ხიდი,
ხალხს სინათლედ მოუქცია წუთისოფლის მრუდე ბინდი.
ახალნაშენ ციხე-ტაძრის სვეტებს შვენის ფასკუნჯები,
სულ ცოტაც და უცხო ფერით, ცაო, უფრო გალურჯდები.
დიდოსტატნი ტაძრებს ხატვენ სისხლში ნაწებ ფუნჯებითა
მათ შეუკრავთ საქართველო დაკუთხული ბურჯებითა.

. . .

როცა ხალხი დაიძინებს, ბინდში დგანან ხარაჩონი,
მანანებით ინამება საარაგვოს ყაყაჩონი,
დალიხის მთის კალთებიდან ამხედრდება დავით რაშით,
მთელი ღამე თვალფხიზელი გრიგალივით დაჰქრის მთაში.
საქართველოს უვლის ირგვლივ, გზა სულ დაღმა-აღმა მიდის,
დიდი არის საქართველო, უნდა იყოს უფრო დიდი.
ამაღლდება მყინვარწვერზე მეფე, როგორც ნათლის სვეტი,
თვალს მოავლებს თავის სამწყსოს, უნდა ჰქონდეს სივრცე მეტი,
უნდა შეჰკრას, შეამტკიცოს იმერი და ამიერი,
თვითონ მოკვდეს, ერი დარჩეს სამუდამოდ მადლიერი.

. . .

ერისათვის, ერისათვის დავით ხმალი აღმართა,
ერმა მეფით, მეფემ ერით ბედი წაიწაღმართა.

. . .

ერისათვის, ერისათვის დავით სისხლსა არ დაჰრიდა,
ერისათვის თურმე დავით
ყივჩაღეთში გადავიდა.

წამოასხა მოისარნი,
ძლიერ ხადა ქართლის სპანი,

ძლიერ ხადა ერი ლომმა,
საქართველო ძლიერ ხადა!
ნიჩბისის გზით დიდგორს მოდგა,
ურჩხულს სული ამოხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოფშვნა მტერი უცხო გვარის,
განდგომილნი გასხა გარე...
ცხენის ფლოქვმა მოწვა ნარი,
გააგრძელა ომი მწარე.

ერისათვის, ერისათვის დავით სისხლსა არ დაჰრიდა,
მოუშალა ციხე ურჩთა,
ღირსეულნი განადიდა.
ხალხს სამშობლო გადაურჩა,
კეთილს ავი განარიდა.

მოათენა დღენი ნათლით
ლოცა დროშა ჩალისფერი.
დარბაზს დასხა მთქმელნი მართლის,
ერი ჰყავდა მადლიერი.

თვითონ ღვთის წინ წარსდგა ლოცვად,
აღავლინა ცისკენ აჯა,
თუ რამ მადლთან ჰქონდა ცოდვა,
ღმერთს რომ კეთილ განესაჯა.

. . .

დავით გელათს ისვენებდა,
სდუმდა საყდრის დიდი ეზო.
წარსულს ვეღარ იხსენებდა,
სიცხე სწვავდა თურმე ეგზომ.

იწვა ტახტზე გაუნძრევლად,
სასთუმალთან ედო ხმალი,
ვაი, სუნთქვა გაუძნელდა,
მოიქუფრა დედოფალი...

აიწყვიტა თეთრმა რაშმა,
გაქრა, ცხრა მთა გადირბინა...
ჭყონდიდელი შიშით გაშრა,
სინანულით დაიგმინა.

მეფის ფერხთით დააფინა
თურმე დროშა ჩალისფერი,
დავით ლოცვა აღავლინა,
შეავედრა ღმერთსა ერი.

მოეჩვენა ვაზის სახედ ღვთისმშობელის ამო ხატი,
ღმერთო, ხალხის რჩეულ ძესა სული როგორ ამოხადე!,
დაიკრიფა ხელნი გულზე, გალობა სთქვა სინანულის,
აქვითინდა ანგელოზი ტაძრის ჩრდილში მიმალული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოატარეს ეზო საყდრის,
ჭიშკრის ბჭესთან დაასვენეს...
ერი საფლავს კურცხალს აყრის,
მის სიკვდილს ნუ გაახსენებთ!

სული მისი ცაში ფრინავს,
ელვა მისი მათრახია,
გააღვიძეთ დავით მეფე,
გელათში წევს რახანია!...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲐᲞᲝᲚᲝᲜᲘᲝᲡ ᲠᲝᲓᲝᲡᲔᲚᲘ

ᲐᲠᲒᲝᲜᲐᲕᲢᲘᲙᲐ

მეორე სიმღერა თავდება არგონავტების ჩამოსვლით კოლხეთში, მდინარე ფაზისის (ფასიდის, რიონის) შესართავში.

მესამე სიმღერა მთლიანად იაზონისა და მედეას სიყვარულის ქება-დიდებაა. ეს თემა ახალი როდია თვით როდოსელის დროისათვის. გრძნეულ კოლხიდელ ქალს ეძღვნა ევრიპიდეს ტრაგედია, მენანდრეს კომედია, სენეკას დრამა... ინტერესი არც ახალ დროში შენელებულა. მედეას თემა დაამუშავეს კორნელმა, ტიკმა, გრილპარცერმა, ტრალოვმა... მედეა აისახა ხელოვნებაში (პომპეის ფრესკები, რომაული სარკოფაგის მოხატულობა ბერლინში, დელაკრუას სამი სურათი და ანსელმ ფოიერბახის ორი სურათი, 1870 წ., ქერუბინის ოპერა...).

მაგრამ ეპოსში მედეას სახე როდოსელი პოეტივით ფართოდ არავის აუსახავს. არავის ასე ვრცლად და ღრმად არ დაუმუშავებია ანტიკის ამ უკვდავი გმირი ქალის სიყვარულის ფსიქოლოგია და ტანჯვის საშინელება. „ამ მხრივ მთელი პრიორიტეტი აპოლონიოსის მხარეზეა, — წერდა 1937 წ. დიდი ქართველი მეცნიერი გრიგოლ წერეთელი, — მან პირველმა მოგვცა ამომწურავი სურათი იმ ბრძოლისა და შინაგანი ჭიდილისა, რაც მედეას სულში ხდება, დაწყებული ვნების ჩანასახით და გათავებული იმ მომენტით, როცა მედეა თავისი გრძნობის ჩაკვლის ამაო ცდის შემდეგ — ხანგრძლივი და ამაო სულიერი ბრძოლის შემდეგ მას ემორჩილება და საყვარელ ადამიანს ბარდება“.*

აპოლონიოსმა, როგორც პოეტმა, ამ ეპოსში, უფრო ზუსტად — ეპოსის მესამე წიგნში — იზეიმა ფანტაზიის გამარჯვება ბიბლიოთეკარის განსწავლულობაზე.

აპოლონიოსი რომ „აუმღვრეველ წყაროს წყალს სვამს“ (კალიმაქეს თქმა) და მყარი ორიგინალური პოეტური ბელტია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას ბაძავდნენ ანტიკური ლიტერატურის გიგანტები — ვარონი, ვერგილიუსი, ოვიდიუსი და სხვანი — უმთავრესად მის მესამე და მეოთხე წიგნებს, სადაც მედეას ამბავია გადმოცემული.

როდოსელმა მგოსანმა ძველი მითების სასტიკი, ცივი, თითქოს მარმარილოს მედეა პირველად აქცია ღრმად მოსიყვარულე, დიდი და ფაქიზი გრძნობის ქალიშვილად. მართალია, სახე ვერ დაასრულა, ვერ გარდაქმნა, ისე ძლიერია მითის ტრადიცია, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: ვიდრე უყვარს, მედეა იდეალური ქალია, მერე კი მასში იღვიძებს შურისძიების მიძინებული დემონი და ისეთი ძალით მოქმედებს, რომ გვაგონდება მისივე ხელით ტიტან პრომეთეს ყვავილის გადაკვეთა, რამაც ტკივილისაგან დედამიწა შეძრა.

---

* Аполоний Родосский, Аргонавтика, пер., введ. и примеч. Гр. Церетели, Тб., 1964, 14.

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 11.

სიმღერა მესამე

მოდი, ერატო** ქალღმერთო ჩემო, შემატყობინე შენსა მგოსანსა,
ვით დაეუფლა ეზონის შვილი საწმისს მედეას ტრფობის წყალობით
და იოლკოსში ვით ჩაიტანა... მუზავ, კიპრიდას თანაზიარო,
შენც ხომ ხმატკბილი სიმღერით ხიბლავ, ვნებით აღანთებ ლამაზ ქალწულებს,
სიყვარულს თესავ და ამისთვისაც სასიყვარულო გამკობს სახელი[2].

ისხდნენ მალულად ჩვენი გმირები, დიდხანს ყველასგან შეუმჩნეველნი,
ლერწმის ჭაობში მიყუჩებულნი, და ბოლოს მაინც იხილეს მაღლით:
მხოლოდ ჰერამ და გმირთა მფარველმა დიდმა ათენა პალასმა ნახეს,
მყისვე განშორდნენ ნეტართა კრებულს, ზევსის ტახტიდან განმარტოებით
წყნარ თალამონში[3] იწყეს თათბირი, რარიგ ვუშველოთ არგონავტებსო.
პირველად ჰერამ ჰკითხა ათენას გამოსაცდელად: „ზევსის ასულო!
ჯერ შენ განსაჯე, რა გზას დავადგეთ? იქნება ხერხი სჯობდეს ღონესა,
რომ ხიმანკლური ხერხით დასტყუონ აიეტ მეფეს ოქროს საწმისი,
სიტყვით მოთაფლონ, მოინადირონ კოლხთა სასტიკი მბრძანებლის გული?
თუმცა ბუნებით არის გოროზი, მაგრამ ვიხმაროთ ყოველი ღონე“.
ფიცხლავ მიუგო ათენამ ჰერას: „შენ მეკითხები დაბეჯითებით
სწორედ იმ საქმეს, რაც ჩემს გონებას დაუფლებია დიდი ხანია,
დაკარგული მაქვს სულის სიმშვიდე, ბევრი ვიფიქრე, მაგრამ დრო გადის
და ვერაფერი ვერ მოვიგონე — ვერც ხიმანკლობა, ვერც სხვა რაიმე
შესაფერისი ღონისძიება, რომ დავეხმაროთ ელინელ გმირებს“.
თქვა და დახარა თავი ათენამ, ჰერამაც მიწას მიაპყრო მზერა,
მაგრამ ანაზდად ზევსის მეუღლემ ასწია თავი, ინება სიტყვა:
„მოდი, ვესტუმროთ ცბიერ კიპრიდას! ვთხოვოთ: თუ შვილი
უსრულებს ნებას,
მას დაავალოს და ჩააგონოს, რომ გრძნეულ ასულს აიეტისას[4],
ჯადოქრობაში ეგზომ გამოცდილს, სტყორცნოს ისარი სიყვარულისა,
და იაზონის ტრფობით აუნთოს ტურფა მედეას უმანკო გული.
აი, მაშინ კი მე იმედი მაქვს, შეყვარებული ქალის წყალობით
არგონავტები ყველა სიძნელეს გადალახავენ და იაზონი
ქალის შეწევნით შესძლებს საწმისი მშობელ ელადას დაუსაკუთროს“.***
ასე თქვა ჰერამ, და მოიწონა ათენამ მისი ბრძნული თათბირი.
ახლა თავის მხრივ თავაზიანი და მეგობრული სიტყვით მიმართა:
„ხომ იცი, ჰერა, ისე მშვა ზევსმა[5], რომ ვერ დამსერა ეროსმა ისრით,
არ ვიცი გემო სიყვარულისა, არ განმიცდია ღელვა ვნებათა,
მაგრამ შენ რაკი ეგ აზრი გხიბლავს, მეც გამოგყვები აფროდიტესთან,
სიამოვნებით დაგიჭერ მხარსა, ოღონდ შენ თვითონ ეტყვი კიპრიდას“.

---

* დედანშია „ლოგოს“ — სიტყვა (წიგნი, ამბავი, სიმღერა).

** პოეტი მესამე წიგნის დასაწყისში ერატოს მოუხმობს, როგორც საქორწინო სიმღერების, მიმიკისა და ეროტიული პოეზიის მუზას, რადგან ეროტის მეშკეობით შეაყვარეს ღმერთებმა მედეას იაზონი.

*** ეპოსის თავში (ან წიგნის დასაწყისში) ერთ-ერთი ღვთაებისადმი მიმართვა, მერე კი რაიმე საძნელო პრობლემა, რაზედაც მთელი ამბავია აგებული, დამაჯერებლად ცხადჰყოფს ანტიკური ეპოსის, კერძოდ არგონავტიკის არქიტექტურულ მსგავსებას ჰომეროსის პოემებთან. აქ ოქროს საწმისი ასრულებს იმ „ინტრიგული კვანძის“ მაგიერობას, რასაც ილიადაში — ოქროს ვაშლი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა ეს ათენამ და ქალღმერთები ფიცხლავ მივიდნენ დიდ სასახლესთან,
რაც აუშენა მოსასვენებლად კიპრიდას მისმა კოჭლმა მეუღლემ[6]
მაშინ, როდესაც თანამემცხედრედ უბოძა ზევსმა ასულის ხელი,
ორივემ შედგა ეზოში ფეხი, მყის მიაშურეს მაღალ ტალანებს,
და იმ დარბაზთან შეჩერდნენ, სადაც კიპრიდა შლიდა ქმრისთვის
სარეცელს. 40
შინ მარტო დახვდათ: მოხეტიალე კუნძულზე იყო ქმარი წასული[7].
იქ ხომ ჰეფესტოს სამჭედლო ჰქონდა, სადღაც შორეულ მიწის წიაღში,
და მოგიზგიზე ცეცხლის ქურაზე კვერავდა მრავალ საოცარ საგანს;
კარის პირდაპირ, დიდოსტატურად თლილ სავარძელში იჯდა კიპრიდა,
ქათქათა მხრებზე ეფინებოდა თმა ჩამოშლილი, თმა მშვენიერი,
და ივარცხნიდა ოქროს სავარცხლით, რომ გრძელ კავებად დაეწნა შემდეგ.
მაგრამ ქალღმერთებს რომ მოჰკრა თვალი, შეწყვიტა ვარცხნა და გაიღიმა,
შემობრძანება სთხოვა ორთავეს და სავარძლიდან წამოდგა წამსვე.
რბილი სკამები მიართვა, დასვა, შემდეგ თვითონაც ჩამოჯდა გვერდით,
დაუვარცხნელი და დაუწნავი თმა ტალღოვანი სწრაფად აიკრა 50
და მომხიბლავი, მაცდური სიტყვით ასე მიმართა ღვთაებრივ სტუმრებს:
„რამ მოგიყვანათ, უნეტარესნო, აქამდე თქვენგან დავიწყებულთან?
რა გაგიჭირდათ? მოგეხსენებათ, თქვენს ხშირ სტუმრობას არ ვარ ჩვეული,
რადგან თქვენ აკი, უბრწყინვალესნო, ხართ ქალღმერთები. ქალღმერთთა
შორის“!

მაშინვე სიტყვა ჰერამ აიღო, ასე მიუგო: „ჩემო კიპრიდა,
შენ დაგვიცინი და თავს იქცევ, ჩვენ კი სულის სიმშვიდე მოგვნატრებია.
გემი ფაზისში შემოაცურეს და მდინარეში ჩაუშვეს ღუზა
ეზონის შვილმა და სხვა გმირებმა, საწმისისათვის კოლხეთს მოსულთა.
საშინელ საფრთხის წინაშე დგანან, ახლოა მათი საგმირო საქმეც.
მაგრამ გვაფიქრებს იმათი ბედი, სხვაზე უმეტეს — ეზონის ძისა. 60
მე მას, ჰადესში შეცუროს თუნდაც, შავბნელ ქვესკნელში, თავისი გემით,
თვით იქსიონის სპილენძის ჯაჭვით შეკრული მეფის გამოსახსნელად,[8] —
მე მთელი ჩემი ძალით და ღონით ვეცდები გმირის ხსნასა და შველას,
რომ არ იფიქროს პელიას მეფემ, გადავრჩი, ამცდა რისხვა ცისაო!
მე ხომ თავხედმა ასე დამცინა, სამსხვერპლო პატივს არ მაზიარა!
იაზონი კი მე მექცეოდა გამორჩეული თავაზით მუდამ,
და სათნოებაც მე ვიცი მისი იმ დღიდან, რაც მე კაცთა სიკეთის
გამოსაცდელად ციდან დავეშვი და ანავროსის ადიდებული
ნაკადის პირას ვითხოვე შველა. თოვლს დაეფარა მაღალი მთები,
აქაფებული მდინარე-წყლები და ნიაღვრები კლდეს აწყდებოდნენ. 70
დედაბრის სახე მივიღე-მეთქი, შმაგი მდინარის პირას ვიდექი.
ნადირობიდან დაბრუნებულმა ეზონის შვილმა მიხილა გზაში,
შემიბრალა და მხარზე შემისვა, გადამატარა მღვრიე ტალღები.
და მე იმ დღიდან მფარველი კალთა გადავაფარე ეზონის შვილსა[9].
ახლა შენ იცი ამბავი ჩემი, და პელიასიც ვერ დაისჯება,
შენი შეწევნით და დახმარებით თუ იაზონი შინ ვერ დაბრუნდა“.

ასე თქვა ჰერამ, მაგრამ კარგა ხანს დუმდა კიპრიდა განცვიფრებული,
კდემით უმზერდა ქალღმერთთა შორის უზენაესსა, შველას რომ სთხოვდა*.
ბოლოს დუმილი დაარღვია და ასეთი მოკლე სიტყვით მიმართა:
„დიდო ქალღმერთო, დაე, დღეიდან ყველაზე მეტად გძულდეს — კიპრიდა,
თუ შენ სურვილი ვერ შეგისრულა, სიტყვით თუ საქმით, რასაც შეიძლებს,
პატივდებულო, ამ სუსტი ხელით... სამაგიერო არა მინდა რა!“

თქვა აფროდიტემ, და ფიქრის შემდეგ ასე მიუგო ზევსის მეუღლემ:
„იცოდე, მისთვის კი არ მოვსულვართ, ვითხოვოთ შენი ღონე და ხელი!
ნუ შეწუხდები, მხოლოდ ფარულად სთხოვე, უბრძანე შენს ვაჟიშვილსა,
რომ აიეტის ასულს შეუნთოს გულში ეზონის ვაჟის სურვილი.
თუ ეყოლება ის ვაჟი შემწედ, თუ გმირი მის გულს მოინადირებს,
ვფიქრობ, საწმისის ხელში ჩაგდება იაზონს აღარ გაუჭირდება,
და იოლკოსში ჩავა მშვიდობით — არის მედეა ისე გრძნეული!“

ასე თქვა ჰერამ, და დიდ ქალღმერთებს ასე მიუგო მაშინ კიპრიდამ:
„ჩემი ეროტიც ჩემზე უმეტეს თქვენ დაგიჯერებთ — ჰერას, ათენას!
თუმცა ურცხვია და კადნიერი, — სულაც არ იცის სირცხვილ-ნამუსი! —
მაგრამ ჩადგება მის ურცხვ თვალებში მცირედი კდემა, თქვენ რომ გიხილავთ,
მე კი ჩირადაც არ მაგდებს, არა! სიტყვას მიბრუნებს, დამცინის კიდეც.
ერთხელ თავხედმა მოთმინებიდან გამომიყვანა, ბრაზმა მომიცვა,
რისხვით ანთებულს მსურდა მის თვალწინ მისი შვილდის და ისრის შემუსვრა,
მაგრამ გაბრაზდა და დამემუქრა, მითხრა: თუ ხელებს არ დაიმოკლებ
მშვილდსა და ისრებს არ დამიყენებ და არ მოიშლი ჩემთან ხუმრობას,
ვიდრე ჩემს რისხვას არ მივცემ გზასა — მწარედ განანებ, ეს იცოდეო!“**

ეს თქვა კიპრიდამ, და ქალღმერთებმა აქ გაუღიმეს ერთიმეორეს,
ხოლო კიპრიდამ სიტყვა განაგრძო და ნაღვლიანად ასე დასძინა:
„ასეა მუდამ: ჩემი ნაღველი და მწუხარება აცინებს სხვასა!
რისთვის გაგანდეთ ჩემი დარდები? ჯობდა მქონოდა გულში ფარულად,
მაგრამ რა დროის სინანულია! რაკი ასეა თქვენთვის საჭირო,
ვეცდები შვილი დავიყოლიო, უარს არ მეტყვის, ასე მგონია“.

თქვა და გაჩუმდა. ჰერამ ფაქიზი ხელი შეახო ნაზად კიპრიდას,
გაუღიმა და ახლა თავის მხრივ ასე მიუგო ნარნარი ხმითა:
„მაშ აგვისრულე დანაპირები, ო, კითერეა, დროზე და კარგად!***

---

* ამ ეპიზოდში ბერძენთა სიბრძნის ორი მხარე იჩენს თავს. ჯერ ერთი, ყოვლის შემძლე ღმერთები არ ახდენენ მათთვის სასურველ მოვლენებს „ზემოდან“ დაწოლით, ძალადობით, ულოგიკოდ, და ეძებენ სათანადო დასაბუთებას, რომ ის მოხდეს (აფროდიტეს და ეროტის მეშვეობით მედეას შეაყვარებენ იაზონს, ქალი გმირს დაეხმარება). მეორე მხრივ, თვით ღმერთთა შორის უზენაესნი აღიარებენ მცირეთა ნიჭსა და ღონეს, ანგარიშს უწევენ, სთხოვენ. ოლიმპოს და დედამიწას ფაქტიურად ერთი და იგივე კანონები ამოძრავებენ.

** ეროტის („სიყვარულის“, ან როგორც მრავლობითში ეძახდნენ ტიტველ ფრთოსან ბიჭუნებს, ეროტების) შურისძიება მართლაც საშინელი იყო და მათი ღმერთებსაც ეშინოდათ. მაგალითად, მას შეეძლო სიყვარულის ისარი ესროლა მშვენიერ აფროდიტესათვის და ურჩხული შეეყვარებინა მისთვის.

*** კითერეა აფროდიტეს ერთე-რთი ზედწოდებაა, საკულტო ადგილის კითერას მიხედვით. სხვა ზედწოდებებია: ანადიომენი („ზღვის ქაფიდან გამოსული“), კიპრიდა (კუნძულ კვიპროსიდან), ერიკინე (სიცილიის ერიქსიდან) და სხვ.

რაც უნდა ძლიერ ნაწყენი იყო, არ გააბრაზო და არ დატუქსო!
არ შეუშალო ამ საქმეს ხელი — გაივლის დრო და გამოსწორდება“. 110

ჰერამ სათქმელი თქვა და წამოდგა, შემდეგ ათენა ქალღმერთიც ადგა,
და გზას გაუდგა ერთად ორივე. მალე წავიდა ტურფა კიპრიდაც.
მაღალ ოლიმპოს იდუმალ ჭალებს შორის დაიწყო ეროტის ძებნა.
ბოლოს იპოვა ზევსის ბაღებში მოხეტიალე, მარტო კი არა:
მასთან იხილა განიმედიცა გასაოცარი სილამაზისთვის:
ოდესღაც ზევსმა რომ გაიტაცა და ღმერთებს შორის დაუდო ბინა[11].
ბაღში ეროტი და განიმედი, როგორც ტოლები განუყრელები,
ოქროს კოჭების თამაშით იყვნენ ისევ გართული, გატაცებული.
იდგა ეროტი, გულზე მიეკრა კოჭებით სავსე მარცხენა ხელი,
გასწითლებოდა ყირმიზი სახე ხარბსა და ამაყს სიხარულითა, 120
უღაჟღაჟებდა ქორფა ღაწვები წელში გამართულს, გამარჯვებულსა,
მისი ტოლი კი ჩაცუცქულიყო იქვე უსიტყვოდ, კრიჭამეკრული,
სულ ორი კოჭი შემორჩენოდა, დანარჩენები წაეგო ყველა.
ორიც ზედიზედ დაკარგა ახლა, და ხარხარებდა ხარბი ეროტი.
მერე წავიდა ხელცარიელი, შერცხვენილი და შეწუხებული,
ვერც კი შენიშნა პირმშვენიერმა ბაღში კიპრიდას შემობრძანება.
დედამ უჩქმიტა ეროტს ლოყაზე, დატუქსა ბიჭი და უთხრა ასე:
„რაზე იცინი, შე საძაგელო? რისთვის ატყუებ საწყალ განიმედს?
ისევ წასტყუე სულელს კოჭები, ახლა კიდევაც დასცინი განა?
უპატიოსნო გამარჯვებისთვის იბღინძები და ამაყობ თანაც? 130
მაგრამ რა გიყო, ახლა არ დაგსჯი, ამ დავალებას თუ შემისრულებ,
ის კი არა და, მე შენ საკვირველ სათამაშოსაც გაჩუქებ მაშინ:
პატარა ზევსს რომ აჩუქა ძველად ძიძი ადრასტემ* იმ დროს, როდესაც
ზრდიდა მას იდის გამოქვაბულში, ჯერაც ჩვილსა და შენსავით სულელს.
ეს გამჭვირვალე მრგვალი ბურთია, ოქროს წრეები ევლება გარსა,
ოქროს რგოლები ისე ლამაზად და ოსტატურად მორგებულია,
არ ჩანს ნაკერი, და ფერსო-ბეჭდებს ლურჯად ხვეული გასდევს ზოლები.
ისვრი ჰაერში — აციმციმდება, ვარსკვლავის მსგავსად გაავლებს კვალსა.
ასეთ საჩუქარს, შენ რომ იცოდე, ჰეფესტოსაგან ვერ ეღირსები**.
ამ სათამაშოს ზევსისეულსა მე შენ გაჩუქებ, თუ გამიგონებ: 140
აიეტ მეფის ასულს მედეას თუ დაჭრი შენი ფრთოსანი ისრით
და იაზონის ტრფობით აღანთებ — დაუშრეტელი ვნების სახმილით.
ოღონდ იჩქარე! შენ ამ საქმეში დაყოვნებისა არა გაქვს ნება,
რადგან რაც უფრო დააგვიანებ, უფრო ნაკლები გელის მადლობა!“

თქვა, და უსაზღვროდ ეამა ეროსს მისი ასეთი სიტყვის მოსმენა,
დაბლა დაყარა ოქროს კოჭები და ჩაეჭიდა დედას კალთაში.

---

* არა ადრესტე, რაც ზოგ თარგმანშია. ადრასტე, საკ. ადრასტეია, ცნობილი ნიმფა იყო, კრეტის მეფის ასული, ზევსის გამზრდელი (იყო სხვა ადრასტეაც, ფრიგიის რეა კიბელეს ზედწოდება ,მერე ნემეზიდას გაუტოლეს. სალოცავი ჰქონდა მდ. ეზოპოსთან). სულ სხვაა ადრასტოსი — არგოსის მეფეთაგანი, განდევნა ამფიარაოსმა, მონაწილეობდა შვიდთა ლაშქრობაში, გადარჩა, ათი წლის შემდეგ მოაწყო ეპიგონების ლაშქრობა თებეს წინააღმდეგ (ასევე ერქვა ფრიგიის მეფის შვილს, რომელმაც მეგობრის, უცაბედად ძოკლულის საფლავზე თავი მოიკლა).

** ჰეფესტო აფროდიტეს ქმარია, მაგრამ არაა ეროტის მამა. შვილები კიპრიდას სხვებისაგან ჰყავდა: არესისაგან (ეროტი, ანტეროტი, ჰარმონია, ფობოსი და დეიმოსი), ჰერმესისაგან (ჰერმაფროდიტი), ანქიზისაგან (გმირი ენეოსი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევდა ქალღმერთის ქიტონის კალთებს, არ ეშვებოდა ცელქი ეროსი,
ეხვეწებოდა საყვარელ დედას, მომე ახლავე შენი ბურთიო!
ის კი ლოყებზე უსვამდა ხელსა, ნაზად ჰკოცნიდა და ეხვეოდა,
თან ღიმილითა და დაყვავებით ეუბნებოდა ნაზი ხმით ასე:
„ვფიცავ ჩემს თავსა, და მასთან ერთად შენს ძვირფას თავსაც, შვილო
რჩეულო, 150
მე იმ საჩუქარს მოგცემ უთუოდ, როგორც დაგპირდი, არ მოგატყუებ,
თუ აიეტის საყვარელ ასულს ნამდვილად დაჭრი შენი ისრითა“, —
უთხრა კიპრიდამ, ხოლო ეროსმა ფიცხლავ აკრიფა ისევ კოჭები,
გადათვალა და უკლებრივ ყველა ჩაყარა დედის ციურ კალთაში*.
მყისვე აიღო ხელში კაპარჭი, იქავე ხეზე მიყუდებული,
გადაიკიდა მარდად მხარზედა, ისრებით სავსე, ოქროს ღვედითა,
და მოხრილ მშვილდსაც ჩაავლო ხელი... ყვავილოვანი, ნაყოფიერი
გადაჭრა ზევსის ხეხილის ბაღი, ციურ ოლიმპოს განვლო ჭიშკარი,
გასცდა იმ მიჯნას, სადაც იწყება გზა, დამავალი დედამიწაზე. 160
სწორედ აქ ორი ციური ღერძი სვეტისთავების მსგავსად ეყრდნობა
ფრიალო მთათა მაღალ მწვერვალებს, ამ ორ კენწეროს დედამიწისას.
ამომავალი მზე პირველ სხივებს სწორედ აქედან უგზავნის მიწას.
დაბლა კი, ქვემოთ, ეთერში მფრინავ ღმერთს ეშლებოდა სხვა სანახები:
ხან მოქარგული მინდორ-ველები, მიწა ლამაზი, დაბა-ქალაქნი,
ხან მოდუდუნე წმინდა მდინარე, ხანაც კლდეები, გარშემო ზღვები.

ამასობაში გემზე გმირები კვლავ განაგრძობდნენ სჯასა და ბაასს,
ფაზისის ფართო ლერწმნარ ჭაობში, ამ საიდუმლო თავშესაფარში.
აქ ეზონიდმა აიღო სიტყვა და წინამძღოლის გონივრულ განსჯას
გემის ერდოზე ფეხმოუცვლელი ყველა ვაჟკაცი აპყრობდა სმენას. 170
თქვა: „მეგობრებო! ახლა კი მინდა გადმოგიშალოთ გულისნადები,
და ჩანაფიქრის დადასტურება — ეს უკვე საქმე იქნება თქვენი.
ჩვენი საქმეა საერთო, და განსჯაც უნდა იყოს საერთო.
ხოლო ვინც თავის აზრსა და თათბირს დუმილით ფარავს — უნდა იცოდეს,
ის ერთი უშლის ვაჟკაცთა ლაშქარს მშვიდობიანად შინ დაბრუნებას.
ჩემი აზრია: აღჭურვილები დარჩით ხომალდზე მშვიდად და წყნარად,
მე კი აიეტ მეფის სასახლეს მივაშურებ და ვიახლებ მხოლოდ
ფრიქსეს შვილებსა და მათთან ერთად ორ უახლოეს, ერთგულ მეგობარს.
პირველ ყოვლისა, მე შევეცდები მოვინადირო ხელმწიფის გული,
კეთილი სიტყვით შევთხოვ, შევიტყობ, თუ დათმობს საწმისს
მშვიდობიანად. 180
ხოლო თუ თავის ძალის იმედით ამპარტავნულად გვითხრა უარი,
თუ დავრწმუნდები მისი თქმულიდან, რომ წარმატებას არ უჩანს პირი,
დავბრუნდები და ერთად განვსაჯოთ, ბრძოლა შევბედოთ მეფეს ფიცხელი,
თუ სხვა რაიმე ვიღონოთ კიდევ და სისხლისღვრაზე ავიღოთ ხელი.
ჯერ კი, მის პასუხს ვიდრე მოვისმენთ, ძალმომრეობით არ უნდა ვცადოთ
წავართვათ მეფეს მისი ქონება, — არამც და არამც! ამას სჯობია
ჯერ ტკბილი სიტყვით ვცადოთ, მოვთაფლოთ, მოვინადიროთ გული მეფისა!

---

* კოჭაობის ეპიზოდი როდოსელისეულია, და მრავალ სხვა ეპიზოდთან თუ ვრცელ მხატვრულ შედარებასთან ერთად მოწმობს მის გემოვნებას, ორიგინალობას, ფანტაზიის სიმდიდრეს იქაც კი, სადაც მითის ჩარჩოები ზღუდავენ.

ხშირად რბილი და კეთილი სიტყვით მოგვარებულა საქმე ისეთი,
რაც ქედმაღლური ქიშპით და ბრძოლით ძალზე ძნელად თუ მორიგდებოდა.
აკი ოდესღაც მან შეიკედლა და ჩაისიძა ქებული ფრიქსე. 190
როს დედინაცვლის კლანჭებს გაუსხლტა, მსხვერპლად სწირავდა მშობელი მამა.
ყველას აქვს ზევსის რიდი და კრძალვა, სტუმართა მფარველ უზენაესის,
ქვეყნად ყველაზე კადნიერებიც პატივსა სცემენ მის კანონ-წესებს".

ასე თქვა გმირმა და მოიწონა ეზონის შვილის სიტყვა ლაშქარმა,
ერთიც არავინ გამოჩენილა, წინ აღდგომოდა გონივრულ განსჯას.
მაშინ წამოდგა ეზონის ვაჟი, ფრიქსეს შვილები გაიყოლია,
ტელამონი და ავგიეც მათთან, თვით კი აიღო ჰერმესის კვერთხი.
ასე დატოვა შვიდივე გემი, განვლეს ლერწნარი, დამდგარი წყალი,
და გადავიდნენ ხმელეთზე, სადაც გორაკთა რიგი გაზიდულიყო.
კირკედ წოდებულ ველზე გავიდნენ[12] და ფეხი შედგეს ერთ-ერთ
გორაკზე. 200
აქ უხვად იყო ძეწნა, ტირიფი, კირკეს ველზე და მდინარის პირას.
მაღლა ტოტებზე თოკით მიკრული იყო გვამები მიცვალებულთა:*
კოლხებს დღესაც კი თავზარსა სცემთ და ცოდვად მიუჩანთ გვამების დაწვა,
არც შავ მიწაში მარხავენ მკვდარსა, რომ ზედ ყორღანი აღმართონ მერე, —
ჯერ გაახვევენ ახლად დაკლული ხარის მოუქნელ ტყავში გვამსა და
მერე ჰკიდებენ მაღლა ხეებზე, მყუდრო ჭალაში, ქალაქგარეთა.
მაგრამ ჰაერის კიდეგან მიწაც იღებს თანაბრად იქ თავის წილსა,
რადგანაც ქალებს, რომ მოკვდებიან, მიწის წიაღში აძლევენ ბინას.
ასეთი არის იმ ქვეყანაში მიცვალებულთა დაკრძალვის წესი![13]

არგონავტების მფარველმა ჰერამ ნისლით დაფარა მთელი მიდამო. 210
ჯანღით დაბურა ქალაქი ეაც, რომ სასახლემდე ევლოთ ფარულად,
კოლხთა მრავალი ათასიანი ხალხის თვალისთვის შეუმჩნეველთა.**
მაგრამ როგორც კი ველი გალიეს, აიეტ მეფის ჭიშკრებს მიადგნენ,
ანაზდეულად გაფანტა ჰერამ ჯანღი, ქალაქზე ჩამოწოლილი,
და შესცქეროდნენ გაოცებულნი კოლხთა მბრძანებლის მზიურ სასახლეს,
ციხეს, გალავანს, ფართო კარიბჭეს და მშვენიერი სვეტების სარტყელს,
კედლებს გარშემო რომ ევლებოდა მოჩუქურთმებულ, მჭიდრო რკალადა.
სასახლის ზემოთ, ლავგარდნის თავზე, მყარი სპილენძის მძიმე ფილებზე
აღმართულიყო ქვის კოხტა კოშკი. დიდოსტატური ზრუნვით ნაგები.***
იაზონმა და მისთა მხლებელთა ზღურბლზე უსიტყვოდ გადააბიჯეს.
ვაზის ლერწები მწვანე გვირგვინად დახვეულიყვნენ, შეფოთლილები; 220

---

* ხეზე გვამების მიბმა უკანასკნელ დრომდე იცოდნენ აფხაზეთში, ოღონდ მეხით დაღუპულებისა (იხ. ჯავახ. გრ. წერეთელი).

** გმირების ნისლით დაბურვის ამბავი ჰომეროსის „ილიადაშიც" გვხვდება (ამით იხსნეს ჰექტორი ღმერთებმა) და ვერგილიუსის „ენეიდაშიც".

*** ლაპარაკია დორიული სტილის შენობის ელემენტებზე — მეტოპის შემნაცვლელ ტრიგლიფებზე, რომლებზედაც, ფრიზის ზემოთ, ან შენობის ზედა სართულია დანდობილი, ან სამკუთხა ფრონტონი, ან კიდევ კოშკი. ანტიკური სტილის ანალოგიური ელემენტები — მეტოპის ოთხკუთხი ფილა, მოჩუქურთმებული სვეტისთავები, ფრიზის ნამუსრევი, ფრონტონის ნაწილები მრავლადაა ძველი კოლხეთის მიწა-წყალზე, ვანის სამარხთა წიაღში და სხვ. ეს ნივთიერი საბუთებია იმისა, რაც „არგონავტიკაში" პოეტურად აისახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო იყო ვაზის ყვავილობისა, აღმა ასული ამკობდა სვეტებს,*
დაბლა კი ოთხი მარად უშრობი წყარო შადრევნად მოჩუხჩუხებდა,
ჰეფესტო ღმერთის ხელით გათხრილი მიწის გულიდან მორაკრაკენი.
ერთი მათგანი რძის წყარო იყო, მეორე ღვინის, ხოლო მესამე
სურნელოვანი ზეთისა გახლდათ, მეოთხე — წყაროს წყალი ანკარა,
პლეიადების ჩასვლის ჟამისთვის[14] ეს შადრევანი თბებოდა ხოლმე.
და ცაზე მათი ამოსვლის ჟამს კი ყინულზე ცივი, ბროლივით სუფთა
ბოწანწკარებდა ლოდის ხვრელიდან დაუშრეტელი, მაცოცხლებელი.
აი, რამდენი რამე შეუქმნა ღმერთმა ჰეფესტომ აიეტ მეფეს!
შემდეგ სპილენძის ფეხებიანი მძლავრი ხარებიც გამოუშვედა, 230
სპილენძისავე ჰქონდათ ხახები და ცეცხლის ალი ამოსდიოდათ.
გამოუშვედა რვალის გუთანი, მტკიცე, მთლიანი, და ეს აჩუქა** —
ამით მიუზღო სამაგიერო მარჯვე ოსტატმა უკვდავ ჰელიოსს,
ფლეგრის ბრძოლაში*** დაღლილი ღმერთი მზიური ეტლით რომ გაიტაცა.[15]
ეზოში იდგა სახლი და ჰქონდა ურიცხვი მტკიცე ორმაგი კარი,
ფართო ტალანის ორსავე მხარეს სამყოფელები იყო ურიცხვი.
მარჯვნივ და მარცხნივ უფრო მაღალი ორი ლამაზი შენობა იდგა,****
მოსასვენებელ ოთახ-სენაკთა მაღალი წყებით შემოვლებული;
ერთში ცხოვრობდნენ თვითონ მეუფე აიეტი და მისი მეუღლე,
მეორეში კი ტახტის მემკვიდრე, აიეტ მეფის შვილი აფსირტე. 240
ის უშვა ნიმფამ კავკასიელმა, ასტეროდეად სახელდებულმა,
ადრევე, ვიდრე ოკეანის და ტეთისის***** უმცროს ასულს იდიას
არ მოიყვანდა და დაისვამდა ის კანონიერ თავის მეუღლედ.
მთელს სამეფოში განირჩეოდა ტახტის მემკვიდრე მშვენიერებით,
და ფაეთონი[16] უწოდეს კიდეც კოლხთა მოყმეთა, პატივის ნიშნად.
სხვა ოთახებში ცხოვრობდნენ მეფის მოახლენი და ორი ასული —
ტურფა მედეა და ქალკიოპე. გმირებმა მოჰკრეს თვალი მედეას,
საყვარელ დასთან რომ მიდიოდა თავის სამყოფელ ოთახებიდან.
ახლა ის ჰერამ ორსად გაუშვა, განზრახ დატოვა სასახლის ჭერქვეშ,

---

* მარტო ეს ეპიზოდიც და დეტალიც — სასახლის სვეტებზე ვაზის შემჩნევა კოლხთა ყოფის პირველ ნიშნად — მოწმობს, რომ მითს საფუძვლად უდევს რეალური ამბები, საქართველოსა და საბერძნეთის უძველესი ურთიერთობის ფაქტი.

** ის, რასაც პოეტი ღმერთებს მიაწერს, კოლხეთში ადამიანის ხელით კეთდებოდა: რვალის გუთანი და სპილენძისფეხებიანი ხარები მოწმობენ რკინის, სპილენძისა და ფოლადის დამუშავების კულტურაზე, რაც კოლხეთში ძველთაგანვე ცნობილია.

*** თუმცა პროზ. თარგმანში ფლეგრის ბრძოლა წერია, უფრო სწორია ფლეგრეის ბრძოლა (ფლეგრეია პედია, phlegraei Campi, Flegräischer Scrlacht, флегрейская битва აქ, ფლეგრეის ნაყოფიერ ვულკანურ ველზე, კუმეისა და კაპუას შორის კამპანიაში მოხდა ღმერთებისა და გიგანტების ბრძოლა, რომელშიაც ზევსის მოდგმამ გაიმარჯვა. უწინ ამ ბრძოლის ადგილად ასახელებდნენ ქალ — კიდიკის დას. მდებარე ფლეგრას („ცეცხლის ადგილი", ჰელენეს ნახ. — კუნ.).

**** გრ. წერეთლის ბრწყინვალე პოეტურ თარგმანში, სადაც საერთოდ იშვიათად შეინიშნება სიტყვის და ფრაზის გამოტოვება და გადახვევა, აქ წერია „ორი ლამაზი პორტიკი", მაგრამ არ ჩანს, რომ ესაა ცენტრალურ შენობაზე უფრო მაღალი.

***** ზოგ თარგმანში (მაგ. ოზიანდერისეულში) შეცდომით წერია თეტისი (Thetys). უნდა იყოს ტეთისი (Tethys): პირველი იყო ზღვის ნიმფა, ნერევსის და დორისის ცნობილი ასული, რომელმაც პელევსს აქილევსი აჩუქა (უწინასწარმეტყველეს, შვილი მამაზე ძლიერი გეყოლებაო, და ამით შეშინებულმა ზევსმა მისი თავი პელევსს დაუთმო); მეორე, ტეთისი, ტიტანი ქალია, ურანოსის და გეას ასული, ოკეანის ცოლი, მდინარეთა და ოკეანიდების დედა. ესაა აიეტის ცოლის იდიას დედა.

თორემ ნახავდით შინ იშვიათად აიეტ მეფის უმრწემეს ასულს: 250
იყო ერთთავად, ფეხმოუცვლელად ჰეკატეს ტაძრის საკურთხეველთან,
ღვთისმსახურებით იყო გართული დიდი ქალღმერთის ქურუმი ქალი.
ნახა მედეამ უცხოელები და უნებურად შეჰკივლა ერთი,
ესმა სენაკში ქალკიოპესა, უშვეს მხევლებმა ხელსაქმეს ხელი,
დაბლა დაყარეს თითისტარები, ძაფის გორგლები, და როგორც ერთი,
გავარდა გუნდი მოახლე ქალთა გარეთ, მედეამ სადაც შეჰკივლა.
იქ ქალკიოპემ უცხოთა შორის ღვიძლი შვილები როცა იხილა,
შვებით აღაპყრო ხელები ცაში, იქით შვილებმაც გაიხარეს და
მშობელს მისცვივდნენ, უთხრეს სალამი, იჯერეს გული ხვევნა-კოცნითა,
და ქალკიოპემ საყვარელ შვილებს შესაბრალისი სიტყვით მიმართა: 260
„აღარ გაგიშვებთ მეტად, შვილებო, უცხო მხარეში სახეტიალოდ!
ბედმა და წერამ ხომ დაგაბრუნათ, დედის უმწეოდ მიმტოვებელნი!
როგორ დამტანჯეთ! რამ გადაგრიათ, მამის სურვილის აღსასრულებლად
რას მიაშურეთ სადღაც საბერძნეთს, სადაც საფრთხეა ყოველ ნაბიჯზე?
ფრიქსეს ანდერძი უკანასკნელი მძიმე ლოდივით დამაწვა გულზე!
რისთვის გაცურეთ, რად მიაშურეთ იმ დასაღუპავ ქალაქ ორქომენს,
და ათამასის ქონებისათვის ზურგი აქციეთ უბედურ დედას?“

ასე თქვა ქალმა. ბოლოს გამოჩნდა კარებში თვითონ აიეტ მეფე-
თან მოჰყვებოდა ცოლი იდია, მასაც ასულის ხმა გაეგონა.
მყისვე შეიძრა სასახლე ვრცელი და ახმიანდა ყველა დარბაზი. 270
კოლხეთის მეფემ და დედოფალმა შეიპატიჟეს უცხო სტუმრები.
მონებმა შეშის ჩეხვა დაიწყეს სპილენძის მძიმე ნაჯახებითა,
დაკლეს ხარი და დაკეპეს ხორცი, ზოგიც ათბობდა აბანოს წყალსა.
გულხელდაკრეფილს ერთს ვერ ნახავდით — ყველა ცდილობდა მეფის ამებას.

ამასობაში ლაჟვარდი ციდან ჩუმად მოფრინდა ავი ეროტი,
და ისე, როგორც გაშლილ ველებზე დააფრინდება დეკეულს კელა,
„ძროხის ბუზანკალს“ რომ ეძახიან დასაბამიდან მთაში მწყემსები, —
სასახლის კარის წირთხლზე გაჩერდა შეუმჩნეველი და უჩინარი,
მოზიდა მშვილდი, იძრო ბუდიდან ვნების ისარი ახალთახალი,
გადააბიჯა კარის ზღურბლზე და ჩადო ისარი სახმილთა მწველთა. 280
დაბლა დაეშვა ხელმარჯვე ბიჭი, თვალი შეავლო იქაურობას,
ამოეფარა იაზონს უკან, მოარგო შუა ლარზე ისარი,
ორივე ხელით დაჭიმა ლარი და უფრო მძლავრად მოზიდა მშვილდი,
სტყორცნა ისარი მედეას გულში, მყისვე დაბნიდა მეფის ასული.
ცელქი ეროტი სიცილ-კისკისით ასცდა სასახლის მაღალ სახურავს,
გაფრინდა ცაში, ხოლო ისარი შიგ გულში მოხვდა გრძნეულ მედეას.
ღრმად ჩაესო და ცეცხლი შეუნთო... იჯდა, იწვოდა ქალწული ქალი,
იაზონისკენ გააპარებდა ვარდნილ ვარსკვლავის ცეცხლოვან მზერას.
გული საგულეს ვერ ეტეოდა, წყნარად დნებოდა და ელეოდა.
ხშირად კვნესოდა შვებით ტანჯული, ახსოვდა მხოლოდ ეზონის ვაჟი. 290
როგორც მაშვრალი მქსოველი ქალი მიმქრალ კერაზე ხანგამოშვებით
ფიჩხებს დააყრის მძიმე მუგუზალს, რომ არ ჩაუქრეს ცეცხლი დილამდე,
და მერე ისევ ქსოვას განაგრძობს, მშვიდად დამჯდარი ცეცხლაპირასა,
მუგუზალი კი აგიზგიზდება, დაიწვის ფიჩხი სულერთიანად, —
მედეას გულშიც ასე აენთო და აგიზგიზდა შმაგი ეროტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც სიღრმეში დაბუდებული, და დაუკარგა სულის სიმშვიდე.
ტკბილი განცდებით გონდაკარგული ქალწულის სახე ხან ილეოდა,
ხან უნებურად აენთებოდა და ასდიოდა ვნების ალმური.

მალე, მას შემდეგ, რაც მსახურებმა გამოიტანეს სასმელ-საჭმელი,
ხოლო სტუმრებმა სული მოითქვეს და განიბანეს ცხელი წყლით ტანი, 300
სუფრას მიუსხდნენ დამშეულები, იჯერეს გული სმითა და ჭამით.
ამასობაში აიეტ მეფემ თავისი ღვიძლი ასული შვილებს
ამბავი ჰკითხა და მოითხოვა დალაგებულად ეთქვათ ყოველი:
„შვილებო ჩემი ქალიშვილის და ფრიქსესი, ვისაც ვეცი პატივი
ყველა უცხოელ სტუმარზე მეტად ამ ჩემი დიდი სასახლის ჭერქვეშ, —
რისთვის დაბრუნდით ისევ ეაში? ხომ არ შეგემთხვათ გზაში ხიფათი?
თუმცა მშვიდობით გადარჩენილხართ, ჩანს, შუაგზაზე მოგიხდათ მარცხი.
აკი გითხარით — არ დამიჯერეთ! — უსასრულოა მანძილი-მეთქი:
ეს მე გავიგე, რომ მამის ეტლით ქვეყნიერება შემოვიქროლე —
როცა ჰელიოსს ჰესპერიაში[18] მიჰყავდა ჩემი ღვიძლი და კირკე. 310
ჩვენ მივაღწიეთ ტირენის მიწას* და იმ შორეულ ზღვის სანაპიროს,
სადაც გაშლილა ჰესპერია და სადაც ბინადრობს ჩემი და დღესაც.
შორსაა ჩვენგან ის ზღვა და მიწა: სად კოლხეთი და სად ტირენიკე!
მაგრამ რა გემო აქვს ჩემს მოთხრობას? ჯობს დალაგებით მიამბო თვითონ,
რამ შეგაფერხათ შორეულ გზაში, ვინ მოგყოლიათ უცხო ქვეყნიდან?
სად გამოხვედით, სად არის ახლა ის მშვენიერი ჩემი ხომალდი?“

ასე იკითხა აიეტ მეფემ, და მას არგოსმა მიუგო ფიცხლავ.
შეშინებულმა, ძმამ არ დამასწროს, არა ავნოს რა იაზონსაო.
უფროსი იყო ძმებში არგოსი და სიტყვა ჰქონდა წყნარი, წყობილი:
„დიდო მეფეო, მალე დალეწა ქარიშხლიანმა ზღვამ ჩვენი გემი, 320
ძელს ჩავეჭიდეთ ძალუმ ზვირთებზე და შიშით გულებდახეთქილები
ტალღამ გაგვრიყა ღამით კუნძულზე, ენიალიოსს რომ ეძახიან[19] —
ომის ღვთაების არესის კუნძულს... ჩანს, რომელიღაც ღმერთი გვწყალობდა!
აღარ ბუდობენ იმ უკაცრიელ, ხრიოკ კუნძულზე უწინდებურად
არესის უნდო, ავი ფრთოსნები — ჭაჭანებაც კი არ იყო მათი.
აი, ამ გმირებს განუდევნიათ, ნაპირზე გასულთ თავის გემიდან.
ჩვენზე ერთი დღით ადრე მისულებს — შეყოვნებულან, ჩვენდა ნუგეშად,
შემთხვევა იყო თუ შეგვიბრალა მოწყალე ზევსმა და შეაჩერა!
გვიხსნეს და მოგვცეს ტანზე სამოსი, ფეხზე ჩაგვაცვეს, გვასვეს, გვაჭამეს,
როგორც კი ესმათ სახელოვანი ფრიქსეს სახელი, შენი სახელი, 330
დიდო აიეტ, და რომ იცოდე, შენთან მოსულან სათხოვნელადა!
თუ მკითხავ, რისთვის, რასა მთხოვენო, გეტყვი, არაფერს არ დაგიფარავ:
ამ ქებულ კაცის განდევნა უნდა ერთ ბოროტ მეფეს თავის ქვეყნიდან.
სურს მიითვისოს მისი ქონება, რადგან დიდებით ეოლიდებში
ამან დაჩრდილა დანარჩენები; ახლა იმ ვიღაც მეფემ უბრძანა
წამოსულიყო სწორედ კოლხეთში: ვერ დავაღწევო თავს თვითონ მეცა

---

* ზოგ თარგმანშია ტირსენი, ტირსენისის მიწა, მაგრამ მიწასაც და ზღვასაც სინამდვილეში ეწოდება ტირენი. ტირენია: ბერძ. Tyrrhenikon pelagos — ტირენიკე . თალასა, ლათ. მარე ინფერუმ — „ქვედა ზღვა“: ადრიატიკის ანუ ზედა ზღვის სამხრეთით, იტალიასა და სარდინიას შორის რომ გაშლილა. სახელწოდება მიიღო ლიდიის მეფის ატისის ძის ტირრენოსისგან (იგ. ტირსენოს), რომელმაც იტალიაში კოლონია დააარსა.

სასტიკი ზევსის შურისძიებას, მის დაუნდობელ რისხვას და წყრომას, —
ყველა ეოლიდს უწევსო ცოდვა,[20] რაც ჩაიდინა ოდესღაც ფრიქსემ,
თუ შენი ხელით ოქროს საწმისი არ დაბრუნდება ელადაშიო!
თვითონ ათენა პალადამ შექმნა მათი ხომალდი, არა ისეთი,
როგორიც არის ჩვენი კოლხური გემი, მოკვდავთა ხელით ნაგები.
ჩვენც ხომ ასეთი გემი გვიბოძე, ყველაზე უფრო სუსტი მათ შორის!
და ის ადვილად დალეწა ქარმა, ხარბმა ტალღებმა დაშალეს, შთანთქეს!
ეს კი დგას, ისევ ისე ნაჭედი, თუმცა შებმია ყველა ქარიშხალს!
ქარშიც მიჰქრის, ქარკეთილშიც, და მაშინაც მიჰქრის სწრაფად,
პირქარში რომ ზღვაოსნები აწვებიან მძიმე ხოფებს.
პანაქეის ყველა მხრიდან წამოსულა გმირთა დასი,
და ეს კაცი გეევედრები, დატანჯული შორი გზითა,
იმედი აქვს, შენს ქალაქში შენი ნებით მისცემ საწმისს.
როგორც ინებებ, ისე იქნება! იმისთვის როდი მოსულან შენთან,
რომ შენზე ხელი გამოიღონ და ფონს გასვლა სცადონ ძალადობითა.
არა, მზად არის შენი სტუმარი, საჩუქრისათვის გიზღოს ორწილად.
ჩემგან გაიგო, რომ შენი ძველი მტრები ყოფილან სავრომატები.[21]
დღესვე მზად არის, რომ გაილაშქროს, შენს სკიპტრა-გვირგვინს დაუმორჩილოს.
დაბოლოს, თუ გსურს, ამ უცხოელთა იცოდე გვარი, მოდგმა, სახელი,
მე სათითაოდ გაგაცნობ ყველას, გეტყვი გმირების ჩამომავლობას.
მოყმე, ვისთვისაც შემოუყრიათ თავი ელადის დარჩეულ გმირებს,
იაზონია, ეზონის შვილი, და პაპამისი იყო კრეთევსი.
რაკი კრეთევსის შვილიშვილია, ნათესავია მამის მხრივ ჩვენი.
აკი კრეთევსი და ათამასი ძმები ყოფილან, ეოლიდები.
ფრიქსე ხომ, როგორც მოგეხსენება, ძე იყო მეფე ათამასისა.
ეს მეორეა გმირი ავგეა, ერთ-ერთი შვილი ჰელიოსისა.
ხოლო მესამე ტელამონია, ეაკეს შვილი სახელგანთქმული,
თვითონ ეაკე, თავადაც უწყი, ოლიმპიელი ზევსის ძე იყო.
სხვა დიდებული თანამგზავრები, აქ რომ იაზონს გამოჰყოლიან, —
ან გახლავთ ყველა უკვდავთა შვილნი, ანდა უკვდავთა შვილიშვილები".

არგოსის სიტყვამ კოლხეთის მეფე ბრაზით აღავსო და გააშმაგა.
უსმენდა, მაგრამ ახრჩობდა ბოღმა, ბორგავდა, გულზე ცეცხლმოდებული,
და წარბთა ქვეშე ნაღვერდლებივით ღვიოდნენ მისი კუშტი თვალები.*
ის ქალკიოპეს შვილებზე იყო ყველაზე მეტად განრისხებული,
რადგან ეგონა, მის სამეფოში მათ მოიყვანეს უცხოელები:

„შორს ჩემგან! — ასე შესძახა რისხვით, — არ დამენახოთ, მუხთალნო.
თვალით!

გეყოფათ როშვა! დატოვეთ მიწა და გააბრუნეთ ხომალდი უკან!
მე თქვენ გიჩვენებთ საწმისს და ფრიქსეს! ვერ ეღირსებით თქვენ იმის ხილვას!
საწმისისათვის როდი მოსულხართ თქვენ ელადიდან ასე სასწრაფოდ.
არა! თქვენ გინდათ სკიპტრა წამართვათ, დაიპყროთ ჩემი მიწა და წყალი.
თქვენი ბედი, რომ ჭერქვეშ მიგიღეთ და პურ-მარილი იგემეთ ჩემი,

* როგორც გრ. წერეთელი აღნიშნავს, აიეტის ასეთი უმიზეზო რისხვა როდოსელს აოა-აქვს მოტივირებული, მაგრამ დიოდორე გვიხსნის (IV, 47, 6), რომ აიეტს უწინასწარმეტყველეს: ოქროს საწმისის წაღება და შენი აღსასრული ერთი იქნებაო. როდოსელის მოტივი — ტახტის დასაკუთრება გინდათო, ნაკლებ სარწმუნოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ მაგ ენებს ამოგაცლიდით, ხელებს მოგკვეთდით და გაგიშვებდით
თქვენს ელადაში მხოლოდ ფეხების ამარა, თქვენდა სამარცხვინოდ,
რათა ხალხი ქვეყნად თარეშის აღარ გქონოდათ აღარასოდეს, 380
და აღარ გეთქვათ, ცრუპენტელებო, უკვდავ ღმერთებთან ნათესაობა!"

ასე ბრძანებდა მრისხანე მეფე, და ეაკიდის ამაყი გული
ბრაზით აენთო. ცოტაც კიდევ და შეუპოვარი, მძლე ტელამონის
გულიდან ბრაზი გადმოხეთქავდა წინდაუხედავ, მრისხანე სიტყვად.
მაგრამ მიუხვდა ეზონის შვილი, დაასწრო გმირს და მშვიდად დაიწყო:

„ასე ნუ წყრები, ნუ ხარჯავ რისხვას, მეფეო, ჩვენი ლაშქრის წინაშე!
ჩვენ ანგარებით ატანილები როდი მოვსულვართ ამ შენს ქალაქში, —
ვინ გაბედავდა, რომელი გიჟი, გასამდიდრებლად თავისი ნებით
ამ სიშორეზე გამოლაშქრებას, ზღვათა უცნობთა გადმომლახველი?
არა, მე ჩემმა ბოროტმა ბედმა და ავმა მეფემ გამწირეს ასე! 390
არ გააწბილო მავედრებელნი, რომ ჩემს ელადას მოვფინო, მეფევ,
შენი დიდება მარადიული. ჯერ კი ახლავე მზადა ვართ შენთვის
არესის საქმე ვიტვირთოთ მძიმე — სამსახურისთვის მოგემსახუროთ:
სავრომატების დაპყრობას იტყვი[21] თუ სხვა ტომების დამორჩილებას,
ჩვენ გავილაშქრებთ და ვაიძულებთ შენი სკიპტრის ქვეშ დადრეკონ ქედი".

ასე ლამობდა ეზონის შვილი მოეგო გული კოლხთა მეფისა.
დაფიქრდა მეფე. ახლა მის გულში ორი აზრისა იყო ჭიდილი:
ახლავე ჯიქურ დავესხა თავსა, ამბის მთხრობელიც აღარ დავტოვო,
თუ გამოვცადო, ღმერთთა შვილები რა შვილებიცა ბრძანდებიანო!
ეს აზრი უფრო ეჭაშნიკა და ამპარტავნულად უთხრა იაზონს: 400

„ჯობს, უცხოელო, თავი ანებო ზედმეტ ლაპარაკს! რა საჭიროა?
თუ მართლა ღმერთა მოდგმისანი ხართ, და არაფერში ტოლს არ დამიდებ,
სხვისი ქონების გასატაცებლად აქ ჩამოსული გადამთიელი,
მე ოქროს საწმისს არ დაგიკავებ, დაგითმობ, მოგცემ, აგიხდენ ნატვრას,
მაგრამ პირველად მსურს გამოგცადო. მე არ შევცქერი ვაჟკაცებს შურით,
თქვენი ბერძენი ხელმწიფის მსგავსად, რომლის ამბავიც ახლა მითხარით.
შენს ძალასა და ღონეს გამოვცდი მე ძალზე მძიმე საგმირო საქმით, —
მაგრამ რაც გინდა სამძიმო იყოს, მე მას ვაკეთებ საკუთარ ხელით!
არესის ველზე დამიდის ორი ხარი ძალუმი, გალაღებული, —
სპილენძისფეხა ურჩხი ხარები, ხახიდან ცეცხლის ამოსდით ალი. 410
უღელს დავადგამ, შევაბამ გუთანს, დავხნავ არესის ხოდაბუნს ხოლმე.
ოთხი ქცევაა,[22] უცებ გადავხნავ... ხნულში დემეტრეს თესლს არა ვთესავ, —
დეოს[23] თესლის წილ დახნულ მიწაში ვყრი საზარელი ურჩხულის კბილებს,
და იზრდებიან სწრაფად ყანაში აბჯარასხმული ბუმბერაზები
დამეხვევიან საგულმესისხლოდ, მაგრამ უწყალოდ ვცელავ შუბითა.
დილაადრიან შევაბამ ხარებს, ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი ძალუმ მეომრებს,
ხოლო მწუხრის ჟამს ვამთავრებ ხვნასა, მკასა და ცელვას მეომრებისას.
ხომ არ მოახდენ შენც ამ გმირობას? თუ გაგიმართლა, გაგეხსნა ბედი,
საწმისს მიიღებ იმავე დღესა, და მიაშავებ იმ შენს მბრძანებელს,
მაგრამ მანამდე ნუ გაქვს იმედი, ფიქრიც მეტია ოქროს საწმისზე. 420
სამარცხვინოა, უმამაცესმა ულაჩრეს კაცს რომ დაუთმოს რამე!"

თქვა აიეტმა, და იაზონი დამუნჯდა, დაბლა დახარა თავი,
ზარდაცემული იჯდა უსიტყვოდ და გამოსავალს ვერა ხედავდა.
დიდხანს ფიქრობდა შეჭირვებული ხან რას და ხან რას, მაგრამ თანხმობის
მიცემას მაინც ვერა ბედავდა, რადგან დამღუპველ საქმედ მიაჩნდა.
ბოლოს გამხნევდა, ასწია თავი, ორაზროვანი გასცა პასუხი:
„ძლიერ მაფერხებ, და გაქვს უფლებაც, დიდო მეფეო, მომექცე მკაცრად,
მაგრამ რა მძიმეც არ უნდა იყოს შენი პირობა, მაინც ვეცდები
გავკადნიერდე და აღვასრულო, თუნდაც სიცოცხლის ფასად დამიჯდეს.
მოკვდავთათვის ხომ არა არის რა გარდუვალ ბედზე მწარე და მძიმე! 430
მეც მან მარგუნა აქეთ წამოსვლა ვერაგ პელიას მეფის ბრძანებით!“

ასე მიუგო ხელმწიფეს, თუმცა გარდაეწყვიტა გულში იმედი.
აიეტმა კი დარდით დალახვრულ მოყმეს მიმართა სასტიკი სიტყვით:
„რას ფიქრობ ამდენს? წადი ლაშქარში, რაკი მიჩვენებ საგმირო საქმეს!
და შენ ხარების დამორჩილების, გუთანში შებმის თუ შეგეშინდა
ან შეშფოთებით დაიხევ უკან, საშინელ კაცებს რომ ნახავ ხნულში, —
ყველაფრისათვის ვიზრუნებ თვითონ, რომ შეგაძრწუნო და შეგაჯერო,
რა მწარედ ცდება ყველა, ვინც შებმას შეჰკადრებს ვაჟკაცს, ბევრად ძლიერსა!“

თქვა მძულვარებით, და იაზონი წამოდგა თავის მაღალ სკამიდან,
ადგა ავგიაც და ტელამონიც, შემდეგ არგოსიც გამოჰყავთ გმირებს, 440
ხოლო თავის ძმებს თვალი ჩაუკრა, აქვე დარჩითო, ამით ანიშნა.
განვლეს გმირებმა სრა-პალატები და მიაშურეს გარეთ კარიბჭეს.
ეზონის შვილი განირჩეოდა აღნაგობითა და სილამაზით;
ჩუმად უმზერდა უცხოელ გმირის ღვთაებრივ სახეს ტურფა მედეა.
ნაზი პირბადე გადაეწია, ვერ აშორებდა წამითაც თვალსა.
მშვენიერ ასულს აიეტისას დარდი დაღავდა, სევდა იპყრობდა.
როგორც სანუკვარ სიზმარს გაფანტულ, ისე მისდევდა მზერით მიმავალს,
ხოლო გმირებმა დაღვრემილებმა ჭმუნვით დატოვეს მეფის სასახლე,
ქალკიოპემ კი დაუყოვნებლივ სასტიკი მამის სიშმაგის შიშით
თავის სამყოფელს მიაშურა და თან წაიყვანა სამივე შვილი.
უფროს დას გაჰყვა მყისვე მედეაც ისეთი ფიქრით და მღელვარებით, 450
რასაც მოგვივლენს ხოლმე ეროტი, ზეშთაგონების ნეტარ წუთებში.
ის, რაც იხილა, შორს იყო, მაგრამ ჯერ კიდევ თვალწინ უტრიალებდა:
თვით იაზონი, როგორიც იყო და რანაირი სამოსიც ეცვა,
რას მეტყველებდა, და სავარძელში რარიგად იჯდა, როგორ გავიდა,
როგორ დატოვა მამის სასახლე ტანახოვანმა, სწორუპოვარმა,
და გუნებაში ეჩვენებოდა, ქვეყნად არ არის ჯუფთი გმირიო.
სმენას უტკბობდა იმისი სიტყვა, ტკბილი ხმა მშვიდი, ჰაეროვანი;
და კანკალებდა ელდანაკრავი — დაღუპავენო შმაგი ხარები,
ან თვით სასტიკი აიეტ მეფე; ისე დარდობდა, ისე მოთქვამდა, 460
თითქოს ის კაცი გულგანგმირული და დაღუპული ესვენა თვალწინ.
ქალწულს ეჩვენა, რომ უკვე მოკლეს, ღაწვებს ულბობდა მდუღარე ცრემლი.
კაეშანს გულში იკლავდა, მაგრამ ოხვრით წარმოთქვა ასეთი სიტყვა:

„ო, ღმერთო ჩემო, რად ვიტანჯები ასე სასტიკად მე უბედური?
უკეთესია თუ უარესი სხვა ვაჟკაცებზე, მერე რა მინდა, მე რა მაწუხებს?
თუ განწირული არის ნამდვილად, დე, დაიღუპოს, რა მენაღვლება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ნეტავი, გადარჩებოდეს! ო, პერსეიდევ, დიდო ქალღმერთო!
ჰეკატევ, სათნო მფარველო ჩემო! მოსტაცე სასტიკ ბედსა და წერას
და დააბრუნე მშობელ მხარეში უვნებელი და სვებედნიერი!
ხოლო თუ მაინც ხართა წერაა, იცოდე, მაშინ ვერ გავიხარებ!" 470

ვიდრე ქალწულის მღელვარე გული ასეთი ვნების ცეცხლით იწვოდა,
გმირებმა უკან დატოვეს ხალხი და ქალაქ ეას შემოგარენი.
წავიდნენ ისევ იმ გზა-ბილიკით, რითაც ველიდან მოვიდნენ აქა.
მაშინ არგოსმა ასე მიმართა მამაც იაზონს, ეზონის ძესა:
„შენ, ეზონიდო, უარყოფ, ვიცი, სიტყვას, რომელსაც ახლა მე გეტყვი,
მაგრამ საფრთხეში უნდა იხმაროს მოკვდავმა ყველა ღონისძიება.
ადრეც გსმენია ჩემგან ამბავი ერთი გრძნეული ქალწული ქალის.
პერსეს ასულმა ჰეკატემ გაწრთვნა, ჯადოსნურ წამლებს აზავებს აქვე.
ჩვენ რომ ის ქალი გადმოვიბიროთ, მერწმუნე, ბრძოლას მოიგებ შენა
და სახიფათო საგმირო საქმეს დააგვირგვინებ გამარჯვებითა. 480
მაგრამ ვშიშობ, რომ მე ამ საქმეში მხარს არ დამიჭერს მშობელი დედა.
თუ ნებას მომცემ, მე მაინც მივალ, იქნებ მოეალბო, დავიყოლიო, —
დამღუპველ საფრთხის ღრუბელი წვება ახლა, იცოდე, გმირების თავზე!"

ეს თქვა არგოსმა კეთილი გულით, და იაზონმა ასე მიუგო:
„თუ, მეგობარო, ამ აზრისა ხარ, არ დაგაბრკოლებ, ნება დამირთავს.
რა უჭირს, ვიდი სასახლეში და გონივრულ სიტყვით მიმართე დედას,
სთხოვე სიკეთე და თანადგომა, მაგრამ გეტყვი, რომ იმედი ხსნისა
ცოტა გვქონია, შინ დაბრუნების საქმე თუ ასე ვანდეთ დიაცებს".

თქვა ეზონიდმა. მალე ყველანი გემის სადგომთან ჩავიდნენ კიდეც.
ნახეს გმირებმა და გაიხარეს, კითხვას კითხვაზე აყრიდა ყველა. 490
მაგრამ იაზონს სასიხარულო არა ჰქონდა რა, ჩუმტად მიუგო:
„ო, მეგობრებო, გაწყრა აეტი, ცოფს ანთხევს მეფე ძლევამოსილი,
მაგრამ რომ გითხრათ დალაგებულად და დაწვრილებით გაგცეთ პასუხი
ყველა კითხვაზე, რაც თქვენგან მესმის, მერწმუნეთ ბოლო აღარ ექნება.
აი, რა გვითხრა: არესის ველზე მყავს გაშვებული გალაღებული
სპილენძისჩლიქა ორი ხარი და ცეცხლს აფრქვევენო რკინის ხახიდან.
უღელს დავადგამ, გუთანს შევაბამ, ოთხ ქცევა მიწას დავხნავ დღეშიო,
ურჩხულის კბილებს ვთესავ ხნულში და ამოდის გუნდი მიწისშობილთა,
აბჯარასხმული ბუმბერაზების მთელი ლაშქარი დამეხვევაო,
ვცელავ მთელი დღე სპილენძის კაცებს — თქვენც მიჩვენეთო მსგავსი
გმირობა! 500
მეც ვერაფერი ვერ მოვიგონე, თანხმობის გარდა, ვეცდები-მეთქი".

ასე თქვა გმირმა, და უიმედოდ ჩაჰკიდა თავი მთელმა ლაშქარმა.
ვინ მოახდენსო ასეთ გმირობას! და შესცქეროდნენ ერთურთს უსიტყვოდ.
ზაფრა დააწვათ გულზე ვაჟკაცებს, და ბოლოს, ცოტა გონს რომ მოეგო,
ისევ პელევსმა აიღო სიტყვა, გმირებს მიმართა გამხნევებულმა:
„დროა ვიფიქროთ, რა გზას დავადგეთ! ვეჭვობ თათბირმა მოგვცეს იმდენი,
რამდენსაც მოგვცემს ახლა ძალ-ღონე და საკუთარი ჩვენი მარჯვენა.
თუ აეტის ხარების ძლევას ნამდვილად ფიქრობ, ეზონის შვილო,
კისრულობ ეგზომ სამძიმო საქმეს, რა გაეწყობა, ნება შენია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეასრულე დანაპირები, მაგრამ სიფრთხილე კი გმართებს დიდი. 510
თუ არ ხარ მტკიცედ დარწმუნებული შენს ძალასა და შემართებაში,
ნუ აიძულებ საკუთარ თავსა იკისრო ის, რაც არ შეგიძლია.
მე ვერ ვიკისრებ, ნურც შენ იჩქარებ, ნურც გაქვს იმედი შეგცვალოს ვინმემ
მე შენ არ მოგცემ ამის უფლებას, რადგან დაღუპვა მას არ ასცდება!"

ასე ამბობდა ეაკის შვილი. აქ ტელამონმა ვერ მოითმინა.
ზე წამოიჭრა, ველარ გაჩერდა, აჰყვა იდასი, ამაყი მოყმე.
ტინდარიდებიც წამოდგნენ ზეზე, ძმები კასტორი და პოლიდევკე,
და მელეაგრეც, ოინეიდი, ეს პირტიტველა, ჯერაც ჯეელი,
პირველი გმირი ჭაბუკთა შორის, და გმირებშიაც გამორჩეული,
პირს რომ პირველი ღინღლი უმკობდა და ამაყობდა მრისხანე ძალით. 520
დანარჩენებმა დათმეს, დადუმდნენ, აღარა ჰქონდათ თათბირის თავი.
ჰაშინ არგოსმა მიმართა ყველას, ვისაც სწყუროდა საგმირო საქმე:

„ეს, მეგობრებო, შემდეგ იქნება! საგმირო საქმე უნდა აღსრულდეს!
მაგრამ ჯერ ვცადო, იქნება დედამ თქვენდა საშველად იღონოს რამე.
ნება მომეცით წავიდე მასთან, მოვეთათბირო, დავიყოლიო,
და თუმცა იწვით ბრძოლის სურვილით, ჯერ დარჩით გემზე უწინდებურად.
ხშირად მოცდა და თავშეკავება ჯობს განუსჯელად თავის დაღუპვას.
იქ, აიეტის სრა-სასახლეში ცხოვრობს გრძნეული ქალწული ქალი.
ქალღმერთ ჰეკატეს უსწავლებია ჯადოსნურ წამლის შეზავება და
იმ ბალახებით ჩხიბვა, რომელთაც ზრდის ხმელეთი თუ წყალთა წიაღი. 530
მას შეუძლია წამლებით წამსვე დააცხროს ცეცხლის შმაგი გენია,
ხმაურიანი მდინარეები დააშოშმინოს და შეაჩეროს,
გზა ჩაუკეტოს წმინდა მთვარესა და შეაფერხოს მნათობთა სრბოლა.
მე მომაგონდა ის ქალი, როცა სრა-სასახლიდან აქ მოვდიოდით.
ვფიქრობ, იქნება შეიძლოს-მეთქი დედამ თავისი დის დარწმუნება,
დეიდაჩემის გადმობირება, რომ დაგვეხმაროს ამ განსაცდელში.
და თუ ეს აზრი მოგდით ჭკუაში, რაღა თქმა უნდა, მზად ვარ ახლავე
დავბრუნდე უკან, სრა-სასახლეში, და ბედი ვცადო თქვენდა საშველად.
იქნება ღმერთი შეგვეწიოს და ცდა წარმატებით დააგვირგვინოს".

თქვა არგოსმა და ღმერთებმა გმირებს ბედნიერების ამცნეს ნიშანი: 540
ანაზდად ხარბი ქორის დევნილი დამფრთხალი მტრედი დაფრინდა გემზე
და იაზონის მკერდზე დაეცა მაღლით საბრალო გულგახეთქილი.
ბოლო ქორი კი, ავი მდევარი, იქავე მკერდით დაასკდა კიჩოს.
დაუყოვნებლივ მისანმა მოპსემ ასე განჭვრიტა ამ საქმის ბოლო:
„ო, მეგობრებო, ეს სასწაული კეთილ ღმერთების არის ნიშანი!
შეწყდეს თათბირი, ქალწულს მიმართეთ, იხმარეთ ყველა ღონე და ხერხი.
ვფიქრობ, თქვენს თხოვნას გულთან მიიტანს, დახმარებაზე არ იტყვის უარს,
და თუ ფინევსმა სწორად გვისმინა, მხოლოდ კიპრიდას შესწევს უნარი,
რომ დაგვაბრუნოს მშვიდობით შინა, თეთრი მტრედია მისი ფრინველი! —
ნაზი ფრთოსანი მშვიდობიანი, დღეს რომ გადარჩა მტაცებლის კლანჭებს. 550
მეც ამ ფრინველის ფრენის მიხედვით წინასწარ ვხედავ ხვალინდელ დღესა,

---

* გრ. წერეთლის თარგმანში აქ მცირე განსხვავებაა: „მე არ მოგცემ სხვა გმირებით შენაცვლების ნებას, რადგან მათი დაღუპვა ჩემთვის უმძიმესი უბედურება იქნებაო" — თითქოს იაზონის დაღუპვას არაფრად თვლიდეს.

და როგორც მკერდში მიგრძნობდეს გული, დაე, აღსრულდეს ისე ყოველი!
აფროდიტეა ჩვენი მხსნელი და ქალწულიც იმის ნებას დაჰყვება
მაშ კითერეას[52] ვეველროთ, ძმებო, რომ მოგვევლინოს მფარველად ჩვენდა,
და თქვენ კი წუთსაც ნუღარ დაკარგავთ, მყისვე მიჰყევით არგოსის რჩევას".

თქვა და ერწმუნა ახალგაზრდობა, რადგან ახსოვდათ ფინეუსის რჩევა.
მხოლოდ იდასი, აფარეუსის ძე, განრისხებული ზე წამოვარდა,
ბრაზმორეულმა ასეთი სიტყვა წამოისროლა მქუხარე ხმითა:
„ვაი, ღმერთებო! ნუთუ მოვსულვართ ამ ქვეყანაში მსგავსად დიაცთა,
რომ დახმარებას ვთხოვთ აფროდიტეს, არა უძლეველ ენიალიოსს?[27] 560
თქვენ, გვრიტებსა და ქორებს რომ აპყრობთ უმწეო მზერას და მარჩიელობთ,
ნამდვილ ბრძოლაზე რომ აგიღიათ ხელი, ლაჩრულად ხელჩაქნეულებს, —
გაწყდით! გაბრუნდით ბარემ ელადას! თქვენი საქმეა, ვატყობ, დღეიდან
არა ომი და საგმირო საქმე, არამედ ქალწულ ქალთა შეცდენა!"

ასე თქვა, რისხვით გულანთებულმა. ლაშქარში დრტვინვა გაისმა ჩუმი,
მაგრამ ხმამაღლა ვერვინ გაბედა აფარეიდის შეპასუხება.
ის, გულმოსული, ისევ ჩამოჯდა, იაზონმა კი ახალგაზრდობას
წასაქეზებლად ასე მიმართა, მოპსეს მისნობით გამხნევებულმა:
„არა, წავიდეს ბარემ არგოსი, რაკი ასე სურს უმრავლესობას,
ჩვენ კი საფრიდან გავიყვანთ გემსა და მივაყენებთ აშკარად ხმელეთს. 570
ჭაობში მალვა აღარ გვჭირდება, შესაძლო ბრძოლის არ გვეშინია".

თქვა და მაშინვე გზა მისცა არგოსს, გაგზავნა მეფის სრა — სასახლეში.
ფიცხლავ დაბრუნდა მოყმე ქალაქში. ხოლო ხომალდზე დარჩენილებმა
წინამძღვრის ნებით ასწიეს ღუზა და ხოფთა ცემით მიმართეს ხმელეთს,
რათა აშკარად, შეუნიღბავად შემოსდგომოდნენ კოლხეთის მიწას.

ფიცხლავ შეყარა მეფემ კოლხები, იქ, სადაც ადრეც იკრიბებოდნენ —
სასახლის გარეთ, გაშლილ მინდორში, საქვეყნო საქმის! განსასჯელადა.
აიეტ მეფე მინიელ გმირებს საზარელ ტანჯვას განუმზადებდა.
ხალხს ასე უთხრა: რაწამს დაგლეჯენ ცეცხლისმფრქვეველი ხარები მოყმეს,
ვინც თავხედურად დაიტრაბახა ეგზომ საშიში საქმის მოხდენა, 580
ტყიან გორაკზე მუხნარს გავკაფავ, მოვზიდავ შეშას, ზვინებს აღვმართავ,
და ისეთ კოცონს ავაბრიალებ, რომ ცეცხლის ალი ცას ასკდებოდეს,
ხალხსა და ხომალდს დავწვავ ერთიან, რათა ერთბაშად გამოისყიდოს
ეს თავხედური ცოდვა ყოველმა, ვინც განიზრახა მსგავსი საქმეო!
მე ხომ არც ფრიქსე მეხატა გულზე, არც მივიღებდი სასახლის ჭერქვეშ, —
თუმც აღემატა ყველა უცხოელს სიმშვიდითა და სათნოებითა ,—
ზევსს რომ ჰერმესი არ მოეგზავნა მაშინ ზეციდან და არ ეთხოვა
ღვიძლი შვილივით შემოკედლება იმ უწყინარი ეოლიდისა,
და მით უმეტეს, ეგ ყაჩაღები, ჩემს მიწაწყალზე რომ შემოჭრილან,
აქ დიდხანს ველარ იბოგინებენ, ვერ დარჩებიან დაუსჯელადო! 590
სხვისი ქონების გატაცებაში ვინც ასე კარგად გაწაფულია,
აწყობს ფარულად ვერაგულ ხრიკებს, სხვის ნაოფლარზე აღმართავს ხელებს,
შეიპარება ჩუმად ფარეხში და აწიოკებს უწყინარ მწყემსებს, —
გაწყდება ყველა! — თქვა აიეტმა — განუკითხველად დაისჯებაო!
ფრიქსეს შვილების ბედი და წერაც გარდაეწყვიტა მრისხანე მეფეს:

თავს ვერ დააღწევს სასჯელს ვერც ისა, ვინც განიზრახავს პაპის დამხობას,
გადამთიელთა ლაშქარს მოიყვანს, რომ ვერაგულად, შეუფერხებლად
წაართვან სკიპტრა, პატივ-დიდება... თან გაიხსენა გრძნეული სიტყვა,
რაც ჰელიოსმმა უთხრა ოდესღაც: გეშინოდესო მზაკვრული ხრიკის,
დარდის და ურვის მრავალნაირის. და თვითონ შენთა შთამომავალთა! 600
აი, ამისთვის გაგზავნა ფრიქსეს შვილნი შორეულ აქაიაში[28]
მამის ანდერძის აღსასრულებლად და საკუთარი ნება-სურვილით.
ასულთა სულაც არ ეშინია, და აქვს აფსირტეს სრული იმედი, —
როგორ იქნება მათ მისდა სამტროდ აღმართონ ავის მსურველი ხელი!
არა, ხელმწიფე ყოველი საფრთხის ძირს ქალკიოპეს შვილებში ხედავს,
ამიტომ საქმე გაუგონარი უბრძანა კოლხებს გაშმაგებულმა:
გემს უდარაჯეთ, რომ ერთი გმირიც ვერ გაგისხლტესო, ამბის მთხრობელი.

ამასობაში ჩვენი არგოსი დაბრუნდა პაპის სასახლეში და
დაბეჯითებით დაუწყო დედას ხვეწნა-მუდარა, დაგვეხმარეო.
დედის იმედიც ეგა ყოფილა, და მხოლოდ შიში ბოჭავდა თურმე: 610
ვაი თუ გმირებს ვერა ვარგო რა ჩემი ამაო სულისკვეთებით,
და უშედეგოდ გადავეღობო გადაულახავ ბედისწერასა,
დამ დახმარება არ მოისურვოს მამის დამღუპველ რისხვის შიშითო!
ან, დავითანხმო თუნდაც მედეა, ვაი თუ საქმე გამომეღავნდესო,
არ შეისმინოს მამამ ვედრება, თავს დაგვატეხოს რისხვა ღვთისაო!
მაგრამ არგოსის გამხნევებული მაინც მიადგა მედეას კარსა.

მედეა დარდმა არ დააძინა, ღელვამ წარუღო სულის სიმშვიდე,
და ბურანშიაც სულს უშფოთებდნენ მოუსვენარი, ავი სიზმრები.
ესიზმრა, ვითომ იმ უცხოელმა თავს იდო საქმე ის დევგმირული
არა იმისთვის, რომ კოლხეთიდან ოქროს საწმისის წაღება სურდა; 620
საწმისისათვის არ ჩამოსულა ასე სასწრაფოდ კოლხეთში გმირი, —
სულ სხვა ჰქონია გულში იაზონს: ცოლად შეირთოს ნორჩი მედეა
და წაიყვანოს საკუთარ სახლში. შემდეგ ესიზმრა, თითქოს იმ ხარებს
თვითონ შებმია სუსტი მკლავითა და გამარჯვებას აღწევს იოლად.
მაგრამ მშობლები უარზე დგანან, არ ასრულებენ დათქმულ პირობას,
რადგან ხარების გუთანში შებმა მოყმეს ებრძანა და არა ქალწულს.
აი, ამაზე დაიწყო დავა და არა თმობდა არც ერთი მხარე:
აქეთ მშობელი, იქით სტუმრები, და დასასრული არ ჰქონდა დავას!
ბოლოს სადავო საქმის გადაჭრა ისევ მედეას მიანდეს თითქოს,
რომ განესაჯა და გონივრული გამოეტანა მას განაჩენი. 630
თვითონაც მშობლებს აქცია ზურგი და ამჯობინა გადამთიელი,
შმაგად შეჰყვირეს დარდით დალახვრულთ. მშობლის ყვირილი ესმა თუ არა,
გამოეღვიძა, ზე წამოიჯრა, შიშით შეხედა სენაკის კედლებს,
და გონს მოეგო თანდათანობით, სიზმრით დამფრთხალი და დაბნეული
ქალწულის გული ასე ვნებული... მაშინ შესძახა მაღალი ხმითა:
„ვაი, რაღა ვქნა! როგორ დამაფრთხეს ავმა სიზმრებმა მე უბედური!
შიშმა შემიპყრო. გმირთა ჩამოსვლა უბედურებას მოგვიტანს ალბათ!
მე კიდევ სტუმრის მაღელვებს ბედი! რა ვაჟკაცია! მაგრამ, ო, არა!
დაე, შორს ჩემგან, აქაიაში[29] შეირთოს სარგო და გულის სწორი,
მე კი აქ დამრჩეს ჩემდა ნუგეშად ჩემი მშობლები და უბიწობა! 640
დავიმორჩილებ თავხედ გულისთქმას, და დის დასტური თუ არ მექნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არას ვიღონებ! თვით ქალკიოპემ იქნება მთხოვოს თვითონვე შველა.
ნეტავი, მთხოვდეს! აკი თვითონაც ასე აწუხებს შვილების ბედი!
და უცხოელის გამოხსნა გულში მეც ამ კაეშანს გამიქარვებდა.
არა... ჯობია თვითონ წავიდე! ვეტყვი, რომ სტუმრის შველა მწადია!"*

თქვა და წამოდგა, კარი გააღო, შილიფად ჩაცმულს და ფეხშიშველას
დასთან გადასვლა ისე ეწადა, რომ ჩაცმის თავიც აღარა ჰქონდა.
გადადგა ფეხი ზღურბლზე კიდევაც, მაგრამ გაჩერდა გაოგნებული,
სირცხვილის გრძნობამ გააშეშა და გაქვავებული იდგა კარებში.
მერე შებრუნდა, კვლავ გამობრუნდა და უნებურად შებრუნდა ისევ. 650
ასე უაზროდ და უსარგებლოდ ატარა ფეხმა აქეთ და იქით, —
წინ წავიდოდა ერთი ნაბიჯით და უბიძგებდა სირცხვილი უკან,
ნამუსის გრძნობა ბოჭავდა, მაგრამ თავხედი ვნება წინ ეწეოდა.
სამჯერ ინდომა წასვლა მედეამ და შეიკავა სამჯერვე თავი.
მეოთხედ, უკან რომ შემობრუნდა, თავის საწოლზე დაემხო დაბლა.
ვით პატარძალი დასტირის ხოლმე თავის უდროოდ დაღუპულ ქმარსა,
მამის ან ძმების გამორჩეულსა, ვისი ალერსიც ვეღარ ეღირსა,
ბოროტმა ბედმა გამოაცალა, მაგრამ მხევლებთან არ სურს ქვითინი,
რადგან აქვს ხალხის რიდი და კრძალვა, მაგრამ ფარულად გლოვობს
და ტირის,
რომ ადრე დაჭკნა მათი ყვავილი, ვერ გაიხარეს წუთისოფელში, 660
და თუმცა გულზე ედება ცეცხლი, მაინც ფარულად გასულა განზე
და ტირის, ტირის გულამოსკვნილი, უმზერს სარეცელს ცივს და ცარიელს,
რომ არ დასცინონ ჭორიკანებმა ასე უდროოდ დაქვრივებულსა, —
ასე ტიროდა მაშინ მედეაც, დარდი არავის გაუზიარა.
მხოლოდ შემთხვევით მოჰკრა მის ქვითინს ყური ქალწულმა მსახურთაგანმა,
ვინც მას უვლიდა, თან დაჰყვებოდა, — მყისვე გაიქცა შეძრწუნებული
და ქალკიოპეს აცნობა სწრაფად: ისიც შვილებთან იჯდა და ურვით
ძილგატეხილი დაზე ფიქრობდა, როგორა ვთხოვო სტუმრის შველაო!
ამ დროს მოვიდა მოახლე გოგოც და მოახსენა ის, რაც მოესმა.
ფიცხლავ აიჭრა ფრიქსეს ქვრივი და დასთან გავარდა გულგახეთქილი. 670
შეშინებულმა შეაღო სწრაფად ქალმა ქალწულის ოთახის კარი.
ღრმად დაღვრემილი იწვა მედეა, ღაწვებზე ღვარად სდიოდა ცრემლი.
სახეს იხოკდა კაეშნით სავსე. დამ დაუყვავა და უთხრა ასე:

„ვაიმე, ჩემო კარგო მედეა! რა მიზეზია, რისთვის ტირიხარ?
რა დაგმართნია, გამაგებინე, გულში რა დარდი ჩაგიხვევია?
ნუთუ სახსრებში გაგიჯდა სენი, ღმერთების ნებით თავს დატეხილი?
ან იქნებ მამის პირით ნათქვამი სასტიკი სიტყვა გაიგე რამე?
თუ დაგვემუქრა მე და ჩემს შვილებს? ჰოი, ნეტავი, არც ეს სასახლე,
არც პალატები მამისეული, არც ეს ქალაქი აღარ ვიხილო,
ვცხოვრობდე სადმე ქვეყნის კიდეში, სადაც არ ისმის კოლხთა სახელი!" —

ეუბნებოდა დას ქალკიოპე. მას კი ღაწვები გასწითლებოდა,
დიდხანს უშლიდა კდემა-სირცხვილი ქალწულ ქალისა, რომ ეთქვა რამე.
ხან ენის წვერზე მოადგებოდა სათქმელი სიტყვა, გულის პასუხი,
ხან სადღაც შიგნით, მკერდის სიღრმეში გაბრუნდებოდა, ხმა ჰღალატობდა.

---

* ეს სტრიქონი გრ. წერეთლის რუსულ თარგმანში არაა.

კოხტა ბაგეზე მოსული სიტყვა უხმოდ, უთქმელად განქარდებოდა.
ბოლოს კი მაინც ხმა ამოიღო, სძლია ქალწულმა სირცხვილის განცდა
და უთხრა დასა სიტყვა ცბიერი, ურცხვი ეროტის შთაგონებული:

„დაო, მე შენი შვილებისათვის მიღელავს გული და მიპყრობს შიში, —
ვაითუ მამამ ყველანი უცხო სტუმრებთან ერთად დაღუპოს-მეთქი!
ის იყო ოდნავ ჩამთვლიმა დაღლილს, რომ საშინელი სიზმრები ვნახე! 690
ღმერთმა ინებოს მათი გაქრობა, არა ახდენა იმა სიზმართა
ღმერთმა გარიდოს, დაო ძვირფასო, შვილების ბედზე დარდი და ურვა!“ —

ასე მიმართა გამოსაცდელად: ვნახო, იქნება თვით ქალკიოპემ
მთხოვოს პირველად შვილების შველა და უცხოელთა დახმარებაო.
ქალკიოპეს კი, ამის გამგონეს, გული გაუპო გამოუთქმელმა
ურვა-წუხილმა, სუნთქვა შეეკრა, შეძრწუნებულმა ასე მიუგო:
„დაო ძვირფასო, მეც ამის შიშით შეჭირვებული მოვსულვარ შენთან.
იქნებ შეიძლო და შეაზავო რამე წამალი, საშველი მათი.
მაგრამ ცასა და მიწას გაფიცებ,* რომ რასაც ახლა მოისმენ ჩემგან,[30]
ჩვენს შორის დარჩეს, და ჩემი დარდის თანაზიარი იყავი შენცა! 700
გაფიცებ ღმერთებს, თავსა და მშობლებს, მთელს ჩვენს გვარსა და ნათესაობას
იღონე რამე, რომ ამარიდო ღვიძლი შვილების გვამების ხილვა!
თორემ მოვკვდები შვილებთან ერთად და მომავალში საიქიოდან
მოგევლინება შურისმგებელი ერინიების სახით, იცოდე!“[31]

ასე ამბობდა, თანაც თვალთაგან ღვარად სდიოდა მდუღარე ცრემლი.
მედეას მუხლებს ეჭიდებოდა ორივე ხელით საბრალო ქალი,
და თავიც იმის კალთაში ჩარგო**, მაშინ მედეაც დაეშვა დაბლა,
ასე ერთმანეთს ჩახვეულებმა გულგამგმირავი მორთეს გოდება.
გლოვის ნაზი ხმა ოთახს მოედო, სევდა ავსებდა სასახლის ბჭეთაც,
და ნაღვლიანი სიტყვა პირველი ბოლოს მედეამ აიღო ისევ:

„საბრალო დაო! რა წამალია, რა შევაზავო აბა ისეთი,
რომ ერინიად არ გადამექცე და წყევლა-კრულვა არ დამატეხო?
ო, რომ შემეძლოს შენი შვილების გამოხსნა ეგზომ მძიმე საფრთხიდან!
ვფიცავ კოლხების ცხოველ საფიცარს, იმ უზენაესს, რასაც მაფიცებ, —
მოწამე იყოს მაღლა ურანი, დაბლა კი გეა, ღმერთების დედა,
არ დავიშურებ ძალას და ღონეს, რათა დავიხსნა შენი შვილები.
გულს გაგიხარებ, თუ შევიძელი, და აგისრულებ ყველა საწადელს“.

უთხრა მედეამ, და ქალკიოპემ, გამხნევებულმა, ასე მიუგო:
„ხომ ვერ დაიხსნი უცხო სტუმარსაც იმ საშინელი განსაცდელიდან?

---

* დედანშია გეა და ურანი. აქ ერთხელ კიდევ ნათლად იჩენს თავს ბერძენთა გეას (მიწის, მისი ღვთაების) კულტის კოლხური ნიადაგის რეალობა. აპოლონიოსი გარკვევით გვიმოწმებს, კოლხთა მთავარი, უზენაესი და უსაშინელესი საფიცარი ურანი და გეა ყოფილაო დასაბამიდან, ე. ი. ცა და მიწა. ეს ფაქტი შინაარსითაც და ეტიმოლოგიურადაც ისევ უძველეს ქართულში — სვანურში დასტურდება: გიმ — გეა, ღმერთების დედათა დედა; „გიმი ლამზურ ღურმეთ (ღერბეთ)“ — მიწის სალოცავი ღმერთი — დღემდე მტკიცედ შემორჩენილი წარმართული საფიცარია. ამას ემატება მეორე მნიშვნელოვანი დეტალი: ცასა და მიწას სვანი ერთად ფიცულობს ხოლმე: დეცე-გიმი ლამზურღო: ცისა და მიწის მადლმა. ამით დასტურდება კოლხური ფიცის პოპულარობაც ძველ საბერძნეთში.

** კალთაში (in dem Schooss) და არა მკერდზე („на грудь“, გ. წერ.).

ჩემი შვილების გულისთვის მაინც, რჩევით ან გრძნობით უშველე რამე. 720
მისი ბრძანებით მოსულა ჩემთან ჩემი არგოსი და მევედრება,
დაიყოლიე შენი დაიკო, დაეხმაროსო განწირულ მოყმეს.
შვილი დავტოვე გამოვეშურე, გემუდარები, უშველე სტუმარს!

ეს რომ ესმოდა, სიხარულისგან ბორგავდა მკერდში მედეას გული,
და მღელვარებით ნაზი ღაწვები თურაშაულის ფერი გაუხდა.
რაღაც საამო ბურუსი აწვა ქალწული ქალის გულს და გონებას.
ასე მიუგო: „დაო ძვირფასო, მტლად დაგედები, გულით გაამებ!
დაე, დღეიდან ჩემდა სალხენად ნუ გაბრწყინდება ცისკრის ნათელი,
ნუღარ მიხილავ მეტად ცოცხალსა, და განთიადი არ გამითენდეს,
თუ ჩემთვის შენზე და შენს შვილებზე იყოს ძვირფასი ქვეყნად რაიმე. 730
ჩემთვის ისინი დისშვილები და თანაც ხომ ღვიძლი ძმები არიან!
ჩემი ტოლები და მახლობელნი, და მე თვითონაც, პირდაპირ გეტყვი,
შენი ღვიძლი და როდი ვარ მარტო — ვარ ქალიშვილიც, ასული შენი,
რადგან საკუთარ შვილებთან ერთად აკვანში ძუძუს მაძლევდი შენა,
როცა ჯერ კიდევ ციცქნა ვიყავი, — ეს დედისაგან ხშირად მსმენია!
ახლა წადი და ჩემი შეწევნა შენიღბე შენი მშვიდი დუმილით,
რომ შევასრულო პირობა ჩემი, ვერ შემიშალოს ხელი მშობელმა.
დილით ჰეკატეს ტაძარში წავალ, წავიღებ წამალს ხარებისათვის,
რათა გადავცე უცხოელს, ვისაც მოჰყვა ამდენი დავიდარაბა“.[32]

ფიცხლავ წავიდა ქალკიოპე და შვილებს გაანდო, დეიდათქვენი 740
მზად არის თქვენთვის იმ უცხოელსაც აღმოუჩინოს დახმარებაო!
ხოლო მედეას, მარტო რომ დარჩა, ისევ შიში და სირცხვილი კლავდა:
ეს რა ვიკისრე, როგორ იქნება მამის ზურგს უკან სტუმრის შველაო!

ამასობაში დედამიწაზე უკუნი ღამე ჩამოწვა კიდეც.
ამ დროს უმზერენ მეზღვაურები აღმა ჰელიკეს და ორიონსა.
ამ დროს ერევა მგზავრსა და გუშაგს მაცდური ძილი დაუძლეველი,
და თვითონ მშობელს, გაუხარელი წვრილი შვილების დამკარგველ დედას,
ძლიერი ძილი ეწევა დაღლილს, დაუმძიმდება ქუთუთოები.
აღარ ისმოდა მაშინ ქალაქში ძაღლის ყეფა და ხალხის ხმაური,
მიყუჩდა ქუჩა, მიწყდა ბაასი, დუმდა წყვდიადი თვალშეუდგამი. 750
მხოლოდ მედეას არ გაეკარა ტკბილი ძილი და სულის სიმშვიდე.
ვნება-სურვილი იაზონისა ახალ საზრუნავს უჩენდა გულში.
თავზარსა სცემდა ცეცხლისმფრქეველი ხარების ღონე და ეშინოდა,
ვაჰ, თუ უბრალოდ, უღირსად მოკლან არესის ველზე ეზონის ძეო!
ამგვარი ფიქრით ღელვილ ქალიშვილს გული საგულეს აღარა ჰქონდა.
მსგავსად სხივისა, სარწყულში ჩასხმულ ცინცხალ წყალში რომ აირეკლება,
ან სადმე თასში, სუფთა ჭურჭელში, არ გაჩერდება, აციმციმდება,
სახლის კედელზე მოჰყვება ტოკვას, აღმა და დაღმა, მარჯვნივ თუ მარცხნივ
ბრუნავს, ციალებს, წამს არ ჩერდება, ხტუნავს, აწყდება ჭერსა და სარკმელს, —
ასე შფოთავდა, ასე ტოკავდა ქალწულის მკერდში ვნებული გული.*
თვალთაგან ცრემლი სცვიოდა მწველი სიბრალულის და სიყვარულისა.

---

* აპოლონიოს როდოსელი ვრცელ შედარებათა უზადო ოსტატია. მღელვარე გულის შედარება კედელზე მტოკავ არეკლილ სხივთან ფრიად ორიგინალური და უცნაურია.

დარდი დაღავდა, სახმილი შლიდა — ტანში, სახსრებში რომ შენთებოდა,
ფაქიზ ძარღვებში ცეცხლად უვლიდა, საფეთქელს სცემდა, კეფას აღწევდა,
სადაც ტკივილი უფრო მწველია, როცა ეროსი დაუცხრომელი
მოკვდავთა მკერდში საკვირველ სევდას დააბუდებს და შებოჭავს ვინმეს.
ჯერ იტყოდა, რომ ჯადოსნურ წამალს დაუმზადებს და მისცემს იაზონს,
მერე ამბობდა, წამალს არ მივცემ და არც მე თვითონ ვიცოცხლებ თავსო.
დასასრულ აღთქმას აძლევდა თავსა: არც წამალს მივცემ, არც თავს მოვიკლავ,
გულში ჩავიკლავ მწუხარებასა, შევეგუები სასტიკ ბედსაო.
ბოლოს ჩამოჯდა ისევ საწოლზე, სასომიხდილმა წამოიძახა: 770

„რა მეშველება მე უბედურსა? საით მივბრუნდე? ყველგან დარდია!
ვერ მიპოვია გამოსავალი, ღონე მღალატობს, ცეცხლი მედება.
არსაით ხმა და არსით ნუგეში! სულ მწუხარებას ვხედავ გარშემო!
ჰოი, ნეტავი, დიდ არტემიდეს მეც განვეგმირე მსუბუქი ისრით,
ვიდრე ვნახავდი ბედშავ დისშვილებს, გემით გაგზავნილს აქაიაში!
სწორედ იქიდან ჩამოიყვანეს ღმერთმა თუ ავმა ერინიებმა
ამ გადამთიელ ვაჟკაცთა გუნდი ჩვენდა შავბედად, საუბედუროდ!
დე, დაიღუპოს ველზე ბრძოლაში, თუ ბედის წიგნში ეს უწერია!
როგორ შევიძლო მშობლებისაგან ფარულად მისთვის წამლის კეთება?
განა მათ რამე დაემალებათ? რა პასუხს გავცემ მრისხანე მამას? 780
რა ცბიერება მიშველის მაშინ, რა მოხერხება და რა მისნობა?
ან იაზონთან როგორ მივიდე? როგორ ვეჩვენო მარტო უცხოელს?
რა უბედური ბედი მქონია! და თუ ის მოკვდა, ნუთუ მგონია,
რომ მომასვენებს დარდი და ზაფრა? არა, იფეთქებს ტანჯვა ორწილი,
როგორც კი გმირი დაიღუპება... და მაშ, განქარდეს ქალწულის კდემა!
მშვიდობით, ჩემი ცხოვრების სხივო! დე, ჩემი გრძნებით დახსნილი გმირი
წავიდეს საღი და უვნებელი იქით, საითაც გაუწევს გული!
მე კი, რა დღესაც ის გადარჩება, მოახდენს თავის საგმირო საქმეს,
მზადა ვარ მოვკვდე გულდამშვიდებით, ან ჩამოვიხრჩო სენაკში თავი,
ან საშინელი სამსალა შევსვა, სახსრებისა და სულის დამშლელი. 790
მაგრამ სიკვდილის შემდეგაც, ვიცი, სიცილს დამაყრის მოცლილი ხალხი,
მთელი ქალაქი იტყვის ხმამაღლა, რა მწარე ბედი ერგო მედეას.
თვითმკვლელს დაგმობენ კოლხი ქალები და ჩამაგდებენ ქვეყნის ყბაშია.
იჭორავებენ, რას არ იტყვიან: თავი შესწირა უცხოელსაო!
მისთვის იზრუნა, ვნებას ემონა, თავისიანებს მოსჭრა თავიო!
განა იქნება ქვეყნად სირცხვილი, ამ ჩემს სირცხვილზე მძიმე და მწველი?
ვაი, რა მწარე ბედი მქონია! ათასჯერ მიჯობს აქვე, ამ ღამეს,
აბ ჩემს ოთახში მოვისპო თვითონ სიცოცხლე, ეგზომ გამწარებული,
მოულოდნელად აღვმართო ხელი, რომ სამუდამოდ ამცდეს სირცხვილი,
უცებ მესტუმროს სიკვდილი მხსნელი, არვინ იცოდეს მიზეზი მისი, 800
ვიდრე შემიტყონ საქმე საძრახი და უსაშველოდ მომეჭრას თავი“*.

თქვა და მიიჭრა იმ ზარდახშასთან, რომელშიც ეწყო ბევრი ბალახი,
ზოგი მკურნალი, ჭირთა წამალი, ზოგიც სამსალა საბედისწერო.

---

* „მხსნელი სიკვდილის“ მოტივი, რაც შუა საუკუნეებში და უფრო მოგვიანებით დასავლეთ ევროპის ფერწერაში ასე ფართოდ დამუშავდა (ჰანს ჰოლბაინი, ჰანს ზებალდ ბეჰამი, ალფრედ რეტელი და სხვ.), ანტიკურ ლიტერატურაში უკვე საკმაოდ ცნობილია. არგონავტიკის III წიგნის მე-800 სტრიქონშიც ასეთი ცნებაა ფიქსირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსნა ქვითინით მუხლებზე ყუთი, მკერდს უსველებდა ცრემლთა ნაკადი,
წუთითაც კი არ შეუწყვეტია სასოწარკვეთილს მოთქმა-გოდება.
თავის უბედურ ბედზე მტირალმა გადაარჩია ბალახ-ბულახი,
მომაკვდინებელ ფოთოლს არჩევდა, სურდა ესინჯა სამსალის გემო.
გახსნა ზონარი, ნახა ბალახი, მაგრამ შეძრწუნდა ანაზდეულად,
ბნელი ჰადესის შიშმა შეიპყრო სიცოცხლით სავსე ქალწული ქალი.
იჯდა კარგა ხანს გაშტერებული, ყუთს დასცქეროდა, სამსალით სავსეს. 810
თვალწინ დაუდგა ჭირი და ლხინი, შვება და ზრუნვა წუთისოფლისა,
განცდა სიცოცხლის გამხარებელი და მწუხარების გამქარვებელი;
თვალწინ დაუდგა ყოფნის სიამე, რაც ყოველ სულდგმულს უხარებს გულსა
და მოაგონდა — თავად უბიწოს — თავის თანატოლ ქალწულთა გუნდი.
მზე უწინდელზე უფრო ნათელი და მიმზიდველი ეჩვენა ახლა,
ასწონ-დასწონა მთელი წარსული და მოენატრა შუქი ციური.
მაშინ მედეამ დახურა ყუთი და მუხლებიდან დაუშვა დაბლა,
გამოეცვალა გული გონება ჰერას ნებით და შთაგონებითა.
აღარ ტანჯავდა ფიქრი და ზაფრა, იჯდა, ელოდა მხოლოდ განთიადს:
გადაწყვეტილი ჰქონდა მედეას, რომ ინათებდა ოდნავ თუ არა, 820
იაზონისა ენახა სახე და გადაეცა დათქმული ჯადო.
მისთვის აღებდა ხშირ-ხშირად კარებს, რათა ეხილა ცისკრის ნათელი.
ბოლოს ინათა. ნანატრი შუქი მოჰფინა მიწას ოქროს ეოსმა.*
გარეთ გაისმა ისევ გნიასი — ყოფნის ფერხულში ჩადგა ქალაქი.

არგოსმა ძმები დაარიგა და უბრძანა, ქალაქს დარჩითო ჯერაც,
რათა თვალყური ედევნებინათ, რას იღონებდა მათი დეიდა,
თვით ქალაქიდან ისევ გავიდა, გემს მიაშურა გახარებულმა.

ქალწულმა ქალმა გამთენიისას იხილა ცისკრის შუქი თუ არა,
ქერა კავები აიკრა მაღლა და დაივარცხნა თავისი ხელით,
აქამდე უშნოდ რომ ჩამოშლოდა, უყურადღებოდ, დაუდევრადა. 830
შემდეგ ლოყები ნამტირალევი ჩამოიბანა და დაიმშვენა,
ნელსურნელოვან ნექტრის მალამო მარჯვედ წაისვა სახეზე, ტანზე.
ჩაიცვა კაბა უძვირფასესი, ლამაზად ჩასმულ ბალთებიანი,
მოირგო ნაზი წამოსასხამი და ვერცხლისფერი თავსაბურავი.
დიდხანს ვიდოდა სენაკში მარტო ასე მორთული და მოკაზმული.
წარსული დარდი წარსულს მიანდო და მომავალი, უფრო საზარიც,
რომელიც უნდა თავს დასტეხოდა, და რომლის ბოლოც ჯერ არ იცოდა.
აი, უბრძანა კიდევაც მხევლებს — თორმეტნი იყვნენ, მისნი ერთგულნი,
სურნელოვანი მისი სენაკის ან თალამონის[33] წინ რომ ეძინათ,
მის ტოლ ქალწულებს, ჯერ სარეცელი მამაკაცისა რომ არ ეხილათ, — 840
რაც შეიძლება ჩქარა შეაბით ჩემი რჩეული ჯორები ეტლში,
რათა ჰეკატეს ბრწყინვალედ ნაგებ ტაძრისკენ სწრაფად გავაქროლოთო!
ვიდრე მხევლები ქალწულ მედეას ეტლის მზადებით იყვნენ გართულნი,
თვითონ მედეამ თლილი სკივრიდან წამლად აიღო ერთი ბალახი, —
ამბობენ, რომ ამ ჯადოსნურ ყვავილს „პრომეთეს წამალს“ ეძახის ხალხი“**.

---

* ეოსს, ცისკრის ქალღმერთს, ბერძნები ოქროსთითებიანს ეძახდნენ (როდოდაქტილოსს).

** გერმ. თარგმანში ლაპარაკია „პრომეთეს წვენზე“ (ნაყენზე, წამალზე), რუსულში — „პრომეთეს ყვავილზე. აკ. ურუშაძეს აქვს „პრომეთეს წამალი“.

თუ დედისერთა ქალწულის გულსა[34] ღამის მსხვერპლებით მოიგებს ვინმე,*
პრომეთეს წამლით განიბანს ტანსა და საიდუმლოდ განიწმინდება,
მას ვერც მახვილით განგმირავს ვინმე, ვერც შუბითა და სატევრით დაჭრის,
არც მოგიზგიზე ცეცხლის წინაშე დაიხევს უკან ასეთი კაცი.
იმ დღეს იმისი მძლეველი კაცი დედის მუცლიდან არა შობილა. 850
ყვავილი იგი გაჩნდა პირველად კავკასიონის მწვერვალთა შორის,
როცა წვეთ-წვეთად ჩამოდიოდა კლდეზე მოწამე პრომეთეს სისხლი,
ტიტანს კორტნიდა ხარბი არწივი, მიწას ნამავდა უკვდავი სითხე,
და წყრთის სიმაღლის ორღეროვანი კოხტა ყვავილი იზარდა მისგან,
კორიკიოსის[35] ზაფრანის მსგავსი, ღვთაების გულის სისხლით ნაკვები,
ღრმად რომ გაუდგამს წითელი ფესვი, სადღაც მიწაში ღვივის უჩინოდ,
ქორფა საკლავის ჯერაც სისხლიან ხორცის ნაჭერი რომ გეგონება,
და წვენი გასდის — მაღალი მთების მუხის წვენსა ჰგავს ის მუქი წვენი.
ჯადოსნობისთვის მოიმარაგა შავბნელ ღამეში შავად მოსილმა
ქალწულმა წვენი კასპიის ზღვიდან ამოღებული თეთრი ნიჟარით, —
შვიდგზის ნაბანმა უწყვეტ ნაკადში, შვიდგზის მოუხმო მოწყალე ბრიმოს[36], 860
ბავშვთა მარჩენალ დედოფალ ბრიმოს, მიცვალებულთა მბრძანებელ
ქალღმერთს,
მიწისქვეშეთის დიდ ჩირაღდნოსანს, ბნელ ღამეში რომ დაეხეტება.
გმინვა გაისმა შავ მიწის გულში, მკერდი ეტკინა წიაღთა წიაღს,
როცა მედეამ ტიტანის ფესვი[37] მოჭრა, და კვნესით გასცა პასუხი
მაშვრალმა შვილმა იაფეტისამ, მძაფრი ტკივილით გაწამებულმა.
ფრთხილად აიღო ჯადო მედეამ და სურნელოვან სარტყელში ჩადო,
სხივოსან ქალწულს რომ შემოერტყა თავის ღვთაებრივ, მშვენიერ მკერდზე.
გააღო კარი, ავიდა ფიცხლავ და ჩაჯდა მეფურ სწრაფთვლიან ეტლში,
აქეთ-იქიდან უახლოესი ორი მოახლე ქალწული დასვა, 870
მარდად აიღო სადავეები და მოიმარჯვა მოქნილი შოლტი,
შემდეგ მარჯვენა აიქნია და ეას ქუჩებში გაჰქუსლა ეტლით.
სხვა ქალწულებმა ქიტონის კალთა ზე აიწიეს თეთრ კოჭებამდე,
ხელი ჩასჭიდეს ეტლის ძარასა და დაედევნენ ფართო შარაზე.
ქროლა-სირბილში მსუბუქ სამოსელს აფრიალებდა ქილის ნიავი.
იდგა მედეა დიდებულ ეტლზე, ვითარცა თბილი პართენიოსის[38]
ანდა ამნისეს მდინარე წყალში ტანდაბანილი ლეტოს ასული[39]
მიჰქრის ხანდახან ოქროს ეტლითა, ფურ-ირმები რომ შეუბამს ღმერთქალს,
მიჰქრის, მიჰყვება ბორცვებს, გორაკებს, მიეშურება შორეულ მთებში,
თავის ღვთაებრივ დღესასწაულზე რომ ეძღვნას უხვი ჰეკატომბები.[40] 880
უკან ნიმფები ასდევნებიან, ეს განუყრელი თანამგზავრები,
ერთნი ამნისეს სათავეებთან შემოკრებილან, სხვები კი სხვაგან —
ნაკადულებით დასერილ მთებში, ხეობებსა და ულრან ტყეებში;
მიჰქრის ეტლი და მხეცნი წკავწკავით, კუდის ქიცინით უთმობენ გზასა, —
ასე მიჰქროდა ტურფა მედეაც და ხალხი კრძალვით დგებოდა განზე,
გზას უთმობდნენ და თვალს არიდებდნენ მეფის გრძნეული ასულის მზერას;
როდესაც უკან დარჩათ ქალაქი, გასცდნენ მოკირწყლულ, დიდებულ ქუჩებს,

---

* გერმ. თარგმანში აქ ლაპარაკია ქალწულ პერსეფონეზე. თუმცა დედანში იგულისხმება ჰეკატე, „გზაჯვარედინთა ღვთაება". ეს არაა შეცდომა. როგორც ქთონიური ღვთაება, ჰეკატე გაიგივებული იყო პერსეფონესთან (და არტემიდესთან). მას ღამით სწირავდნენ მსხვერპლად ძაღლებს. მისი ატრიბუტებია ჩირაღდანი, შოლტი და გვირგვინში ჩაწნული გველები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაიქროლეს ქალაქის ველი დ მიაღწიეს ჰეკატეს ტაძარს,
მაშინ მედეა მარდად ჩამოხტა მშვენიერთვლიან სწრაფი ეტლიდან,
შემოუბრუნდა თავის მხევლებსა და ფიქრიანმა ასე მიმართა:

„ო, მეგობრებო, რარიგ შევცოდე! აზრადაც კი არ მომსვლია თავში,
რომ ღმერთგამწყრალი უცხოელები ჩვენს მიწა-წყალზე ეხეტებიან.
უცხო ენისა და წესის ხალხმა ისე დააფრთხო მთელი ქალაქი,
რომ ვერ მოსულან წმინდა ტაძართან ჩვენი მორწმუნე მანდილოსნები,
უწინ რომ მუდამ დილაადრიან იკრიბებოდნენ გუნდებად აქა!
მაგრამ რაკიღა მოვსულვართ ჩვენა, და აღარავინ აქ აღარ მოვა,
მოდით, ვილხინოთ, ვიმხიარულოთ, ლაღ სიმღერებით ვიჯეროთ გული.
ჩვენს ხავერდოვან ველზე დაკრეფილ ვარდ-ყვავილებით შევიმკოთ თავი.
და ბოლოს, როცა მოგვესურვება, გულდამშვიდებით წავიდეთ შინა.
თქვენ კი საჩუქრებს მიიღებთ უხვად და მოგებული დარჩებით კიდეც,
თუ ჩემი აზრი მოგეწონებათ, რასაც ახლავე გაგიზიარებთ.
ოღონდ იცოდეთ, რასაც მე გეტყვით, ჩვენს შორის დარჩეს, არ გამამხილოთ,
და საიდუმლო შემომინახეთ, რომ არ მივიდეს მამის ყურამდე.
არგოსმა მთხოვა მაცდური სიტყვით და თვით ჩემმა დამ ქალკიოპეამ.
დამამუნათა, დაიხსენიო ის უცხოელი, რომელიც მამას
ცეცხლისმფრქეველი ხარების ძლევას და დევგმირებთან შებმას დაჰპირდა.
გმირმა ასეთი სამსახურისთვის წინასწარ უნდა მომართვას ძღვენი,
ამიტომ ახლა ნება მაქვს შევხვდე სტუმარს ლაშქრიდან განმარტოებით,
რომ მისი ძღვენი გავინაწილოთ, არც კი გვიხილონ მისთა მხლებელთა,
და მე კი მივცე მავნე სამსალა, რაც მას არაფრად გამოადგება.
მაგრამ გმირი რომ მოახლოვდება, თქვენ, მოახლენო, გადექით განზე!“**

ესმათ მედეას სიტყვა ცბიერი და გაიხარეს მოახლეებმა.
მალე არგოსთან მივიდნენ ძმები, მისდა სალხენად შეატყობინეს,
დეიდაჩვენმა მედეამ დილით ჰეკატეს ტაძარს მიაშურაო.
მყისვე არგოსმა ეზონის შვილი განზე გაიხმო, ველზე გავიდნენ,
ტაძრის ბილიკზე გაიყვანა და მისანი მოპსეც იახლეს თანა,
ამპიკეს შვილი, ნიშანთა ცნობით გამორჩეული დიდი მენცარი,
ფრინველთა ფრენით ბედს რომ არკვევდა და მოგზაურებს აძლევდა ცნობებს.
ჯერ არ ყოფილა ისე ლამაზი ქვეყნად არც ერთი მოკვდავთაგანი,
არც კრონიონის ზევსის მოდგმისა, არც რომელიმე სხვა დიდი გმირი,
უზენაესთა შთამომავალი, უკვდავ ღმერთების სისხლი და ხორცი,
როგორც ეზონის ძე იყო იმ დღეს, ზევსის მეუღლის ჰერას წყალობით —
სახის იერით, მჭევრმეტყველებით და ვაჟკაცური ახოვანობით.
თვით მეგობრები, გარს რომ ეხვივნენ, ველარ ფარავდნენ გაოცებასა,
როგორ ელავსო, სხივთამთოველი! თვით ამპიკიდე, მისანი მოპსე
გმირს შეჰხაროდა და ბედის ღიმილს გრძნობდა წინასწარ ქვეშეცნეულად.
ტრიალ მინდორში, ტაძრის პირისპირ ჰეკატეს გზაზე ტანატყორცნილი

---

* Chalkiopea

** ერთი შეხედვით გაუგებარია, რომ მედეა ჯერ ვითომ ნანობს ტაძართან მოსვლას უცხოელთა შიშით, მერე კი საშიშ საიდუმლოსაც იქვე უმხელს მოახლე გოგოებს. პოეტი ეპიზოდს არ ხსნის, მაგრამ ფსიქოლოგიურ დაკვირვებაზე აგებს: რაკი შეატყო, არ გაამხელდნენ, თანდათან ამზადებს და იაზონთან დანიშნულ პაემანსაც ანდობს. საერთოდ, ბოლო ორ წიგნში ფსიქოლოგიური რომანი უაღრესი სინატიფითაა დამუშავებული.

ტურფა ალვისხე აღმართულიყო, და შრიალებდა ხშირი ფოთოლი.
იქა ჰქონოდათ ძველთაგან ბინა და საბუდარი მყვირალა ყვავებს.
ერთმა მათგანმა, ყვავმა ყვანჩალამ შეაფართხალა ფოთლებში ფრთები
და მისან მოპსეს ხის კენწეროდან თავზე დასჩხავლა ჰერას ბრძანება:
„ჰეი, მისანო აუგიანო, შე უსახელოვ, მიუხვედრელო,
უენო ბავშვიც მიხვდება ამდენს: შენ ხელს შეუშლი მშვენიერ ქალწულს,
სიტყვას ვერ ანდობს სიყვარულისას, სანუკვარ ვაჟკაცს ვერ ეტყვის სიტყვას,
რადგან უსაქმოდ ასდევნებიხარ და არ შორდები საყვარელ სტუმარს.
წადი, სულელო, გაინაპირე, უბედურების მაუწყებელო!
არც აფროდიტე და არც ეროსი შენს სიახლოვეს არ ისურვებდა“.*
ასე გათათხა ყვავმა მისანი, და იმ ფრთოსანი არსების სიტყვა
მოპსეს ენიშნა სიტყვად ციურთა, გაეცინა და ასე დაიწყო:

„ეზონის შვილო, შედი ტაძარში, სადაც ქალღმერთის ქურუმი ქალი 940
მოგელის ახლა, მოუთმენელი, სიკეთის მსურველ, მოწყალე გულით.
ასე ინება დიდმა კიპრიდამ: ბრძოლას მოიგებ! შენთანა ღმერთი!
ასე გვიმისნა ბრძენმა ფინევსმა, აგენორის ძემ, გვახსოვს, ადრევე.
ჩვენ აქ დაგიცდით, მე და არგოსი, ამ მოედანზე, ტაძრის გარეგან,
დაველოდებით შენს დაბრუნებას, და შენ კი შეხვდი ქალიშვილს მარტო,
შეეხმატკბილე შენებურადა, რომ იქნებ შველა ინებოს შენი“. —

თქვა გონივრულად მისანმა მოპსემ, და მოიწონა ორივემ სიტყვა.
ხოლო მედეას აზრი და გრძნობა ვერც მხიარულმა სიმღერამ ჩაკლა.
ვერც გაუფანტა სიმღერამ სევდა ,და ვერ გაართო დიდხანს ქალწული. 950
წამოიწყებდა, შეწყვეტდა ხოლმე, შეფაკლული და შეშფოთებული,
მზერას აპყრობდა არა გოგოებს, არამედ სადღაც შორეულ გზასა.
თვალს აცეცებდა გაშლილ მხარეში, სხვაგან უწევდა გული და სული;
როგორც კი სმენას ხმა მისწვდებოდა მსგავსი ნაბიჯის, ანდა ქარისა,
ეკუმშებოდა მკერდში გული და მიაბრუნებდა იქითკენ სახეს,
თუმცა ეს დიდხანს როდი გაგრძელდა, მალე მოვიდა ეზონის შვილი —
სწრაფად წამოდგა წინ იაზონი, ვით სირიუსი სხივთამთოველი
სწრაფად ამოდის ოკეანიდან და თვალთა მზერას უხარებს ყველას,
მაგრამ უსაზღვრო უბედურებას დაატეხს ხოლმე ცხვარსა და თხასა.[41] —
ასე დაუდგა ქალს იაზონიც თვალთა საამო, გულთა მკოდავი. 960
ჩაუწყდა მკერდში გული მედეას, გადაეფარა ნისლი თვალებზე,
წითლად აენთო ნაზი ლოყები და ჩაუღამდა შავი თვალები.
იდგა უძლური, მუხლმოკვეთილი, ვერ გადაედგა ვერსაით ფეხი, —
ფეხისწვერები გაშეშებოდა, და თითქოს მიწას დაეკრა ფეხი.
მოახლეები ამასობაში მას ჩამოშორდნენ ფეხაკრეფითა.
იდგა ორივე გაოგნებული: იქ იაზონი, აქეთ მედეა,
ორივე ჰგავდა ახოვან მუხას... ტანაყრილ ფიჭვებს მოგაგონებდათ,
მაღალ მთაში რომ დგანან უძრავად, ღრმად ფესვგადგმულნი, გაშეშებულნი.
არც ირხევიან უქაროდ, მაგრამ თუ ქარიშხალი ჩამოუქროლებს,
შეირხევიან, შეირწევიან და შრიალებენ შეუსვენებლივ, — 970

---

* ყვავის მონოლოგი მაღალი პოეტური გემოვნებით გაცოცხლებული ეპიზოდია. მეცნიერები მასში ხედავენ კალიმაქეს „ჰეკალესა“ და „იამბიკოებში“ ამეტყველებულ ფრთოსანთა ანალოგიას, მაგრამ მსგავსი ხერხი მრავლადაა გამოყენებული სხვა ხალხთა ფოლკლორსა თუ ლიტერატურაშიც.

ასე ელოდათ მათაც შერყევა, ეროტის ნებით გულდაისრულებს,
და ბევრი სიტყვა ჰქონდათ სათქმელი, მისი ქარიშხლით ნაკარნახევი.
მიხვდა ვაჟკაცი, რომ მეფის ასულს თავს დასტეხოდა ღმერთებმა რისხვა,
და ენებულ ქალწულს უთხრა ასეთი პირმოთნეობით ნაფერი სიტყვა:

„ქალწულო, მარტო მოვსულვარ შენთან, იქნებ ამისთვის კანკალებ ასე?
მე ხომ არა ვარ ისე თავხედი, როგორც ბაქია მამაკაცები,
არცა ვყოფილვარ უწინ, როდესაც ჩემს სამშობლოში ვცხოვრობდი ჯერაც.
ამიტომ ნუ გაქვს შიში და რიდი, გადამიშალე, ქალწულო, გული,
ან გამომკითხე, რაც რამ გენებოს, ან საწადელი მითხარი შენი.
რაკი განგებამ შეგვყარა აქა, კეთილგანწყობით შეგვაზიარა, 980
განა იმისთვის, ღმერთთა სავანე უმსგავსო საქმით შევლახოთ ჩვენა!
მკითხე, მომმართე მოურიდებლად, არ დამიმალო სათქმელი შენი,
ოღონდ ამაოდ ნუ შეეცდები ტკბილი სიტყვებით ჩემს მოტყუებას,
რადგან შენ აკი შენს დას დაჰპირდი, საჭირო წამალს მივცემო სტუმარს!*
გაფიცებ თვითონ ქალღმერთს ჰეკატეს, ვისაც მსახურებ, და შენსა მშობლებს,
დიდ ზევსს გაფიცებ, სტუმართა მფარველს, მავედრებელთა შემწყნარებელსა, —
მეც ხომ მოვსულვარ შენს ქვეყანაში, როგორც სტუმარი, მავედრებელი,
და უსაშველო საფრთხეში შენი ფერხთით ვემხობი ხვეწნა-მუდარით.
თუ არ მიშველი, მკლავი მიმუხლებს, ვერ გავიმარჯვებ სასტიკ ბრძოლაში,
და თუ დამიხსნი, დახმარებისთვის მეც გადაგიხდი სამაგიეროს, 990
როგორც წესია, და როგორც ძალუძს მოკვდავს, რომელიც შენგან შორს არის.
ელადას მოვფენ დიდებას შენსას, და სხვა გმირებიც შენ გადიდებენ,
შენი წყალობით გამარჯვებულნი რომ დავბრუნდებით მშობელ მხარეში,
რადგან გაფანტავ მამაც მოყმეთა დედების მძიმე დარდსა და ურვას,
ზღვის ნაპირებზე რომ სხედან ახლა და დასტირიან საყვარელ შვილებს.
ბედნიერებას აჩუქებ საწყლებს, დედებს და ცოლებს, შიშით მოცულებს.
აკი ოდესღაც გმირი თეზევსიც ასე დაიხსნა სასტიკ ბრძოლაში
კეთილმოსურნე არიადნემაც, მინოსის ქალმა, სათნო არსებამ,**
შენებრ უბიწომ, ვინც პასიფაემ, თვით ჰელიოსის ასულმა შობა.***
და ის ქალწულიც ხომ გაჰყვა თეზევსს, როგორც კი დაცხრა მინოსის
რისხვა 1000
გემზე ავიდა, შორეთს გაცურა და მიატოვა მშობელი მიწა.
თვითონ ღმერთებმა ის შეიყვარეს, ნიშნად ამისა შუა ეთერში
ციურ სხეულთა შორის ტრიალებს უკვდავის ძეგლად ვარსკვლავთკრებული,
და მოციმციმე წყვდიად ღამეში, მას „არიადნეს გვირგვინს“ უხმობენ[42]
იცოდე, ციურ უკვდავთა დასი შენც ამ წყალობით დაგასაჩუქრებს,

---

* ამ პირველი სიტყვიდან უკვე აშკარაა, რომ იაზონი „საშუალო კაცია“, ჭკვიანი და ანგარიშიანი (ფრთხილი ადრეც იყო), წვრილმანი, უგრძნობელი ეგოისტი, რომლის ყოველი სიტყვა, ნაბიჯი ჩაყენებულია არა ამაღლებული იდეალების, არამედ პირადი კეთილდღეობის სამსახურში, და მშვენიერ მეფის ასულშიც კი მხოლოდ ჯადოქარს ხედავს, რომელმაც წამალი უნდა მისცეს. ასეთი კაცი უკან არ მიიხედავს, რომ მარილის სვეტად არ იქცეს... მხოლოდ მეორე და მესამე სიტყვაში იღვიძებს გრძნობა, რომ მერე თავისი მხსნელი დაღუპოს.

** დედანშია „პართენიკე მინოის ევფრომეუს არიადნე“.

*** იაზონი თავის პირფერულ ოგვაში ტყუილად როდი ახსენებს მედეას ორეულს, იმავე ჰელიოსის შვილიშვილს არიადნეს, რომელმაც ძაფის გორგალი მისცა და ასე იხსნა კრიტოსის ლაბირინთში სასიკვდილოდ განწირული თეზევსი, ხარ-ურჩხულის მკვლელი, მერე კი მასთან ერთად გაიქცა გემით. იაზონმა ამით გადაუკრა: შენც ასე უნდა მოიქცე, შენც თან წაგიყვანთო. მითის ბოლო შეცვლილია. თეზევსმა კი არ მიატოვა არიადნე, დიონისემ მოსტაცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ შენი გრძნებით, შენი სიკეთით ამდენი გმირის სიცოცხლეს იხსნი!
შენს გარეგნობას თუ ვერწმუნებით, გექნება თბილი, კეთილი გული".

ასე ადიდა გმირმა ქალწული. ხოლო მედეა მიწას უმზერდა
და ნექტარივით ტკბილი ღიმილი დასთამაშებდა საოცარ ბაგეს.
შვებით აუვსო შექებამ გული, ასწია თავი, გმირს გაუცინა, 1010
მაგრამ სასურველ საუბრისათვის ვერ გამონახა საჭირო სიტყვა,
რადგანაც სურდა სულყველაფერი გადაეშალა, გაეხსნა გული.
ბოლოს დუმილი არჩია სულაც, სურნელოვანი სარტყელი გახსნა,
მარჯვედ აიღო ჯადო-წამალი და გაუწოდა უბრალოდ მოყმეს.
გმირს გაუხარდა, ხოლო მედეა მზად იყო გულიც ამოეგლიჯა
და უყოყმანოდ მიეცა მისთვის, თუ ისურვებდა ეზონის შვილი.
გმირის ქერა თავს ეროტის ნებით ისეთი ვნების ცეცხლი მოედო,
და სახეს ისე ასხივოსნებდა, რომ ატყვევებდა მედეას მზერას;
ბოჭავდა მოყმის ძალაუფლება, ათბობდა მეფის ასულის მზერას,
ზედ ადნებოდა, როგორც ადნება კოკობი ვარდის ფურცელს ცვარ-ნამი, 1020
ოდეს დილის მზის სხივი ცხოველი დაეცემა და აციაგდება.
არც იაზონი რჩებოდა ცივი. ხან შეხედავდნენ ერთიმეორეს,
ხანაც ანაზდად შეფაკლულები ისევ დახრიდნენ დაბლა მზერასა
და ვნების სხივებს ისროდნენ ისევ წარბთა ქვემოდან ნაზი ღიმილით.
დაბოლოს გულმა ვერ მოუთმინა და თქვა ქალწულმა ასეთი სიტყვა:

„კარგად ინიშნე, რაც ახლა გითხრა შენი სიცოცხლის გადასარჩენად!
შენ მამაჩემი რომ დაგიბარებს, არესის ველზე დასათესავად
მოგცემს დრაკონის ყბიდან აძრობილ საბედისწერო ჯადოსნურ კბილებს,
არ დაიძინო შუაღამემდე, და ღამე ორად რომ გაიყოფა,
გადი გარეგან და განიბანე ტანი უწყვეტი ნაკადის წყალში. 1030
მარტო იყავი, არვინ იახლო და მოსასხამი მოისხი შავი,
გარეთ საჩქაროდ დაიხარე და გათხარე ორმო მრგვალი, წრიული,
შიგვე დაკალი დედა-ბატკანი, არ დაჭრა ხორცი, დაანთე ცეცხლი
და ორმოს ფსკერზე ასე მთლიანად დაწვი იმ ცეცხლზე მთელი ტარიგი,
თან დედისერთა იხმე ჰეკატე, პერსეს ასული, და შეევედრე,
ზედაც ზედაშე წაუქციე და — იყოს ფუტკრების ნამუშაკევი.*
ასე ახსენე, მოინადირე, ლოცვით მოალპე ქალღმერთის გული,
შემდეგ მოსცილდი სამსხვერპლო კოცონს, წადი და უკან არ მოიხედო,
თუნდაც ნაბიჯის ხმა უცნაური და გაიგონო ძაღლების ყეფა, —
არ მიიხედო, იცოდე, უკან, თორემ სანუკვარ საქმესაც ავნებ 1040
და მეგობრებსაც ვეღარ იხილავ, შენი გმირული ღირსებით სავსე.
განთიადისას ეს ჯადოსნური ჩემი წამალი კარგად დანამე,
ტანთ გაიხადე და დაიზილე თხემით ტერფამდე, ზეთისნაირად,
განუზომელი გექნება ძალა, მოგემატება ასკეცი ღონე
და იტყვი გულში, მოკვდავთ კი არა, ღმერთებსა ვძლევო მრისხანე მკლავით.
არ დაგავიწყდეს, შუბსაც წაუსვი ჯადო-წამალი, ფარსაც და ხმალსაც.
მაშინ ვერ მოგწყლავს მიწისშობილთა ფხიანი ხმალი და ვერას გავნებს
ვერც საშინელი ხარების ცეცხლი, სულ რომ აფრქვევენ რკინის ხახიდან.

---

* ქვესკნელის ღმერთებისათვის ღვინის ზედაშე აკრძალული იყო, თაფლს იყენებდნენ: «Saft der... Bienen» (ოზიანდერი), «работу пчелиного улья» (გრ. წერეთელი), „თაფლის ზედაშე" (აკ. ურუშ.).

ოღონდ სულ ასე კი არ იქნები: მხოლოდ ერთი დღე! მაგრამ იცოდე,
ბრძოლაზე უარს მაინც ნუ იტყვი: ერთხელ გეძლევა, ერთხელ ივარგე! 1050
მსურს კიდევ ერთი სხვა რჩევა მოგცე, იმ განსაცდელში გამოსადეგი.
საშინელ ხარებს რომ მოერევი, უღელს დაადგამ, გუთანს შეაბამ,
სწრაფად გადახნავ იმ შავ ხოდაბუნს შენი ძალუმი, გმირის მარჯვენით,
ხნულში დათესავ დრაკონის კბილებს და აღიძვრიან ბუმბერაზები,
შენიშნავ — შავი ლაშქარი ფარავს უკვე შავ მიწას კუშტი კაცების, —
შავ ქვას აიღებ, ისვრი ფარულად, მისცვივდებიან უზამფარები,
ვით ქოფაკები, ძვალს რომ მიუგდებ, და დახოცავენ ერთიმეორეს.
მაშინ შევარდი შენც იმ გროვაში და დაასრულე დევკაცთა შეხლა.
თუ ყველაფერი ეს შეასრულე იმგვარად, როგორც ახლა გასწავლე,
შენ გაიმარჯვებ და ოქროს საწმისს წაიღებ კიდეც შენს ელადაში. 1060
შორს სადღაც წახვალ, დატოვებ ეას... მაგრამ მე აბა ვინ მეკითხება?
წახვალ, საითაც მოგესურვება — ეგ შენი ნება არ არის განა?"

თქვა და დადუმდა მეფის ასული, კდემით და რიდით დახარა მზერა,
ყირმიზ ღაწვებზე გადმოუგორდა ორი კურცხალი მდუღარე ცრემლის.
წასკდა ტირილი, წუხდა, რომ სტუმარს უნდა ხელახლა განშორებოდა
და უცხო ზღვებში გაეშვა გმირი, ასეთი ფიქრით შეჭირვებულმა
გადაივიწყა რიდი და კრძალვა, ისევ შეხედა ეზონის ძესა,
ხელით შეეხო მოყმის მარჯვენას და შეაგება მწუხარე სიტყვა:

„თუ გაგიმართლა, დაბრუნდი შინა, იხილე სახლი მამისეული,
არ დაივიწყო სახელი ჩემი, მე კიდევ შენი მემახსოვრება,
და ვიდრე ფეთქავს ბედეას გული, არ დაგივიწყებს შორეულ სტუმარს. 1070
ახლა მიამბე შინაურულად, ვინ ხარ, საიდან მოსულხარ შორით,
სადა ცხოვრობ და შორეულ ზღვებში ახლა რა მხარეს წარმართავ საჭეს?
ისევ მდიდარი ორქომენისკენ გაეშურები დაუყოვნებლივ
თუ სადმე კუნძულ ეას* ეწვევი? მითხარ ამბავი ეგზომ ქებული
იმ ქალწულისა, შენ რომ ახსენე — იმ პასიფაეს ტურფა ასულის,[43]
არიადნესი, მამიდაჩემის, ჰელიოს ღმერთის სათნო ასულის"**

თქვა მედეამ და მდუღარე ცრემლით მოულბო გული უცხოელ ვაჟკაცს.
მკაცრი ეროსი ესტუმრა მაღლით, და უპასუხა გმირმა მედეას:
„დიახ, მე ვიცი დაბეჯითებით, ვერც დღე, ვერც ღამე ვერ დაგივიწყებ,
თუ მიწერია ქვეყნად სიცოცხლე, გადავრჩი ბოროტ ბედისწერასა, 1080
თუ ორქომენში დავბრუნდები და ახალ განსაცდელს არ გამიმზადებს,
ახალ საზარელ საქმეს არ მომცემს აიეტ მეფე მზაკვრული ზრახვით
თუ გულით გინდა გაიგო ჩემი ქვეყნის ამბავი, ინებე, გეტყვი:
მეც ხომ ეგ მინდა, გულით და სულით მომნატრებია მამული ჩემი!
არის ასეთი ქვეყანა სადღაც, ირგვლივ არტყია მაღალი მთები,
საძოვრებია გადაჭიმული და შეფენია ფერდობებს ფარა.
იქ იაფეტის ძემ დიდებულმა, პრომეთემ შექმნა პირველი მეფე,

---

* ეა — კუნძული იტალიის დას., იქ ცხოვრობს აიეტის და, გრძნეული კირკე.

** მედეა განზრახ და ცოტა არ იყოს უადგილოდ იწყებს იაზონის გამოკითხვას, რომ ამით გაახანგრძლივოს მასთან ახლო ყოფნის წუთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევკალიონი სახელოვანი, ვინც დასაბამი მისცა ქალაქებს,*
აუგო უკვდავ ღმერთებს ტაძრები, ხოლო მოკვდავთა გახდა ხელმწიფე-
იქ, ჰემონიად ხმობილ მხარეში[44] ჩემი ქალაქი იოლკოსია.
იმ იოლკოსის კიდეგან ბევრი დასახლებული ქალაქიც არის,
სადაც ხალხს დღემდე არც კი სმენია, თუ არის სადმე კუნძული ეა.
ამბობენ, ძველად ჰემონიიდან კადმოსის მხარეს გაეშურაო
მინიას მეფე, ეოლოსის ძე, და დააარსა ორქომენიო —
ის ორქომენი, რაც ესაზღვრება კადმოსელების დიდებულ მხარეს...
მაგრამ ნეტავი, რა საჭიროა, ამდენს რომ ვყბედობ ტყუილუბრალოდ
ჩემს სამშობლოზე, მინიელებზე, მეფე მინოსის ტურფა ასულზე,
საქვეყნოდ ცნობილ არიადნეზე, რომლის ამბავიც წეღანა მკითხე?
მისი კეთილი, სათნო სახელი ყველგან დიდებით იხსენიება!
ნეტავი, როგორც მინოსმა იგი თეზევსს დაუთმო სახელოვანსა,
ისევე შენი სასტიკი მამაც ჩვენ შეგვხვდებოდეს კეთილი თკალით! 1100

ასე მიუგო, რომ ქალის გული მაამებელი სიტყვით მოეგო.
ტკბილმოუბარი ვაჟკაცის სიტყვამ ქალწულს უმეტეს ატკინა გული,
დარდით დამწვარმა, კაეშნიანმა და ფიქრიანმა უთხრა იაზონს:
„სასახელოა, შენს ელადაში რომ შეთანხმებებს პატივსა სცემენ,
მაგრამ აიეტ მეფე არ არის ისეთი კაცი, შენ რომ გგონია,
არა ჰგავს მინოსს, პასიფაეს ქმარს, ვერც მე ვედრები შენს არიადნეს!
რა საჭიროა ფუჭი სიტყვები? შენ ის მეგობრად არ გაგიხდება!
მხოლოდ ერთსა გთხოვ: შენს იოლკოსში როცა ჩახვიდე, არ დამივიწყო.
მე კი, მშობლებმაც რომ ამიკრძალონ, შენზე ვიფიქრებ დღეც და ღამეცა. 1110
ო, თუ შორიდან მოვიდა ცნობა, რომ დამივიწყე... თუ დამივიწყე,
იცოდე, ჩიტი მომიტანს ამბავს, ცხრა მთის იქიდან, არ ახსოვხარო!
მაშინ ვინატრებ, რომ იოლკოსში გადამაქროლოს ფრთამალმა ქარმა,
გადამატაროს ზღვა და ხმელეთი, ოხრად დამირჩეს უკან კოლხეთი,
თვალწინ დაგიდგე საყვედურივით და გიკიჟინო გაუტანლობა, —
ვინძლო ინებო და გაიხსენო, რომ ჩემმა გრძნებად გიხსნა ოდესღაც!
ო, როგორ მინდა, მოულოდნელად გამოჩნდე მაშინ შენს სასახლეში!“

ასე ამბობდა მეფის ასული და სიმწრის ცრემლი ღაწვებს ღარავდა.
გულის ჩოჩქოლით ალმოდებულმა ასე მიუგო მოყმემ ქალიშვილს:
„უცნაური ხარ! ქარებს მოეშვი, დაე იქროლონ, საითაც უნდათ! 1120
მაცნე ჩიტებსაც — რა საჭიროა ამ გადაკრული სიტყვების ხარჯვა!
რად ამბობ იმას, რასაც არ ვიზამ? შენ არ გექნება კიცხვის საბაბი!
იცოდე, თუ შენ ჩემს ელადაში და ჩვენს მხარეში მოხვალ ოდესმე,
ქალებისა და კაცებისაგან იქნება ყველგან პატივდებული,**
და როგორც ქალღმერთს, თაყვანსა გცემენ ყველანი, რადგან შენი წყალობით
დაუბრუნდებათ მშობლებს შვილები, ზოგს ძმა და ქმარი, ზოგს ნათესავი,
სიცოცხლით სავსე ეს ვაჟკაცები, ვისაც სიცოცხლე აჩუქე შენა.

---

* დევკალიონი, პრომეთეს ღვთისმოშიში შვილი, ელინელთა მამამთავრად ითვლებოდა. როცა ზეუსმა კაცთა მოდგმა იეღოვასავით დასჯა. წარღვნას მხოლოდ ისა და მისი მეუღლე პირა გადარჩნენ. მიდიოდნენ და „დიდი დედის ძვლებს“ (ქვებს) ყრიდნენ უკან. დევკალიონის გადაყრილი ქვები მამაკაცებად იქცეოდნენ, პირასი — დედაკაცებად. ასე გამრავლდა ისევ კაცთა ტომი.

** საბერძნეთში ნამდვილად იყო მედეას კულტი.

ხოლო ჩემს სახლში კანონიერი ცოლის სარეცელს დაისაკუთრებ,
და ვერასოდეს ვეღარაფერი ჩვენს საქორწინო კავშირს ვერ დაშლის,
სიკვდილის გარდა, რაც წარგვიტაცებს მკაცრი ბუნების კანონის ძალით. 1130
ასე თქვა მოყმემ, და ის სიტყვები ქალს ნეტარებად მოხვდა გულზედა,
მაგრამ ზარავდა მამის რისხვა და თავისი მძიმე დანაშაული.
საბრალო ქალი! სად შეიძლებდა დიდხანს ჯიუტად უარზე დგომას,
რომ ელადაში გმირს გაჰყოლოდა! ჰერას ხომ უკვე დიდი ხანია
გადაწყვეტილი ჰქონდა ეს საქმე, რომ სამშობლოდან სამუდამოდ
ის წასულიყო წმინდა იოლკოსს, პელიას მეფის დასაღუპავად!

აგერ, მოსწყინდათ კიდევაც მხევლებს განცალკევებით დგომა, ლოდინი,
უკვე ღელავდნენ: დადგა საათი, შინ დაბრუნებას ითხოვდა ვალი,
დასტურ; დრო იყო, რომ დედის კალთას დაბრუნებოდა ქალწული ქალი.
მაგრამ მედეა დაბრუნებაზე როდი ფიქრობდა — გული ტკბებოდა 1140
ჯერ იაზონის სილამაზითა და მერე სიტყვით მოთაფლულითა.
ბოლოს კი ისევ ეზონის შვილმა შეჰკადრა ქალწულს სიფრთხილის სიტყვა:
„დროა დავშორდეთ, თორემ დღე გადის, და ჰელიოსის ბურთმა რომ ზღვაში
ჩასვლა დაგვასწროს, გამვლელ-გამომვლელს ვეღარ დავრჩებით შეუმჩნეველნი.
მინდორს თვალი აქვს, ხალხი გაიგებს... მერე შევხვდებით ისევ ერთმანეთს“.

ასე ეტრფოდნენ ერთიმეორეს, თქვეს მეგობრული სიტყვა მრავალი,
მაგრამ დრო იყო განშორებისა, და მხიარული ეზონის შვილი
უკან გაბრუნდა, თავის ხომალდზე, სადაც ელოდნენ თანამგზავრები.
ხოლო მედეა მხევლებს ეახლა, შემოეგება ყველა ხალისით,
მაგრამ ქალწულმა ფიქრით გართულმა ვერც კი შენიშნა მოახლეები: 1150
სხვაგან დაჰქროდა მისი გონება, სადღაც ზეცაში, ღრუბლებზე მაღლა.
ეტლზედაც ასე მარტო ავიდა, რა გაიკარა შემწედ არავინ.
სადავეს ცალი ხელი ჩასჭიდა, მეორე ძვირფას მათრახს დაავლო,
გადაჰკრა ჯორებს და აჩქარებით გაჰქუსლა ეტლით ქალაქისაკენ.
მივიდა შინა და ქალკიოპე, შვილების დარდით შეწუხებულმა,
დაუყოვნებლივ ჰკითხა ამბავი, მაგრამ მედეა დუმდა ჯიუტად,
ათასი ფიქრით და საზრუნავით დაოსებული ხმას არ იღებდა,
არც კი უსმენდა, და დის კითხვებზე სიტყვის მიგებაც აღარ ინება.
დაეშვა დაბლა, საკარცხულზე და სავარძლის გვერდით იჯდა უძრავად,
თავდახრილი და კრიჭაშეკრული, ღაწვით მარცხენა ხელს დანდობილი. 1160
თვალი მალიმალ ენამებოდა და ერეოდა თავში ფიქრები:
ასეთ მავნე და საშიშ საქმეში გავხდიო მტრების თანაზიარი.

იაზონი კი ამასობაში შეხვდა მეგობრებს იმავ ალაგას,
სადაც დატოვა დილაადრიან, ჰეკატეს ტაძრის გზას რომ დაადგა.
შეხვდა და წვრილად უამბო ყველას, რაც მოისმინა, რაც გააკეთა.
მაშინვე ზრუნვით შემოეხვია მეგობარ გმირთა გუნდი იაზონს,
და დააყარეს მყისვე კითხვები, მან კი გაანდო ქალწულის ზრახვა,
თან საშინელი უჩვენა ჯადო. გმირთა გუნდიდან განმარტოებით
მხოლოდ იდასი იჯდა, კუშტი და ამაყი, ბრაზით გულამღვრეული.
დანარჩენები გახარებულნი მშვიდად შეუდგნენ თავთავის საქმეს. 1170
ღამეც ჩამოწვა. ივახშმა ყველამ, ხვალის იმედით ძილს მისცეს თავი,
და ორი გმირი აახლეს დილით მეფეს დრაკონის კბილებისათვის.

პირველი იყო მძლე ტელამონი, თვითონ არესის გმირი რჩეული,
და მეორე კი დიდი ჰერმესის ძე, ეთალიდე სახელოვანი.
ასე წავიდა ორი გმირი და ტყუილ-უბრალოდ როდი გარჯილან, —
მისცა ხელმწიფემ ის საშინელი ჯადო-კბილები გველეშაპისა.
ეს გველეშაპი აონიისა[45] არესის წყაროს იცავდა უწინ.
სახელოვანი კადმოსი მაშინ ევროპას, თავის დას დაეძებდა
და ოგიგიის თებეს მისულმა იმ შორეულ და უცხო მხარეში
არესის წყაროს დარაჯად მდგარი ის ზარდამცემი მოკლა ურჩხული. 1180
იქვე დამკვიდრდა მაშინ კადმოსი, რადგან იქ დაწვა ის წმინდა ძროხა,[46]
რაც აპოლონმა მისცა, უმისნა — სადაც გაჩერდეს, იქ დასახლდიო.*
მაშინ ტრიტონიდ-ათენამ [47] დრაკონს ყბებიდან ყველა კბილი დააძრო,
ნაწილი მისცა აიეტ-მეფეს, ნაწილიც კადმოსს, დრაკონის მკვლელსა.
კადმოსმა მისი წილი კბილები მყის აონიის ველზე დათესა,
ხნულში შობილთა უმრავლესობა ღმერთმა არესმა შუბით მოცელა,
და მიწის შობილ ბუმბერაზ გმირთა შექმნა გვარები აგენორის ძემ.
იმ მცირეოდენ დარჩენილთაგან, ვინაც დაინდო ომის მეუფემ;
მეფემ კბილები სიამოვნებით გადასცა გმირებს, რადგან სჯეროდა,
ვერ მიიყვანდნენ საქმეს ბოლომდე, თუნდაც ხარებით დაეხნათ მიწა. 1190

დადგა დაისი და მზე წყვდიადის — დასავლის მხარეს დაეშვა დაბლა.
ვერცხლავდა შუქი ჰელიოსისა ეთიოპიის მაღალ მწვერვალებს[48].
უკვე დაადგა ღამემ თავისი შავი უღელი ღამეულ მერნებს,
გმირებმა გარეთ მოიკალათეს, გემის მაბლობლად გაშლილ მდელოზე.
გვიან, ცაზე რომ ჰელიკეს 'დათვის[49] ვარსკვლავთკრებულის ჩაქრა ციაგი,
ცით მონაბერი ნაზი ზეფირი წყნარად ეწვია მიწის სანახებს,
ეზონის შვილი უკაცურ მიწის ბილიკს დაადგა ფეხაკრეფითა.
ჩუმად, ქურდულად ეძებდა ალაგს და თან მიჰქონდა, რაც სჭირდებოდა.
ცხვარი არგოსმა გამოუყვანა გმირს ფარეხიდან სწორედ წინადღეს.
რძეც მოუტანა, დანარჩენი კი გემზე აიღო და გაიმზადა. 1200
ბოლოს იპოვა მყუდრო ადგილი, გზის მიღმა, სადღაც განმარტოებით.
ანკარა წყაროც ჩამოდიოდა, იყო გარშემო გაშლილი ველი.
იქ ძველი წმინდა წესის თანახმად მან განიბანა ლამაზი ტანი
წმინდა ნაკადის წყალში პირველად, და შეიმოსა შავი სამოსი,
რაც ლემნოსელმა ჰიპსიპილეამ ხანმოკლე შეყრის სახსოვრად უძღვნა.
მერე წყრთის სიღრმის ორმო გათხარა, როგორც ასწავლა იმ დღეს მედეამ,
შეშა დააწყო ორმოს ფსკერზე და იქავე დაკლა სამსხვერპლო ცხვარი;
მაშინვე დადო მთელი ტარიგი შეშის ზვინზე და ცეცხლი შეუნთო,
შემდეგ ნარევი ტკბილი ზედაშეც ზედ წაუქცია ქვესკნელის ღმერთებს,

---

* კადმოსი ფინიკიის მეფის აგენორის ძე იყო. როცა მისი და ევროპა ხარის სახით მოვლენილმა ზევსმა გაიტაცა, მამამ საძებნელად გაგზავნა. ბეოტიაში ჩასულმა დააარსა ციხებურჯი კადმეა — იქ, სადაც მის მიერვე ჯოგში ამორჩეული ძროხა დაწვა (ასე ურჩია ორაკულმა). მერე აქ აშენდა ქალაქი თებე. არესის წყაროზე გაგზავნილი მხლებლები საშინელმა დრაკონმა, არესის შვილმა ერინის ტილფოზამ დახოცა. მერე დრაკონი თვით კადმოსმა მოკლა, კბილები დათესა, მიწისშვილები აღმოცენდნენ (სპარტები — „დათესილები“). ერთიმეორე დახოცეს, დარჩა სულ ხუთი, რომელთაც დასაბამი მისცეს თებელთა ხუთ წარჩინებულ გვარს. თვით კადმოსი და მისი ცოლი ჰარმონია ილირიაში ჩავიდნენ და იქ გველებად იქცნენ. მითი კადმოსს მიაწერეს საბერძნეთში ფინიკიური ანბანის ჩატანას, რაც საფუძვლად, დაედო ყველა ევროპულ ანბანს. ამრიგად, აიეტის გველეშაპის კბილები დიდ ამბებთანაა დაკავშირებული, ოღონდ აიეტთან მათ უფრო „სპორტული“ მიზანი აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოუწოდა მაღალი ხმითა ბრძოლაში შემწედ ჰეკატე — ბრიმოს,
ასე ვედრებით გაბრუნდა უკან. ესმა მუდარა ზარდამცემ ქალღმერთს,
ღრმა მიწისქვეშა ნაპრალებიდან მსხვერპლს მოაშურა იაზონისას.
მუხის რტოების ედგა გვირგვინი, შიგვე ჩაეწნა ურიცხვი გველი.
იგრიხებოდნენ თავზარდამცემნი... ურიცხვ ჩირაღდხის ავარდა ალი,
მოვარდა ხროვა ქვესკნელის ძაღლთა, ყურისწამღები ყეფა-გნიასით.
მაშინ შეირყა გზისპირა ველი, გაისმა წყალთა ნიმფების კვნესა —
ამარანტების ფაზიდის* დაბლობს — ჭაობებს ძრავდა გოდება მათი.[50] 1220
შიშმა მოიცვა ეზონის გული, და ფეხი მაინც მიაქროლებდა, —
უკან ერთხელაც არ მოუხედავს, ვიდრე ხელახლა შეხვდა მეგობრებს...
ამასობაში კავკასიონის მარად თოვლიან მთათა მწვერვალებს
ადრე ამდგარი ოქროს ეოსი** სხივთამთოველი ხელით შეეხო.

ამ დროს მეუფე აიეტემაც ფიცხლავ ჩაიცვა ჯაჭვის პერანგი,
მკვრივი, მთლიანი, რვალის ბეგთარი, რაიც არესმა აჩუქა, როცა
ფლეგრეის ველზე[51] მუშტით მოცელილ ბუმბერაზ მიმასს*** გახადა ტანზე.[52]
თავზე დაიდგა ოქროს გვირგვინი, ოთხბიბილოვან — თავწვეტიანი,
ისე ნათელი, შუქმოციმციმე, ვითარცა დისკო ცხოველი მზისა,
როს ჰელიოსი სხივთამთოველი ახლად ამოდის ოკეანიდან. 1230
ასწია, მაღლა შეათამაშა ფარი, მრავალკეც ტყავგადაკრული,
და საშინელი შუბი მმუსრავი... ვინ შებედავდა მის მფლობელს შებმას!
ვერც ერთი გმირი ვერ დაიჭერდა ჰერაკლეს შემდეგ იმ გრძელ შუბს ხელში.****
მხოლოდ ჰერაკლეს შეეძლო ბრძოლა კოლხთა მეფესთან, ის კი დაკარგეს!
უკვე მზად იყო მაგარი ეტლი, სწრაფნი ტაიჭნი ტორებსა სცემდნენ,
იდგა კოფოზე აიეტის ძე ფაეთონი და ელოდა მამას.
ავიდა მეფე, იპყრა სადავე, და მოწყდა ეტლი სასახლის მიწას,
სწრაფად გაქუსლა ფართო ქუჩაზე, რომ მისულიყო არესის ველზე
და დასწრებოდა მძიმე გამოცდას. ხალხის ნაკადი გაჰყვა მეუფეს.
ისე მიჰქროდა კოლხთა ხელმწიფე, როგორც გინახავთ პოსეიდონი,
საასპარეზოდ რომ მიიჩქარის სადმე ისთმიის თამაშობაზე,
ან ტენარეში, ლერნეს ტბისაკენ, ჰიანტიოსის წმინდა ჭალაში —
ქალაქ ონქესტეს, კალავრიაში, ჰემონიის კლდის მიმართულებით,
ან ტყით დაფარულ გერესტეს მხარეს***** შეივლის ხოლმე გალაღებული, —
იმასა ჰგავდა დღეს აიეტი, კოლხთა მეუფე სწორუპოვარი.

ამასობაში მედეასაგან დარიგებულმა ეზონის შვილმა
გახსნა თავისი „პრომეთეს ფესვი“, გრძნეულ ქალწულის ჯადო-წამალი,
ფრთხილად წაუსვა მძიმე შუბ-ლახვარს, წაუსვა თავის ფარსა და ხმალსა.
გამოვცადოთო, თქვეს მეგობრებმა, მახვილის ფხა და შუბის სიმაგრე .

---

* დედანში: „ფაზიდოს“ — ფაზისის (ფასისის) ბასეინი, მიდამო, ველი.

** — ეოსი — აისის ქალღმერთი. გათენების აღწერა, კოლხეთის ბუნების ლაკონიური აღწერის ყოველი დეტალიც კი (მთა-ბორაკები, ველები, მარადთოვლიანი მწვერვალები, რიონი, ჭაობიანი შესართავი...) მოწმობს, რომ ბერძნები და მათი პოეტები ძველ საქართველოს კარგად იცნობდნენ.

*** იგ. მიმანტი (გიგანტი, მუშტით მოკლა არესმა გადამწყვეტ ბრძოლაში).

**** იგულისხმება: მას შემდეგ ,რაც ჰერაკლე გზაში დატოვეს.

***** დედანშია „პეტრენ თ' ემონიენ... გერაისტონ“.

დაჰკრეს ხმალი და სცადეს მოღუნვა — გრძნებით შეკრულ შუბს ვერა
ავნეს რა. 1250
რაც მეტს ლამობდნენ, ძალუმ ხელებში მეტს მაგრდებოდა, შეუმუსრავი
ვერ მოითმინა აფარეს ძემან, გმირმა იდასმა, ბრაზმორეულმა
დაჰკრა მახვილი შუბის წვერს მძლავრად, მაგრამ ვითარცა ურო გრდემლიდან,
ავარდა სუსტი მახვილის პირი, დაიზრიალა ვაჟკაცის ხელში.
ახლა იქუხეს ერთხმად გმირებმა, ძლევის იმედით გულანთებულთა.
შემდეგ წაიცხო წამალი გმირმა, და ჩადგა წამსვე იმის ძარღვებში
ძალა ართქმული, არგაგონილი, რამაც არ იცის შიში და ძრწოლა, —
ხელის სახსრებში მოზღვავდა ღონე და გაუმაგრდა ფიცხლავ კუნთები.
როგორც საბრძოლო მერანი შმაგი, ბრძოლის ველზე რომ იწევს ჭიხვინით,
დაუცქვეტია მოკლე ყურები, აუწევია ამაყი ქედი, — 1260
ასე ხარობდა ეზონის ვაჟიც და ამაყობდა თავისი ღონით.
ფეხს ინაცვლებდა, ვერ ისვენებდა, ჩქარობდა ცეცხლის ხარებთან შებმას,
იქნევდა ხელში ფოლადის ფარსა და მასთან შუბსაც ატრიალებდა.
გეგონებოდათ, შავი ღრუბლიდან ელვის ენები გამოკრთებიან,
წკვარამსა წვავენ წყვდიად ღამეში და წარღვნის წვიმაც წამოსკდებაო, —
ისე ელავდნენ ეზონის შვილის შეუმუსრავი შუბი და ხმალი.
ახლა კი დათქვეს, აღარ ეგების ასპარეზობის გადადებაო!
ავიდნენ გემზე, დასხდნენ ხოფებთან და მიაშურეს არესის ველსა.
მდინარის პირას რომ გაშლილიყო, ქალაქს პირდაპირ გადასცქეროდა.
იქითა მხარეს ქალაქ ეადან მოიჩქაროდა აიეტიცა. 1270
რა ახლოს იყო საასპარეზო, შემოღობილი მოაჯირითა!
რა მანძილზედაც მოასპარეზის არის მიზანი საწყის ზღუდიდან.
კოლხები აქა გმირთა, მეფეთა მოსაგონებლად აწყობდნენ ხოლმე
ეტლებით სრბოლას, დოღსა, რბენასა და სხვა მრავალგვარ სანახაობას.
ასე ყოფილა დასაბამიდან ჯიბრი თამაშის გამრიგებელთა.
არგონავტებმა ნახეს გემიდან კოლხი ხალხი და მრისხანე მეფე:
კოლხნი კავკასის კლდეებზე იდგნენ, მეფე ვიდოდა მდინარის პირას.

გმირებმა გემი გრძელი ბაგირით ნაპირს მიაბეს, შემდეგ კი განზე
გადაისროლა ეზონის შვილმა მოსასხამი და აიღო ფარი,
აიღო ხმალი და მუზარადი, სავსე დრაკონის ბასრი კბილებით, 1280
შემდეგ ჩამოხტა მარჯვედ გემიდან, გადაიკიდა მხარიღლივ ხმალი,
თვითონ კი დარჩა გაშიშვლებული, ხელში სპილენძის მუზარადითა.
აპოლონს ჰგავდა ოქროსხმლიანსა, ან არესს, ომის სასტიკ ღვთაებას.
თვალი შეავლო გმირმა გარემოს, ნახა სპილენძის მძიმე უღელი,
სპილენძისავე სახნის-საკვეთი, ერთი მთლიანი რვალის* გუთანი.
მივიდა გმირი ფიცხლავ გუთანთან, დაასო შუბი მაგარ მიწაში,
დადგა ლაპლაპა მუზარადი და თვითონ ხარების კვალზე წავიდა.
ხელთ დაიჭირა მხოლოდ ფარი და საშინელ ხარებს დაუწყო ძებნა.
ანაზდეულად მიწა გაიპო და ამოვარდნენ ცეცხლისმფრქვეველნი...
თურმე მიწისქვეშ, კვამლით დაბურულ, მრუმე, დაბინდულ გამოქვაბულში
ჰქონოდათ ხარებს ბოსელი მყარი, შეუმჩნეველი, მიუკვლეველი,
და ამოშავდნენ ანაზდეულად, რკინის ხახიდან ცეცხლის ფრქვევითა.

---

* ლედანშია „ადამანტოს“ — საკ. ანდამატი, ალმასი, ბრილიანტი; ძვ. ბერძნულში ფოლადსაც ეძახდნენ.

ნახეს გმირებმა და ეცათ ელდა, გაშეშდა ყველა, იაზონმა კი
ფარი იფარა, მტკიცედ დადგა და ჯიქურ დაუხვდა საზარელ ხარებს,
ვითარცა ხვდება სალი კლდე ზღვაში ქარიშხლის ძალით მოვარდნილ ტალღებს,
მარჯვედ ეჭირა თვალწინ ფარი და იგერიებდა ველურ პირუტყვებს,
ბრდღვინვა-ღმუილით რომ აწვებოდნენ, ფარს აწყდებოდნენ რქების ჩხვერითა
იდგა გმირი და ხართა მოწოლამ ბიჯითაც ვეღარ დახია უკან.
ვაქკაცი ცეცხლის ალში გახვიეს, მაგრამ მედეას ჯადო შველოდა.
უზარმაზარი საბერველიდან ცეცხლის ქურას რომ შეუბერავენ, 1300
ნაწყვეტ, ნაწყვეტი ქშენა-შხუილით გააჩაღებენ დაფერფლილ ღადარს,
ხან შეწყდება და ხანაც იელვებს ახალი ძალით ცეცხლის ნაკადი,
გამძვინვარებით გამოიჭრება, გაჩაღდება და გუგუნებს ისევ, —
ასე აფრქვევდნენ ხარებიც ხახით ცეცხლს და ღმუილით წვავდნენ იაზონს,
ვითარცა ელვით, მაგრამ მედეას განუზომელი გრძნება იცავდა.
ხელი ჩაავლო რქებში მარჯვენას და დაითრია მთელი ძალითა,
რათა სპილენძის მძიმე უღელი დაედგა მისთვის, თუმცა უჭირდა.
მაშინ დაამხო წინა მუხლებზე — სპილენძის ფეხში ჩაჰკრა ფეხი და
წამოაჩოქა დედამიწაზე... მეორე ხარსაც ასევე სძლია:
დაჰკრა ძალუმი ფეხი მძვინვარეს და მოუდრიკა სპილენძის ფეხი. 1310
მერე გასტყორცნა ფართო ფარი და იდგა, ვითარცა ალმოდებული,
ცეცხლით და კვამლით გარემოცული, ის აკავებდა დაჩოქილ ხარებს.
მარჯვენითა და მარცხენა ხელით ზედ აწვებოდა მიწაზე გაკრულთ...
და შესცქეროდა აიეტ მეფე, განცვიფრებული ვაქკაცის ღონით.
ტინდარიდები, როგორც წინასწარ ებრძანათ გმირებს, ფიცხლავ წამოდგნენ,
მისცეს იაზონს რკინის უღელი, რათა დაედგა ხარებისათვის.
მოყმემ დაადგა დაუყოვნებლივ, მარჯვედ შეუკრა აპეურები,
რვილი ხელნაში გაუყარა და ღვლერჭებით შეკრა, შეაბა გუთანს.
ტინდარიდები გაშორდნენ ხარებს, უკან წავიდნენ ხომალდისაკენ,
ცეცხლს ვერ გაუძლეს. იაზონმა კი ფარი აიღო, ზურგზე მოიგდო, 1320
და მუზარადი აიღო მძიმე, დრაკონის ბასრი კბილებით სავსე,
უზარმაზარი შუბიც იმასთან, ხელი ჩაავლო რვალის სახელურს,
დაუწყო ხარებს ცემა და ჩხვლეტა, როგორცა სცემენ ფერდებში ხარებს
გარეკვის მიზნით წვეტიან ჯოხებს პელაზგიელი მიწის მუშაკნი,[55]
ასე გააგდო ცეცხლისმფრქვეველნი, ასე გაავლო პირველი კვალი.
მაგრამ ხარები ქედს არ იხრიდნენ, ბრდღვინავდნენ, ბრაზით გაცოფებულნი,
რისხვით ზმუოდნენ და ცეცხლოვანი ამონასუნთქით წვავდნენ მიდამოს.
მიწას არყევდა მათი გუგუნი, გეგონებოდათ ქარიშხალია,
როცა ზღვაოსნებს შიში მოიცავთ, სასწრაფოდ სწევენ დაბლა იალქნებს.
მაგრამ ძალა რომ აღმართსა ხნავს და შუბის ცემაზე ინებეს წინსვლა,
კვალს მიჰყვებოდნენ და მქისი მიწაც დაჰყვა მრისხანე მხვნელსა და სახნისს.
და იფშვნებოდნენ საშინელ ხნულში უზარმაზარი შავი ბელტები,
კაცის ღონისთვის მიუწვდომელნი, ეხეთქებოდნენ გრიალით დაბლა.
იაზონი კი მტკიცე ნაბიჯით კვალს მიჰყვებოდა, აჭერდა სახნისს,
თანაც თესავდა ორსავე მხარეს ხნულში დრაკონის წვეტიან კბილებს,
მალ-ძალე უკან იხედებოდა, არ დამასწრონო მიწისშობილთა,
არ აღმოცენდნენ მოულოდნელად, თავს არ დამესხან მეყვსეულადო.
სპილენძის ჩლიქებს ხენეშ მიწაში ხვევდნენ ხარები და ხნავდნენ ახოს,
შეუსვენებლივ შრომობდა გმირი — სამხრობამდე და სამხრობის შემდეგ.
დადგა ის ჟამი, რის წარმავალი დღის მესამედი რჩება მწუხრამდე,

ალიონიდან რომ გამოვთვალოთ, და მიწის მუშაკს, დაღლილ-დაქანცულს,
ერთი სული აქვს, როდის მოვაო უღლიდან ხართა გამოხსნის წუთი, —
ამ დროისათვის დაუცხრომელმა მხვნელმა ხოდაბუნს მოუღო ბოლო,
გადახნა ოთხი დღიური მიწა, გამოხსნა ხნულში ხარები სახნისს,
მერე დააფრთხო ცეცხლისმფრქვეველნი, და მიაშურეს ქვესკნელის ბოსელს.
თვითონ კი გემის მხარეს წავიდა, — ჯერ არსად ჩანდნენ მიწისშვილები.
გარს დაეხვივნენ მეგობრები და თან ულოცავდნენ, თან ამხნევებდნენ.
მდინარე წყალში ჩაყო მაშვრალმა მუზარადი და დალია წყალი.
დაჯდა მიწაზე და მოიკეცა მძლავრი მუხლები ეზონის შვილმა. 1350
ანაზდეულად იგრძნო, მოზღვავდა დაღლილ სახსრებში ახალი ძალა,
ბრძოლა მოსწყურდა სულით ძლიერსა, ვითარცა ტახსა ჯაგარაშლილსა,
პირზე დუქმომდგარს, ბოლმას რომ ღეჭავს, ეშვებს ილესავს მონადირეზე
გაცოფებული, და მიწას ნამავს დუქი, პირიდან გადმოდენილი.
ამასობაში არესის ველზე აღმოცენდა და წამოიზარდა
გეგენეელი ბუმბერაზების — მიწისშობილთა ძალუმი მოდგმა,*
და აიჯაგრა ხნული შუბებით, ფარ-ხმალითა და მუზარადებით.
აივსო კუშტი, კაცთამქლეტელი არესის ველი ბუმბერაზებით,
და მოლაპლაპე ზუჩების შუქი ციურ ოლიმპოს მწვერვალს აღწევდა.
უცბად თოვლი რომ დაბარდნის მიწას, ველია თეთრად გადაპენტილი, 1360
ანაზდად ქარი ჩამოიქროლებს და ზამთრის ღრუბლებს გაფანტავს მაღლა,
შუქმოციმციმე ვარსკვლავთკრებულნი შეიყრებიან მოსარკულ ცაზე,
გაანათებენ წყვდიად ღამესა, — ასე აფრქვევდა შუქს ახლა ხნულში
უხვმოსავლიან მიწისშობილთა ეს ბუმბერაზი სალაშქრო წყობა.
აქ იაზონმა მყის გაიხსენა გრძნეულ მედეას რჩევა ცბიერი:
ასწია ერთი დიდრონი ლოდი, იქვე რომ ეგდო, მრგვალი და მძიმე, —
ენიალიოს არესის ბადრო, ოთხი ვაჟკაციც რომ ვერ ასწევდა,[56]
და როგორც კენჭი, ბუმბერაზების ლაშქრის შუაში გადაისროლა.
თვითონ კი ფარი აიფარა და გულმშვიდად იქვე ჩამოჯდა დაბლა,
შეუპოვარი და უშიშარი. აქ ახმიანდნენ კოლხთა რიგები. 1370
ასე გუგუნებს ზღვა, როცა ზვირთი სალი კლდის ბრეკებს მიეხეთქება.
განცვიფრებული დარჩა ხელმწიფე, ეს რა მსუბუქად გასტყორცნა ქვაო!
მიწისშობილნი, მსგავსად ქოფაკთა, ხტოდნენ, ღმუოდნენ ბადროს გარშემო.
ეკვეთებოდნენ თავგამეტებით და აწყდებოდნენ ერთიმეორეს,
საკუთარ შუბზე აეგებოდნენ და ეცემოდნენ დედის წიაღში,
როგორც ნაძვები, ანდა მუხები, ქარიშხლის დათხრილ-დალეწილები.
როგორც ვარსკვლავი ცით მოწყვეტილი, შუქთამთოველი, მიჰყვება ეთერს
და თავის გზაზე წყვდიადს ანათებს, აკრთობს, აოცებს ადამიანებს,
ციალ-ციმციმით მიჰქრის ჰაერში, სხივებით სერავს სამყაროს სივრცეს, —
ასე გაიქრა და გადაეწინო ეზონის შვილიც დევკაცთა წყობას. 1380
ხელი ხმალს იკრა, გაშიშვლებული მახვილით იწყო მებრძოლთა კაფვა,
სცემდა, ცელავდა მუცლამდე შობილთ, წელამდე შობილთ შავი მიწიდან,
სცემდა იმათაც, ვისაც მუხლები ჯერ კიდევ მშობელ მიწაში ჰქონდა,
სცემდა შობილთაც, რომელთაც აგერ უკვე მოასწრეს ფეხზე დადგომა,
და მეოთხეთაც, რომელნიც უკვე ბრძოლის ველისკენ გარბოდნენ შმაგად.
ვითარცა გამრჯე მიწის მუშაკი, საზღვარზე ბრძოლა რომ ატეხილა,

---

* ბერძ. „გეგენეას“ (გე — მიწა, გენოს — გვარი, ჩამომავლობა) — მიწისშობილნი.

შიშით შემკრთალი, ვაი თუ მტერმა დამასწროს მომკა მოსავლისაო,
ალესილ ნამგალს ჩაავლებს ხელსა, გაექანება თავის ყანაში,
და მკის თავთუხებს გამალებული, ჯერაც უმწიფარს, აღარ დაეძებს,
აღარ დაუცდის მარცვლის სიმწიფეს, რომ ჭირნახული მოიმკას
დროზე, — 1390

ასე ცელავდა მიწისშობილთა უმწიფარ ჯეჯილს იაზონიცა,
სისხლის ტბორებით სავსე ხნულები წვიმის წყლით სავსე თხრილებსა ჰგავდა.
ზოგი რომ პირქვე დამხობილიყო, ფხვიერ ბელტებსა ფშვნიდა კბილებით,
სხვა გვერდზე ეგდო და ზღვის ურჩხულებს მოგაგონებდათ მათი გვამები.
ზოგიც გულაღმა გაშხლართულიყო, და გადაეგდო ხელები განზე,
ზოგისთვის ხმალი ადრე დაეკრა, ვიდრე მიწიდან ამოძვრებოდა,
ფერხნი ჩაერგოთ მშობელ მიწაში, გადაეღრიცათ განზე თავები.
როგორც ხეხილთა ნორჩი ნერგები, წარღვნის წვიმა რომ წააქცევს ხოლმე
მოვლილ ბაღებში, მიწაზე დასცემს, ძირთან უმწეოდ გადატეხილებს,
და გულს მოუკლავს გამრჯე მებაღეს ეს სამწუხარო სანახაობა, 1400
რადგან ამაოდ ჩაუვლის ჯაფა, დაუღონდება გული და სული,
მომაკვდინებელ კაეშნის ნისლი ჩამოაწვება ხეხილის პატრონს,
ვინც თესა, დარგო და მოუარა, — ასე დააწვა დარდი აიეტს.
კოლხთა თანხლებით გაბრუნდა უკან თავის სატახტო ქალაქ ეაში,
და ერთი ფიქრით იყო მოცული — როგორ ეძია გმირებზე შური!
დღე მიიწურა, და იაზონმა დააგვირგვინა საგმირო საქმე.

□ გაგრძელება იქნება □

თარგმნა **აკაკი გელოვანმა**

განმარტებანი (წიგნი მესამე)

1. ერატო — ეროტიკული პოეზიის მუზა (იხ. I წ. შენ. 8).

2. ერატოს სახელი წარმოებულია ბერძნული ზმნიდან ერაო — მიყვარს.

3. თალამონი — საწოლი ოთახი.

4. იგულისხმება აიეტის ასული მედეა.

5. ოლიმპოს მპყრობელმა ზევსმა გადაყლაპა პირველი ცოლი მეტისი და თვით დაორსულდა. ზევსის თავისაგან დაიბადა ღარაღასხმული ქალღმერთი ათენა.

6. აფროდიტეს მეუღლე არის ღმერთი ჰეფესტო.

7. იგულისხმება სიცილიის ჩრდ. მდებარე კუნძული ლიპარა.

8. იქსიონი — ლაპითების მითიური მეფე. ჰერასადმი დანაშაულებრივი სიყვარულის გამო ზევსმა იგი ჰადესში შთაგზავნა და მარად მბრუნავ ბორბალს მიაკრა.

9. შდრ. „ოდისეა", XII,72.*

10. კითერია — აფროდიტეს ეპითეტია.

11. ილიონის მეფე ტროსს ჰყავდა სამი შვილი: ილი, ასარკი და განიმედე. ყველაზე უმცროსი და ულამაზესი იყო განიმედე. ზევსს იგი მოეწონა, ოლიმპოზე გაიტაცა და უკვდავება მიანიჭა. განიმედი ოლიმპიელ ნეტართა მერიქიფედ იქცა და თასებში ნექტარს უსხამდა.

---

* არგონავტების მესამე სიმღერის 74 სტრიქონი ანალოგიას პოულობს ჰომეროსის პოემის მითითებულ ადგილზე:

და იმ ცეცხლოვან ქარიშხალს იმ დღეს
გადარჩა მხოლოდ ერთი ხომალდი,
საყოველთაოდ ქებული არგო, აიეტესგან
დაბრუნებული,
და იმ არგოსაც უწყალოდ კლდეებს
მიანარცხებდა მძვინვარე ტალღა,
რომ იაზონის პატივისცემით არ ეხსნა ჰერას
მოწყალე ხელით. (თარგ. ა. გ.).

12. კირკე — აიეტის და.

13. აპ. როდოსელის სქოლიასტის მოწმობით ეთნოგრაფიული ფაქტი კოლხთა პანთეონის შესახებ ჩვენს პოეტს გადმოუღია ნიმფოდორეს თხზულებიდან (იხ. II წ. შენ. 85). აპ. როდოსელის ამ ცნობას ადასტურებენ შემდეგდროინდელი ავტორებიც — პარადოქსოგრაფი ნიკოლოზ დამასკელი და კლავდი ელიანე პრენესტელი (II-III ს.).

14. პლეადები — ატლასის და პლეიონის შვიდი ასული, რომლებიც ვარსკვლავებად იქცნენ — შვიდი მნათობის თანავარსკვლავედი. პლეიადების ჩასვლა ზამთარს მოასწავებს, აღმოსვლა — ზაფხული.

15. ფლეგრის ბრძოლა — ღმერთების ბრძოლა გიგანტებთან.

16. ფაეთონი — მბრწყინავი.

17. ჰეკატე — ჯადოქარი ქალღმერთი, აიეტის ძმის პერსეს ასული. ჰეკატე არტემიდეს მსგავსად მთვარის ქალღმერთია.

18. ჰესპერია — იტალია.

19. ენიალოსი — ომის ღმერთის არესის ეპითეტია.

20. იგულისხმება ოქროს ვერძის გატაცება.

21. სავრომატები — სკვითური ტომი.

22. „ოთხი ღელეური" — ტეტრაგიონი.

23. მიწათმოქმედების, მოსავლიანობის, ნაყოფიერების ქალღმერთი დემეტრე.

24. შდრ. ვერგილიუსი, ენეიდა, IV, 489: „შეაჩეროს წყლის დენა მდინარეში და უკუღმა აბრუნოს მნათობები".

25. იხ. შენ. 10.

26. კიპრიდა — აფროდიტე.

27. იხ. შენ. 19.

28. იგულისხმება საბერძნეთი.

29. აქაელი — ბერძენი.

30. აპ. როდოსელი პირველი წყაროა, კოლხების უძველეს კულტს რომ გვამცნობს. კოლხთა უდიდესი საფიცარი მიწა და ზეცაა...

31. ერინია — შურისძიების ქალღმერთი.

32. ეს სტრიქონი — „წამალს წაუღებ უცხოელს, რომლის გულისთვისაც ატყდა ეს აურზაური" სქოლიასტის დამატებად მიაჩნიათ ბრუნკმა თავის გამოცემაში შეიტანა, სეატონს კი არ შეუტანია. ჩვენ დავტოვეთ, რადგან აზრთა თანმიმდევრობას სრულიადაც არ არღვევს.

33. იხ. შენ. 3.

34. იგულისხმება ქალღმერთი ჰეკატე.

35. კორიკოსი — ქალაქი და მთა კილიკიაში.

36. ბრიმო — ჰეკატეს და პერსეფონეს ეპითეტია.

37. ე. ი. პრომეთეს სისხლისაგან აღმოცენებულ მცენარეს.

38. პართენიოსი — მც. აზიის მდინარე.

39. ლეტოს ასული. ქალღმერთი არტემიდე.

40. ჰეკატომბი — დიდი მსხვერპლი.

41. სირიოსი — საშინელ [illegible] ვარსკვლავებს

42. მითი. კრეტის მეფე [illegible] ასული ხარკი დაადო ათენელებს: ყოველი ცხრა წლის განმავლობაში ათენელები მინოსს უგზავნიდნენ ცხრა-ცხრა ქალ-ვაჟს, რომელთაც მინოსი ლაბირინთში ამწყვდევდა და მინოტავრს (მინოსის ხარს) აჭმევდა. ერთხელ კრეტაზე თეზევსიც გაემგზავრა (იგი ათენის მეფის ეგეოსის ვაჟი იყო). თეზევსის სილამაზით მოხიბლულმა მინოსის ასულმა არიადნემ გმირს მისცა ძაფი. როცა თეზევსი ლაბირინთში შევიდა, მან შესავალთან დაამაგრა ძაფის ბოლო. გაჰყვა ძაფს, მოკლა მინოტავრი და უკან უვნებლად გამოვიდა. თეზევსმა არიადნეც წაიყვანა ათენისაკენ, მაგრამ კუნძ. ნიქსოსზე ღმერთმა დიონისემ მოსტაცა მას საყვარელი ქალწული.

43. მედეა გულისხმობს არიადნეს. მისი დედა პასიფაე აიეტის და იყო.

44. ჰემონია — თესალია.

45. აონია — ბეოტია.

46. კადმოსმა იქ თებე დააარსა.

47. იგულისხმება ქალღმერთი ათენა.

48. ბერძენთა წარმოდგენით მზე ამ მხარეში ჩადიოდა.

49. იგულისხ. დიდი დათვის თანავარსკვლავედი. მისი გაქრობა შუაღამეს მოასწავებს.

50. ამარანტის — მდ. ფასისის ეპითეტია და ფასის მთიდან გამომდინარეს აღნიშნავს.

51. ფლეგრის ბრძოლა — ღმერთების ბრძოლა გიგანტებთან.

52. მიმასი — ერთ-ერთი გიგანტთაგანი.

53. ფაეთონი — აფსირტე*.

54. ღმერთ პოსეიდონისადმი შეწირული ადგილებია.

55. იგულისხმება პელაზგური მიწისსაზომი ჯოხი.

56. შდრ.:

ჰებტორმა კი მაშინ ხელი წამოავლო კარებთან მდებარე ვეება რიყის ქვას, ქვემოდან ბრტყელს, ხოლო ზემოდან წვეტიანს. ჩვენს დროში ორ საუკეთესო მუშასაც გაუჭირდებოდა ასეთ ქვის ურემზე დადება; მაგრამ პრიამიდემ ერთბაშად აიღო და მყის მოიქნია სიპი ქვა, რომელსაც ზევსმა, ქუხილის მეუფემ, იმ დროს სიმსუბუქე მისცა საოცარი".

(„ილიადა", XII, 445...).

---

* ფაეთონი, „სხივოსანი", ჰელიოსის ზედწოდებაცაა, მისი შვილიშვილის აფსირტე აიეტის ძის ზედწოდებაც და ჰელიოსის შვილის სახელიც, მზის ეტლი, რომ მოსთხოვა, მერნებმა ცაში გაიტაცეს და დაიწვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტარიელ ხავთასი

თერთმეტი ბედნიერი რიცხვია

(ნარკვევი)

მატარებელი ქშენით მოწყდა აქოთქოთებულ ბაქანს და კურსი თბილისისაკენ აიღო. ვაგონები ახალგაზრდებით იყო სავსე. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები უმაღლეს სასწავლებლებში საბუთების შესატანად მიიჩქაროდნენ. სასაუბრო თემა ყველასათვის ერთი და იგივე იყო — მომავალი მისაღები გამოცდები... მშობლებს სხვა საზრუნავი ჰქონდათ. ისინი უფრო შორს იყურებოდნენ, ათასჯერ ზომავდნენ ყოველი მომავალი დღის ნაბიჯებს.

და იყო რწმენა, იმედი, ეჭვიცა და ფარული შიშიც...

მახსოვს, ის დღე ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტი წლის 11 ივლისი იყო. მგზავრებს სულს უხუთავდა თავმოსაბეზრებელი სიცხე, ერთ ადგილზე ვერ იხვენებდნენ. ზოგს თადარიგი ადრე დაეჭირა და თავი მიმქროლი ვაგონის ღია ფანჯარაში გაეყო. ზოგს მაინც არ ეღალატა მგზავრობისათვის „დაკანონებული ტრადიციისათვის“ და სახელდახელო სუფრაც კი გაეშალა...

ჩვენს კუპეში მაღალი, თხელი, კაფანდარა ჭაბუკი შემოვიდა, ხელბარგი საბარგულში ჩადო და ფანჯარასთან უჩუმრად ჩამოჯდა. ერთ ხანს მთვარით გადაკაშკაშებულ სივრცეს გაჰყურებდა, შემდეგ გაზეთი აიღო, უხალისოდ გადაათვალიერა, მერე ისიც მობეზრდა და საწოლი გაშალა... მას საოცრად ნაცნობი სახე ჰქონდა, მაგრამ ვერაფრით მომეგონებინა თუ სად შევხვედროდი. საკვირველი ის იყო, რომ დილით ერთიდაიგივე მასპინძელს მივადექით კარებზე. შორეულმა საერთო ნათესავმა გულთბილად მიგვიღო და მომავალი აბიტურიენტები გვერდიგვერდ ოთახებში დაგვაბინავა. აქედან დაიწყო ჩვენი ახლო ნაცნობობა და შემდგომი უანგარო მეგობრობა. დამოკიდებულებას კიდევ უფრო გულითადს ხდიდა, ის, რომ ჩვენი ინტერესები ერთმანეთს არ უპირისპირდებოდა, ერთმანეთის კონკურენტები არ ვიყავით. მე ჟურნალისტის პროფესია მიზიდავდა, მას კი — აგრონომის.

მახარაძის ჩაის ტექნიკუმში სწავლისას მშობლიურ სოფელ გურიანთაში ციტრუსების გამოსაზამთრებელ ორანჟერეაში უმუშავია და ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, უმცროსი ტექნოლოგის კვალიფიკაცია მიღებულს გულ' აგრონომიული მეცნიერების საფუძვლიანი შესწავლისაკენ მიუწევდა.

დაიწყო მისაღები გამოცდები. გამოცდაზე მიმავალი მუდამ ინარჩუნებდა გარეგან სიმშვიდეს, მაგრამ, როცა შედეგის გასაგებად მიიჩქაროდა, მისი სახის ყოველ ნაკვთს, სიტყვას თუ მოძრაობას აშკარად ეტყობოდა მოუსვენრობა და მღელვარება. მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ცოდნამ და სიბეჯითემ თავისი გაიტანა; როცა 11 აგვისტოს ინსტიტუტში ჩარიცხულთა სია გამოაკრეს შიგ მისი გვარიც იყო.

ეს ახალგაზრდა იური ლავროსის ძე მალაზონია გახლდათ.

მალე გაირბინა სწავლის დაძაბულმა ხუთმა წელმა. 1956 წლის 11 აპრილს უმაღლესდამთავრებული სპეციალისტი მახარაძის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში გაანაწილეს. დაიწყო ინსტიტუტში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკული ხორცშესხმის დღეები, როცა განყოფილებამ იგი ნარუჯის საბჭოთა მეურნეობაში გააგზავნა, სადაც ახალგაზრდა ჩაის

პლანტაციების ბრიგადირად დანიშნეს. მაშინ მეურნეობაში 28 ბრიგადა იყო. იურიმ მიზნად დაისახა საუკეთესო მაჩვენებლებით დაემთავრებინა სამეურნეო წელი და კიდეც შეასრულა. მეურნეობაში წლის შედეგები შეჯამდა. გარდამავალი დროშა იური მალაზონიას გადაეცა. მეურნეობის მაშინდელმა დირექტორმა ვახტანგ ჭეიშვილმა. ამ ახალგაზრდა სპეციალისტში კარგი საიმედო ძალა შენიშნა და იმავე წლის ბოლოს მას უფრო საპასუხისმგებლო უბანი ჩააბარა — ნედლეულის დამზადებია აგრონომად დანიშნა. მას არც აქ შეურცხვენია თავი, საუკეთესო მაჩვენებლებით დაამთავრა მომდევნო სამეურნეო წელიც და დირექციის მადლობა დაიმსახურა. ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო მისი სხვა უფრო საპასუხისმგებლო უბანზე გადაყვანისათვის. და აი, მალე მას მეურნეობის მეექვსე აგროგანყოფილების მმართველ აგრონომად ნიშნავენ. წლის ბოლოს ამ აგროგანყოფილებას მეურნეობის გარდამავალი დროშა გადაეცა, რაც მისი ახალგაზრდა ხელმძღვანელის მორიგი შრომითი გამარჯვების დასტური იყო.

იმ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ფართოდ იყო გაშლილი გაგანოვური მოძრაობა, მას წარმატებით გამოეხმაურა მახარაძის რაიონი და, კერძოდ, ნარუჯის საბჭოთა მეურნეობა. ამასთან დაკავშირებით იური მალაზონია მოწინავე მეექვსე აგროგანყოფილებიდან ჩამორჩენილ მეხუთე აგრორაიონში გადაჰყავთ მმართველ აგრონომად, ახალი პრობლემების წინაშე დადგა ახალგაზრდა სპეციალისტი, მუდამ გამარჯვებას ჩვეულს არ შეეძლო ჩამორჩენას შეგუებოდა, ან საშუალო დონით დაკმაყოფილებულიყო. ამიტომ ძირფესვიანად შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები და კონკრეტული ღონისძიებები დასახა მის სალიკვიდაციოდ. საქმე ჩინებულად აეწყო და შედეგმაც არ დაიგვიანა. სამი წლის მანძილზე, მისი ხელმძღვანელობის დროს, მეხუთე აგრორაიონი პირველობას არავის უთმობდა. იგი ხშირად გამოდიოდა რადიოთი, როგორც მოწინავე გაგანოველი აგრონომი და თავისი მუშაობის გამოცდილებას, გეგმებს უზიარებდა და აცნობდა მსმენელებს, მონაწილეობდა გაგანოველთა რესპუბლიკურ შეკრებაზე. როგორც კომუნისტი, ამავე დროს, აქტიურად მონაწილეობდა რაიონის სამეურნეო თუ პარტიულ ცხოვრებაში — მუშაობდა პარტიის მახარაძის რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორად.

1962 წელს იური მალაზონიას მახარაძის საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორად ნიშნავენ. უნდა ითქვას, რომ აქ ერთი წლის მუშაობის მანძილზე მისი ზონის კოლმეურნეობები რაიონში მოწინავეთა რიგებში იდგნენ.

1963 წლის 11 თებერვალს უკვე საკმაოდ გამოცდილი და უნარიანი სპეციალისტი — დამოუკიდებელ ხელმძღვანელ სამუშაოზე გადადის — ირჩევენ იმ დროისთვის ჩამორჩენილი ხვარბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ძნელი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა იური. ჩამორჩენასთან ერთად სოფელში მოშლილი იყო შრომის დისციპლინა, გეგმების სისტემატურ შეუსრულებლობას უარყოფითი დაღი დაესვა კოლმეურნეობის ეკონომიური და კულტურული დონისათვის. სოფელში საჭირო იყო მართლაც გონიერი, პრინციპული და მტკიცე ნებისყოფის მქონე უნარიანი ხელმძღვანელის ავტორიტეტი. სწორედ ასეთი აღმოჩნდა იური მალაზონია, რომელმაც შვიდი წლის მანძილზე სოფელში მართლაც რომ წარუშლელი კვალი დატოვა. ამ პერიოდში ხვარბეთის საზოგადოებრივი შემოსავალი ერთი-ორად გაიზარდა, ამაღლდა რენტაბელობა, შემცირდა ნედლეულის თვითღირებულება, გაუმჯობესდა მშრომელთა ეკონომიური და კულტურული დონე, ერთი-ორად გაიზარდა საერთო ფულადი და ნატურალური შემოსავალი, სოფელში აშენდა კეთილმოწყობილი სკოლა, რისთვისაც თავმჯდომარეს განათლების სამინისტროს სიგელი გადაეცა, გაყვანილი იქნა ახალი გზები, დაიგო ასფალტი, აიგო საცხოვრებელი ბინები, კოლმეურნეობის კანტორის შენობა, გაიხსნა ამ სოფლის შვილის, გამოჩენილი მხედართმთავრის, სსრ კავშირის გმირის კონსტანტინე ლესელიძის ძეგლი, გაიზარდა მეცხოველეობის ფერმა, რის მეოხებითაც ხუთჯერ ამაღლდა წველადობა.

ხვარბეთის კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგში ჩადგა. იურიმ იგი მშობლიური სოფელივით შეიყვარა და ძალ-ღონის დაუზოგავად ემსახურებოდა მისი წინსვლის საქმეს. ამ სიყვარულს მეორე დიდი მიზეზიც გაუჩნდა; აქ იპოვა ახალგაზრდა თავმჯდომარემ გულისტოლი და საკუთარი ოჯახის ბალავარიც ჩაყარა... მერცხლებივით მოეღურტულე ქალ-ვაჟი ენერგიით, შრომისა და სიცოცხლის ხალისით ავსებს იურის გულს და ახალ-ახალი წარმატებებისაკენ მოუწოდებს...

ერთხელ კიდევ დადგა იურის ორგანიზატორული ნიჭის გამოცდის დრო. და ისევ რიცხვი 11. 1970 წლის 11 თებერვალს მას ნაგომრის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ირჩევენ. ეს სოფელი ტრადიციულად ცნობილია კარგი ხელმძღვანელებით. ამიტომაცაა, რომ სოფლის ყოველ კუთხე-კუნჭულს ნიჭიერი თავკაცის ხელი ატყვია. ამ ტრადიციას განმტკიცება და გამრავლება სჭირდება. ეს კარგად იცოდა ი. მალაზონიამ, როცა ამ კოლმეურნეობის კანტორის კარები შეაღო. და თუ რა გაკეთდა სოფელში მისი ხელმძღვანელობით ერთი წლის მანძილზე, ამაზე მშრალი სტატისტიკური ცნობებიც კი ნათელ წარმოდგენას იძლევა. ადრე თუ კოლმეურნეობის

ფულადი შემოსავალი 1.100.070 მანეთს აღწევდა, იგი 1.430.000 მანეთამდე გაიზარდა. 1400-ის ნაცვლად მოიკრიფა 1500 ტ. ჩაის მწვანე ფოთოლი. კოლმეურნეობამ პირველი ადგილი მოიპოვა რაიონში სიმინდის წარმოების საქმეში — 350 ტ. 320-ის ნაცვლად. ანუ საშუალოდ ჰექტარზე 33 ც. ასეთი მონაცემები კოლმეურნეობას არც ერთ წინა წელს არ ჰქონია. მეორე ადგილზე გამოვიდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში, მაგრამ მატების მხრივ პირველობა არავისთვის დაუთმია. პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე რძის პროდუქციის თვითღირებულებაში. ერთ წელიწადში კოლმეურნეობამ 350.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო. რა თქმა უნდა ამ ციფრებს უკან მრავალი უძილო ღამე, შრომით მომქანცველი დღეების გრძელი რიგი და თავმჯდომარის მიმართ კოლმეურნეთა რწმენა, მხარდაჭერა და სიყვარული დგას. ალბათ სწორედ სოფლის ასეთ თავკაცზე უთქვამთ — „სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერიაო“...

როცა ნარუჯის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი შოთა კეჭაყმაძე პენსიაში გავიდა, რაიონის თავკაცების წინაშე დაისვა კითხვა თუ ვისთვის მიენდოთ ამ მეურნეობის ხელმძღვანელობის საპატიო საქმე. არჩევანი იური მალაზონიაზე შეჩერდა და. ისევ ბედნიერი 11. ამჯერად 1971 წლის ივნისი.

იური კარგად იცნობდა ნარუჯის მეურნეობას, წლების მანძილზე მისი წარმატებების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო, მაგრამ ნაგომრის კოლმეურნეობიდან წასვლა მაინც ეძნელებოდა. იქ საქმე საათივით ჰქონდა აწყობილი, ყველა რგოლი რითმულად მუშაობდა და თავდადებული შრომის სანაცვლოდ უხვმოსავლიან შემოდგომას ელოდა. აქ კი ახალი სიძნელეებისა და სწრაფად გადასაჭრელი პრობლემების წინაშე უნდა დამდგარიყო. სოფელსაც უჭირდა მათ გულისხმიერ ხელმძღვანელთან განშორება, მაგრამ განშორების ორმხრივი მსუბუქი სევდა კიდევ უფრო აღაფრთოვანებდა, გამარჯვების რწმენით ავსებდა იურის გულს...

ისევ უძილო ღამეები, ახალი გეგმები, ფიქრები და ოცნებები...

იურიმ კუნჭულ-კუნჭულ შემოიარა მთელი მეურნეობა, გაეცნო ყველა უბნისა და აგრორაიონის საქმიანობას, მათ ვალდებულებებს.

* * *

ნარუჯის საბჭოთა მეურნეობის საერთო ფართობი 1223 ჰექტარია. აქედან ჩაის პლანტაციას 593, ციტრუსს 2, სხვადასხვა სუბტროპიკულ კულტურას 10, ტუნგოს 7, ქარსაფარ ზოლს 46, ტყე-ბუჩქნარს 367 და სხვა სავარგულს 198 ჰა. ფართობი უჭირავს.

შრომის მოწინავეთა რიგებში დგას მეურნეობის 82 კომუნისტი, 52 კომკავშირელი, რომელთა ავანგარდული როლი სამეურნეო გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულების უტყუარი საწინდარია.

პარტიული კომიტეტი, რომელსაც ახლა მიხეილ ანდღულაძე ხელმძღვანელობს, რეგულარულად ატარებს კრებებსა და ბიუროს სხდომებს, რომელზედაც იხილავენ როგორც პარტიულ-პოლიტიკურ, ისე სამეურნეო საკითხებს. პრაქტიკაშია დანერგილი კომუნისტების თვითანგარიში. პარტიულ კრებებზე ისმენენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა სოციალისტური შეჯიბრებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება და რაც მთავარია სკკპ 24-ე ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა თვითეულ მშრომელამდე დაყვანა. ყურადღების ცენტრშია მიღებული აგრეთვე დადგენილებათა შესრულების სისტემატური შემოწმება. პარტიული კომიტეტის ბიუროს ინიციატივით მეურნეობაში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება აგროგანყოფილებებს, შორის. კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელის მოსაპოვებლად იბრძვის 110 მშრომელი, 5 ბრიგადა და 2 აგრორაიონი.

აქ პირველადი პარტიული კომიტეტის დასაყრდენს აგრორაიონების პარტიული ორგანიზაციები წარმოადგენენ, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან პარტიულ-პოლიტიკურ და სამეურნეო საქმიანობაში. მოწინავე კომუნისტთა შორის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან სულიკო მამალაძე, ზაირა ბურჭულაძე, ვახტანგ აფხაიძე, ნადია აგაფონოვა, ზინა ლაქტიონოვა და სხვ.

ნარუჯელი კომუნისტების მხარდამხარ შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან კომკავშირლები — მეურნეობის ახალგაზრდობის მოწინავე რაზმი, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს გელა სიამაშვილი. მისი თაოსნობით ახალგაზრდობის უმრავლესობა სასარგებლო შრომის ფერხულშია ჩაბმული და კარგი მაჩვენებლებით ხელდამშვენებული ამთავრებენ მიმდინარე სამეურნეო წელს. ჩაის პლანტაციებში თუ ტუნგოს ბაღებში სიცოცხლე და სიხალისე შეაქვთ ახალგაზრდებს, სამშობლოს ბარდება ასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ტუნგოს ნაყოფი. მოწინავეთა შორის არიან კომკავშირლები — მანანა ანთიძე, არფენიკ მარქარიანი, ლუბა აგაფონოვა და სხვ.

მეურნეობის შრომით საქმიანობაში დიდ როლს ასრულებს მექანიზაცია. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს აქაურ მექანიზატორებს უნდა მოეკრიფათ 200 ტ. ჩაის ფოთოლი, რაც გადაჭარბებით შესრულდა ჯერ კიდევ ივნისის თვეში, როცა სამშობლოს 242 ტ. ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უპატაკეს. ამ წარმატე-

ბისათვის ნარუჯელ მექანიზატორებს პარტიის მახარაძის რაიკომის გარდამავალი დროშა გადაეცათ. მასში დიდია ი. კალანდარიშვილის წვლილიც, რომელმაც 43-ის ნაცვლად 72 ტონა ჩაი მოკრიფა, ასევე კარგად იშრომეს მ. ირემაშვილმა, 45-ის ნაცვლად მან 91 ტ შემატა სამშობლოს ხვავს, ე. სიმონიშვილმა კი 14-ის ნაცვლად 54 ტონა მოკრიფა და გეგმა 250 პროცენტს გადააჭარბა.

* * *

დირექტორის კაბინეტში თითქმის ყოველ საღამოს იმართება საწარმოო თათბირი, მოწმდება განვლილი დღის შედეგები, ზუსტდება მომავალი გეგმები. აქ ყველა ყურადღებით უსმენს და ანგარიშს უწევს გამოცდილი მუშაკის, მეურნეობის მთავარი აგრონომის პეტრე დარჩიას სიტყვას.

ცხოვრების გრძელი და საინტერესო გზა განვლო პეტრემ. აჭარის ჩაის ტექნიკუმის წარმატებით დამთავრების შემდეგ იგი უგამოცდოდ ჩარიცხეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მაგრამ დიდმა სამამულო ომმა სამშობლოს დასაცავად მოუწოდა და ისიც უყოყმანოდ ჩადგა მებრძოლთა რიგებში. ქართველი ვაჟკაცი მტერს რისხვას სცემდა მესამე უკრაინის ფრონტზე, იბრძოდა როსტოვში, კიევში, უშგოროდში, ბუდაპეშტსა და ვენაში. საბრძოლო მამაცობისათვის დაჯილდოვეს სამამულო ომის მეორე ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მედლით საბრძოლო დამსახურებისათვის. მაგრამ ბერლინამდე ვერ სდია მტარვალს. მტრის ტყვიით დაჭრილი გამოეთიშა ცეცხლის ხაზს და მშობლიურ კერას დაუბრუნდა. გული იმით დაიმშვიდა, რომ ზურგშიც სამშობლოს დაცვის საქმე კეთდებოდა...

1951 წელს პეტრე მახარაძის სოფლის მეურნეობის განყოფილების ციტრუსების დარგის აგრონომია, 1952 წ. პარტიის მახარაძის რაიკომის ინსტრუქტორად აწინაურებენ, ხოლო 1953 წლიდან 1960 წლამდე მუშაობს მშვიდობიანის კოლმეურნეობის თავმჯომარედ. მომდევნო შვიდი წელი ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის აგროგანყოფილების მმართველი აგრონომია. 1967 წლიდან კი ნარუჯის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომად მუშაობს. მის საბრძოლო ჯილდოებს შრომით მოპოვებული ჯილდოებიც მიემატა— მედალი შრომითი მამაცობისათვის და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო მედალი.

იგი მხარში უდგას მეურნეობის ახალგაზრდა დირექტორს და ცოდნასა და გამოცდილებას არ ზოგავს საერთო საქმეში წარმატების მოპოვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

იმ დღეს განსაკუთრებით კარგ გუნებაზე იყო იური მალაზონია.

თორმეტ ოჯახს ახალ ბინაში შესახლება მივულოცეთო თქვა და უბის წიგნაკში რაღაცა ჩაინიშნა. მერე კი ხალისით გააგრძელა — 1971 წლიდან დავიწყეთ და უკვე დამთავრების პროცესშია აჭარის მთიან რაიონებიდან გეგმური წესით ჩამოსახლებული მუშების დასახლება. ჩვენთან 85 ოჯახი მოვიდა. გაეცვნენ რა პირობებს, დასახლება ითხოვეს და ენერგიულად შეუდგნენ შრომას. ვაშენებთ ორსართულიან ინდივიდუალურ ბინებს. უკვე 75 ბინა ჩავაბარეთ. ახლა მობინადრეები დაფასებული შრომის სანაცვლოდ პატიოსანი, მუყაითი შრომით სიყვარულსა და პატივისცემას იხვეჭენ. რადგან მშენებლობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, — განაგრძო მან, — არ შემიძლია სიხარულით არ აღვნიშნოთ თუ როგორი ტემპითა და თანმიმდევრობით ხორციელდება მეურნეობის კეთილმოწყობა, რაც ჩვენი მუშამოსამსახურეთა მომავალი ბედნიერების, მათი უკეთესი ხვალის საწინდარია.

კანტორიდან კარგად ჩანს აზიდული ხარაჩოები. დამთავრების პროცესშია 400—ადგილიანი კულტურის სახლი, სასტუმრო, პარალელურად მიმდინარეობს ძველი საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტი, იგება პლანტაციებში მისასვლელი გზები. ვასული სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით შეიქმნა გეგმის გადაჭარბების სპეციალური ფონდი, რომელიც 293 ათას მანეთს შეადგენს. აქედან მუშამოსამსახურეთა მატერიალურ შახალისებას მოხმარდება 76.400 მან. ხოლო მეურნეობის გაფართოებისა და კულტურული ღონისძიებებისათვის დაიხარჯება 102.000 მანეთი.

ჩვენი საუბარი მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი დიხამიძის შემოსვლამ შეწყვიტა, რომელმაც დირექტორს დასასვენებელი საგზურებით გასაშვები მუშების სია შემოუტანა. იურიმ სია ყურადღებით გადაათვალიერა, მოუწონა — კარგად შეგიდგენიაო და სკამი შესთავაზა.

— სანატორიუმითა და დასასვენებელი სახლებით წელს ჩვენთან 60 კაცმა ისარგებლა,— თქვა გიორგიმ და ღიმილით დასძინა, — საქმე ისე როდი გვაქვს მოწყობილი, რომ საგზურების განაწილებამდე უყურადღებოდ ვტოვებდეთ მუშებს. პროფკავშირის ინიციატივით მუშებს უფასოდ ვაძლევთ დიეტურ საკვებს, სეზონის მანძილზე მეჩაიები თუ სხვა დარგის მუშაკები უზრუნველყოფილი არიან ცხელი კერძებით, რაც პლანტაციებში დატა-

რების წესით შეგვაქვს. შეძლებისდაგვარად მოვაწყეთ მშრომელთა კულტურული დასვენების კარგი პირობები, რაც მომავალში კიდევ უფრო გაუმჯობესდება. როცა კულტურის სახლი დამთავრდება, მისამართს შეიცვლის ჩვენი ბიბლიოთეკაც, რომლის წიგნადი ფონდი დღეს 3300 ეგზემპლარია, ახალ შენობაში იგი ერთიორად გაიზრდება. კულტურის სახლში გათვალისწინებულია აგრეთვე კაბინეტები სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებისათვის, განზრახული გვაქვს გავხსნათ ჭადრაკისა და ჭრა-კერვის შემსწავლელი წრეები. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა შორის გავრცელებულია 40-მდე დასახელების 857 ეგზემპლარი ჟურნალ-გაზეთი. ვატარებთ თეორიულ კონფერენციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, ლექცია-მოხსენებებს. ვაწყობთ ამხანაგურ შეჯიბრებებს კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთსა და ჭადრაკში. გვაქვს კეთილმოწყობილი 4 საბავშვო ბაღი, ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა დავიწყოთ საშუალო სკოლის მშენებლობა.

მუშაობს ადგილობრივი რადიოკვანძი, რომელიც სისტემატურად ასახავს მეურნეობის შრომითსა და კულტურულ ცხოვრებას, ამხელს ნაკლოვანებებსა და ჩამორჩენილებს. გვაქვს 50 ნომრიანი ატეესი, თითქმის ყველა ოჯახში ინთება ტელევიზორის ცისფერი ეკრანი...

როცა კაბინეტიდან გამოვედით გვიან საღამო იყო. აგვისტოს ხვატით დასიცხულ არემარეს საამო ნიავი აგრილებდა. იურიმ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა და ფიქრი ხმამაღლა გააგრძელა.

— გეგმა შევასრულეთ, ახლა საქმე ნაკისრი ვალდებულებების განაღდებას. 15 სექტემბრისათვის გეგმის ზევით 200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებას შევპირდით სამშობლოს.

— როგორ გაქვთ საქმე, ასწრებთ? — ვკითხე მე.

— რა თქმა უნდა მოვასწრებთ. შეხედე, თუმცა ამინდები ხელს არ გვიწყობს, გადაწყვეტილი გვაქვს ვალდებულება მაინც დროზე ადრე გავანაღდოთ — 10 ის ნაცვლად 11 სექტემბრისათვის.

ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი. წლების მანძილზე ვისი სიტყვა და საქმე ერთია, იგი არც ახლა შეირცხვენს ოჯახს. ვანა მისმა თავდადებამ, პრინციპულობამ და უნარიანმა ხელმძღვანელობამ არ მოუტანა სასახელო შრომითი შედეგები იმ კოლექტივებს, რომლებსაც იური ადრე ხელმძღვანელობდა? ამისათვის 1965 წელს იგი ხომ მედლით შრომითი მამაცობისათვის დააჯილდოეს. 1969 წელს ვ.ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო მედალი მოიპოვა. ყველაზე მაღალი ჯილდო კი გასულ 1971 წელს მიიღო. მერვე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის იგი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. ამ მაღალი ჯილდოთი მკერდი კი სწორედ 11 ივლისს დაიმშვენა.

ისევ სანუკვარი 11. ალბათ ამ რიცხვს აქ წერტილი არ დაესმის; ვინ იცის კიდევ მომავალში რამდენ სასიხარულო დღეებს პირდება იგი იური მალაზონიას და წარმატების რამდენი საინტერესო ფურცლით შეავსებს მის შრომით ბიოგრაფიას...

ალექსანდრე მაჯურკევიჩი
სსრ კავშირის პედაგოგიურ
მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი

ფრაგმენტები უკრაინისა და საქართველოს ლიტერატურათა მეგობრობისა და ძმური ნათესაობის მატიანედან

სსრ კავშირის შექმნის მე-50 წლისთავს საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურა შეხვდა დიადი იუბილეს შესაფერისი ნობათით, თითოეულმა ხალხმა შეიტანა იქ თავის სულიერ ძალთა უდიდესი წვლილი, ძალზე მნიშვნელოვანია საუკუნეთა მანძილზე მტკიცე ძმობით შეკავშირებული უკრაინელი და ქართველი ხალხების წვლილიც.

ძველმე უკრაინელ და ქართველ ხალხთა ლიტერატურების ახლანდელ მეგობრულ ურთიერთობას დიდი, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მისი სათავეები ხალხთა ხათესაობის სიღრმეებიდან მოჩქეფს და მომდინარეობს. მის ჩამოყალიბებასა და განვითარებას ძალზე შეუწყო ხელი მათმა ძმურმა დარაზმვამ ერთობლივ გამათავისუფლებელ ბრძოლაში დიდი ფლაგმანის — პროგრესული რუსული ლიტერატურის ირგვლივ.

აქ გადავშალოთ რამდენიმე ფურცელი, მოვიყვანოთ მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები მოძმე ხალხების ლიტერატურათა მეგობრობის იმ ვრცელი მატიანიდან, რომელიც გახდა მისი თანამედროვე ეპოპეის **პროლოგი.**

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გენიალური უკრაინელი მწერალი — რევოლუციონერი ივანე ფრანკო სამართლიანად ამბობდა: „ვიდრე ჩვენი განათლება და ლიტერატურა თავისი შინაარსითა და მეთოდით არ გახდება ინტერნაციონალური, მანამდე არ გვექნება ეროვნული განათლება და ლიტერატურა“. მოგვიანებით, 90-იან წლებში, ამ თავისი დებულების განვითარებისას, დიდი კაშენიარი ამტკიცებდა, რომ ნამდვილ მხატვრულ ლიტერატურას ფესვები მშობლიურ ეროვნულ ნიადაგში აქვს გადგმული და იქედან იღებს სასიცოცხლო ძალღონეს. წერილში — შევჩენკოს „ალვებში“ (1890) ის აღნიშნავდა, ჭეშმარიტ მხატვრულ შემოქმედებას „იმთავითვე ფესვი აქვს გადგმული პოეტის სულში, ხოლო მისი შედეგები ღრმად იკიდებენ ფეხს მთელი ხალხისა და თითქმის მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში, და ეს გამოიხატება ჩვეულებათა, ცნებათა, რწმენათა, გემოვნებისა და სხვათა გავლენაში, საერთოდ მთელ თაობათა სულიერი ატმოსფეროს მიმართ გავლენაში“.[1]

ამ ანალიზიდან, როგორც ცნობილია, ი. ფრანკო აკეთებდა მნიშვნელოვან თეორიულ განზოგადებას: „უკეთუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ რომელიმე ლიტერატურას, მაშინ, ცხადია, ლიტერატურულ მოტიეთა, სახეთა და ფორმათა მთელ უზარმაზარ მასაში უნდა დავინახოთ საერთო, საყოველთაო-სახალხო, ხოლო შემდეგ ზოგადკაცობრიული ფონდი, რითაც თავისუფლად სარგებლობს თითოეული მწერალი და თითოეული ხალხი თავისი უნარისა და კულტურულობის მიხედვით, და რომელსაც თავის მხრივ უმატებს საკუთარს, ორიგინალურს, კვლავ თავისი თანდაყოლილი

[1] ივანე ფრანკო. თხზულებანი ორ ტომად, ტ. 17, გვ. 66.

უნარის მიხედვით და საერთო შრომით ადრე შეძენილ კულტურაში"[1].

სოციალიზმის პირობებში ხალხთა და მათი კულტურის, მასთან ლიტერატურის გაფურჩქვნა-აყვავება ხდება მათი დაახლოების გზით, ხოლო დაახლოება წარმოიქმნება მათი აყვავების შედეგად როგორც ერთიანი, დიალექტიკურად ურთიერთშეკავშირებული პროცესის ორი განუყოფელი ნაწილი, და ამ პროცესს მოეპოვება თავისი ისტორიული ფესვები, თავისი საფეხურები და ტრადიციები.

ამ ისტორიულად ჩამოყალიბებული შეხედულების თვალსაზრისით ძნელი როდია ჩავუკვირდეთ და კვალდაკვალ მივყვეთ უკრაინულ და ქართულ ლიტერატურათა ძველთაძველ ურთიერთკავშირს, უკრაინული და ქართული კულტურების მეგობრული ურთიერთობის წარმოქმნის, ჩამოყალიბების, განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების პროცესს მათი წარმოქმნის მთელი გზიდან ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე, რომლითაც დაიწყო ამ ურთიერთობათა ახალი ერა.

უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის წარმოქმნასა და განვითარებას განაპირობებს კონკრეტულ-ისტორიული სიხშირეები, მნიშვნელოვანწილად უკრაინელი და ქართველი ხალხების ეკონომიური და სულიერი ცხოვრების საერთო ანდა ახლობელი ფაქტორები.

ცხობილია, რომ უკრაინა მე-17 საუკუნის შუა წლებიდან, ხოლო საქართველო მე-19 საუკუნის დამდეგიდან შედიოდნენ რუსეთის ბატონობაში. უკვე ამ ვითარებათა გამო მათს ძმატვრული სიტყვის ოსტატებს, თავიანთი ერ-ოვხული თვითმყოფობის შენარჩუნებით, შეეძლოთ და უნდა ესწავლათ კიდეც ერთმანეთისაგან, ხოლო ამ ლიტერატურებში ძუშავდებოდა გახვითარების საერთო გზები. სწორედ აქედან შომდინარეობს მსგავსი იდეების, ესთეტიკურ პრინციპთა, სახეთა და სიუჟეტთა კანონზომიერი გაჩენა სხვადასხვა დროის უკრაინელ და ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში, — მაგალითად, სკოვოროდასა და გურამიშვილის, გ. კვიტკა-ოსნოვიანენკოსა და გ. ერისთავის, ტ. შევჩენკოს, ი. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, პ. მირნისა და ე. ნინოშვილის შემოქმედებითს ძიებებში.

უკრაინელ და ქართველ ხალხთა სულიერი ერთიანობის წარმოქმნის, ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია განუყოფელადაა დაკავშირებული უკრაინასა და საქართველოში ლიტერატურული პროცესის პროგრესულ ტენდენციებთან, ამ ლიტერატურათა წარმომადგენლების ბრძოლასთან იდეურობისა, ხალხურობისა და რეალიზმისათვის მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ყოველივე ეს თანმიმდევრულად ამდიდრებდა უკრაინულ და ქართულ ლიტერატურებს, იყო მაგალითი ანდა კეთილისმყოფელი გამოძახილი უკრაინელ და ქართველ მწერალთა შემოქმედებითს ძიებებში, მათ წინაშე შლიდა სულ ახალ და ახალ ძმატვრულ ჰორიზონტებს, ხელს უწყობდა მათი შემოქმედებითი პოტენციის გამოვლენას სამყაროს ესთეტიკურად შეცნობის ეამს. უკრაინულ-ქართული ლიტერატურული კავშირურთიერთობანი უნდა განვიხილოთ როგორც ქმედითი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს უკრაინელ და ქართველ ხალხთა ეროვნულ, სულიერ განვითარებას. ასეთი კავშირურთიერთობანი ორგანულად ერწყმიან ლიტერატურულ პროცესს, ზეგავლენას ახდენენ მასზე, ამდიდრებენ მწერალთა შემოქმედებას.

ძე-17 საუკუნესა და ძე-20 საუკუნის დამდეგს უკრაინულ და ქართულ ლიტერატურათა შორის ურთიერთობის ყველაზე დიდი შედეგი იყო პროგრესულ მწერალთა მიერ შეგნება იმის ძხიშვხელობისა, რომ ხალხთა ერთიანობის იდეა — ეს არის მოწინავე იდეურ-ესთეტიკურ საფუძველზე, რეალიზმისა და ხალხურობის გზით, ხაციონალურ კულტურათა გახვითარების საწინდარი. ახალ უკრაინულ და ქართულ ლიტერატურათა ჩამოყალიბებისა და განვითარების, და მათ შორის ურთიერთობის განმტკიცების პროცესს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ცარიზმის წინააღმდეგ მშრომელთა გამათავისუფლებელი ბრძოლის ეტაპიდან, საუკეთესო მწერალთა მონაწილეობას მასში და მათ მიერ თავიანთი ხალხების საერთო ბედიღბლის გაგებას.

უკრაინულ და ქართულ ლიტერატურათა მეგობრობამ ძალზე დიდი გზა განვლო. ეს გზაა: „იგორის ლაშქრობის ამბავი" და „ვეფხისტყაოსანი". გ. სკოვოროდას „ღვთაებრივ სიმღერათა ბალი", ტ. შევჩენკოს „კავკასია" და მთელი „კობზარი", ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის მეზობელი სიტყვები, ი. ფრანკოს „მარადი რევოლუციონერი".

ლესია უკრაინკას „განთიადის ჩირაღდნები" და მათი შეხმატკბილება ნინოშვილის, ვაჟა-ფშაველას, ედოშვილის ხმებთან, — უძველეს დროიდან ოქტომბრის რევოლუციამდე და ჩვენს დღეებამდე.

რამდენადაც ინტენსიურად და ფართოდ ყალიბდებოდა უკრაინულ-ქართული ლიტერატურული კავშირურთიერთობანი, მით უფრო მკაფიოდ მეღავნდებოდა მათი შედეგები უკრაინისა და საქართველოს ლიტერატურულ პროცესში, მით უფრო მდიდრდებოდა ეგი იდეებით, სახეებით, ჟანრებითა და სტილით.

უკრაინაში ხანგრძლივი ცხოვრების მახეილზე დავით გურამიშვილი ღრმად განიმსჭვალა უკრაინის სინამდვილით, უკრაინის ფოლკლორულ ესთეტიკური კულტურით, ორგანულად აითვისა

1 იქვე, გვ. 67.

იგი და გამონახა ქართულ კულტურასთან მისი დაახლოების გზები, მასთან არ დაუკარგავს თავისი ეროვნული თვითმყოფობა. გ. კვიტკა-ოსნოვიანენკოს გამოცდილება რუსულ და ქართულ ტრადიციებთან ერთად შეგნებულად გამოიყენა ახალი ქართული დრამატურგიის ერთ-ერთმა წამომწყებმა გ. ერისთავმა.

მე-19 საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის განმტკიცებას ხელი შეუწყო ტ. შევჩენკოს შემოქმედების მემკვიდრეობამ. მეორე ძირით, ქართული სიხამდვილე და კულტურა თავის ზეგავლენას ახდენდა ტ. შევჩენკოზე, ლესია უკრაინკასა და სხვათა მიმართ.

გასული საუკუნის პოეტ-რომანტიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმხედველობისა და იდეურ-ესთეტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ხარკოვის უნივერსიტეტის აღზრდილებმა დ. იაროსლავსკის მეთაურობით.

ქართველ და უკრაინელ ხალხთა კავშირურთიერთობების საერთო ისტორიის ფონზე, ულრმესი ისტორიული საწყისებიდან, ხოლო შემდეგ ქართულ-უკრაინული კულტურული ურთიერთობის გაფართოებიდან, მკაფიოდ გამოირჩევა მოძმე ხალხების ლიტერატურული ურთიერთობათა განვითარების პროცესის დიდმნიშვნელოვანი მოვლენები. უკრაინაში ნაყოფიერად ვითარდებოდა ნიკო ლომოურის შემოქმედებითი საქმიანობა 70-იან წლებში. საყოველთაოდ ცნობილია აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული და მოქალაქეობრივი ღვაწლი მოძმე უკრაინის მიმართ. ძვირფასია ჩვენთვის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი უკრაინული გამოკვლევა, რომელიც შეასრულა ზლისელბურგის ციხიდან გამოსვლის შემდეგ ოც წელიწადზე მეტ ხანს საქართველოში მცხოვრებმა რევოლუციურმა მოღვაწემ ნიკოლოზ გულაკმა, ჩვენთვის აგრეთვე დიდად დასაფასებელია უკრაინულ ენაზე შოთა რუსთაველის პოემის პირველი თარგმანი, შესრულებული შევჩენკოსთან ერთად კირილე და მეთოდის ძმობის საქმისათვის - დასჯილ ალექსანდრე ნავროცკის მიერ კავკასიაში. დიდი მნიშვნელობის მქონეა, უკრაინის რეალისტური თეატრის კორიფეთა სათეატრო მოღვაწეობა საქართველოში ესენი არიან: მ. სტარიცკი და მისი დასი, მ. კროპივნიცკი და მისი თანამოსაგრენი, ა. სუსლოვისა და ა. სუხოდოლსკის დასი, მ. სადოვსკისა და მ. ზანკოვეცკაიას თეატრი, რომლის საფუძველს შეადგენდა ი. კ. კარპენკოკაროის (ტობილევიჩის) დრამატურგია.

უკრაინელ და ქართველ ხალხთა სულიერ ერთიანობაში დაუფასებელი წვლილი შეიტანეს პროგრესული უკრაინული კულტურის წარმომადგენლებმა — ა. ნავროცკიმ, ნ. გულაკმა, ნ. სუმცოვმა, ა. პოტებნიამ და სხვებმა, რომელთა საზოგადოებრივი და კულტურული საქმიანობა მიმდინარეობდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში.

შევჩენკო, წერეთელი, [illegible] უკრაინკა ლიტერატურათა შორის, მათგან —უკრაინული და ქართული ლიტერატურების შორის — კავშირურთიერთობას, განიხილავდნენ არა როგორც ცალკეულ ეპიზოდებს კულტურის ისტორიაში, არამედ როგორც მოძმე ხალხების პროგრესულ ლიტერატურათა გახვითარების კანონზომიერების გამოვლინებას.

უკრაინულ-ქართულ ლიტერატურულ კავშირურთიერთობათა გამოცდილება გვასწავლის, რომ სხვადასხვა ეროვნების, მათგან — უკრაინელ და ქართველ ოსტატ-ხელოვანთა შორის — შემოქმედებითი ურთიერთზეგავლენა წარმოადგენს კანონზომიერ მოვლენას, ერთ-ერთ წინაპირობას მათი ეროვნული თვითმყოფობის, გამათავისუფლებელ მოძრაობისა და ხალხურობისა და რეალიზმისათვის ბრძოლაში მონაწილეობის გამოსამჟღავნებლად. და რაც უფრო ღრმად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ლიტერატურათა მწერლები კლასობრივი და სოციალური მიმართულების ერთიანობის პრინციპით, მით უფრო დიდი იყო მათი შესაძლებლობა ესთეტიკურ მიღწევათა ურთიერთ გაცვლა-გამოცვლისათვის.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ერთაშორის კულტურათა კავშირურთიერთობა ექვემდებარება სოციალურ-საზოგადოებრივ მიზეზებს. გამათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათსა და ეტაპებს, მწერლის კლასობრივ პოზიციას. ამ მიმართებით რევოლუციამდელი პერიოდის უკრაინელ და ქართველ მწერალთა ურთიერთობაში ვხედავთ ორ ბანაკს. უკრაინელ და ქართველ ლიტერატორთა რეაქციული ნაწილი (კორსუნი, კულიში, ლოტოცკი, ჯამბაკურ-ორბელიანი, მუხრან-ბატონი და სხვა.) გამოხატავდა გაბატონებულ კლასთა ინტერესებს და არ იშურებდა ქვეშევრდომულ თაყვანისცემას შეფის ტახტის მიმართ. ხოლო პროგრესული ნაწილი (კოტლიარევსკი, ბარათაშვილი, შევჩენკო, ჭავჭავაძე, წერეთელი და სხვ.) ეწეოდა ბრძოლას მშრომელთა გასათავისუფლებლად და ჰაცხავდა თვითმპყრობელობას. ამის გამო სავსებით კანონზომიერია ის გარემოებაც, რომ სწორედ პროგრესული უკრაინელი და ქართველი შემოქმედნი, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ჩაგრულთა გამათავისუფლებელ ბრძოლასთან, არ ზოგავდნენ თავიანთ ძალ-ღონეს უკრაინისა და საქართველოს მოწინავე კულტურათა ერთიანობისათვის, თანმიმდევრულად ილაშქრებდნენ ლიტერატურაში რეაქციულ-ნაციონალისტური ტენდენციების წინააღმდეგ.

უკრაინისა და საქართველოს გამათავისუფლებელი ბრძოლისა და სულიერი ერთიანობის სხვადასხვა ეტაპზე ქართველი და უკრაინელი

მწერლების მიერ იქმნებოდა ისეთი ნაწარმოებები, რომლებსაც ღრმადა აქვთ გადგმული ფესვები ხალხთა ყოფაში, ნიჭიერად გამოხატავენ ეპოქის პროგრესულ ტენდენციებს, თვალხათლივ გვიჩვენებენ სოციალურ კოხფლიქტთა ძასშტაბურობას და ასახავენ მშობლიური ქვეყნის ეროვნულ თავისებურებას. ასეთი ხასიათის ნაწარმოები, პირველ ყოვლისა, ახლობელია მშობლიური მიწა-წყლის მშრომელთათვის. მაგრამ, ამასთან, ისინი კარგად გასაგებნი არიან სხვა ხალხთათვისაც, რომლებიც ცხოვრობენ თანაბარ ანდა ახლობელ სოციალურ პირობებში და ისტორიულ ვითარებათა გამო იშყოფებიან კიდეც ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. ყოველივე ამას დამაჯერებლად ადასტურებს სკოვოროდას, გურამიშვილის, კოტლიარევსკის, გრეგიოროკას, ბარათაშვილის, შევჩენკოს. ჭავჭავაძის, წერეთლის, ფრანკოს, ლესია უკრაინკას, ევდოშვილისა და კოციუბინსკის საუკეთესო ნაწარმოებები.

უკრაინისა და საქართველოს, მათი კულტურების სულიერ დაახლოებაში დიდია რუსული პროგრესული ლიტერატურის როლი. უკრაინულ და ქართულ ლიტერატურათა შორის ერთ-ერთი მოქმედი და დამაკავშირებელი რგოლი მრავალი საუკუნის მანძილზე იყო სწორედ რუსული კულტურა თავისი მოწინავე მწერლების სახით. ყველაზე უწინ მისი მეშვეობით, როგორც წესი, ხდებოდა და მტკიცდებოდა ურთიერთგავლენა უკრაინულ და ქართულ ლიტერატურათა შორის. მოწინავე რუსეთი იყო ცენტრი, სადაც თავს იყრიდნენ და ბეჭდავდნენ თავიანთ ნაწარმოებებს და უკავშირდებოდნენ ერთმანეთს უკრაინისა და საქართველოს საუკეთესო მწერლები რუს მოაზროვნეთა მეთაურობით. ცნობილია ფაქტები პეტერბურგის გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტას“ შესახებ, რომლის რედკოლეგიაში შედიოდნენ პუშკინი და გოგოლი, მისი როლის გამო უკრაინისა და საქართველოს ლიტერატურული, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების პოპულარიზაციისათვის. არსებობს აგრეთვე ცნობები ა. გერცენისა და ს. დოდაშვილის ურთიერთობის შესახებ, ა. გრიბოედოვისა და ალ. ჭავჭავაძის, კ. რილეევისა და გრ. ორბელიანის, ნ. ჩერნიშევსკის, ი. ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის კავშირურთიერთობათა ირგვლივ.

დიდმნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ნ. ჩერნიშევსკის რჩევით, რომელთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ სამოციანელებს — ა. წერეთელი შეხვდა ტ. შევჩენკოს.

პუბლიცისტურ პამფლეტში „ვინ სტყუის?“ ა. წერეთელმა სასტიკად გაამათრახა მებატონეთა საშინელი თვითნებობა საქართველოში. მებატონეთა და თვალთმაქც ლიბერალთა მიმართ ასეთი გაბედული, მწვავე, მკვეთრი, რისხვით აღსავსე და ულმობელი კრიტიკის თანხმოვნება სავსებით კანონზომიერია ი. ფრანკოსთვისაც, ლესია უკრაინკასთვისაც, ვაჟა-ფშაველასა და ე. ნინოშვილისთვისაც. ბატონყმური დესპოტიზმის მხილების ეს ძალა კარგადაა ცნობილი რუსულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ რადიშჩევის ნაწარმოებიდან: „ძრწოდე, უწყალო მემამულევ, ყოველი შენი გლეხკაცის შუბლზე, ვხედავ შენს მსჯავრს და გაკიცხვას...“, ანდა: „ყველგან აღსდგება ჯარი საომრად, იმედი ყველას აბჯარს აუსხამს; მტანჯველის სისხლით ჩამოირეცხს ყველა თვის სირცხვილს...“ პუშკინი წერდა: „აქ სასტიკმა ბატონკაცობამ უსულგულოდ და უკანონოდ მიითვისა ძალდატანებით მიწათმოქმედის... შრომა, საკუთრება და დრო-ჟამი“, ანდა: „ვაიმე! სადაც კი წვდება თვალი — ყველგან მათრახი, ყველგან ბორკილი...“, ლერმონტოვი ჰკიცხავს: „თავისუფლების, გენიის და დიდების ჯალათთ“. დაბოლოს, ა. წერეთლის თანამედროვე ნეკრასოვი: „და ირაზმება მეამბოხე ლაშქარმრავალი, ძალა და ღონე — შეუმუსვრელი“. ყველაფერი ეს, ცხადია, იცოდნენ და დიდად აფასებდნენ, ამ ამბავს მხარს უჭერდნენ და იზიარებდნენ შევჩენკოც და წერეთელიც, მათი წინამორბედნიცა და მიმდევარნიც.

უკრაინულ-ქართულ ლიტერატურათა კავშირის საკითხები აინტერესებდათ მრავალ უკრაინელ და ქართველ ლიტერატურათმცოდნეს, ეთნოგრაფსა და მწერალს. კერძოდ, ამ თემაზე წერდნენ მ. ბაჟანი, მ. რილსკი, პ. ტიჩინა, ო. ბაბიშკინი, ლ. ასათიანი, ა. ბარამიძე, ი. გრიშაშვილი, ვ. იმედაძე და სხვ. ძალიან ბევრი რამაა გაკეთებული უკრაინასთან დ. გურამიშვილის, ა. წერეთლისა და ი. ჭავჭავაძის, ხოლო საქართველოსთან ტ. შევჩენკოს, მ. კოციუბინსკის, ლესია უკრაინკას, მ. სტარიცკისა და მ. ზანკოვეცკაიას ურთიერთობათა შესახებ. დაიწერა მრავალი წერილი ცნობილ უკრაინელ და ქართველ მწერალთა იუბილეებთან დაკავშირებით, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს უკრაინისა და საქართველოს სულიერი ერთიანობის საქმეში.

დაახლოებით თხუთმეტი წლის წინათ ქართულ ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“ (1958 წ. № 9) გამოქვეყნდა ამავე პრობლემის გამო ცნობა „დიადი მეგობრობის ფურცლები“, რომელიც წარმოადგენს თავისებურ ლიტერატურულ გადაძახილს: უკრაინა — საქართველოს, საქართველო — უკრაინას.

თბილისის უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე მომზადდა და მისი ფილოლოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე ო. ა. ბაქანიძემ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის

მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია „ქართულ-უკრაინულ ლიტერატურული და თეატრალური კავშირურიერთობანი მე-19 საუკუნეში“, რაც ეხმაურება დნეპროპეტროვსკის უნივერსიტეტის უკრაინის ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე შესრულებულ და სპეციალურ სამეცნიერო საბჭოზე დაცულ ი. ა. ლუცენკოს დისერტაციას „უკრაინულ და ქართულ ლიტერატურათა კავშირურთიერთობის პრობლემა მათი განვითარების პროცესში“. ორივე ეს შრომა ურთიერთკავშირში იმყოფებიან. ეყრდნობა რა უკრაინული და ქართული ლიტერატურების ღრმა ცოდნას, ი. ა. ლუცენკო განიხილავს მათს კავშირურთიერთობას განვითარების პროცესში ხანგრძლივი გზის მანძილზე — დასაბამიდან (მე-17 საუკუნე) ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე (20 საუკ. დამდეგი). ო. ა. ბაქანიძე, ზედმიწევნით ფლობს რა ქართული ლიტერატურის მასალას და საკმაოდ ერკვევა უკრაინული ლიტერატურის ძირითად მოვლენებში, წარმოგვიჩენს ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ და თეატრალურ კავშირურთიერთობებს მე-19 საუკუნეში, ღრმად წვდება მათი გზის იმ ნაკვეთში, როცა ისინი მტკიცდებიან და იზრდებიან, ამზადებენ რა მათ რევოლუციურ გარდაქმნას მე-20 საუკუნეში. მკვლევართა ასეთი შეხმატკბილება, ასეთი გადაძახილი და მათი ძალ-ღონის გაერთიანება სხვადასხვა მხრიდან სხვადასხვა მასალით ერთისა და იმავე პრობლემის გაშუქებაში, ასეთი მიდგომა ერთი და იგივე პრობლემის გადაწყვეტისას, მათი შედეგები შეადგენენ ახალ ძვირფას წვლილს მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის განვითარებაში.

ცნობილია აგრეთვე უკრაინის სსრ პედინსტიტუტებისა და სკოლათა მასწავლებლების მრავალი შრომა: გურამიშვილი და უკრაინა, შევჩენკო და საქართველო, ვაჟა-ფშაველა და მისი უკრაინელი მეგობრები და ა. შ. ამ თემას მიეძღვნა წიგნები: „უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი მათს ისტორიულ განვითარებაში“, „ტ. შევჩენკო და ქართველი მწერლები — სამოციანელები“ (დნეპროპეტროვსკის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1968), „უკრაინის შავგვრემანი დის სახე“ (გამომცემლობა „პრომინი“, 1968), და აგრეთვე წერილები უკრაინასთან გურამიშვილის, ბარათაშვილის, ჭავჭავაძისა და წერეთლის ურთიერთობათა შესახებ, და საქართველოსთან შევჩენკოს ურთიერთობაზე და სხვ.

უკრაინის გამოჩენილი საბჭოთა მწერალი, აკადემიკოსი მაქსიმ რილსკი, რომელიც ახალგაზრდობისას უკრაინული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო კიევში, შემდეგ მგზნებარედ ასხამდა ხოტბას ქართველი ხალხის მამაც შვილს, საბჭოთა მეომარს ქანთარიას — სოციალისტური შრომის გმირს, უკრაინელ მარკ ოზერნოის. — წიგნში „ხალხთა მეგობრობაში“ (1950) მ. რილსკი შეეხო აგრეთვე შოთა რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ბარათაშვილის „ოქროს სიმებს“, რომლებიც ასე ეხმატკბილებიან ბოიანის „იგორის ლაშქრობის ამბის“, პუშკინის, გრიბოედოვის, ლერმონტოვის, ლესია უკრაინკასა და სხვათა სიმებს. კულტურულ კავშირურთიერთობის გამო ლაპარაკისას, იგი ახსენებდა მოძმე ლიტერატურათა მწერლებისათვის საყოველთაო შთამაგონებელსა და მესაჭეს — ხალხს, ვისი გულის სიღრმეშიც ჩამარხულია მთელი შემოქმედების ფესვები, პოეტთა თანხმოვანებას ვპოულობთ მათი ხალხებისა და ფოლკლორის სიახლოვეში. სწორედ სახელდობრ ამ მიმართულებით ფაქიზად და გამჭრიახად მსჯელობდა მ. რილსკი: წინასწარ უნდა განვაცხადო, რომ თუმცა, ალბათ, რუსთაველის, „ვეფხისტყაოსანს“ არ იცნობდა ლერმონტოვი, მაგრამ მწირის შეტაკება ავაზასთან ძალზე მოგვაგონებს ტარიელის ბრძოლას ლომ-ვეფხთან. აშკარაა, რომ იგი დაწერილია რომელიღაც ხალხური თქმულების მიხედვით“.[1]

მაქსიმ რილსკიმ მგზნებარედ უმღერა ახლობელ ხალხთა ისტორიით განმტკიცებულ ურყევ ერთიანობას ლირიკულ სიმღერაში — „დავით გურამიშვილი“ (1952), რომელიც იწყება მოსწრებული სიტყვებით.

„იქ, სად ზუბოვკელი გოგონები დილაადრიან ჩადიან წყალზე, სად დაეხეტება ჩრდილი დაუღალავი მოგზაურის სკოვოროდასი“. ასეთივე გულშიჩამწვდომ სტრიქონებს ვკითხულობთ რილსკის ერთ ომამდელ ლექსში „შოთა რუსთაველს“ (1937): „იქ, სად გრილია კორდი და მდელო, თოვლს დაუფარავს სალი კლდეები“. უკრაინელმა პოეტმა მთელ ქვეყანას ამცნო: „ჩვენი ძმობის დამრღვეველი — არ არსებობს ქვეყნად ძალა!“

ამ ურღვევ ძმობაში აქვს ღრმად გადგმული ფესვები მძლავრ ბერმუხას — ხალხთა მეგობრობას, ლიტერატურათა მეგობრობას, რომელმაც ახლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდნაყოფიერ ნიადაგზე — მაღლა ასწია თავისი აყვავებული თავი და მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჩვენს სუფთა, წმინდა, ცხოველმყოფელ ინტერნაციონალურ ატმოსფეროში.

---

[1] მაქსიმ რილსკი. „ხალხთა მეგობრობა“ (უკრაინულ ენაზე). კიევი გამომცემლობა „რადიანსკი პისმენნიკ“, 1951.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ავალიანი

რომანი საბრძოლო თანამეგობრობაზე

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის თემა ძირითადი თემაა მწერალ დავით კვიცარიძის შემოქმედებაში. ხსენებული თემა დ. კვიცარიძის მხატვრული შთაგონების მაპროფილებელია, ყოველ შემთხვევაში, მის დღემდე გამოქვეყნებულ უმთავრეს ნაწერებში. ეს, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის; ამას პირადად მწერლის მიერ განვლილი საბრძოლო გზა განაპირობებს: დავით კვიცარიძე დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილეა. მრავალი საბედისწერო წუთი განუცდია, თავგამოდებით იბრძოდა რა ბელორუსიის ტყეებსა და ჭაობებში რუს, უკრაინელ და ბელორუს პარტიზანებთან ერთად. როგორც ბელორუსი ხალხის უპირველესი გმირის კონსტანტინე ზასლონოვის ლეგენდარული ბრიგადის ერთ-ერთი მამაცი მეომარი, დავით კვიცარიძე საყურადღებო პიროვნება იქნებოდა, სულაც რომ არაფერი დაეწერა. ჩვენ კი იგი გვაინტერესებს, როგორც საბჭოთა კავშირის მოძმე ერების წარმომადგენელთა მტკიცე საბრძოლო თანამეგობრობის მეტად დამაჯერებელ ფორმაში ამსახველი მწერალი და ჩვენი მსჯელობაც მისი შემოქმედების სწორედ ამ კუთხით შეფასებას ეძღვნება.

ხსენებული თემის ჯეროვან გაშუქებას მწერალი უდიდესი პასუხისმგებლობითა და მონდომებით მოეკიდა. კითხულობთ მის ნაწერებს და გრძნობთ, რომ ავტორს თვალწინ უდგანან მისი გმირი თანამებრძოლები, რომელთა თავგანწირული საქმეები მას დუმილის საშუალებას არ აძლევს და ერთხელ ბელში აღებული კალმის ძირს დადება ვერ მოუხერხებია, ვიდრე მთლიანად, ან თითქმის მთლიანად არ ამოწურა სათქმელი. ამის შესახებ თვით დ. კვიცარიძე ჩვენი წერილის პასუხში წერს: „სათქმელი ამოვყარე; იქნებ ისე ვერ ვთქვი, როგორც ეს იმ გმირ ბიჭებს ეკუთვნოდათ და ღირსნი იყვნენ, მაგრამ პატიოსნად ვთქვი და ეს მამშვიდებს... მე მეკუთვნოდა (იქნებ მევალებოდა კიდეც), რომ დამეწერა ვრცელი ნაწარმოები ომზე, კერძოდ პარტიზანულ ცხოვრებაზე, ბრძოლებზე, ბელორუსიაზე, სადაც 2 წელზე მეტი დავყაკი და სადაც დღესაც მყვანან უახლოესი მეგობრები“.

მცირე მოცულობის მოთხრობაში „დედა“ დ. კვიცარიძეს მთავარ მოქმედ გმირად ორი მამაცი მეომარი ჰყავს გამოყვანილი. ესენი არიან უკრაინელი ფედია ტკაჩენკო და ქართველი ოთარი. ხატავს რა ამ ორი მებრძოლის სახეს, მწერალი სახელდახელოდ წარმოგვიდგენს მათს როგორც მიმსგავსებულ, ისე განსხვავებულ ნიშნებს. „ორივეს მედლები უბრწყინავდა. ერთი თეთრი იყო, მეორე შავგვრემანი, ერთი პირტიტველი, მეორე — შავი, სქელი ულვაშებით“.[1]

მთავრდება ომი. მრავალ განსაცდელგამოვლილი, მეგობრულად ნაბრძოლი ორი ვაჟკაცი შინ უნდა დაბრუნდეს. ერთად მოეწრნენ ამ დიად წუთებს და ერთნაირად განიცადეს გამარჯვების უდიდესი სიხარული. „ფედია ოთარს“ ეცა, — დამთავრდა, ძმაო. ცოცხლები ვართ, ბიჭო! — ეს თქვა და ერთმანეთი გადაკოცნეს„.[2]

ამაღელვებლად ხატავს მწერალი ამ ორი ფრონტელი მეგობრის დაშორების წუთებს შინ გამომგზავრებისას: „უახლოეს რკინიგზის სადგურამდე, საიდანაც გამგზავრება შეიძლე-

---

[1] დავით კვიცარიძე — მოთხრობების კრებული „კოცონი“, თბილისი 1963 წ., გვ. 44.

[2] იქვე, გვ. 47.

ბოდა, ორმოცამდე კილომეტრი დარჩა. შეუჩერებლივ მიდიან.. ერთი — უკრაინაში, მეორე — საქართველოში. ერთს ცოლ-შვილი ელოდება, მეორეს — დედა...

რომელიღაც სადგურზე დაშორდნენ ერთმანეთს. „რა უბრალოდ ითქმის ეს სიტყვა— „დაშორდნენ". არა, სწორად მაშინ შეერთდნენ სამუდამოდ. დადგა წუთი, ერთი უკრაინაში უნდა გაემგზავროს, მეორე — საქართველოში. ერთი ცოლ-შვილთან, მეორე — დედასთან. საიდან გაჩნდა ცრემლები მათ თვალებზე?! რა გული ჰქონიათ ამ ბიჭებს!". აქ მწერალმა მაღალ რეგისტრზე აიყვანა საბრძოლო თანამეგობრობის ძალა და გავლენა ადამიანებზე. მრავალ გაჭირვებასა და ჭარცეცხლში გამოვლილი, კლდესავით მტკიცე ვაჟკაცები, მთელი ომის გზა წარბშეუხრელად რომ გაიარეს, მოდრიკა ერთმანეთის სიყვარულმა და განშორების წუთების მძაფრმა განცდამ მათ ცრემლები დააღვრევინა.

საბჭოთა ადამიანების საბრძოლო თანამეგობრობის ბევრი ნიუანსია წარმოდგენილი მოქმედ პირთა ომისშემდგომი ცხოვრების ფონზე, დ. კვიცარიძის რომანებში „ნდობა" და „სად ხარ მარინე", მაგრამ ხსენებული თემა ყველაზე უფრო ვრცლად, დამაჯერებლად, ხორცშესხმულად მაინც მის რომანში — „მშვიდობით უსიერო ტყეებო!" არის წარმოდგენილი.

დ. კვიცარიძის ეს რომანი ომისშემდგომ წლებში ომის თემაზე დაწერილ პროზაულ ნაწარმოებებს შორის ყველაზე ფართო პოცულობის ქმნილებაა ქართულ ლიტერატურაში. იგი ჟურნალ „მნათობის" ფურცლებზე იბეჭდებოდა მთელი 1970 წლის განმავლობაში და 1971 წლის იანვარ-თებერვლის ნომრებში.

ამ რომანის შექმნაში რომ მწერალს არ დაუზოგავს არც დრო და არც ძალღონე, ამაში, რომანის მასშტაბურობასთან ერთად, თვით ავტორის აღიარებაც გვარწმუნებს. აღნიშნულის თაობაზე დ. კვიცარიძე გვამცნობს: „რომანი „მშვიდობით, უსიერო ტყეებო!" იწერებოდა 5 წლის მანძილზე. გამოგიტყდებით, რომ გული მთხოვდა, მაქებებდა და მამხნევებდა ამისათვის. ბოლოს და ბოლოს დამითანხმა და მეც საგულდაგულოდ ჩავუჯექი".

რომანის სიუჟეტი მწყობრად და თანმიმდევრულად ვითარდება: ბრძოლის ოროტრიალში თავის ქვეგანაყოფს მოწყვეტილი და უნებურად მტრის ხუროში მოქცეული საბჭოთა მეომრების მცირე ჯგუფი ცდილობს რაიმე საბრძოლო პერსპექტიულ გზას დაადგეს და ამისათვის აღგილობრივ პარტიზანებთან კავშირის დამყარებას ლამობს. თვით ამ რაზმის ეროვნული შემადგენლობა იმთავითვე მიგვანიშნებს ჩვენი არმიის ინტერნაციონალურ საწყისზე, საბჭოთა კავშირის ხალხთა მტკიცე საბრძოლო თანამეგობრობაზე. უკრაინელი ალიოშა ტარანენკო, ბელორუსიელი ანტონ სუხოდოლსკი, რუსები: ვალოდია კორპუშევი და მიშა ლიზუნოვი, ქართველები — ვასო თორაძე და საშა ვასკალაშვილი არიან ამ რაზმის ბირთვში.

ჯერ კიდევ მოქმედების მტკიცე გეზი არ აუღიათ, ეძებენ გამოსავალს, მსჯელობენ, როგორ მოიქცნენ, და ეს მსჯელობა მთლიანად გამსჭვალულია ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმობის ღრმა შეგნებით. უკრაინელი ალიოშა ტარანენკო თავის შეხედულებას ამგვარად უზიარებს მეგობრებს: „ჩემი უკრაინა, ჩემი სოფელი აქედან შორსაა. მე აქ უნდა ვიბრძოლო. მორჩა და გათავდა. სანამ ძალა შემწევს, სანამ სული მიდგას, უნდა ვიბრძოლო. ჩვენ მაინც ნუ დავიფანტებით. ასე დიდხანს არ გასტანს. აღსდგება ხალხი. ახლა დაშინებულია. სოროებში შერეკეს გერმანელებმა. მაგრამ მალე ნახავთ, რა ცეცხლი დაინთება ამ ტყეებში!". აქ ნათლადაა გამოხატული პატრიოტი საბჭოთა ადამიანის ოპტიმისტური სული. სოციალისტური სამშობლოს სიმტკიცეში ღრმა რწმენა.

ვიდრე რაიმე გარკვეულ გზას დაადგებოდნენ, რაზმს კვლავ მოუხდა ფაშისტებთან ბრძოლაში ჩაბმა, რომლის დროსაც მისი დიდი ნაწილი განადგურებულ იქნა. ბრძოლის ველზე დარჩენილი ქართველი მეომარი საშა ვასკალაშვილი, რომლის პირითაც მთელი თხრობა მომდინარეობს, გერმანელების წასვლის შემდეგ გონს მოვა, მაგრამ ჭრილობის გამო თავისით სადმე წასვლა არ შეუძლია. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი საშა რუსმა მეომარმა ვალოდია კორპუშევმა გადაარჩინა დაღუპვას. საშა ვასკალაშვილი რაზმის მეთაურია. იგი ფიზიკური ტკივილებით და თანამებრძოლი ბიჭების ცოდვით იტანჯება: „მე ლაპარაკს ფიქრი მერჩია. ფიქრი რაზმზე, ანტონზე, მიშა ლიზუნოვზე, ალიოშაზე და, და, რა თქმა უნდა, ვასიაზე. ნაღმის ნამსხვრევით გაგლეჯილი ჩემი მხარიც დროდადრო მახსენებდა თავს. ვალოდიას მივჩერებოდი, მაგრამ ბიჭებზე უფრო მეტს ვფიქრობდი".[2]

ამ დროს კი ვალოდია კორპუშევი, რაზმის დახოცილ მებრძოლთა ერთადერთი ჭირისუფალი, მათი დაკრძალვით არის გართული: „ვალოდია უბის წიგნაკში ინიშნავდა წითელარმიელთა გვარებს, მისამართებს, მერე მედალიონები და წითელარმიელთა წიგნაკები საფლავში ჩააწყო და ფრთხილად ჩაასვენა შიგ პირველი ცხედარი. მე თვალები დავხუჭე.

[1] დავით კვიცარიძე, დასახ. წიგნი, გვ. 51.

[1] „მნათობი", 1970 წ. № 2, გვ. 63.

[2] „მნათობი", 1970 წ. № 69.

ამ სურათის ცქერა აღარ შემეძლო. არ ვიცი. რამდენ ხანს ვიყავი ასე თავალებდახუჭული".[1] ტკივილებისაგან გათანგული ქართველი მეომარი კი ფიქრს განაგრძობს: „სად არიან ახლა ჩვენი ბიჭები? ლიზუნოვი, ტკაჩენკო, ვასო? ვაი თუ სადმე ტბის პირას ყრიან მკვდრები, ან მძიმედ დაჭრილები. ვაი თუ მიწის დაყრაც არ არგუნათ ბედმა"[2].

აქ მეტად ამაღელვებლადაა დახატული რუსი მებრძოლის ვალოდია კორპუშევის სახე, მისი კეთილი ბუნება, მეგობრის მიმართ ბოლომდე ერთგულება. „კორპუშევი მათარით წყალს მასმევს. წყალი მეღვრება სახეზე, საყელოში ჩადის და მსიამოვნებს. ვალოდია ცხვირსახოცს ასველებს, შუბლზე მისვამს. მეც თანდათან მოვდივარ გონზე. — აბა წამოჯექი, საშა. თითო ლუკმა შევჭამოთ. — ხელი მომხვია, წამომსვა და პური მომაწოდა. ბიჭოს, მართლა პურია, ქონის ნაჭერიც, მოხარშული კარტოფილიც. ვალოდია პურს ჭრის, ქონს ანაწილებს, თან ლაპარაკობს, მაგრამ მე ჯერ მისი ლაპარაკი არ მესმის. ჯერ ისევ ბურანში ვარ, თუმცა გონება თანდათან ფხიზლდება. ვალოდიას მარილიც არ დავიწყებია. პური ჩაკბიჩა, ქონიც მიატანა"[3].

ქართველი მეომარი საშა ვასკალაშვილი, რომლის პირითაც მომდინარეობს თხრობა რომანის მთელ მანძილზე, სიუჟეტის ცენტრალური ფიგურაა. საბრძოლო თანამეგობრობის გამომხატველი ყველა სიტუაცია მის ირგვლივ ვითარდება, იგი დამაკავშირებელი ცენტრია, რომლის ირგვლივ ძმებივით შეკრულან: ალიოშა ტარანენკო, ვალოდია კორპუშევი, ვასო თორაძე, მიშა ლიზუნოვი, ანტონ სუხოდოლსკი, ვიტალი ზახარჩუკი, ფედია კომლევი, სტეფანე გორბი, კოტე ჟორჟოლიანი, ვალოდია ცურანი, ტანია სვეტლოვა, სტიოპა სენკევიჩი, ოლეგ ივაშკევიჩი და მრავალი სხვა, ჩვენი დიდი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის შვილი.

საშას სახით ავტორმა მოგვცა ომის ქარცეცხლში ბოლომდე გადარჩენილი, მრავალჯერ დაცემული და ისევ წამომდგარი ქართველი მეომრის სახე. მწერალი ამ დასრულებული სახის შექმნისას ყოველთვის იჩენს ზომიერებას, თითქმის არც ერთ მომენტში თავის გმირს უჩვეულო ან შეუძლებელ რამეს არ აკეთებინებს. ეს არის ჩვეულებრივი, სამშობლოს სიყვარულის სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა მოქალაქე, რომლის მსგავს ათასთა ზურგზეც ძირითადად გაიარა დიდმა სამამულო ომმა, საბჭოთა ხალხმა გამარჯვებით რომ დაასრულა.

საშა ვასკალაშვილის პირადი მოსაზრებულობისა, სიმამაცისა და თავგანწირულობის მრავალი ეპიზოდი მეტად საინტერესოდ და მიმზიდველად გასდევს მთელ რომანს. ასეთ ეპიზოდთა აქ სრულად წარმოდგენა შორს წაგვიყვანდა. აი თუნდაც ერთი მათგანი: პარტიზანული ორგანიზაციის მიერ მტრის ჯარებით დაკავებულ სოფელში იგზავნება საშა, რათა მოღალატეთა შესახებ ცნობები მისცეს პარტიზანებს. აქ იგი დაიმარტოხელებს ერთ-ერთ მოღალატეს, რომელმაც მათ რაზმს მოულოდნელად დაახვია თავს გერმანელები. ფაშისტების აგენტთან ქართველი მეომრის ორთაბრძოლა მიმზიდველადაა აღწერილი, რითაც საშა ვასკალაშვილის სახეს მკითხველის გონებაში გმირის შარავანდედი ედგმება: „შენ ძაღლი ხარ! დავიღრინე და რევოლვერი ვიძვრე. ხელები გაუშშდა, წამით თითქოს მოკვდა, გაცივდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ წამით. ელვის უსწრაფესად დააგდო აღვირი და უნდოდა ხელი ავტომატისათვის ეტაცნა, მაგრამ მე ამას ველოდი. ავტომატს დავწვდი, ვისროლე და ფორანიდან ჩამოვხტი, უკვე კარგა გათენებული იყო. — ჩამოდი ძირს! ხელები ასწიე! ასე, არ გაინძრე და მისმინე, მინდა ჩემი სიტყვა ჩაგყვეს მიწაში, მინდა სიკვდილის წინ იცოდე ვინა ვარ. გახსოვს ტბის ახლო გერმანელები რომ დაგვასხი თავზე? ნაგანშემართული რომ მოუძღოდი ფაშისტებს? იმ ბიჭებთან ვიდექი მეც. მათი დახოცვისათვის უნდა განთხევინო სისხლი ახლა. ისიც ჩაგყვეს შხამად, რომ პავლე შოროპიკაცია, ამ მიწის ერთგული შვილია და არასოდეს თავის ხალხისათვის არ უღალატნია. მოკვდი შენი.. სასხლეტს თითი დავაჭირე და ხუთჯერ ვესროლე"[1].

საშა ვასკალაშვილის პირით ავტორი მოგვითხრობს მზვერავთა ოცეულის მეომრების მტკიცე საბრძოლო თანამეგობრობაზე და ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ამ მოქმედი გმირის პირადი განცდები მეგობრებისადმი. მრავალ განსაცდელგადატანილი გმირი იგონებს: „ამ უსიერ ტყეებში ბევრი გულითადი მეგობარი გამომაკლდა. მათი ყოველი გახსენება ცეცხლად გამივლის გულში და რაგინდ კარგ ხასიათზე ვიყო, მაშინვე ჩავჯდები, ან ხეს მივეყრდნობი და ერთხანს ასე ვარ გამოშტერებული. ამას წინათ მე და ლიზუნოვი ვასოსა და კოლიას საფლავზე ვიყავით. თოვდა, მზვერავთა სასაფლაოზე თოვლი იდო, ტყის თეთრი ყვავილები დამჭკნარიყო. ვასოსა და კოლიას საფლავებიდან თოვლი გადავწმინდეთ. ფიცარზე წარწერები წაშლილიყო, აღვადგინეთ... მე ბევრი მეგობარი მრჩება ბელორუსიის ტყეებში, აქ ბევრი რამ დავკარგე და ასევე ბევრი რამ შევიძინე. აქ შევხვდი ადამიანებს, ძმებს, ვაჟკაცებს. გა-

1 იქვე, გვ. 69.
2 იქვე, გვ. 71.
3 „მნათობი", 1970 წ. № 2, გვ. 72.

1 „მნათობი", 1970 წ. № 7, გვ. 46.

ჭირვებამ გამოაწრთო ჩვენი ყმაწვილკაცური სული. იყო წუთები, როცა გვეშინოდა, ტყვიის წუილზე ვკრთოდით, ერთმანეთს შიშით შევცქეროდით, თავს მიწაში ჩავრგავდით, მიწას ფრჩხილებით ვფხოჭნიდით, შიგ ჩაძრომას ვლამობდით, მაგრამ ეს სიმხდალე არ გახლდა!".

თანამებრძოლების მიმართ საშა ვასკალაშვილის გულთბილი დამოკიდებულების კარგი ილუსტრაციაა მოცემული ერთ-ერთ ეპიზოდში, სადაც მოთხრობილია მოღალატე სვისტუნოვის საველე გასამართლება და ამ უკანასკნელის ცდა რუსი ამხანაგები აამხედროს ოცმეთაურის საშა ვასკალაშვილის საწინააღმდეგოდ. ეს ეპიზოდი დიდი ოსტატობითაა დახატული რომანში და ემოციურ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე: თხრობა საშა ვასკალაშვილის პირით წარმოებს: „შენ უნდა მოკვდე, სვისტუნოვო, შენ დეზერტირი და მოღალატე ხარ, შენ პირშავი და გარეწარი ხარ, შენ უღალატე და გაჰყიდე ამხანაგები და მათ სამართლიანად გამოგიტანეს სიკვდილის განაჩენი. ვინც პირველი შეგხვდებოდა, უნდა მოეკალი. დაე, აღსრულდეს! გვერდზე გავდექი, მაგრამ არ შევბრუნებულვარ. სვისტუნოვი უცებ გამოცოცხლდა, ერთი ღრმად ამოისუნთქა, თითქოს ფეხის წვერებზე აიწია და ყვირა: — ძმებო, ბიჭებო, კორპუშევო, ლიზუნოვო, ტარანენკო, მომისმინეთ, ძმებო.— ყვიროდა ბოღმით, ღვარძლით, არნახული გაშმაგებით. თან თითო ნაბიჯით წინ მოიწევდა. — გონს მოდით, ბიჭებო, ვის ესვრით? თქვენიანს? რუსს? მერედა რატომ? რა დაგიშავეთ? რას მერჩით? ამას უჯერით? — ხელი მომიშვირა? — ამას? ამ ქართველ ბანდიტს? დაფიქრდით, დამიჯერეთ და მომენდეთ, ძმებო, საბჭოთა ხელისუფლება აღარ არსებობს, დაინგრა ის ხუხულა. კიევი და ლენინგრადი დაეცა, მოსკოვშიც გერმანელები არიან. მე მომყევით, ოღონდ ჯერ ამას ესროლეთ. ამ სისხლისმწოველთა მოდგმას. ესროლეთ-მეთქი. — თვალები გადმოკარკლა, რაკი გაოგნებული ბიჭებისაგან საკადრისი პასუხი უცბად ვერ მიიღო, გული მიეცა.

— ესროლეთ! ჯერ კიდევ გაქვთ დრო, მომყევით და გადაგარჩენთ. რას დაგიღიათ პირი? ესროლეთ, მაგის დედაც... არა, ახლა მე არაფერს ვიტყვი, არც გავინძრევი, თვალსაც არ დავახამხამებ. ასე უნდა ვიდგე გაქვავებული. თუ ეს არის ჩემი ბოლო, თუ ამ მწითურ ღორს ანაცვალეს ჩემი თავი, კისერიც მიტეხია. ღირსი ვყოფილვარ. ოღონდ არ გავინძრე, ოღონდ არაფრით გავამჟღავნო, რომ ვღელავ. ვაი, რომ ასეთმა ფიქრმაც გამიელვა მაშინ. მერე და ვინ უნდა მესროლოს? კორპუშევმა, ლიზუნოვმა თუ ტარანენკომ? იქნებ სუხოდოლსკიმ ან ბორიჩმა, ან სტიოპა სენკევიჩმა? გამოგიტყდებით, ზურგი მაინც მეწვოდა, და უცებ ვიღაცამ არ დაუჯერა სიჩუმის ღმერთმა და ესროლა. გავარდა ტყვია. მე სვისტუნოვი უცქმარ, ჯერა, მწამს, რომ მას ესროლეს, ან კორპუშევმა ესროლა ან ლიზუნოვმა, ან თვით სუხოდოლსკიმ. ვასო? ღმერთმა ნუ ქნას. თუ მან გაბედა, სჯობდა ჩემთვის დაეხალა ტყვია. სვისტუნოვი კი დგას, ოღონდ ერთი შეირხა, მუცელზე ხელი იტაცა. ჯერ მოიკუნტა, მერე უცებ გასწორდა, კბილები დააღრჭიალა. — ღორებო!—ვიღაც წინ დამიდგა, მთელი ტანით დამფარა, ვერაფერს ვხედავ, ვინ არის ეს ახმახი? კორპუშევია თუ ტარანენკო? ალიომ. ყოფილა, იგი სულ ახლოს მივიდა სვისტუნოვთან და მე გავიგონე: — მოკვდი შენი.. მერე ტყვია გავარდა, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ"[1]. აი რა მრავალმხრივ ამოწმებს ავტორი ჩვენი ქვეყნის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის სიმტკიცეს, მონოლითურობას, შეუვალობას, რა დამჯერებელი თხრობის ხერხია მონახული, რომლის მეშვეობით მოქმედებას ისე აღიქვამთ, როგორც საკუთარ, თვალით ნახულსა თუ პირადად განცდილს.

ქართველ ვაჟკაცებს: საშა ვასკალაშვილს, ვასო თორაძეს და კოტე ჟორჟოლიანს მხედრული დიდების უჭკნობი შარავანდედით მოსავს ავტორი. მათი ყველა საგმირო მოქმედება სხვა ეროვნების თანამებრძოლ მეგობრებთან ერთად მიმდინარეობს. მიმზიდველადაა დახატული ბევრი პატრიოტი გმირის სურათი, რომელთა შორის ზოგი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველში.

პარტიისა და ხალხის ერთგული შვილია ბოგუშევსკის რაიკომის მდივანი ადამ კონსტანტინეს ძე სტელმახი. იგი რეალურად არსებული პიროვნებაა, მაგრამ რომანში მისი გმირობა და მტკიცე ხასიათის გამოვლინება ზღაპრული ელფერითაა შემოსილი.. საბჭოური მშენებლობის ეს ნაცადი და უშიშარი ორგანიზატორი, ომისა და დროებით მტრის ზურგში მოქცევის მძიმე პირობებში ხალხთან რჩება, რჩება ბელადად, მეთაურად ჰიტლერელთა წინააღმდეგ ბოგუშევსკის ტყეებში გაშლილი დიდი სახალხო ბრძოლისა.

ასევე რეალური პიროვნებაა ლეონ ცურანი. სოფ. იანოვის საბჭოს თავმჯდომარე. მტკიცე კომუნისტი, პრინციპული ხელმძღვანელი, ლეგენდარული გაბედულებისა და სიმამაცის განსახიერება. იგი მთელი მრავალრიცხოვანი ოჯახით, თითქმის მთლიანად, ეწირება დიდ სახალხო საქმეს — მტერთან ბრძოლას, უპარტიო, რიგითი საბჭოთა მუშაკის მიმზიდველი სურათია დახატული პავლე შოროპის სახით. ფაშისტებმა იგი მათთვის საიმედო პიროვნებად ჩათვალეს და სოფლის ბურგომისტრადაც

[1] „მნათობი" 1971 წ. №2 გვ. 64

[1] „მნათობი" 1970 წ. № 12 გვ. 76

დანიშნეს, მაგრამ შოროპი სამუდამოდ დარჩა პატრიოტ მამულიშვილად და მტრებს შორის საიმედოდ შენიღბულმა უდიდესი დახმარება გაუწია იატაკქვეშელებს პარტიზანული ომის ორგანიზაციაში. საბოლოოდ იგი გმირულად შეეწირა ამ დიდ საქმეს.

უდიდესი სიყვარულით არიან დახატული უბრალო მშრომელი ადამიანები, მტკიცე პატრიოტული მამულიშვილები მამა და შვილი — იგნატ და ანტონ სუხოდოლსკები. ესენიც რეალური პირებია და მკითხველი კარგად გრძნობს, რომ ანტონ სუხოდოლსკი განსაკუთრებული მეგობარია ავტორისა. დიდი დამაჯერებლობითაა წარმოდგენილი მათი გულწრფელობა, ხასიათის სიმტკიცე მშობლიური მიწა-წყლისა და ხალხის სიყვარული. თვით ჯარეგნობის აღწერისასაც ავტორი მხცოვან ბელორუსიელ მამულიშვილს ასე გვიხატავს: „იგნატ პლატონიჩს მაღალი კაცი ეთქმის, მხრებში ოდნავ მოხრილია, მაგრამ **სიბერე** ჯერ შორსაა მისგან. მხნედ გამოიყურება. მიდის, მიალაჯებს, ხანდახან მოიხედავს, რაღაცას მეუბნება, მაგრამ მე მისი ხმა არ მესმის“. ან „იგნატ პლატონიჩი ლაპარაკობს გამართულად. ეტყობა ბევრი რამ უნახავს ცხოვრებაში და არც ისე გაუნათლებელი ჩანს. მე ეს მიხარია, მიხარია, რომ ჩემი მეგობრის მამა ასე კეთილია, კაცური კაცია, თავმდაბალი“.[1]

კაცურკაცობის, მამაცობისა და ჭეშმარიტი პატრიოტობის განსახიერებად რჩებიან მკითხველის მეხსიერებაში ორშის დეპოს ყოფილი ინჟინრის, შემდგომში საბჭოთა კავშირის გმირის კონსტანტინე ზასლონოვის, ბელორუსიის კომპარტიის ცკ-ის წარმომადგენლის ალექსი ბარდადინის, პარტიზანული რაზმის მეთაურის ვასილ ბოიკოს, ბრიგადის კომისრის ეფიმ მანოხინის, პარტიზანული ბრიგადის მეთაურის ვლადიმერ თალაკვაძისა და სხვათა სახეები. რაც შეეხება სამხედრო ექიმს მაიორ პეტრე ივანეს ძე ტიხონოვს, იგი რომანში წარმოდგენილია როგორც ზეადამიანური სიმტკიცისა და რწმენის მქონე ჭეშმარიტი პიროვნება. ამ ღმერთკაცს თავდაპირველად ასე გვაცნობს ავტორი: „დიდი გაჭირვებით გაურღვევია ალყა, ტყეეობას გადარჩენილა, დიდანს უხეტიალნია ტყე-ტყე, სოფელ-სოფელ, ადღაც ტანსაცმელი გამოუცვლია, წვერიც მოუშვია და აქამდე მოუღწევია. ხუტორში ამოსვლამდე ქვევით სოფელში ლეონ ცურანის სახლში გაუთევია ღამე და იქ გადაწყვეტილა მისი ხუტორში ამოყვანა. ცურანი ამ რაიონში დიდად მიღებული კაცი ყოფილა. რაიკომის მდივანთან, ადამ სტელმახთან ერ[illegible] ორგანიზაციაც შეუქმნია[illegible] წითელარმიელები სოფლებ[illegible] ისახლეებს შეკედლებული. უვ-

[1] „მ[illegible]ი“, 1970 წ. № 2, გვ. 78.

ლიდნენ და შეძლებისდაგვარად მკურნალობდნენ თურმე, მაგრამ ერთ დღეს პოლიცია დასხმიათ თავს, ოთხი დაჭრილი ჯარისკაცი დაუხვრეტიათ და მოსახლეობაც სასტიკად გაუფრთხილებიათ, ვინც დაჭრილ მებრძოლს შეიფარებს, მასთან ერთად დაიხვრიტებაო. პეტრეს, ცურანს და სუხოდოლსკის გადარჩენილი დაჭრილები ხუტორში აუყვანიათ. ღანგრეული საბძელი სახელდახელოდ მოუწყვიათ და ექიმიც დაჭრილებთან დარჩენილა“.

განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე ტიხონოვის მტკიცე ხასიათი. ერთ-ერთ ეპიზოდში, როცა მას მძიმედ დაჭრილი გერმანელი გენერლის ოპერირება დაავალეს, სამაგიეროდ ფაშისტებს უნდა შეეცოდებიათ და არ დაეხოცათ ტიხონოვის პაციენტები, დაჭრილი საბჭოთა მეომრები, რომელთა სადგომსაც ტყისპირა განცალკევებულ საბძელში მათ მიაგნეს. შუა ოპერაციის დროს ტყვე საბჭოთა ადამიანებზე მხეცური მოქმედებით აღშფოთებული ტიხონოვი დანას გვერდზე დებს, საბძლიდან გამორბის, თავის პაციენტებს შორის მწკრივში დგება და ფაშისტ ოფიცერს მტკიცედ მიახლის: „მე ამათთან ერთად მოვკვდები, გრუპენფიუერერი თქვენ გადაარჩინეთ“. ამით ტიხონოვმა იხსნა დაჭრილი თანამებრძოლები, აიძულა გერმანელი ოფიცერი უარი ეთქვა მათ დახვრეტაზე. ამ და მრავალი სხვა საგმირო-რაინდული საქციელით ტიხონოვი ნამდვილ ღმერთკაცად წარმოუდგება მკითხველს. იგი საბჭოთა მრავალეროვანი სამშობლოს სხვადასხვა ხალხების შვილებს ღვიძლი შვილებივით მზრუნველობს, აღვივებს მათში ურთიერთპატივისცემას, სამშობლოს სიყვარულს.

სამშობლოსა და ხალხისათვის თავდადებული მამულიშვილების გმირულ მოღვაწეობას ოსტატურად უპირისპირებს რომანის ავტორი მოღალატე, სულმდაბალ და უზნეო, სოციალისტური წყობისა და საბჭოური ცხოვრების მტრების სახეებს. ასეთ პერსონაჟთა გალერეა შემდეგნაირად გამოიყურება: ერმაკი — საბჭოთა წყობილების მეტად ოსტატურად შენიღბული მტერია. დ. კვიცარიძე მოკლე ექსკურსით შესანიშნავად გვიხატავს ამ გარეწრის გამცემლური სულის ჩამოყალიბების გზას: „ერთხელ ბოგუშევსკის კომენდატურაში ერმაკი გამოცხადდა. მან, რატომღაც კომენდანტის თანაშემწესთან ისურვა განმარტოება. ერმაკი გულდაგულ გაჩხრიკეს და შტურმფიუერერს წარუდგინეს. რაოდენ დიდი იყო ოფიცრის გაოცება, როცა ამ გამხდარმა, დალეულმა, თვალებწირპლიანმა კაცმა გერმანულად დაილაპარაკა. შტურმფიუერერი მაშინვე წამოდგა, ერმაკს სკამი შესთავაზა, პატარა კარადიდან კონიაკი გამოიღო, დაუსხა. ერმაკმა ოფიცრისა და მთელი გერმანიის სადღეგრძელო წარმოსთქვა და კონიაკი გადაჰკრა,

დაჯდა, კაბინეტი მოათვალიერა და ყოველგვარი შესავლისა და მიკიბ-მოკიბვის გარეშე მოჰყვა თავისი ბიოგრაფია. პირველი ომის შემდეგ ტყვეობა, მისი გერმანიაში ჩაყვანა, ბედნიერი შემთხვევით ანას გაცნობა, მასთან დაკავშირება, შერთვა და გვიან ბელორუსიაში დაბრუნება. მეორე ომის დაწყების პირველი დღეებიც მოიგონა. თქვენმა მობრძანებამ ჩემს ოჯახს დიდი სიხარული მოუტანა, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მუდამ შევიწროებული ვიყავითო, სულ ალმაცერად, სულ ეჭვის თვალით გვიცქერდნენ და ყოველ ღამე დაჭერას და გადასახლებას ველოდითო".

ერმაკის მეუღლე, გერმანელი ქალი ანა, ფაშისტების კომენდატურის ფარული აგენტია, ამასთან მეტად ოსტატურად შენიღბული და ათასნაირი ხრიკების მცოდნე ჯაშუში.

ნადია მაზნევა, რაღაცისათვის ქმარდაჭერილი, მარტოხელა ქალი, გეოგრაფიის მასწავლებელია. საბჭოთა წყობილების სამდურავი შხამივით დაგუბებია გულში გაბოროტებულ და უთვისტომო ეგოისტს. მისთვის საბჭოური არაფერია საინტერესო. იგი ვერ ამჩნევს და არც უნდა შეამჩნიოს სოციალისტური ყოფის მიერ მოტანილი სიახლე ცხოვრებაში და ფაშისტების შემოჭრა მას რაღაც სახალისო, საინტერესო მოვლენად მიაჩნია. აღტაცებული ფაშისტების ყურადღებით, იგი გახარებული ამბობს: „თვით ბოგუშევსკის კომენდანტი მიცნობს. ხედავ, სანამდე მივედი, რას მივაღწიე? ამ სოფლის იქეთ არავინ იცოდა ჩემი არსებობა. რაიონის პედაგოგთა შეკრებაზეც კი არ მოვუწვევივარ არავის. ამ სოფელში ვმასწავლებლობდი და აქვე ჩავკვდებოდი უსახელოდ. ახლა სხვაა; ცნობილი ქალი ვარ... ვისწავლე, ვიტანჯე და ერთ გზას დავადექი. ეს ქვეყანა გერმანელების ყოფილა და რატომ უნდა შევაკლა ვინმეს თავი. გაიგე? ასეა, ფრიცებმა დაიპყრეს მსოფლიო. სად არიან ჩვენები? კისერი უტეხიათ იმათაც და ამათაც. მთავარია სიცოცხლე. მთავარია ამ უკეღმართ წუთისოფელს რაც შეიძლება მეტი სიკეთე გამოსტყუო[1]".

ფაშისტები დიდი ხალისით სწყალობდნენ საბჭოთა წყობილების ყველა მომდურავს და აი მათს წყალობაში მოქცეული კიდევ ერთი გარეწრის სახეც; იანოვის პოლიციის უფროსი ივანე სუშჩინსკი. ავტორი მოკლედ გვისურათებს ამ ნაძირალას: „პოლიციის უფროსად დანიშნეს ყოფილი კულაკის შვილი, ნაომარი, ვინმე ივანე სუშჩინსკი. სუშჩინსკის ჭირის დღესავით სძულდა ყოველგვარი საბჭოური, სძულდა ყოველგვარი კომუნისტური, კომკავშირული, კოლმეურნეც კი და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სძულდა საბჭოს თავმჯდომარე ლეონ ცურანი"[1].

თვით წითელი არმიის [illegible] ოფიცრებიც [illegible] ახლანდელ მოღალატეთა დამჯერებლად [illegible] ახლანდელ ახლებიც გვხვდება რომანში. ასეთთა შორის განსაკუთრებით ზიზღის მომგვრელი არიან გორბუნოვი და სვისტუნოვი. სვისტუნოვის გამცემლური სულის თაობაზე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ტროშკა გორბუნოვს კი ორიოდე სიტყვით ასე წარმოგვიდგენს ავტორი: „გორბუნოვი გათოკილი შემოიყვანეს, უშველებელი კაცი იყო, ასე ორმოცი წლისა იქნებოდა. ტანსაცმელი სულ შემოხეოდა. ეტყობოდა არც ისე იოლად დანებებია ჩვენს ბიჭებს. მკერდზე არწივი ეხატა, მკლავებზე დანაგაყრილი გული. მთელი ტანი აჭრელებული ჰქონდა"[2].

სამშობლოსა და ხალხის მოღალატეთა მიმართ პატრიოტ მამულიშვილთა დაპირისპირების ხერხით ავტორმა მოახერხა მეტად დამჯერებლობით განაწყოს მკითხველი პირველთა მიმართ შეურიგებლობითა და ზიზღით, ხოლო მეორეთა მიმართ — პატივისცემის ურყევი გრძნობით.

რომანში მეტად საინტერესო, ცალკე მოთხრობასავით გამოირჩევა ეპიზოდები ბელორუსიელი პატრიოტი ქალიშვილის ანია ტარასის ასული მოკსაკისა და დაჭრილი ქართველი ლეიტენანტის დათოს ურთიერთობისა. დამჯერებლადაა ასახული ტარას მოკსაკის ოჯახის პატიოსნებისა და სამშობლოსადმი ერთგულების შთამაგონებელი სურათი, თვით ტარას მოკსაკის კაცურკაცობა და ჭეშმარიტი მამულიშვილობა.

დაჭრილი ქართველი ლეიტენანტის დათოს გადარჩენას შეეწირა ტარას მოკსაკი და სამუდამოდ ლოგინს მიაჯაჭვა მისი მეუღლე. პატრიოტმა ბელორუსიელმა ქალიშვილმა კი უდიდესი ენერგია დახარჯა დათოს გადასარჩენად. ამ ეპიზოდებს იმდენად საინტერესოდ აღწერს ავტორი, რომ თვითვე იხიბლება აქ აღწერილი თანამეგობრობის კეთილშობილურობით. ავტორი ვერ ფარავს თავის აღტაცებას და ვრცელ მონოლოგს უძღვნის ანია მოკსაკის სიმამაცესა და ქველმოქმედებას: „ჩემს წინ დგას მშვენიერი ბელორუსი გოგონა, ვიტებსკის პედაგოგიური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი, ლამაზი და მოხდენილი. ავაზაკებმა გაანადგურეს ეს ოჯახი, მოკლეს მამა, ძველი პედაგოგი, სამშობლოსა და ხალხის ერთგული ადამიანი, დედამ გონება დაჰკარგა და დარჩა ერთადერთი ქალიშვილი. გავა დრო, გაიელის ღრუბლები, გამოანათებს ზზე, ღამით ისევ იკიაფებენ ვარსკვლავები, დაოჯახდება ანია, ისევ გახურდე-

[1] „მნათობი", 1970 წ. № 5, გვ. 58.

[1] „მნათობი", 1970 წ. № 3, გვ. 57.

[2] „მნათობი", 1970 წ. № 12, გვ. 68.

ბა კერია და ერთი ქართველი ბიჭის ამბავი წმინდა მოგონებად დარჩება ამ ოჯახში. ვინ იყო დაოო? რა გვარი? საიდან? ამის პასუხს ვერავინ მომცემს, მაგრამ ვინც უნდა იყოს ის ლეიტენანტი, მაინც ვენაცვალე მის აღმზრდელ დედას, მის ოჯახისშვილობას"[1].

რომანში დიდი ადგილი უჭირავს მთავარი მოქმედი გმირის საშა ვასკალაშვილის პირად განცდათა ასახვას, მის დამოკიდებულებას მეგობრებისადმი, იმ მძაფრ სულიერ სატკივართა გამომზეურებას, რასაც იწვევდა ქართველი მეომრის გულში მეგობარ თანამოიარაღეთა დაღუპვა.

განსაკუთრებით ამაღელვებელია ამ მხრივ ქართველი მეომრის მოგონება უახლოესი მეგობრის ანტონ სუხოდოლსკის დაღუპვით გამოწვეულ პირად სულიერ კატასტროფაზე: „სუხოდოლსკი გზაში გარდაიცვალა, ვიგრძენი, როგორ მოუდუნდა სხეული, როგორ მოეშვა და მინებდა სიკვდილს. თოვლზე დავაწვინეთ, აღარ კვნესის, სახეს ვუსრეს, სულს ვუბერავ, ჩავძახი, ამაოდ. უცებ მოვწყდი და მეც მოვკვდი... ვიხრჩობი, პირში თოვლს ვიტენი და ვზმუი. რამდენ სიკვდილს უნდა გავუძლო, რამდენ მეგობარს უნდა დავუკრიფო გულზე ხელები. ანტონ სუხოდოლსკი დავკრძალეთ, უშველებელ ორმოში რომ ჩავაწვინეთ, გულმა მიმტყუნა, თავბრუ დამესხა და ჩავიკეცე"[1].

ბრძოლებში სხეულდასახიჩრებული, შემდგომი საბრძოლო მოქმედებისადმი ფიზიკურად უვარგისი საშა ვასკალაშვილი ოჯახს განუყრელ თანამებრძოლებს რომ ემშვიდობება, განუხრელად გასატარებელ დევიზს უტოვებს სიტყვებით, რომლებიც ჩვენი ხალხების შვილთა საბრძოლო თანამეგობრობაზე ღაღადს წარმოადგენს: „ლიზუნოვო, კორპუშევო, ტარანენკო, კომლევო, მზვერავთა სასაფლაოს ტყის თეთრ ყვავილებს ნუ მოაკლებთ, ვასოსა და კოლიას საფლავებს მიხედეთ, ისე იგულისხმეთ, თითქოს ოლეს ივაშჩენკოცა და სტეფანე გორბაც მათ გვერდში იწვნენ"[2].

დავით კვიცარიძისათვის ორგანულად ახლობელი და საყვარელი თემაა დიდი სამამულო ომის თემა, მწერლის გულისყური ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ეროვნების გმირ თანამებრძოლთა გვერდით გატარებულ დღეებს დასტრიალებს, და მხატვრული ასახვის ტრადიციულ საშუალებათა ოსტატური გამოყენებით, თუ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თხრობის მანერის ძიებით, ზემოგანხილული რომანის ავტორმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის მხატვრული ასახვის დიდ საქმეში.

[1] „მნათობი", 1971 წ. № 2, გვ. 77.

[1] იქვე, გვ. 81.
[2] იქვე, გვ. 92.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გეგაშვილი

ღვაწლმოსილი მეცნიერი, ჩინებული მოქალაქე

თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ნათელ დარბაზში სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ერთმანეთს ასწრებენ ტანმორჩილი, სათვალიანი კაცისთვის დაბადების მე-60 წლისთავის მილოცვას. ის კი სიმორცხვისაგან ბავშვივით წითლდება. ასეთი სიმორცხვე მხოლოდ კეთილმა და თავმდაბალმა კაცმა იცის. დიახ, უაღრესად უბრალო და ყველასთვის გულგახსნილი და შუბლგაბრწყინებულია ამ ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ალექსახდრე ღლონტი.

ექვსი ათეული წლის ტვირთით მხრებდაშმეებულმა ქართველმა ვაჟკაცმა, პატრიოტმა მამულიშვილმა და უსპეტაკესმა მოქალაქემ 40 წელიწადი სამეცნიერო მოღვაწეობას შეალია. სწორედ ამ პერიოდს გამოერია ავბედითი წლები, რომლებმაც ა. ღლონტს დროებით კალამი გვერდზე გადაადებინა, ხელში თოფი ააღებინა და ნიჭიერი მკვლევარის ბიოგრაფია სამშობლოსათვის მგზნებარე მებრძოლის საპატიო სახელითაც დაამშვენა.

1929 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ღვაბზუდან ჩამოსულმა ჭაბუკმა ქართული მეცნიერების ტაძარს მიაშურა და თითქოს, გურიის მთების ახკარა წყაროს ეწაფებაო, უმაღლეს სასწავლებელში ისე ხარბად ისმენდა ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, გრიგოლ წერეთლის, შალვა ნუცუბიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილისა და სხვათა ლექციებს.

ქართული მეცნიერების ქურუმთა ყოველი სიტყვა ნიჭიერმა ახალგაზრდამ გულსა და გონებაში ჩაიჭედა და მაშინვე გამოიჩინა თავი განათლებითა და მეცნიერისათვის საჭირო ალღოთი. ამიტომ იყო, რომ 1933 წლის 4 იანვარს აკადემიკოსი ნ. მარი რეკომენდაციაში წერდა: „ამხანაგი ალექსანდრე ღლონტი ასპირანტურისათვის კარგად არის მომზადებული, თუმცა მას სათანადო პირობები ხელს არ უწყობდა. მისი ღირსეული ჯილდო — ჩაირიცხოს ასპირანტურაში — რაიმე წინააღმდეგობას არ უნდა შეხვდეს, თუკი გვინდა აღვზარდოთ ახალი კადრები და ახლო ხანებში ავამაღლოთ მათი მომზადების ხარისხის დონე“.

ნ. მარს ეს სიტყვები შემთხვევით როდი დაუწერია, მას 1931 წელს მოუსმენია და მოსწონებია კიდეც ა. ღლონტის მოხსენება „გურული კილოს ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი“.

1933 წელს ა. ღლონტი ასპირანტურაში ჩარიცხეს, 1934 წელს კი ლენინგრადში მიავლინეს, სადაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერების — აკადემიკოსების ი. მეშჩანინოვის, ლ. შჩერბას და სხვათა ხელმძღვანელობით დააძთავრა ასპირანტურის კურსი და დიდი იმედის მომცემ მეცნიერად ჩამოყალიბდა.

ამ იმედის გამართლების პირველ საბუთად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ასპირანტურის დამთავრებიდან დიდ დროს არ გაუვლია და სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი მეცნიერებათა კანდიდატად და დოცენტად მოგვევლინა.

ქართული ენათმეცნიერების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე დაწერილი ალ. ღლონტის სამეცნიერო ნაშრომები, რომელთა მნიშვნელობაც მარტო ჩვენში კი არა, მომძმე საბჭოთა რესპუბლიკებისა და უცხოეთის სამეცნიერო წრეებშიც არის აღიარებული, ამდიდრებს ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძურს.

კეთილსინდისიერი და თავის საქმეში ღრმად ჩახედული მკვლევარის დიალექტოლოგიაში ზოგადი ენათმეცნიერების, ქართველური ენების, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიისა და ფოლკლო-

რისტიკის მრავალ საინტერესო საკითხს მოიცავს.

პროფ. ა. ღლონტის 350-ზე მეტ ნაშრომსა და სტატიაზე (მათ შორის 120-ზე მეტი გამოკვლევაა, ცხრა მონოგრაფიაა, 26 ცალკე წიგნად არის გამოცემული) რუსულად, ფრანგულად, გერმანულად და უნგრულად გამოქვეყნებულ რეცენზიათა და გამოხმაურებათა ავტორები დიდად აფასებენ ქართველი მეცნიერის ნაღვაწს.

ძრავალი გამოკვლევა და სტატია მიუძღვნა მეცნიერმა ქართული ენის სტრუქტურის, მოხევეთესავე ენებთან ამ ენის კავშირისა და დამოკიდებულების საკითხებს. ესენია: „საერთო ერონული ქართული ენა და დიალექტიზმები“; „ძიებითი ბრუნვა ქართულში“; „ენის ლექსიკური შემადგენლობა და სიტყვათწარმოება“; „ატრიბუტივიანი შემასმენელი ქართულში“ და, რომელი ერთი დავასახელოთ, მთავარი ის არის, რომ ამ ნაშრომთა შესრულების დონე მაღალია.

ქართული ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკითხების კვლევას დიდი ადგილი უჭირავს ა. ღლონტის სამეცნიერო მოღვაწეობაში. მეცნიერმა დიდი გულმოდგინება გამოიჩინა ამ დარგში მუშაობისას. მისი მონოგრაფია „ქართული ლექსიკოლოგია“ საფუძვლიანად, სრულყოფილად აშუქებს ჩვენი ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის საკითხებს.

„დიდი დრო და ენერგია შევწირე ქართული ლექსიკოლოგიის საკითხებს... ოცი წელიწადი მოვანდომე ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლასა და გამომზეურებას“—წერს ავტობიოგრაფიაში ა. ღლონტი და მართლაც, მან პირველმა გამოაქვეყნა ნ. ჩუბინაშვილის ნაშრომები: „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ (1961 წ.) და „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ ტ. I (1971 წ.). ეს უკანასკნელი, რომლის მოცულობაც 55 სასტამბო თაბახს შეადგენს, დიდი შენაძენია ქართული ენათმეცნიერებისა. იგი ყველა ქართველოლოგის სამაგიდო წიგნია.

უნდა გაჩვენათ, 60 წლის მეცნიერი რა ჭაბუკური ენერგიითა და ხალისით დასტრიალებს თავს ასოთაშწყობებს, რომლებიც აღნიშნული ნაშრომის მეორე ტომს ამზადებენ. ეს ტომი დაახლოებით 65 თაბახი იქნება. რა საოცარი სიყვარული უნდა ენთოს გულში კაცს წიგნისა, რომ სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობით, სხვადასხვა საქმეებით უაღრესად დატვირთული, ყოველდღე პოულობდეს დროს სტამბაში სასიარულოდ! ბარაქალა ჭეშმარიტ მეცნიერსა და მამულიშვილს, რომელმაც არქივის მტვერი მოაცილა და სამზეოზე გამოიტანა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ჩინებული ლექსიკოგრაფოსისა და გრამატიკოსის ყველა ქართველისათვის საინტერესო და სასარგებლო ნაშრომი!

ამ პატარა წერილში შეუძლებელია დავასახელოთ ყველა ნაშრომი, რომლებიც ა. ღლონტმა ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის საკითხებს მიუძღვნა. ავტორმა შეისწავლა სხვადასხვა ლექსიკონების ღირსება-ნაკლოვანებები და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე დაგვანახა მათი ისტორიული თუ პრაქტიკული მნიშვნელობა.

ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებისადმი ა. ღლონტი ახალგაზრდობიდანვე იჩენდა ინტერესს და საუცხოო ნაშრომებიც დაგვიწერა („როგორ წარმოიშვა ენა“; „ყველაზე გავრცელებული ენები“; ახალი თეორია სონანტთა და აბლაუტის შესახებ“ და სხვ.), მაგრამ მისი სტიქია მაინც ქართული დიალექტიკა და ფოლკლორისტიკაა. გადაჭარბებად არავის მოეჩვენოს — მეცნიერს მთელი საქართველო აქვს შემოვლილი. იგი — სამეცნიერო ექსპედიციების ხელმძღვანელი — ჰკრებდა და სწავლობდა დიალექტოლოგიურ, ლექსიკოლოგიურ და ტოპონიმიკურ მასალებს, რის შედეგადაც მთელი სერია შექმნა დიალექტოლოგიური და ფოლკლორისტული ნაშრომებისა. მან ათეულობით გამოკვლევა მიუძღვნა გურული და ქართლური, აგრეთვე ქართული ენის სხვა დიალექტების შესწავლას („ეგნატე ნინოშვილის ენა“; „გურული ლექსიკა“; „ქართლური ტექსტები, შესავლით, ლექსიკონითა და შენიშვნებითურთ“ და სხვ.).

ბუნებრივია, რომ დიალექტებზე მუშაობისას მეცნიერს დიდი ყურადღება მიიპყრო ხალხური შემოქმედების საკითხებმა. მკვლევარი დაინტერესა ხალხურმა ლექსებმა, ეპოსმა, ანდაზებმა. ქართული ფოლკლორისტიკის პრობლემები მისი განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახდა. „გურული ფოლკლორი, შესავალი, ტექსტები, ლექსიკონი, შენიშვნები“; „ქართლური ზღაპრები და ლეკენდები, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, შენიშვნები“; „ქართული ანდაზების გამოცემისათვის“ და ა. ღლონტის სხვა ძრავალი ნაშრომი ავსებს და ამდიდრებს ქართულ ფოლკლორისტიკას.

ცალკე უნდა გამოვყოთ დიდი შრომა, რომელიც მეცნიერმა ქართული ხალხური ნოველების შესწავლისა და გამოქვეყნების საქმეში გასწია. ქართული ხალხური ნოველა შეუსწავლელი იყო. მეცნიერის კალამმა, რიგორც ბასრმა სახნისმა, ისე მარჯვედ გატეხა ყამირი და მკითხველს ქართულ და რუსულ ენებზე სამტომად მიაწოდა მონოგრაფიული ნაშრომი, რომელსაც „ქართული ხალხური ნოველა“ ეწოდება. სამართლიანად წერს პროფ. დ. გეწაძე, რომ ამ ნაშრომში ...„გარკვეულია მისი (ხალხური ნოველის — ა. ბ.) თემატურ-მხატვრული სტრუქტურა, ძირითადი მოტივები და ეხობრივ-სტილისტიკური სპეციფიკა“.

ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა დიდი ღვაწლი დასდო ქართულ ონომატოლოგიას. მარტო

იმის თქმაც კმარა, რომ ორიოდე ნაშრომი გვქონდა და, სულ ეს იყო და ეს, ცოდნის ეს დარგი ჩვენში ჩამოყალიბებულიც არ ყოფილა. ა. ღლონტმა გააღვივა თანამედროვე ენათმეცნიერების მეთოდებით ქართულ და ქართველურ საკუთარ სახელთა სისტემის შესწავლის ინტერესი და საფუძვლიანად დამუშავებული ნაშრომებით („ქართველური საკუთარი სახელები", „ანთროპონიმთა ლექსიკონი", „ტოპონიმიკური მასალები" და სხვ.), სათავე დაუდო ქართულ ონომატოლოგიას — ლექსიკოლოგიის დარგს.

რა დროსაც უნდა შეხვიდეთ პროფ. ა. ღლონტის სამუშაო ოთახში, მის საწერ მაგიდაზე ყოველთვის ნახავთ ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალ-გაზეთების ახალ ნომრებს, ახლად გამოცემულ ლექსებსა და მოთხრობებს. მეცნიერი მხატვრული სიტყვის ტრფიალია, არცერთი ახალი ლექსი არ გამოეპარება. როცა ნაღელი და ხალასი პოეტური სტრიქონი გულს საამოდ აუძგერებს, თვალში სიხარულის ნაპერწკალი აუკიაფდება ხოლმე. ამას წინათ დიდი კმაყოფილებით გველაპარაკა უკანასკნელი წლების ქართული პროზის აღმავლობაზე.

მაგრამ მეცნიერი მხატვრულ ლიტერატურას მარტო ესთეტიკური სიამოვნებისათვის როდი ეტანება. ის აკვირდება და გულმოდგინეე სწავლობს მწერლის ენასა და სტილს. მისი ნაშრომები: „პოეტის ენის საკითხები"; „ლიტერატურული ენა და დიალექტიზმ-არქაიზმები" „დიალექტური ლექსიკა მწერლის თხზულებებში" და სხვები ამის ხათელი დადასტურებაა.

თუ ყოველივეს, რაც ზემოთ ვთქვით, იმასაც დავუმატებთ, რომ ა. ღლონტმა თავი გამოიჩინა საზოგადოებრივ მუშაობაში და სახელი გაითქვა როგორც კარგმა პედაგოგმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის, გორის, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებში; თუ არც იმას დავივიწყებთ, რომ მისი ხელმძღვანელობით, კონსულტაციებითა და ყოველდღიური დახმარებით 11 საკანდიდატო და სამი სადოქტორო დისერტაცია მომზადდა, რომ იგი 11 სადოქტორო დისერტაციისა და 25 საკანდიდატო დისერტაციის რეცენზენტ-ოპონენტი [illegible] მაშინ სრულად წარმოგვიდგება სახე ღვაწმოსილი მეცნიერის, გულისხმიერი აღმზრდელისა და ჩინებული მოქალაქისა, რომელიც ღირსეულად მოიხ[illegible] ეროს [illegible]ადლობა და [illegible]ეარული.

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ